

780 / 1997/2

1.3



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი



5

1997

საუნჯე

1997/5

საქართველო
თბილისი

(104)



შინაარსი

პროზა, პოეზია

შრანსუა რაბლე. გარბანტუა და კანტაბრული. მესამე წიგნი. დასაწყისი. თარგმნა გურამ გოგიაშვილმა	3
შრანსუა მორიაკი. იესოს ცხოვრება. ფრანგულიდან თარგმნა დალი იაშვილმა	102
მ. ჰენრი. ლოტოსი და ბოთლი. ინგლისურიდან თარგმნა ლალი გოგაძემ	212
ლოკი და ვეზა. სასჯელს არ კმეცია უშრისძეობა. დასასრული. ესპანურიდან თარგმნეს ელდარ კერძევაძემ და სოსო პაიჭაძემ	219
ჰენრი ლონგფელო. ლეშები. ინგლისურიდან თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა	268

კრიტიკა, კუბლიცისტია, ესე

დალი შანჭიკიძე. „საუნჯე“ — 1996	271
ზურაბ გეგაზაშვილი. უილიამ შექსპირის „კამლეტის“ ახალი მართული თარგმანი	281
ნოელ კოლკი. აგტანობა და გამარჯვება ფოლკანერის „იბავში“. ინგლისურიდან თარგმნა ციალა თოფურიძემ	303
ირმა რატიანი. იაკონუსი დღიური. დასასრული	309



**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური მშენებელი**

1997 № 5

**მთავარი რედაქტორი
სოთა ნიშნიანიძე**

ნანა დარჩია-ბოლქვაძე
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)

სარედაქციო კოლეგია:
ჯემალ აჯიაშვილი
მზია ბაქრაძე
ზაზუნა ბრეგვაძე
გურამ გოგიანიშვილი
ნოდარ გუგუშვილი
მამალი თოფჩია
ნოდარ ტაბაგაძე
რენე კალანდია
გიორგი ნიშნიანიძე
დალი ფანჯიკიძე
გივი ქველავი
დავით წერეთლიანი.

**ტექნიკური რედაქტორი
ნანა ბართაია**

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 93-47-31. მთ. რედაქტორის მოადგილე 99-60-22. განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გად. წარმ. 16. 06. 97 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 4. 09. 97 წ., ქალაქის ზომა 70X106^{1/16}
სააღრ. თ. 25,51, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფ. საღებავის გატ. 28,7.
ტირ. 300. შეკვ. № 809.

ფასი & ლარი

გამომცემლობა „ხამშობლო“ სტამბა.
თბილისი, მ. სოსტავას 14

ფრანსუზ რაბლე

გარბანტუა და კანტაბრუელი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმანი გურამ გოგივაშვილმა

20921

მესამე წიგნი

ქველი კანტაბრუელის საბერიო
მეჭმეობისა და სიტყვაბრძნობისა

ალნაქსი მეტრ ფრანსუა რაბლესი, მედიცინის დოქტორისა

მათჟვამი კეთილმოწყალე წამკითხველთ
სამოცდამეთვრამეტე წიგნამდისინ სიცილი-
სა დათმენასა, ანუ გაუცინრობასა ქაჯება

აქა ფრანსუა რაბლე მიმართავს ნაპარის დედოფლისა სულსა*

კეთილო, კარგო, ნათელო სულო!
წმინდა იყავ და დარჩი რჩეული,
სასუფეველში ზეცად ასულო,
ობლად შთენილა შენი სხეული.
არც სილაძაზე გახლავს ჩვეული,
არ უნდა, არა, ბევრი ფიცილი.
ღმერთმა გვაშოროს ავი ღინცილი.
მესამე წიგნში ხალველს ნუ ელი,
ნახე, რასა იქმს სიცილ-სიცილით,
რას სჩადის ქველი პანტაგრუელი.

წინასიტყვა მათჟვამისა, მეტრ ფრანსუა რაბლესი,
ქველი კანტაბრუელის საბერიო მეჭმეობისა და
სიტყვაბრძნობის მესამე წიგნისთვისა

ხალხნო და ჯამაათნო, სახელმოტყმულნო მეძთვრალენო და თქვენცა გვეუ-
რბოდეთ, ღირსსახსენებულნო ავქარცემულნო! მოგიხილავთ ოდესმე დიოგენე.
სიბრძნისმეტყველი კაცი, კინიკოსი, მაწყვიტ რომ ხოტონიკობდა? უკეთუ მოგიხი-
ლავთ, ვიმედულობ, ხილვისა უნარი არა წაერთმევიათ, ანუ თავად დამკარგვია
გონი და დამვიწყნია სწავლა სჯულიერი განსჯისა. მერუდა, რა ტურფა საჩილ-
ველია, მზეჩამდგარ ზედაშისა მადლსა ვენაცვალე, დაღათუმცა, მზეგამოხატულსა
რა დაედრება ოქროსა! და რახანცა სიტყვა ხილვაზედა ჩამოვარდა, აქა ისი

საბართმელოს
ეროვნული

ბრმადშობილი უნდა მოვიხსენიო, რომლისა გამოცა ესდენ ბევრია თქმული სა-
ღმრთო წერილსა შინა: როს უფალმა, ყოვლისა აღთქმულისა აღმსრულებელმან,
ჰკითხა ბრმადშობილსა მას, რაი გნებავს და გიყო შენათ, მან ოდენ ერთი მო-
ინატრა, თვალნი აღძიხილნეთ.

უჩინებელი

თანაცა კიდევ არცა ყმაწვილნი ხართ უკვე, და სწორედ ამდროელსა შე-
ერთვით ღვინასა, შეღვინებულნი ფუჭად კი არ უნდა აჭარტალებდეთ ენასა,
არამედ ზებუნებურ ამბავთა უნდა განაბჭობდეთ, ბაკქოსსა მსახურებდეთ, შესა-
სუსნსა სუსნიდეთ, ეგრევ აკალოებდეთ, აკალიფებდეთ სუფრასა და უბნობდეთ
მიწვივ სანდომელი, სამწყურვალო და სამკურნალო ჭაჭანაურისა ფეროვნება-
გემოვნებაზედა, სჯიდეთ, რარიგ დამალტობელ-დამალბობელი, გამართობელი,
ჩამათბობელი და ჩამატკობელია ის დალოცვილი, ისა.

და უკეთუ დიოგენე არა მოგიხილავთ (რისა შეწამებაც არ გამიძნელდება),
მაშ, აბა, გაგვეგონებათ მაინცა, ვინათგან დიდება იმისი მიეღსა ქვეყნიერებასა
მოსდებია, დღესაქამომდისინ ყოველთა კაცთა ახსოვთ და სახელოვნად გამოჩე-
ნილა, თვინიერ ამისა, სუყველასა თქვენა (თუ არა ვცდები) ფრიგიული სისხლი
ვინქეფთ ძარღვთა შიგან, და თუძცალა კი ეკიუსა იძოდენსა ვერა აჩხრიალებთ,
რაოდენსაცა მიდასი აჩხრიალებდა, მაგრამ იმისგან შემკვიდრებოდ იხეთი რამ
გერგოთ,¹ რისი გულისთვისაც ჯერეთ კიდევ უწინდელსა დროებაში სპარსნი
დია ფასსა სდებდნენ ოტაკუსტთა² თვისთა, რაზეცა აგრე რიგად ოცნებობდა
იმპერატორი ანტონინუსი³ და რაიცა შემდგომ იმა რომანისა პალამსა, ანუ
ძძლავრსა და დიდსა ასპიტსა ესხა, რომელსაცა ყურღამაზსა უხმობდნენ.

უკეთუ არცრა გსმენიათ რა დიოგენესი, მაშ, აწ ერთსა ამბავსა გიამბობთ
იმაზედა, რათა დაღვევისა მიზეზი გაგვიჩნდეს (აბა, ჰე, ჩამთასხით!), მუსაიფსაცა
ხელი წაეყაროს (აბა, ჰე, სმენა იყოს!), და უწინარესად უნდა უწყოდეთ (ვითარ-
მედ მერე თქვენისა უეშმაკობისა გამო სამჭედურსა რასმე არა წამოეგოთ, რა-
რიგადაცა ურწმუნონი წამოეგებიან ხოლმე), რო კაცი ესე იყო უჩინებულესი
და უგულმხიარულესი სიბრძნისმეტყველი თავისი დროებისა, და თუ რაიმ ნაკ-
ლულოვანება ჰქონდა, რას ვიზამთ, უნაკლულონი აკი არცა თქვენა ბრძანდებით
და არცა კიდევ ჩვენა ვართ. ერთი ღმერთია უცოდველი. თავად ალექსანდრე
დიდი, დალათუმცა შინამოდღვრად არისტოტელე ჰყავდა, უსაკუთრესად მაღლა
აყენებდა სინოპელსა სიბრძნისმეტყველსა და საქვეყნოდ აღიარებდა, ალექსან-
დრე რო არა ვყოფილიყავ, დიოგენეობასა მოვისურვებდიო.

რათამსა ფილიპემ, მუფემან მაკედონიისამ, კორინთისა გარშემოდგომა და
იავარქმნა იზრახა, კორინთელთ, თვისთა მსტოვართაგან შეიტყვეს თუ არა, მა-
კედონელნი დიდისა სპალაშქრითა მოდიან ჩვენზედაო, ამა ამბავმა, სრულიად
გასაგებია, შიშისა ზარი დასცა, და არცვისა ხანი არა დაუზმია, ყველანი თავ-
თავიანთ ადგილას გულდაგულ შეუდგნენ საქმესა, რა არი მტერსა მტრულად
დახვედროდნენ და დაეცვათ თანასაცხოვრისი თვისი.

ვიეთნი იდგნენ და ქავ-ციხესა შიგან ეზიდებოდნენ საციქველსა, ხორბალსა,
ღვინოსა, ხილხულსა, საზრდელ-სანოვაგესა და სამანდროსა, ანუ ელვარე
საჭურველსა.

ვიეთნი კიდევ ხვასტავსა ერეკებოდნენ,



თარჯ-კედელთ განამაგრებდნენ,
 დედაბურჯთ აგებდნენ,
 ზოგთ ქარკაპთა გამომაველნი კუთხენი ამოჰყავდათ,
 ზოგნი ხნარცვთა და ხანდაკთა თხრაში იყვნენ,
 სხუთ ციხისა ქვეშე კვალად ქვახვრელნი გაჰყავდათ,
 ზოგიერთნი სიმაგრეთ გარეშემო ხვირთ ავლებდნენ,
 ალაგ-ალაგ სასაჭურველ ზესადგართ, ანუ ბაქანთ მართავდნენ,
 ძველთა ფლისკინათავან მიწასა იღებდნენ,
 სანგარსაველთა წინარე მიწაყრილსა სიმაგრისა გულისთვის ზერგნიდნენ,
 ადგილ აცა ბოლცომსა და ადგილ თაფასა აყორებდნენ,
 თითოეულსა უწინდელსა პანებსა ისევ განაახლებდნენ,
 ყოველსა დრუსოსა შიგან დუდაბსა ასხამდნენ,
 შიგადაშიგ გოდოლთ აწოწლოკინებდნენ,
 გისონთა კიდუ-ნაპირთ აცერებდნენ,
 დურო-მაშიკულთ ჰქოლავდნენ,
 სალოდეთ ანისკარტისებურებდნენ,

სარკინოზულ ასაწევ-დასაწევ ლანძუ-კანკელთ და კატარაქტად სახელდებულ
 ვისოსთ ასწორებდნენ,

ზოგან მალლით მხედველ დარაჯთ, ანუ ებგურთ აყენებდნენ,
 ზოგან მზირ-მოდარილთ უჩენდნენ ადგილსა.

ყოველნი ყურგამახვილებულნი იყვნენ, კაცად-კაცადი თავის საქმესა იქმოდა.

რომელიმენი პოლოტიკთ აპრიალელებდნენ, ბექთართ, ანუ მორკინულ საცმელო
 აქწიანებდნენ, იღვნენ და ფერავდნენ ცხენთა ოთრ-აბჯართ, ცხენთავე საშუბლეთ,
 იალმაგ-ჯავშანთ, ვარძე-ჯაჭვ-კურტაკთ, ზუჩთ, საქედურთ, ფარეშდალუდებულ
 ხარად-ჩაჩქანთ, შუბთ, ჩაბალახთ, მუზარადთ, ჯაჭვ-ჭურთ, ქარაფქა-სამანქანთ,
 ჩელნავ-საფუხარ-ხელჯავთ, საბარკულთ, ქაჭ-ქაშქანთ, შიბთ, ჯაბალა-ზეიდალო,
 ფარ-ვეშაკთ, ხამლ-ჯადაგ-კალივთ, ჯაჭვ-პაიჭთ, საჩერნე-საწვივეთ, დეზ-
 საჯველემელ-წრტიალთ.

რომელიმენი კიდევ იღვნენ და ამხადებდნენ მშვილდ-ისართ, შურდულთ,
 ხელთოფთ, ბრეპენისა ბირთვთ, ფილაკვანთ, საგზებელ ქეიბურ-ბოძალთ, შავ-
 ცაცხლა-ფილთამეხთ, საგზებელ და სატყორცვებელ ჭურვთ, ლოდსატყორცნთ,
 დიდ საგორველ სამალთ და სხვა რამ იარად-საჭურველსა, სააღყო გოდოლ-
 კომპთა მოსაგერიებელსა და დამარღვეველ-დამაქცეველსა.

წკერავდნენ, ლესაყდნენ, მახვავდნენ სათხედ-ოროლთ, კინენთ, კავკაუჭთ,
 ლიბანდაკთ, ხელმეხა-ხელშუბთ, წალდ-ლახვართ, აკინაკთ, ასაგაი-მერულთ,
 ცულათოხთ, ლახტ-გურხთ, გპურ-ნაჯახთ, წათ-ზუფუნთ, ვარიხთ, საბარკალთ.

პირავდნენ, ალმასებდნენ, აფხავებდნენ ყელე-იატავანთ, ჩელთ-ჭოლაურთ,
 ჯიშიან და უჯიშო ხრძალთ, ორლესულთ, დაშნა-გველისპირულთ, ცერვასმულთ,
 კისტოიურ საგვერდულთ, ხვიაპირიან სატევართ, სამლარიან ხანჯალთ, მანდუ-
 ზიანა-კალდიმთ,⁴ აფთ-სათულთ, ხიპთ, ქასრთ, ანუ ქვისა დანაკთ, სამალისა
 სარჩა-ქიბორჯთ.

აღარცვინ სასთუმალი იცოდა, აღარცვინ სახუკვარი. ყოელისა უფრორე
 დარბაისელ, დროულ დედაკაცთაც კი ფაცია კალო შესდგომოდათ, ზოგი რასა
 ამწვეტებდა, ზოგი რასა: ვითარ ხმაგანსმენილია, უწინდელნი კორინთელნი
 დიაცნი ბრძოლისა ჟამსა დიდაც უზომო სიქველთა ირჩეოდნენ.

დიოგენესა ქალაქისა თავკაცთ არცრა საქმე არა მიანდეს, და ისიცა რამოდენიმე დღე ხმაუყოფლად იღგა და ოდენ თვალსა აღევნებდა თურთა თანამოქალაქეთა მზადება-ფაცაფუცსა. ბოლოს ბრძოლისა ჟინი იმასაც მოურია, შემორტყა სარტყელი, მოიგდო ფლასი რამა, მკლავნი დაიკაბიწა, მიანაბრა გულანაბადი, წერილნი და გაცვილულნი დაფა-ფიცარნი⁵ ერთსა დღის ძველსა მოყვარესა, აარჩია ქალაქისა გარეთა, საითაცა კრანიონია (აგრე ჰქვია კორინთისა ახლორე ბორცვსა), ერთი დუზი მიხლორი, მიაგორა იქა კასრი, რომელსაცა უამინდობის ჟამსა ისაფრებდა ხოლმე, და დია საქმემოწყურებულმან ხელებისა ცქაფად ქნევა დაიწყო: ხან მიხელავდა, მოხელავდა, დახელავდა იმა თავის კასრსა, ხან წაღმა ატრიალებდა, ხან უკუღმა, ხან ტალახში ჩაავლებდა, ხან მალლა აავლებდა,

ხან გაალიცლიცებდა, გააპიპინებდა, გააპილოთუშებდა,

ხან გადააპირქვაებდა, გადმოაპირქვაებდა, დააპირქვაებდა, სულ დაათხევედა,

ხან გაათრევდა, წაათრევდა, წამოათრევდა,

ხან შეანჯღრევდა, მიანჯღრევდა, მოანჯღრევდა,

გადააყირავებდა, გადმოაყირავებდა, წააყირავებდა, დააყირავებდა,

მიგმანავდა, მოგმანავდა, გამომგმანავდა,

მიჩურთავდა, მოჩურთავდა, გამოჩურთავდა,

მიფისავდა, მოფისავდა, გამოფისავდა,

მიხიზავდა, მოხიზავდა, გამოხიზავდა,

მიგოზავდა, მოგოზავდა, გამოგოზავდა,

მიხინძავდა, მოხინძავდა,

მიქრიშავდა, მოქრიშავდა,

მიმდურავდა, მომდურავდა, დამდურავდა,

მიკაზმავდა, მოკაზმავდა, შეკაზმავდა,

მისწიხლავდა, მოსწიხლავდა, ჩასწიხლავდა,

მიძხუფავდა, მოძხუფავდა, დაძხუფავდა,

მირეცხავდა, მორეცხავდა, გამორეცხავდა,

მიქისტავდა, მოქისტავდა,

წააკოტრიალებდა, წამოაკოტრიალებდა, გააკოტრიალებდა,

წააპროწიალებდა, წამოაპროწიალებდა, გააპროწიალებდა,

წაწონწილებდა, წამოაწონწილებდა,

მისალტავდა, მოსალტავდა, გასალტავდა,

მისწარბავდა, მოსწარბავდა,

მიხანჯლავდა, მოხანჯლავდა,

მიყაჯრავდა, მოყაჯრავდა,

მიაბჯრავდა, მოაბჯრავდა, შეაბჯრავდა,

მიღეზავდა, მოღეზავდა,

გაათოხარიკებდა, გამოათოხარიკებდა, დაათოხარიკებდა,

გაათამაშებდა, გამოათამაშებდა, შეათამაშებდა,

ავგორებდა კრანიონისა წვერზედ და დაავგორებდა, მერმე კვალად აავგორებდა, სწორედ როგორაც სიზიფე ავგორებდა თავის ლოდსა, და ბოლოსა და ბოლოს კნინლა ძირი არ გაავლებინა.

მაშინ ერთმა მოყვასმა სიტყვა ჰკადრა, რა არი, ეგეთი რა აძმულებს სულსა და ხორცსა შენსა, რომე აგრე რიგად აწვალე მავ კასრსაო. ხოლო სიბრძნის-

მეტყველმა მან მიუგო, დაღათუმცა რესპუბლიკამ არცრისა ვალდებული არი მყო, მარტოკაცობა მაინცა არა მწადს და ცუდად ჯდომას ცუდად შრომა მირჩევნიანო, რამეთუ მთელი ქვეყანა ფეხზეა, ყოველნი კაცნი იღვწიან და მეცა ამაღ ვცუდმაშვრალობ კასრმოვარგებულიო.

და იმისი არ იყოს, არცა ჩემი ცუდმადობა და ცუდაობა ჩემსნი თუმცალა კი ხელი ხმალსა არა მიკიდია, მაგრამ გულსა შიგან იმისთანა ცუდნი მიკედია, ერთი სული მაქვს, ვინემ ღირსებულსა რასმე მოყიდონისძიებდე, მეტადრე აწ და ამხელად, ოდეს ვჭვრეტ, რარიგ დაუშრომლად ირჯებიან და მუშაკობენ, მათთა გადაღმაცა და გადმოღმაცა, მოქალაქენი სახელოვანი საფრანგეთისა სამეფოისა, — ზოგთ სიმაგრეთა შენება და მამულ-დედულისა, ანუ საგაზრდილოს დაცვა აქეთ მიხდობილი, ზოგნი მტრისა მოსაგერიებლად და შესამუსრავად ემზადებიან, და ყოველივესა ისე ერთპარად იქმან, ისეგვარი სამაგალითო წესითა და რიგითა, ისეთი აშკარა სამერმისო თადარიგითა (რამეთუ საფრანგეთი რაჟამსაცა ჯერსაყოფად განიმტკიცებს თვისთა საზღვართ, ფრანგთათვისა მაშინვე მშვიდობიანობა ჩამოვარდება), რომა სულ უფრორე ჭკუაში მიჯდება აზრი ცხონებული პერაკლიტესი, რომელიცა ირწმუნებოდა, ომი ავისა კი არა, ყოელისა კარვისა მნდომიაო: და წინააღმდეგომ ძველი ლათინური საცოხარ-საზოზღნელის მცოხნულ-მზოზღნელთა მტკიცებისა, საგრობასა არცრას რო ამცნევენ კარგობასა, ვგონებ, ომსა არა ასაგდებად და საგიობლად უხმობენ ლათინურისა ენითა ტურფასა, არამედ ყოელისა უფრორე მართებული და პირდაპირი გაგებითა, ვინაიდან ომიანობისა ჟამსა რაც კი რაიმ სახიერი და კეთილშობილურია, წინ იწევს, ხოლო ყველაყა დუხჭირი და უბადო უგრეე თავის ნამდვილ სახესა აჩენს. ლაპარაკი არ უნდა, ბრძენმა და მშვიდობისმყოფელმა სოლომონ მეფემან, კაცთათვის სრულეზ რომ წარმოუდგენინებინა გამოუთქმელი სიდიადე ღვთაებრივი სიბრძნისა, დასტურ იმისთვის შეადარა იგი ბანაკად დამდგარი ლაშქრისა საომარ წყობასა.

რაღა ბევრი გაეგარძელო, არცვისა მიუხმხივარ და არცვისა ჩვენთა ზედმემვარდნულ ჯართათვისა მიკუთვლივარ, რადგანაც ხელუფრელად და უსუსტრესად მცნეს, არცა კიდე მამულის დაცვისა რაბე საქმე მოუნდვიათ, არადა, სულ არ დაუძებდი პატიესა, ისე ავაგროვებდი პატიესა, ჯანდაბას, თუ მოვიმტვრევი კინხსსა, მაინც მოვზიდავი ფიხხსა, მოსაგრეთ არა მოვაკლებდი ცივ-ცივ ფიხხურასა, ვინათგან სირცხვილად მიჩანს უქმ მეთვალედ დარჩენა და აგრე ცქერათვისთა გულოვან, პირმეტყველ და თავგამეტებულ ვაჟკაცთა, სრულიად ევროპისა თვალწინ და წინარე დიდებულსა ქმედობა-სახიობასა და ტრაგიკულსა კომედიასა რომ წარმოადგენენ, სირცხვილად მიჩანს, უკანასკნელი ძალ-ღონე თუ არ მოვიკრიბე და რაიცა კიდევ დამრჩენია, მსხვერპლად არ გავიდე. არამცა მაინცადამაინც დიდი ბიჭობა არა მგონია იმა კაცთა სათვალავისა გაბევრება, ვინცავინა ოდენ თავიანთ ჯამში ჩაიყურებიან, ჯანსა უფროზილდებიან და იზოგავენ, ქისასა ისქელებენ, ფლურსა ოუნჯებენ, თავსა ცალი თითითა იფხანენ, ვითა შეურვებულნი მცონარნი, ბუზთ ყოელისა უფრორე სუქებულ და ლოხ ხარებსაებრ იგერიებენ, ყურთ, როგორაც პიკარდიულნი კარაულნი ორძალის ხმისა გაგონებისას, ისეთნაირად სცქვეტენ, და უსიტყვოდ, სახისმეტყველებით გვავრძნობინებენ თავიანთი ქცევითა კმაყოფილებასა.

რაზანცა ეს აზრი და რწმენა ვამჩინდა, უიფიქრე, არცარა უსაზმნო საქმესა გამოუავებ და არცარა უსაგნოსა, უკეთუ მივძრავ-მოვძრავ ჩემსა დიოგენეურ კასრსა-მეთქი, რომელიცა ძლივს ერთიღა რამ გადამირჩა, ჩემი ბედითი ზღვა-

ოსნობისა ვამსა ხომალდი ღელვისაგან რო დამენთქა. რასა ჰკონებთ, ვითომ რა გამომძივა ამა კასრობანადან? კალთაახდილი ქალწულისა მზემა, ჯერეთ ვერა-ფერს ვეტყვით. პატარახან დამაცათ, ერთი ჩემებრ მომაყუდებისნერა საწდეველი, ჩემი უტყუარი და ერთადერთი ჰელიკონი, ჩემი ჰიპოკრენე, უებარი წყარო ზე გარდმო შთაგონებისა. ცოტა თუ არა მოვსვი, ისე ვერცა რაზმე განვსჯი, ვერცა განვაბჭობ, ვერცა გარდავწყვეტ და ვერცა დავასკვნ. ნაგლან-ნაყლურწი კი გულიანად ვხარხარებ, ვწერ, ვთხზავ, ჩემსა ჭიასა ვახარებ. ენიუსი თანა სვამდა, თანა ქმნიდა, თანა ქმნიდა, თანა სვამდა. ესქილე (უკეთუ პლუტარქეს Symposiaca-ს* კენლობით) თხზვა-თხზვაში ღლეუდა, ღლევა-ღლევაში თხზავდა. ჰომეროსსა არცროდის უწერია უზმოდ. კატონი მხოლოდ ხმეული ჯდებოდა წერად. იქნებ კიდევ მოვიბრუნდეთ ენა, დარბაისელი და პატივდებული ხალხისა მაგალითსა არა მიჰყვებით. მადლობა ღმერთსა, მამაუფალ საბაოთსა (ანუ ანგე ლოზისა ძალთა უფალსა) უკუნითი უკუნისამდე, არცა გემოვნება აკლია ყურძნისა წვენსა ჩემსა და არცა სივრილე, ღვინოა უმაღლესად ხარისხეული. თუკი ერთი-ორჯერ მიეპარებით, ან არადა, სულაც ეგრევე მოიყარყარებით, არცრასა სამრახისად არა მივიჩნევ. გარნა ღვთისთვისა მცირედი მადლისა თქმა ნუმც ღაგვიწყნიათ.

და რაკილა ესეგვარია სვე და ხვედრი ჩემი (რამეთუ კორინთსა მოსვლა და იქა დასახლება სუფოველსა არ უწერია), ახად ვრაცხ და ფლანთაც ვაუწევ სამსახურსა, ფსტანთაცა, ოღონდ არადმაქნისი და გაურჯელი ნუ ვიქნები. წავალ და მიწისა მთხრელთა, ქვისა მშტერეველთა და ქვისაუ მთლელთა თანა გამოვიღებ ხელსა, იმასვე ვიქმ, რასაცა ლაომედონტისა დროსა ნეპტუნი და აპოლონი ტროასა შინა იქმოდნენ, რასაცა სიბერეში რენო დე მონტობანი⁷ იქმოდა: ქვითხურით, ანუ კალატობით ავეუქავრებ, მოვემზარეულები, ჯერითა გულსა ვაჯერებინებ, და როს ერთი კარგა გამოიბუსკნებიან, გასისინდებიან, წამერთ გავსაკრავდები, დავუკრავ საროკებელსა და წელკავნაკრავთ სულ ასკიკუკუს თუ ფაცქიკუკუს ვაროკებ. ესრე, ბარბითისა კვრა-კვრამი, ჩაუყარა ამფიონმა საძირკველი და აღაშენა თებე, დიდი და ფრიალ სახელოვანი ქალაქი. ხოლო მოსაგრეთათვის ჩემსა კასრსა მოვხდი, ანუ ამოვაძრობ სარგილსა. და ნახვრეტიდან ამა კასრისა, რომელსაცა უკვე იცნობთ პირველი ორი წიგნისა მიხედვით (თუმცა, ცოტა არ იყოს, შიშნეულად ვარ, გამომცემელი ემანდ რამცაღა ხო არ გაქაბნეს, ანუ გარდაცქაფნ-გადაასხვაფერეს და არ არივ-დარიეს), გამოვიწურავ უცხოელ კაზმულ მესამე წიგნსა, წარმომდგარსა ჩვენთა სადილთუკანა დაურიდალ ღაღობათაგან, მესამესა კი პანტაგრუელურ სენტენციათა დია შესაქცევი მეოთხე წიგნიცა მოჰყვება, და ნება მიბოძებია, რო ოთხივ წიგნთ დიოგენურნი უწოდოთ. მოსაგრეთა თუ მეომართ მე თანამესაჭურველედ ვერ გამოვადგები, მაშ, აბა არქიტრიკლინობა, ანუ მთავარი მეტაბლეობა ჩემზეა, რაოდენგზის საგრობაგამოვლილნი დაბრუნდებიან, ჩამოვუსხამ ტომბახსა, და ზედაც დაუშრომელ მომღერლად დავუდგები, იმათ მექმეობასა კაცურსა და ღვაწლსა საგმიროსა ვუმღერებ. ქრისტეს ენებათა მადლმან, თაუსა არამცა და არამც არ შევირცხვენ, უწინამც მარტში ნუ დამარხვებულა, მარტმა კი თუ არ იმარტა, თავისი არა ქნა და კული არ მოიქნია, არ იქნება.

რა ამ სიტყვისა პასუხია და, წამომავონდა, წაკითხული მაქვს, ძლევაშემოსილმა პტოლემემ, ღაგეს ყმაშვილმან, ოდესმე სხვა ნადავლ-ნაალაფევთან ერთად

* „ხადილობასა“ (ბერძ.).

ქონშეკრულ ეგვიპტელთ ერთი შავი ორკუჩიანი აქლემი და ერთიცა ჭრელი მონა უჩვენა, რომელი მონაცა ნახევარი შავი იყო და ნახევარი თეთრი, თანაცა გამყოფელი ხაზი ფლანგშუასადგიდზედ კი არ გახდევდა, ვითარ ვენერასთვის შეწირულ ინდოელ ქალსა, მდინარე ჰედასპესსა და კავკასიონისა სამშუალ რომ მოახილა ტიანელმა ფილოსოფოსმა.⁹ არამედ ჩამოსწვრივ; ~~ქვემოთ~~ ქვემოთაგან მსგავსი იშვიათი საოცრება ადრე არცვის არაფერი ენახა, და პტოლემეს ხსენი სწორედ იმად უჩვენა, განცვიფრდებიან და უფროისად შეუყვარდებიო. მერედა, რას გახდა? აქლემისა გამოჩენამ ყოველნი კაცნი შეაძრწუნა და აღაშფოთა, ჭრელი კაცისა დანახვამ კი ზოგნი ოხუნჯობისა ხასიათზედ დააყენა, ზოგთა კიდევ ზიზღი მოჰგვარა: ეგ შეძაგებისა ღირსი ჯოჯობეთის მამხალა ბუნებისა იბუდივი ნათინარიო. მოკლედ თუ ვიტყვით, პტოლემე იმედულობდა, ეგვიპტელთა გულსა მოვიგებ და ჩემდა მომართ ბუნებურსა ერთგულებასა განვუძლიერებო, მაგრამ გაწბილდა. ეხლალა ჩაჩვდა, რომ კმაყოფილებასა და სიამოვნებასა იმათ უცხოოდ ლამაზი, ნატიფი და სრულქმნილი რამ მეტად მიანიჭებდა, ვინემ ესდენ გასაცინარი და ამაზრზენი. მას უკანით მან დია აითვალწუნა კაციცა და აქლემიცა, და რადგან არცა უვლიდა, არცა პატრონობდა, მალიად ერთმაც ტყავი გაჭიმა და მეორემაცა.

პტოლემეს მაგალითი შიშისა და იმედისა შუა მაჭოჭმანებს, შიშითა კი იმისი მეშინის, ვაითუ საგულგებელი სიამოვნება ზიზღისა გრძნობად მექცეს, საჭურჭლე დამინახშირდეს, კიკოს ნაცვლად ხელსა ორიანი ამოვაყოლო, ჩემთა წამკითხველთ გული კი არ მოვუგო, ბრაზი მოვრიო, სისარული კი არ მოვგვარო, ეაწყენინო, თავი კი არ მოვაწონო, პირიქით, დავაწუნებინო, და მეცა იგივე დაბეძართოს, ეეკლიონის მამალსა რა დაემართა, რომელიცა გამოყვანილია პლავტუსისა მიერ ქოთანში, აესონიუსის მიერ გრიფონში⁹ და ავრეთვე სხვა ოხზულებათა შინა: მან მამალმან აკი იმდენი ჩხრიკა, სანამ თავისი საუბედურო განში არ გამოჩხრიკა. და უკეთუ ეხლაც ამდაგვარი ამბავი მოხდა, მერე წადი და უყარე კაკალი! ხოლო ოდესღაც ადრე თუ მოძხდარა, ხო შეიძლება ერთხელ კიდევ მოხდეს. მაგრამ არა, ჰერკულესსა ვფიცავ, არ მოხდება! მჯერა, ყოველსა ჩემსა წამკითხველსა გვაროვნობით მოსდგამს ერთნაირი რამ თვისება და ფრიად ნიშანდობლივი თავისებურება, ჩვენთა წინაპართაგან პანტაგრუელიზმად სახელდებული. სწორედაც ამა თავისებურებისა გამოისობითა ისინი არცროდის ცუდად არ გაიგებენ წმინდა, უეშმაკო და მართალი სულისა ნაღვაწსა. უამრავი შემთხვეულობა ვიცი, ოდეს იმათ მათქვამისა, ანუ ავტორისა ქესატობა დაუნახავთ, საფასურად კეთილი განზრახვა მიუღიათ და გულსავსედაც დარჩენილან.

აქდა ჩემსა კასრსა ვუბრუნდები. აბა, ჰე, ძმანო, ჩავდლიოთ! სულ დააპიპინეთ სასმისნი! თუკი არ მოგწონთ, ნუ დალევთ. მე იმ აბეჩარ ლოთმებრუვეთა ამხანავი არა ვარ, თავიანთ თანამეინახეთა და ღვინისმტეთ ძალისძალად რო ასმევენ, ჯამფილასა ფრჩხილზედ აწურინებენ ან არადა, კისერში ასხამენ. დიდაც, უხამსობასა მეტი არცრა ეთქმის ამისთანა შეღვინებასა და ვინცა კი წყურუული კასრსა ჩემსა მოსდგომია, პატიოსანი ლოთიფოთია თუ პატიოსანი აქტარცემული, ვისაცა არა სწადს, პირსაც ნუ დაადებს, ხოლო ვისაცა სწადს და ვის აღმატებულსა აღმატებულებასა ღვინოცა ეგუმა, ლოთიანად მიირთვას, გინა დაუწაფოს, გინა მიეძაბროს, ნურცავინ ნურას გადაიხდის და ნურცა ღვინოსა დახოგავს. ესევეითარი რიგისა და წესის კაცი ვარ. ნუ გეშინით, არცა იფიქროთ, რო ღვინო შემოგაკლდებათ, როგორაც ვალილესი კანაში შემოაკლდათ ქორწილსა დღესა.¹⁰ თქვენ მიდით, რაოდენიცა შეიძლოთ, ისხით და ისხით, მე კი ვი-

სხამთ და გისხამთ, მარადის ამოურწყავ, დაუშრეტელ უკვლავებისა წყაროდ ვაქცევ კასრსა ჩემსა, წირვასა ვერცროდის გამოუყვანთ. ესეგვარი სასმელი ესხა ფიდანში ტანტალოსსა, რომლისა სახე-ხატიცა სალოცაევად ჰქონდათ ბრძენთა ბრაჰმანთ; ესეგვარი იყო იბერიაში ბიცი, ანუ აღდაჭი მთა, კატონისგან ქებითა ამაღლებული;¹¹ ესეგვარი იყო შტო, ანუ ხბოშერი ოქროისა, მიწისქვეშელ ქალღმერთისა შეძენილი და ვერგილიუსისგან ხოტბამდგომელი;¹² კასრი კი არა, ნამდვილი კოვია უხვებისა, ლხინისა და სიცელქის¹³ უხვებისა; მერე რა, თუ თვალი ჟამით ჟამად შიგ ოდენ ღურდოსა მოგაჩვენებთ, ძირი მაინცა არაოდეს დაუშრება. კასრისა ჩემისა ძირზედ, ვითარცა პინდარეს ჭურში, სასოება სულ დგმულობს, და არა უსასოება, როგორაც დანაიდებისა კასრსა შიგან.

ყველაფე გულისა ფიცარზედ დაიწერეთ, თუ რამ წარვთქვი, დაიხსომეთ, სახელდობრივ ვისაცა გიწვევთ, რო მერე გაუგებრობა არა მოხდეს რა! ლუცილიუსისა არ იყოს, რომელმან პირდაპირ განაცხადა, მხოლოდ და მხოლოდ ტარენტელთათვის და კონსენტელთათვისა ვწერო, მეცა კასრსა მარტო თქვენთვისა ვაძრობ ტიზ-სარგილსა, უპირველესნო შემთვრალენო და გვარჩამომავლობითა ავქარცემულნო. ხოლო მერჯულე-ანგართ და ყოველთა თვალთმაქცთ თუ ორყაბაზთ, მისართმეველსა არცა წინა კარიდან რო არ იკლებენ და არცა უკანიდან, უკეთუ არა დაუშლიათ, შორიახლო მიტორღიალონ, სულ ერთია, მაინცა ვერას გამოშრებიან.

ხურცა კიდევ, იმა ოთხთა ღუმა-ღუნდულთა გულისთვისა, რომელთა წყალობითაცა ქვეყნად გაჩენილხართ, და იმათი დამამაგრებელი ცხოველმოსილი ჭანჭიკისა გამო, ასოკირკიტა და გულნამცეცა მეცნიერთ ნუ მიხსენებთ. და არცა პირმოთხე კაცთა სახელი გამაგონოთ, რა ვუყო, თუ უკლებლივ ყოველნი ღვინოში იხრჩობენ თავსა, დედიან-ბუდიანად ცუდისა ჭირისაგან არიან დახრულნი, და რა ვუყო, თუ ყოველსა მიწვიე წყურვილი ჰკლავს დაუცხრომელი, და ვერცვისა ამოუვისია ფაშეი გაუძლომელი. რა შიბრძანეთ? რატო არ გინდა იმათი სახელისა გაგონებათ? რატო არ მინდა და, ავი, გულხენეში ხალხია, ბოროტეულნი, და სწორედ იმასა სცოდავენ, რისგან ხსნასაცა დაუშრომლად ვეაჯებით ღმერთსა მეცა და თქვენცა, თუმცადა კი ხანდახან თავსა იკატუნებენ, უპოვარნი და აღქატნი ვართო. სულ ტყუილია, ბებერ მაიმუნსა პრანჭუე-გრეხა ვერ გახდის კაცთა სათნოსა.

ჰა, გამასწარით, თორემ დედა გეტირებათ, თქვე მართლა ძაღლნო და სულ-ამაღლებულნო! თვალში ნუ მეჩხირებით, ყაბალახწამორქმულნო ეშმაკისა ნატრიკვალნო! ვითომ რა გინდათ, რას მოხროვდით, თქვე კუდუსუნასუნებულნო? სუყოველი უკეთურება ჩემსა ღვინოსა უნდა დააბრალოთ და თანაცა კიდევ კასრშიცა ჩამიფსათ, არა? მერედა, არ იცით, განა, დიოგენემ ანდერძად რა დაავდო? რა და, როცა მოეკვდე, არგანი ჩემი ივერდივ დამიდეთ, საიქიოდან მოსულ ცერბერთა მგვან ქოფაკთ იმოდენსა ვურტყამ, ვერ დათვალონო. ეხლავ დაიკარგენით აქედან, არ დამენახით, თქვე წუნკალნო, თქვენა, მხოლოდ ერთი ადგილისა ლოკვაზედ რო გიჭირაეთ თვალი! მე თქვენ გიჩვენებთ, ძაღლობა როგორ უნდა! გაგაძაღლებთ და გაგავერნებთ! ისევ აქა ყრიხართ? ქდ! დაიღუპენით! საპაპეთსა, ჯანდაბას, ნუმცა შევსულვარ, ოღონდ თქვენი თავი ხელთ ჩამავდებინა. ჰაიტ, ჰაიტ! ჰა, მოშორდებით თუ არა?! სხვა არცრა მინდა, ნეტამცა დასჭამდეთ ერთმანეთსა! ქსს, ქსსს, ქსსსსს! ნეტამცა ტაჯგანალისა დაუკვრელად არცროსა მოგესკორვებოდეთ, ნეტამცა ოდენ ჯაჯასა ზედან ხაჯალურითა დაკრულთ მოგეფსმებოდეთ, ნეტამცა ოდენ არგანდაკრულნი ატყდებოდეთ და ამძუენდებოდეთ!

თავი I

ვითარ გადაასალშენა პანტაგრუელმა
დიფსოდისა შინა უტოპიელნი



პანტაგრუელმა რა რომ საბოლოოდ დაიბყრო დიფსოდისა, აღგა და დიაც-
ყმაწვილთა ჩაუთვლელად, 9 876 543 210 კაცისა ოდენობით გადაასანლა იქა
უტოპიელნი: ყველაგვარნი ხელოსან-ოსტატნი და ყოველთა შეუვალ სწავლა-
მეცნიერებათა მოძღვარნი, რაშეთუ ღია ესწრაფოდა ამა ხალხმცირე და მომეტე-
ბულად უდაბური მხარისა აღორძინებასა, გაკაცრიელებასა და აყვავებასა. და
არა მარტო იმად გადაიყვანა იქაით ისინი, რაკილა უტოპიაში ტევა არ იყო მამ-
რისაცა და მღუდრისაცა, რომელნიცა ბოცოშკალსაებრ მრავლდებოდნენ: თავა-
დაც კარგად უწყით, და ჩუმი თქმა არღა გეჭირვებათ იმისა შესატყობრად, რო
უტოპიელ მამრ-მამაცთ გაუგონრად გამანაყოფიერებელნი ესხათ საწულონი,
ღიაცთ კი მუდმიხად გაგანიერებულ საშვილოსნოთა სიმსუნაგე და უძლომლობა
სჭირდათ, თანაცა კიდევ საკვერცხენი ნამეტანი სანთად, ანუ მარჯვედ ჰქონდათ
მოწყობილი, და იქაველთა ესეგვარი დედალ-მამლობისა გამო ყოველ ცხრა თვეში
ერთხელ სუყოველსა უტოპიურ ოჯახსა ერთბაშად სულ შვიდ-შვიდი გოგო-ბიჭა
უნდებოდა, ისევე როგორაც იუდეველთ ეკვიპტეში (თუ რომ დე ღირა არა
ჩმახავს). არცა კიდევ იმოდენად ნიადაგისა პოხილობისა, ჰავისა სისაღისა და
დიფსოდისა სხვა რამ მეტობისა გულისთვის გადაახალშენა პანტაგრუელმა
უტოპიელნი, რამოდენადაც იმად, რომ დიფსოდთათვის მოვალეობისა გრძნობა
შეესისხლხორცებიანებინა და მორჩილება ჩუულებად გაეხადა, რისა მაგალითიც
მისთა ახალჩამოსულ ძველთუძველეს და აუერთგულეს ქვეშევრდომთ უნდა ერვე-
ნებინათ, რომელნი ქვეშევრდომნიც მთელი თავიანთი სიცოცხლე იმის გარდა
ხელმწიფესა არცვისა სცნობდნენ, არცა ანგარიშსა უწყევდნენ, არცა აღიარებდნენ
და არცა პატივსა მიაგებდნენ; გაჩნდებოდნენ თუ არა და მოეკლინებოდნენ ამა
ქვეყანასა, დედისა ხსენთან ერთად იწივდნენ იმისი მართვა-გამგებლობის წესისა
უწყინარობასა და ღმობიერებასა, ესერიგად იყვნენ აღზრდილნი და სხვას რასმე
ფიქრადაც არ ივლებდნენ; საქმისა ამდაგვარი ვითარება კი გულსა უკეთებდა და
აიმედებდა პანტაგრუელსა, რო სადაც უნდა გაეხიზნა და გაესახლებინა, ისინი
მიწიერსა ცხოვრებასა უფრორე მალე დასთმობდნენ, ვინემ თავიანთი უტყუარი
ბატონის სრულსა და განუყოფელ მორჩილებაზედ იტყოდნენ უარსა, და არა
ოდენ თავად იქნებოდნენ ამისთანანი და იმათგან შობილნი წულნი, დიდთან-
პატართანად, არამედ იმის სახელმწიფოსა ახლად შეერთებულ ხალხთაც შეათვი-
სებინებდნენ ამ ერთგულებასა და მორჩილებასა.

და აკი აგრეც მოხდა, პანტაგრუელი ვარაუდში არ მოტყუებულა. უკეთუ
უტოპიელნი ჯერეთ კიდევ გადმოსახლებაძდისინ ეერთგულებოდნენ და ემადლი-
ერებოდნენ, სამაგიეროდ იმათთან ურთიერთობას ზიარებულნი დიფსოდნი სულ
რამოდენიმე დღეში იმათზედ მეტად გაუერთგულდნენ, ვინათგან ყოველთა კაცთ
ბუნებით მოსდგამთ ბეჯითად ქმნა გულისად სასიამოვნო საქმისა. ისინი მარტო
იმასა ჩიოდნენ, უწყინარეს ჟამსავე რო არცრა ამბავი არა სმენოდათ ქველისა
პანტაგრუელისა, და ზეცასა და ზეციურ ძალთ ერთადერთსა ამა საყვედურსა
აღუელებდნენ.

მამ, ჩახვდით, მარადის შეღვინებულნი, ჩახვდით და იუწყეთ: ვინცა ვინ

ახალპერობილი ქვეყნის მორჩილებაში ყოლასა და შენარჩუნებასა ებირება, ამისთვის სულაც არა ეგების (ვითარ მცდარად ჰგონებდნენ გულმტარვალნი კაცნი თავიანთი თავისა სავნებლად და სამარცხვინოდ) ხალხისა არცა რბევა, არცა აკლება, აწიოკება, კირთება, შეჭირვება და არცა რკინისა კეტითა მართვა; მოკლედ თუ წარუთქვამთ, ხალხისა არამც არა ხამს ჭამე და ხვეწა-ღმა ერთი მეფესავითა, რომელსაცა პომეროსი სახელად უმართლოდ ეძახებოდა ანუ ხალხიჭამიას უხმობს. აქა ძველთა ამბავთა მაგალითსა რასმე არა მოვიძველებ, მხოლოდ იმას შეგახსოვნებთ, რისა მოწმობაცა მამათა თქვენთა ხვდათ, ანდა ეგება თავადაც გხსომებოდათ, თუ რომ უასაკობასა თქვენთვის ხელი არ შეეშალა. როგორაც ახალშობილ ყრმასა, ხალხსა ისე ჰფერობს წოვება ძუძუსი, თავსა ვლება, შექცევა, როგორაც შიშელსა, ანუ ახალმოზარდ ხესა, ხალხსა ისე ჰფერობს შებიჯება, გამაგრება და დაფარვა ყველაგვარ ქარიშხალთაგან, ჭირთაგან და განსაცდელთაგან. როგორაც ნაავადარ, ჭირკოდილა კაცსა, ხანგრძლივად მძიმე სენმორეულსა და ნელ-ნელა გამოსატკივრებულ-გამომჯობინებულსა, ხალხსა ისე ჰფერობს ლოლიათობა, მოვლა და შეწევა, რათა დედამიწისა ზურგზედ თვინიერ თავისი ხელმწიფისა სხვა აღარცვინ ეგულებოდეს მეფე და მბრძანებელი, რომლისა მტრობაცა უფროისად მოჰკვირდა შიშსა და რომლისა მეგობრობასაც უფრორე მეტად მოისურვილებდა. რაღა სიტყვა გავაგრძელო და თზირისმა, დიდმა მეფემ ეგვიპტისამ, სრულად მთელი ქვეყანა არა იმოდენად იარაღისა ძალით დაიმორჩილა, რამოდენადაც იმითა, რომ ხალხსა ბეგარის ტვირთსა უფონებდა, ალაღმართალსა და საღსა ცხოვრებას შეაგონებდა, კანონთა გონივრულთ გამოსცემდა, ყოველსა კაცთ წყალობითა და სიკეთით ადავსებდა. და ხალხმაც ამაღ დიდი ეფერგეტ (ანუ ბედმოიეფე) მეფე უწოდა თვით იუპიტერისა ბრძანებისამებრ, რომელი ბრძანებაცა მაჴან და მაჴან პამილეს ეუწეა.

და კიდევ: ჰესიოდე თავის იერარქიასა, ანუ ნათესავი მეტყველებასა შინა იმად მიუჩენს ადგილსა კეთილ დემონთ (უკეთუ გსურთ, ანგელოზნი უწოდეთ ანდა მფარველნი სულნი), რაკი ისინი ღმერთთა და კაცთა შორის მოციქულობენ და კავშირსა აბამენ: კაცთ მეტობენ, ღმერთთ კი ჩამოუვარდებიან. და რადგანაც ყოველსა ღვთის მადლსა და განძსა იმათ ხელით ვიღებთ, რადგანაც ისინი მიწყვიზ ჩვენი კეთილმოსურნენი არიან და ყოველსა ჟამსა ყველაგვარი ბოროტისგან გვიპატიებენ, ჰესიოდე იმათ მეფეთ უტოლებს, რამეთუ ყოველთა კაცთათვის სიკეთისა ქმნა და არცვისთვის ბოროტისა წაკიდება დასტურ მეფური ხვედრია. ასე იქცეოდა მეუფე ამა ქვეყნისა ალექსანდრე მაკედონელი. ასეთი იყო ჰერკულესი: სრულიად ხმელისა მპყრობელი თვისთა ქვეშევრდომთ ურჩხულთაგან იცავდა, ათასგვარი რამ შეჭირვებისგან, ხარკისგან და ავკაცობისგან იფარავდა, კაცთ კაცთმოყვარეობით პატრონობდა, გუშაგად ეღვა მართლმსაჯულებასა და სამართალსა, მართლწესრიგს არცარვის არ არღვევინებდა, კანონთ ამა თუ იმ ადგილმდებარეობისდა შესაბამად გამოსცემდა, ნაკლულობას უცილოდ შეავსებდა, ხედმეტობას არ დაუშვებდა, გარდასულს მიუტევებდა, ძველს წყენას რასმე არცროდის გულში არ ჩაიჩენდა. აი, სწორედ ეგევე სული ჰქონდა გამჯდარი ათენურსა ამნისტიასა, მასუკანით ნაწყალობევსა, იღეს თრასიბულეს გულოვნობისა და ხერხიანობისა წყალობით ყოველნი მძლავრნი დაამხეს. ამა ამნისტიისა ამბავი რომაელთ ციცერონისგან ეუწყათ, მერმე კი რომში იმპერატორ ავრელიანეს ჟამსა გამოიცა.

ესევეარი რამ არის ჯადობა, თილისმობა და გრძნება, რომელთა შემწეობითაც კაცსა მშვიდობიანად ძალუძს შენარჩუნება იმისა, რაიცა ფრიადი შრომათა მოუღვაწებია. დამპყრობელი, ხელმწიფე იქნება, მთავარი თუ სიბრძნისმეტყველი, ოდენ მაშინ იმეფებს სვიანად, უკეთუ სამართლიანობასა სამხედრო სიქველესა ზედა დააყენებს, სამხედრო სიქველე თავისი მან უკვე გამოიჩინა, ოდეს ძლევასა იმოსაუდა და ალაფობდა, სამართლიანობას კი იმით გამოაქვეყნეს, რომ ხალხის ნებისა და ზნისდა კვალად გამოსცემს კანონთ, გამოაცხადებს ბრძანებისა წიგნთ, დაადგენს სარწმუნოებასა, ყოველთა კაცთ გააუფლებიანებს, ვითარცა ოქტავიანე ავგუსტუსი, რომლისა შესახებაც სახელგანსმენილმა მგოსანმა მარონმა აგრე ბრძანა:


ფარხმალდაყრილსა მრე არცავის ეტყოდა ახსა
და თავის წეს-რჯულს აყვარებდა დაპყრობილ ხალხსა.¹

აი, რად უხმობს კომეროსი სახელად თავის ილიადასა შინა კეთილ ხელმწიფო კოსმეტორე ლაონ, ანუ ხალხთა გამპატიოსნებელთ. ყვევე აზრი ჰქონდა ნუმა პომპილიუსსა, რომაელთა მეორე მეფესა, სამართლიანსა, ფრთხილსა და ბრძენსა, ოდეს დმერთსა ტერმინსა² დღესასწაული დაუწესა, ტერმინალიებად სახელდებული, და ამა დღესა საკლავისა შეუწირველთა ბრძანა, ამით კი ყოველთა კაცთ ის მიგვანიშნა, რომ ტერმინთაც, საზღვართაც და ანექსთაც, ანუ შემომტკიცებელ მიწა-წყალი, მშვიდობიანობისა, მოვგრობისა და უწყინარობის გზაზედ შემდგარნი უნდა ვიცავდეთ და ვიფარავდეთ, ხელთ არამც და არამც სისხლში არ უნდა ვისვრიდეთ და ძარცვა-რბევით არ უნდა ვიმწიკვლიანებდეთ. ხოლო ვინცავინ სხვარიგ იქცევა, კაცი იგი არა ოდენ მოხვეჭილსა, ანუ ბოროტად შეკრებილსა საუნჯესა დაკარგავს, არამედ თავსაც მოიყივნებს და გამოისაჯურისებს, რამეთუ ყოველნი დაგმობენ და იტყვიან, ავლა-დიდება ესე არმად ჰქონდა მიმძღავრებულიო, და თქმით კი იმად იტყვიან, რაკილა მალე ყოველივე ოხრად წაუკა. არამი ლუკმა ყელში არ გადადის. და უკეთუ მავანი და მავანი მოახერხებს და ნაალაფევსა სიკვდილამდის შეირჩენს, სულ ერთია, შემკვიდრენი გაატანენ ქარსა, ბრალი კი მაინც მკვდრის კისერზედ იქნება, და სუყოველნი წყველა-კრულვით მოიგონებენ, ვითარცა ურცხვსა დამპყრობელსა. თავადაც ვაგვგონებათ ანდაზა: „არმად ნამოვნნი არმად წახდაო, მესამე შემკვიდრეს აღარა ხვდაო“.

ბარემ აქავ იუწყეთ, მოუარშიებელნი ავქარცემულნი, რომ ესევეარი ხერხითა პანტაგრუელმა ერთი ანგელოზიდან ორი შექმნა — განსხვავებით კარლოს დიდისგან, რომელმან ერთი ავსული ამრჩობლა, საქსონიელნი ფლანდრიასა შინა რომ გადაასახლა, ფლანდრიელნი კი საქსონიაში. ვინაიდან თავისი საბრძანებლისთვის შემომატებულ საქსონიელთ ვერდა იმორჩილებდა, რამეთუ ისინი მიწყვი უჯანყდებოდნენ, როგორც კი იმას ესპანეთსა ანდა რომელსამე სხვა შორეულსა ქვეყანაში გაიგულდებდნენ ხილმე, ისიც ადგა და სუყოველნი ძველთაგან გაერთგულებულ მხარესა შინა, სახელდობრ, ფლანდრიაში გადაასახლა, ხოლო დარწმუნებულმა, ჰენეგაუელნი და ფლამანდელნი უცხო ქვეყანაშიაც მიერთგულდებნო, ისინი ეგრეც საქსონიაში გადაასახლა. მაგრამ, დიალაც რომ წინაუკმო მოხდა: საქსონიელნი უწინდებურად უჯანყდებოდნენ და კრიჭაში უდგნენ, ფლამანდელთ კი, საქსონიასა შინა დასახლკარებულთ, საქსონიელთა წყალი გადაესხათ და იმათი მოცილეობისა ეინი გადაედოთ.

თავი II

პითარ ღამკატრონა პანურგი სამადოს ციხე-დარბაზსა
 დიფსოდიაში და პითარ მიირთმევდა თავის პურსა
 პირზედვე, ანუ მოუშაველსკ



სრულიად დიფსოდისა მთავრობისდა მიმართ საგანგებო რამ ბრძანებულე-
 ბით ჩააბარა პანტაგრუელმა პანურგსა სამადოს ციხე-დარბაზი, ყოველწლიურ
 შემოსავლად ნაღდ 6 789 106 789 რეალს რომ იძლეოდა, ცოფისა ჭიათავან და
 ლოკოკინათავან სარგებლის განუსაზღვრელი თანხისა ჩაუთვლელად, რომელი
 სარგებელიცა ჭირნახულიანი თუ უჭირნახული წელიწადისდა კვალად 2 435 768
 და 2 435 769 „გრძელმატყლოვან სადგამს“ შუა შერყეობდა. უკეთუ ლოკოკინისა
 და ცოფისა ჭიის მოსავალი კარგი იყო, სარგებელი ოდესმე 1 234 554 321 სე-
 რაფამდე ავარდებოდა ხოლმე. მაგრამ ასეთი რამ ყოველწლივ სულაც არა ხდე-
 ბოდა. და ისე ფარსავად, ისე გზიანად სახლოსნობდა და მეურნეობდა ციხე-
 დარბაზისა ახალი მფლობელი, რომ ორი კვირიაკეც არ დასჭირვებია და სამი
 წლით წინ-წინ მოლად შემოეხარჯა თავისი ადგილ-მამულისა შემოსავალი, მულ-
 მისიცა და ცვალებულიცა. უფრორე მართალი თუ გინდათ, ნუ ჰგონებთ, რომ
 მთელი შემოსული ფლური ფუნდუკთა და სასწავლებელთა ანდა სამზრუნველთა
 და საყდართა აგებაზედ შემოეხარჯა; არცა კიდევ ის იფიქროთ, რომ ვაგლაზად,
 ანუ ცუდუბრალოდ წყალში ჰყრიდა თეთრსა. წყალში ჰყრიდა კი არადა, წარ-
 თვით ღლევასა და ღზინსა ანდომებდა, სახლისა კარი ყოველთა კაცთათვის მიწ-
 ყივ ღია ჰქონდა, მეტადრე კეთილ პურისმტეთ, ლამაზმანთ და კკლუცთ არ იშო-
 რებდა; და დასტურ ამისა გამო იყო, რომ იჩეხებ-იკაფებოდა ტყენი, დიდროვან
 ხეთ ოდენ იმად გვიდა ცეცხლი და იწვოდა, გასასყიდლად ნაცარი არ გამოლეუ-
 ლიყო, გამოსართმევი თეთრი წინდაწინვე გამოირთმეოდა, ყველაფა მამასისხლად
 მოივაჭრებოდა, გასყიდვით კი ცალფულად ისყიდებოდა, ერთი სიტყვით, პური
 ძირზედვე, ანუ მოუშკელივე იჭებოდა.

პანტაგრუელმა ეს ყოველივე უწყოდა, მაგრამ სულაც არა ჯავრობდა, არცა
 გული უღრინავდა და არცა კიდევ სწყინდა. ერთხელ უკვე ვითხარით და კვალად
 ვიტყვი: იმასთან ვერცვინ ვერ მოვიდოდა, გინა კაცი ვინმე უხუცესი და გინა
 უმრწემესი, ვისაც კი როსმე მახვილი რტყმია! ყველაფერსა შიგან მხოლოდ და
 მხოლოდ კარგსა ჰვრეტდა, ყველაგარ საქციელსა კარგისა მხრივ ხსნიდა. არცა-
 რა გულსა უკლავდა, არცარა აღაშფოთებდა. ნამდვილად რომ ღვთაებრივი გო-
 ნებისა ჭური იყო და აკი ამიტომ არცროდის გუნება არ უფუჭდებოდა და არცა
 მღელვარებდა. არადა, რაგინდრაგვარი საგანძური, რომელსა ზედან ცისა გუმ-
 ბათია და რომელიცა დაფარულია დედამიწასა შიგან, რა განზომილებითაც უნდა
 ავიღ-დავიღოთ: სიმაღლისად, სიღრმისად, სიგრძისად თუ სიგანისად, მართლაც-
 და იმად არა ღირს, რომ იმის გულისთვის გულსა ვიხეთქავდეთ და გრძნობა-
 გონებასა ვიმღვრევდეთ.

პანტაგრუელმა ოდენ ის იკმარა, რომ პანურგი გვერდზედ გაიხმო და ღმო-
 ბიერად მიუთხრო, უკეთუ ცხოვრებასა ძველებურად ეპირები და უფრორე არ

მოჭირნახულებო, სრულად შეუძლებელი თუ არა, ძალზედ ძნელი იქნება ჩემ-
გან ოდესმე შენი გამდიდრებაო.

— ჩემი გამდიდრება? — დაუკითხა პანურგი. — ნუთუ დანამდვილებით უბ-
ნობ? თავად კისრულობ ამასოფლად ჩემსა გამდიდრებასა? მართალ ღმერთსა და
წმინდა კაცთა ვფიცავ, დია უბჯობესი იმაზედ ფიქრია, უფროსად მსმინდოდ
როგორ ვიცხოვროთ! სხვა რამ არცრა ზრახვა და საზრუნავი არცნაღმკაცრას
მაგ შენის ციური გონების წმინდა საკურთხეველსა. ნათლიერება მაგისი ვერ
უნდა დაგიბინდოს მცირე რამ ურიგობისა და კნინი ვაგლახისა ცუდმადმა ღრუ-
ბელმა. უკეთუ ხალისიანი, მხიარული და გულსავსე მეყოლები, სხვა რამ სიმ-
დიდრე არცრა მანდომებია. აწ სუყოველნი ერთსა გაიძახიან: „მოჭირნახულებო!
მოჭირნახულებო!“ ყველაზედ მეტს კი ისინი გაჰყვირიან, ვისაცა მოჭირნა-
ხულებობისა არა გაეგება რა. მე მაინც დამკითხებოდნენ! ჩემსა მოჭირნახულო-
ბასა რაიცა შეეხება, ქვემოთ უნდა მოგახსენო: მე ბრალად სწორედ იმასა მდუ-
ბენ, რასაცა პარიზის უნივერსიტეტისა და პარლამენტისა მსგავსად ვიქმოდი,
ეს ორივე კი, ჩემი თქმა რად გინდა, როგორაც პანთეოლოგიური აზრისა, ისე
ყველაგვარი სამართლიანობისა იდეის დიალაც უტყუარი და მასულდგმულებელი
წყაროა.¹ ხოლო ვინცა ვინ ამაში დაეჭვებულა და მაინცადამაინც არ ეჯერება,
უცილოდ ერეტიკოსია, მწუალებელი. საქმე ის არის, რომა იქა ერთი წლით
წინ-წინ, ხანაც კიდევ სრულად ორი წლით ადრე, ერთ დღეში ათავებენ მთელსა
ეპისკოპოსსა,² ანუ საეპისკოპოსოს (დალათუმცა, რაც ერთია, ის მეორეა) მოსა-
ვალსა-მეთქი, უნდა მესიტყვა, და ესა ზედ იმ დღესა ხდება, ოდეს ახალდადგე-
ნილი ეპისკოპოსი სამქადაგებლობედ ადის. ამა ჩვეულებისა შეცვლა ეპისკო-
პოსსა არა ძალუძს, ვითარმედ უყოვნელად ჩაქოლავენ.

თანაცა კიდევ ცხოვრების ჩემის წესი ოთხი უმთავრესი სათნოებისა სულსა
შეეთანადება. უწინარესად კი კეთილგონიერებისა სულსა, რამეთუ საღირალსა
წინასწარ ვართმევ, კაცნი ვართ, არაუინ უწყის, რომელი რაერთ ხანსა ვივლით
გაჭიმული ან რომელი როდის გავიჭიმებით. ვინ იცის, კიდევ თუნდაც სამ წელი-
წადს ქვეყნიერება იქნება თუ არა? და უკეთუ ქვეყნიერება მეტხანსაც გასძლებს,
განა მოიძებნება ისეთი რეგენი კაცი ვინმე, ვინაცა თავის თავსა თავმდებად
დაუდგება, რომ სამ წელიწადს ისიც იცოცხლებს?

არც ერთი ღმერთი არ ეტყვის კაცსა,
ხვალ-ზევ ან მაზევ მოელის რაცა.³

მერმე კომუტაციური სამართლიანობის სულსა, რამეთუ ყველაფერსა ძვი-
რად ვსყიდულობ (ესე იგი, ნისიად), გასყიდვით კი იაფად ვსყიდი (ესე იგი,
ნადი ფულითა). რასა უბნობს კატონი კაცისა მოჭირნახულებობისა, ანუ სახლი-
სა მეურნეობის გაძლოლისა გამო? ოჯახისა თავსაო, ამბობს, მუდმის გამსყიდ-
ველად ყოფნა მართებსო. ესეგვარად ბოლოს და ბოლოს უცილობლივ გამდი-
დრდება, ოდონდ შეშუდსა რასმე თუ არა გამოილევსო.

შემდგომ დისტრიბუციული სამართლიანობისა სულსა,⁴ რამეთუ ვასმევ და
ვაჭმევ ყოველთა კეთილ (დაიხსომე: კეთილ!) და ზრდილ მოყვასთ, რომელნიცა,

ოდისევსისა არ იყოს, ბელსა კარგი მადისა კბოდუხედ შეუყრია, საჭმელი კი არცრა გაუმეტებია, და საყვარელ (დაიხსომე: საყვარელ!) და ყმაწვილ ქალთ (დაიხსომე: ყმაწვილთ-მეთქი! ვინათგან, ჰიპოკრატესდა მიხედვით, ყმაწვილნი ძნიად იტანენ სიყმილსა, მეტადრე თუ ფიცხნი, მკვირცხლნი, ყონალნი, ანცნი და დაუღვეგარნი არიან). და სუყოუელნი ეს ყმაწვილნი ქაღნისტუ სადმე პატიოსან კაცთ გადაეყრებიან, უმაღ ღიღის ხალისითა და ~~სინდონათა~~ საჭერებინებენ გულსა, ვინაიდან პლატონისა და ციცერონისა სწავლასა მისდევენ: ჩვენათ ამსოფლად მარტო ჩვენი თავისთვის არა ვცოცხლობთო, რაოდენმედ საგაზრდილოსა ვეკუთვნიო, რაოდენმედ კი მეგობარ-მოყვასთაო.

კიდევ ძალისა სულსა: ვითარცა მეორე მიღონი, დიდრონ ხუთ ძირსა ზღართანსა ვადენ, სულ ერთიანად ვაჩანავებ, საცა ერთი უღრანი ტყეა, ანუ იგივე დასაბუნავებელი მგელთა, ტახთა და მელიათა, სადგომი ყანალთა და ავკატთა, შესაფარი მკელელთა, სახელოსნო ყალბი ფულისა მჭრელთა, სადგური მწვალებელთა, და ნატყევეართ კიდით კიდევ ერიკა-მანანათი აყვავებულ, მზემოფენილ მინდვრიანებად ვაქცევ, ღია სარფიანად ვუკრავ ხისა რამ საკრავიერო, კუნძოთ კი განკითხვის დღისთვისა ვტოვებ, მსაჯულნი გვედოებად მოივარგებენ.

დაბოლოს, დათმენისა სულსა: მოუმკელ პურსა რო ვჭამ, მეუდაბნოესი არ იყოს, რომელიცა ძირძურებზედ და ტაბუცუნზედ გადადის, ხორციელსა გრძნობასა ვიქარვებ, თანაცა კიდევ ზეიბართათვის და უქონელთათვის ცოტამატასაც ვზოგავ, რამეთუ არცვის არაფერსა არა ვახარჯებ, არცა მშალთველ-მძარგვლელთ, არ დაგავიწყდეს კარგა მეძვირენი არიან; არცა მოძკელთ, იცოცხლე, ციფ-ციფი, უზავებელი, შუმი ღვინო უყვართ; არცა მეძნეურთ, სულ ორი ყბით რო იღმურძლებიან; არცა მუკალოვეთ, ვერგილიუსის თესტილიდას თქმითა, ბოსტან-ბოსტან რო რბიან და გაუგლეჯავსა არ უშვებენ ხახვსა, ნიორსა თუ ჭკვალსა; არცა მეწისქვილეთ, პირწავარდნილ ლუპუსტაკთ; და არცა მეპურეთ, მამაძაღლობაში მეწისქვილეთაც რო ამეტებენ. განა ცოტაა, ამდენსა ვისმე რასმე რო გამორჩე კაცი? აქა ისი ზარალი არღა მიხსენებია, ზოგი თაგვმა, ზოგი პურისა შეხმობამა, ზოგიცა კი ათასგვარმა რამ ბოგანო ჭიამ რო იცის. დაღათუმცა მოუმკელი, ანუ ჭანარი პურისა მართლაც რო უცხო რამ მწვანე შეჭამანდი გამოდის: შემრგოა, ადვილად მოსახელლებელი, ტვინისა გამჭრიახობასა ამაცხოვრებს, გვამსა შიგან სასიცოცხლო ძალსა და ღონესა აათკეცებს, მხედველობასა აუძეობებს, მადასა აღძრავს, ამო ვემოსია, გულსა ღია უხდება, ცოტა ენასა უღიტინებს, სახისა ფერსა აჯანსაღებს, შეშაძარღვთ ამავრებს, სისხლისა მიმოქცევასა ახალისებს, შუასამგიდსა ზედა დაწოლასა ასუსტებს, ღვიძლსა აგრილებს, ელენთასა აცხრობს, თირკმელთ ამსუბუქებს, წელსა და ხერხემალსა მოქნილობასა მატებს, შარდსადინარსა ცლის, სათესლესა აფართოებს, საურვალთ, იგივე ყვერ-ჭანჭალთ კუმშავს, ქანთილსა, ანუ ბუშტს, წმენდს, კვერცხთ აღიდებს, ჩუჩასა არბილებს, თავსა ამკვირვებს, საწულოსა ძაგრავს; ამა პურის შეჭამანდისა წყალობითა კუჭი ფარსაგად ვიმუშავებთ, ჩინებულად აბოყინებთ, არცარა ქარსა მუცელში არ იჩერებთ, სკორავთ, შარდავთ, აცემინებთ ცხვირსა, ასლოკინებთ, მხველარებთ, აფურთხებთ, ახრასტებთ, აღმოიცოხნით, მერალსა ამოქარავთ, ამოქნარებთ, ცხვირსა იზოცავთ, სუნთქავთ, ჩაისუნთქავთ, ამოისუნთქავთ,


ხვრინავთ, ოფლიანდებით, არცარა კიდევ ბურღისა ჩაყრა გავიწყლებათ, და სხვაც ბევრი რამ სარგო სჭირს ესეგვარსა ჭამადსა.

— გაუიგე, — მიუთხროს პანტაგრუელმა. — შენა იმისი თქმა ვინდა, როგორ-
 ჭკუაგაუგებებელსა მოკლე ხანში ბევრისა დახარჯვა რომ არა ძალუძს. ეგვი-
 თარსა მწვადლებლობისა გზასა პირველი არა ხარ შემდგარი. ნერონივე მაგისი
 მიმყოლი იყო: მოკვდავთაგან ყოვლის უფროისად ძაღლა თავის ~~ბიძასა~~ აყენებდა,
 კალიგულასა, რომელსა იმოდენი რამ საკვირველი გამოგონებისა თავი ჰქონდა,
 რომ სულ რამოდენიმე დღეში მოახერხა ტიბერიუსისგან დარჩენილი სამკვიდ-
 რებისა გაფლანგვა. და ესრეთ, იმის მაგივრად, ამდგარიყავ და ყოველივე ნაყ-
 როვანებისა, ანუ უწყესო სიმაძღრისა და განცხრომა-ფუფუნებისა წინააღმდეგომ
 მიმართულ რომის, ესე იგი ორქიუსის, ფანიუსის, დიდიუსის, ლიცინიუსის,
 კორნელიუსის, ლუპიდუსის, ანტიუსის და აგრეთვე კორინთოს კანონთა შესაბა-
 მად ვექშნა, ამა კანონთა შესაბამად კი სუყოველსა მოქალაქესა მკაცრად ეკრ-
 ძაღვოდა ერთ წელიწადში იმაზედ მეტის ხარჯვა, რაიცა შემოსავალი ჰქონდა,
 შენა ადექი და პროპტერვიის მიმართუ: აგრე უწოდებდნენ რომაელნი საზორავ
 მსხვერბლსა, ებრაელთა სააღდგომო ტარივისა დარსა; მზორავნი შესაჭმელსა
 სულ ერთიანად ჭამდნენ. ნარჩუნთ კი ცეცხლსა შიგან ჰყრიდნენ და ხვალისა
 დღისთვის არარას იტოვებდნენ. დიადაც, ეგრევე უნდა ვთქვა შენსა შესახებ,
 ვითარ კატონმა ბრძანა იგივე სიტყვა ალბიდიუსზედ, რომელიცა უანგარიშოდ
 იხარჯებოდა და ბოლოდ აკი შემოეჭამა კიდევ სრულად თავისი სამკვიდრო,
 ოდეს სახლილა რთ შემორჩა, აილო და იმისაც ცეცხლი წაუკიდა, რათა სათქმე-
 ლად ჰქონოდა: Consummatum est, როგორაც რომ მასუკანით თომა აქვინელმა
 წარმოთქვა, როს მარტოსა მთელი საღამურა შეეჭამა.⁶ თუმცა, რა ჩემი საქმეა.

თავი III

ვითარ აქებ-ადიდებს კანურბი მოვალეთაც, ანუ თანამდებთ,
 და მევალეთაც, ანუ მხმსხმებელთ

— როდის უნდა ამოხვიდე ვალთაგან? — დაეკითხა პანტაგრუელი.
 — როდისა და, ბერძნულ კალენდებადღე, — მიუგო პანურგმა. — ესე იგი,
 ოდეს ყოველნი კაცნი გულსავსენი იქნებიან, შენივ თავის შემკვიდრე კი თავად
 გახდები. უვალობისგან დმურთმა დამიფაროს! მაშინ ერთსა დენიესაც არავინ
 მასესხებს. ვინცავინ ხაშისა ზიარებისა თადარიგსა საღამოთივე არ დაიჭერს,
 იმასა ცომი დილითა უფუარი გამოუვა. კაცსა მუდმისად ვიდაცისა უნდა გემარ-
 თოს. შენი მევალე; ანუ მსესხებელი, მოიხელიე, დღედადამ სულ იმას შეეხვეწება
 დმურთსა, რომ მშვიდობიანად, ხანგრძლივად და სვებდნიერად გამყოფოს. შიში-
 სა გამო, ემანდ ვაცემული ვალი არ დამეკარგოსო, ყოველგვარ საზოგადოებაში
 შენზედ ოდენ კარგსა იუბნებს, ახალთა და ახალთა მევალეთ გამოგიძებნის, რა
 არი ხელი მოინაცვლო და სხვისი მიწითა ორმო ამოუვსო. ოდეს როსმე ვალის
 ქვეყანასა შინა, დრუიდთაგან შემოდებული წესისამებრ, ძავან და ძავან პატრონ-
 თა თუ ბატონთა დაფლვა-დაკრძალვისა ეამსა, იმათსავე მონათ, მსახურთა და
 მოახლეთ იქავ ცეცხლსა რომ უკიდებდნენ და ბუგავდნენ, როგორა ჰგონებ, ისი-
 ნი, ის მონა-მსახურ-მოახლენი თვისთა პატრონთა და ბატონთ რა, სიცოცხლეში
 თავსა არ დაჰკანკალებდნენ? სხვა არა იყოს რაჲ სიკვდილი ხო ერთად ეწერათ.



დილით დაღამებამდისინ ისინი თავიანთ უპირველეს ღმერთსა მერკურის და ოქროს მამასა დიტუსსა რა, თვისთა ბატონთა ჯანისა სიმრთელესა არ ავედრებდნენ? ანდა ვითომ ვიდევ რაჲმ ეხსომებოდათ, გარდა იმისა, ბატონთა ჩვენთა ცივი ნიაფი არ მიუიკაროთ და კეთილად ვემსახუროთო? რათა და, იმათთან ერთად, აჲად თუ კარგად, ცოცხალნი დარჩებოდნენ და თავრანთ სიკვდილამდისინ მაინც არ დაიხოცებოდნენ. ხარწმუნოდ ბრძანდებოდე, შენა მუჲაღმესა მსურვალე ლოცვასა აღუვლენენ ღმერთსა, რი დღეგრძელი ვყოს, და სულ შენი სიკვდილისა შიშში იქნებიან, რამეთუ მისატანი ურჩევნიათ მიმტანის ხელსა, ფული კი სიცოცხლესა. მაგალითად აქა ლანდერუსელი მევალენი გამოდგებოდნენ, რომელთაც ლამის ვულეები დაუსკდათ, როს შეიტყვეს, პურისა და ღვინისა ფასი ეცემათ და უამინდობას კვალად კარგი ტაროსი მოჰყვათ.

რაკიდა პანტაგრუელი პირდაყოფილი, ანუ მღუმარედ უსმენდა, პანურგმა განაგრძო:

— რიგიანად თუ ჩაუუკვირდებით, ვალთა და მევალეთ რო მყვედრი, შიგანსა ვფიცავ, დია უხერხულობაში მაგდებ. მორჭმით დასტურ ვითარცა მოვალე მოვირჭმე, ყოველთა კაცთ რიღსა და შიშსა ვკერი, წინააღმდეგომ აზრისა სიბრძნისმეტყველთა (რომელნიცა ამტკიცებენ, არცრისგან არცრასა იქმო), მთლად უარარაომ და უარაფრომ, ყველაგვარი ნედლი მასალისა უქონელმა, დაღებასა და შექმნა შესაქმესა მივყე ხელი.

მერედა, არ იტყვი, ვინ შევქმენ? ვინა და, ურდავი ჩინებული და კეთილი მევალე, რაგვარი სასჯელიცა უნდა მელოდეს, თუგინდ კოცონიც კი (ოლონდ ცეცხლისა დაუგზნებლად), მაინც სულ იმის მტკიცებაში ვიქნები, მევალენი ჩინებული და კეთილი ხალხია-შეთქი. ვინცავინ სხვასა ხელსა არ უმართავს, გონჯი და ბორთია, ჯოჯოხეთისა ციქვია, ძირი ეშმაკისა უღვას. ახლა იმას არ იკითხავ, რის დაღებასა მივყე ხელი? რისასა და, თანანადებისასა, ანუ ვალი-სასა. მერე რა უებრო, რა უცხო რამ გემოსია! ჩემთა ვალთა საერთო თანხა დია აღემატება მარცვალთა იმა რიცხვსა, სუყოველთა თანხმოვანთა და ხმოვანთა შეერთებას რო ეშედგება, და რომელი რიცხვიცა იპოვნა და გამოთვალა ხმაგან-ფენილმა ქსენოკრატემ.¹ სულაცა არა შესცოდებთ პრაქტიკულსა არიომეტიკასა, იგივე აღრიცხვისა სწავლასა, უკეთუ მოვალისა, ანუ მოხესხისა დირსებასა მევალეთა ოდენობისდა კვალად განსჯით.

იცი, რა საამო რამ სახილაგია, ყოველსა დილითა უწყინარნი, ფოლორცნი და მოწიწებულნი მევალენი რო მეხვევიან გარსა? არადა, საამო აბა როგორ არ არი? უკეთუ რომელსამე ცოტა გულსბილად შევხედე ანდა ოღნაუ სხვაზედ მეტად ვუმასპინძლე, იმა უგლისმა უკვე ისე წარმოუდგენია, პირველსა იმას გავი-სტუმრებ, იმისი ჯერი დამდგარა, და ჩემი დიმილიცა უცრუო ჰგონია. ამგვარსა მდგომარეობაში მიწვივ მეჩვენება ხოლმე, რო ქრისტეს ვნებათა სომიურულ მისტერიასი² დუთისა როლსა ვთამაშობ, გარშემო კი ანგელოზთა და ქერუბიმთა დასი მეხვევა. მევალენი უკლისად ჩემი მამაებელნი, ჩემი მუქთამჭამელნი, ჩემი მომლოცველნი, ჩემი აღრიანი მნახველნი, ჩემდა ლოცვად დამდგარნი არიან.

აწ ყოველთა კაცთ ისე სწყურით ვალისა დაღება და სუყოველნი ისერიგად ესწრაფვიან მევალეთა მოძრავლებასა, ამისა შემყურე უნებლივ ვეძლევი ფიქრსა, რო პესიოდესგან აღწერილსა საგმირო სათნოებათა მთასა, რომელიცა დიპლო-მისა, ანუ ხარისხის ბოძების წერილისა მისაღებად ჩემი პირველი თემა იყო, სულ ერთიანად ვალი და ბორჯი შეადგენს; და აღბათ ამადაც მიუწევთ სიკვდი-

ლისა შვილთ იქით გული, დაღათუმცა ჭარკვანი გზისა გამო ზედ ცოტა ვინმე თუ აღის.

გარნა სუყველასა არა ძალუმს არცა ვალისა დაღება და არცა კიდევ/მევა-
ლეთა მომრავლება. და შენა ვსურს, რი მომაკლი ამა უზენაეს ნეტარებასა? აბა,
რა პირით შეკითხები, ვაღთაგან როდის უნდა ამოხვიდეთ?

მეტსაც გეტყვი: წმინდა საონომყოფელ ბაბოლენსა ვფიცავ, მთელი ჩემი
ცხოვრება ვალსა ისე ვუსტქეროდი, როგორაც ზეცისა და დედამიწის დამაკავში-
რებელ რგოლსა ანდა ძაფსა რასმე, როგორაც კაცთა მოღვმისა ერთადერთსა
სამყარსა, ურომლისოდაც ადამისა ტომი კარგა ხნისა დაღუპული იქნებოდა.
ვეება ესეც არი დიახაც ის დიადი მსოფლით სული, რომელიცა, აკადემიკოსთა
სწავლისდა კვალად, ქვეყნად ყოველსა ამაცხოვრებს.

უფრორე რო განიცხადო, წარმოიდგინე რომელიმე ქვეყნიერებისა იდეა და
ფორმა: აიღე თუგინდ ოცდამეტამეტე ქვეყნიერება, გულმეტნავ მეტროდორესგან
აღწერილი, ან არადა პეტრონეს სამოცდამეტურამეტე ქვეყნიერება,⁵ ოღონდ
მოვალეთ და მევალეთ მოკლებული. ვაი უვალთ, უთანანადებო ქვეყნიერებასა!
ესეგვარ ქვეყნიერებაზედ უმაღ დაირღვევა ციერთა სწორი სრბა. არეულობა
აბა მაშინა ნახე. იუპიტერი, იგივე დია, რომელიცა თავსა სატურნისა, ანუ კრო-
ნოსისა მოვალედ არღა იგრძნობს, წამერთ ააცდენს იმას კიმკიმელად სახელ-
დებულსა სავალ წრესა და თავისი პომეროსული რამ ჯაჭვითა! შეაბორკილებს
ყოველთა გონიერ ძებორციელთ, ზეციერ ძაძათ, ცა-მყართ, დემონთ, მფარველ
სულთ, გმირთ, ქასქანჯიელთ, ანუ პაერისა მცველთ, დედამიწასა, ზღვასა, სუ-
ყოველგვარსა სტიქიონსა. სატურნი შეუწყვილდება მარსსა, იგივე არიასა, და
ორივენი სრულად ქვეყნიერებასა ამტკბებენ. მერკური სხვათა მსახურებას
არღა ინდომებს, მოეშვება იმათ კამილობასა, ვითარ ეტრუსკნი უხმობდნენ: უკვე
არცვისი არა ემართება რა! პატივსა აღარავინ მიაგებს არცა ვენერასა, იგივე
ასპიროზსა და მთიებსა, რამეთუ ისა ზელსა არავის გაუმართავს. მოვარე გასისხ-
ლისფერდება და ჩაბნელებს. მზე აბა რაღატომ უწილადებს თავის შუქსა? არ-
ცარა იმისი ვალი არ ექნება. მზე აღარც დედამიწასა გაანათებს. მნათობნი კე-
თილმოქმედ ზეგავლენასა ეერდა იქონიებენ დედამიწასა ზედა, რამეთუ დედამიწა
არღა მიაწოდებს იმათ არცარა თავის ანაორთქლსა და არცარა გამონაყურსა,
რითაცა, ვითარ უხმობდა პერაკლიტე, ვითარ ამტკიცებდნენ სტოიკოსნი და ვი-
თარ ირწმუნებოდა ციცერონი, იკვებებიან ვარსკვლავნი. სტიქიათა შორის გა-
წყდება ვველანაირი კავშირი, არცაღა შეენაცვლებიან ერთმანეთსა და არცაღა
შეიცვლებიან, ვინათგან მეორის წინაშე არც ერთი არცრის მოვალედ აღარ ჩა-
იოვლის თავსა, — იმას ამისგან ხო არა უვალნია რა! მიწა არღა წარმოშობს
წყალსა, წყალი არღა იქცევა პაერად, პაერი — ცეცხლად, ცეცხლი არღა გაათ-
ბობს მიწასა. დედამიწა სხეას არცაღას გააჩენს, მართოდენ შემზარავთ რასმე:
ტიტანთ, ალოადთ,⁶ გიგანტთ. წვიმა არღა გასწევს წვიმობასა, შუქი შუქობასა,
ქარი ქარობასა, არღა იქნება არცაღა ზაფხული, არცაღა შემოდგომა. ლუციფერი
ბორკალთ დაიწყევტს, ფურიათა, ერინიათა, რქიან ქასქანჯიელთა თანა ამოვა
ქვესკნელიდან და საცადისსა არა დააკლებს, რი რაერთიცა ცათა შინა დიდთა
და მცირე ხალხისა ღმერთთა, სუყოველნი დაიფრინოს.

სად არცა ხესხი ეცოდინებათ და არცა ვალი, ქვეყნიერება იგი უგვანობასა
და ძამაძაღლობას დარჩება, იქა უფროისად იბარტყებს ათასგვარი რამ ოინი და
ხრიკი, ვინემ პარიზისა უნივერსიტეტის რექტორისა არჩევისას, და კუდიანობა-
საც მუნ მეტსა მოიხილავ, ვინემ ღუემში სახიობაზედ სადმე. კაცნი არღა მიემე-

ლებიან ერთმანეთსა. მავანი და მავანი სულ ტყუილად მორთავს ყვირილსა, ხალხო, ვიწვიო, ანდა, ვიხრჩობიო და მიშველეთო, ზელსა არცვინ აღუპყრობს. რისა გამო? რისა და, იმისა გამო, რო არც ვინმეზედ არცრა ექნება გასესხებული, და იმისიც არავის არა ემართება რა. მერე რა, თუ ამას ხახლი დაეწვიეს, ხომალდი ჩაეძირება ანდა თუ გაღატაკდება, გინდაც თუ მოკვდება. სუფველა ფეხებზედ დაიკიდებს. რახან თვითონ თანამდები, ანუ მოსესხე და მოვალე ^{არავინ} ეყოლება, ლარი და ხაზი არ უნდა, არცა იმას გაუძართავს სხვა ვინმე ზელსა.

რალა სიტყვა გაუაგრძელო და, ესეგვარი ქვეყნიერებიდან, იგივე ქვეყნიდან, განიდევნება სარწმუნოება, ხასოება და სიყვარული, ადამისა შვილნი კი ხო იმად არიან განჩინილნი, რომ სხვათ შეეწიონ და მიეშველონ. იმათ ადვილსა დაიჭერს უნდობლობა, მძულვარება, უკეთურობა და თან სხვა ათასი რამ ბოროტება, ჭირი, შეჩვენება მოჰყვება. უნებლიეთ წარმოიდგინე, რო პანდორამ მიწასა ზედა დააქცია თავისი ჭურჭელი. კაცნი მკლებად, ქაჯებად და მიწრიელებად იქცევიან, ვითა ლიკაონი, ბელეროფონტი და ნაბუქოდონოსორი; სუყოველი გაავაზაკდება, გახდება მკვლედი, მესამსალე, ბოროტმოქმედი, ბოროტგანმზრახველი, გულღვარძლიანი, მოძულე, თითოეული აუშხედრდება სხვა დანარჩენთ, როგორაც ისმაელი, მეტაბუსი,⁶ ტიმონ ათენელი, ამა მიზეზითა მიზანთრობად სახელდებული. ამრიგად, ბუნებისთვის უფრორე იოლი იქნებოდა ჰაერში თევზთა საზრდობა და უკუანისა ძირზედ ირემთა მწყემსვა, ვინემ არცრისა გამცემი, წუნურაქი ხალხისა ატანა. ღმერთმანი, თვალისა დასანახავად მძულან ამისთანა კაცნი.

უკეთუ ამა უბადლო და ვაგლახიანი ქვეყნიერებისა მაგალითისდა კვალად გონებისა თვალითა მცირე რასმე ქვეყანასა, ანუ ადამიანსა წარმოიდგენ, იქაცა დია საზარელსა უწესრიგობაზა მოიძიებ. თავი არლა გვასესხებს მხედველობასა, უროძლისოდაც ვერცა ხელთ მოვივარგებთ და ვერცა ფეხთ. ფეხნი უარსა იტყვიან თავისა ზიდვაზედ. ხელნი არცა გაინძრევიან იმისდა სარგოდ. გულსა მობეზრდება სხვა ასოთა პულსისთვისა ესდენი ძგერა და აღარც რასა არცვის ავასხებს. ფილტვნი იმას ჰაერისა სესხსა დაუჭერენ. ღვიძლი კი საკვებად სისხლსა არლა მიაწვდის. ქანთილი თირკმელთ სამსახურზედ დაუყარება, და ფსლისა დათხევა შეწყდება. ასერიგად არაბუნებური ამბისა შემყურე ტვინი აირევა, ხერვთ მგრძნობელობას დაუკარგავს და კუნთთ საძრაობასა. მოკლედ, ესეგვარ არეულდარეულ ქვეყანასა შინა, სად არცრასა ვალსა იღებენ, არცრასა სესხსა იძლევიან და არცვის ზელსა არა უმართავენ, იმაზედ უფრორე საშიშარსა ამბოსსა შეესწრები, ვინემ ესობეს ერთერთ იგავშია დახატული,⁷ და ქვეყანა ესე, რალა თქმა უნდა, დაიქცევა, და არა ოდესმე, არამედ სულ მალე, თუნდაც რო თავად ესკულაპი ბრძანდებოდეს. სხეული უყონგბლივ დაილეუება, გაჯავრებული სული კაჯანდაბისა გზასა გაუღვება, ჩემი ფულისდა კვალდაკვალ.

თავი IV

ამა მავალეთა და მოვალეთა მიმართ პანურგინსა სამეხმელ-სადიდებელი სიტყვისა გაბრძელება

— და წინაუკმო: ადექი და ისეთი ქვეყანა თუ ქვეყნიერება წარმოიდგინე, სად არცვინ სესხებასა ერიდება, არცვინ ვალისა დადებასა, სად ყოველი მოკლეთა და ყოველი მეუაღეთა.

ტყუილია, იქ რო ციურ სფეროთა მწყობრ სრბაში შეხმატკბილება გამე-

უფლება! თითქოსდა ჩამესმის კიდევ იმათი ძნობა, ისრევე ცხადლივ, როგორაც ოდესმე პლატონსა ჩაესმოდა. სტიქიათა შორის თანხმობასა ხო ნუნა იტყვი! მერე რარივ დატკბება ბუნება ყველაყაითი, რაიცა შეუქმნია და მოუყვანია! ცურერა უხვად იზურგებს მარცვლეულსა, ბაკქოსი — ღვინოსა, ფლორა — ყვავილთ, პომონა — ნაყოფთ, ეთეროვანი იუნონა ნათლიერი, ტანსავსე მწრმთუჭრდგება და ყოველთა კაცთა გაგვაჩარებს.

უძჯობებსა რასმე სახილველსა ვერღა ვინატრებ. სიკედილისა შეილთა შორის ზავი, სიყვარული, წყალობა, ერთგულება, მოხვეწება, ნადიმ-ხადილი, ბედნიერნი დღენი, ოქრო, ვერცხლი, წვრილი რამ ფული, ძეწკვნი, ბუჭედნი, ყველაგვარი სავაჭრო სულ ხელიდან ხელში გადავა. არცრაღა დავა იქნება, არცრაღა შფოთი, არცრაღა ჩხუბი; არღა იქნებიან არცა გუწუნწრახა-წუწურაქნი, არცა პურაძვირნი, არცა ხელმოჭერილნი. ღმერთო, შენი სახელისა ჭირიმე, განა მეტი რა არის ოქროს საუკუნე, სატურნისა მეუფება, ოლიმპურნი სამკვიდრებუნნი, სად სხვა არცრა სათნოებაა, თუ არა ისა, რო კაცად-კაცადსა ზედა ოდენ მოყვასისა სიყვარული სუფევს, ბატონობს, მბრძანებლობს, განმგებლობს, მძლეობს? სუყოველნი კეთილნი იქნებიან, სუყოველნი პირმზენი, სუყოველნი მართალნი. აბა ბედნიერი ქვეყანა ის იქნება და! ნეტავი თქვენა, იმა ბედნიერი ქვეყნისა მკვიდრნი! თქვე სამგზის, თქვე ოთხგზის ნეტარნი! თავი მეცა უკვე იქა მგონია. ის კი არა, ჭეშმარიტად, უკეთუ იმა ნეტარსა, ყოველთა გამსესხიანებულსა და ხელისმყრელსა ქვეყანასა შინა პაპსა შეიყვანდნენ სრულად თავის კარდინალთა კრებულთან და თავის წმინდა კოლეგიასთან ერთად, სულ მცირე რამ ხანში მუნ უფრორე მეტსა შეესწრებოდა კაცი მაღალღირსებისა წმინდანსა, მეტსა სასწაულმოქმედსა, მეტსა ტროზარსა, მეტსა აღთქმასა, მეტსა ბაირალსა და მეტსა სანთელსა, ვინემ აწ ბრეტანისა ცხრასავე საეპისკოპოსოშია.¹ ერთადერთი, ვინაცა განხედ ცალკე დადგრება, წმინდა ივია.²

ნუ დაგაეიწყდება, ბატონო, რო ქველსა პატლენსა, რომელსა გიიომ ფოსომის მამისა განდიდება და უცხო რამ შესხმითა მესამე ცამდისა ამადლება ესურებოდა, შესახებ იმისა აგრე უბრძანებია:

არც როს დაობდა,

ყველას ყველაფერს ნისიაობდა.³

უებრო სიტყვებია!

აწ ამავე მაგალითისდა კვალად წარმოიდგინე მიკროკოსმი, id est* კნინი რამ ქვეყანა, სხვარივ თუ ვიტყვით, მეხორციელი, რომლისა ყოველთა ასოთ გამსესხებლობაც მოსდგამთ, მოსესხებობაც და ვალებაც, ესე იგი თავიანთ ნამდვილს მდგომარეობაში არიან. ბუნებასაც აკი იმად შეუქმნია აღამიანი, რო გამსესხებულებიც ყოფილიყთ და მსესხებულებიცა. ციური შეხმატკბილება როა, ისიც კი ჩამოუვარდება კაცისა სხეულისა ყოველთა ნაწილთა შეწყობილობასა. მიკროკოსმის შემქმნელისა მიზანი შეწევნა იყო სულისა, რომელიცა მან სტუმარსაებრ მუნ ჩაასახლა, და სიცოცხლისა. სიცოცხლე ჰგებებს სისხლსა შიგან. სისხლი სამყოფელია სულისა. მაშასადამე, ხსენებული კნინი რამ ქვეყნისა ოდენ ერთი საზრუნველი სისხლისა დაუცხრომლად გამოკვერვა და გამოჭედვაა. იმა სამჭედლოსა შინა ყოველსა ორგანოსა განსახლვრული რამ ვალდებულება აკისრია, იერარქიულად ისე არიან ურთიერთდამოკიდებულნი, ერთმა მიწყივ მეორეს უნდა ასესხოს, ერთმა მეორისგან უნდა ივალოს, ერთმანეთსა ხელი უნდა გაუმართონ. სისხლად გადასადნობელი ნივთიერებაც და ლითონიც ბუნებისგან

* ესე იგი (ლათ.).

გვაქვს ბოძებული, სახელდობრ: პური და ღვინო. ამა ორსა რამეში სხვა ყველა-
გვარი საზრდელია მოქცეული. სწორედ აქედან წარმოდგება ღებჯელოკური სი-
ტყვა *compagnatge*.^{*} საზრდელი რა მოიძიონ, შეამზადონ და შეაგბონ, ხელნი
მუშაკობენ;

ფეხნი ვლიან და ეზიდებიან სრულად გვამსა ^{გვენსა} ~~გვენსა~~ ^{გვენსა} ~~გვენსა~~

თვალნი მოიხილავენ;

კუჭისა ყელისა შიგან წვა, ელენითიდან გადმოსული მცირეოდენი მოძჟავო
ნალველი რა იწვევს, დანაყრებისა უამსა შეგვახსენებს;

ენა სინჯავს საზრდელსა;

კბილნი ღუჭავენ;

კუჭი ირგებს, ინელებს და რძიან წვნად აქცევს;

ჯორჯლისა სისხლძარღვნი ყველაფერსა იწოვენ, რაც კი რამ საზრდელშია
ვარგისი და მარგებელია, და ცალკე აუნჯებენ სკორესა, რომელსა მერმე განმტე-
ვებული ძალია სახსენიდან ურჩხითა, ანუ უკანა ნაწლაუითა გამოყოფს, ხოლო
ყოველივე მაწიერი იმავე ჯორჯლისა სისხლძარღვთა გაულოთ ღვიძლსა აღწევს,
ღვიძლი კი კვალად გადაახალისებს საზრდელსა და სისხლად გადააქცევს;

აწ წარმოიდგინე, რა სიხარული შეუდგებათ შემწე ორგანოთ, მხილველთ
ამა ოქროს ნაკადულისა, რომელიცა ერთადერთი მომდონიერებული რამ საშუა-
ლებაა იმათი. ეს ისეთი სიხარულია, ვერ შეედრება თვით ალქიმიკოსთა სიხა-
რულიც კი, ოდეს ხანგრძელი საცადისისა, დიდი რუდუნებისა და მრავალი ხარ-
ჯისა შემდგომ, ისინი თვისთა ბოუ-სახსილთა შიგან ლითონთ გადაახალისებულთ
მოიხილავენ ჭოლმე.

ესრეთ, თითოეული ორგანო სულ იმის თადარიგსა იჭერს და სულ იმის
ცდაშია, რო ხელახლად დაყურსოს და გამოყოს საუნჯე ესე. თირკმელნი თვისთა
სისხლძარღვთა შეწვევითა გამოწურვენ იმისგან სითხესა, კაცთაგან ფსლად სა-
ხელდებულსა, და მილსადინარით ქვევითკენ დაუშვებენ. ქვემოთ ფსლისა საგრო-
ვებელი რამ პარკია, ანუ ქანთილი, რომელიცა ფსელსა დამჭირნობისამებრ
დაათხევს ძირსა. ელენთა სისხლისგან გამოყოფს მიწანარვე ნაირ ნივთიერებასა
და ნალექსა, კაცნი შავსა ნალველსა რა ვუხმობთ. ნალველის ბუშტი სისხლსა
ზედმეტი ნალველისგან ათავისუფლებს. ამისა შემდგომ სისხლი სხვა სახელოს-
ნოსა შიგან გადადის, სად უფროისად წმდება, ესე იგი გულსა შიგან. გული თა-
ვისი დიასტოლური და სისტოლური მოძრაობით, ანუ გაგანიერება-შეკუმშვით
ათხელებს სისხლსა და ამხურვალებს, მერმე მარჯვენა პარკუჭში უფრორე
აუმჯობესებს და სისხლძარღვებით სრულად ყოველთა ასოთ აწვდის. თითოეულთა
ასო თავისკენ ეწვევა სისხლსა და თავისებურად იკვებება იმითი: თუ ფეხნი, თუ
ხელნი, თუ თვალნი, რაოდენიცა ასო აქვს კაცსა, სუყოველნი, და, მცირე რამ
ჟამისა წინა მევალენი რა იყვნენ, აწ ისინი უკვე მოვალენი, თანამდებნი ხდე-
ბიან. მარცხენა პარკუჭში სისხლი ისერიგად თხელდება, მშვიინვიერდება, ანუ
სულიერდებათ, იტყვიან, და გული არტერიებით სრულად ყოველთა ასოთა შიგან
იმად მიმოაქცევს, რა არი გაათბოს და უმეტესად განწმინდოს მეორე, ვენური
სისხლი. ფილტვნი თავიანთი ლაბოტ-საბურველითა მიწყვი სისხლისა გაგრილე-
ბაში არიან. მადლიერი გული იმათივე არტერიისა მეშვეობით ყოველის უფრორე
უკეთეს ცინცხალსა სისხლსა უგზავნის იმათ. დაბოლოს, საკვირველს ყალფადსა
თუ ბადესა რასმე შიგან სისხლი ისევვარად კამკამდება, რა უკვე ღია სრულ-

* ყოველგვარი საჭმელი, გარდა პურისა და ღვინისა.

ქმნილსა სულიერნი ძალნი უჩნდებიან, რომელთა წყალობითაც კაცსა ძალუმს წარმოდგენაც, ფიქრიც, განსჯაც, ვარდაწვევაც, განბჭობაც, სიტყვისა და მტკიცებაც და არდავიწყებაც.

ჩემის კაცობისა მზემან, დასტურ ვიძირები, ჟამკარი მერევა, გზა ვერ გამოვივნი ამ ვალ-სესხიანი ქვეყნისა ღურღუმ მორევსა შიგანს მურწმუნე უცხება ღვთიური რამ საქმეა, ვალისა დაღება კი — ვპირული ქველობა.

ყური მივდე. ვალ-სესხ-ბორჯიანი ქვეყანა ესე იმოდენად კეთილია, თავად რო გამოიკვებება, ახლა იმის ფიქრშია, ჯერეთ რო არ დაბადებულან, უვალოდ და უსესხოდ არცა ისინი დამრჩნენო, და ესეგვარი ვალითა და სესხითა, უკეთუ გაუმართლებს, თავი უკვდავოს, თავისნაირ არსებათა, ანუ ნაშიერთა სისხლსა და ხორცში განმრავლდეს. ამისა გულისთვის სუყოველი ორგანო საჭიროდ ხადის, რო უმეტესად ღირებული საზრდელისა მცირედი წილი გამოვოს და ქვევით დაუშვას, სად ბუნებისგან სანთად, ანუ მარჯვედ ქმნილან სისხლძარღვნი და საგროვებელნი, რომელთა გავლითაც ესე საზრდელი მოსარები და იკანკელი გზებითა საწულო ორგანოთ აღწევს, მუნ სათანადო მოყვანილობისა ხდება და, როგორაც მამრთ, ისე მდედრთ, იმა შესაფერ აღვილო უძებნის, კაცთა მოდგმისა დაცვასა და გაგრძელებას რო მსახურებენ. და ეს ყოველივე ურთიერთ სესხითა და ვალითა ხერხდება. სწორედ აქედან წარმოდგება, ცოლ-ქმრული მოვალეობაო, გამოთქმა რო არი.

ვინცა ვინ ამ მოვალეობისა უარისმყოფელია, ბუნება სჯის: ყოველთა ასოთ უღიზიანებს და გრძნობათ უფორიაქებს, მსესხებელს კი ტკობასა, სიხარულსა და განცხრომასა ანიჭებს.

თავი V

პითარ კიცხავს პანტაბრუელი მოვალეთ და მშვალეთ

— მიგიხედი, — მიუთხრო პანტაბრუელმა, — ფრიად ფიცხი სჯა და ლაპარაკი გცოდნია. დაღათუმცა სულისა წმიდისა მოსკლის დღემდისაც რომ გქადაგა და გეუბნა, სულ ერთია, შენდა განსაკვირვებლად, მაინც ვერცრასა მარწმუნებინებდი. ტყუილად ამჭევრებ სიტყვასა: ვალებში თავსა არცროდის ჩავივლებ, მოციქულისა ეპისტოლეში პირდაპირ თქმულია, ნურცავის ნურცრისა მოვალე ნუ გაუხდები, თეინიერ სანაცულო სიყვარულისაო.¹

ღიაღაც ჩინებულ გრაფიდთა და დიატიპოზთ იყენებ,² ვარნა აგრე ვაჭყვი: უკეთუ წამერთ წარმოიდგენ ვალღუტილსა ცრუბენტელასა და საღახანა მოსესხესა ვისმე, ხელახლად მისულსა რომელსამე ქალაქ ადვილსა, სად უკვე შეცნობილი ჰყავთ იგი, მოიხილავ, ვითარშედ იქაურთ უმაღ იმდაგვარად გცენათ ელდა და შეძრწუნდებიან, თითქო შავი ჭირი გარეგან შესახედავად იმათაც ისე მოვლინებოდეთ, რა სახითაც ეფესოში ტიანელსა სიბრძნისმეტყველსა ეჩვენა. ჩემის ფიქრით, სპარსნი უცილობლად მართალნი იყენენ, როს ამტკიცებდნენ, ცრუობა პირველი მანკია, ვალნადებრობა კი მეორეო. ჰაი, ჰაი, რომ ვალი და სიცრუე მიწყავ გვერდიგვერდ ვლიან.

დაღათუმცა, იმის თქმა სულაც არა მწადს, კაცმა არცროდის არცრა სხვისგან არ უნდა ივალოს და არცრა როსმე სხვას არ უნდა ასესხოს-მეთქი. ამა სოფელში არცვინ არის იმისთანა მდიდარი, რომ ერთხელ მაინც არა ყო-

ფილიყო ვალნადებარი, და არცა კიდევ იმისთანა საწყალი ვინმეა, ვისგანაც ოდესმე არცვის არა ესესხოს რა.

ესევეითარ ამბავთ ითვალისწინებს თვისთა კანონთა შინა პრაქტიკისა, ოდეს უბნობს, მეზობელსა შენი ჭიდან წყალი ოდეს მასუკან უნდა ამოაღებინო, უკეთეს სრულად გადათხრის და გადაბარავს საკუთარ საფუძვრ-კარწყელსა ავად (ანუ საჭურჭლე თინად) სახელდებული მიწისა და შიგან წყარო-ბინულისა ძებნაშიო. ბარემ აქავ ვიტყვი, რომა თავისი შედგენალობისადა კვალო-ბაზედ ღია პოხიერი, კოშტი, გლუვი და მკვრივი მიწა ესე ხანგრძლივ იტვრის ხინოტივესა, და ისიც აგრე ვაგლახად არცა ორთქლდება და არცა იწრიტება.

ესრეთ, რაღა ფიცი და ჭდე უნდა, ძალზედ სარცხვინულია მუდამ და ყოველგან, მარჯულ და მარცხულ ვალება, იმის მაგიურად, რომა ირჯებოდე და მოიღვაწებდე. სესხება, ვგონებ, მხოლოდ მაშინ ეგების, ოდეს მაშურალ კაცსა თავისი გასამრჯელო-სარეწავი არა ჰყოფნის ან არადა, უღამელად და ერთბაშად ეგარგვის ხარხო-საბადებელი.

გარნა თავი გავანებოთ ამა ლაპარაკსა. დღეის იქითა მევალეთ ნულა გადაკვიდები, რაც იყო, იყო, მკელი შემინდვია.

— მადლობისა თქმის მეტი არცაღა დამრჩენია, — ჰრქვა პანურგმა. — და უკეთეს ჩვენი მადლიერება ჩვენთა მწყალობელთა იმა სიყვარულსა უნდა ეფარდებოდეს, რასაცა ისინი გვძღვნაინ, მაშინ შენდამი ჩემი მადლიერება უსაზღვრო და უნაპიროა, რამეთუ რასაც შენ სიყვარულსა მაგრძნობინებ, ფასდაუღებელია, ყველაგვარ წონასა, რიცხვსა და საწყაოსა სჭარბობს, უსაზღვრო და უნაპირო სიყვარულია. ხოლო მადლიერებისა ზომა თურთმ კეთილისყოფისა და იმა სიხარულისა ზომასა უნდა ესატყვისებოდეს, რა სიხარულსაცა სიკეთე-ქმნილი განიცდიან, მაშ, აბა ვერ დაგშხარდამხარებივარ და ეგ არი. ნამეტან ბევრსა სიკეთესა მიშერები. უფრორე მეტსა, ვინემ ვერ არს, უფრორე მეტსა, ვინემ ვიმსახურებ, უფრორე მეტსა, ვინემ, გულახდილად ვეიტყვი, ვღირვარ. თუმცაღა კი არცა იმოდენსა, ალბათ შენ რო ჰგონებ.

გარნა ესა სულაც არა მიქნჯნის სულსა, არცა მჭამს და არცა მფხანს. შენ ის მითხარი, ვალთ რო გაუუბრი თუ ავაყენებ და გავისტუმრებ, მერმე რა უნდა ვქნა? დამიჯერე, ისე ვარ გაზრდილი, უვალობისა არა გამეგება რა. რაღა დაგიმალო და, ძანაც ვიშიშვი.

სხვა რომ არა უთქვათ რა, აწ ვინაც კი სამადოსა შინა გააჭაჭუნებს, სუყოველი ქვეშით ნაბერვი უეჭველად მე მომხვლება შიგ ცხვირში. რაც კი ქვეყანაზედ გამჭაჭუნებელი არიან, როს აჭაჭუნებენ, თან იმას გაიძახიან: „მოხვლეს ვალაყენებულსაო“. ჩემი დღენი დათვლილია, უკვე ვგრძნობ. ლოღწერისა შედგინება შენთვის მომინდვია. მთლად ნაჭაჭუნარი ჩავდივარ საფლავსა შინა. უკეთეს რომელსამე მდედრსა, მუცლისა ტკივილისგან გვემულსა, ქარებისა დამაცხრობელი სახიადავო რამ წამალი არას არგებს, მაშინ აბა ჩემი არადმაქნისი და ნაჭაჭუნარი მემიისა ფხვნილი უსიკვდილოდ მოუხდება. სულაც კნინად რო დაუნიშნოს მკურნალმა, მეტი არ უნდა, მდედრი ისა იმისთანა ჭაჭუნსა და ქვეშით ბერვასა მოჰყვება, თავალვე გატბუნდება.

აი რად გვედრი აგრე ყელგადაგდებული, რო ერთი ორასიოდე ან სამასიოდე ვალი დამიტოყო მიხედვისამებრ მეფე ლუდოვიკო მეთერთმეტისა, რომელსა სამსაჯულო საქმეთაგან მოლ დ'ილიეს, შარტრისა ეპისკოპოსისა, განრინება უნდოდა, მაგრამ ის იმდენს ეაჯა, რამოდენიმე საჩივარი სავარჯიშოდ ახში დამიტოვეთ, იმანაც უარი ვედარ უთხრა და დაუტოვა. ჩემთა მევალეთ, აგრე

მარხევნია, სალოკოკინოდან მიუუბოძებ და ცოფის ჭიისასაც ზედ სართად გამოვიღებ, ოღონდ თავნი შეშანარჩუნებინა.

— მოდი თავი გავანებოთ ამა ლაპარაკსა, — ჩაურთო პანტაგრუელმა, — ერთხელ ავი ვითხარი უკვე.

ერქინული
ბინჯიქიქიქიქი

თავი VI

რისა გამო თავისუფლდებიან ახალცოლშერთულნი
სალაშქრო გეგარისბან

— რომელმან სამართალმან დააწესა და დაადგინა, — დაუკითხა პანურგი, — რო ბავისა, ანუ ახალი ვენახისა ჩამყრელთ, ახალი სახლისა აღმშენებელთ და ახალცოლშერთულთ ერთის წლითა უწევუნ ლაშქრად წაყვანისა ვადასა?

— რომელმან და, მოსეს სამართალმან, — მიუგო პანტაგრუელმა.

— მერე რაღა მაინცადამაინცა ახალცოლშერთულთ? — კვალად ჰკითხა პანურგმა, — მევენახეთ სულაც არ დაუეძებ, ჩემდროულ კაცსა რა მევენახება: ჩეტაი, იმათ მოასთვლევინა, ვისაცა მოსასთვლელი აქვს. და არცა კიდევ ხურონი უსულო ქვათანი შემეფვანია ჩემის კაცობისა წიგნში. მე ცოცხალ ქვათა, ანუ კაცთა ხუროობა მიღვია თავსა.

— ჩემის გაგებითა, — მიუთხრო პანტაგრუელმა, — აქა თაობითვე ერთი რამ მიზანი იყო: ახალცოლშერთულთ პირველი წელიწადი დიამც სიყვარულთაში გაატარონო, ჩამომავლობაზედ იზრუნონ და შემკვიდრენი იყოლიონო, დადათუ მეორე წელიწადსა დაიხორციელებდნენ კიდეცა, სახელი და ბეჭედი იმათი ეგრევე შვილთ გადაეცემოდათ. თანაც იმის შეტყობაც ესწრებოდა, ახალმოყვანილსა რძალსა ბერწოვენება მოსდგამდა თუ შვილიერება (ერთი წლისა გამოცდილება დია საკმარისად ითვლებოდა, ვინათგან მაშინ ჯვარსა კარგა მაწიფული ასაკისანი იწერდნენ), რა არი პირველი ქმრისა სიკუდილისა შემთხვევაში ხელმეორედ შესაფერად გაუთხოვებინათ: ვინცავე ბერწოვანი არ გამოდგებოდა, ისეთსა ატანდნენ, ვისაცა თავისი მოღვმისა გამრავლება ეწადა, ბერწოვანსა კი ისეთსა აყოლებდნენ, ვისაცა შვილიანობა სულაც არ ესურვებოდა და ცოლსა ოდენ იმისთვის ირთაუდა, ვითარმედ სათხო, საზრიანი, სატურფალი ქალი იყო, ოჯახში მყუდროებასა დაუსადგურებდა, სახლსა გაუძღვებოდა.

— კარუნელნი ქადაგნი კი ვმობენ მეორე ქორწინებასა, — ჰრქვა პანურგმა, — სიგიჟეაო, თავისი მოჭრააო.

— ჰო, იმათ თვალში ვგ იგივე ცხროა, — კვერი დაუკრა პანტაგრუელმა.

— მაშა აბლავისა თვალშიცა, — განაგრძო პანურგმა, — ოდეს პარელიესა შინა ქადაგებდა და მიწასთან ასწორებდა მეორე ქორწინებასა, პირდაპირ წაროქვა, ეშმაკისა კერძიმცა გაუმხდარვარ, თუ რომ ასი ქალწულისა პატივისა ახდა არ მერჩივნოს ერთი ქერივი დედაკაცისა გამოთოფვასაო.

შენის მოსაზურისა საბუთიანობა ჭკუასთან ახლოა. მაგრამ რას იტყვი, უკეთუ, როგორც მე ვგონებ, ახალცოლშერთულთათვის ერთის წლითა ვვიან ლაშქრად წაყვანა იმიტომ დაუწესებიათ, რაკი სრულად პირველსა წელიწადსა ისინი ცოლთა თანა ღალბასა უნდებიან (დიახამც სჯულიერად და სიმართლიანად) და სათესლესისხლძარღვდაწრეტილნი ისედა არიან დაქანცულნი, ჯანგაცილნი და გასაკათებულნი, რო საომრად შებმისა უამსა უფრორე ადღალში

ბუდარაობასა არჩევენ, ვითა იხვნი, ვინემ მეომართა და მხნე ერისაგანთა გვერ-
დივერდ იმა აღვილას დგომასა, სად ენიო' საჯრობს და სადაცა ფიცხელი კვე-
თებაა, რადგანაც მარსისა დრომა-აღმისა ქვეშე არც ერთსა არცრა კვეთებისა
ძალი და ღონე არღა შესწევს? მოგვხსენება, მთავარი ბრძოლა უნდა გარდახდი-
ლი აქვთ თავიანთი დობილის - ვესურას გავალაკისა, ანუ სარეცლისა ფარდისა
ქვეშე და კვეთება აბა იქ იყო თუ იყო.

ჩემის ნათქვამისა საბუთად თუ რამ ჩვენში ძველსუძველესი ზნე და წე-
სია შემორჩენილი, ერთ-ერთი ის არი, რო სუყოველ რიგიან თჯახსა შინა
დღესაქამომდისინ იცავენ ესევეთარ ჩვეულებასა: ქორწილიდან რამოდენიმე ხნი-
სა შემდგომ - ზუსტად ვერ ვიტყვი, მერამდენე დღესა - ახალცოდშერთულსა
ყმაწვილკაცსა მავანი და მავანი ბიძისა მოსაკითხად აგზავნიან, რა არი დრო-
ებითად განაშორონ ქმარი ახალგაზრდა ცოლსა, რა ცოტა სული მოითქვას,
მომაგრდეს და მერე, ოდეს უკან მობრუნდება, უკვე ძალღონემოცემული კვილად
გბეროს სამგურელსა, თუშცაღა კი ძალიან ხშირად არცავინ ბაძა ჰყავს და
არცავინ კიდევ მამიდა. რაღა შორს მივდივარ: სარქიანეთისა სიახლოვესა ომ-
გარდახდილმა მეფე აჭაჭუნემან, მართალი თუ გინდა, სულ კი არ გამოგვეყარა
ზე და ერთი ჩემი ჯუჯულად სახელდებული ოჩხუმი, წადით, თავისუფალნი
ზართო, არა, შინ მოსამჯობინებლად გამოგვიშვა. სხვათა შორის, ჯუჯულა ისა
ჯერეთ კიდევ ეძებს თავის სახლსა. მახსოვს, ჩემს პატარა ბიჭობაში პაპაჩემის
წოდლიდელა მეტყვიდა ხოლმე:

საკრავი გიჯობს რომელი,
აკვრეყინებდე სწორსაო;
შკვრელი მხნე, დაუშრომელი,
მაშვრალს აჯობებს ორსაო.

ყოველივე ამასა ის გარემოება ძალაპარაკებს, რა მეზურენი პირველსა
წელიწადსა თითქმის ვერცროდის ვერა ჭამენ თავიანთ ყურძენსა და ვერა სვა-
მენ საკუთარსა ღვინოსა, აგრეთვე ვერცა მაშენებელნი აფარებენ თავსა თივი-
ანთ ახალსა ჭერსა, ვინათგან ეშინით, ემანდ ჰაერისა ნაკლებობისგან არ და-
ვიხრჩოთო, რისა გამოცა ეგზომ გულმეცნავად უბნობს გალენისი მშვიინვისა,
ანუ სუნთქვისა სიძნელისათვის დაწერილ თავის მეორე წიგნსა შინა.

კითხვა ესე კი იმად შემოგბედე, რაკილა საფუძვლიანი საფუძველი და სა-
ბუთიანი საბუთი მქონდა. წუ გამიბრაზდები.

თავი VII

ვითარ დაუთმავა პანურგმა, როგორც კი ყურში
რწყილი გაიჩინა, თავისი დიდებული საბიძალი

მეორე დღესა პანურგმა, ებრაული ჩვეულებისამებრ, ბრძანა, მარჯვენა
ყური გამიხვრიტეთ და ზედა თქროს მონახჭული რგალი დამკიდეთო, რო-
მელსა შიგან რწყილია ჩასმულიო. რათამცა გაუცხადებელი არცრა დაგრჩეთ
(მერე რა საამოვნო რამ არი, თუ კაცი ყველაყასა ჩახვედრილი ხარ!), აქავ გა-

ეწეებთ, რომ რწყილი შავი იყო, ხოლო შენახვა იმისი ჯდებოდა, ზუსიე-წუწიე აღრიცხული, სულაც არა იმაზედ მეტი, ვინემ ერთი პირკანიული ძუ ვეფხვისა ქორწილი დაჯდა, ესე იგი მიახლოებრივ ექვსასი ათასი მარკვედი სამ ავეში. აწ, ოდეს ვალაყრილი იყო, პანურგსა ესოდენ უზომო ხარჯა ჭკუაში არღა მოუვიდა, და გარდაწყვიტა, რომ რწყილისთვისა იგივე ესმია და ეჭმია, რასაცა მტარვალნი და კექილნი მიირთმევენ, ანუ ქვეშევრდობის უფული და სისხლი.

სიხსნისი

მერმე მან ოთხი წყრთა მსხვილი სკლატი მოიძია, სადა რამ თარგისა ჩაყაროხუნებული ღართი შეიკერა, განიძარცვა საწმერთული, თავსაბურავზედ სათვალე მიიბა და ესეგვარად წარუდგა პანტაგრუელსა. ისა დია განცვიფრდა ამისთანა ბერიკაობისა მხილველი, უმეტესად კი იმა ამბავმა განაცვიფრა, რაკი ვერღა დაუნახა საუცხოო და დიდებული საბიძალი, რომელსა ზედა პანურგი, ვითარცა ხსნა-გადარჩენისა ღუზაზედ, ყველაგვარი ჭირისგან და უბედურებისგან საშუელად თვის უკანასკნელ დასაყუდარსა აფუძნებდა.

რადგინცა პანურგსა გულისპასუხსა ვერ მიუხვდა, ქველმა პანტაგრუელმა შეკითხვა მიუძარჯვა, რასა ნიშნავს უჩვეულო ესე ბერიკაობაო.

— რასა და, რწყილი გაძინდა ყურში, — განუცხადა პანურგმა, — ცოლისა წოყვანა მინდა.

— ღმერთმან ხელი მოგიძარცოს, — მიუგო პანტაგრუელმა, — ძალიანაც გამახარე. შენსა სიტყვასა ვენდობი. ოღონდ შევეარებულნი შენებრ არ იქცევიან: საწმერთულჩაბდილნი ანღა კიდევ სულ უიძისოდ არა ვლიან, შიშველ პუხლთ ქუმეჯაკსა, ანუ კვართსა არა ამაღვინებენ, წესიერ და კეთილზნიან კაცთათვისა ეგრე არასაკადრისად ქუსლებამდისინ დაშუებულსა და მაგისთანა უცნაური რამ ფერისა ღართსა არა იმოსავენ. თუ რომ ვინმე მწვალებელი ანდა განდგომილი ოდესმე შენგვარად შემოსილა, მიწყვი პირმოთნეობად, ცრუობად და მდაბიო ხალხსა ზედა მძლავრობისა წადილად მიუღიათ. დაღათუმცა აწ სულაც არა ვაპირებ იმათ განკითხვასა და მკაცრი განჩინებისა გამოტანასა. სუფოველი კაცი ისერივად ირჯება, ვითარ საღი აზრი უკარნახებს, მეტადრე თუ საქმე ზერელე, კინი და უბალისოა, არცა კეთილია, არცა ბოროტი, არ გამოინასკულა არცა ჩვენსა გულში, არცა შეგნებაში, თრიე კი, როგორცა გულ, ისე შეგნება, ნამდულიად ომ სახლია შემამზადებელი ყველაგვარი კეთილისა და ყველაგვარი ბოროტისა: კეთილისა, უკეთუ გრძნობა კეთილია და უკეთუ წმინდა გრძნობა წარმართავს, ხოლო ბოროტისა, უკეთუ გრძნობა უერაკულად გაუხრწნია სულსა ცბიერსა. გარნა არამცა და არამც ჭკუაში არ მიჯდება ხარუქისა სიყვარული და წეს-ჩვეულებისა სიძულვილი.

— ფერიო, რაღაც წელან ახსენე, — გაუტრიზავა პანურგმა, — შარდისფერი დიახამც ზედგამოჭრილია, სკლატ-მაუდში, იცოცხლე, კარგად ვერკვევი, ქსოვილი ესე ჩემად მოქსოვილია, და, მართალი თუ გინდა, ამიერ ახალ წესსა უნდა მიუღიო და თავსაცა უფრორე მეტად მივხედო. რახან ვალაყრილი ვარ,

შორია, ჩემისთანა პირქუშსა კაცსა მეორესა ვერა მოიხილავ, დაღათუ ღმერთმან არ გადმოძხედა.

ერთი სათვალეზედ შემომხედე. შორით უსაცილოდ ძმა ვან ბურუუა გეგონები. სარწმუნოდა ვარ, გაისად ისევ დაუიწყებ ქრისტეს ჯვრისა სახელზედა ქადაგებასა, ოღონდაც კი ბირთენი და შუბნი მთელად კვქლნდეს.

ხო ხედავ ამა სკლატსა? შერწმუნე, ერთი ფრიად იღუმალი რამ თვისება აქვს, ცოტა ვინმესთვის თუ ცხოვრილი. ჩაცმითა დღეს დილას ჩაიცვი და უკვე კავშირადი, ტანში მზრზნის, ერთი სული მაქვს, ვინემ გვირგვინსა ვაფსკვნიდე და დღისა გავაგდებინებდე ცოლსა, თუნდაც რო სულ ჯობი პირტყან, მაინცა. მერე რა სახლისა უფალი დავდგები! ოღეს წუთისოფელსა მოეჭამ, ვუწყოდისა გოცონსა შემინთებენ, რა არი სახსოვრად შეინახონ ფერფლი ჩემი და ესეგვარად პატივი დამდონ დია მოჭირნახულე კაცსა. მჩორეცა მჯობდეს კატისა, კეთუ სამღურავი დამდეს ამა ჩემისა სკლატისა! ესევითარ სკლატსა ზედა მიწყვი ქაღალდსა უნდა შლიდე და სულ ბლუჯა-ბლუჯა ვერცხლსა შერიდე, ათას ოხერსა და მამაძაღლსა უცხვირპირო ცხვირ-პირსა უნდა უგლიდე!

აბა, ერთი წინიდანაც შემომხედე და უკანითაცა: ტოგა მაცვია, ბატონო, ჰეელთა რომაელთა შესამოსელი მშვიდობიანობისა ფაშსა! თარგი და გამოჭრილობა ტრაიანეს სუეტიდან გადმოვიდე, რომში როა, აგრეთვე კიდევ სუბტიმიუს სვეერუსის ძლევისა თალიდან. ბეზარსა ვარ მოსული, ნულა გამაგონებ ომსა, ნულა დამანახებ საქვეითო ჯარისა მსახურისა ნურცა ქუქუნაკსა და ნურცა კაბა-ჯუბასა. ჯავშნისგან ბეჭებილა მტკივა, ჟანგსამც შეუჭამია. საჭურველი, გაუმარჯოს ტოგასა! თუნდ წრულად მერმის მაინც, უკეთუ მართლა მოვიყვან ცოლსა, გუშინ ვითარ განშიმარტე ამა ამბისა გამო მოსეს სამართალი.

საწმერთულისა თაობაზედ კი უნდა ვთქვა, რი უწინდელსა დროში პაპი-დაჩემ ლორანსასგან გამივთნია, საწმერთული საბიძლისთვის მოუგონიათო.

აქა ის აზრია, რა აზრითაც ძვირფასმა ობროლმა გალენოსმა ჩვენის გვამსხეულისა ნახსამისა დანიშნულებისათვისა დაწერილ მეცხრე წიგნსა შინა წართქვა, თავი თვალთათვის გაჩენილიათ. მე შენ გეტყვი, ბუნებასა არა ძალედ-ვა თავისა მუხლებზედ ანდა იდაყვებზედ გამობმა, დაღათუშტა თვალნი რო შექმნა, რათა ესა თუ ის საგანი შორით მოგვეჩილა, ისინი თავსა შიგან ჩასხა, თავი კი, ვითარცა ტარი რამ, ტანისა ყოვლის უფრორე ზევითა ნაწილსა დაადგა, როგორც რო შუქურასა და თავკომკსა დგამენ ხოლმე მაღალსა ადგილსა ზედა, რა არი შუქი შორითვე ჩანდეს.

და ვინადგან და რადგანაც რამოდენიმე ხანსა — ერთ წელიწადსა მაინცა — ლაშქრად წაყვანისგან თავდახსნა და ცოლისა მოყვანა მწადს, ამად დავუტევე საბიძალი და, მაშასადამე, საწმერთულიცა, რამეთუ საბიძალი თაკიდათავი რამ აბჯარია მეომრისა. და აწ რა სატანჯველსაც უნდა მიძცენ, ვინდ თვით გოცონსაც კი (ოღონდ დაუგზნებულსა), ჩემსასა არამცა და არამც არ გადავალ და ვიტყვი, რო თურქნი მაინცადამაინცა კარგად შეჭურვილნი ვერ არიან, ვითარმედ საბიძლისა ტარებასა კანონი უკრძალავთ.

თავი VIII

რად არის საბიძალი თავიდათავი აბჯარი მამარისა

— მაშ, აღარ იმლი, — მიუთხრო პანტაგრუელმა, — ამტკიცებენ ქრისტიანთა საბიძალი თავიდათავი სალაშქრო აბჯარია, არა? ახალი და უფროსი მწიგნობრო-ქსული აზრია, აქამდე ვუწყოდით და მიღებულია, რომ საჭურველისა გაწყობა ღებთავან იწყება.

— დიახამც, ვამტკიცებ, — წართქეა პანურგმა, — და ვამტკიცებ სულაც არა უსაფუძვლოდ.

აბა, შეხედუ ბუნებასა, რომელსა თვისგან გაჩენილი სუყოველი მცენარისა, ხსსა, ბუჩქისა, ბალახ-ბულახისა თუ ზოოფიტისა¹ დამკვიდრება და შენარჩუნება რაკილა ისერიგად უსურვებია, რო ყველაგვარ სახეობასა მიწყოვ ეცოცხლა, თუნდა კერძო ცალარსი რამ ძირიანად ამოვარდნილიყო, მუღმივობა ესა კი სახეობისა ბუტკოსა და თესლითა ჩაფესვებული, რარიგ მზრუნველად შეუჭურვია ისინი, ბუტკოცა და თესლიცა, თავ-თავისი არცერთისთვის არა დაუკლავა რა და დია მარჯვედ შეურჩეუია იმათდა საფარველად კურჩხ-პარკი, გარსი, აფსკი, ხეჭბ-ნაჭუჭი, კილ-ჩენხო, ბუდე, ქაცვი, ბუსუსი, ეკალი, რანიცა საუცხოო, გამძლე, ბუნებურ საბიძალი წარმოადგენს. სამაგალითოდ ვიტყვი ბარდასა, ცერცვსა, ლობიოსსა, კაკალსა, ატამსა, ბამბასა, კოლოქვინოსსა, ანუ შერანგსა, მარცვლეულსა, ყაყახოსა, ლიმონსა, წაბლსა — საერთოდ სუყოველ მცენარესა, რამეთუ თვალცხადად უჩანთ, რო ბუტკო და თესლი უფროარე უკეთესად აქვთ დაფარული, დაცული და შეჭურვილი, ვინემ სხვა რამა. ადამისა ტომისა გულისთვის ბუნებასა აგრე არ უზრუნია. ის კი არა, ადამიანი სულმთლად შიშველ-ტიტყელი, ფაფასუა, აზიზმაზიზი მოუვლენია და არცრა საჭურველი, არცრა აბჯარი არ გამოუყოლებია, რო ან შეეცია, ანუ თავი დაეცვა, უბიწობისა ჟამსა მოუვლენია, ჯერეთ კიდევ ოქროსა საუკუნეში, სულდგმულად მოუვლენია და არა მცენარედ რადმე; სულიერად მოუვლენია, მშვიდობისად ჩაუდგამს სული და არა ომისად, კიდევ იმად ჩაუდგამს, რო სუყოველი უცხო რამ ნაყოფი ეგებებისა და დედამიწისა ზურგზედ აღმოცენებული ყველაგვარი ხე-ბალახისა ცქერითა დაეტკბო, აგრეთვე ყოველთა პირუტყვ-ცხოველთა ზედა მშველობიანად ეჭუფებინა.

რკინისა საუკუნეში, იუბიტერის მეფობისა ჟამსა, კაცთა შორის ბიროტება მომეტებულა, და მაშინ მიწასა ჭინჭარი, ნარშაკი, კვრინჩხი და სხვა ათასნი ძისთანანი წარმოუშეია. წამერთ ასჯანყებია, ამლია სრულად მცენარეულობა ადამისა შვილსა. მერე ახლა თითქმის ყოველნი ცხოველნი განგებისა ძალითა განდგომიან კაცსა და უტყვად შეუკრავთ პირი, რო არა მარტო არღა ემუშავათ იმისთვისა, არამედ, რაც ძალი და ღონე პქონდათ, წინააღსდგომოდნენ და შეძლებისდაგვარად ევნით კიდევცა.

რაკი უწინდებურად ტკობა და უწინდებურადვე მეუფება სურვებია, ხედვით კი ხედავდა, რო მრავალთა პირუტყვ-ცხოველთა უსამსახუროდ იოლად ვერ გავიდოდა, ამდგარა ადამისა შვილი და იძულებულად აღჭურვილა.

— წმინდა ღერღელსა ვფიცავ, — შესძახა პანტაგრუელმა, — რაც ყველობამ, ანუ წვიმახშირობამ გადაიარა, შენა მარტიო ფარსავა ჰებრუვე კი არა, სიბრძნისმეტყველიცა გამხდარხარ.

— აწ იმასაც მიაქციე ყურადღება, — მიუთხრო პანურგმა, — ვითარ ჩააგონა ბუნებამან კაცსა შეჭურვა, და გვამ-სხეულისა როქველი ნახსაქიდან დაიწყო მან საჭურვლისა გაწყობა. სუყოველსა წმინდანსუ ეფიცავი მსურვალადან, ანუ ყვერთავან, კვერცხ-კაკალთავან დაიწყო. გაკვთნება:

უკეთესი პრიაბესო
ვერაფერი მიაბესო.

ამისა მანიშნებლად პირდაპირა აქვს თქმული ებრაელთა ბელადსა და სიბრძნისმეტყველსა მოსესა, რომლისა მტკიცებისდა კვალად ადამისა შვილმა საჭურულად წინა აისხა დია ყინჩი, კოხტა საბიძალი. მეტად მარჯვედ ქმნილი ღელვისა ფოთოლთავან, ღელვისა ფოთოლი კი თავად ბუნებისგან სწორედ რო ზედგამოჭრილია ამა ამბისთვის და თავისი სიმაგრისა, დაკბილულობისა, მოქნილობისა, სიგლუვისა, სიდიდისა, ფერისა, სუნისა, აგრეთვე სხვა ბევრი თვისებისა თუ თავისებურებისა გამო სავსებით მოხერხებული რამ არი ყვერთა დასაფარავად და დასაცავად.

საზარელი ზომისა ლოთარინგიულ ყვერთ არამცა და არამც არა მივათვლი: ისინი არცრად აგდებენ იმა ფაფვ, ხალვათ სადგომსა, საბიძალთა შიგან რომ ეპოვებათ, და ეგრევე წვივსაცმელთა, ანუ შალვართა შიგნიშიგან ცვივიან, მე შენ გეტყვი, სჯულსა რასმე ემორჩილებიან. აქა დაეიმოწმებ ვიარდიერსა, სახელგანსმენილსა მუსუს-მეჭაკესა, ზედ პირველსა მაისს რო გადავეყარე ნანსსა შინა: ამოყრილნი ყვერნი ტაბლაზედ დაეფინა, ვითარცა ესპანური საკუხი, და იწმენდ-იკრიალებდა.

ამიტომ არი რო ვინცაეინ სოფლისა ლაშქრისა ერისაგანსა, საომრად წელსარტყლიანსა, ეუბნება:

მოუარე, ბიჭო, ღორაკსაოქ, —

ანუ მავ შენსა გოგრასაო, სწორედ არა უბნობს. უნდა უთხრას:

მოუარე, ბიჭო, კოჭბურასაო, —

ესე იგი, საუკუნო ჯოჯოხეთისა ყოველთა ეშმაკთა ვფიცავ, ყვერთაო.

უკეთუ კაცი თავსა კარგავს, თავსა უკვდება, ხოლო ყვერ-საურვალისა დაკარგვა მთელ ადამისა ტომსა ღუპავს.

აი რად დაასკვნა აგრე გაბედულად ზრდილმა გაღვენოსმა, De spermate* გაიხსენე, პირველი წიგნი, რო გულისა უქონლობა სჯობს (უფრორე მცირე ბოროტება იქნებოდაო) საშვილიერო ასოთა უქონლობასა. რამეთუ სუყოველი ასო ესა, ვითამცდა სჯულისა რამ კიდობანი, ადამისა მოდგმისა დღევრძელობასა ინახავს. თუ გინდა ას ფრანკზედ დაგენიძლავები, რო ესენი სწორედ ის ქვებია,

* „თესლთათვის“ (ლათ.).

რომელთა წყალობითაც დევკალიონმა და პირამ წარღვრისა ეამსა დაღუპული ადამისა ტომი აღადგინეს². მერე რამდენი წერეს მგობანთ იმა წარღვრისა გამო! აი რად ჰგონებდა ქველი იუსტინიანე, De cagotis tollendis ვახხხენე, მეოთხე წაგნი, რო summum bonum in braguibus et braguētis

ამაჲ და აგრეთვე სხვა მიზეზთა გამო, ოდეს სენიორ დე მერვილი თავის მეფე-ბატონთან ერთად სალაშქროდ წასვლისა თადარიგსა იჭყნდა და ახალ აბჯარსა იზომებდა (ძველი, გაყანგული აბჯარი უკვე არად უვარვოდა, რადგანაც უკანასკნელ ხანსა იმის მუცლისა ოდრიკალი ძალზედ დაუშორიშორდა ჭაჭებსა), ცოლმა თვალი რა შეავლო, გულისხმაში ჩავარდა, რი სულ არ უფროთხილდებოდა ისა ქორწილისა უკან უკვე ორივეს საერთო კუთვნილ ჩანთა-იარაღსა, ვითარმედ არცრითა ჰქონდა დაცული, გარეშე ჯაჭვ-ქირაფქისა, და უმეტეს სიძაგრედ ზედა დიდი ჩაჩქნისა აფარება ურნია, რომელი ჩაჩქანიცა არავინ უწყის, რისთვისა ჰქონდა სენა-საკუჭნაოსა შინა ჩამოკიდებული.

დიახამც ამა დიაცისა გამოა თქმული ა ს უ ლ თ ა ც ე ლ ქ ო ბ ი ს ა მესამე წიგნში:

ცოლმა საომრად მიმაუალი იხილა ქმარი და, რა დაუცველს თვალი ჰკიდა იმის საბიძალს, უთხრა: „იცოდე, არა ავნო მე ჩემს საფიცარს, კარგად შეჯავშნე, არ დამღუპო, უფარე ფარი“ შიშატანილი კიდევ დიდხანს ენუკვა ქალი, — უიმისობა არ აშინებს რომელ კაბიანს? თმი თმია, სად მოგხვდება, რა იცა, ხმალი, არადა, მამრსა იმის ფასი არცრა აბია.

ყოველივე თქმულისა შემდგომ არცალა უნდა ვაგიკვირდეს ჩემი ახალი აღჭურვილობა.

თავი IX

ვითარ მთათბირება კანურბი კანტაგრუელსა, ცოლი მოვიყვანო თუ არაო

ვინაიდან კანტაგრუელი ვაკრინტებული იყო და არცრასა ეტყოდა, კანურმა სულ ხვნეშა-ხვნეშით განაგრძო სათქმელი:

— მოგეხსენება, მეფე-ბატონო, რო ცოლისა მოყვანა განვიზრახე, უკეთუ, ჩებდა სავადალოდ, სუყოველი ხვრელი არ ამოივსო, არ დაიჩურთა და არ დაიგნანა. თუ რომ ისევ ისე ძველებურად გიყვარვარ, მითხარ ერთი, რა აზრისა სრძანდები ამა ამბისა გამო?

* „ცრუღვთისმოსავთა ამოძირკვისთვის“ (ლათ.).

** უმაღლესი რამ სიკეთე საწმერთულთა და საბიძალთა შიგან არი. (შუა საუკ. ლათ.).

— რახან წილი უკვე ვიყრია, — მიუთხრო პანტაგრუელმა, — მაგ ამოცანასა შესჭიდებიხარ და მტკიცედ გარდაგიწყვეტია, მორჩენილი საქმეი, განზრახუა უნდა აღასრულო.

— მართალი ბრძანებაა, ოღონდ ჯერეთ შენსა რჩევასა და ჰიობასა ვულოდები, — მიუგო პანურგმა.

— თუ ეგრე გინდა, დასტური დამიცია, ჩემგან ნარჩევად ჩათვალე, დაქორწინდი, — მიუთხრო პანტაგრუელმა.

— დასტური კი დავიცია, მაგრამ, — სიტყვა გაუტრიხავა პანურგმა, — უკეთესი ფიქრობ, რომ აწინდელსა მდგომარეობაში ყოფნა მირჩევნია და არცრა ცვლილებასა არ უნდა ვეძიებდე, მაშინ აბა დაუქორწინებლობასა ვამჯობინებდი.

— ეგრე თუა, ნუ დაქორწინდები, — მიუთხრო პანტაგრუელმა.

— კარგი, ბატონო, მაგრამ ნუთუ ისა გწადს, რომ მარტომმარტომ ვწიო წუთისოფლისა ჭაბანი და მხარში არცვინ ამოვიყენო? — შეესიტყვა პანურგი. მოგეხსენება, რომ საღუთო წერილსა შინა თქმულია: *Veh soli.** უცხოლო კაცისა გული ისე ვერ იშვებს, როგორაც ცალიანისა.

— მაშ, აბა დაქორწინდი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — მიუთხრო პანტაგრუელმა.

— მაგრამ ცოლმა თუ რქანი დამასხა, აწ, თავად უწყი, რქოსანთა წელიწადია, ეგრევე მოთმინებასა დავკარგავ, — შეეპასუხა პანურგი. — რქოსანთ არცრასა ვერჩი, ძალიანაც მიყვარან, დია წესიერი ხალხია, ვმეგობრობ კიდეცა, ოღონდ სიკვდილი მიჯობს გარქოსანებასა, ამაზედ ფიქრი თავიდან არა მშორდება.

— შენც ნუ დაქორწინდები, — მიუთხრო პანტაგრუელმა, — რამეთუ სენეკას წარმოსიბრძნულსა წყალი არ გაუვა და უგამონაკლისოა: როგორაც შენ სხვათ მოქცეუიხარ, სარწმუნოდ იყავ, შენცა ისე მოგექცევიანო.

— მაშ, შენა უბნობ, უგამონაკლისოაო, არა? — დაეკითხა პანურგი.

— მე კი არა ვუბნობ, ის გამორიცხავს ყველაგვარ გამონაკლისსა, — მიუთხრო პანტაგრუელმა.

— ეჰეჰ! — წართქვა პანურგმა, — ჯანდაბას იმისი თავი! კაცი ვერ გაიგებს, რომელ ქვეყანასა გულისხმობს: სააქაოსა თუ საიქიოსა. კარგი, მაგრამ უცხოლოდ თუკი მაინცდამაინც ვერ გამაქვს თავი, კითა ბრძასა უარგნოდ (ამა საოხრომ უნდა იბუღრაოს და იღერძაოს, თორემ ისე გინდ ყყოფილვარ, გინდ არა), განა არ მირჩევნია, რომ ავდგე და ვინმე პატიოსანი. მობათრებული ქალი შევიროთო, ვინმე ყოველდღე ახალ-ახალი ვიცვალო და სულ მეშინოდეს, ემანდ ერთი კარგა არ მიმეუფონ ანდა, კიდეც უფრორე უარესი, ცუდი ჭირი არ ავიკიდო-მეთქი? წესიერ დიაცო კი, სუყველა ქმრისა წინაშე ბოღში მომიხდია, ჯერეთ არ გადაუყრივარ.

— რახან არ დაგიშლია, დაქორწინდი, ღმერთმა ქნას, და წარმართებულიყავ და გაგმარჯვებოდეს.

— მაგრამ, ღუთისა ნებისამებრ, თუ ისრე მოხდა, რომ წესიერი დიაცი შევიროთე, იმან კი თავში ჩაჩქუნი დამიწყოს, დასტურ იობისა უმეტეს ტანჯვასა მი-

* ვაი მარტომყოფელსაო. — „ეკლესიასტე“, IV, 10.

ვეცემი, უკეთუ მაშინვე სიბრაზისა ცეცხლსა არა წავიკიდებ ვარაყანმორეული. გამიგონია, წესიერნი დიაცნი ანჩხლნი არიანო, ვაი იმათ გაძლებასათ. მე, იცოცხლე, უარესსა უუზამ, მოელსა არ შევარჩენ არცა ხელთ, არცა ფეხთ, არცა თაჟსა, არცა ფილტვთ, არცა ღვიძლსა, არცა კიდევ ელენთასა, რაც რამ ტანზე და ეცრევა, სულ მთლად შემოვახვე და შემოვაგლეჯ, ისეთსა დღეშიც შევაჯდებ, ბუნნი, ქასქანჯიელი იმის ცოდვილსა სულსა პირდაპირ ვოჯოხებოქსა ჩხდუტბდზედ დაუდარაჯდეს. ისე, ნეტამც ერთ წელიწადსა მაინც მაცხოვრა უამდავიდარბოდ, ხოლო სრულად სიტკბო თუ დაგვეკვებებოდა, ხო კიდევ უფრორე უკეთესია.

— მაშ, სულაც ნუ დაქორწინდები, — მიუთხრო პანტაგრუელმა.

— კარგი, მაგრამ, — შეესიტყვა პანურგი, — თუ ძველებურად უცოლო და უთანანადებო, ანუ უვალთ დავრჩი (ნუ დაგავიწყდება, რომ რაც ვი რამ ვალი მქონდა, ჩემდა საუბედუროდ ავიყარე, რამეთუ ჩემთა ღოვალეთ არცრა დაამშვილებდა, ვინემ მოსადევარ-ჩამომავლობასა არ გავიჩენდი), თუ არცა ვისიმე ვალი დავიდე და არცა ცოლი შევირთე, არცვინ ჩემთვისა არა იხრუნებს და, ტყუილია, ოჯახური მყუდროებისა იმედი არღა უნდა მქონდეს. ვავსატკივრდები და, მტერს, სულ წინუკმო მიწამლებენ. ბრძენსა უთქვამს: სადაცა დედაკაცი არ არისო, — ოჯახისა დედასა ვგულისხმობ, სჯულიერსა თანამეცხედრესა, — იქა სწულსა შავი დღე აღვასო. ამისა დასტურია ცხოვრება პაპთა, ლეგატთა, კარდინალთა, ეპისკოპოსთა, აბატთა, წინამძღვართა, მღვდელთა და ბერთა. მე ნუშეც გენახე ამა შავსა დღეში.

— რაც არი, არი, აღუქი და დაქორწინდი, ღმერთიმც შეგეწევა! — მიუთხრო პანტაგრუელმა.

— კარგი, მაგრამ, ერთიც ვნახით, დავჯანდაგდი და ვერღა ვუქმრე, — შეესიტყვა პანურგი, — ცოლმა კი, ჩემი უძღურებისა გადამკიდემ, სხვა ვინმე გაიჩინა და არა მარტო არღა მომიარა, საცინლადაც აიგდო ჩემი სიდუხჭირე და (რაცა ყოვლისა უარესია) სულ ერთიან განმძარცვა, ვითარ შავანისა თავსა არაურთუზის მომხდარა, მეტი რა ჩარაა, უნდა ავდეგ და უნიფხვოდ დარჩენილმა ორი ქა ვიცე თავში.

— მაშ, აბა, ნუ დაქორწინდები, — მიუთხრო პანტაგრუელმა.

— კარგი, მაგრამ, — შეესიტყვა პანურგი, — მაშინ ვერცროლის ვივოლიებ ვერცა სჯულიერ ძეთა და ვერცა ასულთ, ვის ჩემსა სახელსა და ბეჭედსა გადავცემდი, ვის ჩემსა ქონებასა ვუანდერძებდი, მაშაპაპეულსაცა და კეთილშენადენსაცა (ქონებასა კი ერთხელაც რომ ნამდვილ შევიძენ, ამასა არ უნდა ფიცი და მტკიცე, და წილადობილ ღალასაც კარგა ბლომად ჩავინხრიალებ), ვის, ჟამითი ჟამად შეურვებული, შევაქცევისებდი თავსა, ვითარ დღეყოველ ჩემთა თვალთა წინარე შენთან შეექცევა საყვარელი, ქველი მამაშენი, ვითარ შეექცევიან ყოველნი წესიერნი კაცნი თვისთა ცოლ-შვილთა თანა. და უკეთუ უვალოდ და უცოლოდ დარჩენილი ვერცრასა წარუვმატები, იმის მაგივრად, რომ ნუგეშინი გეცა... მუნ რომ შენა ხარ, შენცა კბილქვეშ მოიტან, დასცინებ ჩემსა ბედშაობასა.

— მაშ, დაქორწინდი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს! — მიუთხრო პანტაგრუელმა.

თავი X

ვითარ უმტკიცებს პანტაგროსელი პანურგსა, უმძლავრისა
ამბავში ბაოზა, ანუ რჩევა-ღარიბება კალხედ საქმელოთ,
და აბრეთვე ჰომეროსისა და ვერვილიუსის^{ჟე} კვალად
მისნობა-მსახვრალობისა ბაჟმ^{ჟე}

— მაპატიე, ბატონო, მაგრამ ეგ შენი რჩევა-თათბირი ვინმე ფაცურას თუ
ფაფხურას დაძახილად ხმობილსა სიმღერასა მაგონებს, — ჩაურთო პანურგმა, —
ცარიელი თაყსაცილი, ქილიკობა და წინაუკმობაა. ერთი გამორიცხავს მეო-
რესა. არ იცი, ხელი რასა ჩასჭიდო.

— უკლისად სუყოველსა შენსა შეკითხვაში კი იმოდენი უკეთუა და იმოდენი
ძაგრაშია, ვეცრასა დაასაბუთებს და ვერცრასა კიდევ გზიანსა დაასკვნის კაცი,
შეესიტყვა პანტაგროსელი. — შენსაზედ კვალად შეურყეულადა ხარ, არა?
მთავარი ეგ არი. დანარჩენი გარემოებათა დამთხვევისა და განგებისა ამბავია.

ბევრნი ვიცე, დაოჯახებასა ისერიგად გაუბედნიერებია, იტყვი, ცოცხლივ
სამოთხეში არიან და ნეტარებენო. ხილი ვიეთნი დაოჯახებულნი იმზომ უბე-
ღურნი არიან, ოდენ თებაიდისა და მონსერატისა! უდაბნოსა შინა დაყუდებულ-
თა მაცდუნებელ ეშმაკეულთ თუ დაედრებიან. მაშ, რ. ხან არღა ღაგიშლია და
ბედისა გამოცდა გარდავიწყებია, წა, ანდედ იარე, ოდონდ წინასწარად თვალნი
აიხვიე, თავი მოიდრიკე, მიწასა ემთხვიე და უფალსა მიენდე. ჩემგან ნურცრასა
თავდებობასა ნუ ილოდინებ.

განაღა, უკეთუ გწადს, ერთი რამა ესინჯით, კერგილიუსისა ნაქმნ-აღნაქვსნი
მოიღე, წიგნსა ფრანხილი უმარჯვე, სამჯერ გადაშალე, და რომელი ლექსიცა
ამოგივა, — სათვალავსა წინაწინ დავთქვამთ, — ის გვეტყვის, რა ბედისაცა იქნები.

ჰომეროსისდა კვალად მისნობა-მსახვრალობასა რომ ბევრი ჩაუგდია გუ-
ლისხმაში, მაგალითად სოკრატე გამოდგება; ოდეს დილეგში აქილევსისა ნასი-
ტყვიდან ლექსი წაუკითხეს (ილიადა, IX):

“*Ἡματὶ καὶν τριτάτῳ Φθίγγι ἐρίδωλον ἰχοίμην.*
თუ არ შევფერხდი, გზაში მიწყვივ იღბალმა, მდია,
ხუც მოსავლიანს უსიკვდილოდ ჩავალწევ ფთიას, —

ის უმალ ჩახვდა, რომ სამ დღეში აღესრულებოდა, და ესქინესაც არწმუ-
ნებინა, აგრე მომივაო, ვითარ შესახებ ამისა უბნობს პლატონი კრიტონში,
გაიხსენე აგრეთვე ციცერონისა De divinatione*, წიგნი პირველი, და დიოგენე
ლაერტელი.


მაგალითადვე გამოდგება ოპელიუს მაკრინუსი, რომელსა გულითა სწადდა
გაგება, რომისა იმპერატორი გავხდები თუ არაო, და ესე ლექსი ამოუვიდა
(ილიადა, VIII):

*Ω γέρον, ἢ μάλα δὴ σε νέοι τείρουσι μαχηταί.
Σὴ δὲ βίη λέλυται. χαλεπὸν δὲ σε γῆρας ὀπάξει.*
მოხუციო, აწდა უჩვეულო გმართებს ძაგრობა,
ჭაბუკ შემართ ვანუზრახავთ შენთან საგრობა.
ვაი რომ ავად გაგჩენია ჭირთა სიბევრე
და სამარისკენ მიგაქანებს საწყალს სიბერე.

* „მისნობისა გამო“ (ლათ.).

და მართლაც აგრე მოხდა: მაკრინუსი უკვე კარგა ხნერი იყო, და ქვეყანასა ოდენ წელიწადი და ორი თვე მართავდა, შემდგომად ჭაბუკმა და ძალგულოვანმა პელიოგაბალუსმა დაამხო და მოაკვდინა.

მაგალითადვე გამოდგება ბრუტუსი; ოდესცა მან შეტყობა მთინდომი, ვითარ გასრულდებოდა ფარსადისა ომი, საბედისწეროდ რომ ექცა, პატროკლესვან თქმული ლექსი ამოუვიდა (ი ლ ი ა დ ა XVI);



'Αλλά με μοίρ' βλή, και Αητινς ἔκταθεν υἱός.
ბედმა, ლეტოს ძემ, ხელი მიკრა მოქნეულ ოროლს,
და ევფორბოსმა ორბოძალით მოშიღო ბოლო.

საბრძოლო სამახელი იმა ომში აპოლონიისა, ანუ ფებოსისა სახელი იყო. აგრეთვე ვერგილიუსისდა კვალად მისნობა-მსახვრალობასა ჰქონდა უწინდელსა დროში განთქმულობა და სუფოკელთ უჩვეულო და დია საგულისხმიერო რომ ამბავთ უწინასწარებდა, თვით რომისა იმპერიაში ტახტზედ აღსვლასაც კი, როგორცა ესა ალექსანდერ სევერუსსა მოუვიდა, რომელსა თავისი ბედი ქვემო-რე ლექსმა დაანახვა (ე ნ ე ი დ ა, VI):

Tu regere imperio populos, Romane, memento.
ჰე, რომაელო, ამა ქვეყნად შენსა ზეობას
თანმოყოლე მშვიდობა და კეთილმზეობა.

დასტურ, სულ რამოდენიმე წელიწადში იგი მართლაც იმპერატორად მოუკლინა რომსა.

აწ დავიმოწმებ რომისა იმპერატორ ადრიანესა, რომელსა ეჭვი ღრდნიდა, ნეტავი ჩემზედ რასა ფიქრობს და რა გული აქვს ტრაიანესათ, და ვერგილიუსის-და მიხედვით მისნობა-მსახვრალობა რომ იწყო, ქვემო-რე სტრიქონ-ტაუბთ ჰკი-და თვალი (ე ნ ე ი დ ა, VI):

Qui procul ille autem, ramis insignis olivae
Sacra ferens? Nosco crines incanaque menta
Regis Romani.

კაცსა დიდებულს ზეთისხილის უჭირავს ტოტი,
აგრე ამაყად მომხირალი ვინ არი ნეტავ?
შესამოსელი, მხცე-ჭაღარა ამშვენებს მუტად,
ვიცან, მეფეა რომაელთა, აქეთკენ მოდის.

არ გაუვლია ბევრსა ხანსა, და იგი ტრაიანემ იშვილა, იმისი სიკვდილისა უკან კი გაიმპერატორდა.

დავიმოწმებ ღირსდაქებულსა კლავდიუს მესორესა, რომისა იმპერატორსა, რომელსა ქვემო-რე ლექსი ხვდა, (ე ნ ე ი დ ა, VI):

Tertia dum Latio regnantem viderit aetas.
რომი ერთხელაც მოგინილავს ხელმწიფედ ქველსა,
მაგრამ სხვა მოვა, ჩამოვაგდებს მესამე წელსა.

და მართლაც იგი ოდენ ორსა წელიწადსა ზეობდა.

იმავ კლავდიუსსა, ოდესცა მან ბედისა შეტყობა მოინდომა თავისი ძმისა კვინტილიანესი, ვისთვისაცა ქვეყნისა გამგებლობის გადაცემა ჰქონდა განზრახული, ამოუვიდა (ენეიდა, VI):

ქვეყნისა
ბიზანტიისა

Ostendent terris hunc tantum fata.

ბედი ქვეყანას დაანახვებს იმას წამისად.

და აგრეც მოხდა, რამეთუ კვინტილიანე ჩვიდმეტ დღეში მოკლეს მას უკან, რაც რომ ქვეყნისა გამგებლობასა შეუდგა.

იგივე ბედი ერგო იმპერატორ გორდიანე უმრწემესსა.

კლოდიუს ალბინუსსა, თავისი ბედ-იღბლისა მცდელსა, ქვემორე ლექსი ამოუვიდა (ენეიდა, VI):

Hic rem Romanam magno turbante tumultu
Sistet eques, etc.

მხედარი ესა ჩააწყნარებს შფოთსა და ომსა,
წყსრიგს აღადგენს, განამტკიცებს კვალადვე რომსა.
დაახვეწინებს კართაგენელთ უკან მალიად
და ამბოხებულს დაიურვეს მერმე ვალიას.

დავიმოწმებ იმპერატორ დ. კლავდიუსსა, აერულიანეს წინამორბედსა, რომელსა ერთი სული ჰქონდა, ვინემ შეიტყობდა, შთამომავლობა შეყოლებდა თუ არაო, და ამოუვიდა (ენეიდა, I):

His ego nec metas rerum nec tempora pono.
ვერა განესაზღვრო ამა გვარის წელთა მრავლობა,
არ გამოიღვეს არაოდეს ჩამომავლობას.

და მართლაც იგი დია ნაშენმრავალი წინაპარი გამოდგა.

დავიმოწმებ ბატონ პიურ ამის, რომელიცა ბედსა სცლიდა, ავი სულისა მზაკვრობასა დავადწევ თუ არა თავსაო, და ქვემორე ლექსი მოხვდა თვალში (ენეიდა, III):

Heu fuge crudeles terras, fuge littus avarum.

დააგდე მხარე, სადაც ყოფნა მართლა ჭირია,
სად არც მთა ვარგა, არცა ბარი, მიწა მწირია.

და დიადაც მრთელი და უვნებელი განერიდა იგი აესა სულსა.

კიდევ ბევრი შემთხვევისა გახსენება შეიძლებოდა, ოდეს უკლებლივ ყოველივე ამხდარა, რაც კი რამ ვისმე ესეგვარად ხვდომილ ლექსში ამოსვლია, მაგრამ ვრძლად დაპარაკი მოგვიწევდა.

თუმცადა, მერმე აზრი რომ არ გამოგეცვალოს, ძალიან ვერ დაგაიმედიახვებ, მისხობა-მსახურალობისა ესე ხერხი სრულად უცდომელია-მეთქი.

თავი XI

ვითარ ამბიციებს პანტაბრუელი სამისნო-სამსახვრალოდ
კამათლისა შრის საქრახველობასა



— სამი კამათელი რო გვეყარა და ისე გვემისნა-გვემსახვრალდეს, საქმე უფროსე მართლად და სწრაფად იქნებოდა, — მიუთხრო პანურგმა.

— არამცა და არამც, — შეესიტყვა პანტაბრუელი, — ეგვიტარი მისნობა-მსახვრალობა სამართლისა საწინააღმდეგო, სათაკილო და დია საკიცხველია. არცროდის არ ქნა ეგა. ღვთისგარეგანი წიგნი ვითარ შექცევია სამისნო-სამსახვრალოდ კამათელსა, უწინ თავად გაცთა მოღვმისა მტრისგან შეთხზულია აქაიაში, ბურისა ახლორე, და იმითი იყო, რომ ჰერკულეს ბურელისა აღალმისა წინარე! მრავალნი მალემრწმენელნი უცდუნებია, — როგორ-აც ბევრგან არცა აწ აკლებს ხელსა, — და სუყოველნი თავისად მიუბირებია. კარგად მოგვხსენება, მამანემძან გარგანტუამ სრულიად თავის სამეფოსა შინა აღკრძალა ესე წიგნი. ეგრეუ ნახჭიან-ნაჭრეთ-ნახატებიანად ცეცხლსა მისცა, მოსრა და ძირიან აღმოფხვრა ვითარ ფრიად უსაშიშრესი რამ გადამდები ჭირი.

რაიცა აწ კამათლისა გამო ვითხარ, სათამაშო ვეგისა თუ პოლტის. ანუ კოჭისა ვაიოცა იმასვე გეტყვი. ერთიცა და მეორეცა მაცდურობაა. თუ რომ რაიმ ხორი გაქვს, ნუ დაიმოწმებ ტიბერიუსსა, რომელმან მარჯვედ სტეორცნა ვეგა გურიონისა ორაკულის აპონისა სარაჯსა. ამა საცდურთ აბრიყვებინებს მიწრიელი ყოყელსა მიაძიტსა სულსა და საუკუნო სატანჯეკელსა უმზადებს.

გარნა შემდგომ რომ არა ინახო რა, წინააღმდეგში სულაც არ გაგიხდები, უკეთუ აიღებ და ეხლაე ამა ტრაპეზსა* შედა სამსა კამათელსა ჰყრი. რაერთ ქულასაც მოაგროვებ, ზუსტად იმავე სათუალავისა ლექსსა მოვივარგებთ. რომელ ვერდსაცა გადაშლი, იქა. თანა გაქვს კამათელნი?

— მთელი ერთი ქისა, — მიუთხრო პანურგმა. — ესა ხო იგივე ეშმას ფოთოლია² თანახმად მერლენ კოკაის თარგმანებისა, გაიხსენე De patria diabolorum, მორე წიგნი. ეშმასა გინა უკამათლოდ ვუნახივარ და გინა უმწვანეფოთლოდ, სულ ერთია.

პანურგმა ამოიღო კამათელნი და აყარა, ხუთიანი, ექვსიანი და ხუთიანი მოუვიდა.

— ესეც შენი თექვსმეტი, — წართქვა მან. — მაშ, გადაშლილსა გვერდზედა მეთექვსმეტე ლექსი მოგვივარგებია. რიცხვი, მართალი ვითხრა, მომწონს, ვატყობ, საამოუნო რამ ამომივია, აბა, მიმიფანტ-მომიფანტავს ეშმაკეულობისა მიჯრილი მწყობრი და ეგ არი, ვითა ქიგური, ანუ ხისა ბირთვი მიფანტ-მოფანტავს ხოლმე კეგლისა რიგსა ანდა ჭურვი ქვეითი ჯარისა ათასეულსა. დიამც, ეშმაკისა საჯიჯგნიცა გამხდარა ჩუმი სული, უკეთუ ქორწილისა პირველსავ დამესა ეგოლენჯურვე ვერ მივცხე ჩემსა მოძავალსა თანამწოლსა.

— სულაც არა ვეჭვნეულობ, — მიუთხრო პანტაბრუელმა. — ნუ მოჰყევი მაგ ხარისა დამცემელსა ფიცილსა. გინდა, არ გინდა, წინაპირველად ერთსა უცილოდ დააცდენ და ამისათვისცა თხუთმეტად ჩავეთვლება, სამაგიეროდ დილაადრიან კვალად მოახვედრებ სასაგნოსა, და ზუსტად თექვსმეტი გამოგივა.

— მართლა ეგრე ფიქრობ? — დაეკითხა პანურგი. — არა, ბატონო, ამა ჩემსა გულოვანსა მორკინალსა, ჭიპქვეშ ვუშავად რომ მიღვას, მარცხი არა სჩვევია. გინახივარ ოდესმე, რო ემტყუნოს, ხელი გამდგომოდეს? არცროდის, ეგრე-

თი რამ თავის ღღეში არ ვიცვი, რა არი. ჰკითხე ყოველთა წმინდა და პატიოსან მამათ, ვაგორება და დასმა ჩემი მოგონილია. მოუწოდე, და სუყოველნი ყომა-ბაზნი დაგემოწმებინ.

მას უკან ვერგილიუსისა წიგნი მოიღეს.

ვინემ გადაშლიდა, პანურგმა სიტყვა ჰკადრა პანტაგრუელსა: —

— გული მკერდშიგან ისეგვარად მიფრიალებს, როგორც ცხობა ღრიალებს ქარში. მოდი ერთი, მაჯა გამისინჯე, აი აქა, მარცხენა ხელზედა. სიხშირეცა და ვსებაცა იმისთანა მაქვს, ალბათ იფიქრებ, სორბონში თუა და პაუქრობისა უამსა კარგა მაგრა ჯგულებენ, ქიშტსა სცემენო. როგორ იტყვი: ვინემ მისნობა-მსახე-რალობასა შეუუდგებოდეთ, ხო არ მოგვეყვანა აქა ჰერკულესი და ქალღმერთი ტენიტნი, რომელნიცა სამისნო სეფედარბაზში უპირველესობდნენ თურმე?

— არცვისი მოყვანა საჭირო არ არის, — მიუგო პანტაგრუელმა. — წიგნი გადაშალე, ეგ აჯობებს.

თავი XII

აქა პანტაგრუელი მისნობს და მსახვრალობს ვერგილიუსისდა კვალად და განსაზღვრავს, რაგვარი გმლი შეხვდება პანურგსა

და რა გადაშალა პანურგმა წიგნი, გადაშლილსა გვერდზედა სათვალავითა მეთექვსმეტე ლექსმა აუწყა:

Nec deus hunc mensa dea nec dignata cubili est.
 ღმერთი ნადიმად არ დაისვამს, არ უხაროდეს,
 არცა ქალღმერთი არ დაიწვენს გვერდით აროდეს.¹

— ვერ არი შენი საქმე კარგა, — დაასკვნა პანტაგრუელმა. — ლექსი ამბობს, რომა ცოლი ფეხმსუბუქი, მოტანტალე შეგხვდება, შენა კი, მამასადაძე, რქოს-ნობა-რქიანობა, ანუ შემრუშე ცოლისა ქმრობა ვიწერია.

ღმერთქალი თუ ქალღვთაება, რომელიცა არა გწყალობს, მინერვაა, ზავ-თიანი ქალწული, ყოვლისშემძლე ღმერთქალი, მეხმტყორცნელი, მოძულე როგ-ორაც რქიანთა, ისე ქარაფშუტათა, მღვეწელი ღალატისა, მემტერე გარყენილ, ღირწ მღედრთა, ქმრისთვის მიცემულ სიტყვასა რომ გადადიან და სხვათ იწე-ნენ. ღმერთი იუპიტერია, მეხდაბტეხელი, მეჭეჭაქუხილე.

უნდა მოგეხსენებოდეს, რომა ძველთა ეტრუსკელთა სწავლისდა თანახმად, მანუბიებსა (ავრე იწოდებოდნენ იმათგან ეულკანურნი ელვანი) გამოაკრ-თობენ ოდენ მართ მინერვა (აქა საბუთად გამოდგება ხანძარი, აიამს ოილიდის ხომალდთ რომ გაუჩნდა²) და თავისმიერი მამა იმისი იუპიტერი³. ოლიმპისა სხვა ღმერთთ კი მეხთა და ელვათა ტყორცნა, ანუ მეჭეჭაქუხილეობა არა ხამთ. ამი-ტიმაც ისინი კაცთათვისა არცათუ საშიშარნი არიან.

ყური მიგდე, და რასაცა აწ გეტყვი, უძველეს ანდრეხთა, ანუ ოდინდელი მითოლოგიისა ექსტრაქტად მიითვალე. ოდეს ტიტანნი ღმერთთ აეშადნენ და აუჯანყდნენ, ღმერთნი პირველში თავსაცვილსა აყრიდნენ თვისთა ავისა მნდომთ და უბნობდნენ, ესეგვართა მორევნა ჩვენთა მსახურთაც კი არ გაუჭირდებოდათ.

გარნა ტიტანთ ასახ მთა პელიონისა მთაზედ რა ააკოკილავეს, ოლიმპისა მთა კი მოსაძრობად გააქან-გამოაქანეს, რათა სულ მადლა მოექციათ, იცოცხლე, ღმერთნი უმაღ შიშმა აიტანა, ერთიანად ფახადი მიეცათ. მაშინ ადგა იუპიტერი და ფეხონსა, ანუ საკრებულოსა უბმო.

საკრებულოზედ განაჩინეს, რომ ღმერთნი, ერთხორც და ერთსულ, გაბედულად შეუტევდნენ. და რადგანც არაერთგზის იყვნენ მხილველნი სილაშქრო ბანაკსა შინა დიაცთა ყოფნისა გამო წაგებულნი ბრძოლა-საგრობისა, იმა აზრზედ დადგნენ, რომე ყოველნი ურცხვ-ლირფნი ღმერთქალნი დროებითად შესქნელიდან აეყარათ და ეგვიპტეში სადმე ნილოსისა სათავესთან განეხიზნათ, წინ-წინ კი ვიეთი სინდიოფალად უნდა ექციათ, ვიეთი კვერნად, მაჩქათელად, მყვარად, ზოგი კიდევ რად და ზოგი რად. დატევებითა მარტოოდენ მიხერვა და უტევებს, რა არი იუპიტერისა მხარდამხარ მეხი და ელვა ეტყორცნა, რამეთუ ქალღმერთი ბრძანდებოდა ყველაგვარი სწავლისა და ომისა; ქალღმერთი ბჭობისა და ახლომა-აცხადებისა; ქალღმერთი, ქვეყანაზედ შეჭურვილად მოვლენილი; ქალღმერთი, ხარდამცემი ცასა შინა, ჰაერში, ზღვასა და ხმელსა ზედა.

— ეშმაკი წყლისფერია! — შესძახა პანურგმა. — მე რა, ვითომ ვულკანუსი ვარ, რომლისა გამო მგოსანი უბნობს? ტყუილად არა თქვა! მე არცა ფეხნაკლული ვარ, არცა რიოში თეთრისა მჭრელი და არცა კიდევ კვერისა ხურო. და რახან აგრეა, მაშ, აბა იმის ვენერაზედ ნაკლებ პირწყლიანსა და სათნო ცოლსა არ უნდა შემახვედროს ბედმა, ოღონდ არა იმისთანა როსკიპსა, მე კი რქოსნობა-რქიანობა არა მწერებია და ეგ არი. იმა კოჭლმა გაიძვერამან ცისა და მრავლისა ღვთისა წინაშე აკი თავად მოითხოვა, რქებისა მქონებლობაზედ დასტური დასეცითო. ამად წინასწარმეტყველება ესე წინაუკმოდ უნდა გაუიგოთ.

წილხვდომილი თუ ხვედრილი ღმერთისა კვალად ჩემი ცოლი დია თავდაჭერილი, თავდაცული და სანდო დიაცი ჩანს, სულაც არა შეჭურვილი, არა ავზნე, არა მამისა ტვინით გარდმოვლენილი უტვინო პალადა, შენი ღოთიანნი მექალთანე-მუსუსი იუპიტერი კი ჩემი მოცილე ვერ იქნება და თავის პურისა ღუკმასა ჩემსა შეჭამანდში ვერ ამოაწებს, ოდესაც ერთად ვუსხდებით ტაბლასა.

აბა, ფარსაგ დააკვირე თვალი იმის ღვაწლსა და საჭოჭმანებსა ქცევასა იმისთანა ბილწი ვაც-ბოტი, ანუ თხისა ერკემალი, იმისთანა უწმინდური ბოზკურაობისა მიმდევარი ქვეყანაზედ ჭერეთ არ გაჩენილა და არცრა ბოტი არ დაბოტებს. წუწკი და აუხორცია, ვითარცა კერატი, გამოუყვერავი ტახი. კანდიისა ჭალაკზედ რო დიქტეს მთაა, იქა ტყუილად კი არ გამოუზრდია ნუზესა, უკეთუ არა ცრუობს აგათოკლე ბაბილონელი. მართლაცდა, უვაცესი და უბოტესია. იმასთან სხვა მამალი თხა რა მოსაყვანია. ამოდ არა უბნობენ სხვანი და სხვანი, ძუძუსა აღმათეად ხმობილი თხა აწოვებდათ. აქერონტსა დაეაფიცებ, ერთხელაც ეგრეე ზედ შეაჯდა სრულად ქვეყნიერებისა შესამედსა, პარუტყვთა და კაცთ, მდინარეთა და მთათ: ესე იგი ევროპასა. ამა გავაცბოტებისა გამო იყო, რომ ამონისა თაყვანისმცემელთ იუპიტერისა გამოსახვა წინამორულ თხად, ანუ რქადაგრეხილ ელქაჯად ბრძანეს.

ჩემთან ვერცრასა გახდება, მე ვიცო, როგორაც უნდა ვერიდო და ვუფროხილდე ამა ბოზკურისა. დოყლაპია ამფიტრიონი არ გეგონო, არცა ასთვალა ბრიყვი არგუსი, არცა შიშიბალა აკრისიოსი, არცა ვინმე თებელი მეოცნებე ლიკე, არცა დარდაკი აგენორი, არცა ცომცომა დაბდური ასოპე, არცა ფეხბანჯგვლიანი ლიკაონი, არცა ტლანქი ტოსკანელი კორითე, არცა ალაწოდა ატლანტი. დიამც ათასჯერ ქცეულა გედად, ხარად, სატირად, ოქროდ, გუგულად (სწორედ გაგუგულებულმა დააკარგვინა ქალწულობა თავის დასა იუნონასა), არ-

წივად, ცხვრად, მტრედად (რომლისა სახითა გაუმიჯნურდა ქალწულსა ფთია-სა⁶, ეგიონში მოშენე-მსახლობელსა), ცაცხლად, გველად, თვით რწყილადაც კი ეპიკურეულ ატომად ანდა, მაგისტრონოსტრალურად თუ ვიტყვი⁷, მეორეულ ინტენციად⁸ — სულ ერთია, რადაც უნდა იქცეს, მაინც დედასა ვუტირებ. იცის რას ვუხამ? რასა და, ეშმაკმა დალახვროს, რაიცა სატურნმა⁹ თაჟის მამასა ურანოსსა უყო (სენეკამ აკი მიწინასწარა, ლაკტანიუსმა კი დამოტყუშართა), რაიცა რეამ ატისსა დამართა: ორივე ყვერსა დაუდუხჭირებ, წავიდეს მერმე და ირიგაოს! პაპადაც არღა ივარგებს, რამეთუ *testiculos non habet*.⁹

— კარგი, კარგი, ჩემო ბიჭო, — მიუთხრო პანტაგრუელმა. — მიდი, კიდევ გადაშალე.

პანურგსა ქვემორე ლექსი ამოუვიდა:

Membra quatit gelidusque coit formidine sanguis.

თავბირდამტვრეულს, ნაცემ-ნაბეგვს ვერცრაღა იხსნის,
გაშმაგებულა, გაჰყინვია ძარღვებში სისხლი¹⁰.

— ეგ ლექსი იმას მეტყველებს, რომ ცოლი წინიდანაც მოგახვედრებს, დაგქიშტავს, და არცა უკნიდან დაგაკლებს, — აუხსნა პანტაგრუელმა.

— პირიქით მითქვამს, — ხიტყვა გაუტრიზავა პანურგმა. — ამა ლექსისა აზრი ის არი, რომ ცოლი კი არ მომახვედრებს და კი არ დამქიშტავს, მე დავაყრი შავსა დღესა და ვეფხვებრ დავბუბნი, უკეთუ ჩიმბურსა ჩამიგდებს და გულსა მომაყვანინებს. იცოცხლე, მე იმასა გავსახრავ, გვერდებსა აუჭრელებ, სულ ზედ დაეამტვრევ ლელვერდსა, ანუ მოქნილსა სახრესა! ვერ დაეამტვრევ და, ეშმაკისა კერძიმც გაუმხდარვარ, თუ ცოცხლად არ შეეჭამო, ვითარ შეჭამა ცოლი თვისი კამბლეტმა, მეფემან ლიდოისამ.

— მამაცი ვართ, შენ უნდა იქვა, — მიუთხრო პანტაგრუელმა. — თავად ჰერკულესიც კი ვერ შეგებმოდა ბორგნეულსა. როგორც იტყვიან: ჟანი ორად ღირს, ჰერკულესი კი ორთან ვერასა ხდებოდაო.

— მე რა, ჟანი ვარ?¹¹ — დაეკითხა პანურგი.

— არა, ბატონო, — მიუგო პანტაგრუელმა. — ტრიკტრაკისა თამაშობა ვიგულისხმე.

შესამედ პანურგსა ქვემორე ლექსი ამოუვიდა:

Faemineo praedae et spoliarum ardebat amore.

მღვეარსა წამერთ დიაცური აღეძრა მაღა,
ხელში ჩაგდება მოუნდობა დიდძალსა ნადავლს¹².

— ეგ ლექსი იმას მეტყველებს, რომ ცოლისგან გაღვარსულა-გაძარცვასა ელოდე, — მიუთხრო პანტაგრუელმა. — აწ, სამგზის მისნობა-მსახვრალობისა შემდგომ, თვალწინ მიღვას შენი სვე-ხვედრი: ივლი რქიანს, ნაცემ-ნატყეპ-დაქიშტული, გაღვარსლულ-გაძარცული.

— პირიქით მითქვამს, — შეეპასუხა პანურგი, — ლექსი ესე იმას მეტყველებს, რომ ცოლსა სრულის სიყვარულითა ვეყვარები. უცილოდ მართალია სატირიკოსი¹³, ანუ წერილობით დამცინებელი, ოდესცა ბრძანებს, ამალღებულსა სიყვარულში ჩამწვარსა დიაცსა ხან კმაყოფილებასა ჰგვრის, უკეთუ თავის საჭრფოსა ასწაპნის რასმეო. სახელდობრ რასა? რასა და, ვთქვათ, ხელთათმანსა, ზოსტერ-ხონჯარსა, რა არი მერმე ამებნინოს. რასაცა ხელსა წაატანს, კნინსა, ცუდძალსა, არად ღირებულსა.

ამგვარადვე მცირე რამ ლაბარაკი და შუღლი, უამითი უამად საყვარელთა შორის გაჩენილი, ოდენ ამაცხოვრებს და აღაგზნებს სიყვარულსა. მღვსველიცა კვერსა ზოგჯერ იმად ურტყამს ქასურსა, რათა უკეთესად გაიღესონ და გამოიპიროს რკინეული.

აი რატომ ვგონებ, რომ სამივე ეს ნაწინასწარმეტყველვეი ჩემი დაქვია ბუნებაყრელია. სხვებრ არც ერთსა გაუსაჩივრებელსა არა გავუშვებდა.

— ბედისა და ფორტუნისა განაჩენსა არ ასაჩივრებენ, — შეესიტყვა პარტაგრუელი. — აგრე ამტკიცებენ ძველნი სჯულმდებელნი და სახელგანსმენილი ბაღლო (L. ult. C. de leg.*). მიზეზი ამისა ის არის, რომ ფორტუნასა არცრა მიაჩნია თავის თავზედ მალლა მდგომ ინსტანციად, სადაც თვითონ იმას უჩივლებდი ანდა იმის ნაწინასწარსა გაასაჩივრებდი. ამიტომ ვინცაუინ იმის ქვეშეურდომია, არცვის არა ძალუძს იმის განაჩენამდე არსებული დებულებისა აღდგენა, რისა გამოცა ბაღლო პირდაპირ ბრძანებს, გაიხსენე L. Ait praetor. § ult if. de minor.**

თავი XIII

ამა პანტაბრუელი ურჩევს პანურებსა, რომ სელი მიჰყოს ნასიზმრისა წართქმასა და ისე იწინასწარ-იმიხნოს, იღბლიანად იქორწინებს თუ არა

— მაშ, რახან ვერგილიუსისდა კვალად მისნობა-მისახვრალობისა გამო ვერ მოვრიგებულვართ, მოდი, წინასწარხელვისა სხვაგვარი რამ ხერხი მოვივარგოთ.

— მაინც რაგვარი? — დაეკითხა პანურგი.

— რაგვარი და, ფარსავი, — მიუგო პანტაგრუელმა. — ანტიკური და აუთენტიკური: სახელდობრივ კი ნასიზმრისა წართქმაზედ მოგახსენებ. რამეთუ ძილსა შინა, შესაბამად ვითარებათა და გარემოებათა, რომელთა აღგვიწერენ ჰიპოკრატე წიგნში — περι χυμνισμυ,*** პლატონი, პლოტინე, იამბლიქე, სინუსი, არისტოტელე, ქსენოფონტი, გალენოსი, პლუტარქე, არტემიდორე დალდიელი, ჰეროფილე¹, კვ. კალაბრიელი², თეოკრიტე, პლინიუსი, ათენოსი და სხვანი, სული ხშირად წინასწარ ხედავს მომავალსა.

აქა მიუცილებელი არ არის, რომ დავდგე და ყოველივე ესა წვლილად ვამტკიცო. ერთსა ყოვლისა უფრორე უბრალო ამბავსა გეტყვი: მოგეხსენება, ოდეს ჩვილნი გაბანებულ-გაღვრეჭილნი, ნაჭამნი და ნასვამნი არიან, მაშინ ისინი ხშირ ძილსა ეძლევიან, და ძიძანი გულდაარბეინებულნი მიაშურებენ ხოლმე ღბინსა — აწ ყველაფრისა უფლება აქვთ, რაც კი რამ მოებრიანებათ, რამეთუ იმხანად აკვან-ხოჭიჭთან იმათი ყოფნა არცრა საჭიროა. სწორედ აგრევე, ვინემ ჩვენსა გვამსა სძინავს და გამოღვიძებამდისინ არცრისა საჭიროებასა არა გრძნობს, საჭმლისა მონყლება კი ყოველგან შეყოვნებულია, სული ჩვენი ღია იშვებ-იღბენს და ესწრაფება საკუთარსა სამკვიდრებელსა, ანუ ცასა. იქა კვალად თავისი პირუანდელ-დასაბამიერი წარმოშობის განმასხვავებელსა ნიშანსა იძენს და მერმე, როს საჭვრეტ-სამჭვირობოდ იხდის უკიდევანო.

* „ს[ჯული] უკანასკ[ნელი], კ[ანონი],“ „სჯულ[თათვის]“ (ლათ.).

** [დიგესტები], კნინთათ[ვის], კ[ანონი] „პრეტორი უბნობს“. § უკანასკ[ნელი] (ლათ.).

*** „სიხმართათვის“ (ბერძ.).

სულიერსა სფეროსა, რომლისა ცენტრი თუ ცქიტი სამყაროს ყოველსავე წერტილშია, ხოლო გარესკნელი არა ებოვება (თანახმად პერმეს ტრისმეგისტეს სწავლისა, ესა იგივე ღმერთია), სად არცრა ხდება, არცრა მდინარეებს, არცრა იღუპება და არ წარიტყვენება, სად რამდენიცა დროებაა, სუყველა აწმყოა, სული ამცნევ-მოიხილავს არა ოდენ ამქვეყნიურ სამყაროში უკვე მომხდარსა, არამედ სამერძისოდ მოსახდენელსაცა, და ამა ამბავსა თავის გვამსა რომ მოუტანს და გრძნობათა თუ საგრძნობელ ასოთა მეოხება-საშუალებითა იმათაც რომ აუწყებს, ვის მიმართაც კეთილგანწყობილია, უფრორე გრძნეულდება და გულთმისნდება.

დაღათუმცა, იმისგან მოტანილი ამბავი სრულად არ ემთხვევა იმისგანვე მცნეულ-მოხილულსა, და მიზეზი ამისა საგრძნობელ ასოთა ზადიანობა და სუსტობაა: აგრევე მთვარე მზისგან სესხებულსა შუქსა ისე მცხინეარესა, წმინდასა, ძალუმსა და თვალისმომჭრელსა ვერღა გვაწვდის, როგორიცა თვითონა აქვს გამორთმეული.

აი რატომ არი, რომა ნასიზმრ-ზმანებულსა დია დახელოვნებული, ბრძენი, საზრიანი, გამოცდილი, გამჭრიახი და უებრო წარმთქმელ-ამხსნელი, ანუ ვითარ ბერძნელნი უხმობდნენ, ონეიროკრიტოსნი თუ ონეიროპოლოსნი ეჭირვებიან.

პერაკლიტეცა აკი ამავე მიზეზითა ამტკიცებდა, სიზმარი თავისთავად არცრასა გვიმხელს და გვიმჟღავნებს, არცრასა გვიმაღლავსო; ისა ზეგარდმო მიხაშნება და პირველსახეა იმა სიხარულისა და კაემნისაო, თავად ჩვენ რომ მოგველის ანდა კიდევ სხვასა ვისმეო. ამასა მოწმობს საღეთო წერილი, ეგევე დადასტურებულია საერო ცხოვრებათა თუ მატიანეთა შინა, სად მრავალი რამ მოთხრობილი ამბავი სწორედ ისეა მომხდარი, ვითარ სიზმრისა მნახველსა თუ მე სიზმრესა ანდა სხვა პირსა ზმანებია.

მსახლობელთ ატლანტიდისა და თასოსისა, კიკლადთა ერთ-ერთი კუნძულისა, აგრე მოხერხებული ვერა აქვთ ცხოვრება, რამეთუ იქა არცვინ არცროლის სიზმარსა არა ნახულობს. უსიზმრობა სჭირდათ აგრეთვე კლეონ დავლიდელსა და თრასიმედესა, ხოლო ჩვენსა დროში ფრიად განსწავლულსა ფრანგსა ვილანოვარესსა,⁴ რომელთ თავიანთ სიცოცხლეში არა უძილისშორისიათ რა.

ესრეთ, ხვალე, ოდეს მოზეიმე ვარდისფერთითიანი ავრორა ღამისა წყვილადსა გაფანტავს, მაშინვე დაწექ და დაიძილქუშ-დაიძილისგულე. ოდონდ სრულად ამა ხნისა განმავლობაში უცილოდ უნდა აშა ჰკრა, დაუუარო ყველაგვარსა მიწიერსა ვნებასა: სიყვარულსა, მძულვარებასა, სასოებასა თუ შიშსა.

ვითა როსმე დიდმა ყურსელა-მისანმა პროტევსმა, ცეცხლად, წყლად, ვეფხვად, გველეშაპად ქცეულმა და სახეცვლილმა თუ სხვა უცნაურ-საოცებელ ნიღბთ შეფარებულმა, ვერღა შეიძლო მომავლისა განჭვრეტა და იძულებულმა საამისოდ კვალად თავისი თავდაპირველი და ბუნებური გარეგნობა აღიდგინა, ისე ვერცა კაცი მოიხილავს ზეშთამგონებელსა და ვერ გაგულთმისნდება, უკეთუ ყოვლის უფრორე ღვთაებრივი ნაწილი (ესე იგი Nous* და Mens**)

* გონი (ბერძ.).

** გონი (ლათ.).

არ აღმოჩნდება აუმღვრეველი, მშვიდი და უშფოთველი, ვნებათაგან და ამქვეყნიურ ამბობათაგან აულელვებელი და დაუთურგველი.

— ბატონი ბრძანდები, — მიუთხრო პანურგმა, — ოღონდ რარიგ შეკუთვნის დღეისად ვახშმობა: გამოვძლე თუ არა? ესა ტყუილი კითხვა არ გვეთოს. უკეთუ მაძღრისად და გემრიელად არ ვივახშმებ, ვერცრა გზავნისა კვერ-ვილისშორისებ. ცარიელ კუჭზედა ძილიცა ცარიელი და ფუჭე ~~მეჭნება~~

— მე თუ მკითხავ, სულ უვახშმობა უფროისად მოვიხდებოდა, — მიუგო პანტაგრუელმა, — მეტადრე შენი სისრულისა და ზნისა პატრონსა. უწინდელა მისანი ამფიარაე პირდაპირ ითხოვდა, ვისაცა ჩემი ნაწინასწარმეტყველვეი ძილში უნდა გაუმყდაუნდესო, იმან სრულად ის დღე უნაწილოდ დაიღამოს და წინარე სამი დღისა განმავლობაში ღვინო არა სვასო, დალათუმცა ჩვენა ესეგვარ მკაცრ დიეტასა ვერ დავიწესებთ.

მართალია, სარწმუნოდა ვარ, ვითარმედ განჭიყლაპიასა და ღოთ-მებრუვესა ვისმე ძნელად თუ ენიშნება სულიერი რამ ამბავი, მაგრამ არცა იმათი მჯერა, რომელნიცა ფიქრობენ, ციურთა სავანეთ ხანგრძელი და გაუტეხელი მარხვა ყოვლის უფრორე უკეთ მოგვახილვინებსო.

გინდ მამაჩემი გაიხსენე, გარგანტუა (რომლისა სახელსაცა მოწიწებითა წარმოუთქვამ): ხშირად იტყოდა ზოლმე, მეუდაბნოეთა და მემარხულეთა სუყოველი წერილი ისეთივე ფოლხვე, მჭლე და ენაბრგვნილია, ვითარცა იმათივ ტანი და გვამიო; არადა, მართლაცდა ძალზედ ძნელია მროელი და მშვიდი სულისა შენარჩუნება, ოღეს სხეული გადამღვრძალია, თუმცადა კი გულმეცნავნი და მკურნალნი კაცნი ამტკიცებენ, მაცხოვარნი ძალნი არტერიულია სისხლისა წყალობითა ჩნდებიან, აღიძვრიან და მოქმედებენო, რომელი სისხლიცა იწმინდება და კამკამდება საკვირველსა ყალფალსა თუ ბადესა რასმე შიგან, ტვინისა პარკუჭთა ქვეშაო.

მამაჩემი სამაგალითოდ მავანსა და მავანსა გულმეცნავ კაცსა იშველიებდა, რომელ კაცსაცა ჰგონებია, სადმე განმარტოებული თუ ვიქნები, ხალხსა მოშორებულიო, უფრორე ადვილად შევიძლებ თარგმანებასა, განსჯასა და თხზვასაო, ნამდვილად კი პირიქით მოუვიდა: საითაც გაიხედავდა, ყოველგან ძალლნი ყფდნენ, მგელნი ყმუოდნენ, ღომნი ბღღვინავდნენ, ტაიჭნი ჭიხვინებდნენ, სპილონი ბღაოდნენ, გველნი სისინებდნენ, ვირნი ყროყინებდნენ, ჭრიჭინობელნი ჭრიჭინებდნენ, მტრედნი დვრინავდნენ, მოკლედ, ესა მეტად უშლიდა ხელს, ვინემ ფონტენეისა ანდა ნიორტისა ბაზრობისა ზიმზიმი, რამეთუ გყამი დაემენდოდა, და აყმუვლებული კუჭი სიყმილისა დაცხრომასა ითხოვდა, თვალთ უბნელდებოდა, სისხლისა მიმომქცეველნი ძარღვნი კი ხორციან ნაწილთაგან სუბსტანციასა სწოვდნენ და ქვევით ეწეოდნენ აწრიალებულ სულსა, რომელსაცა უგულუბლეყო თავისი მარჩენალი და თავად ბუნებისგან შეძღვნილი მასპინძელი, ანუ სხეული. აგრე სულ მადლა-მადლა იწევს და აფრენასა ღამობს მგერშველისა მეშწამოცმულ ხელზედ წამომჯდარი ფრინველი, გარნა ხეზი თუ დასაბმელი თასმა სულ ძირსა ეწევა.

აქავ დაეიმოწმებ ჰომეროსისა ავტორიტეტსა, ყოველთა მეცნიერებათა მამისასა, რომელიცა გვაუწყებს, ბერძენნი მანამ დასტიროდნენ პატროკლესა, აქილევსისა ერთგულსა მეგობარსა, სანამ შიმშილმა თავი არ აგრძნობინა და

კაცალკაცადსა გუჭი ცრემლისა გაღებაზედ არ დაეუარაო, რამეთუ ხანგრძელს მარხვითა დაუძღურებულ გვამ-ტანსა არცა ტირილისა თავი აქვს და არცა გამოდინებისაო.

ზომიერება მიწყვი სახაქებოა, მაშ, აქაცა იზომიერე. ნუ მაირთმევ ვახშმად ცერცვსა, ხორციულსა, მოლუსკებსა (რომელთ სიძინთაც უხმობენ), კომბოსტოსა, ყველაგვარ სხვა საზრდელსა, რასაცა შენთა შაცხოვართა ძაღთა აღძვრა და ამღვრევა ძალუძს. ვითარცა სარკე ვერ აირეკლავს ვერცრა წინარე მღებარე საგანსა, უკეთუ ზედაპირი სულთქმითა ანდა ნისლითა დაბინდული აქვს, დიდ აგრევე მშვიინვიერსა თუ გონიერსა სულსა ერთმეუა ძილსა შინა განჭვრეტისა უნარი, ოდეს გვამსა აღაგზნებს და აწუხებს ცოტა ხნისა წინათ შეჭმული საზრდელისა ანაორთქლი, რამეთუ სხეულსა და სულსა შორის დაურღვეველი რანთანხმობაა.

შენცა ადექი და რამოდენიმე სულ მორჩეული მსხალი, კრუსტუმენურა და ბერგამული, ერთი-ორიცა მოკლეყუნწიანად სახელდებული ვაშლი, მცირე-ოდენიცა ტურული ქლიავი და ჩემი ბაღისა ორტყუპა ალუბალი მიირთვი. შემან მზემან, შიში სულაცა არ გაივლო გულში, რომა ამისა გამო არეულ, მომაცთუნებელ ანდა საეჭველ სიზმართ იძილისშორისებ, ვითარ ზოგ-ზოგ პერიპატეტიკოსთ წარმოუდგენიათ შემოდგომისა სიზმარნი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რადგანაც შემოდგომაზედ ხალხი უფრორე მეტ ხილსა ჭამს, ვინებ წელიწადისა სხვა რომელსამე დროსა. ამაზედ გადაკრულად აქვთ თქმული ძველთა მისანთა და მგოსანთ: ცრუ და მომაცთუნებელნი სიზმარნი დაცვივნულ ფოთოლთა ქვეშე იმაღვიანო, და ხეთაგან ფურცლისა დაცვივნისა ყამი აკი შემოდგომასა მოსდევს. დაღათუმცა ნაყოფსა შიგან ბუნებისა მიერ დაწესებული დულილი, ორთქველა-შუშხუნში ადვილად რომ ატანს შაცხოვარ ნაწილთ (სწორედ აგრე დგება ამბოხი, ანუ პირს მაჭიდარი, დაუმჟავებელი მაჭარი), აწ რა ხანია უკვე განუღებულია და შემწყდარია. მაშ, ამაღ მოდი და ჩემი წყაროს საკვირველი წყალი იხმიე.

— შენი სუყოველი პირობა ჩემთყის საძნელოა, — მიუთხრო პანურგმა, — თუმცაღა კი უარსა არ ვამბობ, ჩიტნი ბღღვნად მიღირს, ოღონდ ერთი გია: დილისა ლუკმა ადრიანადვე მომიტანონ, სიზმრისა ნახვისთანავე. მერმე ავღკუბი და მივენდობი ჰომეროსისეულ ორსაც ბჭესა⁵, მორფევსსა, იკელესა, ფანტასესა და ფობეტორსა⁶. უკეთუ ისინი ხელსა აღმიპყრობენ, სულ ნახი გერმისა საკურთხეველსა დავუდგამ. არა მინდა რა, ერთი ლაკონიაში მქნა, ინოსტაძარში, ეტილოსისა და თალამეს საშუალ რომ არი, აბა, უცხო, მხიარულ სიზმართ იქა ვნახავდი თუ ვნახავდი, და ამა ჩემსა საგონებელსაცა ბოლო მოუღებოდა.

მერმე მან ახლა კითხვა ჰკადრა პანტაგრუელსა:

— სულაცა დაფნისა რტო ხო არ ამომედო სასოუმაღქვეშა?

— არა ღირს, — მიუგო პანტაგრუელმა. — ეგა წმინდა წყლისა ბრმარწმენაა, ხოლო რასაცა მაგისა გამო წერდნენ სერაპიონ ასკალონელი, ანტიფონე, ფილოქორე, არტემონე⁷ და ფულგენციუს პლანგიადი⁸, სრული მიქარეაა. სიბერეშიწვენილ დემოკრიტესა საწყენად ნუ დარჩება, და მაგავ სათვალავშია ხვითქისა და მსვენლომისა მარცხენა ბეჭთ შენადგამიცა, ანუ მხარი, ევმეტრი-

დად სახელდებული ბაქტრიული ქვაცა⁶ და ამონისა რქაცა: აგრე უხმობენ ეთი-
ოპელნი ცხვრისა რქისებრსა მოოქროსფრო სპეკალსა, იუპიტერ-ამონისა თაე-
სა ნაბამისა მგევანსა. ეთიოპელნი კიდევ იმასაც ამბობენ, თითქოს ამა ქვისა
მქონებლისა სიზმარი ისევე უტყუარი და უცრუოა, ვითარცა ორაკული.

რაზან ახსენე, მაშ, აქაე ვთქვათ, რასაცა წერენ ჰომეროსი და ვენეტისი
სიზმარ-ზმანებისა ორთა ბჭეთა გამო.

ერთი ისა ბჭე სპილოს ძვლისაა, და იქიდან მოვლენილი სიზმარი იდუმა-
ლი, შემცთუნებელი და ცრუა, რამეთუ სპილოსა ძვალსა, რამდენიცა უნდა უტ-
რიადო, თვალი ვერ ატანს: იმისი სისქე და განუჭვრეტელობა აბრკოლებს
მხედველობისა ძალსა და, მაშასადამე, ყოველთა ნათლად საჩინო საგანთა აღქ-
მასა.

მეორე ბჭე კი რქისაა, ანუ ქარახსისა, და იქიდან მოვლენილი სიზმარი
სარწმუნო, უტყუარი და უცრუოა, ვითარმედ პირუტყვთა თავსა ნაბამსა, ანუ
რქა-ქარახსასა ნათელი გასჭვირს, და სუყოველთა საჩინო საგანთ ცხადად და
თვალდათვალ მოიხილავს კაცი.

— შენა აღბათ იმის თქმა გინდა, — ჩაურია ძმა ჟანი, — რო ნასიზმრ-ზმანე-
ბული რქებისა მქონებლისა, რავგარიცა ღვთისა და უღელტოლისა, ესე იგი
ცოლისა წყალობითა უცილოდ გაგვიხდება პანურგი, მიწვივ უტყუარი და უც-
რუა.

თავი XIV

პანურგისა სიზმარი და იმისი წართქმა, ანუ ახსნა

ჯერეთ დილისა შვიდი არცა იყო, პანურგი მიეახლა პანტაგრუელსა, რო-
მელსაცა უკვე სწვეოდნენ ეპისტემონი, ძმა ჟანი ბღღვირისმღენელი, პონოკრა-
ტე, ევდემონი, კარპალიმი და სხვანი; და რა თვალი შეავლო პანურგსა, პანტი-
გრუელმა წვეულთ მიუთხრო:

— აჰა, მოვიდა ჩუენი მესიზმრე.

— ეგ სიტყვები ოდესმე ძვირად დაუჯდათ იაკობისა ძეთ', — ჩაურთო ეპის-
ტემონმა. — მერმე ავი კარგა გვარიანად იწრუწუნეს კიდევცა.

აქა თავად პანურგი აძრახდა:

— მე პირწავარდნილი მესიზმრე გუიო ვარ. ათასი რამ მესიზმრა, მაგრამ
ბევრი ვერაფერი გამოვიტანე. ერთი, რაიცა დამახსოვდა, ის არი, რო ვითომ
ცოლი მყვანდა. ქორფა, წერწეტა, მზესა ეუბნებოდა, შენ ჩადი, მე ამოვადლო, და
როგორაც პატარა ბავშუსა, ისე მექცეოდა და მეღლაბუცებოდა.

ჩემსა გულსავსებასა ენა ვერ იტყვის. ტყუილია, ის რო მეღალაბებოდა,
მიღუტუნებდა, მეღაციცებოდა, მეგლასუნებოდა, სურვილითა ბაგესა მომაპყრობ-
და, მკოცნიდა, მეზვეოდა, გულში მიხუტებდა და სასეიროდ წყვილ პატარა კოხ-
ტა რქასა შუბლზედ მაბამდა. მეცა ავდექი და ხუმრობითვე ვუთხარ, ეგ რქანი
თვალთა ქვეშე დამიყენე, რათა უკეთ მოვიხილო, სად უნდა გირქინო-მეთქი, და
არცა კიდევ მომემ შერაცხოს შენგან შერჩეული ადვილი უხეიროდ და შეუფე-

რებლად, ვითარ ერთხელ ხარისა თავსა ზედა ნაბამობისა მდებარება დაიწუნა-
მეთქი². დაღათუმცა, ის გიჟმაჟი, ისა, ჩემსა ნაუბარსა არად აგდებდა და სულ
ზევითა და ზევით მიყრიდა ორსავ რქასა. თანაცა, მიკვირს და გამკვირვებია,
ტკივილი არცრა მიგვრძნია რა.

სიზმარისა

მცირე ხნისა მერმე მომეჩვენა, რო, არ ვიცი, როგორ და რანაირად მოხდა,
ვითომ მე დოლი, ანუ დაღაბანდი გავხდი, ის კი ბუდ გადაიქცა.

აქა სიზმარი გამიწყდა და უეცრივ გამომეღვიძა დია გულნაკლულსა, შეფ-
მუნებულ-შეცბუნებულსა და გაჯავრებულსა.

აჰა, ნასიზმრისა ტაბლა გამიშლია, იგემეთ და წართქვით, ვისაცა რარიც
გესმით. წამო, კარპალიმ, ცოტა წავიდილისლუკმაოთ!

— მესიზმრეობისა, ანუ ნასიზმრისა წართქმა-ახსნისა თუ რამ ოდნავ მა-
ინც გამეგება, — სიტყვა გამოავო პანტაგრუელმა, — ჯალაბობა შენი მართლა
ნამდვილ, ხილულ რქებსა არ გამოვასხამს, რანაირნიცა სატირთ ასხიათ, მაგ-
რამ ცოლ-ქმრისა ერთგულებაზედ მწყრალად იქნება, სუყოველ უცხოსთან
ლაჯისა იღება ეყვარება და ნაღალატევისა გავხდის. ამა ამბავსა ზედმიწევნით
სრულად წართქვამს და ხსნის არტემიდორე. დიაღ, აგრევე არცა მართლა ნამ-
დვილ დოლ-დაღაბანდალ იქცევი, ოდონდ ცოლი ცემა-ტყეპასა არ მოგაკლებს,
ვითარ ქორწილში დოლსა არ აკლია ხელისა ცემა და ტყაპუნი. არცა აგრეთვე
ბუდ იგი არ გადაიქცევა, მაგრამ გაგღვარსლავს და გაგძარცვავს, როგორაც ბუ-
თა წესია. ესრეთ, ნასიზმრი შენი ოდენ აღასტურებს ვერგილიუსისდა კვალად
მისნობა-მსახვრალობასა: ვლი რქიანი, ნაცემ-ნატყეპ-დაქიმტული და გაღვარ-
სლულ-გაძარცული.

აქა ძმა ჟანი ჩაერია:

— ღმერთმანი, ურქობასა ვერ გადაურჩები, კარგო კაცო. მერწმუნე, უც-
ხო რამ რქანი ამოვივა. ჰა, ჰა, ჰა! უფალიმცა გფარვიდეს, შე, უფალო მერქევევ
შენა! აწ მოკლე რამ ქადაგება წართქვი, მე კი წავეალ, საკალმასოდ მოვივლა
სიმწყსოსა.

— უსწოროსა უბნობთ, — შეესიტყვა პანურგი, — ჩემი სიზმარი, პირიქით,
მხრიანია და იმის მნიშნებელია, რო კარგი ბედისგან სიუხვისა კალთადაბერ-
ტყილი სულ რქა-ქარახსისა, ანუ ყანწისა ტრიალში ვიქნები.

თქვენს პირსა შაქარი, თუ მართლა სატირისა რქანი ამოვივა. Amen, amen,
fiat, fiat ad differentiam papae*. მაშ, აბა, ვითარცა სატირთ, მეცა დაუშ-
რომლად მიბუდრაჟია და მიუკუნისამდე დაუკარდნელობა მჭირვებია. რაერთი-
ცა მამრია, ცისად სუყოველი ამისა შემთხოვნელია, მაგრამ ცოტა ვინმე თუ
ხდება წყალობისა ღირსი. მაშასადამე, არცროდის არ გავრქიანებულვარ და ვგ
არი, რამეთუ ქმრისა უღონობა და უილაჯობაა დიადაც უპირველესი და ერთად-
ერთი რამ მიხეზი იმისივ რქიანობისა.

რა არი, რა აწანწალებთ კარდაკარ მოწყალებისა სათხოვნელად გლახაკთ,
ანუ სიმდიდრისგან დაცემულთ? რა დი, ისა, რომ შინა არცვის არცრა აქვს აბ-

* ამინ, ამინ, აგრემც ყოფილა, აგრემცა — პაპისგან განსხვავებულად. — პა-
ნურგი სწორ ფორმასთან ერთად დამახინჯებულ ლათინურ ფორმას იყენებს, რო-
მელიც პაპის ბულებსა და რეზოლუციებში არ გვხვდება.

გამი ჩასაყრელი. რა არი, რა გამოაგდებს ხოლმე ტყიდან მგელსა? რა და, უქონლობა საკბილოსი. რა არი, რა აქნევიანებთ დიაცთ მრუშობასა? რა და, თავად მოგეხსენებათ. აქა სამსაჯულო სახლისა, ანუ სასჯელისა ტაძრისა, ^{ყოველია} წევრთ მოვიშველიებ: უფალ ბრჭეთ, მრჩეველთ, მოსარჩლეთ და სხვა მაძებარ ძაღლ-მამაძაღლთ, ვისაც კი ოდესმე აუხსნია და გასაგები გაუხდია დია პატიყსადები მუხლი de frigidis et maleficiatis.

ეგების ჩემისა მხრივ მეტსაცა ებედავდე, გარნა უცილოდ წმახავთ, ოდეს თავისა ნაბამობასა რქიანობაში ურევთ.

დიანასა რქანი თუ ლამაზ ნამკალა მთვარესა მიუგავს, როგორა ჰგონებთ, ვითომ რა, გარქიანებულა? აბა, რარივ უნდა გარქიანებულაყო, როს არც-როდის გათხოვილი არა ყოფილა? კეთილი ინებეთ და სათქმელი ცოტა უფრო-რე ნიშანდობლივ წართქვით, თორემ ადგება დიანა ქაღალმერთი და ამასვე ვი-ხამთ, რაიცა აქტეონსა უყო.

რქანი აგრეთვე კეთილ ბაკქოსსაც ასხია, პანსაცა, იუპიტერ-ამონსაცა და მრავალსა სხვასაცა. ვითომ რა, ნაღალატევი და ამაღ რქალასხმულნი არიან? მაშ, აბა იუნონაც კახპა ყოფილა, ჰა? არადა, *metalepsis* ფიგურასა აკი აგრე გამოქყავს. უკეთუ დედამამიანსა ბავშვისა მიგდებულსა ანდა მხეველისა ნაშვისა თუ ნიძვისა შვილსა დაუძახებთ, დასტურ სიტყვისა შეპარებითა და გადაკრულად ეუბნებით, მამამუნი რქანაყარად, ანუ რქოსნად, დედამუნი კი ლაჯალბულად გვიცვნიათ.

არა, არა, ძალით ნუ მხდით ნაღალატევესა. ისი რქანი, იგივე ძვალნი, ცოლ-ნა სიზმრივ თავსა ზედა რთ ამომიყვანა, წყვილი ქარახსაა უხვეებისა, წყვილი ნესტვი და ნაღარაა, წყვილი ყანწია, ჰურობა-დარბაზობისა მრჩობლი ნიშანია. ეჭვი არამც შეგეპაროთ. მოკლედ, ვითარ დოღ-დაღაბანდი ქორწილში, რძლის მოყვანისა დროსა, ვიღზენ და ვიშვებ, არცროს მოვიშლი ხელყანწიანობასა, ჯრასა და ნესტვასა, არცა კიდევ ყადაუხად ტყაჭუნსა, სარეცლისა ჭრაჭუნსა, მსუქანი ლუკმისა დლაჭუნსა და მაძღარ კუჭხედა ჭაჭუნსა! მერწმუნეთ, დია-ხამც ბედი გამეხსნება მიწყვივ სახადელსა მოსულსა. ჩემი ცოლი წოტსაებრ, ანუ პატარა ბუსაებრ კოხტა და თვალმწყაზარი იქნება, ხოლო ვისაცა არა ეჭვ-რება,

ემმაკიმც ეტყვის ძმობასა,
ნუმც მოსწრებია შობასა.

— შენის ჩასიზმრისა ბოლოსა და თავსა თუ ერთმანეთსა შევეუდარებთ, — მი-უთხრო პანტაგრუელმა, — დიდი მიხვედრა არ უნდა, რომ წინაპირველად ნე-ტარებისა ზღვაში დაცურავდი, უკანასკნელად კი იჩქითად გამოგელვიდა გულ-ნაკლულსა, შეცბუნებულსა და გაჯავრებულსა...

— აბა, რა მომივიდოდა, უნაწილო ვიყავ! — მიუგო პანურგმა.

— წინასწარ ვგრძნობ, კარგი არცრა მოგელის, — განავრძობდა პანტაგრუ-ელი. — უნდა უწყოდე, რომ სიზმარი, რომელიცა უცაბედად გამოგადვიძებს და გულნაკლულობასა და სიბრაზესა გამოგაყოლებს, ან ავსა რასმე ნიშნავს, ანდა ავსა მოასწავებს.

ოდეს ვუბნობთ, ავსა რასმე ნიშნავსო, მარგულად სახელდებული უმრთე-
ლებელი წყლული უნდა ვიგულისხმოთ, ღია ვერავი, გადამდები, დაფარული,
შიგნიშიგან ჩაბუდებული, და ძილსა შინა, რომელიცა (თანახმად სამკურნალო
სწავლისა) ხელსა უწყობს და აძლიერებს საჭმლისა მონელებასა, წყლულა
იგი თავსა იჩენს და სულ ზევი-ზევით, გვამისა ზედაპირისკენ იძვრის. ამა სან-
ძიმო ძვრისგან კაცსა მოსვენება გეკარგვის და უპირველესი მგრძობელი ძარ-
ღვი თავდასაცველად შეიმართება. ერთი ანდაზისა არ იყოს, ესა იგივეა, რომ
ბუზანკალთ შეუჩუჩხუნო, კამარინისა ჭანჭრობთ დაერიო¹ ანდა მძინარე კატა
წამოავდო.

ხოლო თუ სულსა ჩვენსა ზმანება რამ მოევლინება, და ვიტყვი: ავსა მო-
ასწავებსო, უნდა ვიგულისხმოთ, რომ შუბლზედ რა უბედურებაცა გვაწერია,
მალიად დაგვატყდება თავსა.

თქმულისა მაგალითად მოვივარგებ ჰეკუბას სიზმარსა და შიშთან გამოფ-
ხიზლებასა, აგრეთვე ვერიდიკეს სიზმარსა, ირფევსის თანამეცხედრისასა. ვი-
თარ ენიუსი მოგვითხრობს, ორივენი უეცრივ და შიშატანილნი გამოფხიზლდ-
ნენ. მერედა, არ იტყვი, რა მოხდა? რა და, გამოხდა მცირე ხანი, და ჰეკუბას
თვალთა წინარე დაეღუპნენ თანამესარეცლე თვისი პრიამე, შვილნი თვისნი, და
საგაზრდილოცა ზედ მიჰყვა. ვერიდიკე კი თავისი სიზმრისა შემდგომ სულ მალე
წვალებითა აღესრულა.

აქა ენეასსა მოვიშველიებ: ძილსა შინა მკვდარსა ჰექტორსა რომ დაუწყო-
ბაასი, ანაზღად აკანკალებულსა გამოეღვიძა. ახლა არ იტყვი, რა მოხდა? რა და,
იმავე დამესა დაარბიეს და გადაბუგეს ტროა. მეორედ, თავიანთი შინაღმერთნი
და პენატნი რომ იძილისმოჭრისა, ზარხდომილი წამოვარდა — და იმავე დღესა
ზღვასა ზედა მძვინვარე ქარიშხალი გამოიარა.

აწლა ტურნუსსა² მოვიშველიებ: ჯოჯობეთისა ფურიის ფანტასტიკურმა
რამ ჩვენებამ ძილსა შინა ენეასთან საომრად რომ შეაგულიანა, უცბად მწყრო-
მარესა გამოეღვიძა, და შემდგომად, უკვე მრავალჯზის ბიროტშემთხვეული, იმავე
ენეასმა მოაკვდინა. მაგალითი უთვალავია.

რაზან სიტყვა ენეასზედ ჩამოვარდა, ბარემ აქავ ვიტყვი: ვითარ ფაბიუს,
პიქტორი³ გვითხრობს, ენეასსა არცრა საქმე დაუჭერია, არცრა ჩაუდენია და
არცრა მოსავალი მოსვლია, სუყოველივე წინ-წინ ძილსა შინა რომ არ განცხა-
დებოდა და არა სჩვენებოდა.

არც ერთი აქა მოვარგებული მაგალითი არამცა და არამც არა ეწინააღ-
მდეგება სად აზრსა. და რაკი ძილი და მოსვენება ღმერთთა საბოძვარი და გა-
მორჩეული წყალობაა, ვითარ ამტკიცებენ გულმეცნავნი და ვითარ ადასტურებს
მგოსანი:

ჩამოდგა ფამი მოსვენების, ციურად ტკბილის,
ოდეს დამაშვრალთ ღვთაებრივი თვალთ იცეს ძილი, —⁴

ამისთანა საბოძვარსა ოდენ მაშინ ძალუძს კაცისა დაგულნაკლულება და განრი-
სხება, უკეთუ კვალდაკვალ დიდსა რასმე განსაცდელსა მოიყოლებს. სხვაგვა-
რად მოსვენება ვერ იქნებოდა მოსვენება, ვერცა კიდევ საბოძვარი იქნებოდა

საბოძვარი, და ძილსა მოსიყვარულე ღვთაებანი კი არ მოგვივლენდნენ, არამედ მემტერე ეშმაკეულნი, თანახმად ერთი მოარული ანდაზისა: *خامرس دمخرا نمره*.*

წამერთ წარმოიდგინე, რომ წინადაგებულ უხვსა ტაბლასა ~~ლუჯახისა~~ ^{ლუჯახისა} შამა მახჯლოშია, პურისა ჭამასა ეპირება, და ერთბაშად, როგორც კი გულიანად მიკო პირი, დაფეთებული წამოიჭრა. ვინაცა მიზეზი არა უწყის, სუცხველი ამისა შემხედველი ხახტად დარჩება, ნეტავ რა მოხდაო, ~~ანდა, შარ-~~ ^{ანდა, შარ-} თლა, რა უნდა მომხდარიყო? თქმა არ უნდა, ან შინაკაცოა ყვირილი შემოესმა, ვიწვითო, ან მხევალთა კვიილი გაიგონა, გვძარცვავენო, ანდა სულაც თვისთა წულთა ხმა ეცნო, გვხოცავენო, და ელდაცემულსა ლუკმა ყელში არღა გადაუვიდა, აილო თავი და, ვითარ ეგებოდა, იქით გაქანდა, სად შეჭირვებულნი შველასა ითხოვდნენ, რა არი ხელი აღუპყრო და ყოველივე გაერიგებინა.

ამ მოგონებაზედ ბარემ იშასაც ვეტყვი, რომ კაბალისტნი და მასორეტნი, საღვთო წერილისა მთარგმანებელნი, როს გვასწავლიან, რარიგ უნდა ვარჩევდეთ, ანგელოზი მოგვევლინა თუ ძავენე სული (რამეთუ ბნელისა ანგელოზნი, ანუ ეშმაკეულნი, ხან ნათლისა ანგელოზთ ემგვანებიან), ერთსა მეორისგან ესეგვარად განასხვავებენ: კეთილი ანგელოზი, სუგეშინისმცემელი, კაცსა რომ მოევიანება, ჯერეთ შიშისა აჭმევს, ბოლოს კი ანუგეშებს, მხიარულსა და ეტლი-ვიანსა ამყოფებს, ხოლო ბოროტი ანგელოზი, მაცდუნებელი, ჯერეთ გაახარებს კაცსა, ბოლოში კი ბეზარსა მოიყვანს, გულნაკლულსა და საგონებელში ჩავარდნილსა დაავდებს.

თავი XV

პითარ ძვრება ნემსისა ყუნწში კანურბი, და რას გვაუფხვეს სამონასტრო კაბალა ტარმხ-კახაჯისა, ანუ დაეარჩილებული სორცისა ბაშო

— უფალი ჰფარვიდეს ბოროტისგან სუფოველსა კაცსა, ვისაცა თვალი ფარსკად უჭრის, მაგრამ არცრა ეყურება! — წართქვა პანურგმა, — ხედვით, იცოცხლე, კაფიეტად გხედავთ, ოღონდ სმენით არა მესმის რა. ვერცრასა ვიგებ, რასა უბნობთ. დაყმენდილ კუჭსა ყურნი არ ასხია. ისრე მშია, ღმერთმანი, აწ მგლურებ აყემუვლდები! ტყუილია, რაც მე გადავიტანე, თაყად მოძღვარი მუშიც კი ვერღა მაძილისშორისებინებს წლეულსა მინაგვარსა რასმე სიზმარსა.

უკახშმობა ვის გაუგონია? დალახვროს ეშმაკმა? წამო, ძმაო ჟან, წამო, ცოტა წავიდილისლუკმით! უკეთუ დროთი დაუნაყრდი, მუცელი გვარიანად მოუმაგრე, არცა თივა დავიკელი და არცა შერია, აუცილებელი რამ საჭიროებისა შემთხვევაში უსადილოდაც კარგა ლამაზად გადავიყლი. მაგრამ უკახშმობა ვის გაუგონია? დალახვროს ეშმაკმა! თქმა არ უნდა, ცდომილებაა, ბუნებისა კანონ-წყისთა საწინააღმდეგო რამ არი.

ბუნებასა იმად შეუქმნია დღე, რათა ძალთა ჩვენთა გასაქანი ვუპოვნოთ, გავისარჯოთ და ყოველმან ჩვენ-ჩვენი საქმნელნი ვქმნათ; ხოლო უფრორე მოხერხებულად რო დავშვრეთ, სანთელი, ანუ მზისა კაშკაშა და სიხარულისა მოძვერელი შუქი შეგვიძლუნა. სადამო ჟამსა ბუნება ამა შუქსა ნელ-ნელა კვალად უკან გვართმევს და თითქოს გვითხრობს: „კარგნი ხართ, შვილნი, კარგ-

* მტრისა საბოძვარი არასაბოძვართან არიო... — სოფოკლე, „აიანტე“, 665.

ნი! გეყოთ გარჯილობა! საცაა დაღამდება. სულ მუშაობასა მოუკვდა პატრონი. აწ წა, თავი პური გატეხეთ, თავი ღვინო იხმით, გემრიელ-გემრიელი საჭმელი არცრა დაიკლოთ რა, ჯახზედ მოდით, ნავახშმევსა არცა პატარა წაცულქება გაწყენდათ, მერმე კი დაწექით და დაიძილისგულეთ, რა არი აღრიანად მზიარული და დასვენებულნი შეუღვეთ ისევ საქმესა“.

დასტურ აგრე იქცევიან ბახიერნი. ტახიყნაჭამ, ანუ დაპურებულ ფრინველთ ისინი მაშინვე არ უტევენ, — ვინემ საზრდელ-საჭმლისა მონელებაში არიან, ფრინველნი მშვიდად სხედან თურ-ქანდართა ზედან.

ეგვე დია ჩინებულად გაუგებოდა იმა ცხონებულსა პაპსა, ვინაცა მარხვანი შემოიღო. მან მარხვა ნაშუადღევის სამ საათამდისინ დაადგინა, დანარჩენ დროსა დადექი და შენის გუნებისად მიირთვი. უწინ ძვირად თუ ვინმე სადილობდა. ბერთა და მოწესეთა გამო არას ვამბობ. იმათ სხვა მეტი საქმე არცრა აქვთ. სუყოველსა დღესა დღესასწაულობენ. გულდაგულ მისდევენ სამონასტრო წესსა: *de missa ad mensam**. წინამძღვარსა არცროს არ უცდიან, უიმისოდ მიუსხდებიან ხოლმე ტაბლასა. უკეთუ ორსავე ყბასა იქნევენ და თავიანთ გემოზედ იღმურძლებიან, სულაც არა ბეზრდებათ იმისი ლოდინი, სხვაფრივ — ნურას უკაცრავად. ვახშობით კი ყოველნი მიწყვივ ერთად ვახშობდნენ, თვინიერ მავანი და მავანი ძილისგულისა, — და ვახშამსა ლათინურად სწორედ ამად ეწოდებოდა *coena* ანუ საზიარო საქმე.

ყოველივე ესე კარგად მოგეხსენება, ჩემო საყვარელო ძმაო ჟან! ჰა, წამო, თუ მოდიხარ, წამო! სივმილისგან ძაღლსავით მიემუის მუცელი. სიბილასი არ იყოს, ცერბერსა ფერდი რომ ამოაღებინა¹, მეცა ერთი ლოთიანად ამომავორთნე, ეგება როგორმე დაეიშოშმინო. შენა ჩაყრილ-ჩაბუფბუფებული შეჭამანდა ვიფვარს, მე კურდღლის ხორცისა ტრფიალი ვარ, დაყოლებით კი ცხრა ჟამზედ დამარილებული გუთნისდედისა დაყოლებაცა მოხერხდებოდა.

— გავიგე, — მიუთხრო ძმა ჟანმა. — ეგ მეტაფორა სამონასტრო ქვაბსა ამოგირილებია. „გუთნისდელა“ იგივ ბოიკია, ორი წლისა ხარი, რომელსცა ხნავს ანდა, უფრორე სწორედ, უხვნია. „ცხრა ჟამზედ“ კი კარგად შეგბობილსა ნიშნავს.

ჩემსა დროსა სულიერნი მამანი, რომელნიცა ძველთუძველეს კაბალისტკურ წესდებულებასა იცავდნენ, დაწერილსა კი არა, ზეპირსა, გამოიფხიზლებდნენ თუ არა, ვინემ ცისკრისა ლოცვად წავილოდნენ, ჯერეთ საგულისხმიეროდ იმზადებდნენ თავსა: ემანდ ღვთისმსახურებაზედ უწმინდურება რამ არ მიეიტანოთო, იდგნენ და სანეშტესა შიგან სკორავდნენ, ჩასაფსმელსა შიგან აფსამდნენ, საფურთხებელსა შიგან აფურთხებდნენ, სახრანტებელსა შიგან ახრანტებდნენ, სამოქნარებელ-საწოდინებელსა შიგან ამოქნარებდნენ. ამისა შემდგომ ღვთისა სათნოდ მოივლიდნენ წმინდა ხალოცავ ადვილსა (აგრე იწოდებოდა იმათ კილოკავზედ მოხახტრისა სამზარეულო) და ღვთისა სათნოდ ზრუნავდნენ, რო ტარეხ-კახაჯი ქრისტესმიერ ძმათა საუზმედ მსწრაფლ ცეცხლზედ შეედგათ. ის კი არა, ხშირად ისინი თავადვე ანთებდნენ ცეცხლსა.

და უკეთუ ცისკარი ცხრა ჟამად უნდა ეთქვათ, სუყოველნი ხისხამ დილითა უკვე ფეხზედ იყვნენ, ვითარმედ ეგზომ ხანგრძელი ფსალმუნთმეფვარებისა შემდგომ უფროისად ეშლებოდათ ჭამა-სმისა მადა, ვინემ ორსა ანდა სამსა ჟამსა თუ იბლუვლებდნენ ცისკრისა ლოცვასა. რაც რომ უფრო აღრიანად დგებოდნენ, ჩემგან ხსენებული კაბალისდა კვალად, მით უფრო აღრე ადგამდნენ

* წირვიდან — ტაბლასთან (ლათ.).

ცეცხლზედ ტარებ-კახაჯსა, და რაც რომ მეტხანსა ეკეთა იმას ცეცხლი, მით უფრო მეტად იხარშებოდა, და რაც რომ მეტად იხარშებოდა და ივბობოდა, მით უფრო გემრიელდებოდა: კბილთ ერბილებოდა, სახასა ეტკბილებოდა, კუჭსა ნაკლებ ემძიმებოდა, პატიოსან ბერმონაზონთ წამისა უმაღლ შეეჭმეოდით ხილ-მე და სუყველასა სუყველა თითი ჩაკვნილი ჰქონდა. ავი სწორედ ეს არის ერთადერთი რამ მიზანი და უპირველესი გულისა წადილი დამფუძნებელთათვის მონასტერთა, რამეთუ უნდა ვუწყოდეთ, რომ ბერნი იმად კი არა ჭამენ, ვიცოცხლოთო, არამედ იმად ცოცხლობენ, ვჭამოთო: ამქვეყნად იმათ ყოფნასა სხვა არცრა საზრი აქვს. წამო, პანურე!

— აწ კი მიგიხვდი სათქმელსა, შე მართლა ძველო, შე მონასტრისა კედელ-ქურესა მოდებულო და კაბალისტიკურო მსიძავო სიძვე! — შეუძახა პანურემა. — რის კაბალა, რა კაბალა! ბერმონაზონთ, გატყობთ, ყველაყა იმ ერთ ადგილასა გკიდიათ. ეხლავ მკისრებელი ვარ შენად ერთი კარგი რამ ტანზედ საცმელი ჯაჭვისა, ანუ ჯაბალისა, ისე ენამჭვერად გვითარგმანე დიალაც რომ გამოჩეული ნაწილი სამონასტრო-კულინარული კაბალისა. წავედით, კარპალიმ! წავედით, ძმაო ჟან, ჩემო გულითალო მოყვასო! მეყო, რაც ვისიზმრე და ვიძილისშორისე, აწ ცოდვად არცა ჩაღლევა და ჩახევება ჩამეთვლება. წავედით!

პანურესა სიტყვა ჯერეთ გასრულებული არცა ჰქონდა, რომ ეპისტემონმა პაღლად წართქვა:

— სხვისი ჭირისა წინწინ დანახვა, გამოცნობა, მიხვედრა და გაგება კაცთათვისა ჩვეულებრივი და იოლი რამ არი. გარნა შენი საკუთარი ჭირისა გაგება, მიხვედრა, გამოცნობა და წინწინ დანახვა დია იშვიათია. ესოპე თავის იგავ-არავთა შიგან სწორედ ამასა უბნობს: ქვეყანაზედ კაცი მახალ-მანდიკიანი, ანუ ხურჯინიანი ჩნდებაო; წინა თვალში სხვათა ჭირ-უბედობა და ცდომილებანი გვიწყვია, მიწყვივ ზედ დავცქერიით და სუყოველი სათითაოდ ვუწყითო, უკანა თვალში კი საკუთრივ ჩვენი ჭირ-უბედობა და ცდომილებანია, რომელთ ოღენ ისინი ვხვდავთ და გულისხმასა ვყოფთ, ვისაცა რომ ცა ნამეტნავად გვწყვალისო.

თავი XVI

ამა პანტაგრუელი ურჩევს პანურებსა პანურელ სიბილასთან გამუსაიფებასა

ცოტა რამ ხნისა შემდგომ პანტაგრუელმა მიიხმო პანურე და უთხრა:

— წლითწლიობამდის მომძლავრებული ჩვენი სიყვარული მაზრუნებიანებს შენსა დღეკეთილობასა და სარფა-შესამატსა. პანურეში, კრულეს მახლობლად, ერთი ვინმე სიბილა ყოფილა, რომელიცა თურმე უცდომლად იგებს მომავალსა; წარიტანე ეპისტემონი, წადით და ნახეთ, აბა ერთი რასა გეტყვით.

— ევა ალბათ ვინმე კანდიდაა ანდა საგანაა, მერამლე-გულთმისანი, ზედაღვარზედ შესკუპებული, — ჩაურთო ეპისტემონმა. — აგრე იმიტომ ვფიქრობ, რაკი იმა წყალ-ადგილსა სუყოველნი ავსა სახელსა სდებენ: კუდიანთა ბუდეაო, აქა ისინი უფროისად მეტნი არიან, ვინემ თესალიაშიო². იმათი მოხილვა არა ეგების, მოსეს სამართალი კრძალავს.

— რომელნი ებრაელნი ჩვენი ვართ, — შეესიტყვა პანტაგრუელი, — არცა კიდევ იმისი კუდიანობაა დადგენილი და დამტკიცებული. რაც რომ ძალიად

იბრუნებთ პირსა, მით უფრო მალე ჩავხვდებით ჩასახვდომელსა და როგორადმე საქმისა აზრსაც ჩავწვდებით.

რა ვიცით, იქნებ ეგე სულაც მეოთხთმეტე სიბილაა ანდა მეორე კასანდრაა? ის კი არა, ვთქვათ, არცაჩაირი სიბილაა და ტყუილუბრალოდ ჰქვია სიბილას სახელი, ვითომ რა, დაგაკლდება რამე, რომ შეენუკვოს და იმანაც დაგხსნას შენსა იჭვენულებასა? მით უმეტეს, თუ სუყველაზედ მეტი უწყის და ესმის იმა მხარეში და სუყოველ დედაკაცზედ მეტი ქვეყანასა ზედა. განა რა, ცუდია, კაცი რომ მიწყვიტ სწავლობდე და მიწყვიტ იძენდე ცოდნასა, გინა აჯამისგან, გინა აჯამისგან, გინა ყვინილისგან, გინა ჭინჭილისგან, გინა ღვინჭილისგან?

აღბათ გეხსომება, ალექსანდრე დიდმა არბელასთან დარიოს მეფესა რომ სძლია, იმის სატრაპთა თანადასწრებით ამა ჰკრა, არასგზით არ შეიხვედრა მავანი და მავანი კაცი, მერმე კი ბევრჯერ მწარედ ინანა, დაღათუმცა უკვე გვიანდა იყო. სპარსეთში ალექსანდრესა ყველაყა საქმე მარჯვედ მოუვიდა, მაგრამ ნამეტანად შორავდა მაკედონიასა, თავის სამეშვედრო საბრძანებელსა, და ძლიერ წუხდა, რომ არცრა ამბავი არ აღწევდა იქიდან იმის ყურამდისა როგორაც მეტისმეტი შორეულობისა, ასე ათასი რამ დაბრკოლებისა გამო, ამა ორ ქვეყანასა რომ ყოფდა, დიდრონი მდინარენი იყო, მთანი თუ უდაბნონი. და აი რა-უამს ესეგვარი სამძიმო ამბისა გადამკიდე ალექსანდრე ჩაღვლიან ფიქრსა და საგონებელსა მისცემოდა (რადგანაც, სანამ რასმე შეიტყობდა და საქმნელსა მოიდონისძიებდა, ვაითუ იმისი სამეფო და სამფლობელო სხვათ დაეპყროთ, ახალი მეფე დაესკათ იქა და სახელმწიფოცა ახლად მოენარუქებინათ), სად იყო, სად არა, ერთი ვინმე სიღონელი ვაჭარი ეახლა, ფრიად საზრიანი და კეთილად განმსჯელი, ტანთ დარიბული ტალავარი ემოსა და არცრა წარმოსადეგი ჩანდა; ხლებით კი იმად ეახლა, რომ მეფისთვისა ემცნო და ვუწყებინა, ახალსა უცხო რამ ხერხსა და გზასა მივაგეხი, და რაც კი ინდოეთში ვაკმარჯვებია. ხუთი დღეც არ დაგჭირდება, ყოველივესა შენის ქვეყნისთვის წვლილად შეგატყობინებინებო და იმასაც გაცოდინებინებ, მაკედონიასა და ეგვიპტეში აწ რა მდგომარეობააო. ალექსანდრეს ვაჭრისა წინადადება უსაგნო და შეუსრულებელი ეჩვენა, იმისი ყურისგდება არა ისურვა და დალაპარაკებაზეც კი დაუთარა.

არადა, რა იყო ალექსანდრესთვის, რომ წუთით ყური ეთხოვებინა და დარწმუნებულიყო, კაცმა მან მართლა რასმე მიაგნო და მიაკვლია თუ არა? ვითომ ისეთი რა დააკლდებოდა ან რა ჩაეხეოდა მეფესა, უკეთუ იმცნობდა, ამისთანა მაინც რა გზა ეპოვნა ვაჭარსა?

ბუნებასა ჩვენთვისა, ვგონებ, ტყუილუბრალოდ არ გამოუსხამს ღიად ყურსასმენელნი, ზედ არცრა საფარ-საბურველი დაუყოლებია და არცრა კარიბჭე რამე, რაგვარადაც თვალთ, აგრეთვე პირსა და გვამისა სხვა ხვრელთა აქვთ. ჩემის გაგებითა, ბუნებისგან აგრე იმად ვართ აგებულნი, რათა მიწყვიტ მწუხრადან ვიღრე გათენებამდეც კი, უსუსტრად ვისმენდეთ და სმენა-სმენითა ნიადაგ ვიმდიდრებდეთ ჩვენსა ცოდნასა, რამეთუ ყოველთა გრძნობათაგან სმენა უფრო-რე ადვილად შემთვისებელია; და ვინ უწყის, კაცი იგი იქნებ სულაც ანგელოზი იყო, ანუ მოციქული ცისა, ვითარცა, მაგალითადრე, რაფაელი, რომელსა ღმერთმან ტობითსა მოუკლინა⁵. მეტისმეტად მსწრაფლ ჰკრა მეფემან იმას ხელი, მეტისმეტად გვიან ინანა შემდგომ.

— ბატონი ბრძანდები, — მიუგო ეპისტემონმა. — მაგრამ მაინც ვერ დამარწმუნე, რომ ღიაციისა რჩევა და გაფრთხილება რამეში დიდად გვადგებოდეს, თანაც იმისთანა ღიაციისა და თანაც ახლა სადაურისა.

— შენი არ ვიცი და, ბედისა მკითხავ ღიაცთა რჩევა-თაობირი, მეტადრე კი

ბერდიაცთა, მე ძალიან მიხდება, — შეესიტყვა პანურგი. — იმათა რჩევა-თათბირისგან დია ჩინებულად მიმუშავებს კუჭ-ნაწლავი, ხან დღეში ორჯერაც კი ვავდივარ. ისინი ნამდვილნი ლაგაზ-ნაგაზნი, ანუ მწევარნი ძაღლნი არიან. სუყოველი უკლისად ძვლისა რამ ჩხირია, სამართლისა წერილთა შინა ხმარებულნი ხანვენებლად ბუყლუნდი თუ ჭიაფერი სიტყვისა. დასტურ მართლად უძველესად იმათი მხილაობისა ამბავი. მე კი უფრორე ვულთამხილაობასა ჰქატიქსიქსი ჰამეთუ წინ-წინ უწყიან, რაც რამ თავსა უნდა გარდაგვხდეს და ყველაფასა სარწმუნოდ წინასწარმეტყველებენ. უამ-უამად სულაც ყურსა არა მჭრის იმათი ჭრიახი და წირბლიანთ კი არა, გამჭრიახთ და სიტყვაგზიანთ ვარქმევ, ანუ განგებთანთ, ხემხედველთ, ვითა რომაელნი უწოდებდნენ იუნონასა, ვინაიდან ბერდიაცნი ისინი ცისმარე დღე წინათვე ჩვენდა მხსნელად და სარგოდ ვგაფრთხილებენ. გაიხსენე პითაგორა, სოკრატე, ემპედოკლე და ჩვენი გულმეცნავი ორტუინი.

ამასთანავე ისიც უნდა ვთქვა, რომ ფრიად საქებარია და ამაღ ცამღე ამიწვევია ძველთუძველესი წესი გერმანელთა, რომელნიცა ბერდიაცთა რჩევა-თათბირსა წმინდა შეკილსა⁴ ადრიდნენ და აკი წმინდადაც იცაუდნენ. ისინი სულ იმათი რჩევა-გაფრთხილებისა ყურისგდებაში იყვნენ და იძოდენადვე ბედსვიანობდნენ, რაოდენადაც ბრძნულ რჩევა-თათბირსა ისმენდნენ. სამაგალითოდ მოვიშველიებ ბერდიაც აურიინიასა და ბერდედა ველედასა⁵, ვესპასიანეს უამინდელთ.

დიაცსა სიბერეში, ვფიცავ ჩემსა ქუდიანობასა, ტყუილად თუ ვინმე შესწამებს კუდიანობასა, ანუ იმას გუებნები, სიბერქალობა უფროისად ასიბილავებს-ქეთქი. მაშ, დავმგზავრდეთ, ღმერთი ხელსამც მოგვიმართავს! წავედით! მშვიდობით, ძმაო უან! აჰა, შესანახად ვიტოვებ საბიძალსა ჩემსა!

— კარგი, წამოგვეები, — მიუთხრო ეპისტემონმა, — თლონდ ერთი რამ უნდა უწოდე: როგორც კი მარჩიელობასა და შელოცვისა მოჰყვება, მარტოსა დაგავდებ, და მერმე არღა მეძებო.

თავი XVII

რასა იმუსაიფებოდა კანურგი კანფუელ სიბილასა

გზასა საში დღე მოუნდნენ. მესამე დღესა, ავე ის არიო, დაანახვეს შემარგე-ვულთმისნისა მცირე რამ სახლი, ანუ ჩოდოლო, მღვარი ზეგან ადგილსა, ერთი უშველებელი გაბარჯული წაბლისა ქვეშე. მგზავრთ აცრა უწვალათ, უჭირველად მოექცნენ შიგა ჩალურსა ქოხსა, დაფერდებულ-გაბეჩავებულსა, გაჭვარტლულ-გაბოლილსა, ცარიელ-ტარიელსა.

— მოესულვართ და ეგ არი! — წართქვა ეპისტემონმა. — ჰერაკლიტესა, დიდსა სკოტისტსა¹ და ბნელსა სიბრძნისმეტყვეელსა, სულაც არა გაჰკვირვებია, იდეს ესეგვარ სადგომსა შევიდა, და თვისთა მოწაფეთ და მიმბაძველ-მიმდევართ მიუთხრო, ღმერთნი ამისთანა ადგილი უფროისად ეგუებიან, ვინემ სრა-სასახლეთ, სად ათასი რამ სიამოვნება და ტკობაათი. ვკონებ, სწორედ ამნაირი იყო სახელგანსმენილი ჰეკალეს ქოხი, სად მან კეთილად შეიფარა ჭაბუკი თესვესი, ამნაირივე იყო პირიევსის, ანუ ენოპიონის ქოხიცა,² სად არცა შესულა უთაკილიათ, არცა კიდევ პურისა გატება იუპიტერსა, ნებტუნსა და მერკურისა და სად მასპინძლობისა სამადლობლად იმდენი იგულმოდგინეს და ისე შადიანად, რომ ორიონი გამოკვერეს.

მისულთ კერიისა ძირში მიმჯდარ ბერდიაცსა მოატანეს თვალი.

— ნამდვილი სიბილაა, — შესძახა ეპისტემონმა, — რაღა ესა და რაღა კომეროსისგან მართლად დახატული ბერი დიაცი, ანუ τῆραμυσι. *

გასაცოდაკებული დედაბერი იყო, აბრანძული, მისწავთებული, უკბილო წირპლიანი, ცინგლიანი, ცხრად მოხრილი, დაკრუნჩხული, სულხედ წაწურული; იდგა და ჯერეთ ისევ მწვანე კომბოსტოს შეჭამანდსა ხარშავდა, შიგ დამძაღებული გლეშურძი და ძველი არტალისა ნაჭერი ჩაეგდო.

— უბედურება გვჭირს! — შეჰყვირა ეპისტემონმა. — შევრცხვით, თავი მოგვეჭრა. ნურცრა პასუხსა ამისგან ნუ ველით, რამეთუ ოქროს წნელი არ წამოგვიღია.³

— არცა ეგრეა საქმე. — წართქვა პანურგმა. — მე რაღაებიც წამოვიღე. აბგაში ეგრეთი ოქროს რამ წნელი მაქვს ვითარცა თითისა სამკაული და რამოდენიმეცა კეწკეწი თუთრი მიყრია.

ამისა თქმა იყო და, პანურგმა მდაბლად დაუკრა თავი ბერდიაცსა, მიეახლა და შიართვა ექვსი ცალი შებოლილი ხარისა ენა, გალიცლიცებული კორკოტიანი კოჭობი, სასმლიანი მათარა და ვერძისა ჭანჭლის ჯუზდანი, ანუ ყელსაკიდი ქისა, ახლადმოჭრილი წვრილი ფულით გამოტენილი. მერმე კვალად თავდახრისი მიემშვიდობა და არათიანხედ კობტა ოქროს ბეჭედი წამოაცვა, რომელსა შიგან დია ნაფიტად იყო ჩასმული ბოეზური გომბეშოს ქვა.⁴ შემდგომად ამისა მან მოკლედ აუხსნა ბერდიაცსა, ამა და ამისთვისა ვარ მოსულიო, და კრძალულად ეაჯა, მიმკითხავე და მითხარ, ბედი ვის გადამყრისო.

ბერდიაცი ჯერე მცირე ხანსა დუმდა, დაფიქრებული აცმაცუნებდა უკბილო პირსა, მერმე დაპირქვავებულ გეჯახედ ჩამოჯდა, ხელთ სამი ძველი ტიბჟირი აიღო, ხან წაღმა დაატრიალა, ხან უკუღმა, და ტრიალსა რომ მორჩა, ახლა სამსაკეს წვერი გაუსინჯა, რომელიცა უფრო წვეტიანი იყო, ის აირჩია, დანარჩენი ორი კი ფეტვისა სანაყისა ქვეშე ამოღო. მას უკანით ჯარა გადმოდგა და ცხრაგზის დაატრიალა, მეათე წრიდან მოყოლებული კი ხელი არღა დაუდვია და მანამ აღევნა თვალი იმის ბრუნვა-ტრიალსა, სანამ ჯარა სულ არ გაჩერდა.

შემდგომად მოვიხილე, რომ ბერდიაცმა ცალი ქოში გაიძრო (იმისთანა ფეხთხამოსსა ჩვენში საბოს ეტყვიან), თავზედ ფეშტამალ-არდავი მოიხვია, ვითარ ჟამისა წირვისა წინ მწირველი მღვდელი მოიხვევს ხოლმე ომფორსა, მხართმოსახვევსა, და კისერიან ჭრელი ძონძით შეიკრა. ესეგვარად გამოპეწენიკებულმა დაავლო მან ხელი მათარასა და ერთი ღაზათიანად მოიყუდა, ვერძისა ჭანჭლის ჯუზდანიდან სამი თუთრი ამოიღო, სამსა კაკლისა ნაჭუჭში ჩატენა, ნაჭუჭნი კი პირქვე გადაბრუნებულ ფრინველისა ბუმბულის საგროვებელ ბონძიტახედ დააწყო, კერიასა სამგზის შემოატარა ცოცხი, რისა შემდგომ ნახევარგულურა მანანისა კეწეწ-ფიჩხი და ხმელი დაფნისა რტო დააყარა ცეცხლსა. მერმე დადგა და მდუმარედ დაუწყო ცქერა, ვითარ ედებოდა ალი, და მალიად დარწმუნდა, რომ წვისას არცრა გიზგიზისა ხმა ისმოდა და არცრასა ტკაცატკუცი არ გაჰქონდა.

მაშინ ბერდიაცი იგი ავად ამწვიტინდა, ბარბაროსულ რომეასა და ჩმახვასა მოჰყვა, სუყოველ სიტყვასა უხაზროდ აბოლოებდა, რასაცა ვერღა გაუძლო პანურგმა და ეპისტემონს მიუბრუნდა:

— ღმერთმანი, სულ ერთიანად მაკანკალებს! ვგონებ, მომჩხიბა და მომაჯა-

* საჭმლის მოქმედი, მესაჭმელე, მზარეული დედაკაცი (ბერძ.).

დოვა; რაღაც ქრისტიანულ წესზედ არა უბნობს. დიხეთ: სიმაღლეში, სულ ცოტა, ოთხი აშპანი მაინც მოიმატა, რაც თავზედ ფეშტამალ-არდავი მოიხვია. უითომ ყბათ აგრე რად აკაპუნებს? მხართ რატომ ათამაშებს? რა არი, ტუჩო, ისერი-გად რისთვის აწკლაპუნებს? იტყვი, მაიმუნია და კირჩხიბსა ხრავსო. ორივე ყური მიშხუის. აღბათ პროზერპინა თუ გაჭკივის პირმოხეული. სადაც არი ეშმაკნი მოცვივიან. ო, იმათი სინსილა გაწყდეს! გავეცალოთ! მახეში ვართ, შიშისალოფლი მასხამს! ეშმაკთ ვერცროდის ვიტანდი. თვალისა დასანახავად მსგანს გულსა მირევენ. გაუიქცეთ, გავეცალოთ! მშვიდობით, ქალბატონო, დიდად ვმადლი! არა, არა, აღარ ვირთავ ცოლსა! ერთხელ და სამუდამოდ უარი მითქვამს!

პანურგმა ის იყო კარისკენ წადვა ფეხი, მაგრამ ბერდიაცმა დაასწყო და ხელთითისტარიანი გავიდა სახლისა გარე. იქა ერთი ბებერი ლელვსულელისა ხე იდგა. ბერდიაცმა სამჯერ ხედიზედ შეარხია ხე იგი, მერმე კი თითისტარი მოივარგა და რვა ჩამოვარდნილ ფოთოლზედ რამოდენიმე მცირე ლექსი ამოფხატა. შემდგომ ის ფოთოლნი ქარსა გაატანა და წართქვა:

— უკეთუ გწადს, ეძიებდე, უკეთუ შემძლებელხარ, მოიძიებდე. სუყოველი იმა ფოთოლთ ზედ აწერია, ბედი ვისაცა შეგერის და რაიცა მოგედის.

სათქმელი გაასრულა თუ არა, ბერდიაცმა კვალად თავის ბუნავ-ბუთაკსა მიამურა და, ზღურბლზედ რომ შედგა, კაბა, ქვედატანი და პერანგი ეგრევე იღლივბამდის წამოიხადა და ნაც-ნაწყლი გამოიჩინა.

ამისა შემხედვარმა პანურგმა ეპისტემონს მიუთხრო:

— ქალი კი არა, ქაჯი ყოფილა! აი ეგეც შენი სიბილას მღვიმე!

ბერდიაცმა წამერთ მიიხურა კარი და თავი გარეთ არღა გამოუყვია.

მაშინ ყოველნი ფოთოლთ საძებნელად გაცვივდნენ და რის ვაი-ვაგლახით მოიძიეს, რამეთუ ქარსა სულ აქეთ-იქით ბურჭ-ბურჭ მიმოფანტა. და როს ის ფოთოლნი მერმე რიგ-რიგად დაალაგეს, ასეთი რამ ლექსად ოქმული ამოიკითხეს:

დაგმართებს ავსა,
გაგრურჩავს ურცხვად,
წიგართმევს თავსა,
სხვით იღებს მუცლად.

გამოგწოვს, ჭნავსა
და მჭლესა გაგხდის.

სულ არა, ტყავსა
ნახევრად გაგხდის.

თავი XVIII

ამა პანტაგროული და პანურგი სხვადასხვაგვარად ხსნიან
პანუხულ სიბილასგან ლექსად თქმულსა

ეპისტემონმა და პანურგმა წამოკრეფილნი ფოთოლნი წარიტანეს თანა და პანტაგროულისა კარზედ დაბრუნდნენ ერთის მხრივ გულსავსენი, მეორეს მხრივ შელოხებულნი. გულსავსენი შინ დაბრუნებისა გამო იყვნენ, შელოხებით კი გზამ შეალონა, ვინათვან ოღრო-ჩოდრო, ხირხატი და სავალად ძნელი გამოდგა. იმათ წვლილად უამბეს პენტაგროულსა თაუიანთი მგზავრობისა ამბავი და ისიცა ზედ მოა-

ყოფეს, ვინცაჲინ იყო და რასაცა წარმოადგენდა სიბილა, ბილოს ლელვსულე ლისა ხისა ფოთოლნი მიუბოძეს და ის მოკლე-მოკლე ტაქთაგან ლექსად შედგარი ზედწარწერილობაც მოახილვინეს.

პანტაგრუელმა წამერთ შეავლო თვალი სიბილას განჩინებასა, ამოიხუნწა და პანურგსა მიუთხრო:

— აწ ყოვლისფერი ცხადია. სიბილას წინასწარმეტყველება სავსებით გასაგებად იმასვე გვაუწყებს, რაიცა ერთხელ უკვე გვამცნო როგორაც ვერვილიუსისა და კვალად მისნობა-მსახვრალობამან, ისე შენმა საკუთარმა ნასიზმრ-ნაძილისშორისმა. რაღა ბევრი გავაბრტყელო, ცოლი პატივსა აგყრის, რქანაყარსა ვაგზდის, რამეთუ სხვასა აულებს ლაჯსა და იძისგან ისავსევეებს, კარგა გვარიანად ვაგდვარსლავს, თავში ჩაჩქუნსა არ მოგაკლებს და ნაცემ-ნატყეპ-დაჭიშტულ-გაძარცულსა რომელსამე ასოსა დავიდუხჭირებს.

— ვითარ ვირმა იცის, ხურმა რა ხილია, — მიუგო პანურგმა, — შენცა იმოდუნად უწყის, რასა მიწინასწრებს ლექსი ესე. მომიტყევი, სიტყვანი თუ მკვახენი გამომივიდა, მაგრამ ცოტათი გაჯივრებული ვარ. სუყოველივე აქა თქმული წინაუკმო უნდა გავიგოთ. რასაცა აწ გეტყვი, საგულისხმოდ იხვენ ყურად!

ბურდიაცი უბნობს: როგორაც რომ ცერცვი არა ჩანს, სანამ არ გაჩურჩულა, ვერცა ჩემსა სიქველესა და სრულქმნილებასა დაეანახვებ ვისმე, ვინემ ცოლსა არ მოვიყვან. აკი თავადაც ხშირად გითქვამს ჩემთვისა, საჩინო საურავი, ანუ თანამდებობა და სახელო სრულად წარმოაჩენს გაცსაო, იმის შეძლებასა და გაქანებასაო. სხვარიგად თუ ვიტყვით, რაცა არის, ოდენ მაშინ შევატყობთ კაცსა და ფასსაცა მაშინ დავდებთ, როს საქმისა გამგებლობასა ვასწევს. სანამდისინ კაცი თავის კერძო ცხოვრებასა მისდევს, ისა ისეთივე რამ გამოცანაა ჩვენთვისა, ვითარცა გაურჩურჩავი, პარკიანი ცერცვი. აი, რასა ნიშნავს პირველი მრჩობლი ტაქტი, ანუ შაირსიტყვა. ეგება აწ ისიც მითხრა და მიმტკიცო, წესიერი კაცისა სახელი და პატიოსნება კახასა უკანა სჩრიაო?

მეორე მრჩობლი ტაქტი გვამცნობს: თანამწოლი ჩემი მოფერდიანლება, ანუ დაფეხმძიმდება (შეუღლებიხა უმაღლესი რამ ნეტარებაც აკი ეს არი), ხოლო არა ჩემგან. რას ვიზამ, ჯანდაბას! წიაღსა შინა კობტა პაწაწა ყრმა ეყოლება. წინწინვე უკვე შემყვარებია, გიჟადა ვარ. აი, შენ კი გენაცვალე, ჩემო გოჭანჭურო, ჩემო წენწურაუ! ერთი მარტო მომასწრო, მარტო დამანახვა, იმისი ტიკტიკი გამაგონა, აღარცრასა ვინაღვლი და აღარცრასა ვიჯავრებ. სულ გულიდან გადამყრის ყველაგვარ საწყინარსა და სავალალოსა. მადლობა ბურდიაცსა იმასა! კაცობისა მადლი გამიწყრებს, უკეთუ ჩემის სათაუისთავო სამადოს მამულ-წყლისა შემოსაუღლიდან კარგა გვარიანი მეოხება არ გაჟუწიო, ოღონდ არა ერთჟამიერ შესაწევნელად, ვითარ გონებაზედ მწყრალ ბაკალავრთ, არამედ დღემუდმისად, ვითარ სორბონისა პატივდებულ მოძღვარ-პროფესორთ. შენ კი რასა უბნობ? ვითომ რა, ჩემივ ცოლი მიღებს მუცლად, ის ჩამისახავს და ისა მშობს? დალდაღანი, აბა, მაშინა ნახე, სუყველა ჩემზედ დაიწყებს ლაპარაკსა: პანურგი მეორე ბაკქოსია, ორგზის იშვაო, ეგა ისევე აღორძინდა, როგორც ჰიპოლიტე ანდა როგორაც პროტეუსიო, ჯერეთ თუტიდასგან გაჩენილი, ხოლო მერმე გულმეცნავი აპოლონიოსის დედისგან ყოლილიო, ან კიდევ როგორაც ურნივ პალიკნი, სიცილიაში სიმეტოსის პირას დაბადებულნიო. ვიეთნი იმასაც იტყვიან, მაგის ცოლსა მაგაზედ ემყაუებოდაო, ვიეთნი კი იკიოხავენ, ემაგან აღადგინა ძველთუძველესი მეგარული პალინტოკია და დემოკრიტესუული პალინგენეზიო?..? მტკნარი სისულელეა! ვაგონებაც არ მინდა.

მესამე მრჩობლი ტაეპი გვაუწყებს: ცოლი ვგრევ გამომწოვს და გამომსუტავს, რაც რამ გამოსაწოვ-გამოსასუტი მაქვს. გამომსუტავს და, ღმერთიმც შეარგებს! ფონალი მამალი მსუქნად არცვის უნახავს. აქა, ალბათ ხელები, ჩემს ცალბოლოიან მორ-კომბალზეა ლაპარაკი, ქვეშ რთი შეიღია. კაცობასა ვუიცივ, ცივ ნიავსა არ მივაკარებ, მიწვიუ ცვრიანსა და რიხიანსა წამერთ გაუაღუნინებ ვრეალსა, არცროდისა არ ვაცუდავებ. მოკლედ, ჩემი დედაკაცი არცრასა წაგვიტყუებ უთენი არ მოაკლდება. შენ კი ამა შაირსიტყვაში ალეგორიასა ხედავ და ვითარ ქურდობა-ბაცაცობასა განმარტავ. შენსა ახსნა-განმარტებასა დასტურსა დავცემ, ალეგორია მთნავს, თღონდ მე სხვარივად მესმის. რაკი კეთილსა მისურვებ, ალბათ იმად არი, რთ არა ჩემდა ხელსაყრელად და სახეიროდ განმარტავ ყველასა, თანაცა კიდევ თარგმანება შენი ნაილაჯევი და ნაძალადევი: ტყუილად როდი თქმულა განსწავლულ კაცთაგან, სიყვარული უჩვეულოდ მფრთხალია და ნამდვილსა სიყვარულსა დიალაც შიში ახლავსო. მე კი ვგონებ (და თავადაც კარგად მოგვხსენება), ქურდ-ბაცაცობა აქა, ვითარ სხვა ბევრ მოლათინურე მწერალსაც უწერია, სიყვარულობანას ტკბილ ხილსა ნიშნავს, რომელ ხილსაცა მალვითა და პარვით უნდა მოწყვეტა, რამეთუ აგრე სწადს ვენერასა. ვიცი, რატომაო, მკითხავ. რატომა და, კვიპროსელ ქალღმერთსა ის ურჩევნია, ნანდაურნი მალულ-ფარულად ვცელქობდეთ და უსურვილებოდეთ ერთმანეთსა სადმე კარისა და კარის საშუალ, არცა კიბე-მწკაალასა რასმე ვწუნობდეთ, არცა კიდევ ჩამლილ შეშა-ფინხისა გუდურასა, ან არადა, სულაც ფარდავ-ხალიჩისა უკან ვიპარაუდეთ თავსა, რა არი თვალი ევრცვინ მოგკატანოს (ყაბულსა ვარ, არა მეთქმის რა), თღონდ არა მზისა მუქხედ, ვითარ უტიფარნი კაცნი გვასწავლიან, არა გავალაკისა ქვეშე, არა საწოლისა ოქროქსოვილი ფარდისა წიად, არცა სვენებ-სვენებითა და არცრა აღური აბრეშუმისა საგრილებელი, არცრა ინდიურისა სამწერობელი არ უნდა გვედოს იქავ ხელსატაცად მოვარგებულ-მომარჯვებული, თანაცა წამოგორებული ნანდაური გობან-ტაბასტოდან გამოძრობილი ნაძჯათა კბილთ არ უნდა ინიჩქნიდეს. შენ კი, მაშ, აბა ჰგონებ, რთ ჩემი დედაკაცი მრუდედ გამკრავს ხელსა, გამღვარსლავს და გამომწოვს, გამომსუტავს, როგორაც რთ ნიუარიდან ხამანწკასა ისუტავენ და როგორაც რთ კილიკიელნი დიანნი (მოწმეა დიოსკორიდე) გაჰკრავენ ხოლმე ხელსა სამელხე გუნდასა? ტყუვლები. ვინცავინ გამკვრედიო, ისა კი არა გწოვს, ხელიდანა გტაცებს, პირში კი არა, ტომარაში იყრის, წამოიკიდებს და მიაცუხცუხებს.

მეოთხე მრჩობლი ტაეპი ამბობს: ჩემი ცოლი, გამბდღვნის, გამფცქვნის, თღონდ არა სრულად. ჩინებული ნათქვამია! შენ კი ავიხირებია, დაგქაშტავს და დაგადუხჭირებსო. აგანვალა-განვალა! გენუკვი ამქვეყნიურ გულისა ზრახვათა დაცხრობასა, მზურისა შენისა ბუნებისა საიცრებათა ჰვრეტად ამალლებასა, და ჰერმე უკვი თავაღვე განაქიქებ სუფოველ საკუთარ ცდომილებასა შენსა, იმა ღვთაებრივი სიბილას ნამკითხაე-ნამისნარი უკულმართად მესმოდაო, გამოტეხილად იტყვი. ვოქვათ, და (გარნა ნურცა შესაძლებლად მივიჩნევთ და ნურცა კიდევ იქამდისინ მივუშვებთ) ბოროტი სულისგან შეგულიანებულსა ცოლსა მოეპრიანა და ჩემი ავად მოღორება, მოვივნება, ფრიად რქანაყრიანობა, გაცქვლეფათუ გულისა მოკვლა განიზრახა, ტყუილია, არცრა იმის მოპრიანებასა და განზრახვასა ასრულება არ უწერია.

ამა აზრსა რა საბუთიცა განმიმტკიცებს, დია საფუძვლიანია, სამონისტრო პანთეოლოგიის წიადსა ვარ დახესხებული. თღესმე ძმა არტურ გავასუნიასგან ვაუწყე, ღმერთმა არ მოაკლოს იმას ტანისა სიმრთელე: ორშაბათი დილა იყო,

ორივე კარგა გვარიანად მივაძებნით ღორისა ძეხვსა, და, როგორც მახსოვს, წვიბა და კიდევცა.

ყოველი სოფლისა შესაქმნისა ვაძსა თუ ცოტათინაც გვიან ადგნენ მდედრნი-დიაცნი და, მამრთ ცოცხლივ ტყავი გავხადოთო, პირი შეკრეს, რამეთუ მამრნი ყოველგან იმათ დამონება-დამორჩილებასა ეპირებოდნენ და ნაძურად ამა ან-ბისა შეთქმულ დიაცთ ერთგულება აღუთქვეს ერთურსსა და წმინდა სისხლი დაიფიცეს. მაგრამ ვაი, დიაცთაგან წამოწყებული საქმისა ამათებავ! ვაი, დედათა სქესისა სისუსტე! უკუ ექვსი ათას წელიწადზედ მეტია, რაც რომ მდედროთ ხელი ჰკიდეს მამრთა გაყვლეფა-გაცქვლეფასა, ანუ, კატულუსის თქმისა არ იყოს, იმა ერთი რამიდან გატყავებასა, რომელი ერთი რამეცა, ძარღვიან-ხერეღიანი, ყოველისა უფრორე მასიამოვნებელია იმათი, და ჯერხანად ოდენ თავი გადაუტყავეს. ებრაელთ ჯავრიან გულზედ თავად შემოიღეს შეტკვეთილება თუ შეტკვეცილება და ძირში იჭრიან ჩუჩასა: ურწევნიათ, რომ დაცვეთილ და დაკვერცხილ მარანთ ეძახდნენ, ოღონდაც მდედრნი ნუ დაყვერავენ, როგორც სუყოველ სხვა ხალხში ხდება. ჩემი ცოლი დასტურ არცვის არ დაუდებს ტოლსა, და, უკეთუ დაეჭირვა, იცოცხლე, გამღვარსდავს. ღმერთი, რჯული, ხელსა არ შევეშლი, ნებაზედ მიუეშვებ, გარნა სრულად არ გავეტყავები. სარწმუნოდ ბრძანდებოდე, ჩემი ქველო ხელმწიფე!

— ბარემ ისიც გეთქვა, — ჩაერია ეპისტემონი, — რად უცქირა ბერდიაცმა იმდენხანს ცეცხლსა, მერმე რადღა აწიოკდა და ამწვიტინდა, დაუნისა რტო კი ისრე უჩუმრად რად ჩაიწვა, ერთი არ გატკაცუნებულა. მოგეხსენება, ყოველივე ესა ავსა რასმე წინასწარმოსწავებასა ნიშნავს, ვითარ ამტკიცებენ პროპურციუსი, ტიბულუსი, გულმეცხვეი პორფირიოსი და ევსტათი პომპროსისა ილიადასთვის დაწერილ თავიანთ თარგმანებათა შინა და კიდევ სხვანი.

— შენც ნახე რა დასამოწმებელი კაცნი! — იხმამაღლა პანურგმა. — ყოველნი შაირთმთხველნი შლეგნი და უგუნურნი არიან, ყოველნი ფილოსოფოსნი კი მეჭორენი, უკლებლივ სუყოველასა ჭკუისა ნაკლებობა სჭირს, როგორც რომ იმათსავე ცრუბრძნობასა, ანუ სიბრძნისმოყვარეობასა.

თავი XIX

ვითარ აქვბ-ადიდებს პანტაგრუელი ენაშიხდილთაგან, ანუ მუნჯთაგან რჩევა-თათბირსა

მთხმენილმა პანტაგრუელი დია საგონებელში ჩაავდო, და კარგა ხანსა მერმე ხმა არღა ამოუღია. მასუკანით კი მიუთხრო პანურგსა:

— ბოროტი სული გრევეს და გვეელავს, დაღათუმცა ყური დამიგდე, რა უნდა ვითხრა. წამიკითხავს, ძველსა ღრთსა არცა დაწერილსა და არცა კიდევ ზეპირსა ნამისნ-ნაწინასწარსა რასმე არცვინ მიიჩნევდა ყოველისა უფრორე უტყუარად და ყოველისა უფრორე სარწმუნოდ. თავდაპირველად თუ უთქვამთ, აი ნაკულთმისნარი აძასა ჰქვია, სუყოველი რამ ეშმაკურად განჭვრეტილიაო, შემდგომად ბევრი ნაწინასწარმეტყველები ისა უმაღლ გამტყუნებულა, უსწორო გამომდგარა, როგორც რომ ორაზროვნობისა და მრჩობლმნიშვნელობისა თუ სიტყვათა გაუგებრობისა გამო, ისე გამონათქვამთა სიმოკლისა შედეგად. აი რად არი, რომა აბო-

ღონსა, გულთმისნობისა ღმერთსა, *Αιζλας*,* ეწოდებოდა. ყოვლისა უფრორე უცილობელ და უდავო გულთამხილაობად ის ითვლებოდა, რომელსა ძრობა და ნიშანი რამ გამოხატაუდა. ამა აზრსა ადგა პერაკლიტუ დიალექტურე წინასწარმეტყველებდა იუპიტერ-ამონი, აგრე გულთმისნობდა ასურელთა თანა აბოლონი. სწორედ ამად იყო, რომე ისინი წვეროსხად, გაბრძნობილ მუნჯკაცად შემოსილსა სახავდნენ იმასა და არა დედიშობილად, უწვერულ მბრუნად, მსთარცა ბერძნელნი იქმოდნენ. ავღგეთ და ჩვენცა ამა ხერხსა მივმართოთ: მიდი, უხშე რომელსამე უტყვსა, ანუ ენამიხდილსა, რათა მდუმარედ, ოდენ ნიშანთა ენა აამეტყველოს და ისე ვირჩიოს რამე.

— ბატონი ბრძანდები, — მიუგო პანურგმა.

— ოლონდ მუნჯი იგი ყრუდ დაბადებული უნდა მოიძიო, და სწორედ ამად უნდა იყოს ენამიხდილი, — დასძინა პანტაგრუელმა. — ყოვლისა უფრორე ნამდილი მუნჯი აკი ის არი, ვინაცა უსმად, ანუ სმენამოკლებულად დაბადებულა.

— ვითომ მაგითი რისა თქმა გწადს? — დაეკითხა პანურგი. — უკეთუ მართალია, რო კაცხორციელი, ვისაცა არცროდის არა სმენია, რარიგ უბნობენ სხვანი, არცა თაჟად უბნობს, მაშინ ლოგიკურად ღია საოცებელსა და პარადოქსულსა რასმე დაგასკენევინებდი. მაგრამ, კარგი, რაც არი, არი. უენა არცა პეროდოტეს ნაუბრისა გჯერა შესახებ იმა ორი ყრმისა, რომელთ, როგორაც პსამექტიქემ, ეგვიპტისა მეფემან ბრძანა, ხულასა შინა დამწვევდელთ, სრულსა მდუმარებაში ზრდიდნენ, და დროთა განმავლობაში ეგრევე წარმოთქვეს სიტყვა „ბეკუს“, რაიცა ფრიგიულად პურსა ნიშნავს?

— სრულებითაც არა მჯერა, — შეესიტყვა პანტაგრუელი. — ევა ტყუილი ამბავია, ვითომც ბუნებისგან ენა რამ გვეზნდეს ბოძებული. სუყოველი ენა სხვადასხვა ხალხსა თავის ნებისნებად და პირობადათქმით შეუქმნია. რაგინდრაგვარი სიტყვაო, ამტკიცებენ დიალექტიკოსნი,¹ თავისთავად არცრასა ნიშნავსო, რა აზრიცა შენ ვინდა, იმა აზრსა შესძენო. არ იფიქრო, ამასა ტყუილუბრალოდ გელაპარაკებოდე. ბარტოლუ (*l. prima de verb. oblig.*)** გვითხრობს, ჩემს დროსათ გუბიოსა შინა ვინმე იქვრივისი, ანუ შიკრიკი ხელო დე გაბრიელისი იყო, რომელიცა უცაბედად დაყრუვდაო, გარნა გზად ვინც ვინდ იტალიელი გადაპყროდა და იმას რაც ვინდ უჩუმრად ეუბნაო, ისა მაინც ყველაფერს უგებდა ოდენ იმის ხელ-ტუჩით თვალმიპყრობილიო. მერმე კიდევ ერთი ღია გამოჩინებული და გვარაიანი მწერლისა წიგნში ამოვიკითხე, სომეხთა მეფე ტირიდატე ნერონისა ჟამსა რომსა რომ სწვევია, დიდის ამბითა და პატივითა მიუღიათ, რა არი რომისა სენატთან და ხალხთან მუდმისად დემოფვრებინათ. სრულიად ქალაქსა შინა არცრა ღირსშესანიშნავი არა დარჩენილა რა, რომლისა ნახვაცა იმისთვის არ შეეთავაზებანოთ და არ ეჩვენებინოთ. უკან როს ისტუმრებდნენ, იმპერატორსა სტუმრისთვის ფრიად დიდებული და უცხო რამ ძღვენი მიურთმევია და კიდევაც შენუკვია, რომსა შინა ყოვლისა უფროისად თვალში რაიცა მოგივიდა, მარტო ბრძანე, და, ვფიცავ, სუყოველსა შეგძღვნო. სტუმარსა მხოლოდ ერთი მავანი მახიობლისა გატანება უსურვებია. ისა სახილველში, ანუ საჭვრეტ ადვილას მოენილა და თუმცადა სახელდებით ვერცრა გაეგო, რასა უბნობდა მახიობელი იგი,

* ორაზროვანი (ბერძ.).

** კანონი პირ[ველი], სიტყ[ვიერ] ვალდებულება [თათვის] (ლათ.).

სამაგიეროდ ყველაყას ჩახვედრილა, რასაცა ის ხელთა ქნევითა და სხეულისა ძრაობითა გამოხატავდა. სხვა არცრა მინდა იმა კაცისა მეტიო, უკადრებია სტუმარსა იმპერატორისთვის და საიჯო მიზეზიცა მოუღვია: ჩემი ფუნ-სკიპტრისი, ანუ სამეფო ჯთხისა ქვეშე მრავალნი სულ სხვადასხვა ენასა ზედა მოლაპარაკებულხნი სახლობენო, და იმათ რომ გავესიტყვაპასუხო, ბევრნი პოვნენი მეჭირვებიანო, ხოლო კაცი ესე ერთი სუფველას შემცვლისო, რამეთუ ხელთ ისე უცხოდ აუბნებს საოქმელსა, იტყვი, თითნი უმეტყველებენო.

შენ კი, ძმობილო, ვინმე ყრუმუნჯად დაბადებულისა მოძიება გმართებს, რათამც ყველაგვარი ძრაობა-ნიშანი იმისი დასტურ წინასწარმეტყველური იყოს და არამც თვალთმაქცური, შეღამაზებული თუ ნაყალბი. აწ იმის გავებალა დავურჩენია, ვისა ჰკითხავდი რჩევა-თაობირსა, მამრსა თუ მდედრსა.

— მე დია ვიგულსავსებდი, უკეთუ დიაცსა ვისმე დავკითხებოდი, — მიუგო პანურგმა, — მაგრამ ორი რაძისა მეშინის.

ჯერეთ ერთი, დიაცო რასაც გინდ ჰკიდონ თვალი, უმაღლ საეშმაკოსა გიივლებენ გულში, მაშინვე იმას იაზრებენ და წარმოიდგენენ, საქმე აქა წმინდა იესა, ანუ კაცისა სარცხვინელ ასოსა ეხებაო. როგორც გინდ ინძრე, რაც გინდ ანიშნო და რა მდგომარეობაშიც გინდ უჩვენო, ისინი ყველაფერსა ერთგვარად ხსნიან და მართ ოდენ ვინტრაობასა გულისხმობენ. ამაღ მოღორებულნი გამოვალთ, რამეთუ დიაცნი სუფოველ ჩვენსა ნიშანსა კურკურ-ამიკობად გაიგებენ.

შენის ნებართვით აწ ერთი ამბავი რამ უნდა შეგახსენო, რომელიცა რომსა შინა მომხდარია ქალაქისა დაარსებიდან ორას სამოცი წლისა შემდგომ. მავანი ყმაწვილკაცი პატრიცი ცელუსისა ბექურ-ბორცვსა ზედან რომაელ მატრონას გადააწყდა, სახელად ვერონესა, ყრუ-მუნჯად დაბადებულსა, მაგრამ ჭაბუკსა ვინაიდან ფიქრადაც არ მოსვლია იმისი ყრუმუნჯობა, ვითარ სტალიკელთ სჩვევიათ, თან ხელთ იქნეუდა და თან ისე ჰკითხავდა, აქეთ რი მოდიოდი, სენატორთაგან გზად ვის შეხვდიო. ქალმა ვერცრა გაუგო შემკითხველსა და იფიქრა, რომ ნანდვილად იმაზედ ელაპარაკებოდა, რაც მიწყვი თვითონაც აგონდებოდა და დიაცისგან რისა თხოვნაც ყმაწვილკაცსა ეპრიანებოდა. მაშინ მან ნიშანთ მიმართა, — ნიშანი კი სადღეღამამლო საქმეში სიტყვაზედ განუზომლად უფრორე მომჯადოებელი, გულწამტანი და გამომეტყველია, — ჭაბუკი თავისთან შინ შეიტყუა და შინ შეტყუებულსა ანიშნა, რაცა შენა გწადს, მეცა ისა მწადსო. რაღა ვაფაგრძელო, ბოლოს, დადგნენ და, არცრა ხმა არღა ამოუღიათ, იყინტრავეს, მაგრამ რა იყინტრავეს!

კიდევ იმისი მეშინის, ყრუ-მუნჯმა დიაცმა ვაითუ არცრა გვიპასუხოს ჩვენს ნიშანზედ და ვგრევ გულადმა გადაეარდეს: თანახმა ვარ, მაგ თქვენსა უხმო თხოვნასა ახლოვ დავიკმაყოფილებთო. ხოლო თუ პასუხად რისიმე ნიშნებასა მოჰყვება, ნიშანთ იმზომ ორაზროუანთ და საცინელთ გამოიყვანს, იმის გულის წადილსა ხელადვე კატალუაობად, ანუ პეპლაობად ვირიშნებთ.

რაღა თქმა უნდა, მოგეხსენება, კროკინიოლის სავანესა შინა როს მონაზონი დაი დრუნცულა ძუძუმტე მორჩილმა ქაქუნამ მოაფერდიანა, რაწამს ამბავიცა შეიტყო, აბატისამ მყის თავისთან უხმო მუცელქმნილსა და სრულად კაპიტულისა თვალწინ სისხლისა აღრევაში დასდო ბრალი, მონაზონმა კი თავი იმით იმართლა, სუფოველივე ჩემი ნებისა წინააღმდეგომ მოხდაო, ძმა ქაქუნამ ძალით დამამდაბლაო. აბატისა პირში სწვდა: „უკეთურო! დორმიტორიუმში იყავ, რატომ ყვირილი არ ატეხეო? ყველანი წამოგემუკვლებოდითო“. შეცდომილმა ამა-

ზედ ისღა მიუგო, „ყვირილი ვერღა გაუბედე, რამეთუ დორმიტორიუმში მუდმივ მკურნოება უნდა სუფევდესო.“ — „ნიშანი რაღა იყო, შე უკეთური, შენა, — მკითხავდა აბატისა, — იქავ შენი თანამესასვენებლე დიაცნი იყვნენ, ვერა ანიშნე რიო?“ — „ვანიშნე და მეტიცა ვქენიო, — ვაესიტყვა დრუნცულა, — ლანის/მო-
ვიგდებინე, იმდენი ვაქნიე სანიშნებლად კურტუში, მაგრამ არცენ არ წაქმქვე-
ლებიო“. — „რატომ მაშინვე ჩემთან არ მოირბინე, შე უკეთური, მდგომარეობა-
ყობინეო, — არ ეშვებოდა აბატისა, — რათა, როგორც წესი და რიგია, ისე გვევა-
ბინებინა იმისთვის პასუხიო? შენს ადვილას შე აგრე მოვიქცეოდი და ჩემს ალაღ-
მართლობას დავამტკიცებდიო“. — „რატომ არ მოვირბინე და ვშიშნეულობდი, —
თუნა დრუნცულამ, — ვაითუ უეცრივ მოვმკვდარიყავ და ცოდვიან-შენვენებულ-
სა იმ ქვეყნად რაღა შეშველებოდაო. სანამ ისა სასვენებლიდან გავიდოდა, ვვალ-
სარებე, და იმან ესეგვარი საკანონო, ანუ ცოდვისა შესანახებელი ვარდასახადი
ღამდო; არცვისთვის არ გამემხილა და არა მეთქვა რაო. აღსარების საიდუმლოს
განდობა კი, ჩემგან რა გესწავლება, ყოვლის უმეტესი ცოდვია, არცა ღმერთი და
არცა წინაშე იმისა მდგომელნი ანგელოზნი არ გვაპატიებენ ესრეთ ცოდვასო.
რა იცი, ცით ცეცხლი არ გადმოსულიყო და მთლად ჩვენი საბატო არ გადაებუ-
გათ, ჩვენ კი ქვესკნელში არ ჩავცვიკნულიყავით, ვითარ ესა დათანსა და აბირამს
დაემართათო“.

— მაგით სრულებითაც ვერ გამაკვირვე, — წართქვა პანტაგრუელმა. —
კარგად მომეხსენება, მონაზონის საღვთო მცნებისა გარდასვლა ისერივად არ აშ-
ანებთ, როგორაც თავიანთი სამონასტრო წესდებულებასა დარღვევისა ეშინით.
ბატონი ბრძანდები, მამრსა მიმართე. ვგონებ, თხაცხვირა გამოვადგეს, გრუმუნ-
ჯად დაბადებულია.

თავი XX

პითარ ენიშან-მკასუხემა თხაცხვირა პანურგსა

აფრინეს თხაცხვირასთან კაცი, და ისიც მეორე დღესვე იქ განსდა. მოიხილა
თუ არა, პანურგმა ციმციმ მიუბოძა კვებულა, კარგა ჭამებული, ნასუქარი ხბო-
ნერა, ღორის ფეშხო, ორი კასრი ღვინო, ერთი ფოხალი ხორბალი და ოცდაათი
ყრანკი წვრილი თეთრი; მერე მიჰგვარა პანტაგრუელსა და სეფეკატოა თანა თხა-
ცხვირასა ესეგვარი რამ ანიშნა: ჯერეთ კარგა ხანსა ამოქნარა და ამა მოქნარება-
მოქნარებაში მარჯვენა ხელისა ცერსა, ანუ უსო თითსა ზედ პართან იტრიალებ-
და და ბერძნული ასო ტაუ გამოჰყავდა, რაიცა რამდენგზისმე გაიმეორა. მასუკან
თვალნი ცად აღაპყრო და იმგვარად გადაბრიცა, როგორაც დედალმა თხამ იცის
ბერწებისა ჟამსა, თანაც მხველარებდა და ხვნეშოდა. შემდგომად დაანახეა, უსა-
ბადლო ვარო, და კვართისა ქვეშიდან თაყისი გველისპირული დაადრო, მუჭაში
მოიქცია, ჩაბლუჯა და ბარკალთა ზედან კეთილხმიანად მიირტყ-მოირტყა; ბოლოს
პარცხენა მუხლზედ დაიჩოქა და გულზელი დაიკრიფა.

თხაცხვირა მჩხრეკავ თვალსა არ აშორებდა პანურგსა. კვალად მარცხენა
ბეღი მადლა აიშვირა და თითნი მომუჭა, თვინიერ ცერისა და ხაღიოკისა; ისინი
ერთერთსა ისეთნაირად შიადო, ფრჩხილი ფრჩხილსა ოდნავ ეხებოდა.

— ყველაყა ვიგულისხმე, რისა თქმაცა მაგ მინიშნებითა სწადს, — წართქვა

პანტაგრუელმა. — ჯერეთ ერთი, ეგა ჯერისწერასა ნიშნავს, მეორეცა, ვითარ
პითაგორელნი გვისწავლიან, ოცდაათ რიცხვსა გამოხატავენ, ბეჭედსა შეიცვლი.

— დაა მადლობელი ვარ, — მიუბრუნდა პანურგი თხაცხვირასა, — შე ჩემო
უმრწემესო ლხინისა მოძღვარო, შე ჩემო თანამცურვალე, შე ჩემო ზელარგნოსა-
ნო, შე ჩემო მსტოვარო და ზედაძღვომელი! *სიბუნძოთი*

ამისა გამგონე თხაცხვირამ კიდევ უფროისად მალლა აიწოდა მარცხენა ხე-
ლი, დაჭიმა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხუთივ თითი გაფარჩხა.

— აწ სუყოველი ცხადი ვახადა, ეს ხუთიან-ხუთეული იმის ნიშანია, და-
წყვილდები, — აუხსნა პანტაგრუელმა. — თანაც კიდევ მართ ოდენ სიძეობა, უდ-
ელტოლობა და ქმრობა არ გიწერია, ოჯახში ბედნიერება, ანუ კეთილმომთხვეუ-
ლი ცხოვრება გიჩანს. მოგეხსენება, თანახმად პითაგორასი, ხუთეული შეერთება
შეუღლები რიცხვია, თქმა არ უნდა, გვირგვინისა დაღვმა და ქორწილი ზედა
გაქვს, რამეთუ ამა რიცხვ-სათვალავეში შეერთებულ-დაწყვილებულია სამიანი,
პირველი კენტი რიცხვი, და ორიანი, პირველი ლუწი რიცხვი: როგორც რომ
შეუღლებულ-შეერთებული შამრი და მდედრი წყვილდებიან. დიახამც, ოდესმე
რომსა შინა ქორწილისა დღესა ხუთ კერუნ-ჟინჯილსა ანთებდნენ და არცა
მეტისა ანთება ეგებოდა, არცა ნაკლებისა, რაგინდ ყოვლისა უფრორე მდიდარი
ანდა, პირიქით, ყოვლისა უფრორე ღარიბი ქორწილი ყოფილიყო. თვინიერ ამი-
სა, უწინდელსა დროში წარმართნი ახალქორწინებულთ ხუთსა ღმერთსა ავედ-
რებდნენ (ან ერთსა ღვთაებასა ხუთგზის სწირავდნენ მსხვერპლსა); იუპიტერსა—
მაქორწინებელსა, იუნონასა — ქორწილისა მეობსა, ვენერა მშვენიერსა, პეი-
თოსა — შეკონებისა და ენამჭევრობისა ქალღმერთსა და დიანასა, მელოგინეთა
შემწესა.

— უფურე ერთი ამ ჩემსა თხაცხვირასა! — იხმამაღლა პანურგმა. — უნდა
ავღვე და შევძღვნა სინეს ახლორე აგარაკი და ქარისა წისქვილი მირბაღეში.

აქა მუნჯმა ხაფად დააცემინა ცხვირი, ერთიანად შეკანკაღდა და მარცხნივ
შეტრიალდა.

— ხარსამც დაურქვნია, ეს ვითომ რაღაა? — შესძახა პანტაგრუელმა. — ავ-
ის ნიშანია, ავისა! გიქარავმა, ოჯახსა ბედნავსად მოეკიდებო, კურ გაიზარე-
ბო. ვითარ ტერპსიონი! გვითხრობს, ცხვირისა დაცემინება ერთ-ერთი სოკრატე-
სეული დემონიონია. მარჯვნივ დაცემინება იმასა ნიშნავს, მტკიცედ და გაბედუ-
ლად მიჰყო ხელი შენსა ნაფიქრსა, თავით ბოლომდისა წარვმატო და საქმე
დამში მოიყვანო, მარცხნივ დაცემინება კი საპირისპიროსა ნიშნავს.

— შენ სულ ეგრე იცი, — შენიშნა პანურგმა, — ყველაყასა უარესობად სა-
ხავ, წინაუკმო, ზედგამოჭრილი დაეუსი² ხარ. არცრა მაგისტანა რამ არა მჯე-
და, ეგ შენი მხხაბაკი ტერპსიონი ცრუპენტელა ვინმეა და მეტი არაფერი.

— აკი ციცერონიც რაღაც ამისთანასა უბნობს ცხვირისა დაცემინებისა გა-
მო De divinatione-ს* მეორე წიგნსა შინა, — შეესიტყვა პანტაგრუელი.

აქა პანურგი მიუბრუნდა თხაცხვირასა და ესეგვარი რამ ანიშნა: ქუთუთონი
გადმოიბრუნა, ყბანი მარჯვნიდან მარცხნივ მსიღრიჯა და ენა ნახევრად გამოყო.
მერმე მარცხენა ხელი გაშალა, ოღონდ ისე, რომ შუათითი ხელისგულისა მი-
მართ პერპენდიკულარულად, ანუ მართშვეულად დაიჭირა და ჩახხურ-საწმერ-

* „შესახებ მისნობისა“ (ლათ.).

თულზედ საბიძლისა ძავივრად აიფარა; მარჯვენა ხელი კი მომუჭა, თვისიერ ეკრისა, რომელიცა მარჯვენა ილღისა ქვეშ გაიტარა და ზურგზედ დუნდულთა ზემოთ მიიჯინა — იმა ადგილსა, რომელსაც არაბნი ალქატიმს* უხმობენ. მასუკან წამერთ შეინაცვლა ხელნი: მარჯვენა წელანდელ მარცხენასავით დაიჭირა და საბიძლისა ადგილას მიიღო, მარცხენა კი გაიმარჯვენა და ალქატიმზედ დაიბჯინა. ხელთა მონაცვლეობა ესე ცხრაგზის გაიმეორა. მუცხრეჯერ — მოსცვლავისა შემდგომ ქუთუთონი ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნა, აგრეთვე ყბანი და ენა; მერმე აღმაცერად გადახედა თხაცვირას და ბავენი ააცმაცუნა, როგორც რომ მაიბუნმა ან ბოცვერთ იციათ, თღეს ძირზედ ჭამენ შვრიასა.

ამისდა პასუხად თხაცვირამ ტაშად გაშლილი მარჯვენა ხელი მალლა ასწია, შემდეგ ცერა თითი, პირველ სახსრამდის, შუათითისა და არათითის შესამე სახსართა შორის მოიქცია და მაგრად მოუჭირა, ხსენებული ორივე თითისა დანარჩენი სახსარნი მოკუმშა, ხოლო ხალოკი თითი და ნეკი დაძაგრა.

ესეგვარად თითებდახვლანჯული ხელი თხაცვირამ ჭიპზედ მიადო პანურგსა, კვლად ნეკსა და სალოკ თითსა დააწვა, ვითარცა ფერხთ, და ცერა თითი ზევათ-ზევით წაიღო, აატარა პანურგის მუცელი, კუჭისა არე, გულმკერდი, ყელი და ბოლოს, ნიკაპი, რისა შემდგომაც პირში შეუყო და დაუტრიალა, მერმე ახლა ცხვირი მიუხან-მოფხანა, ხოლო თვალთ რომ მიუახლოვა, ცერი ისეთნაირად დაიჭირა, ვითომ სახედველთ დაგახრი და დაგივსებო, აწლა პანურგი ახეზარსა მოვიდა და მუნჯისგან თავისა დაღწევა სცადა, გაქცევა დააპირა. თხაცვირა კი მაინც ისევ ისე უსვამდი ცერსა ხან ერთსა თვალზედ, ხან მეორეზედ, ხან შუბლზედ და ხანაც თავსაბურავისა არშიასა ზედა.

მაშინ პანურგისა პირმოხეულმა ღრილმა ცა გახვრიტა:

— ჰეი, შლეგო, ჩამომეხსენი, თორემ დაგძებგვავ! ჩემსა ვაბასრუბასა მოეშვი, თუ არა გწადს, რომ ცხვირ-პირი დაგისისხლიანო და ველარავინ გიცნოს!

— შენც ახლა სასმენელნი არ დაუხეთქო მაგ ყრუსა, — ჩაერია ძმა ჟანი, — მიდა, დრუნჩი მოუნგრიე და მაშინდა ინიშნებს შენსა სათქმელსა.

— ჩეტაი, რა უშმაკი უნდა ჩემგან ამ ცალმოგვსა და ცალტვინასა, — ყბასა აუფლბდა პანურგი, — სახედველნი ჩემნი აღბათ ყვერნი თუ ჰკონია, ისე მიცაცუნებს უსო თითსა. ერბოკვერცხი ამათგან მაინც არ გამოუვა, ღმერთმანი, da jurandi, კინწისა კერითა ვაგაძლობ და არცა ვასილაქებასა დაგამადლი!

აქა პანურგმა უკან დაიწია და თხაცვირასაკენ პირი გააპრაწუნა.

აქათდა პანურგი უკუიქცაო, მუნჯმა წამერთ ისეკუა, ზედ მივარდა და ვხეგვარი რამ ანიშნა: მარჯვენა მკლავი მთულ სიგრძეზედ დაუშვა, მუხლისა თავამდის. თითნი მომუჭა და ცერი შუათითისა და სალოკისა საშუელ გახლართია, მერმე მარცხენათი მარჯვენისა გლასუნი დაიწყო იდაყვზედ და ერთგამიერად ამა ხელსა ხან იდაყვისა სიმაღლეზედ და კიდევ უფროისად მალლა სწევდა, ხან უფროვ დაუშვებდა ხოლმე, და ასერავად შენაცვლეებით ხან მალლა სწევდა, ხან ისევ დაბლა უშვებდა და პანურგსა ახილევებდა.

გაცეცხლებულმა პანურგმა მუშტი დაადირა და დარტყმა დაუპირა, მაგრამ პანტაგრუელისა პატივისცემისა გამო თავი დაიჭირა.

აქა პანტაგრუელმა მიუთხრო:

* გავის ძვალი (არაბ.).

რომ უახლოვდებიან სიკვდილსა, როგორაც კეთილსაიმედო და თავისა დასაღწეველ რასმე ნავსაყუდელსა, ანუ ამაქვეყნიურ ვაი-ვაგლახთაგან განდგომილთა განსვენებისა და სიმშვიდისა ადგილსა, უმაღლესო სუყოველთ მოიკითხავენ, ნუგეშისსა სცემენ და იქავ დაუწყებენ გულთამხილობისა ხელოვნებისა სწავლებასა.

აწ არცრა მაგალითსა არ მოვივარგებ, მაგალითი კი ძველთაგან მტკნარ შემონახულა: ისააკისა, იაკობისა, პატროკლესი, რომელმან უგულთამხილაჲა აქილესსა, პოლიმესტორისა, რომელმან უგულთამხილაჲა აგამემნონსა და ჰეკუბასა, მავანი როდოსელისა, პოსიდონუსისგან ქებულისა, ინდოელი კალანისა, რომელმან უგულთამხილაჲა ალექსანდრე დიდსა, იროდესი, რომელმან უგულთამხილაჲა მეზენციუსსა, და სხვათა; აქავ უნდა ოდენ გაგახსენო დია ყოვლადმცოდინარე და გულოვანი რაინდი გიიომ დიუ ბელე,² განსვენებული სენიორი დელანჟეი, რომელიცა უკვე ხანდაზმული ტარარისა მთაზედ აღესრულა ათ იანვარს, ჩვენის გამოთვლით ათას ხუთას ორმოცდასამ წელსა, უკეთუ რომისა კალენდარსა, ანუ სათვეო აღრიცხვასა ჩავხედავთ. ვინემ სული ამოუვიდოდა, იგი იხევ იხე მხნედ, მშვიდად გველაპარაკებოდა, გულისხმაში გვაგებდა, გვიწინასწარმეტყველებდა, და მართლაც ზოგი რამ უკვე ახდა, ზოგსაც კიდევ ახდენა უწერია, მაშინ კი, ცოტა არ იყოს, ფრიად უჩვეულოდ გვეჩვენებოდა იმისი გულომინობა, რამეთუ იმჟამად ჯერეთ არცრა ვუწყოდით, რარიგი წინასწარმეტყველი იყო. აქედან შორი არ ეთქმის, ვილომერთან ახლოს, ერთი ყოვლადამხცოვნებული მელექსე ვინმე კატუნკრუტუნა ცხოვრობს, რომელმან მეორე ქორწინებით ცოლად სახელგავარდნილი ცუდჭირა შეიჩოთ, და წლისა თავზედ უღამაზესი ასული, სახელად ბაზოში ევოლათ. მელექსე იგი სიკვდილისა პირას არიო, გავიგე, საცაა სული ამოუვაო. წა, მთიხილე და მოუსმინე იმის გედურ გალობასა. რა იგი, ეგება სულაც სახუკვარი პასუხი გავცეს და იმისი ენა-პირით აპოლონმა იტყუნეულობასა მოვარჩინოს.

— კარგი, — წართქვა პანურგმა, — ოლონდ მალე, ნულა დავაყოვნებო, ეპისტემონ, ემანდ სიკვდილმა არ გვიყულოს. შენ რას იზამ, ძმაო ჟან, ჩვენთან ერთად წამოხვალ?

— წამოვალ, — მიუგო ჟანმა. — წამოვალ, შე აქეთ-იქით მთრეველო, შე მრუშო, შენა! ნაღდი ჯიგარი ხარ!

ხანი არღა დაუზმიათ, დაადგნენ გზასა და მელექსისა ჭერქვეშ მისულთ უკვე სულამომდინარი დახუდათ კეთილი ბერიკაცი, თუმცაღა ხალისიანად გამოიყურებოდა, შუბლგახსნილი იყო, სახეზედ ნათელი ეფინა, პანურგმა წინაპირველად ყურეთ მოიკითხა, მიემშვიდობა, მერმედ, ვითარ კეთილი გულით მიძღვნილი, მარცხენა ხელისა არათითზედ ოქროს ბეჭედი წამოაცვა, უცხო რამ დიდრონად-მოსავლურსაფირონიანი; მასუკან სოკრატესა ბაძვად³ კოხტა თეთრი მამალი მთაროვა, მამალი მაშინვე სნეულისა ლოგინზედ შეხტა, თავი მალღა ააღირა, შეიფრთხილ-შემოიფრთხილა და ხაფად დაიყვილა. ამისა შემდგომ პანურგი დია ზრდილად და თავაზიანად შეენუკვა მელექსესა, იქნებ როგორმე ამა ჩემსა ქომიმან-ჭოჭმანსა დამხსნა, მიწინასწრო, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, ცოლი მოვიკვანო თუ არაო. კეთილმა ბერიკაცმა მელნისა, საწერ-კალმისა და ქაღალდისა

მოტანა ბრძანა. სუყოველივე წამსვე მოიღეს. მაშინ ბერიკაცმა ესეგვარი შერეული ლექსი ჩამოაწიკწიკა:

დაოჯახდი, დაიხურე ჭერი,
არ გაბრიყვდე, დაიჭირე შორსა
მაგრამ მაინც თუ იპოვნი სწორსა,
ნურც შეირთავ, არც გაუშვა ხელი.

მარხულობდე, ვერ გადარჩე მრთელი,
არამც ხსნილით ალაღებდე მძორსა.
დაოჯახდი, არ ქნა...

შინ ეყუდე, მოვლე ზღვა და ხმელი,
ყველას ენდე, არა გვერდით მწოლსა.
ცოტა ცოში მოანდომე ცოლსა,
კიდევ უფრო ცოტა საფანელი.
დაოჯახდი, არ ქნა...

ლექსი ესე ბერიკაცმა სტუმართ გადასცა და თან მიუთხრო:

— აწლა ჩამომშორდით, შვილნო, ზეციერი მუფე ვფარვიდეთ და კვლავად ნურცრისთვისდა შემადონებთ. დღესა, ამა ჩემად ბოლო და ვარდობისთვისა ბოლო დღესა, დია ჯაფა დამადგა, რათა უითარმე აქედან გამეყარა და მეოტებიანა ბაღწნი, უწმინდურნი და მყრალნი ნათესავნი კაცთა, ზოგნი შავნი იყვნენ, ზოგნიც ჭრულნი, გრემნი, თეთრნი, ზოგ-ზოგნიც რუხ-ყომრალნი და ჟღალნი, მშუიდად სიკუდილსა არ მანებებდნენ, ჩუმ-ჩუმად მგვრემდნენ და მხვლელტდნენ, თავიანთ პარპიულ კლანჭთ მიყრიდნენ, კრაზანებრ დამზუზუნებდნენ, გულსა მიწვრილებდნენ, ხარბად მწოვდნენ სისხლსა და არ მაფიქრებინებდნენ ჩემსა ტკბილსა საფიქრალსა, არადა, უკვე ვმზერდი, წინდაწინ ვგრძნობდი იმა ბედნიერებასა და ნეტარებასა, უფალ ღმერთსა რომ განუმზადებია თავის რჩეულ და ერთგულ კაცთათვის საიქაო, ანუ საუკუნო ცხოვრებასა შინა. არამცა და არამც არ მისდიოთ იმათ კვალსა, დამგვანებითაც ნუ დაემგვანებით, ნულა შემაწყენთ თავსა! გვედრით: კვალად მყუდროება ჩამოაგდეთ გარეშემო!

თავი XXII

ვითარ ევაფრება პანურბი უკოვარ ძმათა ორდენსა

კატუნკრუტუნისა სენაკიდან გამოსულმა პანურგმა შიშატანილმა წართქვა:

— ღვთისა სახელსა ვფიცავ; მწვალებელია, მიწამ მიყოს პირი, დაღათუ ვტყუოდუ! პატროსან ძამათ ლანძღავს, უპოვარ კორდილიერთ და იაკობელთ, ანუ ქრისტიანობის გარეგანი ცისა იგივე ორსა ნახევარსფეროსა; დასტურ ამა ზეგარდმო საპირწონეთა გიროგნომიკური ცირკუმბილივაგინაციის გამოა, რომ ყველაგვარი პერსფრასტიკული გონდაბინდულობა რომისა ეკლესიისა, რაჟამსაც იგი შექანებულ-შექანჯალებულია ჩმახი რომ ცოთმილებისგან თუ ერესისგან, პომოცენტრიკულად იძვრის.² არა, მაინც რა იყო, დალახვრავს ეშმაკი, ამისთანა რა ცეცხლი წაუკიდეს მაგ სულკატიან ბერკაცსა გინდ კაპუცინთ და გინდ მინორიტნი თქვი? ვითომ რა, საკმარი უაი-ვაგლახი და ვალაღება არ აყრიათ ამ სა-

წყალ ეშმაკუულთ? სხვათ ვის უნახავთ იმოდენი ჭირი და ვაება, რასაცა ეს და-
ღალ-ბეჩავნი ეშმაკუულნი მოსწრებიან, თევზიჭამიეთელნი, ანუ იქთიოფაგელნი?³
ძმაო ჟან, ნუ დამიძალავ, თუ კაცი ხარ: განადა სულსა არ წარიწყმელს ეს გაღა-
მღრძვალნი ბერაბერი? ღმერთმანი, ვითა წყეული გველი, ეგრევ ჯოჯოხეთში ამ-
ოყოფს თავსა ეშმათა თანა. სად გაგონილა ეკლესიისა შემწე და მურჯუკცტთა
აგრე პარმოხეული ძვირისა თქმა! იქნებ მითხრა, პოეტური პორგტისა სრალმაა?
არამცა და არამც! სულგრული ცოდვილია. რელიგიასა ქირდავს. დია აღმყოფი-
ბული ვარ.

— მე ფეხთაც არა მკილია, — ყბა ააყეფა ძმა ჟანმა, — ბერნი თჳად სუყოველ
კაცთ აგინებენ, სუყოველნი კი მაგათ თუ გაღანძლავენ, სულაც არა მგამა. ვნა-
ხით ერთი, რა დაგვიწერა.

პანურგმა ფაციცად ჩაიკითხა კეთილი მხტოვნისა ასოთდასხმული პასუხი
და იუბნა:

— ბოდავს ეგ ბეჩავი ლოთმებრუვე. დაღათუმცა, მიპატიებია. ეტყობა, მიღვე
გაჭიმავს ტყავსა. ურიგო არ იქნება, ეპიტაფიასა თუ შევეუდგენთ. მაგისმა სიტ-
ყვისგებად ისერიგად ჩამაგდო ჭკუაში, ტყუილია, აწ ჩემი მომლორებელი კაცი
არა დაიბადება. ეპისტემონ, მუცელბეღელავ, ახორმაზო, ყური მიგდე! რასა
ბგონებ, ვითომ ფარსავი რამ სიტყვა გვითხრა? ღმერთმანი, პირწავარდნილი
სოფისტია, გვარიაანად მამაძაღლი. თავსა მოვიჭრი, გამავრებული რჯულგანდგო-
მილთაგანი თუ არ იყოს. მერე, რარიგ ფროთხილი ვინმეა, ერთსა ზედმეტსა არ-
რას უბნობს! ოდენ ერთმანეთისა საწინააღმდეგო აზრსა გამოთქვამს. ბოლოს მიწ-
ყვ სწორია, რამეთუ ან ერთი აზრი უმართლებს, ან მეორე. დია ვირეშმაკა ჩანს!
მაგასთან ვითომ სანტ-იაგო ბრესუირელი კი რამეს გახდებოდა?

— სწორედ ეგრეთი სიტყვა-პასუხი ჰქონდა სახელგანსმენილ მისანსა ტირე-
სიას, — ჩაერთო ეპისტემონი. — რჩევისა სათხოვნელად მისულთ ერთსა რასმე
უუბნებოდა: რასაცა აწ გეტყვით, ან აგიხდებათ, ან არ აგიხდებათო. ჩვეულებრივ
აგრე მოსდგამთ ყოველთა ჭკუათმყოფელ მისანთ.

— იუნონამ აკი მაინც ორთავ ოვალნი მოსთხარა, — წართქვა პანურგმა.

— მართალია, — კვერი დაუკრა ეპისტემონმა. — ჯავრა აყარა, იუპიტერის
შეკითხვას ჩემს უმჯობესად სიტყვა ვით შეაქციაო.

— არა, — გაეპასუხა პანურგი, — ახში, რა ეშმაკი შეუჯდა მაგ მეტრ კატუნ-
კრუტუნსა, რო ესეგვარად ათრევს წმინდა მამათ, იაკობელთ, ფრანცისკელთ და
უმრწემეს ძმათ?⁴ ლამის გულზედ გავსკდე, დამიჯერე, დუმილი არა ძაღმიძს.
მაგან დიდი რამ ცოდვა ჩაიდინა. ჯოჯოხეთი ზედა აქვს.

— ვერ დაგიჯერებ, — მიუთხრო ეპისტემონმა, — გულზედ ეგ შენი ლაპარაკი
მხეთქავს, რამეთუ ცილსა სწაშებ დიდებულსა მგოსანსა, ვითომ შავსა, რუხსა
და ყოველივე დანარჩენ ღვთისა განაჩენში უპოვარ ძმათ გულისხმობდეს. თუ
რომ ქვეყანაზედ რამე მეც გამეგება, მაგას ფიქრადაც არა ჰქონია ეგვევითარი
სოფისტიკური და ფანტასტიკური ალეგორია. ეგა ოდენ რწყილთა, ბაღლინჯოთა,
ტაბათა, ბუზთა, მუმლთა და სუყოველ სხვა მწერთა გამო უბნობს, მწერნი კი,
თავადაც უწყი, შავნიც არიან, წითელნიც, რუხნიც, წაბლისფერნიც, ყავისფერ-
ნიც და უკლებლივ ყველა აბეზარი, თავშემაწყენელი და აუტანელია არა მარტო
სწულთათვის, არამედ ჯანსაღ და ძალოვან კაცთათვისაც. რა
იცი, ეგება სულაც მუცელსა შიგან მრგვალნი, ბრტყელნი და
გრძელნი ჭიაჭუანი უფუთფუთებენ. ანდა იქნება ზღმურდლიანობა სტანჯავს
(ერთარცა ეგვიპტესა და მეწამული ზღვისა ახლომახლო ხშირადრე ხდება), ანუ

ხელ-ფეხისა ხორცსა და ტყავსა საშუალო ჭურბრ-მატლნი რამ თუ გახენია, რამელთ არაბნი მედინურ ძარღვთ უხმობენ.

ძალიანაც ბევრსა აშავებ, სიტყვათა აზრსა რო უსხვაფერებ და უსხვაგვარებ სულ ტყუილად ძრახავ სახელგანთქმულ მეოსანსა და არცა კიდევ ხსენებულ ძმათ აყრი ხეირსა. მოყვასზედ ოდეს ვლაპარაკობთ, ნამუსი უნდა მოვწმინდოთ, განაღამცა პირშაუად გამოვიყვანოთ.

— შენა რა აბუხალაკად მიგდებ, ჩვარში მხვევ? — შეუჭვება პანურგმა. — აი, როგორც შენ გიყურებ, ღმერთი, რჯული, ისე ვჭვრუტ, მწვალებელია. თანაც ლიტონი არ გეგონოს, წმინდა წყლის მამალი მწვალებელია. რაღა ეგა და რაღა კლაველი, ეგაცა იმის კოხტა კოშკურა საათსავეთ დასაწვავ-დასაბუგია.⁵ საუკუნო გამოუხსნელსა ვერ ასცდება, სული იქ ამოსძვრება. ახლა არ იკითხავ მაინც-დამაინც სადა? სადა და, პირდაპირ პროხერპინას ძირგახვრეტილი სანეშტე სელისა ქვეშე, ჯოჯოხეთისა ხარულ-ფეხისაღაგსა შივან, რა ადგილასაც იგი კუჭ-ნაწლავისა დასაცლელად დაიარება, კავლონისა, ანუ დიდი ქვაბქოთნისა მარცხნივ, სულ რაღაც სამ ნაბიჯში ლუციფერისა კლანჭთაგან, დემიგორგონისა⁶ შავი საკნისა გვერდით. უპ, ეგ მამაძაღლი!

თავი XXIII

პითარ აყბედებს პანურივი ყბასა, კატუნკრუტუნთან კვალად მივიძვრე თუ არაო

— მივიქცეთ უკან და კურჩიოთ, რომ ცხონებაზედ იფიქროს, — განაგრძობდა პანურგი. — წავიდეთ დვთისა გულისთვის, წავიდეთ, ღმერთიმც გვიწინამძღვრებს! მადლსა ვიქმთ: უკეთუ გვაძი და სიცოცხლე წარეტყვენა, სული მაინც არ წაუწყდება.

სუფოველსა ცოდვასა მოვანანიებინებთ და შენდობასაცა ვათხოვნიებთ როგორაც იქ არყოფილთა, ისე იქა ყოფილთა წმინდა მამათა წინაშე (და თანაც ამა საქმის მოწმენი გაუუხდებით, რათა სიკვდილისა შემდგომ იმათ მწვალებლად არ გამოაცხადონ და არ შეაჩვენოს, ვითარ კორდილიერთ უქნეს ორღეანელი ბრჭემსაჯულისა ცოლსა),¹ და შენდობათხოვნილ პატიოსან თანაძმით გულსა რომ დაედოთ და იმჟამინდელი წყენინება დაუვიწყონ, უნდა აღგეს იგი და უკლებლივ სუფველა აქაური მონასტრისთვის მეტი და მეტი სარჩო-როჭიკი შეაწირვისოს და აგრეთვე მეტი და მეტი სულისა მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი შეუკვეთოს თავისად. ყოველწლივ კი, იმის სულ-ხორცის გაყრისა, ანუ მიცვალებისა დღესა, მოწესე-შავოსანთ დღიური ულუფა ხუთმაგად უნდა მიეზობოთ და არცა ზედაშიანი გოზაური უნდა მოაკლდეს იმათ ტაბლასა, სულ ჯამფილათი უნდა სვამდნენ ყოველნი, გინდ მგალობელნი და გინდ მორჩილნი, გინდ მღვდელ-ხუცესნი და გინდ წინამძღვარნი, როგორაც ახალბედანი, ისე ძველნი. ოდენ აგრე გამოსთხოვს ღმერთსა იგი შენდობასა!

ოპ, ოპ, ამას რასა უჩაჩავ, რასა ვრატრატებ? ეშმაკისა კერძიმც გამხდარა ჩემდა თავად იმასთან წამსვლელი. თქმა არღა უნდა, იმის სენაკსა აწ უკვე ეშმაკნი არიან დაპატრონებულნი. აქედანვე ვხედავ, რა შავ დღეში ჰყავთ ერთმანეთი, თმასა ჰგლეჯენ და თავ-პირს ამტვრევენ ერთურთსა, არა, პირველმა მე უნდა ჩავივლო ხელში კატუნკრუტუნისა სული და ეგრევე მივურბენინო უფაღ ლუციფერსა, არა, მეო. ჩემი ფეხი არ იყოს იქა! მე იქ წამსვლელი არა ვარ. ეშმაკისა კერ-

ძიმე გამხდარა ჩემდა თავად იმასთან წამსვლელი. ერთი კი ვიცი, ვაითუ გაუგებარი რამ მოხდეს და კატუნკრუტუნისა მაგივრად სულაც საწყალ პანურგსა მოსდონ კისერში, აქაოდა არცვისი არა მართებს რაო. აი, ოდეს ვალაყურელი ვიყავი, იცოცხლე, ბევრჯერ დარჩენილან მშრალზედა. ჩემი ფეხი არ იყოს იქა! მე იქ წამსვლელი არა ვარ. ღმერთმანი, ზარხდომილსა გული გამისკდება, რა გაუძლებს იმდენ დაყმედულ ეშმაკსა? სუყველას საშოვარზედ გამოსულსა, სუყველას საქმეზედ მისეულსა! ჩემი ფეხი არ იყოს იქა! სანადლეოს დავდებ, დიხაც ამა მიზეზისა გამო მაგის დასაფლავებაზედ ფეხსა არ მისდგამენ. არც იაკობელნი, არცა კორდილიერნი, არცა კარმელიტნი, არცა კაპუცინნი, არცა ტეატულნი², არცა მინორიტნი. მართალნიც იქნებიან. მე შენ გეტყვი, უანდერძა რამე თუ რა. ეშმაკისა კერძიმე გამხდარა ჩემდა თავად იმასთან წამსვლელი. უკეთუ ჯოჯოხეთს ეპირება წასვლასა, გზა იქითამცა პქონია! ვითომ რად უნდოდა პატიოსან ბერთა მოყვინება? ვითომ რასა ჰყრიდა თავისი სენაკიდან, ოდეს აგრერიგად ეჭირვებოდა იმათგან ხელისა აპყრობა, იმათი წმინდა ლოცვანი, იმათი საღვთისმსახურო დაბოდვრა? რალაც ეანდერძა მაინც მცირეოდენი სასუსნავი, ცოტას დანაყრდებოდნენ, ცოტას სტომაქსა მოიმძობდა საწყალი ხალხი, ვისაცა ამქვეყნად არცრა სიკეთე არა გააჩნია რა, გარდა სიცოცხლისა!

ჩემი მტერი ვნახე იმასთან წასული. ჩემდა თავად კი ეშმაკისა კერძიმე გამხდარა იმასთან წამსვლელი. წაუღალ და ეგრევე კერძიმცა გავუხდები ეშმაკსა. ნურას უკაცრავად! ჩემი ფეხი არ იქნება იქა!

ძმაო ჟან! შენ რა, გინდა, რომ ეშმაკით უმაღლ ჯოჯოხეთში გიკრან თავი? მამ, აბა, ჯერ ერთი ეგ შენი ქისა-ჩახვი აქ მომე. მონეტათა ზედან გამოკვეთილი ჯვარი აცუდებს ეშმაკეულისა მზაკვრობამანქანებასა. სხუებრ შენც ის დღე დაგადგება, კუდრეულ ამკრებს, ანუ მეხარკეს, ჟან დოდენს ვედისა ფონთან რომ დაადგა, სად ხიდი მეომარ-მოლაშქრეთ დაექციათ. ის სულკატიანი, ისა ნაპირზედ ძმა ადამ კუსკოილს გადაეყარა, მირბოს მონასტრის ფრანცისკელ ბერსა, და ანაფორას დაჰპირდა, უკეთუ უზურგულეებდა და მდინარისა წიად გაიყვანდა. ბერი იგი ზორბა, მოსული კაცი იყო. ხელი ხელსა დაჰკრეს. ძმა კუსკოილმა, თითქო ერთი ვინმე წმიდა ქრისტეფორე ყოფილიყო,³ ოღონდ კნინი ტანისა, კვერცხნი გამოიჩინა, იმდენზედ წამოიხადა ანაფორა და ზურგზედ შეისვა ხსენებული დოდენი, წყლისა გაღმა გაყვანისა მახვეწარი. შეისვა და ისე მჩიარულად გააძუგძუგა, როგორაც ენეასმა მამა თვისი ანქიზე ცეცხლწაკიდებული ტროადან, და თან დიღინებდა: Ave maris stella!* როს ყოვლის უფრორე ღურღუმ აღვიღს მიაღწიეს წისქვილისა ბორბლისა ზემოთ, ბერმა მეხარკესა პკითხა, ზედ ფული ხო არა გაქვს რაო. დოდენმა მიუგო, მაქვს რომელია, რატო მთელი ერთი გუდა არაო, და რაც შეეხება შეპირებულ ანაფორას, ეგ საქმე ნუ გენადვლებათ. „როგორ!—შეჰყვირა ძმა კუსკოილმა. — აკი უწყი, ჩვენი წესდებისა ცალკე მუხლი მკაცრად გვიკრძალავს ზედ ფულისა ქონასა. ბედასლი კაცი ყოფილხარ, შენი გულისთვის დაუარღვიე წესდების მუხლი ესე! ეგ ქისა მეწისქვილეს რად არ დაუტოვე? მაგისთვის უცილოდ დასასჯელი ხარ და თანაც კიდევ აწვეოდესმე თუ ჩვენსა მოხუდი მირბოში, უნდა დადგე და მანამ იწკებლო თავი, ვინემ სრულად არ ჩამოვარაკრაკებთ ფსალმუნსა თავით ბოლომდე Miserere-დან vitulus-ამდე.** აქ ბერმა ზურგიდან ტვირთი მოიგდებინა და დოდენი თავდაყირა

* გაიხარე, ზღვაზედ ვარსკვლავია (ლათ.).
 ** „შემიწყალედან“ — „ზვარაკებამდე“ (ლათ.).

გადაუშვა წყალში. ამიტომაც, ძმად შენ, ჩემო გულითალო მეგობარო, ეშმაკთ მოხერხებულად რომ გათრიონ, მომე ეგ შენი ქისა, თორემ თან ვუვართა ქონა არ ვეგების. აშკარა ხსუათი მოგულის. ფულსა თან თუ წაიღებ, ჯვართ ზედ თუ იქონიებ, ეშმაკნი კლდესა დაგახლიან, როგორაც არწივი კუსა, დასაღეწად რომ გაიმეტა, რისა მაგალითიც ესქილეს მელოტი თავია, ⁴ და მსტკბილი დაგკრუნხნავს, მე კი შენი გულისთვის ნალველი დამრევს ხელსა, ⁵ ანდა წაგრღებენ, საღმრთო შორეულ ზღვაში ჩაგაგდებენ, კაცმა არ იცის, სადა, და იკაროსის ბედსა გაიზიარებ. და ზღვა იგი იმჟამიდან ბღღვირისძღენელისა ზღვად სახელდაიდება. მეორეც, ადექი და არცრა ვალი არ შეირჩინო, სულ ერთიანად გაისტუმრე. ეშმაკი ძალიან უყვართ ისინი, ვისაც არცვისი არა მართებთ რა. რასაცა გეუბნები, ჩემს თავზედ მაქვს გამოცდილი. ეგ მამაძაღლნი, ეგენი, აწ სულ ჩემს ქლესაობაში დეტრელობაში არიან, ადრე კი, ათასი თხრის ვალში ყელამდე რომ ვიყავი შესული და გარდახდისა თავი არა მქონდა, არცერთს მაგათ ჩემი ლაქუცი არ უფიქრია. ვალაუვალი კაცისა სული ღუნე და მჭლუა. ეშმაკთ იქიდან არცრა სარგებელი არა აქვთ.

მესამეც, კატუნკრუტუნთან ეგრევე ანაფორიანი წადი, ეგ კატის ბეწვით გაწყობილი კაპიუშონი გეხუროს და, უკეთუ ეშმაკ-მაცილნი ჯანდაბაში არ გიკრავენ თავსა, თავი ღვინო და კარგი საუზმეული ჩემზეა. ოღონდ მეტი უსაფრთხოებისა გულისთვის თანამეგზავესა ვისმე თუ დაუწყებ ძებნასა, ჩემი იმედი არა გქონდეს, წინასწარ გამიფრთხილებიხარ. შორს, შორს! ჩემი ფეხი არ იყოს იქა, ეშმაკისა კერძიმც გამხდარა ჩემდა თავად იქ წამსვლელი.

— მახვილამოწვდილსა არცრისა შიში არა მაქვს, — შეეპასუხა ძმა შენი.

— კარგსა შვრები, მახვილიანი რომ მიდიხარ, — მიუთხრო პანურგმა. — ზედ გაწერია შენი ღვთისმეტყველობა, მეცნიერებაში და ცოდნაში არა ქვეითობ. ტოლედოში რომ ვსწავლობდი, მისი მაღალღირსება, ეშმაკისმიერი ძმა პიკატრისი⁶, მაცილთმცოდნეობისა ფაკულტეტის ღეკანი, გვეუბნებოდა ხოლმე, ქასქანჯიელნი, ანუ ქაჯ-მაცილნი ისეთნაირი ბუნებისანი არიან, თანაბრად აშინებთ როგორც მახვილისა ბზინვა-ელვარება, ისე მზისა შუქით. და მართლაც: ჰერკულესს, ლომისტყავიანი და ჩომახტურმომარჯვებული რომ ჩაუბტა ეშმაკთ ჯოჯოხეთსა შინა, ისე არ დაუფრთხია ისინი, როგორაც ენეასმა დააფრთხიო, რომელსა მოელვარე აბჯარ-საჭურველი ემოსა და ხელთ მახვილი ეპყრა, ყუმელი სიბილას რჩევით გაფხავებულ-გალაპლაპებული. აღბათ ამიტომაც იყო, რომ სინიორ ჯოვანი ჯაკომო ტრიფულციმ⁷, რომელიც შარტრში აღესრულა, სანამ სულსა დაღუედა, ამოწვდილი მახვილი მოატახინა და, როგორაც მამაც რაინდსა შეჰფერის, ისეგვარად იქნია, სულ კუდით ქვა ასროლინა იქავ თავის სიკვდილისა სარეცელთან დადარაჯებულ ავი სულისა ძალასა. როს მასორიტებს და კაბალისტებს ეკითხებიან ხოლმე, რატომ არის, რომ ეშმაკნი ამქვეყნიური სამოსთხისა კარსა მიახლოებას ვერ უბედავენო, ისინი ოდენ იმით ხსნიან ამასა, რომ კართან ქერუბიმი დგას და ხელთ ეღვარე მახვილი უჭირავს.

ვითარცა თავგამოდებულმა ტოლედოელმა ეშმაკმცოდნემ, უნდა პირდაპირ ვაღიარო, რომ ეშმაკნი სინამდვილეში მახვილისგან არ იგმირებიან და, ვეყრდნობი რა იმავე ეშმაკთმცოდნეობასა, ვამტკიცებ, მახვილისა კვრა იმასვე უშვრება ეშმაკთა ყოფასა, რასაცა შენ უზამდი ცეცხლისა სვეტსა ანდა ბოლისა ხშირ და ბნელ ღრუბელსა, თუ მახვილსა დაჰკრავდი და განკვეთას მოუნდომებდი. ამა კვეთა-ჭრისა გამო კი ეშმაკნი ეშმაგებრ, ანუ ყურისწამლებად იწყებენ წივილ-კივილსა, რამეთუ უსამველო, სწორედ რომ ეშმაგებრ ტკივილსა გრძნობენ.

ოდეს ორი ლაშქარი ეჯახება ერთურთსა, ხომ არა ჰკონებ, შე მემრუშევ, შენა, რომ წარმოუდგენელ და საშინელ ღრიანცელსა, გარშემო არემარეს რომ ედება, ყიფინისა დაცემა აჩენს? ან აბჯარ-საჭურვლისა წკრიალი? ან ცხენთა ჯაფნისა ზრიალი? ან ჩომახტურთა ჯახაჯუნი? ან გადაჯვარედინებულ მუბთა ღრჭიალი? ან გადამტვრეულ ოროლ-აკინაკთა ჭახანი? ან განწონილი კენესა-ვაება? ან დოლისა ცემა? ან ბუკისა კვრა? ან ცხენთა ჭიხვინი? ან თოფისა ჭექა? ან ხარბახნისა ქუხილი? ისე, კაცმა რომ თქვას, ყოველივე ესა, მართლაც ღია შემავონებელი რამ არის. დაღათუბცა, ყოველის უფრორე უსაკუთრეს შიშისა ხარსა გვცემს და მეტიხმეტ ძლიერ გნისსა აღძრავს ეშმაკთა ვაი-ვიში და ყმუილი: ისინი ყოველგან არიან, დარაჯად უდგანან ბედუკეთურ დაკოდილთა სულთა და არცათუ იშვიათად ხვდებათ მოქნეული მახვილი. ამა მსწრაფლმკვეთელი რკინისგან კი ეშმაკთა გვამთ, ჰაერისგან ნაქსოვთ და უხილავთ, ნაღარ-ნაშაშრი უჩნდება, რომელი ნაღარ-ნაშაშრის შეგრძნება იმა ტკივილსა თუ დაედრება, თითქმედ ჯოხისა დაკვრა რომ იწვევს, აი, როგორაც მზარეული წუპაკა ურტყამდა თავის შევირდ ბიჭთ, შამფურიდანა ქონიან ნაჭერთ რომ იპარავდნენ. სწორედ ამ დროს არის, რომ ეშმაკნი ეშმაკებრ კივიან და ყმუიან, რაღა იმათი ხშიანობა და რაღა მარსისა, ოდეს იგი ტროას ახლორე დიომედემ დაკოდა. პომეროსი ამტკიცებს, იმან ისე შემზარავად და შემაძრწუნებლად იხმახაფა, იმასთან, ბევრსაც რომა ცდილიყვნენ, ერთად ახშიანებული ათი ათასი კაციც ვერ მოვიდოდაო.

არა, მაინც რა მწადს? რაღა, იმის თქმა მწადს, რომ გაპრიალებული ჯაქშანიც ბევრია და გალაპლაპებული მახვილიცა, შენი ხელთსაპყრობელი კი სულ სხვანაირია. პატიოსნად გეტყვი: იმისა გამო, რომ დიდი ხანი პატრონი არა ჰყოლია და ხელში არ აღებულა, მახვილსა შენსა უფრორე მეტად მოჰკიდებია ჟანგი, ვინემ საკუჭნაოს კლიტესა. რა ბევრი გავაგრძელო, ერთი რამ აირჩიე: ან სინდისიერად გააფხავე, ლაპლაპი დააწყებინე, ანდა შეეშვი, დარჩეს, როგორიც არის, ოღონდ მაშინ კატუნკრუტუნთან წასვლა არცა იფიქრო. მე კი იქ ფეხისა მიმდგმელი არა ვარ. ეშმაკისა კერძიმც გამხდარა ჩემდა თავად იმასთან წამსვლელი!

თავი XXIV

პითარ მიაღვება პანურგი რჩევისთვის ეპისტემონსა

ვილომერი რომ დაადლო და პანტაგრუელისკენ წარემართა, პანურგმა ვზად ეპისტემონს შეუარა და მიუთხრო:

— ჯიგარო, ჩემო ძველო ოჩხუმო, კარვად ხედავ, რარიც მიშფოთავს სული. მრავალი ფარსავი საშუალება მოგეხსენება! ხომ არ აღმიპყრობდი ხელსა?

ეპისტემონმა ენა გამოავო და პანურგსა შემჩნევა მიუმარჯვა, მაგ შენი ბერიკული. ჩაცმულობისა გამო პატიოსანი ხალხი სიცილისგან იგუდებო, და ურჩია, შხამა ბალახისა, ანუ აბუტარიტისა მცირე რამ დოხა იგემე გვაშიდან მავნე წვენთა გამოსადევნად და ჩვეულებრივი საცმელი შეიმოსეო.

— ეპისტემონ, ჯიგარო, ცოლისა შერთვა ავიხირე — განუცხადა პანურგმა. — ოღონდ იმისი მეშინის, რომ ვილაც-ვილაცები რქებსა ამომიყვანენ და ოჯახში გახარება არ მიწერია. ავდექი და წმინდა ფრანცისკ უმრწემესს აღუუთქვი (ვისაცა ღია პატივისა მიაგებენ პლესი-ლე-ტურისა მცხოვრებნი დიაცნი, აქაოდა ორდენი დააწესა დიაცთმოყვარეთა, ანუ ღვთისმოყვარე ძმათა მანორიტთა, რომელთა მიმართ ისინი ბუნებრივ ლტოლვასა განიცდიან), თავსაბურავიდან სათვალესა არ

მოვიშორებ და საბიძალზედაც უარსა ვიტყვი, ვინემ ჩემი სულისა შემძვრელ იქ ვნეულობასა საბოლოოდ არ დავძლეუ-მეთქი.

— აღთქმაც ეგრეთი უნდა, უფრორე ჭკვიანურსა ვერც მოგონებს კაცი, — ჩაურთო ეპისტემონმა. — მიკვირს შენი, რატომ აქამდე ვერ მოსულხარ გონსა და ეგ აწეწილ-დაწეწილი გრძნობანი შენებურად ვერ დაგიცხვრია. ვისმენ და უნებურად გრძელთმიანი არგივიელნი მაგონდებიან: ლაკედემონელებიან თირეისტვი ბრძოლა რომ წააგეს, თავსდატეხილი ათასგვარი უბედურებისა შემდგომ აღთქმა დადეს, რომ თავზედ თმა არ შეერჩინათ, ვინემ ხმალდახმალ არ მოიბოვებდნენ დაკარგულ ღირსებასა და ბრძოლითვე არ დაიბრუნებდნენ მტრისგან წართმეულ თავიანთ მიწა-წყალსა. მაგონდება აგრეთვე საცინარი რომ აღთქმა ესპანელი მიგულ დე ორისისა,¹ რომელსა მიწყევ თან დაჰქონდა საჩერნისა, ანუ სამუხლისა ნატეხი, მანამ ვერ შეველევი, სანამ ვინმე ინგლისელსა რაინდსა არ შეეკერკინებო.

არ ვიცი, ვინ უფრო იმსახურებს და ვინ უფრო ღირსია კურდღლისყურებიანი ყვითელ-მწვანე ჩაჩისა — ეს მაძაცი მეომარი-მოსაგრე თუ ანგეოანი,² ვინცა გრძლად, წვლილად და მოსაწყენად გვაუწყებს იმის ამბავსა, რამეთუ არად მიაჩნია მატეანის წერისა ხელოვნება და ხერხი, სამოსატელმა სიბრძნისმეტყველმა ანდერძად რომ დაგვიგდო.³ ოდეს ამა გრძელი ამბისა თხრობასა კითხულობ, ჰგონებს, რომ ეს ოდენ დასაწყისი და დასაბამია სისხლისმღვრელი ომისა, რომ ყოველივე ამასა სამეფოთა ცვლა მოჰყვება, ნამდვილად კი სასაცილო მდგომარეობაში არიან ცეტი მოსაგრე-მეომარიც და ინგლისელიც, ვინცა ის ორთაბრძოლაში გაშიწყვია, და თვითონ იმათი მეძატიანე ანგერანიც, რომელმაც თავის მკითხველთ, როგორაც იტყვიან, ჩიმბუტო ჩაუგდო, ანუ თავი შეაბეჭრა. ესა ისეთივე სასერიო რამ არის, როგორიც ჰორაციუსის მთა, რომლისა წივილ-კივილი ქვეყნიერებასა იკლებდა, ვინაიდან არცა მეტი არცა ნაკლები — მშობიარე იყო. ამა წივილ-კივილზედ მთელი ის მხარე შეიყარა უნეულო და მანამდე არნახული მშობიარობისა საყურებლად, მთამ კი მხოლოდ და მხოლოდ წრუწუნა შვა.

— დაცინვას კაცი არ მოუკლავს, — მოუჭრა პანურგმა. — მთავარი საქმის ბოლოა. არა, მე ჩემსა აღთქმასა არ გადავალ. ყური მიკდე, ჩვენა აღრითვე ნდობა გვაქვს ერთმანეთისა, ვძმაკაცობთ და ვმეგობრობთ, რომლისა მფარველი თვითონ იუპიტერია. მარქვი შენი აზრი, თუ კაცი ხარ: ცოლი შევიერთო თუ არა?

— მართლაც სარისკო ნაბიჯია, — მიუვო ეპისტემონმა. — ვგრძნობ, მე მაგის გადამწვევითი არა ვარ, და თუ ძველი ჰიპოკრატე კოსელისა თქმული: გადაწყვეტა საძნელოაო, მცირედ მაინც მნიშვნელოვანია სამკურნალო სწავლისთვის, ამ შემთხვევაში უაღრესად სამართლიანი და ზედგამოჭრილია! რაღაცა აზრი კი მაქვს თავში, რასაცა ვგებ ამ საძნელო მდგომარეობიდან გამოეყვანე, მაგრამ სრულად მაინც ვერ მაკმაყოფილებს.

ვიდაც-ვიდაცა პლატონიკოსნი ამტკიცებენ, ვისაც თავისი გენიუსი, თავისი სიცოცხლის დუთაება დაენახვება, ის თავის ბედ-იღბალსაც შეიტყობსო. მე მაინცადამაინც კარგად ვერ ვერკვევი იმათ სწავლაში და სულაც არ მინდა, რომ იმათი მიმდევარი გაგხადო, ბევრი ნაფალბევი რამ აქვთ. ამაში ერთმა ესტრანგურელმა⁴ ცნობისმოყვარე და მჩხრეკელმა აზნაურმა დამარწმუნა. ეს ერთი.

ახლა მეორე. ჩვენს დროშიაც რომ სუფევდნენ ორაკულნი იუპიტერისა და ამონისა, აპოლონისა ღივადიაში, დელფოში, დელოსში, კირკაში, პატარაში, ტევირაში, პრენესტეში, ლიკიაში, კოლოფონში, კასტალიისა წყაროსთვალთან, ანტიოქიის მახლობლად სირიაში, ბრანქიდებთან, ბაკქოსისა დიდონაში, მურკუ-

რისა ფართოსში პატრის ახლორე, აბისისა ეგვიპტეში, სერაპისისა კანობეში, ფა-
 ენისა მენალონისა მთებში და ალბუნეაში ტივოლის ახლოისად, ტირესიასი ორ-
 ქომენოსში, მოპსისა კილიკიაში, ორფევსისა კუნძულ ლესბოსზედ და ტროფო-
 ნოსისა ლეკადისა ჭალაკზედ, ეგების ავმდგარიყავი (ანდ სულაც არა), სუ-
 ყოველნი ჩამომეკლს და მომესმინა, რასა იუბნებდნენ შენი ამა წამოწვებული
 საქმისა გამო.

დალათუმცა, მოგეხსენება, ყველანი ისინი თევზებსაჲთ დამუნჯდნენ იმ ეა-
 მიდან, რაც რომ მეფე მხსნელი მოგვევლინა, რომლისა გამოჩენამაც ისევე გააქ-
 რო ორაკულნი და ყველაგვარი წინასწარმეტყველება, ვითარცა მზისა კაშკაშა
 შუქზედ ქრებიან ავი სულნი, ლამიები, ლემურები, სათაელნი, მიწრიელნი და
 ქაჯნი. ისე, მართლაც რომ ვმეუფათ, მე მაინც დაგაჯერებდი, რომ არც ერთი იმ-
 ათი პასუხი არ გერწმუნა. ძალზედ ბეკრი ხალხი მოინარიკლეს. მაგალითისთვის
 ვავიხსენებ, რომ აგრიპინამ საყვედურით აავსო მშვენიერი ლოლია, სხივმოსილი
 აპოლონისა ორაკულს რად შეეკითხე, იმპერატორ კლავდიუსს ცოლად გაჰყვე-
 ბოდი თუ არაო. ამა შეკითხვისა გამო ლოლია ჯერეს განაძევეს, მერმე კი სა-
 მარცხინოდ დასაჯეს.

— ჩვენ უფრო უკეთესად ვიქმთ, — გადაწყვიტა პანურგმა. — სენ-მალოს ნავ-
 საყუდლისა ახლოისად ოგივიის კუნძულ-ხერთვისნია¹ განლაგებულნი. ჩვენსა
 მეფე-ბატონსა წასვლისა ნებასა უთხოვთ და იქით გაუტევთ გზასა. წამიკით-
 ხავს, დიდებულნი ძველნი ავტორნი წერენ, რომ იმ იოხი კუნძულიდან ერთ-
 ერთზედ ცხოვრობენ წინასწარმეტყველნი, გულთამხილაგნი და ქურუმნი, ხოლო
 ოქროს კლდისა შუაგულში მხართემოზეა წამოწოლილი ოქროს ჯაჭვით შებორ-
 კილი სატურნი, ამბროზიითა და ღვთაებრევი ნექტრით საზრდოებული, რომელ-
 თაც ცით ყოველდღივ უხვად უზიდავენ რომელიღაც უცხო ფრინველნი (იქნება
 სულაც ის ყორნები არიან, უდაბნოში პირველ განღვივლს, წმინდა პავლეს რომ
 კვებავდნენ), და ზუსტად უწინასწარმეტყველებს მსურველთ თავიანთ ბედ-იღ-
 ბალს, ხვედრისა და რაც კი სამომავლოდ მოელოთ. პარკთ რაც არ უნდა მოქსოვონ,
 იუპიტერმა რაც არ უნდა განიზრახოს და იღონოს, ღმერთებისა ეს კეთილი მამა
 ყოველსა სიზმარში იგებს და ტყობილობს. ვნახოთ ერთი, რას გვეტყვის ჩემი
 გაჭირვებული მდგომარეობისა გამო, ზედმეტ საზრუნავს მაინც გადაგვარჩენს.

— ეგ მუტისმეტად აშკარა მოტყუებაა და საარაკო არაკია. — წარმოთქვა ეპ-
 ისტემონმა, — მე იქ წამსკლელი არა ვარ.

თავი XXV

ვითარ ეთათბირება კანურბი კერ ტრიკას¹

— თუკი მენდობი, — განაგრძობდა ეპისტემონი, — სანამ ჩვენსა ხელმწიფე-
 სა შეუუვლიდეთ, მოდი ერთი რამ ვქნათ. აქვე, ილ-ბუშარის ახლოისად, პერ
 ტრი²ა ცხოვრობს. მოგეხსენება, ასტროლოგიის, გეომანტიის, ქირომანტიის, მე-
 ტროპომანტიის და სხვა ასეთივე ხარისხისა ხელოვნებათა საშუალებით მომავალ-
 სა წინასწარმეტყველებს. შენსა საქმეზედ იმას ველაპარაკოთ.

— არ ვიცი, რა ვიპასუხო, — მიუგო პანურგმა. — ცოდნით ოდენ ერთი რამ
 ვიცი — ერთხელ, სანამ ის ჩვენსა დიდ ხელმწიფესა ზეციურსა და ზეგრძნობად-
 ზედ ებაასებოდა, კარის ფარეშთ კარსა და კარს შუა ზედ კიბეზედ კარგა გვარიი-

ნად გამოუთოფეს, ანუ დაუმდაბლეს ცოლი, არცთუ ურიგო სილამაზის ქალი და აი კაცმა, უსათვალოდ ყოველივეს რომ ხედავდა, რაც კი რამ მალლა ცაში და დაბლა მიწაზედ ხდებოდა, სუყოველ მოვლენაზედ თავისი აზრით რომ ჰქონდა როგორაც გარდასულზედ, ისე იმყამინდელზედ, და მომავალსა წინასწარმეტყველებდა, ვერ დაინახა, რარიგ უბუქნავეს უღელტოლი, და პრეტა მერმე აროდეს არა გაუგია რა. კი, ბატონო, რახან გინდა, წავიდეთ სწავლა სიბერემდეო.

მეორე დღესა მიადგნენ ისინი პერ ტრიპას სამყოფელსა. პანურგმა ძღვნად მიართვა მგლის ბეწვგამოკრული ზუბუნი, ხავერდისა ქარქაშიანი ვეება მოლოროვილი ორლესული მახვილი და ნაღდი ასერგასი ოქრო, ზედ ანგელოზგამოსახული, მერმე მან თავის საქმეზედ შინაურულად ჩამოუგდო სიტყვა.

პერ ტრიპამ თვალი გაუშტერა და ბევრი აღარ უფიქრია, პირდაპირ მიახალა:

— შენ რქოსნისა მეტოპოსკობია და ფიზიონომია გაქვს, და არა უბრალოდ რქოსნისა, არამედ თავმოჭრილი და მოყივნებული რქაბმულისა.

აქ მან ყოველმხრივ შეუთვალეურა პანურგსა მარჯვენა ხელისგული და მიუთხრო:

— აი ეს წვევტილი ხაზი იუპიტერისა ბორცვთა ზედან მხოლოდ რქოსანთა ხვედრია.

ამისა შემდგომ მან კალმით ძალიად რამდენიმე წერტილი დასუა, მიაურთო მოაერთა, როგორც ამას გეომანტია ითხოვს, და უთხრა:

— წყალი არ გაუვა, შენი დაქორწინება და გარქოსნება ერთი იქნება.

მერმე პანურგსა დაუკითხა, ამქვეყნად შენი მოვლიანებისა ეამსა რაგვარი პოროსკობი შეგიდგინესო. პანურგმა პასუხი გასცა ამა კითხვისა გამო, მაშინ პერ ტრიპამ დაუყოვნებლივ ციური კამარა აუგო მთელი თავისი შესაბამისი განყოფილებებით და, შეისწავლა რა კამარისა მდებარეობა და მისივ სამკუთხა ასპექტნი, ერთი ღრმად ამოისუნთქა და წართქვა:

— პირდაპირ და ცხადად გითხარი, რქოსანი იქნები-მეთქი. უცილობელი ამბავია. აწ ახლი დამამტკიცებელი საბუთი მაქვს. რქოსნობა არ აგცდება. თანაც ცოლი ცემას არ მოგაკლებს და განძარცვაც ზედა გაქვს. კამარისა მეშვიდე განყოფილების ასპექტნი სულ ერთიანად ავისა მომასწავლებულია: აქ ერთმანეთშია არეული ზოდიაქოს სუყოველა სარქოსნო ნიშანი: ვერძი, კურო, თხის რქა და სხვანი. ხოლო კამარისა მეოთხე განყოფილებაში იუპიტერი მიმცხრალია, სატურნისა ოთხკუთხა ასპექტი კი მერკურს ეკვრის. ცუდ ჭირსა შეიყრი, ძვირფასო.

— მე კი ციებ-ცხელებასა, ცხროსა შეგყრი, ბებურო ბრიყვო, ჩერჩუტო, ადამიანს მაინც გიგავდეს თავ-პირი. ოღეს ყოველი რქოსანი ერთ რაზმად დაეწყოება, შენ დროშას წაგადებიანებენ. უკეთესი იქნება, თუ მეტყვი, ეს რა მუნის ტკიპი გამჩენია თითებს შუა?

ამის თქმა იყო და პანურგმა პერ ტრიპას რქებისებურად გაშლილი ორი თითი მიაშვირა, დანარჩენი თითები კი შეკუმშა. მერმე ეპისტემონს მიუბრუნდა:

— შენ წინაშეა ნამდვილი ოლუსი მარციალისის ეპიგრაამიდან, თავისი ჭკუის მთელი ძალა სხვათა უბედურების დაკვირვებასა და შესწავლას რომ დაახარჯა. ამისი ცოლი კი ამასობაში მხიარულად ატარებდა დროსა. ჩვენი მრჩეველი თვითონ იროსზედ ულატაკესი ვინძეა, მაგრამ დახე, რარიგ იწონებს თავსა, რარიგ

ცუდმედლობს, თანაც ისევე აუტანელია, როგორაც ერთად თავმოყრილი ჩუი-
ბეტი ეშმაკეული. ერთი სიტყვით, ზეღამოჭრილი *παταξαλαξών*,^{*} ვითარ სა-
სამართლიანად უწოდებდნენ ძველნი ამისთანა ოხერსა და მამამალლსა.

წავიდეთ, შევეშვათ ამ მართლა ყვეყისა, ამ მართლა შმაგსა კაცსა, ამ გა-
ღარეულსა, დადგნენ და თავის მეგობართ, ანუ ეშმაკთ უსმინონ *კბისკა* ცბღაუბდა-
სა. ამისთანა არამზადასა სულ სიხარულით ემსახურებიან ეშმაკნი, ამეშეკერ-
თი მისხალი ეჭვიც არ შეპარება. ამან მთელი ფილოსოფიის ძირითადი რამ სა-
ფუძველიც არ იცის, სახელდობრ: შეიცან თავი შენი. ისეთი წარმოდგენა აქვს,
თითქოს მოყვასისა თვალში ბეწვსა ხედავდეს, და ამასთან ვერ შეუმჩნევია, რომ
თვითონ ორსავ თვალში კარგა გვარიანად მსხვილი ორი დირე გასჩრია. პირწა-
ვარდნილი პოლიპრაგმონია⁵ პლუტარქესგან აღწერილი. სამდვილი ლამიაა, რო-
ბელიცა სხვათა ჭერქვეშ, ყველას თანდასწრებით აფთარზედ გამჭრიახად ხედა-
ვდა, საკუთარ ჭერქვეშ კი თხუნელასაკით ბრმა იყო. თავისთან იმიტომ ვერა-
ფერს ხედავდა, რომ საიდანმე შინ დაბრუნებული თვალთ სათვალესავით იხსნი-
და და იქავ კართან ჩამოკიდებულ მაშიაში ინახავდა.

აქ ჰერ ტრიპამ იაღლუნის ტოტი აიღო.

— რაც საჭიროა, იმას იღებს, — შენიშნა ეპისტემონმა. — ამა ხესა ნიკან-
დრე მარჩხიბსა, გრძნეულსა უწოდებდა, რისამე მომასწავებელსა.

— რისა საშუალებით, რარიგ ინებებ სიმართლისა უფრორე დაწვრილებით
გაგებასა, — დაეკითხა ჰერ ტრიპა, — რა გამოვიყენოთ, პირომანტია,⁶ აერომან-
ტია,⁷ რომელსაც არისტოფანე ქება-დიდებას ასხამს ღრუბლებში, პიდრომან-
ტია⁸ თუ სულაც ლეკანომანტია,⁹ ძალზედ ფართოდ რომ იყო გავრცელებული
ასარიელებში და პერმოლაე ბარბაროსმა¹⁰ რომ გამოსცადა? წყლიან ტაშტში
ჩაგახედებ და დაგანახვებ, რა დღეშიც ჩაგიგდებს ცოლსა ორი ტროყია ბიჭი.

— მაგ ცხვირსა უკან რომ შემეყოფ, სათვალისა მოხსნა არ დაგავიწყდეს, —
გააფრთხილა პანურგმა.

— ან იქნებ კატოპტრომანტია¹¹ გამოვიყენოთ, — განაგრძობდა ჰერ ტრიპა, —
რომლის წყალობითაც დიდიუს იულიანემ, რომისა იმპერატორმა, ყველაფერი
წინწინ შეიტყო, რაც კი რამ თავს უნდა გადახდომოდა? ამისთვის სათვალე არ
დაგჭირდება. სარკეში ვერევე დაინახავ შენს მოარშიყე ცოლსა, თანაც ისე
თვალცხადლივ, თითქო პატრის ახლისად მინერვას ტაძრის წყაროსთვალში
დამენახვებინოს. ანდა იქნებ კოსკინომანტიას¹² მივმართოთ, რომელსა ფრიად
დიდი მოწიწებით ევილებოდნენ რომაელნი, თდეს თავიანთ ადათ-წესებსა ასრუ-
ლებდნენ? აიღე ცხრილი, მარწუხი და ხელად ეშმაკნი დაგენახვებიან. ან იქნებ
ალფიტომანტია მოვიმარჯვოთ, რომელსაც თეოკრიტე ახსენებს თავის ჯადო-
ქარში, ან იქნებ ხორბალი ფქვილში ავურიოთ და ალევრომანტიას¹³ მივმარ-
თოთ? სულაც ასტრაგალომანტია¹⁴ რომ გამოვიყენოთ? ძელის ნატეხნი მომე-
პოვება. ან იქნებ ტირომანტიამ¹⁵ აჯობოს? არცა საამისო ბრეპემონის ყველი
მაქვს საძებარი. იქნებ გირომანტიამ¹⁶ უფრო ივარგოს? შენ აღგები და რგოლოთ
დამიტრიალებ, სუყველა მარცხნივ დაცვივა, რასაც გეუბნები, დამიჯერე. იქნებ
არცა სტერნომანტია¹⁷ იყოს ცუდი? მაგრამ ვაკლახ, რომ უძლური ხარ. იქნებ

* უკუდო ამპარტავანი (ბერძ.).

ლიბანომანტიის¹⁸ საშუალებით გავიგოთ გასაგები? სულ ცოტაოდენი საკმელო დაგვჭირდება. ან იქნებ გასტრომანტიის¹⁹ საშუალებით, რომელსაც კარგა ხან იყენებდა ფერარაში ერთი ბანოვანი, მუცელმოვკი უკობა როდიჯინა? იქნებ კაფალეონომანტიის²⁰ საშუალებით, რომლითაც გერმანელი სარგებლობენ, ოდეს გავარვარებულ ნაკვერჩხალზედ ვირის თავსა სწვავენ? იქნებ კერომანტიის²¹ საშუალებით? მაშინ დამდნარი ცვილა ჩაახსნი წყალში და უმაღლმოიხილავ შენსა ცოლსა თავის ბუდებთან ერთად. იქნებ კაპნომანტიის²² საშუალებით? მოგიზვიზე ნაბშირსა დააყარე ყაყაჩოსა და შარბახტის თესლი — შენი აღტაცება აბა მერე ნახე იქნებ აქსინომანტიის²³ საშუალებით? ოღონდ ფილთაქვა მოივარგე და გიშერი, რომელსაც მერმე ტაფაზედ დაავდებ. გაიხსენე, რა მარჯვედ შეიტყო პომეროსმა ამ ხერხით პენელოპეს საქმროთა ამბავი! იქნებ ონიმანტიის²⁴ საშუალებით? არ უნდა დაგვავიწყდეს პროვანსული ზეთი და ცვილი. იქნებ ტეფრამანტიის²⁵ საშუალებით? წამერთ მოიხილავ, ფერფლიდან რარიგ გამოისახება ჰაერში შენი ცოლისა ფიგურა, რომელიცა ლად პოზას დაიჭერს. იქნებ ბოტანომანტიის²⁶ საშუალებით? ამისთვის რამდენიც მჭირდება, საღბის ფოთოლი იმოდენი მაქვს. იქნებ სიკომანტიის²⁷ საშუალებით? ო, რა ღვთაებრივი რამ ხელოვნებაა ლელვისა ფოთლებზედ მკითხაობა! იქნებ იქთიომანტიის²⁸ საშუალებით, რომელსაც ოდესღაც აგრერიგად პატივსა მიაგებდნენ და ხშირად მიმართავდნენ ტირესია და პოლიდამანტი და რომელსაც აგრეთვე იყენებდნენ დინის ხნარცვში, აპოლონისადმი მიძღვნილ ტევრში რომ არის, ლიკიელთა ქვეყანაში? იქნებ ხერომანტიის²⁹ საშუალებით? მაშინ საჭიროა, რაც შეიძლება მეტი და მეტი გოჭის თავმოყრა-მომარაგება და სუყველას შარდის ქანთილი უნდა ამოეკვეთოს იქნებ კლერომანტიის³⁰ საშუალებით, რასაც ნათლისღების დამეს ღვეხელში ცერცვის შეწვა უნდა? იქნებ ანტროპომანტიის³¹ საშუალებით, რომელსაც არა თაკილობდა იმპერატორი რომისა ელაგაბალი? საკმაოდ უსიამოვნო რამ არის, მაგრამ შენ გაუძლებ, ბედმა ტყუილად კი არ გარგუნა რქოსნობა. იქნებ სიბილას სტიქომანტიის³² საშუალებით? ან იქნებ ონიმატომანტიის³³ საშუალებით? სახელი რა გქვია?

— ფუნატლიკე, — მიუგო პანურგმა.

— ან იქნებ ალექტრომანტიის³⁴ საშუალებით? ახლავ აქვე მარჯვედ მოგიხაზავ წრესა და შენი თანდასწრებით და შენ თვალწინ ოცდაოთხ თანაბარ ნაწილად დავეყოფ, სუყოველ ნაწილში ანბანისა რომელსამე ასოსა ჩავწერ, სუყოველ ასოს ხორბლის მარცვალსა დავადებ თავზედ, მერმე კი წრეში კარგად მოჩრიხულ, ჯერ კიდევ წყვილუბოვნელ ყვინჩილას შევუშვებ. აი, ნახავ, თუ გინდა, თავს დავდებ, სწორედ იმ მარცვალთ აკენკავს, რომელთა აკენკვის შემდგომ წავიკითხავთ: გ. ა. რ. ქ. ო. ს. ნ. დ. ე. ბ. ი., და ყვინჩილა იგი სულაც არ იქნება უფროსრე ნაკლებად შორსგამჭვრეტი, ვინემ ის გამჭვრიახი და ალექტრომანტიკური მამალი, რომელმაც იმპერატორ ვალენტის თვალწინ, თავისი მონაცვლის სახელის გაგება რომ სწყუროდა, სწორედ იმ ასოთ აკენკა მარცვალნი, რომ იკითხებოდა თ. ე. ო. დ.³⁵

ან იქნებ შენ უფროისად იმ ნიშნებისა გჯერა, ჩიტების ფრენას, გრძნეულ ფრინველთა გალობას, წმიდა ღვდალ იხვთა კვებას რომ უკავშირდება? ან იქნებ გარუსპიციების გამოყენება გწადს? ანდა ექსტისპიციებისა?³⁶

— არა, მე უფრო სკორეფიშსპიციას ვამჯობინებდი, — მიუთხრო პანურგ-
მა.

— ან იქნებ ნეკრომანტიის³⁷ საშუალებას მივმართოთ? ანუ მუცლით მუხლა-
პრეობას, ოღეს ეშმაკთ მკითხავი, ესე იგი ულუკი მუცლით გამოუბნობს, ვინა
მკედრის ძვლითა მისნობს? ახლავ ერთ-ერთ ვინმეს, ~~ქრისტეფორე~~ ~~ქრისტეფორე~~ ~~ქრისტეფორე~~
ლებდი ამას წინათ გარდაცვლილთაგან, აპოლონიოს ქრისტეფორესგა-
ესად, აქილევსი რომ მკედრეთით აღადგინა, ანდა იმ ჯადოქარი
ქალისა მსგავსად, საულის თანდასწრებით რომ მისნობდა, და ჩემ-
ვან გაცოცხლებული კაცი იგი სუყველაფერს ჩაგვიწიგნავდა და არცთუ იმაზედ
უარესად, ერიქთომ რომ მიცვალებული გამოიხმო, რომელმაც პომპეუსს ზუსტად
უწინასწარმეტყველა ფარსალოსის ომის მსვლელობაცა და დასასრულიც. ხოლო
თუ გარდაცვლილთა შიში გაქვს, როშელი შიშიც ამქვეყნად რქოსანთათვის ნი-
შანდობლივია, მაშინ ავდგები და ოღეს სკიომანტიას³⁸ გამოვიყენებ.

— ეშმაკსამც დაულახვრიხარ, შე ბრიყვო, შენა, შე ჭკუისა უბედურო, წა,
აღბანელთ ვეებდე, წოწოლა ქუდს დაგხურავენ! — გახმახაფდა პანურგი. — სულ
ტყუილად ილაქლაქე მაგდენი, ბარემ ამდგარიყავი და გერჩია, რომ ენისა ქვეშ
ხურმუხტი ანდა გიენისა ქვა დამედო, ოფოფთა ენანი ანდა მწვანე ბაყაყთა გულ-
ნი მომემარაგებინა, გველუშაპისა გული და ღვიძლი შემეჭამა, რათა ამით გედ-
თა და სხვა ფრინველთა ყივილ-გალობისა მიხედვით ჩემი ბუდ-იღბლისა გაგე-
ბის უნარი მომეპოუებინა, როგორაც ამასა ძველნი მესოპოტამიელნი არაბნი
იქმოდნენ.

ეშმაკსამც წაუღიხარ მოუსავლეთში, შე რქაბშულო, შენა, შე რქაბოჯოჯ-
ღავ, ეშმაკების ყურსელავ, ანტიქრისტეშ მარჩიელო!


წამო, ჩვენს ხელმწიფესთან წავიდეთ! აღბათ არც მოგვიწონებს ამ გრძელ-
კალთიანი ქასქანჯიელის ბუნავში სტუმრობასა, ძალიან ვწუხვარ, ნუტავ ორივ
ფეხსი მომტეხოდა და ამასთან არ მოვსულიყავი. ღმერთი, რჯული, ფულსაც მიე-
ცემდი და სულსაცა იმ ღუთისნიერ კაცსა, ვისაც ოღესმე ჩემთვის უკან შეუბე-
რავს, აწკი ამ ეშმაკეულსა თავის ხრასტ-ნახველით უღვაშსა დაუმშვენებდა.
ღმერთო ჩემო, ძლივსდა ესუნთქავ, იმდენი მელაქლაქა, იმდენი მეჯადოქრა,
მგვრძნეულა და შემისნა. ეშმაკმაც დალახვროს და დააშამათოს! ამინი ვოქვათ
და წავიდეთ, ცოტა ჩავდლით. ისე, ოთხი დღით თუ არა, ორს დღით მაინც
სულ დამიკარგა ჭამა-სმისა ხალისი.

თავი XXVI

პითარ მიმართავს პანურგი რჩევისთვის ძმა შან ბღღვირისმდენელსა

ჰერ ტრიპას ტატყანმა დია გააბრაზა პანურგი და, ერთი პატარა სოფელი
აუბი რომ გაიარეს, ენის ბორძიკითა და მარცხენა ყურის ფხანა-ფხანით ძმა
ვანს მიმართა:

— გამამხიარულე, დიპიანო! სულ თავ-გზა ამიბნია იმ ეშმაკეულმა ბრიყვმა.
კური მიგდე, მრუშო ნაამაგარო,

მრუშო მაგარო, მრუშო მაღალო,
 მრუშო ძმობილო, მრუშო ცნობილო,
 მრუშო ბანჯგვლიანო, მრუშო ხანჯლიანო,
 მრუშო საგდულიანო, მრუშო სადგულიანო,
 მრუშო ნაოჭიანო, მრუშო ფრთიანო, 
 მრუშო არაბესკებიანო, მრუშო ფრესკებიანო,
 მრუშო კომბლიანო, მრუშო ხორბლიანო,
 მრუშო მსტვენელო, მრუშო მლხენელო,
 მრუშო ვარცილიანო, მრუშო მარცილიანო,
 მრუშო ახალუხიანო, მრუშო რახარუხიანო,
 მრუშო მალ-მალე მსმელო, მრუშო ძველო,
 მრუშო სქელო, მრუშო ხერხიანო,
 მრუშო მეხიანო, მრუშო ქვემეხიანო,
 მრუშო ქეზიანო, მრუშო ფესვიანო,
 მრუშო ახმახო, მრუშო ჩახმახო,
 მრუშო ტაბიკიანო, მრუშო ჩომახტურიანო,
 მრუშო მკვირცხლო, მრუშო ფიცხო,
 მრუშო ტაფიანო, მრუშო ქაფიანო,
 მრუშო ხაფიანო, მრუშო გულადო,
 მრუშო პურადო, მრუშო შულდიანო,
 მრუშო ულდიანო, მრუშო საბერო ვაცო,
 მრუშო საფერო ვაცო, მრუშო ვაჟიბედურო,
 მრუშო ბედაურო, მრუშო ლაქარდიანო,
 მრუშო ქალაღდიანო, მრუშო კაღნიერო,
 მრუშო მაღღიერო, მრუშო ძღიერო,
 მრუშო ენამრავალო, მრუშო მამათმავალო,
 მრუშო პირუტყვთმავალო, მრუშო გან-გან მავალო,
 მრუშო გველფურო, მრუშო მეფურო,
 მრუშო ქველო, მრუშო მღიქვენელო,
 მრუშო წყალგაუვალო, მრუშო ვალაუვალო,
 მრუშო გზიანო, მრუშო პირიანო,
 მრუშო ხსნილიანო, მრუშო გაფისულო,
 მრუშო გაფინხულო, მრუშო გულჩათხრობილო,
 მრუშო კეთილმობილო, მრუშო ურყველო,
 მრუშო ურხველო, მრუშო მშრომელო,
 მრუშო დაუშრომელო, მრუშო დაუნდობელო,
 მრუშო მთხრობელო, მრუშო მთბობელო,
 მრუშო მთრობელო, მრუშო სატირულო,
 მრუშო ტრაგიკულო, მრუშო ქუხილიანო,
 მრუშო წუხილიანო, მრუშო სრულო,
 მრუშო დანდრაზულო, მრუშო აღმასო,
 მრუშო ღამაზო, მრუშო ანცო,
 მრუშო მკაცრო, მრუშო თვალური,
 მრუშო მოარულო, მრუშო მკვლობელო,

მრუშო მშენებელი, მრუშო ვიტალური,
 მრუშო პიტალური, მრუშო ტვინიანო,
 მრუშო ტინიანო, მრუშო ჩულიანო,
 მრუშო ფულიანო, მრუშო ლულიანო,
 მრუშო ცულიანო, მრუშო გულიანო,
 მრუშო ჩაჩიანო, მრუშო ფარჩიანო,
 მრუშო წვერიანო, მრუშო ფერიანო,
 მრუშო ცელიანო, მრუშო წელიანო,
 მრუშო ვაუკაცო, მრუშო მამაცო,
 მრუშო საყვარელი, მრუშო გულგასახარელი,
 მრუშო ანტიკვარული, მრუშო ფარული,
 მრუშო მადიანო, მრუშო ხათრიანო,
 მრუშო გადარეული, მრუშო ეული,
 მრუშო კვერცხიანო, მრუშო ცეცხლიანო,
 მრუშო მფერებელი, მრუშო გამნაყოფიერებელი,
 მრუშო ალიანო, მრუშო ფარიანო,
 მრუშო ხალიანო, მრუშო ძალიანო,
 მრუშო მახვილთვალიანო, მრუშო მზიანო,
 მრუშო ბზიანო, მრუშო მიზეზიანო,
 მრუშო ხალისიანო, მრუშო აურზაურიანო,
 მრუშო ზარიანო, მრუშო ავკარგიანო,
 მრუშო სარგებლიანო, მრუშო გამგებიანო,
 მრუშო მატყლიანო, მრუშო სარტყლიანო,
 მრუშო სანთლიანო, მრუშო ლხფანწული,
 მრუშო გაპრანჭული, მრუშო ხიბლიანო,
 მრუშო იღბლიანო, მრუშო ჯიბრიანო,



მრუშო ჯადოქარო, მრუშო ბობოქარო, მრუშო ამბოგარო, ძმაო ჟან, ორ-
 ხუმი და მეგობარო, ძმადნაფიცო, უსაკუთრეს პატივსა გცემ და საუზმედაც ამაღ
 შემოვიდნახე. მითხარ, თუ კაცი ხარ, შენი აზრი: რა ვქნა, როგორ მოვიქცე, მო-
 ვიყვანო ცოლი?

ძმა ჟანმა, გულში ჩიტაფრთხიაღებულმა, აგრე მიუგო:
 — დაქორწინდი, მამაცო, დაქორწინდი, ოღონდ შერმე არ იზარმაცო. მაგ
 საქმეს გადადება არ უხდება. კარგი იქნება, თუ პატარძალსა ამაღამვე ჩაუხტები
 და დაამყარებ კავშირსა, დღეს აქამომდე ჩაშლილსა. ღმერთო ჩემო, რაღას აჭი-
 არებ? განა არ უწყის, რომ ქვეყნიერების დასასრული ახლოვდება? ამა ამბავ-
 თან ორი ტრაბიუტით! და ნახევარი ტუაზით უფროისად ახლოსა ვართ, ვიდრე
 გუშინწინ ვიყავით. ჩემამდე ხმა მოვიდა, ანტიქრისტე უკვე დაბადებულა. დალა-
 უმცა ამჯერად ოღენ კაწრავს იგი თავის მაწოვარსა და ძიძათ და არ ავლენს
 თავის განძეულსა: ჯერეთ კიდევ პატარაა. Crescite nos qui vivimus,
 multiplicamini* — აგრეა თქმული კონდაკში, ერთ ტომარა ფქვილს კი სამ პა-

* მოშენდით, ყოველნი სულდგმულნი, და მომრავლდით (ლათ.). — ორი
 ბიბლიური ციტატის კონტამინაცია.

ტაკად² ან იყიდი, ან ვერა, ხოლო ერთი კასრი ღვინო ექვსი ბლანკია. შენ რა გინდა რომ საშინელი განკითხვისა დღესაც, *dum venerit iudicare**, წყვილდა უცლელი შეხედე?

— დია ნათელი გონების კაცი ხარ, ძმაო ჟან, ჩემი თავქალაქელი მრუსო მართლა თავი გაბია და რასაცა უბნობ, სულ ბაჯადღონსა უბნობ, — მიუთხრო პანურგმა. — ლეანდრე აბილოსელი ჰელესპონტით აზიიდან ევროპაში რომ მიცურაედა, სესტში, თავის გულის ვარდთან ჰეროსთან, სწორედ ამასვე ევედრებოდა ნებტუნსა და სხვა ზღვიურ ღმერთთ:

რახან აქამდე დამიფარეთ და არ დამახრჩვეთ,
აღბათ არც ახლა არ გამწირავთ და გადამარჩენთ.

არამცა და არამც არ ეწადა იმას საიქიოში წყვილდაუცლელად წასულა.

ამიტომაც ავდექი და გადაეწვიტე: ჩემსა სამადლოში სამსჯავროსგან სიკვდილმისჯილმა სუყოველმა დამნაშავემ ბოლო ორი-სამი დღე პეკლაობას მოაწოდომოს, რათა თესლგამტარსა შიგან არაფრით არ გამოეხატოს ასო იგრეკი.³ ესე ვითარი ძვირფასი რამ უცილოდ საქმეს უნდა მოხმარდეს. ტყუილად არ უნდა ჩაიაროს, იმისგან ვინმე უნდა გაჩნდეს, მაშინ სიკუდილმისჯილი მშვიდად აღესრულება, რამეთუ თავის მაგივრად სხვა კაცსა ტოვებს.

თავი XVII

ამა ძმა ჟანი მხიარულ ამბავთ ურჩევს პანურგსა

— წმინდა რიგომეს ვფიცავ, — მიუთხრო ძმა ჟანმა, — ჩემი გულითადად მეგობარო, მე ისეთს არას ვირჩევ, რასაც თავად შენსა აღვიღას არ ვიქმოდო. ოღონდ მიწყვიც უნდა გახსოვდეს, რომ არცროდის არ უნდა შეანელო ზედ მისეულა და შეტევაზედ გადასვლა. როგორც კი იფიქრებ, ცოტას შეეისვენებო, დაღუბულია, ბეჩავო, შენი საქმე. შენც იგივე მოვივა, რაც რომ მარჩენალ-მაწოვართ მოხდით: როგორც კი ძუძუს ჭმევას შეეშვებიან, რძე უშრებათ. უკეთუ შენსა საიხროს ნიადაგ არ ავარჯიშებ, იმასაც ეგრევე დაუშრება რძე და მარტო საფსმურად თუ გამოიყენებ. და, რაღა თქმა უნდა, ჭანჭალსა შიგან ლაყე წყვილნი ტყუილადღა დაგიწყებენ ლაყლაყსა.

თავი ვალდებულად მიცვნია, ძმაო და მეგობარო, რომ წინასწარ გაუწყობ შესახებ ამისა. დიახ, ბევრნი ვიცო ისეთნი კაცნი, ვისაც ის საქმე ძალიანაც უნდოდა, მაგრამ ვერღა შვრებოდა, რამეთუ როცა შეეძლო და თავი ჰქონდა, არა შვრებოდა. როგორაც სწავლულნი უბნობენ, სწორედ ამავე მიზეზისა გამოა, რომ სუყოველი პრივილეგია გვეკარგვის, უკეთუ არ ვიყენებთ. ამიტომ, გენაცვალე მეტი და მეტი ძალა დაატანე შენს ქვედა ნაწილთ, ანუ ყველასთვის ცნობილ ტროვლოდიტებს, რომ მუდმისად ირუდუნონ. არც როდის მიაბაძვინო აზნაურთათვის: ფრიად ფინთი რამ არის ოდენ შემოსავალზედ ცხოვრება და არაფრის კეთება.

* ოდეს მოვა უფალი ქვეყნიერებისა განსახველად (ლათ.). — „ფსალმუნი“, XCVII, 9.

— კეთილი, ძმაო უან, ჩემო უასდაუდებელი ძრუშო, — შეეხმანა პანურგი. — კარგია, რომ პირდაპირ საქმეზედ გადადიხარ. არცა მიგიკიბავს და არცა მოგიკიბავს, წამერთ გაბიფანტე ყოველგვარი შიში, რომელიც რომ ვაითო სულში შემომპარვოდა. მე თუ ვერ გადაგიხადო, ზეცამ გადმოგხედოს და სულ აუცდუნლად გარტყმევინოს სასიკუნო-სამიზნეში. მამ, აბა, რახან მირჩევ, ვქორწინდები, თანაც იღბლიანად ვქორწინდები და, როგორც კი ჩვენსა კონტა-კონტა მხეველნი გამოჩნდებიან, უნდა მეწვიო და იმა ჩემს დაიათა საზოგადოებას მიმიხედო, აი, რის თქმაც მინდოდა შენი ქადაგებისა პირველი ნაწილისა გამო.

— ყური მიუგდე ვარეხულ¹ ზართა ორაკულსა, — წართქვა უანმა, — რაიო, რას ამბობენ ის ზარნი?

— გავიგე, — მიუგო პანურგმა. — კასრისა მადლმან, იმათი წკრიალი უფრო-რე გრძნეულად მეჩვენება, ვინემ იუპიტერ დოდონელის კარდალთა ჩხარუნი.² მოისმინე:

აქანდები, დაქანდები, ბოლოს მაინც გაქმარდები,
ცოლი გინდა, ცოლი გინდა!
ნუ გაღუხვევ სწორი გზიდან,
გაქმარდები, გაქმარდები,
ცოლი გინდა, ცოლი გინდა!

თავს დავდებ, რომ დაექორწინდები, — სუყველა ლექსი ამას მეუბნება. რაღა ჩემი სიტყვა და რაღა სპილენძის კედელი!

გადავდივარ რა შენი ქადაგების მეორე მუხლზედ, უნდა ვაღიარო, რომ, ჩემის ფიქრით, ეჭვი გეპარება, არა გჯერა მამობა ჩემი, როგორცა ჩანს, ვარაუდობ, წალკოტ-ბალნართა თავაშეებული ღმერთი მაინცდამაინც კეთილი თვალით არ მიყურებს. მოიღე მოწყალება, დამიჯერე, თუ კაცა ხარ, რომ ის სულ თითის წვერებზედ მიდგას: ჩემი მორჩილსა, კვაილისმსურველია, ხათრიანი და დაუზარელია ყოველთვის და ყველაფერში. როგორც კი შევიხსნი ჩვანჯარსა, დაესივრძება ხანჯალსა და, დავანახვებ თუ არა ნადავლსა, ეცი-მეთქი, ვეტყვი, და ეგრევე გადავა.

ის კი არა, უკეთუ ჩემი მოძავალი უღელტოლი ტრფიალებაში, ანუ საწადელისა დახშირებაში ზუსტად ისეგვარი ხარბი გამოდგება, ვითარ ოდესღაც მესაღინა ანდა ინგლისელი მარკიზა ვინჩესტერელი³ იყო, მერწმუნე, იმის დაურევბისა უამსა კიდევ უფროისად უხვი გავხდები. ჩემთვის ცნობილია, რაც რომ ხოლომონმა ბრძანა, ის კი ამა საქმისა ფრიად მცოდნე და გამოცდილი კაცი იყო. მერმე აკი არისტოტელესაც შენიშნა, მდედრული სქესი თავისი ბუნებით ღარწი და გაუმაძღარი რამ არისო, მე კი ჩემის მხრივ, ყოველთა საცოდნელად ვაცხადებ, რომ იმავე ყალიბისა და თანაც შეუფერხებელი იარაღისა პატრონი ვარ.

ოღონდ, თუ ძმა ხარ, ისეთ იგავმიუწვდომელ ავხორცო ნუ მიმაგალითებ, როგორნიც იყვნენ პერკულესი, პროკულუსი⁴, ცეზარა და მუჰამედი, რომელიცა თავის ალყურანში თავსა იქებს, კაცურ ძალაში სამოც მენიჩებს არ ჩამოუვარდებიო. ტყუის, მამაძაღლია!

ნურცა კიდევ იმა ინდოელსა მიმაგალითებ, რომლისა გამო თეოფრასტემ,

პლინიუსმა და ათენეოსმა ქვეყანა შეძრეს, ვითომც რაღაც ბალახბულახისა წყალობით დღეში სამოცდაათჯერ შეყინტრავება შეეძლოთ. არცა მჯერა და ვერც დავიჯერებ. ალაღბებულზედ თქმული რიცხვია. ნურცა შენ დაიჯერებ, ვთხოვ. მაგრამ ის კი უნდა დამიჯერო და ვითარცა ჭეშმარიტებას პატივი მივაღწიო, რომ ჩემი საწულე, ჩემი წმინდა იტიფალე, უფალი კოტალე აღბინგა დედამიწის ზურგზედ პირველია.

ყური დამიგდე, შე მეძრუშევ, შენა! მოგიხილავს ოდესმე კასტრელი ბერისა ანაფორა? რის ცხადლივ თუ უჩუბრად ვისიმე სახლში შექქონდათ, ყოველნი დედაწულნი და შინამოსამსახურენი, პირუტყენი და ადამიანიშვილნი, დედანათუ შამანი, კატა-ვირთხანიც კი იმის დანახვაზედ ერთბაშად შმაგდებოდნენ, რამეთუ დია თავზარდამცემი რამ თვისებისა იყო. კაცობასა ვფიცავ, არაერთგზის მირწმუნია, რომ ჩემსა საბიძალში კიდეც უფრო უმეტესი ზებუნებრივი ძალმოსილებაა ჩაბუდებული.

ლაილაის არ გაგიბამ, ერთ ამბავს გავიხსენებ. ერთხელ, უფლისა ვნებათა გამი გამართულ სახილაგზედ რომ მოვხვდი, ჩემი საბიძლისა თავისებურებისა და იდუმალი თვისებისა წყალობით სუყველანი, მოთამაშენიცა და მაყურებელნიც, უეცრივ ისე საშინლად აღევზნენ, რომ არ დარჩენილა არც ერთი ანგელოზი, ადამიანი, მამალი თუ დედალი ეშმაკი, ვისაც კუნტრუშის სურვილი არ გასჩენოდა. მოკარნახემ გვერდზედ მიაგდო თავისი რვეული, მთავარანგელოზ მიქაელს რომ განასახიერებდა, ის მსახიობი ჭოჭონაქით ციდან სცენაზე დაეშვა, ეშმაკნი ჯოჯოხეთიდან ამოიხენცნენ და თავიანთთან წაათრიეს ბედკრულნი დიაცნი, თვითონ ლუციფერმა ჯაჭვი აწყვიტა.

რაღა თავი შეგაწყინო, ამა ალიაქოთის მხილველმა ვერევე მოვუსვი სახილველიდან, და ჩემდა მაგალითად თვალწინ მედგა ცენზორი კატონი,⁵ რომელმაც როგორც კი დაინახა, რომ თავისი იქ ყოფნით დია ააფორიაქა და ააწრიალა ფლორალიის მონაწილენი, არღა დაუყოვნებია, მყის დაუტევა დღესასწაული.

თავი XXVIII

ვითარ არწმუნებს ძმა შანი კანურბსა, რქაბმულობა შენთვის საშიში არ არისო

— მართალი ხარ, — მიუთხრო ძმა ჟანმა, — მაგრამ ამქვეყნად ჟამგადასულობისგან ყოველივე ძველდება და ცვდება. არ არის ისეთი მარმარილო და ისეთი პორფირი, რომ დრო არ მოუვიდეს და არ დაიშალოს. ამჟამად ჯერეთ ბებერი არ გეთქმის, თუმცა რამდენიმე წელიწადში თავადვე აღიარებ, ეს ჩემი საოხრო ველარ მომდევს, მდალატობსო. ვხედავ, თმაში უკვე ჭაღარა გამოგრევია. წვერში კარგა ბლომად ჩაგწვნია სხვადასხვა ფერის ბალანი: რუხიც, თეთრიც, წაბლისფერიც, შავიც, რაც რომ მეგ წვერსა მსოფლიოს რუკას გიმსგავსებს. დახედე: აქეთ აზიაა — ევ ტიგროსი და ევფრატია; იქით აფრიკაა — მანდ მთვარის მთაა; ნილოსის ჭაობთ ხედავ? მერე ევროპა მოდის. თელემს ხედავ? აი ევ სულ მთლად გათეთრებული კულუდი კი შიპერბორუის მოებია.

კასრისა მადლმან, ოდეს მთებზედ თოვლი დევს, — თავსა და ნიკაპს ვგულისხმობ, — საბიძლის ველებზედ განსაკუთრებულად გაგანია სიცხე არ იცის.

— ისეც რა ვითხარი! — შეუძახა პანურგმა. — ტოპიკაზედ¹ მწყრალად ხარ. როს მათა ზედა თოვლი დევს, მაშინ ველებზედ ციალია, ელვაა, ჭექა-ქუხილია, შებერილობაა, შეწითლებაა, მეხია, ქარიშხალია და კიდევ ათასი რამ მამამადლობა. შენი თვალით ნახვა და დარწმუნება გინდა? წა შევიცარიაში და ვუნდერბერლიხის ტბა² მოიხილე, ბერნიდან ოთხ მილზეა სიონის მიმართულებით. მსაყვედურობ, ჭადარა გამოგრევიანო, სჯობდა კი პრასის ამბავი გაგეხსენებინა, ბუნებამ ისე მოაწყო, რომ თავი თუხარი აქვს, ფოჩი კი მწვანე, სწორი და მაგარი.

მართალია, თავადვე ვატყობ ჩემს თავს სიბერის განმასხვავებელ რამ ნიშანთ, უფრო სწორად, მხნე სიბერისას, გარნა არ გინდა, ნურავის ეტყვი, ეს ამბავი ჩვენ შორის დარჩეს. საქმე ის არის, რომ ამ ბოლო დროს უფრო მინდობა კარგი ღვინო, რაც ადრე ჩემი თავისთვის არ შემომჩნევია. აწ, როგორც არასდროს წინათ, სულ იმის შიშში ვარ, ემანდ სადმე ცუდ ღვინოს არ გადავაწყდე-ბეთქი. ჩანს, უკვე მომისაღამოვდა, შუადღე უკან დარჩა.

რას ვიზამთ! შეინახე ისეთივე ამო ვარ, ის კი არა, კიდევ უფრო საამოვნო, ვიდრე ადრე ვიყავი. სიბერე სულაც არ მაშინებს, ეშმაკსაც წაუღია! უფრო სხვა რამ მაწუხებს. ვშიშნეულობ, ჩვენი ხელმწიფე პანტაგრული სადმე კარგა ხნით რომ არის ხოლმე წასული და, როგორც ვაღდებული, მეც ყველგან თან ვახლავარ, ნეტავი ერთხელ ჯანდაბაშიაც წასულა, ჩემმა ცოლმა სწორედ მაშინ არ გამარქოსნოს-მეთქი. სულ თავზარი მეცემა ამა სიტყვის გახსენებაზე! ვისაც კი შევჩივლე ეს ამბავი, სუყველა იმას მეუბნება და მაშინებს, ზეცისგან გაქვს ეგრე მოსჯილიო.

— სუყველა მოწადინეს როდის ძალუძს რქოსნობა, — სიტყვა შეუქცია ძმა თანმა, — უკეთუ გარქოსნდი, erგი* ცოლი ლამაზი გეყოლება; erგი თავსა დაგავიწყებს, ისე კარგად მოგექცევა; erგი ბევრი ვინმე გიმეგობრებს, erგი იხსნი სულსა შენსა.

ესეგვარია მონაზუნური ტოპიკა! სწორედ შენთვის არის ზედგამოჭრილი, ცოდვილო! იყავი და ინეტარე. არცრა ზარალსა არა ნახავ. ბარაქა კი მოგიშრავლდება!

მაშ, აბა, თუ აგრე გიწერია, ბევრიც რომ იფახურო, რა უნდა ქნა? მითხარი, შე მართლა მრუშო,

მრუშო ბუშო, მრუშო ქუშო,
 მრუშო ნავსიანო, მრუშო თარსიანო,
 მრუშო ლელეჩო, მრუშო ლენჩო,
 მრუშო აოდვილო, მრუშო ცოდვილო,
 მრუშო ჭანგიანო, მრუშო ჟანგიანო,
 მრუშო ბანგიანო, მრუშო შმორიანო,
 მრუშო ღორიანო, მრუშო მძორიანო,
 მრუშო ობიანო, მრუშო დორბლიანო,
 მრუშო ქეცმანდურა, მრუშო თავფანდურა,
 მრუშო ჩაქამებულო, მრუშო დაღამებულო,
 მრუშო ლაყე, მრუშო მახე,
 მრუშო მყაყე, მრუშო ჭაჭიანო,

* აღბათ (ლათ.).

მრუშო მეჭეჭიანო, მრუშო ჭიანო,
 მრუშო კეტთანო, მრუშო რეტთანო,
 მრუშო ყელის ჩამსველებელი, მრუშო ჩამსველებელი,
 მრუშო ბნედიანო, მრუშო ჩაბაღაბიანო,
 მრუშო ტალახიანო, მრუშო ტიღაჩიანო,
 მრუშო ჭირიანო, მრუშო მწვინიანო,
 მრუშო მუნთანო, მრუშო სუნთანო,
 მრუშო ლაჩარო, მრუშო ქაჩალო,
 მრუშო ჩათოხმებელი, მრუშო გაოხრებელი,
 მრუშო ქარაგმული, მრუშო ალაგმული,
 მრუშო ღარიბო, მრუშო არიფო,
 მრუშო ავლაყუდა, მრუშო ალაწოდა,
 მრუშო ჩამწნილებელი, მრუშო გაჭაკებელი,
 მრუშო ოტებელი, მრუშო აქითებელი,
 მრუშო გამოფიტული, მრუშო გაარაფრებელი,
 მრუშო ფუჭო, მრუშო ცარიელა კუჭო,
 მრუშო კაუჭო, მრუშო დამყაყებელი,
 მრუშო ბლუჩუნა, მრუშო ლუჩუნა,
 მრუშო გაბაყაყებელი, მრუშო გამოფატრული,
 მრუშო გაბურძგნილი, მრუშო გაყალბებული,
 მრუშო გაუხარებელი, მრუშო გამოშიგნული,
 მრუშო გამოწლული, მრუშო გამოდადრული,
 მრუშო ჯაბანო, მრუშო ძაბუნო,
 მრუშო შოთუნთილი, მრუშო არაქათგამოცლილი,
 მრუშო ტანტარა, მრუშო ცანცარა,
 მრუშო გაჩეჩილი, მრუშო გაწეწილი,
 მრუშო უტიფარო, მრუშო დახვრუტილო ფარო,
 მრუშო ძეძვის ფარო, მრუშო ძმძრო,
 მრუშო გაბლენძილი, მრუშო გამტყვრალი,
 მრუშო ჩუთსახდელი, მრუშო არაფრის გადამხდელი,
 მრუშო მოხდილი რძე, მრუშო ემშაკის ძე,
 მრუშო ჩამოქცეული კედელი, მრუშო უჩაქუჩო მჭედელი,
 მრუშო მყრალი, მრუშო მურდალი,
 მრუშო ჩუდკეციანო, მრუშო ქეციანო,
 მრუშო გასაცოდავებული, მრუშო დაბეჩაყებული,
 მრუშო გასანდალოზებული, მრუშო გაპრიალებული,
 მრუშო გასახტუმრებელი, მრუშო გასანადღებელი,
 მრუშო გასისინებული, მრუშო ჩაკურატებული,
 მრუშო დანურთული, მრუშო გაჭიკნული,
 მრუშო გატიკნული, მრუშო გატისნული,
 მრუშო გატრუნული, მრუშო განაბული,

მრუშო გატურტლიანებულო, მრუშო გაჭუჭყიანებულო,
 მრუშო გაქსუებულო, მრუშო გატყიურებულო,
 მრუშო გაუგონარო, მრუშო მცონარო,
 მრუშო გაუვარგისებულო, მრუშო გაფუჭებულო,
 მრუშო გაუთლელი, მრუშო ველური,
 მრუშო ბრუტდასეულო, მრუშო გადარეულულო,
 მრუშო მიკიბულ-მოკიბულო, მრუშო ალთაბალოთური,
 მრუშო აჭია-ბაჭია, მრუშო ბაქია,
 მრუშო დაულაგებელი, მრუშო თავმოუბმელი,
 მრუშო თავშემაწყენელი, მრუშო გულის გამაწვრილებელი,
 მრუშო გულის მომყვანო, მრუშო აბეზარს მომყვანო,
 მრუშო აბხეკილო, მრუშო აფშეკილო,
 მრუშო აბნეულო, მრუშო დახლარიულო,
 მრუშო აბორგებულო, მრუშო აგულიანებულო,
 მრუშო ყანადად გაჭრილო, მრუშო კაცობაში ჩაჭრილო,
 მრუშო მკრეხელი, მრუშო მხეხველი,
 მრუშო ჭიხმაკური, მრუშო ცარიელი ხმაური,
 მრუშო ძვირის მოქმედი, მრუშო ბორთმთქმედი,
 მრუშო დამწვარ-დაქცეული, მრუშო თოკიდან გაქცეული,
 მრუშო დახამშული, მრუშო დასაპყრებულო,
 მრუშო დადურალებულო, მრუშო დადულელებულო,
 მრუშო ავარდნილ-დავარდნილო, მრუშო დაკარდნილო,
 მრუშო დაურდომილო, მრუშო დავსებულო,
 მრუშო დახანტებულო, მრუშო დახავებულო,
 მრუშო ლოთო, მრუშო შფოთო,
 მრუშო გაბუტულო, მრუშო გაბუტულო,
 მრუშო გაპტყვნილო, მრუშო გარყვნილო,
 მრუშო გაზიანო, მრუშო ბრაზიანო,
 მრუშო გაუგნებელი, მრუშო გაუგებელი,
 მრუშო ტიელი, მრუშო ვადამთიელი,
 მრუშო ნაცარდაყრილი, მრუშო წახრილი,
 მრუშო გადატყავებულო, მრუშო გადაყვლეფილი,
 მრუშო გადაჭინჭილებულო, მრუშო აჭიკჭიკებულო,
 მრუშო გაჯიქებულო, მრუშო გაჯიუტებულო,
 შემრუშევ გაკანკალ-გამოკანკალებულო.

ეშმაკისა ნაშიერი, პანურგ, ძმობილო, უკეთუ ყოველივე ბე-
 დისგან გიწერია, ხუთუ მაინც საჭიროდ მიიჩნევ, რომ უკუდმა
 დაატრიადლო ცთომილნი, ერთმანეთში აურ-დაურით ციურნი სფერონი,
 ცლიმილება ეძებო ბედისწერის მამოძრავებელ ძალასა შიგან, დაანლუნგო თი-
 თისტარ-ტიბფირნი, გაჭორო კოჭნი, ბრალი დასდო ჯარა-ტარაბუასა, გააბიაბ-
 რუო ძაფნი, დაშალო პარკთა გორგალნი? ჭირიმც შეგყერია, შე მრუშო, შენა!
 კეგანტნიც არ იზამდნენ მაგასა! ყური დამივდე, მრუშო და მრუშისა შვილო, რა
 გარჩევნია: უმიზეზოდ ეჭვიანობდე თუ რქოსანსა არცრა ეჭვი არა გქონდეს?
 — არც ერთის მხდომელი ვარ და არცა მეორეა, — მიუგო პანურგმა. — მა-

გრამ თუკი რამეს შევამჩნევ, იცოცხლე, ხელად წესრიგსა დავამყარებ, ოღონდ ქვეყანაზედ ჯოხი არ გამოილიოს.

ისე კაცმა რომ თქვას, ძმაო ჟან, ცოლისა მოუყვანლობა მიჯობდა. აწ სულ ახლოს რეკავენ ზარნი, მაშ, აბა, ყურნი შიაპყარ, რას მეუბნებიან ისინი:

ცოლი ნუ გინდა, ცოლი ნუ გინდა, ერჩენული
ბიზნისი
 ნუ, ნუ მოიყვან.
 თუკი მოიყვან, — ნუ, ნუ მოიყვან,
 ნუ, ნუ მოიყვან, —
 დაემსგავსები რქიანსა თხასა:
 ნუ დააბრალებ სხვასა.

ღმერთო მაღალო, ბრაზი მახრჩობს! ნუთუ, თქვე ტვინშეკვეცილნო, თქვენა, არცვინ არ უწყით, რავვარ უნდა ეშველოს ჩემსა დარდსა და ვაებასა? ნუთუ ბუნებისგან ისეა მოწყობილი, რომ ცოლიანი კაცი ამქვეყნად სხვანაირად ვერ იცხოვრებს, აუცილებლად რქების მორევსა და უფსკრულში უნდა მოხვდეს?

— მაგის წამალსა ახლავ გასწავლი, — მიუგო ძმა ჟანმა, — ეს ისეთი უებარი რამ საშუალებაა, რომლის წყალობითაც ცოლი შენგან ნებადაურთველად და შენთან შეუთანხმებლად ვერასგზით ვერ გაგარქოსნებს.

— მითხარი, ძაღუ მითხარი, ჩემო ფაფურიანო მრუშო, — უთხრა პანურგმა. — კარგად მითხარი, კარგი გამგონე ვარ.

— მეღინდის მეფის დიდი ოქრომჭედლის ჰანს კარველის ბეჭედი უნდა მოირგო, — განუცხადა ძმა ჟანმა. — ჰანს კარველი დია სწავლული, მცოდნე, ცნობისმოყვარე, წესიერი, გონებადამჯდარი, კეთილგონიერი, გულკეთილი, გულისხმიერი, უხვი, სიბრძნისმეტყველი კაცი იყო, თანაც კიდევ ხუმარა, ანუ ლაგბიერი, მეინახე და ოხუნჯი, ლაზღანდარა, რომლისნაირსაც დედაძმის ზურგზედ ვერ იპოვნი, პატარა მრგვალი ღიბი ჰქონდა, თავი ცოტა უკანკალებდა, თუმცა გონჯიანო, კაცი ვერ იტყოდა. სიბერეში ცოლად შეირთო კონკორდატის მსაჯულის ქალიშვილი, ნორჩი, ლამაზი, ზრდილი, თაყაზიანი, მაგრამ თვალი სულ თავიანთ მეზობელ და მსახურ კაცთა ზედან ეჭირა. ამისა გამო ქმარი მოკლე ხანში ვეფხესაყით ეჭვიანი გახდა და გუმანი მიიტანა, რომ ცოლი დალატობდა, ადგა და ხერხს მიმართა, როგორმე ნამუსზედ რომ შეეგდო, ჭკუის სასწავლებელ ამბებს უყვებოდა, რომელ ამბებშიაც ლაპარაკი იყო დალატთან დაკავშირებულ ათასგვარ უბედურებაზედ. მიწყვი კეთილშობილ დიაცთა ზღაპართ უკითხავდა, უბაწოებას უქადაგებდა, მერმე წიგნიც კი შეუდგინა, რომელშიც განდიდებული იყო ცოლქმრული ერთგულება, ხოლო თავაშვებულ, მოღალატე ცოლთა უღმობლად და დაუნდობლად ასამართლებდნენ, და, ბოლოს აღმოსავლური საფირონის უცხო რამ ფარლული შესძვნა. ქალი მაინც თავისას არ იშლიდა, მეზობელ მამრთ ისე ლაღად და გულითადად ექცეოდა, რომ ქმარი თანდათან კინალამ ეჭვიანობამ გააგიჟა.

ერთხელაც ღამით, როს ცოლის გვერდით იწვა და იტანჯებოდა, ეზმანა, რომ ეშმაკს ესაუბრებოდა და თავის უიღბლობას შესწიოდა. ეშმა ამშვიდებდა, მერმე სალოკ თითზედ ბეჭედი წამოაცვია და მიუთხრო:

— მიჩუქებია, სანამ ეს თითზედ ვეკეთება, შენგან ნებადაურთველად და შენთან შეუთანხმებლად შენი ცოლი ვერცვის ვერ დაამდაბლებინებს თავსა.

— ფრიად მაღლიერი ვარ, უფალო ეშმაკო, — მიუთხრო ჰანს კარველმა. —

უფრო მეტადსა განუდგები, მაგრამ ამ ბეჭედსა თითიდან არაფრის გულის-
თვისა არ მოვიხსნი.

უშმაკი გაქრა. ჰანს კარველმა, გახარებულმა, გამოიღვიძა და რასა ხედავს:
თითი ცოლისთვის უადგილო ადგილას შეეყო.

ჰო, მართლა, იმის თქმა დამავიწყდა, რომ როგორც კი ცოლმა რეზულაცი-
დნო, ქმრისკენ ზურგიით გადმობრუნდა, თითქოს ეუბნებოდა: „შეაბრადა
ამბავია?“ ჰანს კარველს კი ამ დროს მოეჩვენა, რომ ბეჭედს თითიდან აცლიდნენ.

ვითომ რა, ცუდი რამ საშუალებაა? ბეჯითად მისდიე ამ მაგალითსა და შე-
ნი ცოლისა ბეჭედი მუდმისად თითზედ გექნება.

აქა დამთავრდა იმათი საუბარი და დამთავრდა იმათი მოგზაურობა.

თავი XXIX

ამა პანტაგრუელმა, რათა პანურგი გაჭირვებიდან მხსნა,
თათბირად იხმო ღვთისმეტყველი, მკურნალი, კანონთმცოდნე
და სიბრანისმეტყველი

მივიდნენ ისინი სასახლეში და პანტაგრუელსა წვლილად წაუწიგნეს თავიან-
თი მოგზაურობის ამბავი, თან კატუნკრუტუნისა ლექსი გადასცეს. პანტაგრუელმა
წაიკითხ-გადაიკითხა წყობილი სიტყვა იგი და წართქვა:

— ეს პასუხი ყველა სხვა დანარჩენზედ მეტად მომწონს. ლექსში ის აზრია
ჩადებული, რომ სუყოველი კაცი, ვინც ქორწინდება, თვითონ უნდა იყოს თავის
განზრახვათა მსაჯული და ოდენ თავის თავს უნდა ეთათბირებოდეს. მეც ამა აზ-
რისა ვიყავი და თავიდანვე გითხარით, როგორც კი ამის თაობაზედ ჩამომიგდეთ
სიტყვა, თუმცაღა, ვითარ მაშინ მომეჩვენა, სულისა სიღრმეში ცოტა დამცინეთ
კიდევ. თავდაჯერებულობამ და თვითრწმენამ თქვენმა ბევრი რამ უბედურება
მოგიტანათ. ასეა თუ ისე, ჩვენ სხვარიგად მოვიქცევით.

ჯერეთ საქმისა ვითარებას გიტყვით. ყოველივე, რასაცა ჩვენ წარმოვადგენთ
და რაც გვაქვს, სამი რამისაგან შედგება: სულისგან, სხეულისგან და ჩვენი ქო-
ნებისაგან. ყველაფერ ამაზედ ზედამხედველობა ჩვენს დროში შესაბამისად სამი
ყადის ხალხს ევალება: ღვთისმეტყველნი ჩვენს სულზედ ზრუნავენ, მკურნალ-
ნი—სხეულზედ, იურისტნი — ქონებაზედ, ამიტომ ვთავაზობთ, რომ კვირას ჩვენსა
სადილად ვუხმოთ ღვთისმეტყველსა, მკურნალსა და იურისტს. ყველანი ერთად
განვიხილავთ ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობასა.

— წმინდა პიკოს უფიცავ, — განაცხადა პანურგმა, — არაფერი კარგი მან-
დედან არ გამოვა, წინასწარვე შემიძლია თქმა. აბა, დაუფიქრდით, სუყოველაფერი
უკუღმა და ყირამალაა მოწყობილი ამ ქვეყანაზედ: ჩვენთა სულთა დაცვას ღვთის-
მეტყველთ ვანდობთ, ისინი კი უმრავლესნი მწვალებელნი არიან, სხეულთა და-
ცვას მედიკოსთ ვაკისრებთ, ისინი კი თავად ვერ იტანენ წამალთ და არანაირ
სამედიცინო საშუალებას არ მიმართავენ, ხოლო ჩვენი ქონების დაცვას იურის-
ტებს ვავალებთ, ისინი კი არცროდის ერთმანეთში არ დაობენ.

— ნამდვილ კარისკაცსავეთ მსჯელობ, — შენიშნა პანტაგრუელმა. — თუმ-
ცაღა შენს პირველ მუხლზედ უარი მითქვამს, რამეთუ კეთილ ღვთისმეტყველთა
ძარითადი, უფრო სწორად, ერთადერთი და ყოველისმომცველი სამუშაო ის არის,
რომ ისინი თავიანთი სიტყვით, საქმით და წერილნით აღმოფხვრიან სხვათა ცოლ-

მიღებასა და მწვალებლობას (ხოლო თავად რომ მწვალებელი გახდნენ, უბრალოდ ამისი დრო არა აქვთ) და ღრმად წერგავენ ადამიანის გულში ჭეშმარიტ და ცოცხალ კათოლიკურ რწმენას.

მეორე თქვენს მუხლს ვეთანხმები: კარგნი მკურნალნი, როდეს საქმე საკუთარ ჯანმრთელობას ეხება, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ბროფილაქტიკურ და წინასწარ გამაფრთხილებელ მოღონისძიებას, — ამ სწორედ ამის წყალობით არის, რომ თერაპიას და წამალთ აღარ საჭიროებენ.

მესამე მუხლისა გამო ერთი აზრისანი ვართ: კარგნი ადვოკატნი სხვათა უფლებათა დაცვითა და დასაბუთებით ისე არიან გართულნი, რომ თავიანთი საკუთარ უფლებათა გამო ხურვისთვის აღარც დრო რჩებათ და აღარცა მოცალეობა მაგრამ მომაკაღ კვირას მაინც უნდა დაუძახოთ ღვთისმეტყველოვან მამა პიპოთადეუსს, მკურნალთაგან — მაგისტრ რონდიბილისს,¹ ხოლო იურისტთაგან — ჩვენს მეგობარ ბრიდუას.²

გარდა ამისა, ვგონებ, უნდა მივდიოთ პითაგორულ აზრსა ოთხიანისა გამო,³ და ამიტომ შეოთხე მოსაუბრისა სახით ვუხმოთ ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომს — სიბრძნისმეტყველ ტრუიოვანს⁴, ვინათგან ისეთ თვალსაჩინო სიბრძნისმეტყველს, როგორც ტრუიოვანია, რაგინდარა სადავო საკითხის გადაყვეტა ძალუძს. კარპალიმ! მოიწვიე ყველანი ისინი მომაკაღ კვირას სადილად.

— ჩემის აზრით, ჩვენი ქვეყნის ყველაზედ შესაფერისნი კაცნი შეარჩიე, — შენიშნა ეპისტემონმა. — საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ ყოველი იმათგანი თავისი დარგის კარგი მცოდნეა, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს, არამედ ისიც არის, რომ რონდიბილისი ამჟამად ცოლიანია, წინათ კი უცოლო იყო; პიპოთადეუსი არცროდის ცოლიანი არ ყოფილა, არც წინათ, არც ახლაც; ბრიდუა ოდესღაც იყო ცოლიანი, ამჟამად კი უცოლოა, ხოლო ტრუიოვანი ყოველთვის ცოლიანი იყო: ადრეც და ახლაც. კარპალიმს ერთი მოვალეობისაგან ვათავისუფლებ: თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, ბრიდუას მოწვევას თავად ვკისრულობ, — ჩემი ძველი ნაცნობია და ვაპირებდი კიდევ ნახვასა, თავისი ბიჭის ამბავი უნდა ვკითხო, როგორ წარემატება სწავლაში, დარბაისელი და განსწავლული ვინმეა, ტულუზაში ფრიად დიდი და პატივსაცემი მეცნიერის ბუასონეს⁵ ლექციებს ისმენს.

— შენი ნებასურვილისამებრ მოიქეცი, — დაასკვნა პანტაგრუელმა. — თანაც იფიქრე, ხომ არაფრით გამოვადგები იმის შვილსა და უდიდესულეს უფალ ბუასონეს, რომელიცა მიყვარს და რომელსაც პატივსა მივაგებ როგორაც თავისი დარგის ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერსა. თუ რამ ძალმიძს, იმათთვის არცრა კარგსა არ დავიშურებ.

თავი XX X

ამა ღვთისმეტყველი პიპოთადეუსი რჩევას აძლევს პანურგსა დაძმორწინებისა თაობაზედ

შემდგომ კვირა ღღეს სადილი ჯერეთ მზად არ იყო, სტუმარნი კი უკვე მობრძანდნენ, სუფევლანი, გარდა ფონბეტონის მსაჯულისა ბიდუასი. მეორე კერძი რომ მოიღეს, პანურგმა მძიმედ დაუკრა თავი იქ შეკრებილთ და წართქვა: — უფალსო! ღაპარაკია მხოლოდ ერთ რამეზედ: ღირს თუ არა ჩემი ცოლის მოყვანა. უკეთუ ეჭვთ ვერ გამიფანტავთ, მაშ, აბა, ჩემა ამბავი ისე გადაუჭრელი

ყოფილა, ვითარცა ალიაკოს Insolubilia,* რამეთუ ყოველნი მობრძანებულნი თქუენთა დარგთა შინა რჩეულნი, გამორჩეულნი და ცხრილში გატარებულნი ბრძანდებით.

პანურგის შეკითხვისა და იქ დამსწრეთა თავაზიანი მიმშვიდობების პასუხად მამა ჰიპოთადეუსმა უჩვეულო მოკრძალებით შენიშნა:

— მეგობარო! ჩვენთვის კი არ უნდა გვეკითხა რჩევა, ჯერეთ საკუთარ თავს უნდა მოსთათბირებოდი. რაოდენ ძლიერ ვაწუხებს ხორციელი ფინი?

— ბოდიშს მოვიხდი, მამაო ჩემო, — მიუგო პანურგმა, — ძალიან ძლიერად.

— ჩუულებრივი ამბავია, მეგობარო, — უთხრა ჰიპოთადეუსმა. — დაღააუძეცა, შენს გაჭირვებულ მღვთმარეობას რომ ხედავს, უფალი ალბათ არც თავშეკრების ნიჭსა და წყალობასაც არ გაკლებს?

— სიმართლე თუ ვინდა, ეგრე არ არის, — მიუთხრა პანურგმა.

— მაშ, აბა, ცოლი უნდა მოიყვანო, მეგობარო, — დაასკვნა ჰიპოთადეუსმა. — რასაკვირველია, ცოლის მოყვანა სჯობს, ვინემ ავხორციობის ცეცხლში დაბუგა.

— ეაჰ, რა გონიერულად განსაჯე, — შეჰყვირა პანურგმა. — თანაც არცა რასა მისდებ-მოსდებიხარ, ცირკუმბილივაგინაცია არ დაგიწყია. გრძნობიერად მაღლიერი ვარ, შენო მაღალღირსებავ. აწ კი მტკიცედ გადაეწყვიტე დაოჯახება, სულ მალე ქორწილში უნდა შეწვიო. ისეთი პური უნდა ვჭამოთ, რომ არ გვიჭამია. როგორაც სტუმრის წესია, საქორწინო ბაფთას შემოგახვევ, ღმერთმანი, სულ შემწვარი ბატი უნდა ვატრილო სუფრაზედ, ცოლის შებრაწული ნუ იქნება, მერე რა ვუყოთ.¹ კიდევ ერთი რამ უნდა გთხოვო: მეცი პატივი, ბალსა თავში ჩაუდექი და პირველ წყვილად ვინმე კონტა გოგოსთან ერთად გაიარე. კიდევ ერთი თავსატეხილა დამრჩა, ერთი პატარა თავსატეხი: რქაბმულობა მელის თუ არა?

— უკეთუ ღმერთი ისურვებს, სულაც არა, მეგობარო, — მიუგო ჰიპოთადეუსმა.

— ღმერთო დიდებულო! — დაიგმინა პანურგმა. — სად მაგზავნიო, თქვე კაი ხალხო? პირობითობა რა საკადრისია! პირობითობა დიალექტიკაში ყოველგვარ წინააღმდეგობას და უაზრობას წარმოშობს. ჩემი ალპებსიქითურა ჯორი რომ დაფრინავდეს, მაშინ ამ ჩემს ალპებსიქითურა ჯორს ფრთები ექნებოდა. ღმერთი თუ ისურვებს, რქაბმული არ ვიქნები, ხოლო რქაბმული ვიქნები, ღმერთი თუ ისურვებს.

ერთი ამას უყურეთ! ეს რომ ისეთი პირობა იყოს, რომლის დაძლევა და გადალახვა შეუძლებლოდეს, იმედს არ დაგვარგავდი, შენ კი უფლის საიდუმლო სათათბიროში მაგზავნი, იმის კერძო განჩინებათა პალატაში. მერედა, რაგვარ ვიძინებოთ ჩვენ, ფრანგებმა, იქით მიმავალი გზა? შენო მაღალღირსებავ! მე მგონია, საქმეს თავს ვერ აბამ, ჩემს ქორწილში შენ ვერ მოხვდები. იმ ქორწილის პურზაურს შენ ვერ აიტან. შენ სიმშვიდე გიყვარს, მღუმარება, განმარტოება, რგონი, რომ არ მოხვალ. თანაც კიდევ არცა მაინცდამაინც ცეკვა გეხერხება და თუ ბალსაც თავში ჩაუდეგები, თავი მოგეჭრება. ხორავიჭსა და საქორწინო ბაფთას შინ გამოგიგზავნი. იქ შიირთმევ ახალგაზრდების სადღეგრძელოსა. მადა

* გადაუჭრელი პრობლემები (ლათ.).

იქ უფრო მოვივა.

— მეგობართ! — სიტყვა შეუქცია ჰიპოთაღუსმა, — ძალიან გთხოვ, რომ სწორად გამიგო. როს გითხარი: „უკეთუ ღმერთი ისურვებს-მეთქი“ განა ამით გაწყენინე რამე? განა ცუდად არის თქმული? განა ეს პირობა მკრეხე-ლური ან შეურაცხმყოფელია? ამით თვით ღმერთი განვაფიცებთ, როგორც ჩვენი შემქმნელი, მხსნელი და მფარველი. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ იგია ერთა ღმერთი მწყალობელი ყოველგვარი სიკეთისა, ამით ოდენ ის აზრი გამოვხატე, რომ ყოველნი კაცნი ძოლიანად დამოკიდებულნი ვართ უფლისა სათნოებაზედ. უიშისოდ კი არცრანი ვართ, არცრად არ ვღირვართ და არცრისა შემძღვნი ვართ — იმ უამაბდე, ვიდრე ჩვენზედ უფლისა წმიდა მადლი არ გარდმოვა. მე ამით იმის თქმა მინდოდა, რომ ყოველი ჩვენგან წამოწყებული საქმე კანონიკურ წესდებულებას უნდა შეუფერებოდეს და ყოველი ჩვენი ნაბიჯის გადადგმისას იმ აზრს არ უნდა ვიშორებდეთ, რომ ყოველგან უფლისა წმიდა ნება სუფევს — როგორც დედამიწაზედ, ისე ცაში. მე ოდენ ალალი გულით განვადიდე კურთხეული სახელი უფლისა.

უკეთუ ღმერთი ისურვებს, მეგობართ, რქაბმული არ იქნები. გულს ნუ გიტიხებ, ნუ იფიქრებ, რომ უფლისა ნება-სურვილი ჩვენგან დაფარულ არს და ისე ვერ ჩახვდები, თუ უფლისავე საიდუმლო სათათბიროსა და წმიდა განჩინებათა პალატას არ მიმართავ. არა, უფალმა საგანგებო რამ წყალობა გარდმოგვივლინა: თვისი ნება-სურვილი საღვთო წერილსა შინა გაგვიმჟღავნა, გვამცნო, განგვიცხადა და ყველასთვის ნათლად გამოსახა.

შენცა სწორედ იქ ამოიკითხავ, რომ არცროდის რქაბმული არ იქნები, ესე იგი ცოლი შენი არიდეგს არ იმტყუშებს იმ პირობით, თუ კარგ ოჯახშიშვილს შეირთავ. უკეთუ აღზრდილი იქნება მკაცრი სათნოებისა და უბიწოების გარემოში, უკეთუ კეთილზნიანთა საზოგადოებაში მოხვდება და იქ იტრიალებს, ეყვარება და თანაც შიში ექნება ღვთისა. უნდა ცდალობდეს აგრეთვე, უფალსა გულმოდულოდ ჩემი რწმენითა და წმიდა ათი მცნებისა დაცვითაო, უნდა შიშნეულობდეს, ჩემი მცირედმორწმუნეობისა გულისთვის ღმერთი არ განგარისხოს და ჩემზედ წყალობისა ხელი არ ავალებინოს, არ უნდა დაარღვიოს არცა ის ღვთაებრივი კანონი, რომელიც მკაცრად კრძალავს მრუშობასა და ცოლისა მხოლოდ და მხოლოდ ერთგულების უფლებასა აძლევს. ამა კანონისდა მიხედვით ცოლმა ოდენ ქმარს უნდა აამოს, ოდენ იმის სამსახური უნდა გასწიოს. წესი და კანონია: ქალს უფლისა შემდეგ თავისი ქმარი უნდა უყვარდეს.

რათამცა დიაცმა სუყოველი წესი ესე შეითავისოს, შენ, შენის მხრივ, ვაღ-დებული ხდები, რომ მიწყიუ მეგობრულად მოექციე, ყველაფერში უხინჯო და უზადო იყო, მხოლოდ კეთილი რამ უმაგალითო და მისდით მოკრძალებულ, უბიწო, სათნო ცხოვრების წესსა, რომელსაცა, შენის გაგებით, თვითონ ისიც უნდა იცაუდეს, რამეთუ ის სარკე კი არ ითვლება წუნდაუდებლად და ჩინებულად, სხვათა უკეთესად რომ არის მოიქროვილი და ფერადქვებშემიწყობილი, არამედ ის სარკე, სწორად რომ ასახავს საგანთ, — მსგავსად ამისა ის მდებრი კი არ არის დია პატივდებული, სიმდიდრით, სილამაზით, ტანადობით ანდა კეთილშობილური წარმოშობით რომ გამოირჩევა, არამედ ისა, ვინცა ღვთისავე ხელისაპყრობით თავის ღვთისმოშიშობასა დაპკანკალებს და ზუსტად ისე უჭირავს თავი, როგორაც ქმარი ექცევა.

მოვარე, მაგალითად, შუქს არც მერკურისგან სესხულობს, არც იუპიტერისგან, არც მარსისგან და არცა კიდევ სხვა რომელიმე პლანეტისგან ანდა ციური ვარსკვლავისგან; თავსა სხვისგან ვინმესგან კი არ იშუქებს, ოღონ თავის მეუღლისგან — მზისგან და სწორედ იმოდენზედ იშუქებს, რაოდენი გამოსხივების თავიც მზესა აქვს და იმისდა მიხედვით, რა ასპექტშიც მზესა იფიქრებდა შენი უღელტოლისთვის მფარველი, სიკუთისა და სულიერი სისპექტაციის ჩამოქრება და განუწყვეტლივ ევედრეთ ღმერთსა, თავისი გულმოწყალება არ მოგაკლოთ და არცროდის დაგიტევოთ.

— ჩანს, — უღვაშისა გრეხა-გრეხით დაასკვნა პანურგმა, — შენი სურვილია, რომ ის პრძენი ცოლი შევირთო, სოლომონს რომ ჰყავს აღწერილი, არა? ჯერეთ ერთა, დამიჯერე, ის უკვე დიდი ხნის გარდაცვლილია. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის მე არასოდეს თვალითაც არ მინახავს, მაპატიე, უფალო, ჩემი შეცოდება ესე! ყოველ შეთხვევაში, შენი დიდი მადლიერი ვარ, მაშაო ჩემო. ეს სუშის ნამცხვარი მიირთვი, — საჭმლის მონელებას ხელს უწყობს, და ზედ დარჩინიანი ტკბილი ღვინო დააყოლე, — კუჭისთვის მარგებელია. ახლა სხვა ვაქვიათ.

მესამე წიგნის შენიშვნები

გამოიცა პარიზში 1546 წელს, სატიტულო ფურცელზე პირველად იყო აღნიშნული რაბლეს გვარი და „სამეფო პრივილეგია“, ექვსი წლის ვადით გაცემული. იმავე წელს წიგნი დაიბეჭდა ლიონსა და ტულუზაში. რაბლეს სიცოცხლეში მესამე წიგნი ბოლოს გამოიცა 1552 წელს პარიზში, დაიბეჭდა მიშელ ფუზანდის სტამბაში, ამჯერადაც „სამეფო პრივილეგიით, რომელიც ახლა უკვე ჰრი II მიერ იყო გაცემული.

• **ფრანსუა რაბლე მიმართავს ნავარის დედოფლის სულსა** — მეფე ფრანცისკ I დაი მარგარიტა ნავარელი, ნოველების განთქმული კრებულის — „ჰეპტამერონის“ ავტორი, რაბლეს და კლემან მაროს მეგობარი, XVI საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთში ჰუმანიზმის მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო. სიცოცხლის ბოლოს (1549 წ. გარდაიცვალა) მიხტიციმში ჩავარდა. რაბლე მოუწოდებს, რომ დაუბრუნდეს ჰუმანიზმის მიწიერ, ცხოველყოფელ პრინციპებს.

წიგნის ტყუპა

1. იმისგან ემეკვიდროებად ისეთი რამ გარბოთ... — ესე იგი კრძელი (ვირის) ყურები ფრივიის მეფის მიდასისა.
2. ოტაკუსტმზი — მსტოვარნი, მიმყურადებელნი (ბერძნ.).
3. რაზმცა აბრა რიგად ოცნებობდა იმპერატორი ანტონინუსი — რომის იმპერატორი მარკუს ავრელიუს ანტონინუს კარაკალა (211-217) — მამუზღარ-დამსმენთა მრავალრიცხოვანი შტატი ჰყავდა.
4. მანდუზიანა — მოკლე და ფართუპირიანი მახვილი.
5. გაცვილულნი დაჟა-შიცარნი — ძველნი ესეგვარ დაფა-ფიცრებზედ წერდნენ წვერწამახული ჩხირით (სტილით).
6. ომსა არა ასაბღებად და საბიობლად უხმოგან ტურფა... — ლათინური სიტყვები „ომი“ და „ტურფა“ ომონიმებია.
7. რენო და მონტობანი — ეპონის ოთხი შვილიდან ერთ-ერთი (იმათი გმირობა-ვაჟკაცობის ამსახველი პოემა მოხსენიებულია პირველი წიგნის

XXVII თავში), სიბერეში მორჩილად ემსახურებოდა კელნის ტაძრის ქვით-
ხუროთ.

8. ტიანელი ფილოსოფოსი — აპოლონიოს ტიანელი (I ს.), ნეო-
პიტაგორიზმის მისტიკური რელიგიურ-ფილოსოფიური სკოლის მეთაუ-
რი.

9. მაცა იგივე დამამართოს, ეკლიონის მამალსა რო და-
მართა, როგორცა გამოყვანილია პლავტუსისა მიერ „ქოთა-
ნში“, ავსონიუსის „ბრიფონში“... — პლავტუსის „ქოთნის კომედიაში“
ძუნწი ეკლიონის მამალი კლანჭებით მიწას იმ ადგილას თხრიდა, სადაც იმის
პატრონს განძი ჰქონდა დაფლული. ეკლიონმა იფიქრა, ეს წყმი მამალი რაღაც
კარგს არ შიპირებსო, და დაკლა. რომელი პოეტი ავსონიუსი თავისი ლექსის
„რიცხვ სამიანისა ვიფი“ (ანუ გამოცანა) — გამო წერდა, ეს ლექსი სრულიად
შემთხვევით ვიპოვნე ერთ ძველ წიგნთსაცავში, როგორც ეკლიონის მამალმა გა-
ნძიო. სახელწოდება „ბრიფონი“ რაბლეს შეცდომაა.

10. როგორც გალიელის კანაში შემოაკლდათ მორფილის
დღესა. — სახარება გვიამბობს, რომ გალიელის კანაში საქორწილო ნადიმზე
სტუმართ ღვინო შემოაკლდათ, მაშინ ადგა ქრისტე და წყალი ღვინოდ აქცია; ეს
იყო იესოს მიერ მოხდენილი პირველი სასწაული („იოანეს სახარება“, II, 1-10).

11. მსებვარი იყო იბარიაში ბიცი, ანუ ალდაჭი მთა, კატო-
ნისგან მუბითა აჰალაგაული... — კატონის თქმით, რომელსაც რომაე-
ლი გრამატიკოსი ავლუს გელიუსი იმეორებს („ატიკური დამკები“, II, 22), ამ
მთიდან ძალიან ბევრ მარილს იღებდნენ, მაგრამ მთას მაინც არაფერი ეტყობო-
დათ.

12. მსებვარი იყო შტო, ანუ სბოშური ოძროისა... ვერბი-
ლიუსისგან სოტბაშუსხმული... — „ენეიდას“ VI წიგნში მოთხრობილია,
რომ იმ ხეს, რომელსაც ენეასმა ოქროს შტო შეატეხა და პროზერპინას შიარ-
თვა, შეტეხილი შტოს ადგილას უმაღ ახალი ეზრდებოდა.

თავი I

1. და თავის ფის-საშულს ამვარებდა დაჰყრობილ ხალხსა. —
ეს არის ვერვილიუსის „გეორგიკადან“ (IV, 559-560) ორი ლექსის თავისუ-
ფალი თარგმანი. რაბლე შემდგომად (თ. X და სხვ.) ისე თარგმნის ლათინურ
და ბერძნულ ლექსთ, რომ არ იცავს ორიგინალის საზომს, თანაც ფრიად არა-
ზუსტად თარგმნის.

2. ტერმინი — საზღვართა რომაული ღმერთი.

თავი II

1. ... მს ორივ კი... კანთეოლოგიური აზრისა... ფყაროა... —
კანთეოლოგია — საყოველთაო (უნივერსალური) ღვთისმეტყველება.

2. იმა... ერთ ღლეუი ათავებან მთელსა ეპისკოპოსსა... — აქ
გადაკრულად ლაპარაკია იმ დიდებულ და დამაქცევარ ბანკეტზე, რომელიც ახ-
ლად დანიშნულმა პარიზის ეპისკოპოსმა გადაიხადა თავისი სამწყვსო-მრევლის
პატივსაცემად.

3. ...სვალ-ზებ ან მავებ ეოელის რაცა. — სენეკა, „თიესტე“, 619.

4. შემდგომე დისტრიბუციული სამართლიანობისა სულსა. —
კომუტაციური და დისტრიბუციული სამართლიანობა — არისტოტელეს ეთი-
კის ტერმინებია. პირველი იცავს სამყიდველო და გასაყიდ ფასებს შორის სამარ-
თლიან თანაფარდობას, მეორეთი აღნიშნულია სამართლიანი განაწილება.

5. ვერბილიუსის თესტილიდას თქმითა... — ვერვილიუსის („ბუ-
კოლიკები“, II, 10) პერსონაჟი გლეხის ქალი, რომელიც მეძნურთ ხადილს
უმზადებს.

6. ...როს მართოსა მთელი სალაშურა შეეჭამა. — სახელგანთქმული ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი თომა აქვინელი (1225-1274) ერთხელ საფრანგეთის მეფესთან ლუდოვიკო IX (წმინდასთან) მიიწვიეს, თავის ფიქრებში ჩადირულმა თომამ ვერც შეამჩნია, იხე მიირთვა სალაშურა, რომელიც მეფისთვის იყო მოტანილი. უცებ თომას თავში არგუმენტი რამ მოუვიდა, რომელიც დიდხანს ვერ ეპოვნა, და ჯერ ბოლო ლუკმა არ გადაეყლაპა, რომ სიხარულით შესძახა: „Consummatum est!“ — „მორჩა!“ — ჯვარცმული ქრისტეს უკანასკნელი სიტყვა გაიმეორა („იოანეს სახარება“, XIX, 30), რომელიც ქართული თარგმანით რამდენადმე სხვაგვარად ქდგრს: „აღსრულდა!“

თავი III

1. ქსენოკრატე — ბერძენი ფილოსოფოს-პლატონიკოსი (ძვ. წ. აღ. IV ს.). მან გამოთვალა, რომ ბერძნული ანბანის ასოთგან შესადღებელია 100 200 000 მარცვლის გამოყვანა.

2. ...ქრისტოს ვნებათა სომიურულ მისტერიასში... — 1534 წ. აგვისტოში ქალაქ სომიურში სრულდებოდა მისტერია, რომელიც ასახავდა ქრისტეს მიწიერი ცხოვრების უკანასკნელ კვირას.

3. ...გულშეცნავ მებროდორებსან აღწერილი, ან არადა კატრონუს სამოცდაათვრამათა მკვენიერება... — მეტროლორე დამუსაკოსელი — ბერძენი ფილოსოფოსი — ეპიკურელი (ძვ. წ. აღ. III ს.). კატრონემ კამპრადან — ბერძენი ფილოსოფოსი — პითაგორელი (ძვ. წ. აღ. VI ს.). პირველი ამტკიცებდა, ქვეყნიერებათა რიცხვი უსასრულოაო, ხოლო მეორე — სამყაროს ას ოთხმოცდაექვსი ქვეყნიერებისგან შედგებაო.

4. ...თავისი კოპეროსული რამ ჯაჭვითა... — ეს ჯაჭვი, რომლის ზეციდან მიწაზე ჩამოშვებითაც იმუქრებოდა ზევსი (იუპიტერი), რათა სუყველა დახარჩენ ღმერთს ძალაში გასჯიბრებოდა, მოხსენებულია „ილიადაში“ (VIII, 19-20).

5. აღოაღები — ალოეზის და იფიმედეას ბუმბერაზი შვილები, პოსეიდონის შვილიშვილები; ოლიმპზე ასვლა მოინდომეს.

6. ...რობორაც ისმავლი, მებაბუსი... — ბიბლიური „შესაქმე“ (XVI, 12) წარმოგვიდგენს ისმავლს მრისხანე, თავის გარშემო მყოფთა მოძულე კაცად. მეტაბუსზე, თავის ქვეშევრდომთაგან დამხობილ და განდევნილ მეფეზე, მოგვითხრობს ვერგილიუსი „ენეიდაში“ (XI, 567-568):

არ შეიკვდლა მეტაბუსი არც ერთმა მხარემ,
არც თვით მან დათმო სისასტიკე.....

7. ...ვინემ მსოვეს ერთ-ერთ იბავშია დახატული. — იგულისხმება ცნობილი იგავი კუჭსა და სხეულის ასოთა შორის ატეხილი დავისა გამო.

თავი IV

1. ... ვინემ აწ ბრებანისა ცხრასავე საეპისკოპოსოშია. — ბრეტანში პატივსა მიაკებდნენ უამრავ ნაირ-ნაირ „წერილ წმინდანს“.

2. მფინდა ივი — შეტსახელად „ღარიბთა ვეჭილი“, იყო მთელი ბრეტანის წმინდა მფარველი, აგრეთვე იურისტთა პატრონი.

3. ყველას ყველაფერს ნისიარობდა. — „მეტრი პიერ პატლენი“,

თავი V

1. ... თვინიერ სანაცვლო სიყვარულისა. — მოცემულ პავლეხ ეპისტოლე რომაელთა მიმართ, XII, 8.
2. დიალაც ნინეზულ ბრაჟიდთა და დიატიანთ იყინებ — ესე იგი სურათებს და სახეებს (ბერძნული რიტორიკული ტერმინები).

თავი VI

1. ენიო — ომის ბერძნული ქალღმერთი, არესის თანამგზავრი.

თავი VII

1. კანურბმა, ებრაული ჩვეულებისამებრ, ბრძანა, მარჯვენა ყური გაამისვრიტათო... — ბიბლიაში („გამოსვლა“, XXI, 6) იხსენიება, რომ ყმას, ვისაც თავის პატრონთან სამუდამოდ დარჩენა სურდა, ყურს სადგისით უხვრეტდნენ...
2. ... რყული გაამინდა ყურში... — ფრანგული სიტყვის მასალა, რომელიც ნიშნავს „ძლიერ მღვლეარებას“.
3. შან ბურშუა (გარდ. 1494 წ.) — სახელგანთქმული მქადაგებელი, მეტსახელად „სათვალის კორდელიერი“ (ესე იგი ფრანცისკელი).

თავი VIII

1. ზოოფიტები — ძველი სახელწოდება ისეთი უხერხემლო ცხოველებისა (ღრუბლებისა და მიხთ.), რომლებიც მცენარეებსა და ცხოველებს შორის გარდამავალ ფორმებად მიაჩნდნო.
2. ... ის თვებია, რომელთა წყალოვითაც დევკალიონმა და პირამ... აღაიისა ტოპი აღადგინეს... — ბერძნული მითის მიხედვით, წარღვნის შემდეგ გადარჩენილმა დევკალიონმა და პირამ ხელახლა შექმნეს კაცთა მოდგმა — ისინი ზურგს უკან ისროდნენ ქვებს, რომლებიც მაშინვე ადამიანებად იქცეოდნენ.

თავი X

1. მონსერატი — მთავრეხილი კატალონიაში.
2. პიერ აპი — რაბლეს სიყრმის მეგობარი.

თავი XI

1. ... კერაულუს ბურელისა აღალპისა წინარა... — ამა აღალპისა წინ ტრაპეზი იდგა, რომელზედაც ორაკულთან რჩევისთვის მიხული ხალხი კამათელსა ყრიდა; რახაც აყრილი კამათელი უჩვენებდა, ქურუმნი იმის მიხედვით განმარტავდნენ ღვთის პასუხს.
2. ... ის სოე იგივე ეშვას ფოთოლია... — აქ გადაკვრით ნათქვამია XVI საუკუნეში გავრცელებულ თამაშზე; სუფოველ მონაწილეს მთელი მაისის განმავლობაში უნდა ეტარებინა მწვანე ფოთოლი ანდა შტო, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმდებოდა.

თავი XII

1. ღმერთი ნადივად არ ღაისკავს, არ უხაროდეს, არცა თაღღმერთი არ ღაიწვენს ბვერდით აროდეს. — ვერგილიუსი, „ბუკოლიკები“, IV, 63.

2. ... სანქარი, აიამს ოილიდის სოვალდო რომ გაუჩნდა... — მი-
თი აიამს ოილიდის შესახებ მოგვითხრობს, რომ ტროას აღების შემდეგ აი-
აქსმა ათენა-პალადას ტაძარში პატივი ახადა ტროას მეფის ქალიშვილს, რომე-
ლმაც ქალღმერთის საკურთხეველს შეაფარა თავი. ამის გამო ათენამ ელფა/და-
სცა და ჩაძირა აიამსის ხომალდნი, რომლებიც საბერძნეთის ნაპირთ უბრუნდე-
ბოდნენ.

3. ... თავისიიარი მამა იმისი იუპიტერი... — ბერძნული მითის
მიხედვით, ათენა (მინერვა) იშვა ზევსის (იუპიტერის) თავიდან.

4. მამა რა, ვითრო ვულკანუსი ვარ, რომლისა გამო შროსანი
შენსობს? — სერვიუსი, ვერგილიუსის ანტიკური კომენტატორი, თვლის, რომ
ზემოთმოხმობილ ლექსში (რომელიც პანურგს ამოუვიდა) ლაპარაკია ვულკა-
ნუსზე (ვერგილიუსის ტექსტში კი ვულკანუსი არ იხსენიება).

5. დოვლანია ამპიტრიონი არ გაგონო... არცა ალალოდა ატ-
ლანტი... — ჩამოთვლილია იმ ქალთა ქმრები, მამები და გუშაგნი, რომელ ქალ-
თაც იუპიტერი (ზევსი) გაუმიჯნურდა.

6. ქალწული შთიბ — ნიშნა, რომელიც მტრედადქვეულმა ზევსმა მო-
ხიბლა.

7. მაგისტრონოსტრალურად თუ ვიტყვიო. — Magister noster
(მოდღვარი ჩვენი), თეოლოგიის დოქტორის ტიტული.

8. მორეული ინტანცია — შუა საუკუნეების სქოლასტიკისა და თეო-
ლოგიის ტერმინოლოგიაში აზრი საგნის შესახებ აზრობის შეფარდებით.

9. ... testiculos non habet — კვრცხნი არა აქვს (ლათ.). იყო ლეგენდა,
რომ პაპის ტახტზე ერთ დროს მჯდარა ქალი. ამ ცდომილების გამოაშკარავე-
ბის შემდეგ, დადგინდა სუყოველი ახლად არჩეული პაპის გახინჯვა.

10. ... გაშმაგებულა, გაყინვია მარღვეაში სისსლი... — ვერგი-
ლიუსი, „ენეიდა“, III, 30.

11. ... მამა რა, შანი მარ? — „ჟანი“ ერქვა სვლას, რომელსაც მოთამაშის-
თვის ორი ქულა მოჰქონდა, ამასთანავე „ჟანი“ — მეტსახელია მოტყუებული და
შემწენარებელი ქმრისა.

12. ვარბილიუსი, „ენეიდა“, IX, 782.

13. უცილოდ მართალია სატირიკონი — იუვენალი, VI, 210 და
შემდგომ.

თავი XIII

1. კაროვილა — ბერძენი ექიმი (ძვ. წ. აღ. IV ს.).

2. კვ. კალაბრიელი — IV ს. ბერძენი პოეტი კვინტოს სპირნელი. „კა-
ლაბრიელი“ იმიტომ ეწოდება, რომ მისი ნაწარმოებების ხელნაწერი 1450 წ. კა-
ლაბრიაში იპოვნეს.

3. კერამს ტრისეპისტუ — ჰერმეს სამეზის უდიდესი (ბერძ.). აგრე
ეწოდებდნენ შუა საუკუნეებში იმ ცნობილი ფილოსოფიური დიალოგის ავტორს,
რომელი დიალოგიც დაწერილია II ს. რომელიდაც ბერძენი ნეოპლატონიკოსის
მიერ.

4. ვილანოვანუსი — სიმონ დე ვილნოვი (1495-1530), ცნობილი ფრა-
ნგი ჰუმანისტი.

5. ... კომპროსისეულ ორსავ ბჟმსა... — იხ. „ოდისეა“, XIX, 562-567.

6. ... იკელესა, ვანტასესა და ვობეტორსა. — იკელე („მხგაე-
ხი“, ბერძ.) და ვობეტორი („შიშისმომგვრელი“, ბერძ.) — საშინელი სიზ-
მრების ღვთაების, ღმერთ მორფევსის შვილის ორი სახელი. ვანტასე — სი-
ზმრების ბერძნულ-რომაული ღმერთი.

7. სერაპიონ ასკალონელი, ანტიფონე, ფილოქორე, არტე-
მონე — ძველბერძენი ორატორები და მეცნიერნი, რომელნიც სიზმრების წარ-
თქმაზე წერდნენ.

8. **ფულგენციუს კლანვიადი** — VI ს. ლათინი მწერალი.

9. **ეპიპტრიდად სახელდებული ბაქტრიული ძვანა...** — კლინიუს უფროსი წერს ამ ქვაზე: „ეპიპტრიდი ბაქტრიაშია. იგი ტალს ვვაგონებს, და სასთუმაღლქვეშ თუ დავიდებთ, თითქოს ორაკული იყოს, დამე სიზმრები იცის“ („საბუნებისმეტყველო ისტორია“, XXXVII, 10).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XIV

1. **ეპ სიტყვები ოდესეა კვირად დაუჯდათ იაკობისა კეთ...** — ბიბლიური პატრიარქის იაკობის ვაჟიშვილთ იმიხათვის სძულდათ თავიანთი ძმა იოსები, რომ ის გამორჩევით უყვარდა მამას და წინასწარმეტყველების ნიჭით იყო დაჯილდოებული. ერთხელაც, იოსები რომ მოიხილეს, ძმებმა ერთმანეთს უთხრეს: „აჰა, მოვიდა ჩვენი მესიზმრე. მოდით მოვკლათ“. მრავალი წლის შემდეგ, ოდეს იოსები ეგვიპტის ფარაონის ახლოკაცი გახდა, თავისი ძმანი ციხეში ჩაყარა, მაგრამ მერმე გაათავისუფლა. („შესაქმე“, XXXVII, XLII).

2. **...პითარ პრთხელ სარისა თავსა ზელა ნაბამობისა მდებარება დაიწუნა-ეპითჟი.** — ესოქეს იგავ-არაკთა შორის არის იგავი, რომელიც დაცინვის ღმერთზედ, ანუ მომეხუეა დაწერილი. მომე ბუნებას უსაყვედურებს, რომ ხარს რქები შუბლზე გამოასხა და არა ბეჭებზე, რქენა და რჩოლა იხე უფრო მოხერხებული იქნებოდაო.

3. **Metalepsis (მეტალეპსისი)** — რიტორიკული ფიგურა, რომელიც ცვლის საგნის წინარე მდგომარეობის გამომხატველ ცნებას ამ საგნის შემდგომი მდგომარეობის გამომხატველი ცნებით.

4. **კამარინისა ჭანჭრებთ დაქრიო...** — ქალაქ კამარინის მცხოვრებთ სიცილიაში, მიუხედავად იმისა, რომ დელფოს ორაკულმა ურჩია, ქალაქის გარშემო მდებარე ჭაობთ ხელი არ ახლოთო, მაინც ამოაშრეს იგი. ამან მტერს გზა გაუხსნა კამარინისკენ.

5. **ტურნუსი** — რუტულების მითიური მხედართმთავარი, ვერგილიუსის „ენეიდას“ ერთ-ერთი გმირი.

6. **ფაბიუს კიქტორი** (ჩვ. წ. აღ. III ს.) — რომაელი ისტორიკოსი.

7. **... ოდეს დამავპრალთ ღვთაებრივი თვალთ იცეს კილი.** — ვერგილიუსი, „ენეიდა“, II, 268.

თავი XV

1. **... სიბილასი არ იმოს, ცმრბერსა ფერდი რომ ამოაღებინდა...** — როგორც „ენეიდას“ VI თავშია მოთხრობილი, სიბილამ, რომელიც ენეასს ახლდა მიცვალებულთა სამეფოში, ფალუსტაკი გადაუგდო სამთავა ნაგაზ ცერბერს.

თავი XVI

1. **... ება აღბათ ვინეე კანილიაა ანდა საბანაა...** — ამ ჯადოქართა სახელებს ახსენებს პორაციუსი („ეპოლეები“, V).

2. **თესალია** — ჩრდილო საბერძნეთის ეს მხარე ძველად ჯადოსნებისა და ჯადოქრების ქვეყნად ითვლებოდა.

3. **პითარცა, გაბალითადრე, რაფაელი, რომელიცა ღეერთმა ტობითსა მოუვლინა.** — ბიბლიურ „ტობითის წიგნში (XI თ.) მოთხრობილია, რომ ცით მოვლენილმა მთავარანგელოზმა რაფაელმა ჭაბუკ ტობიას წამალი ახწავლა, რომელმა წამალმაც მამამის ტობითს თვალნი აუხილა.

4. **ფინდა შეკილი** — შეკილი — ძველ-ებრაული მონეტა. გამოთქმა

„წმინდა შეკილი“ ბიბლიაში იმ ადგილას არის ხმარებული, სადაც ლაპარაკია სახსარ-გამოსახვიდზე, რომელიც ისრაელის შვილთ ღმერთს უნდა გადაუხადონ.

5. ... **ვიშველიაბ პარდიაც აურიინიასა და პერდეა ველედა.** ს... — ამ ბრძენ მრჩეველ ქალთა ამბავი რაბლემ ამოიკითხა ტაციტუსთან (გერმანია“, 8).

თავი XVII

ეროვნული
შინაგარეო

1. **პერაკლიტა, დიდი სკოტიხტი...** — რაბლე ხუმრობით ეძახის პერაკლიტეს სკოტიხტს, რამეთუ პერაკლიტეს მეტსახელი — „ბნელი“ ბერძნულად ედერს როგორც „სკოტეინოს“-ი.

2. **ამნაირივე იყო პირიქვისი, ანუ ენოპიონის მოხიბვა...** ბერძნული მითის მიხედვით, ზევსმა, პოსეიდონმა და პერმესმა, სტუმარმასპინძლობის სანაცვლოდ, პირივესი (ანუ ენოპიონი) სიბერეში ვაჟიშვილით დაასახუქრეს: მოზურის ტყავი თავიანთი შარდით დააღტვეს და პირივესს ცხრა თვით მიწაში დაამარხვინეს, ცხრა თვის გასვლის შემდეგ ტყავიდან ორიონი იშვა.

3. **რამეთუ ოქროს წნელი არ წამოგვიღია.** — ენეასმა მიცვალებულთა სამეფოში შეაღწია (რათა რომის ბედ-იღბალი წინასწარ შეეტყო) ოქროს შტოს საშუალებით, რომელიც მან პროზერპინას შესძღვნა (ვერგილიუსი, „ენეიდა“, VI).

4. **პომპეუსოს ძვა** — ჭრელი აქატი. შუა საუკუნეების ბრძარწმენით, ეს ქვა გომბეშოს თავში პქონდა.

თავი XVIII

1. **კალიკნი** — ორი უძველესი ღუფაება, გოვირდის წყაროთა სულები, რომელთაც პატივსა მიაგებდნენ სიცილიაში.

2. ... **ემაზან აღაღბინა კველთუკველესი ემაზარული კალინტოკია და დემოკრიტესეული კალინგანეჟიო?**... — მეგარული კალინტოკია — ძველბერძნული ქალაქის მეგარის მოქალაქეთა დადგენილება, რომელიც ავაღღებულვებდა გამსესხებულთ, რომ მოვალეთათვის დაებრუნებინათ გადახდეინებული ნამთაენი, ანუ პროცენტი, რაბლე, რომელიც ამ სიტყვის წარმომქმნელი ძირების სიტყვასიტყვით მნიშვნელობას ათამაშებს, კალინტოკიას ხმარობს „მუორე დაბადების“ მნიშვნელობით. **კალინგანეჟი** — აღორძინება (დემოკრიტესეული ნატურფილოსოფიის ტერმინი).

თავი XIX

1. **დიალექტიკოსნი** — აქ ხმარებულია ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით: ადამიანები, რომლებიც კამათში დახელოვნებულნი იყვნენ.

2. ...**პითარ ესა ღათანსა და აბირამს ღამპართათო.** — ღათანი და აბირამი, ბიბლიური გადმოცემით, მოხეს წინააღმდეგ შეითქმნენ, და ორიენი მიწამ შთანთქა. („რიცხვნი“, XVI).

თავი XX

1. **ტერკსიონი** — სოკრატეს მოწაფე და მეგობარი, გაკვრით იხსენიებენ პლატონი და პლუტარქე.

2. **ღაპუსი** – ეშმაკი მონა ტერენციუსის კომედიაში „ქალიშვილი კუნძულ ანდროსადან“.

თავი XXI



1. **ალექსანდრა მინდოსელი** (მინდოსი ქალაქი მცხრე აზიაში) – ბერძენი ფილოსოფოსი და სიბრძნისმეტყველი, ჩვ. წ. აღ. III ს.

2. **გიორგი დიუ ბელე...** – პიემონტის ქორიკოზი, რაბლე მისი შინაუქიმი იყო 1540-1542 წ. და მის სიკვდილს დაესწრო.

3. ... **სოკრატეს ბაძკად...** სოკრატემ სიკვდილის წინ სთხოვა მეგობართ, რომ ასკლეპიოსისთვის მამალი შეეწირათ.

თავი XXII

1. **იაკობელნი** – დომინიკელთ ასე იმიტომ ეძახდნენ, რაკი პარიზში წმინდა იაკობის სამლოცველო ჰქონდათ.

2. **ბირობნოვიკური** – წრიული. **სირაკუზბილივაპინასია** – ბრუნვა. **პერიპრასტიკული** – აღწერილობითი. **პროტანტრიკულად** – ერთსა და იმავე წერტილის გარშემო.

3. **იქთიოზაბია** – ქვეყანა, სადაც თევზით იკვებებიან, სათევზეთი (ბერძ.). რაბლემ ეს სიტყვა ერაზმ როტერდამელისგან ისესხა, რომელიც ამ სიტყვას ხმარობს („თევზის ჭამის“ მნიშვნელობით) ამავე სახელწოდების დიალოგში, სადაც მსუნავ მონაზონთ დასცინის.

4. **ფრანცისკელთ და უმრწამის ძმათ.** – ჩვეულებრივ ფრანცისკელთ ეძახდნენ უმრწამეს ძმათ (ანუ მინორიტებს), მაგრამ აქ იგულისხმება სხვა ორდენი – „ყველაზე უმრწამეს ძმათა ორდენი“, დაარსებული XV ს. წმ. ფრანცისკ უმრწამესის მიერ.

5. **რალა ება და რალა კლაველი, ებეცა იმის კოსტა კოშკურა საათისაჲთ დასაწვავ-დასაბუზია.** – კლაველი – მესაათე-ჰუგენოტი. თავგამოდებულმა ღაროშელელმა კათოლიკეებმა დაანგრეს ამ მესაათე-ჰუგენოტის ნახელავი კოშკურა საათი რეფორმაციის მიმართ სიძულვილის ნიშნად.

6. **დევიგორბონი** – გვიანი ანტიკურობის ერთ-ერთი მეთრეხარისხოვანი ღვთაება.

თავი XXIII

1. **პითარ კორდილიერთ უქნეს ორლეანელი ბრჭე-მსაჯულისა ცოლსა** – ორლეანელი ბრჭე-მსაჯულისა – ფრანსუა დე სენ-მეშენის ცოლი დამარხულია ორლეანში ფრანცისკელთა მონასტრის ეკლესიაში. მონაზონთ განაცხადეს, განსვენებულის სული დამ-დამობით გვაწუხებს, არ გვახვენებსო. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამ ქალის „სულის მოხსენიებისთვის“ გვიარიან გასამრჯელოს მიიღებდნენ, მაგრამ ისინი ტყუილში ამხილეს და მკაცრად დასაჯეს (1534 წ.).

2. **ტეატელნი** – იტალიის ქალაქ ტეატაში (ამჟამად კიუტი) დაფუძნებული კონგრეგაციის მონაზონნი.

3. ...თითქოს ერთი ვინმე წმიდა ქრისტეფორე ყოვლიყო...

ერთ-ერთ ქრისტიანულ აპოკრიფში მოთხრობილია, თუ როგორ გაიყვანა მდინარეში ერთხელ წმიდა ქრისტეფორემ ქრისტე, რომელიც ყრმად მოეუღონა.

4. ... რისა მაგალითიც ისჯილეს მელრტი თავია... — აქ რაბლე

გადაკვრით ახსენებს ძველ ანეკდოტს ესქილეს სიკვდილის თაობაზე.

5. კიკატრისი — შემდგენელი კომპილაციისა, რომელშიც შეყვ-

თა მოძღვრებათა იყო გადმოცემული. წიგნი დაიწერა 1256 წ.

6. ჯოვანი ჯაკოპო ტრივულცი (1448-1518) — საფრანგეთის მა-

რშალი, წარმოშობით მილანელი.

თავი XXIV

1. ალთქვა ესპანელი მიგელ დე ორისისა... — რაინდი მიგელ დე

ორისი (XV), რომელმაც დაიფიცა, რომ ბრძოლაში ერთ ფეხს დაიცავდა არა მთელი სახერხე-სამუხლით, არამედ მცირე რამ იმის ნატეხით, ვინც ორთა-ბრძოლაში არ შეერკინებოდა ვინმე ინგლისელ რაინდს.

2. ანბერანი... — ანგერან დე მონსტრელე (დაახ. 1390-1458) — ავტო-

რი ქრონიკებისა, რომელიც მოიცავს პერიოდს 1400 წლიდან 1444 წლამდე.

3. სამოსატელმა სიბრძნისმეტყველმა ანდერკად რომ დაბ-

ვიბდო. — ესე იგი ლუკიანემ.

4. მსტრანბურა — ზღაპრული ქვეყანა მრგვალი მაგიდის რაინდთა შე-

სახებ თქმულებათა ციკლიდან.

5. ოზიბიის კუნძულ-ხერთვისნი — კუნძულ-ჭალაკნი, რომლებიც

პლუტარქეს თქმით („მოვარეზედ ხილული სახისა გამო“, XXVI, 941 A), ხუთი დღის საუაღზეა ბრიტანეთის ნაპირებიდან დასავლეთით.

თავი XXV

1. კურ ტრიპა — ჰაინრიხ კორნელიუს აგრიპა ნეტესგაიმელი (1486-

1585), თავისი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი ადამიანი, მეომარი, ექიმი,

ღვთისმეტყველი, ალქიმიკოსი, ასტროლოგი და ფილოსოფოსი, რომელსაც მთელი ევროპა შემოვლილი ჰქონდა. მის კალამს ეკუთვნის ტრაქტატები — „მეცნიერებათა არასაიმედლობის გამო“ და „ოკულტური ფილოსოფიის შესახებ“.

2. ანგელოზბაამოსანული — ინგლისური მონეტა, რომელზედაც

მთავარანგელოზი მიქაელი იყო გამოსახული.

3. მებოკოსკოპია — აქ: პიროვნების ტიპი (ბერძნ.).

4. იროსი — თავხედი ღატაკი, რომელზეც მოგვიოხრობს პომპროსი „ოდ-

ისეაში“ (იხ. XVIII სიმღერის დასაწყისი).

5. კოლიპრაპონი — ცნობისმოყვარე (ბერძ.). პლუტარქეს აქვს თხ-

ზულება „უქმი ცნობისმოყვარეობის შესახებ“, საიდანაც ნახესხებია ლამიას ან-ეკდოტი.

6. პირომანტია — ცეცხლით მკითხაობა (ბერძ.).

7. აერომანტია — ჰაერით მკითხაობა (ბერძ.).

8. პიდრომანტია — წყლით მკითხაობა (ბერძ.).

9. ლუკანოვანთია — საჭმლით მკითხაობა (ბერძ.).
10. კერმოლაუ ბარბაროსი — ერმოლო ბარბაროსი (1434-1493), იტალიელი ბუნებისმეტყველის, ფილოსოფოსისა და პოეტის სახელის გალათინურებული ფორმა.
11. კატოკტროვანთია — სარკით მკითხაობა (ბერძნ.).
12. კოსკინოვანთია — ცხრილით მკითხაობა (ბერძნ.).
13. ალფიტოვანთია, ალევროვანთია — ფქვილით მკითხაობა (ბერძ.).
14. ასტრაბალოვანთია — ძვლებით მკითხაობა (ბერძნ.).
15. ტიროვანთია — ყველით მკითხაობა (ბერძნ.).
16. გიროვანთია — (მბრუნავი) წრეებით მკითხაობა (ბერძ.).
17. სტერნოვანთია — გულ-მკერდით მკითხაობა (ბერძ.).
18. ლიბანოვანთია — საკმევლით მკითხაობა (ბერძნ.).
19. გასტროვანთია — ჭუჭყით მკითხაობა (ბერძნ.).
20. კაჟალეონოვანთია — ვირის თავით მკითხაობა (ბერძნ.).
21. კეროვანთია — ცვილით მკითხაობა (ბერძნ.).
22. კასნოვანთია — კვამლით მკითხაობა (ბერძნ.).
23. აქსინოვანთია — ნაჯახით (რომლის პირზეც წვაგდნენ შავი ქარვის — გიშრის ნატეხებს) მკითხაობა (ბერძნ.).
24. ონივანთია — ფრჩხილებით მკითხაობა (ბერძ.).
25. ტეჟრამანთია — ფურფლით მკითხაობა (ბერძ.).
26. ბოტანოვანთია — მცენარეებით მკითხაობა (ბერძ.).
27. სიკოვანთია — ლედვის ხის ნაყოფითა და ფოთლებით მკითხაობა (ბერძ.).
28. იქთიოვანთია — თევზებით მკითხაობა (ბერძ.).
29. სეროვანთია — გოჭით მკითხაობა (ბერძ.).
30. კლუროვანთია — კენჭის ყრით მკითხაობა (ბერძ.).
31. ანტროპოვანთია — ადამიანის სხეულის ნაწილებისა და მიხედვით მკითხაობა (ბერძ.).
32. სტიქოვანთია — ლექსით მკითხაობა (ბერძ.).
33. ონოვანთია — სახელისა და მიხედვით მკითხაობა (ბერძ.).
34. ალექსტროვანთია — მამლით მკითხაობა (ბერძ.).
35. თ. შ. ო. ღ. — თეოდოსიუბი.
36. გარუსანიციეზი და მესტიისანიციეზი — ზვარაკად შეწირული პირუტყვის შიგნეულით მკითხაობა (ლათ.).
37. ნეკროვანთია — მიცვალებულთა მიხედვით მკითხაობა (ბერძ.).
38. სპიროვანთია — მიცვალებულთა აჩრდილების მიხედვით მკითხაობა (ბერძ.).

თავი XXVI

1. ტრაბიუტი — ფართობის ძველებური საზომი, დაახლოებით 500 კვადრატული ფუტი.
2. კატაკი (ან კატარი) — პიკარდიული წვრილი ფული.
3. ასო იბრაჰი (y) სიმბოლურად გამოხატავდა მამაკაცის ძალას.

თავი XXVII

1. **პარენი** — პატარა ქალაქი შინონის მახლობლად. ვარენის ახლანდელი რაიონების ოჯახს მამული ჰქონდა.
2. **იუპიტარ დოდონელის კარდალთა ნსარუნეი**. დოდონაში ზევსის ტაძრის გარშემო ხეებზე ეკიდა ბრინჯაოს ჭურჭელი, რომელსაც ამხარუნებდა ქარისაგან შერხეული ძაფი.
3. **პარკიზა პინჩესტარული** — ზოგიერთი კომენტატორის აზრით, აქ რაბლე გულისხმობს ლონდონის საროსკიპოების მკვდრთ (ერთ-ერთი ასეთი საროსკიპოს მფლობელი იყო ეპისკოპოსი ვინჩესტერელი).
4. **პროკულუსი** — ტიტუს ილიუს პროკულუსი (ჩუ. წ. აღ. III ს.) ამაოდ ეპოტინებოდა რომის საიმპერატორო ტახტს.
5. **ნეელა მამალითად თვალწინ მელა ცენზორი კატონი** — მარკუს პორციუს კატონ უფროსი (ძვ. წ. აღ. 234-149). თეატრი დაუტევა ფლორალიის ეამს (გაზაფხულის ღმერთქალის ფლორას პატივსაცემად გამართული დღესასწაული), რაკი შენიშნა, რომ თავისი იქ ყოფნით უხერხულ მღვთმარეობაში აყენებდა ხალხს, რომელიც თვალს არიდებდა მსახიობთაგან გათამაშებულ უხამს სცენებს.

თავი XXVIII

1. **ტოპიკა** — შუა საუკუნეების ლოგიკის ნაწილი, მოძღვრება „საერთო ადვილებზე“, ანუ თემის დამუშავებისა და მტკიცებულების წარმოების საერთო ხერხებზე.
2. **კუნდერბერლის ტბა** — ე. ი. წარმტაცი, მომაჯადოებელი (გერ.). ასეთი სახელწოდების ტბა შვეიცარიაშიც არ არის.
3. **გიგანტნიც არ იზამდნენ მამასა!** — გიგანტები, ბერძნული მითების მიხედვით, ღმერთებს აუჯანყდნენ და ოლიმპის დაპყრობა განიზრახეს.

თავი XXIX

1. **რონდობილისი** — დამრველებული (დამახინჯ. ლათ.). ადვილი შესაძლებელია, რომ ამ სახელით რაბლემ გამოიყვანა ცნობილი ექიმი, მონპელიეში სამედიცინო ფაკულტეტის დეკანი ვითომ რონდელე (1507-1566).
2. **ბრიდუა** — დოყლაპია (ფრანგ.).
3. **უნდა მივდიოთ პითაგორულ აზრსა ოთხიანისა ბაერ.** — პითაგორელთ ყოვლის უფროსე სრულყოფილ რიცხვად ოთხიანი მიაჩნდათ.
4. **ტრუნიობანი** — ორომტრიალი (ფრანგ.).
5. **ჟრიად დიდი და კატივსაცემი მიცნიერი ბუასონე** — ჟან დე ბუასონე, იურისტი. ტულუზის უნივერსიტეტის პროფესორი, რაბლეს მეგობარი.

თავი XXX

1. **სულ უმეფვარი ბატი უნდა ვატრიალო სუფრაჟედ, ცოლის უმბრაჟული ნუ იმნება, მერე რა ვუყოთ.** — რემინისცენცია ფარსიდან „მეტრ პიერ პატლენი“.

ფრანსუა მორიაკი

იესოს ცხოვრება



ფრანგულიდან

თარგმნა ღაღი იაშვილმა

გამოჩენილი ფრანგი მწერალი ფრანსუა მორიაკი (1885–1970) აგრძელებს ფრანგული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებს. მან თავისი პირველი პოეტური ნაწარმოებებითვე მიიქცია ფრანგული ლიტერატურული წრეების ყურადღება და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. მაგრამ ფრანსუა მორიაკმა პოეზიას პროზა არჩია და ოციანი წლებიდან იგი იქცა ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთ ბრწყინვალე პროზაიკოსად. „კოცნა კეთროვანს“, „სიყვარულის უღაბნო“, „ტერეზ დეკვირუ“, „პატარა მაიმუნი“, „ასპიტთა ბუდე“, აი იმ ნაწარმოებთა არასრული სია, რომელმაც მწერალი პოპულარული გახადა.

1952 წელს შვედეთის აკადემიამ მას ნობელის პრემია მიაკუთვნა „ადამიანთა ხელის ღრმა შესწავლისათვის“.

1936 წელს მორიაკმა „იესოს ცხოვრება“ დაწერა. ნაწარმოებში იგი შეეცადა იესო ქრისტეს ორბუნებოვანების ჩვენებასა და დაცვას. წიგნმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია და იმავე წელს ორჯერ გამოიცა. ავტორი ძირითადად მიჰყვება სახარების ტექსტებს, ცდილობს უფრო ახლობელი და გასაგები გახადოს მკითხველისათვის იესო ქრისტეს პიროვნება. მორიაკისათვის, სახარვეველი იესო მოხეიძე ტრიუმფატორი კი არა, ჩვეულებრივი, ტანჯული ადამიანია, განკაცებული ღმერთი, რომელიც ხშირად მალავს თავის ღვთიურობას. იესო იმდენად ჰგავდა სხვა გალილეელებს, რომ მის გამოხატვობად ჯარისკაცებსა და მღვდელმთავრის ხალხს იუდას ამბორი დასჭირდათ. მორიაკისათვის ღმერთი სიყვარულია. იგი წიგნის წინასიტყვაობაში წერს: „მე რომ არ შემეცნო ქრისტე, სიტყვა „ღმერთი“ ჩემთვის აზრისაგან დაცლილი იქნებოდა. ქრისტეს რომ არ ეთქვა „მამათ ჩვენო“... მე არასოდეს შექნებოდა ახლობლობის ასეთი შეგრძნება და ეს ვედრება არასოდეს ამოაღწევდა ჩემი გულიდან“. მორიაკი ამ წიგნს მკითხველს წარუდგენს როგორც მოწმობას რიგითი ქრისტიანისას, რომელმაც იცის, რომ ის, რაც მას სწამს, ჭეშმარიტებაა. „იესოს ცხოვრება“ დანოქილს უნდა მეწერაო, – აღნიშნავს ავტორი, – ჩემი უღირსობის ისეთი შეგრძნებით, რომ კალამი ხელიდან უნდა გამვარდნოდა“.

ვიმედოვნებთ, ბრწყინვალე ფრანგი მწერლისა და ღრმადმორწმუნე ადამიანის, ფრანსუა მორიაკის „იესოს ცხოვრება“ საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისათვის.

მთარგმნელისაგან

I

ნაზარეთის ღამე

ტიბერიუს კეისრის¹ ზეობისას პატარა დაბა ნაზარეთში ცხოვრობდა ხურო იეშუა, იოსებისა და მარიამის ძე. ამ დაბაზე არაფერს ვვამცნობს ისტორია და საღვთო წერილიც არ იხსენიებს მის სახელს.² მთის ფერდზე კლდეში გამოკვეთილი რამდენიმე სახლი ესდრელონის დაბლობს გადაჰყურებდა. შემორჩენილია ამ ქვაბთა ნაშთები; და ერთი მათგანი ხელოსანსა და ქალწულთან ერთად იფარავდა ამ ბაუშეს, მოზარდს, კაცს. იქ ცხოვრობდა იესო დაახლოებით ოცდათი წელი — არა სიყვარულისა და აღტაცების მშვიდ გარემოში, არამედ მრავალრიცხოვან ნათესაეთა ჭორებით, შურითა და კინკლაობით გარემოცული. ისინი ღვთისმოსავი გალილეელები იყვნენ, რომელთაც სძულდათ რომაელები და ჰეროდე³ და, ისრაელის გამარჯვების მომლოდინენი, დღესასწაულებზე იერუსალიმს დადიოდნენ.

ღიახ, ისინი იყვნენ მოწმენი მისი ჩვეულებრივი ცხოვრებისა სულ თავიდანვე. სწორედ ისინი იყვნენ, პირველი სასწაულების მოხდენისთანავე შეშლილად რომ მიიჩნიეს, და შეპყრობა დაუპირეს იესოს; მათ სახელებს ვვამცნობს სახარება: იაკობი, იოსები, იუდა... იგი ძალიან ჰგავდა ყველა თავის ტოლ ბიჭს, ამიტომაც ვაოცდნენ და ძალზე აღშფოთდნენ ნაზარეველები, სინაგოგაში პირველად რომ იქადაგა. არა, ის მათ სიტყვებით ვერ მოატყუებს: „ანუ ესე არსა ხუროსა მის და ძე მარიამისი და ძმა იაკობისი და იოსესი, იუდასი და სიმონისი, და დანი მისნი ყოველნი ჩუენთანა არიან?“ — ასე ლაპარაკობდნენ მეზობლები, ვის თვალწინაც იზრდებოდა, ვისთანაც თამაშობდა და რომელთა შეკვეთებს არცთუ ისე დიდი ხნის წინ ახრულებდა. ის ხურო იყო, დაბის ორნამ ხუროთაგან ერთ-ერთი.

და მაინც სახელოსნოში, ისევე როგორც მდებრივთა სხვა სახელოსნოებში, მწუხრისას ქუჩაში გამავალი კარ-ფანჯარა იხურებოდა. ეს სამი ადამიანი მარტო რჩებოდა მაგიდასთან, რომელზეც პური იდო. კაცს იოსები ერქვა, ქალს — მარიამი, ბიჭს — იეშუა. მოკვიანებით, როდესაც იოსებმა ეს ქვეყანა დატოვა, დედა-მშვილი მარტო იჯდა ხოლმე ერთმანეთის პირისპირ, რაღაცის მოლოდინში.

რაზე საუბრობდნენ? „ხოლო მარიამს დაემარხნეს სიტყუანი ესე და დაედვა გულსა თვისსა“. ლუკას ეს სიტყვები და აგრეთვე ამ მახარებლის სხვა სიტყვები: „ხოლო დედასა მისსა დაემარხნეს ყოველნი ესე სიტყუანი გულსა თვისსა“, ვვამცნობს არა მხოლოდ იმას, რომ მან მარიამისაგან შეიტყო ყველაფერი, რაც კი ქრისტეს ბაუშუობაზე იცოდა, არამედ ნათელს ჰფენს სამთა, შემდეგ კი ორთა ცხოვრებას ხუროს პატარა სახელოსნოში. რა თქმა უნდა, ქალი ვერ დაუვიწყებდა იმ საიდუმლოს, რაც მის სხეულში განხორციელდა. მაგრამ წლები

1. ტიბერიუსი — (ძვ. წ. აღ. 42 — ახ. წ. აღ. 37 წწ.) რომის იმპერატორი (14–37 წწ.).

2. ნაზარეთი არ მოიხსენიება იოსებ ფლავიუსთან და არც ძველი აღთქმის წიგნებში. ახალ აღთქმაში იგი 9-ჯერაა ნახსენები (მათე 2 : 23; 4 : 13; 21 : 11; ლუკა 1 : 26; 2 : 4, 39, 51; 4 : 34; 18 : 37; მარკოზი 1 : 9).

3. ჰეროდე — დიდი (დაახლ. ძვ. წ. აღ. 73–4 წწ.) იუდეველთა მეფე. ძვ. წ. აღ. 40 წლიდან გალილეის მმართველი. (აქ და შემდგომ განმარტებანი ეკუთვნის მთარგმნელს).

გადიოდა და ანგელოზის დაპირება არ სრულდებოდა. სხვა მის ადგილას ამაზე აღარც იფიქრებდა, რადგან წინასწარმეტყველებანი გაუგებარნი და შიშის აღმძვრელნი იყვნენ.

გაბრიელმა თქვა: „აჰა ესერა შენ მუცლად-ილე და კმევე... მე და უწოდეს სახელი მისი იესო. ესე იყოს დიდ და ძე მალლის, ეწოდოს და მესცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი დავითის, მამისა თვისისა, და მეუფებდეს სახლისა ზედა იაკობისასა საუკუნოდ და სუფევისა მისისა არა იყოს დასასრულ“.

ამასობაში ბავშვი წამოიზარდა, მერე ჭაბუკობაში შევიდა, მერე დაკაცდა — ჩვეულებრივი გალილეელი ხურო გახდა. თავის სამუშაო დაზგასთან ათენებდა და აღამებდა. ის არ იყო დიდი, არც ძეს მალლისას უწოდებდნენ, არც საყდარი ჰქონდა და არც სამეფო ტახტი; ღარიბული სამზარეულო და კერასთან მიდგმული პატარა სკამი ჰქონდა ძხოლოდ. დედას ეჭვი უნდა შეპარვოდა... ლუკას მოწმობით კი დედა ყველაფერს გულში ინახავდა და მოუღლელოდ იმუთრებდა.

თავის გულში ინახავდა და არავის ეუბნებოდა, ალბათ შვილსაც არ უმხელდა საიდუმლოს. მათ შორის ყოველგვარი საუბარი ამ თემაზე წარმოუდგენელია. ისინი არამყუდროდ წარმოთქვამდნენ ღარიბი ხალხისთვის ჩვეულ ყოფითი საგნების, იარაღის, საკვების აღმნიშვნელ სიტყვებს. უბრალო აღამიანი ვერ გამოთქვამდა იმას, რაც ამ ქალის სულში ტრიალებდა. ოჯახი ჩუმად აკვირდებოდა სასწაულს. საიდუმლოზე ფიქრი დაიწყო იქ, ნაზარეთის იმ ჩრდილოვან ადგილას, სადაც სამება სუნთქავდა.

წყაროსა ან სამრეცხაოსთან შეკრებილთაგან კის დააჯერებდა იგი, რომ ქალწულად მყოფმა შვა მესია? მაგრამ საქმიანობის დროს არაფერი უშლიდა ხელს მუდმივად გულში ეტარებინა თავისი განძი: ანგელოზის ხარება და პირველად წარმოთქმული სიტყვები: „გიხაროდენ, მიმადლებული! უფალი შენ თანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის...“, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში უთვალავჯერ იქნება გამეორებული. ეს იცოდა მოკრძალებულმა მარიამმა, როდესაც სულიწმიდით აღვსილმა თავისი დედაშვილის — ელისაბედის წინაშე იწინასწარმეტყველა. „...მნატრიდნენ მე ყოველნი ნათესავნი“.

ოცი, ოცდაათი წლის შემდეგ ნეტავ თუ კიდევ სჯეროდა ხუროს დედას, რომ ნათესავი ყოველი შენატრებდა მის ბედს?! ის იხსენებდა იმ დროს, როცა ფეხმძიმედ იყო; იხსენებდა მოგზაურობას მთიან ქვეყანაში, ოუდეველთა ქალაქში, როცა შევიდა ენაწარომეული მღვდელ ზაქარიასა და მისი მუდლე ელისაბედის სახლში და ბავშვი, რომელსაც ეს ხანდაზმული ქალი მუცლით ატარებდა, იძრა, ელისაბედმა წამოიძახა: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის...“

ოცი, ოცდაათი წლის შემდეგ ნეტავ კიდევ თუ სჯეროდა მარიამს, რომ კურთხეული იყო დედათა შორის? შვილმა ვერაფერს მიაღწია, ან კი რისთვის უნდა მიეღწია ამ დაქანცულ ხელოსანს, ამ ებრაელს, რომელიც ახალგაზრდა აღარ იყო და რომელმაც ფიცრის რანდვის, წმინდა წერილზე მსჯელობისა და ლოცვის მეტი არაფერი იცოდა?

ერთი მოწმე მაინც თუღა იყო იმათგან, ვინც თავიდან, იმ კურთხეულ დამეს ვსწრებოდა ღმერთის გამოცხადებას? სად იყვნენ მწყემსები? ან ის მეცნიერი კაცები, ვარსკვლავთმრიცხველნი, მკვდარი ზღვის გაღმიდან რომ მოვიდნენ ყრმის თაყვანსაცემად? მაშინ თითქოს ღვთის ნებას დაემორჩილა ქვეყნის

მოელი ისტორია. თითქოს კეისარმა ავგუსტუსმა¹ მხოლოდ იმიტომ ბრძანა იმპერიისა და ვასალური ქვეყნების — როგორც იყო პალესტინა პეროდეს დროს — მოსახლეობის აღწერა, რომ ერთი ცოლ-ქმარი ნაზარეთიდან იერუსალიმისა და ბეთლემისაკენ მიმავალ გზას დასდგომოდა, რათა მიქაია წინასწარ-შეტყველის ნათქვამი გამართლებულიყო: „და შენ ბეთლემ, სახლი უფრაათასი, ძვირე ხარ ყოფად ათასეულთა შორის იუდასათა, რამეთუ შენგან გაჰყოფილეს სეზად ყოფადი, მთაურად ისრაელსა ზედა...“

ხუროს ხანში შესული დედა ნისლში ეძებდა ანგელოზებს, რომლებმაც ხარების შემდეგ აავსეს მისი სიცოცხლე. სწორედ მათ უჩვენეს მწყემსებს იმ წმინდა ღამეს ქვაბი, სადაც ბნელ ბაგაში სიყვარული სიცვიისაგან თრთოდა და ქვეყანას მშვიდობას და კაცთა შორის სათნოებას პირდებოდა. და კიდევ ანგელოზი დაესიზმრა იოსებს: ყრმისა და დედის ეგვიპტეში წაყვანა უბრძანა, რათა პეროდეს რისხვას განრიდებოდნენ... მაგრამ ნაზარეთში დაბრუნების შემდეგ ცა დაიხურა, ანგელოზები გაუჩინარდნენ.

საჭირო იყო ძე ღვთისას კარგად ჩაბუდება ადამიანის სხეულში. წლიდან წლამდე ხუროს დედას ყველაფერი სიზმრად მოეჩვენებოდა, მუდმივად რომ არ ეცხოვრა მამა ღმერთის და ძე ღვთისას თანდასწრებით და გულში აღსრულებულ წინასწარშეტყველებას არ ეფიქრა.

მონაწილე სიმონი

მხოლოდ ერთ შემთხვევაზე ფიქრს გაუბრბოდა მარიამი: ტაძარში ითქვა სატყვა, რომლის დავიწყებაც მას ხანდახან სურდა. ბავშვის დაბადების ორმოცი დღის თავზე ისინი იერუსალიმში აბრუნდნენ. მარიამი წესისამებრ განსაწმენდად უნდა წასულიყო და უფლისათვის მისი კუთვნილი ყრმა, პირმშო, მიერთმია. ბავშვი ხუთ შეკელად¹ უნდა გამოესყიდათ. და აი ვინმე მოხუცმა, სახელად სიმონმა, აიყვანა ჩვილი და სულიწმიდით აღესიღმა სიხარულით წამოიძახა, რომ განეტყვებინა მეუფეს მონა თვისი სიტყვისამებრ მისისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა მისთა მაცხოვარება მისი, რომელი განუმზადა წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა მისისა, ისრაელისა... მაგრამ რატომ მიბრუნდა უეცრად მარიამისაკენ? და რატომ უწინასწარშეტყველა: და თვით შენსაცა სულსა განვიდეს მახვილი?

ამ სიტყვებს აღარ მიუტოვებიათ მარიამი, ამ სიტყვებს, ამ მახვილს, გულში რომ გაეყარა და იმ წუთიდან იქ დარჩა. მარიამმა კარგად იცოდა, რომ მისი კნება მხოლოდ შვილის ვნებით შეიძლებოდა, რომ ყველა სიხარული თუ წუხილი მისგან მოდიოდა. სწორედ ამიტომ, რაც კი იყო მარიამში ადამიანურად სუსტი, იმით ხარობდა, რომ წლები ვადიოდა და მათი უბრალო სახლი და დარიბული ცხოვრება შეუმჩნეველი რჩებოდა. იქნებ ეგონა, რომ ქვეყნის გადასარჩენად ეს ქვეყნისათვის შეუმჩნეველი ყოფნა, ღმერთის უჩინარი განსხეულება იყო საკმარისი? და მას არ უნდა შინებოდა სხვა მახვილისა, იმ ტანჯვის გარდა, რომ ადამიანთაგან ერთადერთი მოწმე იყო ამ უსაზღვრო სიყვარულისა.

1. ავგუსტუსი — ოქტავიანე, რომის იმპერატორი (ძვ. წ. აღ. 63 — ახ. წ. აღ. 14 წწ.).
 1. შეკელი — ფულისა და წონის ერთეული ძვ. ეგვიპტესა და ისრაელში.

გაგზავნი მოძვართა შორის



მისი ცხოვრება იმდენად ჩვეულებრივი და ყველა სხვა ცხოვრებათა მსგავსი იყო, რომ თვით ლუკაც კი, რომელიც თავისი სახარების წესწესში იკვებინის, გულდასმით გამოვიკვლიე ყოველივე თავიდანო, ვერაფერს მოგვითხრობს ქრისტეს ყრმობის შესახებ ერთი შემთხვევის გარდა, იერუსალიმში მოგზაურობისას რომ მოხდა: თორმეტი წლის იესო მშობლებთან ერთად გაემგზავრა პასუქის დღესასწაულზე. როდესაც მარიამი და იოსები ნაზარეთის გზას დაადგნენ ბავშვმა ისინი მიატოვა, თავიდან ეგონათ, რომ იგი მეზობლებსა და ნაცნობებთან ერთად ბრუნდებოდა უკან და უიშისოდ მთელი დღე იარეს. შემდეგ მშობლები შეშოთებამ მოიცვა; ჯგუფიდან ჯგუფში ამაო ძებნის შემდეგ გულგახეაქილები უკან გაბრუნდნენ. სამი დღის განმავლობაში მთელი იერუსალიმი მოიარეს, უკვე დაკარგული ეგონათ.

და როცა ბოლოს და ბოლოს ტაძარში მისი საუბრით მოხიბლულ მოძვართა შორის წააწყდნენ, არც უფიქრიათ მათი აღფრთოვანების გაზიარება; დედამ ალბათ პირველად უსაყვედურა: „შვილო, რაა ესე მიყავ, ჩუენ ესრეთ? ასე ესერა მე და მამა შენი ვრონიებთ და გეძიებთ შენ“. და პირველად იეშუას არ თქვა ის პასუხი, რომელსაც სხვა ბავშვი იტყოდა. მან არ უპასუხა ჩვეულებრივი მოწაფის კილოთი; მან კადნიერების გარეშე, კითხვითვე მიმართა მათ ისე, თითქოს ასაკი არ ჰქონდა, თითქოს ასაკს ადამიანისთვის არ ჰქონდა არაეითარი მნიშვნელობა.

— და რასა გეძიებთ მე? არა უწყითა, რამეთუ მამისა ჩემისა თან არს ჩემი ყოფა?

მათ ეს იცოდნენ და არც იცოდნენ... ლუკას მოწმობა ზუსტია: მშობლებმა ვერ გაიგეს ბავშვის ნათქვამი. მარიამი სხვა დედათა მსგავსი დედა იყო, ზრუნვითა და წუხილით მოცული. ან კი რომელი დედა ჩაწვდება იოლად შვილის მოწოდების საიდუმლოს? რომელ დედას არ აგდებს გამოუვალ მდგომარეობაში გარკვეულ დროს ეს წამოზრდილი არსება, რომელმაც უკვე იცის, საით უნდა წასვლა. მაგრამ რჩეული, თავიდანვე საიდუმლოს ზიარებული მარიამი გულში ინახავდა იმას, რასაც საბრალო ქალი ვერ ხედებოდა, და მაინც ბავშვის ეს პასუხი მას უკმეხად უნდა მოჩვენებოდა. უთქვამს კი მის იეშუას მისთვის ტკბილი სიტყვა, გარდა უკანასკნელად თქმულისა, რომელიც მან ჯვარცმოდან გაიგონა?

ლუკა გვარწმუნებს, რომ იესო მშობლების მორჩილი იყო, მაგრამ არსად ამბობს, მათ მიმართ თუ ოდესმე იყო მოსიყვარულე. სახარებებში აღწერილი ქრისტეს ყოველი სიტყვა მიმართული დედისადმი (უკანასკნელის გარდა), მკაცრად მოწმობს ამ ქალისაგან მის დამოუკიდებლობას. თითქოს მარიამი მხოლოდ მისი განსხეულებისთვის იყო საჭირო და თითქოს დაბადების შემდეგ აღარაფერი ჰქონდა მასთან საერთო. ერთ დღეს მას უთხრეს: „დედა შენი და ძმანნი შენი გარე ღვანან და გეძიებენ...“ მან უპასუხა: „ვინ არს დედა ჩემი ანუ ძმანნი ჩემნი“, შემდეგ თვალი მის გარშემო მყოფთ მოავლო და თქვა: „აჰა დედა ჩემი და ძმანი ჩემნი! რამეთუ რომელმან ყოს ჩება ღმრთისაჲ, ესე არს ძმა ჩემი და დამ ჩემი და დედა ჩემი“.

ერთი რამ მაინც ცხადია: თორმეტი წლის ბავშვი დედას უკვე ნაზად აღარ ელაპარაკებოდა, თითქოს სურდა მათ შორის არსებული მანძილისთვის გაესემა

ხაზი. მარიამმა იცის, ასეც რომ უნდა იყოს, დედისათვის ერთი ხელის შევლება, ერთი შეხედვაც საკმარისია, რათა შეიღის სიყვარული იგრძნოს, და ის ყოველწამს გრძნობს შვილს თავის წიაღში, არასდროს დაუკარგავს იგი, არასოდეს მიუტოვებია თავის გულში. ქრისტეს მთელი მარადიულობა უდევს წინ ხორციელი დედის განსადიდებლად. ამქვეყნად ალბათ ისე ექცეოდა, როგორც ახლაც ხანდახან ექცევა ხოლმე თავის მხევლებს, რომელთაგანაც წმინდანობას მოითხოვს და რომლებიც თავის სენაკებში, ან ხალხას შუაგულში მყოფნა მთელი სიცხადით გრძნობენ მიტოვებულობას, უპატრონობას, გულში კი იმის რწმენას ინახავენ, რომ რჩეულნი და საყვარელნი არიან.

თორმეტი წლის იესო, რომელსაც სიბრძნე, ასაკი და წყალობა ემატებოდა და რომელიც იერუსალიმიდან წამოსულ დედას ნათესაებსა და მეზობლებთან ეგულებოდა, ბევრ ხალხს შეხვდა: მასავით ხელოსნებს, გუთნისდედებს, მევენახეებს და მეთევზეებს — ხალხს, რომელიც თესვაზე, ცხვარზე, ბაღეებზე, ნაყობსა და თევზებზე ლაპარაკობდა, რომელიც მზის ჩასვლას ტაროსის ამოსაცნობად უყურებდა. ამიერად მან იცის, უბრალო ხალხმა რომ გაუგოს, მან უნდა გამოიყენოს იმ საგნების აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებსაც ისინი ყოველდღე ეხებიან, კრეფენ, თესავენ, თიბავენ, მკიან, რაზეც შრომის ოფლს ღვრიან. ყველაფერი, რაც კი ამ საგნებს სცილდება, ღარიბი ხალხისთვის მხოლოდ მათთან შედარებით, ანალოგიით იქნება გასაგები. ჭის წყალი, ღვინო, მღოვრის მარცვალი, ღელვი, ცხვარი, ცოტათდენი საფუარი, ფქვილის საწყაო საკმარისია, რომ ყველაზე ბეჩავმაც შეიძინოს ჭეშმარიტება.

ჭაბუკი იესო

თორმეტი წლის ებრაელი უკვე ბავშვად აღარ ითვლება. იესო, რომელმაც მოძღვრები გააოცა, ნაზარეველთა აზრით ძალზე ღვთისმოსავი და თორის კარგად მცოდნე ბიჭი იყო, მაგრამ იერუსალიმში მოგზაურობისას მომზდარ ამბავსა და მის ასპარეზზე გამოსვლას შორის ყველაზე უფრო საიდუმლოებით როცულმა თერამეტმა წელმა განვლო. ბავშვობა ხანდახან ისეთი წმინდაა, რომ ყრმა იესო ადვილი წარმოსადგენია: მაგრამ ჭაბუკი იესო? იესო კაცი?

როგორ ჩავწვდეთ ღამენ? იგი სავსებით ადამიანი იყო და ჩვენი ცოდვების გარდა ყველა ჩვენი სისუსტეც იტვირთა — ჩვენი ახალგაზრდობაც, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა მოუსვენრობა, ამაო მგზნებარება და გულის ფანცქალი. ოცდაათი წლის ასაკში საკმარისი იყო კაცისთვის ეთქვა: „დაუტყვე ყოველი და მოძღვედი მე“, რომ ეს კაცი მყისვე წამომდგარიყო და მას გაჰყოლოდა. ქალები უარს იტყვიან თავიანთ ხორციელ სურვილზე, რათა მას ეთაყვანონ. მტრები მასში კაცს შეიძულევენ, რომელიც ხიბლავს და აცდუნებს. სიყვარულს მოკლებული ადამიანი სხვას უწოდებს მაცდუნებელს. არაფერი ამ გულთამპყრობელისა ალბათ ჯერ არ მჟღავნებოდა ბიჭში, რომელიც ფიცრებს რანდავდა და თორაზე მსჯელობდა ხელოსნების, მეთევზეების და გლეხების პატარა წრეში. ვიცით კი რაზე ამის შესახებ: კიდევ რომ დაეფარა ნაცრით ცეცხლი, რომლის დასანთებადაც მოვიდა დედამიწაზე, განა არ იბჟუტებდა ის მის მზერაში, მის ხმაში? იქნებ მაშინ იგი უბრძანებდა ვინმე ჭაბუკს: „არა, არ ადგე და არ მოძღვედეო!..“

რას ამბობდნენ მასზე? რატომ არ ირთავდა ცოლს ხუროს შვილი? უეჭველია, თავისი ღვთისმოსაობა იცავდა. უწყვეტი და უსიტყვო ლოცვა ქმნის წმინდანის გარშემო გულისხმიერებისა და თავყვანისცემის გარემოს. ჩვენ ყველას

შეგვხვედრია ჩვეულებრივი საქმიანობით დაკავებული ადამიანები, რომლებმაც რაც მუდმივად და ღმერთი და რომელთაც ყველაზე ცოდვილნიც კი პატივს მიაკებენ, რადგან ბუნდოვნად გრძნობენ ამ თანაყოფას.

მართლაც მას, ვისაც ერთ დღეს ქარი და ზღვა დაემართა, გულში შინა დიდი სიმშვილის გამეფების უნარი უნდა აქონოდა. მას შემდეგ, როცა მის შემხედვარე ქალს ვნებათა ღელვა არ აღძვროდა. იგი ამოშშინებდა ამოტრიალებულ ქარიშხალს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში თავიანთ სცემდნენ არა მხოლოდ ღვთისას, არამედ ადამიანს ადამის შვილთა შორის.

III

ფარული ცხოვრების დასასრული

იოანე ნათლისმცემლის ქადაგებებით გამოწვეულმა ხმაურმა ნაზარეთში დეც შიადწია. თუკი ტიბერიუსის მეფობის მეთხოვეტე წელს არსებობდა ქვეყნის კუთხე, სადაც ადამიანებმა იცოდნენ, რომ ერთადერთი ღმერთი უცდით და თითოეულსაგან მსხვერპლს კი არა, შინაგან სიწმინდეს, გულითად მონანიებას, მორჩილებასა და ღარიბთა სიყვარულს მოითხოვს, ეს რომაელებისა და ბერძნებისთვის საზიზღარი ხალხით დასახლებული, მეოთხედმოთავარ პეროდე ანტიპას¹ მორჩილი ვალილეა იყო. ათენი და რომი ძალზე დაწინაურდნენ სამფლობელოების დაპყრობაში, მეცნიერებასა და განცხრომაში. აქ კი ეს პატარა ხალხი სხვა მიმართულებით ვითარდებოდა. მან ზურგი აქცია ძალაუფლებას, ძიებას, ფუფუნებასა და ხორცეულ სურვილებს. მკედარი ზღვის სანაპიროს თავშეკავებულად და უბიწოდ მხოლოდ თავისი სულიერებით დაკავებული ესენიელები² ცხოვრობდნენ.

ნაზარეთის სახელოსნოში უნდა წარმოვიდგინოთ კაცი, რომელიც თავის მოახლოებულ უამს აყურადებდა. შეიძლება მარიაში ელაპარაკებოდა მას იოანეზე, თავისი დეიდაშვილის ელისაბედის ეაყზე და მის იღუმალ შობაზე: მღვდელი ზაქარია და მისი უნაყოფო ცოლი ელისაბედი უშვილოდ მოხუცდნენ; ტაძარში მესაკმევლედ დარჩენილ ზაქარიას ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა რომ მას სულიწმიდით აღვსილი ძე დაებადებოდა. მთელი ხალხი კარიბჭესთან უცდიდა ტაძარში მყოფ მღვდელს; ზაქარია წამით დაეჭვდა სასწაულში და მცისვე დამუნჯდა იმ დრომდე, სანამ სასწაული არ აღსრულდა და ხანგადასულმა ელისაბედმა ძე არ შვა. მაშინ მეზობლების აზრის საწინააღმდეგოდ მამამ ფირფიტაზე დაწერა: „იოანე არს სახელი მისი“, და მაშინვე ენა ამოიღო. მარიაში ექვსი თვის შემდეგ იხსენებდა თავის დეიდაშვილთან სტუმრობას. დიდება, რომელიც მან ზღურბლიდანვე იგალობა, ამდენი წლის შემდეგაც არ ამოდიოდა მისი გულიდან: „ადიდებს სული ჩემი უფალსა, და განიხარნა სულმა“.

1. პეროდე ანტიპა — პეროდე დიდის ვაჟი. მამის გარდაცვალების შემდეგ (37 წ.) იგი და მისი ძმა ფილიპე იყვნენ ვალილეის მმართველები.

2. ესენიელები ან ესეველები (არამ. „ხასაია“ — „ღვთისმოსავი“) — ესენიელები ორდენი იუდაიზმის წიაღში წარმოიშვა დაახლ. ძვ. წ. აღ. 150 წ. თავის თავს „მზის შვილებს“, „რჩეულებს“ უწოდებდნენ; უმეტესად განცალკევებულ კოლონიებად ცხოვრობდნენ უდაბნოებში. მათ შესახებ მოგვითხრობს კუმრანის ტექსტები. ზოგ მეცნიერს მიაჩნია, რომ იოანე ნათლისმცემელი მათთან აღიზარდა.

ჩემან ღმერთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა, რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მხეველისასა თვისისასა, რამეთუ აჰა ესერა ამიერიოგან მნატრიდნენ მე ყოველნი ნათესაენი..." არა, ფარული ცხოვრების უკანასკნელი წუთები სიბარულის ჰიმნით არ უნდა ამღვრეულიყო; მარიამი ხვდებოდა, რომ დადგა ფიში:
 ხაზილი ოდნავ უკვე შეტოკდა.

ნათლისმცემელი, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, აქლესის ბეწვი ემოსა, წელზე ტყავის ქამარი ერტყა და კუტკალიებითა და ველური თაყლით იკვებებოდა, არც ქადაგებით და არც წყლით ნათვლით, არც მუქარითა და არც მონაწიებით არ კმაყოფილდებოდა და უცნობის გარდაუვალ მოსვლას აცხადებდა: არა ღირს ვარ მე რაითა განეჭხსნე საბელნი ხამლთა მისთანნი... მე ნათელგცეს თქვენ წყლითა, ხოლო მან ნათელ-გცეს თქვენ სულითა წმიდითა... ხოლო შორის თქვენს დგას, რომელი არა იცით". მებაჟეები, ჯარისკაცები, წვრილი ერი ეკითხებოდნენ: „რაიმე უკუე ვყოთ?“ ის პასუხობდა მებაჟეებს: „ნურარას უფროს განწესებულისა თქუენისა იქმთ“, ჯარისკაცებს: „ნუვის აჭირებთ, ნუცა ცილსა შესწამებთ და კმა გეყვან როჭიკი თქუენი“. რა თქმა უნდა, ამ გულმხურეაღე ადამიანებს იმედი უცრუდებოდათ; ისინი შეუცნობლად ელოდნენ ჯერ გაუგონარ პასუხს, რომელსაც მალე სხვა ეტყოდათ: „უკუეთუ ენებაკს სრულყოფად, წარვედ, რაოდენი გაქუს განჰყიდე, მოვედ და შემომიღებ მე“.

იოანე ნათლისმცემელი აშკარად ლაპარაკობდა ამ უცნობზე: „ხოლო მოვალს უძლიერესი ჩემსა, რომლისა ნიჩაბი ხელთა შინა მისთა განწმიდის კალო მისი და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა თვისსა, ხოლო ბზე დაწვას ცეცხლითა უშრეტითა“.

უჩინარი ცხოვრების ბოლო დღეები. ხურო აღარაა ხურო. იგი უარს ამბობს ყველა შეკვეთაზე და სახელოსნოც მიტოვებულს ჰგავს. იგი ყოველთვის ღოცულობდა, მაგრამ ახლა დღე და ღამეს ღოცვაში ატარებს; მარიამი მიწაზე დამხობილს წაადგება ხოლმე თავს. ყოველივე უნდა აღსრულდეს. აღბათ უკვე მოუთმენლობამაც მოიცვა, რომელსაც ხშირად გაამჟღავნებს გოლგოთისაკენ ამჟღად სამწლიან გზაზე. ოჰ, როგორ უგვიანდებოდა იმ პირველი რტოების ცეცხლის ტკაცუნის გავონება, რომლის ანთების მისიაც ჰქონდა დაკისრებული! მღრომდე ღმერთი ისე უჩინრად არსებობდა ამ ადამიანში, რომ საიდუმლოს ზიარებულ დედამისსაც ავიწყდებოდა ხოლმე და ისვენებდა ამ ქანცვამწყვეტი ცოდნის სიმძიმისაგან. ეს მისი პირმშო იყო, მძინარეს უყურებდა ხოლმე და ჰაბუკს კვართს უკემსავდა. იესო თავს შრომით ირჩენდა. მაგიდასთან ჯდებოდა საზრდოს მისაღებად, მეზობლებთან ლაპარაკობდა; საკმაოდ იყვნენ მასავით მორჩილი და საღმრთო წერილით გატაცებული ხელოსნები. რა თქმა უნდა, ის ფივე კაცია, ვინც ბოლო დღეებში უახლოვდება კარს, უსიტყვოდ ისმენს ხალხის მონათხრობს სხვაგან მხერაწასული; გულისყურით ისმენს იმ ხმებს, ყოველი მხრიდან რომ მოაქვთ იოანეს შესახებ. მაგრამ უკვე ძალაუფლება მუღავნდება მასში და ამის ერთადერთი მოწმე დედამისია. დიახ, იგი კაცია, „კაცია“ და მათვე დროს ისიც, ვისაც იღუმალის სახელწოდება „მე კაციისა“ აღნიშნავს.

იგი უკვე შორსაა აქედან. მთელი არსებითაა იმაში, ვინც უყვარს; იმ კაცობრიობის სიყვარულში, ბრძოლით რომ უნდა გამოსტაცოს მტერს. და მერე

როგორ მტერს! იესო როცა მტერზე ფიქრობს, არც ფარისევლებს,¹ არც მღვდელმთავრებს და არც ჯარისკაცებს არ გულისხმობს, რომლებმაც შემდეგ სახეში უნდა უტლაშუნონ... მოდით, გავხედოთ და თვალი გავუსწოროთ სი-მართლეს: იგი იცნობს თავის მტერს; მას მრავალი სახელი აქვს ეველი ენაზე. იესო არის ბნელეთის ძალებს მიყიდულ ქვეყანაში მონათული ჩათვლი. დემონი გახლავთ ამკარა პატრონი ქვეყნიერებისა ტიბერიუსის მმართველობის მე-თხუთმეტე წელს. ის იგონებს კვიპროსზე მყოფი კეისრისთვის სხვადასხვა ბილწ თამაშობებს, როგორც სვეტონიუსი² გვამცნობს, ის ადამიანთა გასარყვნე-ლად ღმერთებს იყენებს, ღმერთის ადგილს იკავებს, აღმერთებს დანაშაულს, ის მსოფლიოს მეფეა.

იესო იცნობს მას, ის კი ჯერ არ იცნობს იესოს: მის შეცდენას არ შეეც-დებოდა, რომ სცოდნოდა იგი. ის უბრალოდ დაძრწის ეველაზე უფრო სუფთა და წმინდა სულის გარშემო, რომელთან მიახლოებაც ოდესმე გაუბედავს. მაგ-რამ რომელი წმინდანია შეუმცდარი? სწორედ ეს აძლევს გამბედაობას შერე-ნებულს. ამპარტავნება, რომელმაც დაღუპა ის, წელულივითაა განფენილი მრავალთა სახეზე, თავი ანგელოზები რომ ჰკონიათ!

ცხოვრების ამ მომენტში ძე კაცისა არის წყვდიადის სიღრმეში დამალუ-ლი გლადიატორი, რომელიც გაჩახჩახებულ ცირკში გასასვლელადაა მზად, სა-დაც შეშინებული ცხოველი უცდის... „ვხედავ ეშმაკსა, — იტყვის ქრისტე ღმერთის ერთ დღეს, — ვითარცა ელვასა ზეცით გარდამოხდომილსა“. ალბათ ფარული ცხოვრების უკანასკნელ წუთებში ნახა მან ეს გარდამოხდომა. იგი აგრეთვე ხედავდა (ანდა როგორ ვერ დაინახაუდა?), დამარცხებული ანგელოზი მილიონობით სულს რომ მიაათფეცდა თან, უფრო მრავალრიცხოვანსა და ხშირს, ვიდრე ფანტელებია ქარბუქში.

მან აიღო კვართი, სანდლები ჩაიცვა, დედას გამოსამშვიდობებელი სიტყ-ვები უთხრა, რომლებიც არასოდეს განცხადდება.

IV

იესოს ნათლობა

იგი იუდეისაკენ მიიქარის, მიიწევს იორდანის იმ მხარისაკენ, ბეთანი-ისაკენ, სადაც პირველი მეგობრები ელოდებიან; ეს არაა ის ბეთანია, სადაც წყვდიადის ფამის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე უკანასკნელი მეგობრები ეთაყ-ვანებიან.

მარტო მოგზაურობს თუ სხვა ნაზარეველებიც მიიზიდა იოანეს ნათლობამ? იგი თავის გულში იცნობდა ნათლისმცემლის მოწაფეებს, ბეთსაიდიდან ბეთანი-

1. ფარისეველი — (ებრ. „პერუშიმ“, არამ. „პერუშია“ — „გამოყოფილი“) რელიგიური პარტია იუდეაში. წარმოიშვა ძვ. წ. აღ. II საუკუნეში. ისინი იყ-ნენ სჯულის კანონთა (ხუთწიგნეულისა და თორის) განმმარტებელნი და მკაც-რი დამცველნი. სწამდათ მკვდრეთით აღდგომა, ანგელოზები, მესიის სწრაფი მოსვლა და განკითხვის დღე. ფარისევლებში იყო ორი შტო: ა) კონსერვატო-რები (შამაიას მიმდევრები) და ბ) ლიბერალები (გილელის მიმდევრები).

2. სვეტონიუსი — გაიუს ტრანკვილიუს (დაახლ. 70—122 წწ.), რომელი ისტორიკოსი, მწერალი და იურისტი. ავტორი წიგნისა „თორმეტი კეისრის ცხოვრება“.

მა მოსულეს, რომლებსაც იმწამსვე მოსტაცებს თავის წინამორბედს, რა წამსაც კი დაინახავენ მას, მათ შორის ყველაზე საყვარელ ზებედეს შვილსაც.

იოანე ნათლისმცემელი მარტო იყო, იესო რომ მიუახლოვდა, ის ვერ მას არ იცნობდა. მხოლოდ უფრო მოგვიანებით წამოიძახებს: „აჰა ტარივი ღმრთისა, რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“. იესო მოდიეს, რომელმაც მორწმუნე ისრაიტელის მსგავსად დაემორჩილოს ნათლობის ცერემონიას, მისთვის ცოდვები ჰქონდა ჩამოსარეცი. საკმარისი იყო ძე კაცისას პირველი ნაბიჯი გადაედგა, რომ წამსვე ამაღლებულიყო იმ ადამიანებზე, რომელთა შორისაც ოცდაათი წლის განმავლობაში უფრო ღრმად იყო დამარბული, ვიდრე მარცვალა მიწაში, უფრო დაფარული, ვიდრე ღღესაა ევქარისტიაში.¹ მაგრამ მას არ შეეფერება ქვის კვარცხლბეგზე ასვლა და ყვირილი: „მე ვარ ქრისტე, ძე ღუთისა“. იოანეს წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი იხდის სამოსს წყალში შესასვლელად, ძალას ატანს წინამორბედს. სულიწმიდა ხილულად იფარავს მას თავისი ფრთებით, რომლის ჩრდილიც ოცდაათი წლის წინათ დაკანკალებდა ქალწულს, რათა მას მუცლად ელო. იოანე ნათლისმცემელს (და ალბათ სხვებსაც) ესმის ხმა: „შენ ხარ ძე ჩემი საყვარელი“. ძე კაცისა განმარტოვდა. ღვინო დადის და მოსვენებას არ აძლევს ამ საშიშ უცნობს.

პირველი მოწოდება

ორმოცდღიანი მარხვისა და ჭვრეტის შემდეგ იგი თავისი ნათლობის აღვილს დაუბრუნდა. წინასწარვე იცოდა, როგორ შეხვდებოდნენ. „ტარივი ღმრთისა“, თქვა წინასწარმეტყველმა, მიახლოებული რომ დაინახა (რა თქმა უნდა, ჩურჩულით). ამჯერად იოანეს ორი მოწაფე ახლდა. მათ შეხედეს იესოს და ეს შეხედვა საკმაო აღმოჩნდა, რომ გაპყლოდნენ იმ ადგილამდე, სადაც ცხოვრობდა. ერთი ანდრია იყო, სიმონის ძმა, მეორე კი იოანე, ზებედეს ძე: „იესო მიჰხედა და შეუყუარდა იგი“. ის, რაც ახალგაზრდა მდიდარ ჭაბუკზეა დაწერილი, რომელიც დამწუხრებული გაშორდა იესოს, აქაც იგულისხმება. რა გააკეთა იესომ მათ მისახიდად? „იხილნა იგინი მი-რად-სდევდეს მას და რქუა მათ: რასა ეძიებთ? ხოლო მათ რქუეს მას: რაბი, სადა იყოფი? ჰრქუა მათ: მოვედით და იხილეთ. და მივიდეს და იხილეს, სადა იყოფოდა, და მის თანა დაადგრეს მას ღღესა შინა. ესე იყო ვითარ მეათე“.

ტექსტი ისევე ამაღლებულია, როგორც ქრისტეს ყოველი სიტყვა. ადგილი, სადაც ცხოვრობს, ქვევით ხავსე უდაბნოა, რომელთა პურად ქცევასაც ჩაუფონებს სატანა. რა ითქვა იმ პირველი შეხვედრისას? იმ განთიადის უამს ბენიამინში? ეს ზეადამიანური სიყვარულის ამოუხსნელი საიდუმლოა. ანიებული ცეცხლი უკვე ვრცელდება, ხიდან ხეზე ხტის, სულიდან სულში გადადის: ანდრია ძმას ატყობინებს, რომ ქრისტე იპოვა და მიჰყავს სიმონი უდაბნოში, სიმონი, რომელსაც იმ დღიდან იესო კეფას¹ უწოდებს.

მეორე ღღეს ცეცხლი ვრცელდება და ფილიპემდე აღწევს, ანდრიასა და

1. ევქარისტია – (ლათ.) მადლის შეწირვა, სამადლობელი. ქრისტიანობის ძირითადი საიდუმლო, რომელიც იესო ქრისტეს ჩვენი ცოდვებისათვის შეწირვას მოგვაგონებს. უფლის ხორცი და სიხხლი, სული და ღვთაებრიობა გამოხატული პურითა და ღვინით.

1. კეფა – არამეული სიტყვაა და ლათინურად არის „პეტრუს“ – ნიშნავს კლდეს. კეფა არის სიმონ-პეტრეს ზედწოდება.

პეტრესაჲთ ბეთსაიდელ კაცამდე. სიტყვა და ქმედება, რომელმაც ის ქრისტეს მიაჯაჭვა, ჩვენთვის უცნობი რჩება. ცეცხლი კი ფილიპეს ნათანაელზე გადადის. ამ ახალ ხეს მაშინვე არ ედება ცეცხლი, რადგან ნათანაელმა იცის საღმრთო წერილი და ამბობს, რომ არაფერი სასიკეთო არ მყოფა ნაზარეთიდან. მისი მეგობარი კი უბრალოდ პასუხობს: „მოვედ და იხილე“.

საკმარისი კი იყო წინასწარ არჩეული სულისათვის ქრისტეს ნახვა, რომ ის შეეცნო? არა, იესო მას ნიშანს აძლევდა; და ის, რაც ნათანაელს ანიშნა, აგივე იყო, რაც შემდეგში მეესეულად დაიპყრობს სამარიტელ დედაკაცს. „ვინაჲ მიცი მე?“ — შეეკითხა გაღიზიანებული კილოთი ნათანაელი. „პირველ ვიდრე ფილიპეს ხმობამდე შენდა, იყავ რამ ლელუსა ქუეშე, ვიხილე შენ“. „შენ ხარ ძე ღმრთისაჲ“, უპასუხა ნათანაელმა.

არაფერია, თუ ლელვის ხის ძირში აღსრულებული ძალზე საიდუმლო საკმე არ გამჟღავნებულა. ნათანაელმა უეცრად აღმოაჩინა, რომ მთელი თავისი არსებით ენდობოდა ამ კაცს, გულგადაშლილი იყო მის წინაშე, დღესაც ამასვე გრძნობს ჩვენ შორის ყველაზე უკანასკნელი, ცოდვათა მოხანანაიებლად გარსხმული და ხელგაწვდილი სეფისკვერისკენ. თავისი ზორციელი ცხოვრების მანძილზე ვის არ აძლევდა ქრისტე ხელგაშლილად ამ ნიშანს, რომელზედაც მიწას ემხობოდნენ უბრალო და უეშმაკო ადამიანები? იგი უპასუხებს მწიგნობართა და ფარისეველთა დაფარულზე დაფარულ ფიქრებს, მაგრამ ისინი არ ჩაირტყამენ მჯიღს გულში და ამაში მხოლოდ ბელზებელის ხრიკებს დაინახავენ. მათ უნდობლობაზე უფრო ქრისტეს თაემდაბალი ნათანაელის რწმენა აოცებს. უნდა წარმოვიდგინოთ ღიმილი, როცა ნათანაელს უთხრა: „რამეთუ ვარქუ შენ, ვითარმედ: ვიხილე შენ ლელუსა ქუეშე და გრწამს. უფროისი ამათსა იხილო“.

შესაძლოა ნათანაელთან შეხვედრისას იესოს უკვე დატოვებული პქონდა უდაბნო, სადაც ორმოცი დღე მარხულობდა და უწმინდური მთავრის¹ იერიშებს იგერიებდა. იგი აუყვია იორდანეს, გაიარა არხელაისი, სკიტოპოლისი და ტიბერიადის ტბასა და ბეთსაიდას მიაღწია — მისი მოწაფეების სამშობლოს, რომლებიც ის-ის იყო წაართვა იოანეს. არა, ჯერ არ დამდგარა საბოლოო მიტოვების უამი; ბადეები და ნავეები კიდევ მცირე ხანს დააკავებენ მათ. ეს მხოლოდ პირველი ხმობაა.

არაფერი გვიაშკარაუებს მიტოვებული წინამორბედის გრძნობებს იმ რადაც მტრული დამოკიდებულების გარდა, რომელიც მალე გამჟღავნდება. იოანეს თანმხლებთა შორის იესოს მიმართ, მაგრამ ძე კაცისა მოდის როგორც მპარავი და თავს იმათკენ არ ატრიალებს, ვინც მარტოდ დარჩა, ვისაც საყვარელი სული მოსტაცა. მისი მადლით ივსება იმათი გულები, ვისაც უკანონოდ წაართვა ძე ან ასული, მისი ხუგეში ჩვენთვის უცნობი გზებით მათკენ მიუღიანება. არაფერი არაა მისთვის ისე უცხო, როგორც შეკამათება, მობოდიშება, ცრემლი. უნდა ჩავწვდეთ საუკუნეთა მიერ გაუფერულებულ ამ უბრაელის სახეს, ვინც, როგორც თვითონ ამბობს, ადამიანთა დასაყოფად მოვიდა და ვინც

1. უწმინდური მთავარი — ბელზებელი — არის სატანის, ეშმაკის, ბოროტი სულის ერთ-ერთი ეპითეტი. მასვე უწოდებენ: „შავ ანგელოზს“, „მარტობის ღუმონს“, „ცთომილ ანგელოზს“, „მხეცს“, „ამ ქვეყნის მთვარეს“, „არქანგელოზს“.

თავიდანვე გააფთრებით, გარეგნულად კი ღვთიური გულგრილობით მოქმედებს ამ მოძინებლის, ამ ნათლისმცემლის მიმართ, ვისაც უსაყვარლესი მეგობრები წაართვა. მალე იგი ურდოდან იქადაგებს: რომ მოვიდა არა მშვიდობის მოსრუენად, არამედ მახვილისა, და მოითხოვს, რომ იგი ყველაზე უახლოეს სათესავზე შეტად უყვარდეთ, რაღა თქმა უნდა, უფრო მეტად, ვიდრე ეს მოძღვარი უყვართ, და რომ უნდა მიატოვონ იგი და მას გაჰყვნენ.

V

3558

მარხვითა და არქანგელოზთან ბრძოლით ჯერ კიდევ ფერგამკრთალი იესო ხორდანეს აჰყვა და თავის მეგობრებთან ერთად ტიბერიადის ტბას მიაღწია. ერთ-ერთი მათგანი, უკვე მისთვის ყველაზე საყვარელი, იოანე იყო, ზებედეს ძე, მერე — ანდრია, სიმონ-პეტრე, ნათანაელი (ბართლომესაც რომ ეძახდნენ). თითოეული მათგანი პირველად ხედავდა დრამას, რომელიც ამჟვევნად ქრისტეს მოჰყვა თან და რომელიც დღესაც თამაშდება ყველგან, სადაც იესოს სახელს აღიდეგენ, ისმის ათასი უბედურებითა თუ დაბრკოლებით შეწუხებული, ცხოვრების მორევში ჩათრეული საცოდავი ადამიანების ღალადისა, ძახილი და ღაფა. მათ გულებს განსაკუთრებით სისხლისმიერი კავშირები ბოჭავთ და აბრკოლებთ, ამავე დროს განკუთვნილნი რომ არიან გასაოცარი სიწმინდისთვის. მაგრამ ტიბერიადის ნაპირზე ადამიანებს აქვთ ქრისტესთან მარტო ყოფნის სურვილები. არავინა ჰყავთ მოზიარე მათი დამატყვევებელი მოძღვრის მადლისა.

იესო მათ არ აჩქარებს. ნებას აძლევს მცირე ხნით ოჯახებს, ხელობას დაუბრუნდნენ. თვითონ კი ბრუნდება ნაზარეთში და შინ დედას ხელება. ისინი ყველანი ერთმანეთს გალსლეაში, კანაში, შეხვდნენ, სადაც ქორწილში იყვნენ მიწვეულნი. წმინდა იოანე აზუსტებს, რომ ქრისტე იქ თავის მოწაფეებთან ერთად მივიდა. მაგრამ, რადგან პურობის დროს იესო ეუბნება მარიამს: არღა მოწვეულ არს ჟამი ჩემიო, ეს დღესასწაული გალილეაში დაბრუნების შემდეგ უნდა ვივულისხმოთ, ცოტათი ადრე, ვიდრე მოციქულები მის გასაყოლად ყველაფერს მიატოვებდნენ.

ქრისტეს პირველი სასწაული აღსრულდა ხორციელი კავშირის ზეიმისას. ისეთი მხიარული ქორწილი იყო, რომ ღვინო შემოაკლდათ და იესო იძულებული შეიქნა განსაწმენდავად მღვარი ექვსი ქვის სარწყული წყალი ღვინოდ ქცია!

„და გამოუცხადა დიდებამ თვისი, — წერს იოანე, — და ჰრწმენა მისი მოწაფეთა მისთა“. სწორედ მათთვის ჩაიდინა ეს სასწაული, მათ მოსამზადებლად, რათა მეორე მოწოდებაზე მთელი გულით და სულით ეპასუხათ; თან მარიამმაც უთხრა: ღვინოა არა აქუსო... იესომაც ცოტა უკმეხი პასუხის შემდეგ საოცარი შემწყნარებლობა გაამჟღავნა დედის მიმართ.

მას უკვე გადაწყვეტილი აქვს ყველა ზღურბლს გადააბიჯოს, ყველა სუფრასთან დაჯდეს, რადგან სწორედ ცოდვილთა და გზააბნეულთათვისაა მოსული.

აღშფოთება კანადან იწყება და ბეთანიამდე, ბოლო მირონცხებამდე გრძელდება. კაცი თავს ძე ღვთისად აცხადებს, ყოველდღე კი სახელს იტებს მებაჟეებთან, მეძავეებთან, ღოთებთან და ნაძირალებთან ურთიერთობით. კანაში გამხიარულებული, ბედნიერი სტუმრები სიცილსა და გართობას არ იკლებდნენ.

პურის უფალი ეძახის და ეკითხება სიძეს: „ყოველმან კაცმან კეთილი ღვინო პირველად წარმოდგის და ოდეს დაითვრიან, მაშინ უჯერესიცა ხილი შენ დაჰმარხე ღვინო კეთილი აქამომდის“. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ექვსი ქვის სარწმუნო ღვინო მხიარულებას უმატებდა ისედაც უკვე კარვად შეზარხიშუბულ მექორწილებს. ვინმე სიყვინთისმოყვარე კაცს პირმოთხედ ეკითხებოდა ქრისტეს: „რაისთვის მოწაფენი იოანესნი იმარხვენ და შენნი არა იმარხვენ?“ (ეს კითხვა ძალზე ხშირად განმეორდება ფარისეველთა სიტყვებში). მაგრამ იგი იღიმებოდა და ღუმდა, ჯერ არ დამდგარიყო ჟამი მისი.

ქრისტეს დაპირებისამებრ ნათანაელი უფრო საოცარი სასწაულის მოწმე გახდა, ვიდრე ის იყო, თვალი რომ მოსჭრა ბეთანიაში: ამიერიდან რის გაკეთება აღარ შეუძლია მე კაცისას? იმ დღეს, როცა ის დაამოწმებს, რომ ღვინო მისი სისხლია და პური მისი ხორცი, კანაში ნამყოფები ადვილად დაიჯერებენ ამას და ამ პირველი, ერთი შეხედვით ყველაზე ნაკლებ სულიერი სასწაულით ჩასწვდებიან მიუწვდომელ საიღუმლოს.

საბოლოო მოწოდება

იესო თავისიანებთან ერთად კაპერნაუმში, ტბის პირას დაბრუნდა, სადაც სიმონმა, ანდრია, იაკობმა და იოანემ კვლავ ნახეს თავიანთი ნავები და ფაცურები. მან ისინი მხოლოდ მცირე ხნით გაუშვა, ხელიდან უელარ წაუვლენ. ეს მრავალჯერს წაკითხული ამბავი ძალიან იოლი გვეჩვენება. ტბასთან გავლად იესოს მხოლოდ ერთი სიტყვა დასჭირდა: „მოვედით და შემომიდევთ მე და გყვენ თქვენ მესათხველე კაცთა“, რომ მათ დაეტოვებინათ ყველაფერი და უკანმოუხედავად გაჰყოლოდნენ. სინამდვილეში მას კიდევ ერთხელ უნდა ერკვნებინა თავისი ძლეუამოსილება. მან ისეთი გზა ამოირჩია, რაც უეჭველად შეძრავდა ამ უბრალო სულებს, ჯერ მათგან ნაეი ითხოვა, რომ გარს მოეჯარულ ხალხს გასცლოდა. სიმონმა ოდნავ მოუსვა ნიბები და ნაეის კიხიზე მჯდარმა იესომ ლაპარაკი დაუწყო ნაპირზე შეგროვილ აღელლებულ ბრბოს, რადგან მან აზრთა სხვაობა უკვე გამოიწვია ნაზარეთის სინაგოგაში (სადაც ყველა მორწმუნე ებრაელის მსგავსად ჰქონდა ლაპარაკის უფლება). წინასწარმეტყველთა მისეულმა განმარტებებმა გააღიზიანა ადამიანები, რომელთაც ახსოვდათ მისი დაბადება და რომელთა გულს მრავალი სსეულის განკურნების მიუხედავად ხუროიეშუა ვერ მოინადირებს. ხალხი უკიდურესად გააღიზიანა, როდესაც სიტყვა გადაუკრა, რომ წარმართებს მათზე უპირატესობა ექნებოდათ, და მათ რისხვას სასწაულით გადაურჩა.

ახლა იგი მარტო საკუთარ თავს აღარ იგდებს საფრთხეში. აი, იგი ნავშია სიმონთან და ზებედეს ვაჟებთან ერთად. ბეთანიიდან მოყოლებული ამ მენავეებმა იციან, რომ მან თითოეულის ფარული ცხოვრება უწყის; მათ საკუთარი თვალთ იხილეს კანას სასწაული: იესომ სიმონის სიღვდრი ცხელებისაგან განკურნა. ახლა ისლა დარჩენია, ისეთი რამით გააოცოს ისინი, რაც მათ თვალში ყველაზე ღირებულია — დაიჭიროს იმდენი თევზი, რამდენიც უნდათ, და ამით თავიანთ თავზე განაცდევინოს ზეადამიანური ძალა! მართლაც მთელი დამე ამოდ დაშვრნენ და ვერაფერი დაიჭირეს. და აი ახლა სიმონი იძულებულია იაკობს და იოანეს მოუხმოს დასახმარებლად, ბადის ამოსაღებად, იმდენი თევზი დაიჭირეს, რომ ლამის ჩაიძიროს ორივე ნავი, მაშინ კეფა მუხლზე ეცემა და ღაღადებს: „განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ, უფალო!“ — ეს დღესაც ღვთის აქ ყოფნის ნიშანია, როდესაც მთელი საშინელებით აღვიქვამთ

ჩვენს ცოდვებს. იესოს პასუხი, როგორც მისე მრავალი სიტყვა, წინასწარმეტყველებაა, რომელიც ჩვენ თვალწინ სრულდება: „ამერიითგან იყო კაცთა მონადირე“.

ერთი მათგანი მაინც — სიმონი — ცოლიანია. იაკობი და იოანე საბოლოო მოწოდების გაგონებისას ტოვებენ არა მარტო ნავს, არამედ ზებედეცაც, თაყიანთ მამას. მათ იგი მიატოვებს „შინა მუშაკთა მისთა თანა“¹ და მუხარებელი, ხაზი რომ გაუსვას ამ მიტოვების საშინელებას. „რომელი მოვალს ჩემდა, — ერთ დღეს განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა გაემეორებინა იესოს, — და არა მოიძულოს მამა თვისი და დედა თვისი და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი და მერმე კუალად სულიცა თვისი, ვერ ხელ-უწიფების მოწაფედ ყოფა ჩემდა“. არასოდეს ძე კაცისას ასე ჯიუტად არ მოუთხოვია ადამიანური ბუნების აშკარა დათრგუნვა. ეს გაუგონარი მოთხოვნა სულაც არაა საბოლოო მიზანი; ის ყოველგვარი განწყენდის დასაწყისია. არა, ტყუილუბრალოდ კი არ სძულდათ ასე მძვინვარედ ესოდენ საყვარელი ქრისტე, რა გულუბრყვილობაა იმ ამბით აღშფოთება, რომ ბევრმა, ვინც განსხეულებული ქრისტე ნახა, ვერ შეიყვარა იგი! ბევრი ამსუბუქებს მის ყველაზე მწარე სიტყვებს, მათ ჰიპერბოლებად მიიჩნევენ. ყველა აღმოსავლელს ახასიათებს სათქმელის გაზვიადება. და მაინც „ფიცხელ არს სიტყუამ ესე, — ბუნუნებენ ებრაელები, — ვის ხელ-უწიფების სძენად მისა?“ მისი სიტყვები ჰიპერბოლებს მიჩვეულ სემიტებსაც აღიზიანებდათ. ისინი ყოველთვის სასტიკნი და საძულველნი ჩანან. აბსოლუტური საყვარული უკუაგდებს გონებაშეზღუდულებს, შოკში აგდებს ყალბ ელიტას და თავს აბეზრებს ფაქიზი ყურის პატრონთ, რა თქმა უნდა, მისი მტრები (და აგრეთვე მისი ვითომ მეგობრებიც!) მას უფრო მეტად შეიძულებდნენ, უფერული, დათაფლული რაბინის² საქვეყნოდ გავრცელებული სახით რომ არ შეცვლილიყო სახე იმ კაცისა, რომელიც სამდვილად ცხოვრობდა და „სრულ ხასიათს“ ამჟღავნებდა, ამ სიტყვის მეტაფიზიკური გაგებით: ანუ შეურიგებელ ხასიათს. დღეს ბევრს საკუთარი უმეცრება უშლის ქრისტეს სიძულვილს. მათ რომ ის ცოცხალი ენახათ, ვერ აიტანდნენ.

იესო თითოეულ სიტყვას სწონიდა, როდესაც გვაფრთხილებდა დაერწმუნებულიყავით საკუთარ თავში, სანამ მის კვალს გაეყვებოდით: „ვისმე უკუე თქუნგანსა უნდეს გოდოლი შენებად, — ამბობს იგი, — არამეა პირველად დაჯდეს და აღირაცხოს, რაოდენი წააგოს, უკუეთუ აქუს, რაითა კმა-ყოს მას აღსრულებამდე ნუუკე დადვას საფუძველი და ვერ შეძლოს აღსრულებად მისა და ყოველნი რომელნი ხედვიდნენ მას, იწყონ კიცხვად მისა და თქუან, ვითარმედ კაცმან ამან იწყო შენებად და ვერ შეძლო აღსრულებად“. ეს ღვთისაკენ გადადგმული ყველა ყალბი ნაბიჯის ისტორიაა: ისე ტკბილია ქრისტიანად მოქცევა, შენდობის მიღება! მაგრამ თვით ქრისტე ვერ ჩვენს ძალების აწონ-დაწონას გუთავაზობს, რადგან იცის, სად გვითრევს და სახუმაროდ კი არ შევვიყვარა.

VI

ტაპრიდან გაქვევებული მკაერმენი

კაპერნაუმში ცოტა ხნის დაყოვნების შემდეგ, სადაც ღემონი შეპყრობილების პირით ყველას წინაშე ბრალს დებდა და სადაც სხეულნი მოსვენებას არ აძლევდნენ, იესო იერუსალიმში ავიდა. პასუქი ღგებოდა — დრო დიდი მსხვერ-

პლთშეწირვისა. ვაჭრები ტაძრის კარიბჭისაკენ მიერეკებოდნენ ხარებსა და ცხვრებს მდიდართათვის, სხუები კი მტრედებს ყიდდენ, ღარიბთა შესაწირს. ზეკერმენიც¹ იმათ განკარგულებაში იყვნენ, ვისაც მათი სამსახური სჭირდებოდა. რა იყო ამაზე ჩვეულებრივი, რა იყო აქ აღსამთფრეებელი? — იყო ეს უფლისთვისაა...“ თავის მართლების მარადიული ფრაზა, „დაჰე, უფრედ გამოიჭრა არა სათამაშო, არამედ თოკისგან დაწნული მათრახით შეიარაღებული მძვინვარე კაცი. საგონებელში ჩავარდნილმა მოწაფეებმა მას არ მიბადეს. იესომ გარეკა პირუტყვი, გადააყირავა მაგიდები და იყვირა: „აღიღეთ ესე ამიერ და ნუ პყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სახლ საეაჭრო“. რა აურზაური ატყდა! ყველა, დამფრთხალი, კუდში მისდევდა თავის პირუტყვს. მისმა მეგობრებმაც არ იცოდნენ, რომ ეს სიყვარული იყო. ან კი როგორ უნდა გამოეცნოთ ამ გაფთრებაში შეილის მამისადმი სიყვარული?

იგი ალბათ აქოშინებული, სახეგაოფლილი შეჩერდა. ებრაელები ბუზღუნებდნენ: „რასა სასწაულსა მიჩუენებ ჩუენ, რამეთუ ამასა იქმ?“ იესომ მათ შეხვდა. შეეძლო მათ თვალწინ შეესრულებინა ის, რასაც ითხოვდნენ: განეკურნა იქ მყოფი ავადმყოფები, რომლებსაც ყველა მხრიდან იზიდავდა და რომლებიც ბუზებივით ეხვივნენ გარს. რა თქმა უნდა, ის ამას იზამდა, ერთი ხეიბარი მაინც რომ გამოყოფოდა ბრბოს და მისთვის თხოვნა გაებედა; მაგრამ ყველა კანკალებდა მოძღვართა შიშით, იქნებ მისი შიშითაც, რადგან ჯერ კიდევ ბრაზისაგან ცახცახებდა და მომუჭულ ხელში თოკისგან დაწნული მათრახი ეჭირა.

მაშინ ის თავის მტრებს მოუტრიალდა: ფარისევლებს, მოძღვრებს, მღვდლებს, ოდნავ გაიღიმა და თქვა: „დახსენით ტაძარი ესე და მესამე დღესა აღვადგინო ეგი“. ო, როგორც იქნა, წაასწრეს ბოროტმოქმედებაზე! დაიჭირეს ქაღილსა და უპატოეცემულობაში! ეს კაცი უკმეხად დაგვცინისო, ფიქრობდნენ ისინი. იესო კი თავისი სხუელის ტაძარს გულისხმობდა. ყველანი მართლმორწმუნენიც რომ ყოფილიყვნენ (და უძეტესობა ალბათ იყო კიდევ), რომელი მსმენელი შეძლებდა ამის გაგებას? განგებ ხომ არ უბნევდა ქრისტე მათ ვზას? შეუძლებელია მისი სურვილი ყოფილიყო, რომ ესმინათ და ვერა გაეგოთ, ეცქირათ და ვერ დაენახათ. მათ შეეძლოთ ბრძები არ ყოფილიყვნენ, ამიტომაც იმსახურებდნენ წყვდიადს და ამიტომაც დაუხშო მათ თვალთახედვა.

„დაჰხსენით ტაძარი ესე და მესამესა დღესა აღვადგინო ეგი!“ მოძღვრები, ფარისევლები, სჯულის დამცველნი ერთმანეთს სიხარულით შესცქერიან. ორი მათგანი კარგად იმახსოვრებს ამ საშინელ სიტყვებს, რათა საში წლის შემდეგ სამსჯავროს დღეს, როცა ძე კაცისა ბოლოს და ბოლოს მათ გადაეცემათ, მღვდელთმთავრის გარშემო შეჯგუფულებმა გაიხსენონ და თვითმარქვიას საწინააღმდეგო საბუთად გამოიყენონ. იქნებ იესო იმ წუთში, როცა ჯერ კიდევ არ ეჭირა ხელში თოკისგან დაწნული მათრახი, თავისი მომავალი ცხოვრების ამ მონაკვეთს ხედავდა, როცა ეს ორი ადამიანი მოვიდოდა მის დასასმენად! „ამან ესრეთ თქუა: ძალშიც დარღუევად ტაძარი ესე ღმრთისად და მესამე დღესა აშენებად“. იქნებ თავის გულში უკვე ესმოდა მღვდელთმთავრის შეკითხვა: „არა რას მიუგება რასა ესენი შეგწამებენ შენ?“

1. ზეკერმე — (მე-) ფულის კადამცველი.

ნიკოდემოსი

მაგრამ ვერ არ ჩამოურევავს წყვდიადის უამს. იმ ფარისეველთა შორის, ძე კაცისას რომ ეხვივნენ გარს, ყველა კი არ იყო მელა. მისადმი სიძულვილის გამოხატვად ფარისევლობა არ კმაროდა. აი ერთი მათგანი, დიდი საბჭოს წევრი, ისრაელის მოძღვარი, აღელდა, რადგან ეხმოდა და ^{საბჭოს} ~~საბჭოს~~ ^{საბჭოს} მას ამ უცნობთან საუბარი მოუნდა. მაგრამ რა ექნა თანამომხეთათვის, კარიერი-სათვის?.. უეჭველად მართალი სული იყო ეს ნიკოდემოსი, მაგრამ სხვა კას-ტას ეკუთვნოდა იმ გალილეელი მეთევზეებისგან განსხვავებით, რომლებიც თა-კის მოძღვარს გაპყვნიენ და მხოლოდ ძველი ნავები და დაკემსილი ბაღეები დაჰკარგეს. ისრაელში მოძღვარს უბრალო ხალხზე მეტი წინდახედულება მარ-თებდა. წინდახედულება სათნოებაა და, როდესაც თვალსაჩინო მდგომარეობა ეიკავია, ცდუნებას არ უნდა აჰყვე.

და მაინც ნიკოდემოსი ვერ ეწინააღმდეგება ამ ცდუნებას, ამ სწრაფვას. განა მცირე სასწაულია, რომ იესომ ააღელვა ეს დაწინაურებული კაცი? შუა-ღამისას (შორეულ ქალაქში, პასექის წინ, საიდუმლო სერობის მსგავს ღამეს) იგი ხვდება იესოს; უფალიც არ ამბობს უარს მასთან საუბარზე და, რადგან ნი-კოდემოსი ისრაელის მოძღვარია, სიმართლეს მთელი სიგრძე-სიგანით გაუშ-ვლავნებს.

აქ თავს იჩენს ზოგიერთი პროფესიონალი ფილოსოფოსისათვის ჩვეული რუხვედრილობა: ძე კაცისა უშუალოა მეთევზეებთან, მებაჟეებთან, გზასაც-ღენილ ქალებთან... მაგრამ მეცნიერი ნიკოდემოსი მას თავისი გულუბრყვილი ლოგიკით აოცებს: „ვითარ ხელ-უწიფების კაცსა ბერსა შობად? ნუჟკე შესაძ-ლებელ არს მუცელს ღედისა თვისისა შესვლად მეორედ და შობად?“ ეკამათე-ბა ეს სწავლული კაცი იმას, ვისაც მისთვის მთელი სულიერი ცხოვრების სა-იდუმლო მოაქვს: ხორციით უნდა მოკედე, სულიერად რომ იშვა.

ნიკოდემოსი სიფროხილის გამო განთიადამდე წაუიდა; მაგრამ ის სინათ-ლისკენ მიდიოდა. მართალია, ბუნებით გაუბედავი იყო და მიღწეული მდგო-მარეობის შენარჩუნებაც უნდოდა, მაგრამ ძლიერ იყო შეძრული. წლების გან-მავლობაში მადლი ნელ-ნელა მოქმედებდა მასზე. და აი, ერთ დღეს შუა სინე-დრიონში¹ გაუბედავად შეეცადა ნახარეკელის დაცვას, — იმ საშინელ ფაშამდე, როცა იესომ ბოლოს და ბოლოს თავი გაამჟღავნა: და ნელსაცხებელი, რომე-ლიც მაგდალინელმა სცხო ცოცხალი უფლის ფეხებს, მან თავისი ღმერთის ნაწამებ სხეულს სცხო და სულაც აღარ შეშინებია ებრაელების. იესო, ნიკო-დემოსის მასთან ღამეული სტუმრობისას, უკვე შეიგრძნობდა ალოეს და მურის² სურნელს.

1. საბჭო — სინედრიონი — (ბერძ.) უხუცესთა საბჭო იუდეაში. იერუსა-ლიმის რელიგიურ-პოლიტიკური ტრიბუნალი. იესოს დროს სინედრიონს სა-ღუკვევლები წარმართავდნენ. დიდი სინედრიონი 70 კაცისაგან შედგებოდა (მასში ფარისევლებიც იყვნენ). განსაკუთრებულ შემთხვევებში იწვევდნენ მცი-რე სინედრიონს (საბჭოს) 23 კაცის შემადგენლობით.

2. მური — (ძვ.) სურნელოვანი ფიხი.

VII

სამარიტელი დედაკაცი



იმ დღეებში იოანესა და იესოს მოწაფეებს შორის უთანხმოება წარმოიშვა. იოანე ხალხმის ახლოს ნათლავდა, იესო თუითონ არ ნათლავდა, მაგრამ თავის მოწაფეებს არ უშლიდა ამას და მათ ნათლისმცემელზე მეტი ხალხი მიიზიდეს. იოანე შეეცადა თავისიანები დიდებული სიტყვებით დაემშვიდებინა: „რომელსა აქუნდეს სძალი, იგი სიძე არს, ხოლო მეგობარი სიძისაა რომელი ღვას და ესმის მისი, სიხარულით უხარის ხმითა სიძისაათა. ესე უკუე სიხარული ჩემი აღსრულებულ არს. მისა ჯერ არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლულად“.

ასეა, მაგრამ ძე კაცისა მაინც იოანეს უტოვებს ასპარეზს და გალილეაში მიდის. შეუძლო ახლაც იორდანეს აპყლოდა უწინდელივით, როგორც გალილევას მიმავალი თითქმის ყველა ებრაელი, რათა თავიდან აეშორებინა სამარიტაში, ჯერ კიდევ იმ დროიდან დაწყებული და საზიხდარ მხარეში გავლა, როდესაც ასირიელმა მოახალშენებმა იქ თავისი კერპები მიიტანეს. სამარიტელებმა კიდევ უფრო უარესი ცოდვა ჩაიდინეს: მათ იერუსალიმიდან განდევნილი ამბოხებული მღვდელი შეიფარეს, ამ უკანასკნელმა კი საკურთხეველი აღმართა გარიზიმის მთაზე.

იესო კი მხოლოდ იმიტომ მიუყვება ამ გზას, სამარიის ყანებს, რომ ერთ სულს შეხედეს, არც სხვებზე ნაკლებ შერცხვენილს და მისდამი არც სხვებზე უკეთ განწყობილს, სწორედ ამ სულისთვის და არა სხვისთვის შედის იფრატის მიწაზე. სწორედ ამ პირველად მოსულ, პირველ შემხვედრ სულს იყენებს იგი სხვა მრავალთა მოსაზიდად. დაღლილობისაგან დონემიხდილი იესო იაკობის ჭასთან ჯდება, პატარა ქალაქ სუქარის მახლობლად. მისი მოწაფეები პურის საყიდლად არიან წასულები და იგი მათ დაბრუნებას ელოდება.

პირველად მოსული სული... ქალი აღმოჩნდა. მრავალ მიზეზთა გამო იესოს შეუძლო მას არ გამოლაპარაკებოდა: ჯერ ერთი, კაცს არ შეჰფერის გზაზე შეხვედრილ ქალთან ლაპარაკი და კიდევ, ეს კაცი ებრაელია, ქალი კი სამარიტელი. და ბოლოს, ვინც გულთა და სხეულთა საიღუმელოებანი უწყის, განა ვერ ხვდება, ვინაა ეს წარწარი არსება?

ღმერთკაცმა მზერა დედაკაცს მიაპყრო. იესო დაუსაბამო სიწმინდეა, მას არ სჭირდება მდაბალი და აბეჩარი ნდომის ჩახშობა. და მაინც იგი ავითონაა განხორციელებული სურვილი, რადგან განხორციელებული სიყვარულია.

მას, ვისაც სძავს ცდა და ლოდინი, ისეთი გამშაგებითა და გაუმაძღრობით სურს ამ ქალის სული, რომ ამწამსვე, აქვე სწადია დაიმორჩილოს.

ძე კაცისას ამ ქმნილების დაუფლება სურს. კარგი ვინმე კია: ჩასა, ნათრევი, ზნედაცემული, რომელიც ექვს კაცს ჰყავდა მკლავებში და ისიც, ვისაც ახლა ეკუთვნის, ვინც მასთან ტკბება, არაა მისი ქმარი. იესო იმას იღებს, რასაც წააწყდა. სულ ერთია ვის შეკრებს, ოღონდაც მისი მეუფების ეამი დადგეს. იგი ქალს შეჰყურებს და გადაწყვეტს: ეს ქმნილება დღესვე მისი სახელით დაიპყრობს სუქარს და დასაბამს მისტემს ღვთის სუფევას სამარიტაში. ათელი დამე ქანცი გაუწყდა, სჯულის მოძღვრისთვის რომ აეხსნა და გაეგებინებინა, თუ რას ნიშნავს სიკუდილი და მეორედ შობა. ექვსქმრიანი ქალი კი მყისვე ხვდება იმას, რაც თეოლოგმა ვერ გაიგო. იესო დაჟინებით უყურებს,

არც სიტყვით და არც მოძრაობით ზიზღსა და გაკიცხვას არ გამოხატავს; ზიზღს, უცოდველობას რომ უნდა ეგრძნო იმ ქალის მიმართ, ვისი მთავარი საქმიანობაც სიძვაა. არც შემწყნარებლობა და თანაგრძნობა გამოვლენებული. ეს პირველი შეხვედრილი სულია, რომელსაც იესო ახლავე გამოიყენებს. ჩაგავში დაუდებულ ქოთნის ნატეხს მზის სხივი ნაპურწყლებს აფრევინებს და შემდეგ ცუცხლი მთელ ტყეს ააბრიალებს.

ექვსი საათი დაიწყო. ცხელა. დედაკაცს ძახილი ესმის; ჩუთუ ეს ებრაელი მიმართავს? დიახ, სწორედ ის ეუბნება: „მასუ წყალი“. იმწამსვე კობწია ქალი დამცინავად პასუხობს გაოფლილ უცნობს:

— ვითარ შენ ჰურიამ ხარ და ჩემგან წყალსა ითხოვ, სამარიტელისა დედაკაცისაგან?

— უკუეთუმცა იცოდე შენ ნიჭი ღმრთისაი და ვინ არს, რომელი გეტყვას შენ: მეც მე წყალი, რაითა ესუა, შენმცა სთხოვე მას და გცამცა წყალი ცხოველი.

ქრისტე შეუჩერებლად მიიწევს წინ. ეს სიტყვა გაუგებარია სამარიტელი-სათვის, მაგრამ ქრისტე უკვე მპარავივით შეიჭრა ამ ბნელ სულში. ქალმა იგრძნო, რომ ეერსად გაექცევა ამ სახეგაოფლილ, ნაცრისფერი მტკრით ფეხებდაფარულ უცნობს, რომელმაც მისი სული დაიბყრო, და რომ ვერ შეეწინააღმდეგება ამ ცხოველ ნაკადს. სავონებელში ჩავარდნილმა დატინვა შეწყვიტა და კველა ქალის მსგავსად ბავშვური კითხვები დააყარა:

— უფალო, არცა სახსებელი გაქუს, და ჯურღმული ესე ღრმა არს. ვინამ გაქუს შენ წყალი ცხოველი? ნუუკე შენ უფროდსი ხარა მამისა ჩუენისა იაკობისა, რომელმან ესე ჯურღმული მომცა ჩუენ? და იგი თავადი ამისგან სუმიდა და ძენი მისნი და საცხოვრისი მისი?

იესოს დასაკარგი დრო აღარა აქვს: ერთბაშად გადაუშლის მთელ სიმართლეს:

— ყოველი რომელი სუმიდეს წყლისა ამისაგან, სწყურიდის კუადაცა, ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, არღარა სწყურიდის უკუნისამდე, არამედ წყალი, რომელი მე მივსცე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლისა, რომელი ეიდოდის ცხოვრებად საუკუნოდ.

უფლის ყველა ნათქვამი სიტყვასიტყვით უნდა გავიგოთ... ბევრს ეგონა, რომ დაითრო ამ წყლით, მაგრამ მოტყუვდა. ეს არ იყო ის წყალი, რომელზეც იესო ლაპარაკობდა, რადგან სუამდნენ და მაინც სწყურიდათ. ქალმა კი უპასუხა:

— უფალო, მეც მე წყალი ესე, რაითა არა მწყურიდის, არცაღა მოვიდე აქა ვსებად.

— წარვედ მოხადე ქმარსა შენსა და მოვედ აქა.

ყოველთვის ერთი და იგივე ხერხი აქვს უბრალო ადამიანთა დასარწმუნებლად. ნათანაელთანაც იგივე ხერხს მიმართა, როცა უთხრა: „იყავ რამ დედუსა ქუეშე ვიხილე შენი!“ იგი მათ ერთბაშად უმხელს, რომ იცის მათი ცხოვრება, უფრო მეტიც, აგებინებს, რომ მათი სულის საიდუმლო კუნჭულში ჩაბახსლები და არსებობის ძალა შესწევს. ამიტომაც, როცა სამარიტელმა ქალმა უპასუხა: არა მივის ქმარიო, ის შეესიტყვა:

— კეთილად სთქუ ვითარმედ: არა მივის ქმარი, რამეთუ ხუთ ქმარს ვესხნეს და აწ რომელი გივის, არა არს ქმარი შენი; ესე ჭეშმარიტი სთქუ.

ქალი ნათანაელის და ხიმონის სამეფო მოდემას არ მიეკუთვნებოდა, იმთავითვე წამსვე ეცემა მუხლებზე და ვულში მჯილს იცემს. ის თავიდან მხოლოდ ფაქტზე წასწრებული დამნაშავე იყო, და სხვა რამეზე რომ ვადაეტანა ძალზე გამჭრიახი რაბინის¹ ყურადღება, საუბარი დვთისმეტყველებას გადასცა: „უფალო, ვხედავ, რამეთუ წინამსწარმეტყველი ხარ შენ! წაახტე და მსწრაფლვე დაუმატა: — მამანი ჩუენნი შთასა ამას თაყუანის სცემდეს, და თქუენ იტყვით ვითარმედ: იერუსალიმს არს ადგილი სადა ჯერ-ერს თაყუანის ცემა“.

იესოს ვერ ჩაითრევს საუბარში, იგი მხოლოდ რამდენიმე სიტყვით პასუხობს, დრო აღარა აქვს: ქვემოდან ხანოვაგით დატვირთული მოწაფეები მოდიან, მათი სიცილი და ლაპარაკი ისმის. ყველაფერი მათ დაუსწრებლად უნდა აღსრულდეს. ამ საბრალო არსებას ჭეშმარიტებას უეცრად აზიარებენ:

— მოვალს ვამი, და აწვე არს, ოდეს ჭეშმარიტნი თაყუანის-მცემელნი თაყუანს-სცემდენ მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა, რამეთუ მამაცა ეგევითართა ეძიებს თაყუანის-მცემელთა მისთა. სულ არს ღმერთი და თაყუანის-მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აც თაყუანის ცემაჲ.

და სამართელი დედაკაცი ეუბნება:

— ვიცო, რამეთუ მესია მიუვალს, რომელსა ჰრქვან ქრისტე. ოდეს მოვიდეს იგი, მიიხრას მე ყოველი.

მოწაფეთა ნაბიჯების ხმა უკვე გზაზე ისმის. ჯერ გაუმჟღავნებელი საიდუმლოების გასამხელად იესო ამ ქალს ირჩევს, რომელსაც ხუთი ქმარი ჰყავდა, დღეს კი საყვარელი ჰყავს:

— მე ვარ, რომელი გეტყვი შენ.

და წამსვე ისე ძლიერად გაანათა მადლმა ეს საცოდავი ქალი, რომ არავითარ ეჭვს აღარ შეეძლო მისი შებღალვა: დიახ, ეს უბრალო, ღონემიხდილი, მზეში და მტვერში ნავალი, წყურვილისაგან ხახვამშრალი ებრაელი, რომელიც წყალს სამართელ დედაკაცს სთხოვდა, ქვეყნის მხსნელი მესია იყო.

ქალი გაქეპავებული იდგა მანამ, სანამ მისი მოახლოებული მხლებლების ხმები არ გაიგონა. მაშინ კი გაიქცა ისე, როგორც სამოსზე ცეცხლმოკიდებული ადამიანი გარბის. სუქარში შევიდა, შეკრიბა ხალხი და იყვირა:

— მოვედით და იხილეთ კაცი, რომელმან მიიხრა მე ყოველი, რაიცა ვქმენ.

ჭასთან მჯდარ ქრისტეს, მახარებლებმა პურის ნაჭერი რომ შესთავაზეს, ძლიერ გაუჭირდა იმ პატარა სამყაროში დაბრუნება, სადაც იძულებული იყო ეცხოვრა: „რაბი, ჭამე!“ აძალებდნენ ისინი. მაგრამ ამ დედაკაცის მიერ ნიღბ-ჩამოხსნაღმა ცხოველმა სიყვარულმა ვერ მოასწრო ისევ მშიერ და მწყურვალ კაცად ქცევა.

— მე ჭამადი მაქუს ჭამად, რომელი თქუენ არა იცით.

ეს პასუხი ჯერ კიდევ სხვა სამყაროდან მოდის. საბრალო მოწაფეებს ჰგონიათ, რომ მას ვიდაცამ ფარულად მოუტანა საჭმელი. იგი თვალვდაჭყეტილ და პირდაღებულ მოწაფეთა მიღმა გასცქერის სამართის ყანების გადაყურებულ, დამაბრმავეებელ ნათელში მოძრავ ადამიანთა თავებს: ხალხს, რომელიც დედაკაცს მისკენ მოჰყავს (აღბათ მისი საყვარელიც მათ შორისაა).

იესო, როგორც იქნა, მიწაზე დაეშვა. ელაპარაკება მოწაფეებს მათთვის ცნობილ ამბებზე, ჯეჯილზე, ამბობს იგავს, ამხნევებს მათ, თქვენ იმას მოიმ-

1. რაბინი — რაბი, რაბუნი — (ებრ.) მოძღვარი, მასწავლებელი.

კით, რაც მე დავთესეთ. იესომ უკვე აქცია ისინი ადამიანთა მებადურებად, ახლა კი მთელი კაცობრიობის თავთავების მომკვლნი გახდებიან.

მან ორი დღე დაჰყო შეხვეწებულ სამარიტელთა შორის. ამით შეაღლითი მისცა თავის მოწაფეებს, რომელიც მაინც ვერ შეიგნო და შეითვისა ადამიანთა უმრავლესობამ. ადამიანები დაუძლეველი საჯიუტით უარყოფენ ქრისტიანული რწმენის იდეას, რომ ყველა რასის ადამიანი თანასწორია ზეცითურთქმის წინაშე.

VIII

მიგეტევენ შენ ცოდვანი შენნი

გალილეიდან დაბრუნებისთანავე იესოს ძლევაძოხილება ისე ხშირად მელავნდება და ისეთ გამოხმაურებას პოულობს, რომ ფარისევლები დროებით უარს ამბობენ პირდაპირ თავდასხმებზე. მაგრამ იმედს მაინც არ კარგავენ, რომ დანაშაულზე წაასწრებენ: ამაზე ადვილი რა უნდა იყოს თორის წვრილმანებში გაწაფული კაზუისტებისთვის? მით უმეტეს, იესო არც ცდილობდა დაეებულ ხაფანგს არიდებოდა, პირიქით, გამომწვევად ებმებოდა შიგ. მაგრამ მაინც მოუხელოებელი რჩებოდა, რადგან მისი ქმედების მოტივებს ვერ ხვდებოდნენ. რისი მიღწევა სურდა? რას ეძებდა? რამდენიც უნდა ეფიქრათ, მაინც ვერ წარმოიდგენდნენ ებრაელისათვის ესოდენ გაუგონარ დანაშაულს: კაცი იყო და თავს ღმერთად რაცხდე. ეს უკვე მეტიმეტი იქნებოდა! და მაინც...

უნდა დავივიწყოთ ყველაფერი, რაც ქრისტეზე ვიცით, რაც მისი სახელით აღსრულდა. დედამიწაზე, უნდა ჩავდგეთ ერთ-ერთი იმ მოძღვრის მდგომარეობაში, იერუსალიმიდან რომ მოვიდა ან კაპერნაუმში ცხოვრობდა. ისინი სულ ახლოდან აკვირდებიან ამ შფოთისთავს, სულ ახლოდან, რადგან ხალხი გზას აძლევს მოძღვრებს და ისინიც პირველ რიგში აღმოჩნდებიან ხოლმე. წარმომიდგენია სხვა უფრო ქედმაღალ ადამიანებში გარეული მწიგნობარი, ბრბოთი გარშემორტყმულ სახლში შესული, სადაც იესოა. ადამიანთა ტალღა იკვრება მის უკან. ისინი კი, ვისაც დამბლადაცემული კაცი მოჰყავთ, ამოდ ცდილობენ მის გაკაფვას. უეჭველია, შორიდან მოვიდნენ და ძალიან დაღლილები არიან, კინც უნდა ენახათ, იმის უნახავად უკან არ გაბრუნდებიან. რაღაც უნდა დაუჯდეთ, უნდა შეაღწიონ მასთან. და იღებენ სასოწარკვეთილ გადაწყვეტილებას. ავადმყოფი საწოლიანად სახურავზე აჰყავთ, სახლს კრამიტს ხდიან და თავის ტვირთს იმ ოთახში უშვებენ, სადაც იესო ზის. რაღა თქმა უნდა, ხალხის აღმფოთებას, მუქარასა და ყვირილს საზღვარი არა აქვს.

მწიგნობარი აკვირდება მკურნალს, თვალს არ აშორებს მის ტურებსა და ხელებს. ოპ, სიტყვები, რომელსაც იესო ახლა წარმოთქვამს, ყველაზე უცნაური და გაუგონარია, რადგან თითქოს არაკითარი კავშირი არა აქვს ავადმყოფის მდგომარეობასთან. უფრო მეტიც, ეს სიტყვები მე კაცისასა და ამ მწოლიარე არსებას შორის გამართული ჩუმი დიალოგის უეცრად ხმაამალა წარმოთქმული ნაწყვეტია. „ნუ გეშინინ, შეილო, მიგეტევენ შენ ცოდვანი შენნი!“

1. კაზუისტი – (ლათ.) თეოლოგი, რომელიც ამა თუ იმ საკითხს ქრისტიანულ დოგმებს უსადაგებს. საქვეო დებულებათა მტკიცებაში გაწაფული ადამიანი.

ბევრი უბადრუკი სული განკაცებული ქრისტეს პირისპირ იმას გრძნობდა, რასაც დღესაც განიცდიან სეფისკვერის წინაშე მყოფნი. უცეროდ მთელი სიგრძე-სიგანით რომ შეიცნობენ საკუთარ ცოდვას, ხედავენ საკუთარ თავს. პირველად მიღებული წყალობა გამოფხიზლების წყალობაა. აქედანაც სიმონის დაღდებაც; „განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ“ უმჯველი იგივეს ემუდარებოდა დამბლადაცემულიც: არა „გამომაჯანმრთელე“, არამედ „შემინდე მე“. და მაშინ გაისმა ყველაზე საოცარი სიტყვები, რომლებიც კი ოღეს-მე წარმოუთქვამს ადამიანის ბაგეს: „მიგეტყვენ შენ ცოდვიანი შენნი!“

უბადრუკი ადამიანური ცხოვრების ყველა ცოდვა, დიდი და მცირე, ყველაზე სამარცხვინო, ის, რომელსაც ვერაფერს გაანდობდა, რომელიც მარტი ბილწი კი არა, დასაციინიც იყო, და კიდევ ის, რომელზე ფიქრსაც ჯიუტად გაურბოდა და მაინც ვერაფრით ვერ ივიწყებდა, ყველაფერი მიტევებულია, ჩაუბი-გბლად, გამოუკითხავად, აღუშფოთებულად და გაუქირდავად. ძე კაცისა არ მოითხოვს მომნანიებლისაგან თავისი სირცხვილის ხელახალ განცდას; იესომ ის უკვე ისე აამაღლა გარსმოჯარული ბრბოსაგან, რომ მისთვის სულიერი სიმარ-თლე ხორციელ სიჯანსაღეზე უფრო მნიშვნელოვანი შეიქნა.

ამჯერად ფარისევლები ერთბაშად აღიქვამენ ამ გაუგონარი სიტყვების მნიშვნელობას, მაგრამ ხამაღლა აღშფოთების გამოთქმას ვერ ბედავენ. ეს განმარტებას აღარ საჭიროებდა. ისინი ერთმანეთს დაბნეულები შესცქერიან და გულში ფიქრობენ: „ვის ხელ-ეწიფების მიტევებად ცოდვათა, გარნა მხოლოსა დმერთსა“. ეს ისეთი თავზარდამცემი ღვთის გამობაა, რომ ღვთისმკობელს ხმის კაცემასაც ვერ უბედავენ. ხოლო ძე კაცისა უკვე შეტევაზე გადადის და თავის ყოვლისშემძლეობას მათ ორგზის უმტკიცებს. პირველად, როგორც ჩვე-ოდა, მათი გულისნადები ამოიკითხა. „რადსა მაგას ჰზრახავთ გულთა შინ თქუნთა?“ — პკითხა მათ და ის, ვინც პირდაპირ ეუფლებოდა ადამიანთა სუ-ლებს და თითქოს მთლად შთანთქმული იყო ამ საბრალეო სულის წყლულებით, უცეროდ დააკვირდა და მზერა შეაჩერა მის ფეხებთან განროხმულ სხეულზე. მოუტრიალდა ფარისევლებს და უთხრა: „რად უადვილეს არს სიტყუად განრ-ღუელისა ამის: მიგეტყვენ ცოდვიანი შენნი, ანუ თქუმად: აღდგე, აღიღე ცხუ-დარი შენი და ვიდოდე? ხოლო რადთა უწყოდით, რამეთუ ხელმწიფება აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, შენ გეტყვი: აღდგე, და აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა!“

დამბლადაცემული კაცი ბრბოს მხიარულ ზუზუნში ადგა. ფარისევლებმა აღბათ ამ ღურზაურით ისარგებლეს და მიიმალნენ. ჩემგან წარმოსახული მწიგნობარი ის უნდა იყოს, აღფრთოვანებულმა რომ მიამახა იესოს, როგორც წმინდა მათე მოგვითხრობს:

— მოძღუარ, მიგდევდი შენ, ვიდრეცა ხვიდოდი.

მომნუსხველმა მონუსხა და ისიც დაემორჩილა ყოვლისშემძლეს — იარა-ღი დაჰყარა. რა თქმა უნდა, მზერით ან სიტყვით მაინც ელოდა ამ უცარი მორჩილების საზღაურს. მაგრამ ამ კაცის მოქმედება თუ სიტყვა ყოველთვის მოულოდნელია. იმ წამს აღსრულებული სასწაულისაგან ჯერ კიდევ მთროლ-ვარე იესო პასუხობს:

— მეღთა ხურელი უჩანს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს.

თითქოს ეუბნებოდა: „შენ დიდხანს მთელი მაცდუნებლად და აი ჩემი ცდუნებანი და ისიც, რასაც ვპირდები მათ, ვისაც ვუყვარვარ. ყველაფერზე უარის თქმა ყველაზე მშვიდი ხევედრია, რასაც მათ ვუმზადებ. მალე ამ სიტყვებში, ამ არარაობაში მე აღვმართავ მათთვის განკუთვნილ სარეცელს, სადაც წინასწარვე იქნება მონიშნული ფეხებისა და ხელების ადგილები“.

მწიგნობარმა, ეტყობა, იფიქრა: ძალიან აუჩქარდი... არ მიცნობს და ალბათ ჩემი გამოცდა უნდაო. და იმწამსვე გაისმა მოძღვართან დაახლოებული მოწაფის ხმა:

– უფალო, მიბრძანე მე პირველად მისვლად და დაფველად მამისა ჩემისა.

– შენ მომდევდი მე და აცადენ მკუდარნი დაფველად თვისთა მკუდართა.

საუკუნეთა ჭუჭყი ფარავს ამ ლითონივით ბრწყინვალე და მძიმე სიტყვებს: საუკუნეთა განმეაღობაში განმმარტებელნი¹ ამსუბუქებენ და არბილებენ მათ. ძნელია თვალეში შეხედო სიმართლეს, ამ მარადიული სიტყვების სიმართლეს, რომელიც არ გარდავა. მაგრამ რა ხდება? ამ სიტყვების სიმართლე შეგვიძლია ვირწმუნოთ, როდესაც დაკრძალვის ოფიციალური ცერემონიის დროს დასწრეთ ვაკვირდებით: ბოროტებითა და დრო-უამით დაღდასმული, ავადმყოფური, ცბიერი სახეები; ბიწიერებაში ჩაფლული, მოკუდინებული გვამების სროვა (და ჩვენც ერთ-ერთი იმათთაგანი ვართ), რომელიც უფრო გახრწნილა, ვიდრე მიცვალებულის სხეული, ვისაც გუნდრუკს უკმევენ: რადგან ის მხოლოდ გარდაცვლილის ნეშტია, ხოლო უცნობი ცეცხლით განწმენდილი სული ვკვე სხვაგანაა. ჩვენ გვგონია, რომ ამ კაცის სიკვდილს ჭოვესწარით, მაგრამ მიცვალებულის გვამი კი არა, ჩვენ ვყარვართ: სულიერი გახრწნილების სუნი ზორციელზე უმძაფრესია.

„აცადენ მკუდარნი დაფველად თვისთა მკუდართა...“ მწიგნობარს ალბათ მეტის გავონება აღარ შეეძლო. ალბათ მოწაფეც გაშორდა. ქრისტე კი სწორედ ახლა დაპარაკობს ღმერთივით. იგი უფრო ნათლად ვერ გაამჟღავნებდა თავს, მც ღმერთი ვართ, რომ ეყვირა. მხოლოდ ღმერთისთვის ვრთავთ ნებას დაქირავებულებს, რომ დამარხონ სხეული, საიდანაც ვიშვით. მიუხედავად ამისა, მე ჩემს ახლობლებში და ყველა წესიერ ოჯახში, სადაც კი მიხდება ყოფნა, ვეჭებ ადამიანს, კაცსა თუ ქალს, რომელსაც ამგვარი მოთხოვნა მოთმინებიდან არ გამოიყვანდა. ქრისტეს თითოეული სიტყვა მას ბევრ სულს სძენდა და ბევრსაც აკარგვიანებდა: მის გარშემო სულთა მიმოსვლის მარადიული მორევი იდგა.

უფალი მოუწოდებს მათეს

და უეცრად მე ღმრთისა, რომელსაც თავის მოსაზრებები ჰქონდა ამ მწიგნობრისა და ამ მოწაფის შესაცბუნებლად, ტბის პირას, პატარა მაკიდის წინ შეჩერდა, სადაც ერთი მებაჟე იჯდა: ებრაელთათვის ყველაზე საზიზღარი და აბუჩად ასაგდები – ხალხის მმარცველთა ხელქვეითი, რომელსაც სახელმწიფო ზოგიერთი გადასახადის აკრეფას ავალებდა. ისინი მოსვენებას არ აძლევდნენ ხალხს და სახელს იტეხდნენ წარმართებთან, საზოგადოების ნაძირა-

1. განმმარტებელი – ეგზეგეტიკოსი – მეცნიერი, რომელიც სწავლობს და განმარტავს ბიბლიის ტექსტებს.

ლებთან ურთიერთობით. იესომ შეხედა ლევის, აღფეხის ძეს, გადასახადებს დაგიდასთან მჯდარს, და უთხრა: „მომდევდი მე!“

რა თქმა უნდა, იესო მას უკვე იცნობდა, ისევე, როგორც სიმონსა და ზებედეს შეილებს, მის მეგობრებს, სანამ ყველასა და ევლადორს დატოვებდა უბრძანებდა. გაელისას მოძღვარს ხშირად უნდა დაეჭირა ამ საცოდავი ვიწროის მისკენ მიმართული მხერა. მან ამოიციხო და მთელი გულით მიიღო ამ სიყვარულით სავსე არსების სურვილი, რომელიც ვერც კი იოცნებებდა მე კაცოსასთან დალაპარაკებაზე და მით უფრო მის მოწაფეობაზე. იესო, რომელსაც ვერ კიდევ გაუმჟღავნებელი სიმულვილით სძულდა ცრუ წმინდანების თვითგმაცოფილება, ვერ აღუდგა ამ კაცში საკუთარი უბადრუკობის შეგრძნებას, ასე რომ ახადგურებს კაცს ღმერთის სიწმინდის წინაშე.

ლევი (ერქვა მას უკვე მათე?) ადგა და გაჰყვა იესოს ან, უფრო სწორად შორიახლო შეკრებილ ფარისეველთა განსაცვიფრებლად, აღსაშფოთებლად და ასევე გასახარად იესო გაჰყვა ამ საზიზღარ მეზაყეს, შევიდა მის სახლში და მიუჯდა მაგიდას, სადაც ყველა არამზადა იყო მიწვეული: ლევის წრის ხალხი. მათზე ზოგი ახლაც ამბობს: ისინი არ უნდა შეიმჩნიოთ, სახლში არ არიან მუშოსაშვევებიო. მწიგნობრებს რეკანშის დრო დაუდგათ: გარს შემოეხვივნენ კართთან მყოფ ღამფროთხალ მოწაფეებს და პირდაპირ შეუტიეს: „რასათვის მეზურეთა² და ცოდვილთა თანა ჭამს მოძღვარი თქუენი?“ მათ ვერ მონახეს საჭირო პასუხი და მაშინ სტუმართა შორის გაისმა მრისხანე ხმა: „არა უხმს ცოდვალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. ხილო თქუენ წარვედით და ისწავეთ რა არს: წყალობაი მნებაეს და არა მსხურპლი (რა კილითი მოუწოდებს ამ თეოლოგებს, რომ თავიანთ საქმეს მიხედონ), რამეთუ არა მოკვდ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“.

ფარისეველთა პირფერობაზე უარესი პირფერობაა, როდესაც ქრისტეს მაგალითის ამოფარებული, საკუთარ გულისთქმას აყოლილი ურთიერთობას ამყარებ ვარყენილებთან, ერთობი მათთან და კი ვერ შევლი მათ, არამედ თვითონვე იღუპები. იესო არ ერთობა გზასაცდენილებთან, იგი მონადირეა და თავიანთ ბუნავშივე იჭერს სულებს.

IX

იუდა

ფარისევლებს უკვე აღარ შეეძლოთ ამ კაცის წარმოუდგენელი პრეტენზიების უგულებელყოფა. უნდა იცოდეთ, რას ნიშნავს ისრაიტელისთვის „ერთი ღმერთი“, ვისთანაც მისივე ქმნილებას უფსკრული აშორებს. დღეიდან ისინი დაუდარაჯდებიან ამ ღვთისმცემობლის ყველა მოქმედებასა და სიტყვას და თორის სიტყვებით ამხელენ მას. საკმარისია მისმა მოწაფეებმა შაბათს რამდენიმე თავთავი მოწყვიტონ, ან თვითონ მან ამ დღეს ხელგამხმარი კაცი განკურნოს, რომ მზადყოფმა ძაღლების ხროვამ ხმა აღიმადლოს და ანგარიშსწორების

1. მეზურე — (ძვ.) მეზაყე; ხარკის ამკრეფი.

დღისთვის სამხალი შეაგროვოს. იგი კი სულაც არ ფიქრობს თავდაცვას, მათ
 სრულიად იწვევს და მერე რიგორი გამბედაობით!

„უფალ არს ძე კაცისა შაბათისაცა“: ვინ ჰგონია ბოლოს და ბოლოს ^{რაღი?}
 მან უკვე გაბუდა და თქვა: „შაბათი კაცისთვის დაებადა და არათუ კაცი შაბათისათვის“. და ესეც უკვე მეტიმეტი იყო. და ახლა შაბათის უფაღვრესი უკვე

ამ დღიდან დალუპვა გადაწყვეტილია. იგი მაინც იჩენს წინდახედულობას. იმას თქმის უფლება არ გვაქვს, რომ ღმერთი უნებურად, ძალიან სწრაფად ამ-
 ლაყნებს თავს, ან რომ იესო აჩშობს მას. ხანდახან, როცა არავინაა სუქარელი
 ღვთაების გარდა, მოულოდნელად რომ წამოადგა თავს, იესო-კაცი თავისუფ-
 ლად ამოსუნთქვის საშუალებას აძლევს ღმერთს. შეიძლება ითქვას, ხალხში
 იგი თავს ძალას ატანს, ყვირილს იხშობს, მასში სიცოცხლის შემოქმედს რომ
 უამქლავნებდა. მაგრამ თავს აღარ იკავებს, როდესაც ყვირის, შაბათის უფა-
 ლიც ეარო.

მრავალთა გულში იგი უკვე ჯვარზეა გაკრული... იერუსალიმში საიდუმლო
 სტობას მართავენ. ერთი დღის დაკარგვაც აღარ შეიძლება, რადგან ხანმოკლეა
 თვისის დრო. იესო სიცოცხლის დარჩენილ დღეებს ითვლის. რაღაც ორიოდ
 იგი დარჩა მის მიერ მსახურებად არჩეული ამ საბრალთ ხალხის გასანათ-
 ლებლად, რომლებმაც უნდა განაახლონ ქვეყანა. მათ, რა თქმა უნდა, გულმხურ-
 ვლედ უყვართ იგი და ესაა უშთაფრესი, მაგრამ ჯერ არაფერი გაეგებათ.

აღბათ ამ ერთი კერიოტელი¹ კაცის, იუდას გარდა, რომელიც იესოს არ-
 ჩეულ თორმეტ მოწაფეთაგან ბოლოსაა დასახელებული. ის სიმონისა და ან-
 დრიას, იაკობისა და იოანეს, ფილიპესა და ბართლომეს, მათესა და თომას, მე-
 რე იაკობისა — ალფესის ძისა და მეორე სიმონის — მოშურნულ წოდებულის
 და იუდა იაკობის ძის შემდეგაა დასახელებული. როგორ მოიგო იუდას გული?
 იუდას ქისა ებარა. პრაქტიკული კაცი იყო და თავიდან, უწყველია, ქრისტე-
 სდმი ღრმა რწმენა გაამყლავნა, მოხერხებული იყო და გაპყვა უფალს, რადგან
 მისი ამქვეყნიური წარმატების დაუოკებელი რწმენა ჰქონდა. სხვებსაც სწამ-
 ლათ ამის, მაგრამ იუდაზე ნაკლებად. თვით იესოს გულთან ყველაზე ახლოს
 ყოფ ზებედეს ძეებსაც სჯეროდათ, რომ მათი ბედი უზრუნველყოფილი იყო.
 მანი უკვე ხედავდნენ ბრწყინვალე, მოციმციმე ტახტს, რომელიც მათ ელო-
 ბათ.

ამ სამი წლის განმავლობაში იუდას სულ ცოტათი მაინც თავის სახარებ-
 ლად უნდა გამოეყენებინა ცხოველი წყლის წყარო. გონიერი, მაგრამ არა
 მორსმჭვრეტელი კაცი იყო, როდესაც ყველაფერი დაიქცა (ამ გიჟის გამო, რო-
 ხელმაც ფუჭად ხარჯა საუცხოო განძი და ყველა თავის წინააღმდეგ აიძხედრა
 — როგორც იუდა ფიქრობდა), იმასაც ვერ მიხვდა, რომ საქმე — და მისთვის ეს
 ჩორედ საქმე იყო — ახალი ძალით იფეთქებდა და ყველაფერი, რასაც გამო-

1. კერიოტელი კაცი — იუდა ბარ სიმონი, ქრისტეს მოწაფე, რომელმაც
 დატოვა ქრისტე. იგი სამხრეთ იუდეის ქ. კერიოტიდან იყო. სახარების ტექსტ-
 შში იგი ისკარიოტელად მოიხსენიება; თავსართი „ის“, „იშ“ უდრის ქართულ
 სიტყვას „ელი“, ე. ი. „ისკერიოტ“ ნიშნავს კერიოტელს. ფრანსუა მორი-
 ეს მხოლოდ ერთხელ აქვს ნახმარი სიტყვა ისკარიოტელი.

ელადა, წარმოუდგენელად მეტი იქნებოდა. ქრისტემ ეს ყოველივე იცოდა. იუდა მასთან იყო, კიდევ მასთანაა და ბოლომდე მასთან დარჩება.

იესო სულაც არ ცდილა მათ მოტყუებას: „ნუ შევიტყუებო, იქნებოდა, ნუცა ვერცხლსა“, უბრძანა მათ, როცა ორ-ორი დააგზავნა მთავრებულად ცათა სასუფეველის საქადაგებლად, „ნუცა რვალსა სარტყელთა თქუენთა, ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა, ნუცა თრისა სამოსელსა, ნუცა ხამლოთა, ნუცა კუერთხსა...“ იუდა იღიმებოდა და ფიქრობდა: „კარგი დღე კი დაგვადგება, სიტყვასიტყვით თუ გავიგეთ ჩუენი საყვარელი უფლის ნათქვამი!“

„აჰა, მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა“ („ეგ სხვებს უთხარი“, — ჩურჩულებს იუდა.), იყვენით მეცნიერ ვითარცა გუელნი...“ და იუდა ჩუმად ამბობს: „მაგაში კი მენდე!“

„ეგრძაღენით კაცთაგან, რამეთუ მიგცემენ თქუენ კრებულსა და შორის შესაკრებელსა მათთა გტანჯვიდნენ თქუენ“ („მე ვერა, — ფიქრობს იუდა, — მე ვიცი, როგორ ველაპარაკო მათ!“). მას ეზიზღება თავისი თანამგზავრები, რაღვან ხედავს, თუ როგორ ცახცახებენ ისინი მოძღვრის წინასწარმეტყველების მოსმენისას: „მისცეს ძმამან ძმა სიკუდილად, და ძმამან შვილი, და აღღვინ შვილნი ძამა-დედათა ზედა და მოჰკვლიდნენ მათ“. „რამ გაათცაო? — ფიქრობს ამხანაგების შემხედვარე იუდა, — რა ჰგონიათ მათ თჯახი?“ იუდამ კარგა ხანია იცის სიმართლე: არსებობენ ერთმანეთის მოძულე ძამები და შვილები. მას უყვარს ქრისტეში ეს უბრალო შეხედულება, ეს ღვთიური ხედვა ადამიანთა სისაზიზღრისა. სწორედ ამ წუთშიც უფალი აცხადებს: „და იყვნეთ თქუენ მოძულეებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათვის!“ კი ბატონო... ეს არ აშინებს იუდას, სხვები კანკალებენ, იუდა კი თანახმაა სძულდეთ, თღონდ კი ეშინოდეთ მისი. ოჰ, მისი შეეშინდებათ, რაღვან ყოველისშემძლე სიტყვებს იესოს ძალაუფლებას მატურიასა და სიცოცხლეზე გაითავისებს. ოჰ, იმ დღეს, როცა დემონების განდევნისა და დავრდომილთა განკურნების ნება მიეცემა, ის დასციინებს ამ ქვეყნის სიძულვილსა და სიყვარულს, რომელიც მას ფეხებს აულოკავს!

„ნუ გეშინინ, — განაგრძობს იესო, — ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვიდნენ ხორციანი, ხოლო სულისა ვერ ხელ-ეწიფების მოკვლად. არამედ გეშინოდეს მისა უფროს, რომელი შემძლებელ არს სულისა და ხორცთა წარწყმედად ვეჭენიასა შინა“. იუდა მხრებს იჩეჩავს: რატომ უნდა შეეშინდეს მას ბელზებელის, როცა მასზე ძლიერი იქნება და როცა მოილაპარაკებენ ძალაუფლების გაყოფაზე? „თუ მისი განდევნის ძალა მექნება, მისგან მივიღებ ამ ქვეყნის ყველა სამეფოს...“

და მაინც კერიოტელ კაცსაც უჩუყდება გული. განა შეიძლება იესო არ გიფვარდეს? მხოლოდ მას უნდა მიენდო თვალდახუჭული. მოძღვრის ხმა რბილდება თავისი საცოდავი, აცახცახებული მეგობრების გასამხნეკებლად: „ანუ არა ორი სირი ასარის განისყიდებისა? და ერთიცა მათგანი არა დავარდების ქუყანასა ზედა თვინიერ ძამისა თქუენისასა. ნუ გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ და ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე ძამისა ჩემისა ხეცათადასა. და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ვყო იგი მეცა წინაშე ძამის ჩემისა...“

იუდა გონს მოდის. მას მაინცდამაინც არ უყვარს ეს გულში ჩამწვდომი

მახილი, იგი მას სხვებზე ნაკლებად ესმის. სხვა მოწაფეები კი უმცირეს ალ-
რსზე ათრთოლებულნი ფინიებივით ელაქუცებიან მოძღვარს. და ხაზინადარი
ღიზიანდება, გრძნობს, რომ იესოს სხვები მის თავს ურჩევენია. მაგრამ უც-
რად ქრისტე კვლავ იმაღლებს ხმას: „ნუ ჰკონებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფე-
ნად მშვიდობისა ქუეყანასა ზედა, არა მოვედ მიფენად მშვიდობისა მათამედ
მახვილისა (მშვენიერია! — ფიქრობს იუდა), რამეთუ მოვედ განყოფილ კაცისა
მამისაგან თვისისა და ასული — დედისაგან თვისისა და სძალი — დედამთილი-
საგან თვისისა. და მტერ იყვნენ კაცისა სახლეულნი თვისნი. რომელსა უყუარ-
დეს მამამ ანუ დედი უფროის ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს...“

ადამიანის ბაგეოვან ნათქვამი ეს სიტყვები შემზარავი აღსაქმელია. ჩვენ
რომ არ გვეშინოდეს ძალზე გაბედული სურათით ორბუნებოვანების განუყოფ-
ლობის დაჩრდილვისა, მაშინ ვიტყვოდით, რომ ამ შემთხვევაში სისხლსა და
სორციდან ამოდის და თავს იჩენს მრისხანე ღმერთი. იუდას ჰკონია, რომ გა-
ყო სიძულვილის ეს სიტყვები... სინამდვილეში ის კი არა, სხვები ხედავენ,
თუმცა ბუნდოვნად, რომ მხოლოდ განსხვავებულ სიყვარულს შეუძლია თა-
ვის თავზე მეხთა დაუტეხავად ხმამაღლა თქვას მსგავსი სიტყვები. იუდას ჰკონ-
ია, რომ ქრისტესაგან გადატრიალებულ ქვეყნიერებაში რჩეულთ და ამორჩე-
ულთ აღარასოდეს შეაძრწუნებთ ადამიანური გრძნობები და აღარანაირი სის-
ხლისმიერი კავშირი აღარ დააბრკოლებთ. იქნება ძალის გამარჯვების ზეიმი
და მოხეიძე მარტოობა! რა თქმა უნდა, კერიოტელი კაცისათვის მოძღვრის
ნათქვამში ბევრია მისაღებიცა და უკუსაგდებიც: აი ის ახლა ჯვარზე ლაპარა-
კებს! რომ დაუჯერო, ვინც კი გაჰყვება საკუთარი ჯვრის აუღებლად, არაა მისი
ღირსი... იუდა იღიმება: თითქოს საქმე ისაა, ვინაა მისი ღირსი და ვინ არა!
ეს გაჰყვება უფალს და ჯვარს სხვებს დაუტოვებს.

იუდა თავის თავზე იღებს სიტყვებს: „რომელმან მოიპოოს სული თვისი,
წარიწყმიდოს იგი, და რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან
პოოს იგი“. რა თქმა უნდა! იუდა უარს ამბობს ყველაფერზე. მან ყველაფერი
მიატოვა და უფალს გაჰყვა. მიატოვა საქმეები, რომლებიც ცუდად არ მისდი-
ოდა. წაეჩხუბა გავლენიან ხალხს... თუმცა მაინც შეინარჩუნა მათი ნდობა. და
ის ბოლმით ფიქრობს, რომ დანარჩენმა თერთმეტმა ამაზე მეტი არაფერი გა-
აკეთა და მაინც მასზე უფრო საყვარელი არიან.

იესო კიდევ ამბობს: „რომელმან შეგიწყნარეს თქვენ, მე შემიწყნა-
რა...“ იუდა მსჯელობს: ეს ყველაზე ძვირფასა, ღიდი და ჩინებული მნიშვნე-
ლობის სიტყვებიაო. მაგრამ აი კიდევ სხვა სიტყვებიც ადაფროთოვანებს: „და
რომელმან ასუას ერთსა მცირეთაგანსა სასუმელი ერთი წყალი გრილი სახე-
ლად მოწაფისა, ამინ გეტყვი თქვენ, არა წარწყმდების სასიდიდელი მისი...“
იუდა ოცნებობს: „მე ჯერჯერობით ვარ ერთი მისი მცირეთაგანი. მაგრამ მა-
ლე გავიზრდები, რადგან ჭიქა გრილი წყალი დიდხანს ვერ შეინარჩუნებს
სივრილეს...“

იგივე სიტყვებს იმახსოვრებს დანარჩენი თერთმეტი გული, რომელიც მათ
ჯერ ვერ გაუგიათ, მაგრამ შეუცნობლად მაინც იღებენ, როგორც კარგ ნიადაგს
შეჭფურის. ეს სიტყვები საიდუმლოთა საიდუმლოს შეიტავენ: იმას, რომ სიყ-
ვარული გრძნობა, გატაცება კი არა, პიროვნებაა, ვილატაა. კაცია? — დიახ,
კაცია. ღმერთია? — დიახ, ღმერთია. ისაა, ვინც იქ მათთანაა. ისაა, ვინც ყვე-

ლას უნდა გერჩიოს? არა, ეს არაა საკმარისი, მხოლოდ მას ერთს უნდა ეთავ-
 ვანო. და ვაი მას, ვინც შეცდება. მათ კი, ვინც „მიხიანი“ ექნება, შეეძლება
 ცხოვრება თვალდახუჭულმა გაატაროს და ხალხის აღარ ეშინოდეს. მათ ყვე-
 ლაფერი გასცეს. რათა ყველაფერი ჰქონოდათ, და იმდენად შეერწმუნენ თავის
 სიყვარულს, რომ ის, ვინც მათ მიიღებს, სიყვარულსაც მიეძღვება, თორმეტთა-
 თვის ყურში ნათქვამ უფლის ამ სიტყვებშია ჩასახულებული მარტვილის
 შეუპოვრობისა და წამებულთა სიხარულის დერიტა. ამიერიდან, რა საშინელე-
 ბაც არ უნდა გადახდეთ თავს ქრისტეს მეგობრებს, საკმარისია ზევით აღაპყ-
 რონ მზერა, რომ გახსნილი ცა იხილონ.

X

ქალაქი მთავრე

თორმეტ აღფრთოვანებულ და აცხიციებულ მოციქულთან ერთად, მთი-
 დან რომ ჩამოდისოდა, შუა გზაზე შეჩერდა იგი. მარტო მოწაფეთა ჯგუფი კი არ
 უღობავდა გზას, არამედ იერუსალიმიდან, ტიროსიდან და სიდონიდან მოსული
 უამრავი ხალხიც. იგი საიდუმლოდ ესაუბრა თავის მეგობრებს, ახლა კი მრავ-
 ვალ ადამიანს ვაუმხელს იმ სიტყვებს, რისთვისაცაა ამქვეყნად მოსული. ყვე-
 ლაფერი, რასაც ის ახლა იტყვის, ფსალმუნის ამა თუ იმ ტაეპიდან ძირითა-
 დად ცნობილი უნდა იყოს მისი მსმენელებისთვის. წინასწარმეტყველები მსგავს
 რაღაცებს მასზე ადრე ქარაგმულად ამბობდნენ. მაგრამ ეს ნაზარეტელი ქალა-
 ყულების მქონესავით ლაპარაკობს: „ხოლო მე გეტყვი თქვენ...“ ეს კილო ახა-
 ლია, უმცირეს სიტყვას უთვალავი მნიშვნელობა ენიჭება. ყველა სხვა ადამი-
 ანისთვის უაზრობა იქნებოდა ეგვიპტის: „იქმენინ ნათელი“, ისევე როგორც ამის
 გამოცხადება: „მცნებასა ახალსა შიგთქმ თქვენ, რაითა იყუარებოდით ურთი-
 ერთას“. მაგრამ, როცა ღმერთი ლაპარაკობს, ნათელი მორჩილად ეფინება მი-
 წას და უცნობი სიყვარულის წყარო უეცრად ამოიფრქვევა რომის ბოროტი იმ-
 პერიის შუაგულში.

„ნეტარ იყვნენ... ნეტარ იყვნენ... ნეტარ იყვნენ...“ ბოლო რიგებში მდგომი
 ცხრაჯერ გამეორებული მხოლოდ ეს სიტყვები რომ ესმოდათ, ალბათ
 ეგონათ, ბედნიერების მაუწყებელი წინასწარმეტყველებააო, და მართალიც იქ-
 ნებოდნენ. კანას სასწაულზე უფრო საოცარი სასწაული ხდებოდა: სიღარიბე
 სიმდიდრედ იქცეოდა და ცრემლი სიხარულად. დედამიწა მეომრებს კი არა,
 თვინიერ ადამიანებს ეკუთვნოდა.

მაგრამ ყოველი ნეტარება შეჩვენებასაც შეიცავს: „ნეტარ იყვნენ გლაზაკ-
 ნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფიქველი ცათად“, იმას ნიშნავს, რომ ვისაც
 თვითუარყოფის უნარი არ გააჩნია, გაძევებული იქნება ცათა სასუფიქვიდან.
 „ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“, — გულისხ-
 მობს, რომ უწმინდური გულის მქონენი ვერ იხილავენ ღმერთს. ოჰ, ეს უბი-
 წილები, ვისაც განადღებული აქვთ ნეტარება, ისინი ხომ ყველაზე მეტად უარ-
 ყოფენ ადამიანის ბუნებას. რადგან ბოლოს და ბოლოს ვინ არის გლაზაკი სუ-
 ლითა? ვის შეუძლია დაიკვივხოს, რომ თუნდაც მორწმუნე კაცში, ძალზე მორ-
 წმუნეშიც, დატკბა სულიერი სილატაკის ცქერით? შემზარავია იმ ადამიანთა

ფანატიკური მიჯაჭვა საკუთარი აზრებისადმი, ვისაც თავი სრულყოფილი ჰქონია.

„ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანა... ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფენნი, რამეთუ იგინი ქედ ღმრთისა იწოდნენ“. ო, ამქვეყნიურთ სისასტიკე! თვინიერებაა სწორედ ადამიანის ყველაზე აბუჩად ასაგდები თვისება. ბავშვობიდან, პირველი კლასებიდანვე, თვინიერნი დევნილნი არიან, კეთილგონიერების ღრმა ფილოსოფოსი არის ნიცშე.

განა დღევანდელი ქვეყანა ძველზე საკლებ სასტიკია? არაფერი შეცვლილა იმის გარდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ შთიდან წარმოითქვა მცნებები, რომელთაგან არც ერთი არ წარბდება, რომ ყველა თაობაში აღმოჩნდებიან ადამიანები, რომელნიც მათ გულიდან გულში გადასცემენ. და ეს საკმარისია: „თქვენ ხართ მარტივი ქუეყნისანი...“

მხოლოდ ერთი მუჭა მარილია საჭირო, ხალხთა მასა რომ არ გაირყვნას. მაგრამ მარილმა გემო არ უნდა დაჰკარგოს! ქრისტე ხედავს, რომ თავის პირველ ქადაგებაში ადამიანებისათვის განცხადებულ ბედნიერებას ყოველ წამს საშიშროება ემუქრება. რას ნიშნავს „სიწმინდე“ ამ საცოდავი, ყურადღებად მცურული წინდაცვეთილებისათვის? წმინდა იყო! რა გაუგონარი მოთხოვნაა ტიბერიუსის ზეობისას! „გესმა რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა იმრუშო...“ დიახ, ეს საყოველთაო კანონია, საყოველთაოდვე დარღვეული და ამის განცხადება არავის გააოცებს. ოპ, ეს ნაზარეველი კი წამსვე ძველ აბუჩად აგდებულ სჯულს ახალ მცნებას უმატებს, რომელსაც თვრამეტი საუკუნის შემდეგაც ქვეყნიერება კვლავ ეწინააღმდეგება, დასცინის, ამაოდ ებრძვის, მაგრამ სულმთლად კი ვერ ამოუგლეჯია თავისი გულიდან იმ დროიდან, რაც იესომ იქადაგა, მხოლოდ ის კპოვებს ღმერთს, ვინც ამ უღელს დათანხმდება: „ხოლო მე გეტყვი თქვენ, რამეთუ ყოველი რომელი ხელვიდეს დედაკაცსა გულის თქუამად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თვისისა“.

ამ სიტყვებით ცოდვა ქმედებამდეა ჩადენილი, სულში შეჭრილი უწმინდურება თავის პირველ წყაროსაკენ მიედინება. ეს რამდენიმე სიტყვა წვევლაზე უფრო ძალუმად არარაობად აქცევს ფარისეველთა ალაღმართლობას. ამიერიდან დრამა ჩვენ შიგნით თამაშდება, ჩვენს ყველაზე უფრო დაფარულ სურვილებსა და ჩვენს გულებში ძალულად მყოფ ძე კაცისას შორის. ფარისეველთა უბიწოება მოჩვენებითია და მეძაუთა და მეკერძეთა ბიწიერებისაგან არ განსხვავდება. თითოეული ჩვენთაგანისათვის ხსნის მისტერია წვედიადში გათამაშდება, რომელსაც მხოლოდ სიკვდილი გაფანტავს.

ცოტა მოგვიანებით ქრისტე იტყვის, თუ რა არის მისი სამართალი და ეს ზუსტად ის აღმოჩნდება, რასაც ხალხი უსამართლობას ეძახის. ჯერ ძალიან ადრეა (მათ უკვე საკმარისი მოისმინეს!): უძლები შვილის ამბავი, რომელსაც უკეთ ებყრობიან, ვიდრე ჭკვიან უფროს ძეს; ანდა უკანასკნელი ყამის მუშაკების ამბავი, რომელთა გასამრჯელო გამოთნიიდან გასავათებული დღიური მუშების გასამრჯელოს ტოლია. მათ ჯერ ესეც ეყოფათ: ჯერ შეეჩვიონ იმ აზრს, რომ თუ „წესიერი და ღვთისმოსავი“ კაცი ვნებით, მადითა და ოცნებებითაა აღვსილი და ძალულად ეძლევა ვნებასა და სიამოვნებას, უკვე დასჯილია, რადგან სურვილი და ღტოლვა მოქმედების ტოლფასია. რაც გულში გაივლე, ღვთის აზრით, უკვე დაგვირგვინებულია. გვენაა იმ მზერისა და ფიქრის, იმ თვა-

ლისა და გულის ავხორცი სურვილის საზღაური, რომელსაც ადამიანთა მზერას მოფარებული უშიშრად იკმაყოფილებ.

ჩვენ არ გავცხრილავთ ქრისტეს სიტყვებს და ჩრდილში არ დავტოვებთ მუქარას, თუნდაც აუტანელი იყოს ჯოჯობეთზე ფიქრი, ცა და მიწა წარბდება, მაგრამ არა უფლის უმცირესი სიტყვა; და ეს ნათქვამი მარჯორც ყველა სხვა, სიტყვასიტყვით უნდა გავიგოთ: „უკუეთუ თუაღი შენი მარჯუენე გაცდუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განავდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა რაითა წარწყმდეს ერთი ასოთაგანი შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი გუამი შენი შთავრდომად გეჰენიასა. და უკუეთუ მარჯუენე ხელი შენი გაცდუნებდეს შენ, მოიკუეთე იგი...“ მაინც რას ითხოვს ჩვენგან? სწორედ ღვთიურ სრულყოფილებას: „იყვნით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს“. ღვთის შიშით შეჰპირდა ადამსა და ევას, რომ ღმერთების მსგავსნი შეიქნებოდნენ; და ცოდვითა მიმტვევებელიც ითხოვს, რომ ჩვენ ღვთის მსგავსნი ვიყოთ. მაგრამ რაღას არ მოითხოვს იგი? ჩვეულებრივი მიმტვევებლობა ძალიან ცოტაა, მას გიჟური მიმტვევებლობა სჭირდება: მეორე ღოფის მიშვერა, ქურდისათვის, რომელმაც ტუნია უკვე გაგხადა, კვართის მიცემა; ჩვენს მოძულეთა სიყვარული... გიჟია? დიახ, ადამიანური თვალთახედვით სიგიჟეა, რასაც იგი თავის რჩეულთაგან მოითხოვს და რასაც მიაღწევს კიდევ.

მიაღწევს, რადგან უყვარს ისინი. ეს მოთხოვნა აუტანელი იქნებოდა, განსხეულებული სიყვარულისაგან რომ არ მოდიოდეს. გვენა,¹ რომელზედაც იგი მშვიდად, ხმის აუმაღლებლად საუბრობს, მის მიერ დატყვევებულთაგან პირს არავის აბრუნებინებს, რადგან მათ უსაზღვრო სიყვარულის ძახილი ამშვიდებთ. ეს გული, რომელმაც ასე შეიყვარა ადამიანები, თითოეულისაგან ნებაყოფლობით თვითშეწირვას, თვითუარყოფას, ყველა საზრუნავსა და წუხილზე უარის თქმას მოელის. მას ამ გლეხებისაგან დაუყოვნებელი სათნოება უნდა; სურს, რომ ისინი ბედურებსა და მინდვრის შრომანებს დაემსგავსონ. რაში გვენაღვლება გვენა, თუ ღმერთი ჩვენი მამაა? ამიერიდან მას შეუძლია ყველაფერი მოგვითხოვოს, რაც მოესურვება. ჩვენ ვიცით, სად წავიდეთ. მიმჩვენნი ცაშია: ვინც ეს უდავო ჭეშმარიტება იცის, მისთვის არაფერს დაინანებს: „ანუ ვინ არს თქვენგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძე თვისი პურსა, ნუ ქვა მისცეს მას?“

მაგრამ ხეცვიერ მამამდე სიტკბოებისა და კმაყოფილების გზით ვერ მივაღწევთ, ვიწროა ბჭე და გზა ძნელად სავალი. გულის სიწმინდე საჭირო და არა გულის ყივილი ან თვალთმაქცური გულის გადაშლა: „არა ყოველმან, რომელმან მრქუას ძე უფალი, უფალი...“

იფიქრებ, რომ ქრისტე გულის გადაშლის შემდეგ გონს მოეგო და ეჭვი შეეპარა, რომ ეს ბოროტად არ გამოგვეყენებინა. „გეჰენიის“ გახსენება მხურვალე სინაზის სიტყვებმა შეწყვიტა, რომელსაც მუქარით ნიღბაედა, რადგან არასწორად ვაგებისა ეშინოდა. წინასწარ გლოვობს ცრუწინასწარმეტყველთა მოსვლას. აფროხილებს თავის მეგობრებს და აძლევს სასინჯ ქვას, როგორ გამოიცნონ ქრისტეს სახელით მოლაპარაკე კაცი: ის წმინდა უნდა იყოს, „ნა-

1. გვენა — (სახარებაში არის „გეჰენია“) მინდორი იერუსალიმის სამხ. დას. მეფეთა ხანაში იქ ადამიანთა მსხვერპლთშეწირვა ხდებოდა. შემდეგ იგი ნაგავსაყრელი შეიქნა, სადაც მუდმივად ენთო ცეცხლი. ძვ. წ. აღ. II საუკუნიდან გახდა საიქიოში ცოდვების მიზღვის სიმბოლო.

ყოფთა მათთაგან იცნეთ იგინი“. უფალი აქ კაცით ლაპარაკობს, მაგრამ იგი ღმერთია და იმას ხედავს, რაც ადამიანთა თვალს ეპარება. თუმცაღა როგორ უნდა განსაჯო ადამიანები მათი ნამოქმედართ? და მაშ ვინ არ ამსახურებს ცეცხლში ჩაგლებას? თუნდაც სიწმინდისაკენ ისწრაფვოდეს იგი... და კიდევ სხვაგან განა მან არ გვიბრძანა, არ განსაჯოთ? ოჰ! ძნელი კანონია! არ უნდა განსაჯო, მაგრამ არც უნდა გაბრიყვდე. ქრისტიანული სული მარტოული დახვეწისთვისაა მოწოდებული. ნუ გავიოცებთ, რომ ამ თამაშში მსამიძნისი და ალაღნი თანდათან გამჭრიახნი ხდებიან. ამ სიტყვებში არაფერია ერთმანეთის საწინააღმდეგო, და მაინც ყველაფერი ერთმანეთს უპირისპირდება. ძნელია ერთდროულად მტრედი, გველი და შროშანი იყო. მთაზე განცხადებულ ჭეშმარიტებას უფრო ბევრი ელფერი აქვს, ვიდრე ბუმბულს ჩიტის ყელზე. ის არ თავსდება მყარ წესში, რომლის დაცვაც ყველაფრის წესრიგში მოსაყვანად საკმარისი იქნებოდა. ესაა ხაფანგებითა და ხიფათით სავსე ცხოვრება, სადაც ყველაფერი წინდახედულად და თან სიყვარულით უნდა აკეთო. ეაგლახ! როდესმე კი ხარ დარწმუნებული, რომ გიყვარს ან უყვარხარ?

ვინც მამის ნებას არ ასრულებს, იცის, რომ მამის ნებას არ ასრულებს, მაგრამ ის, ვისაც ჰგონია, რომ ასრულებს, შეუცნობლად არღვევს მას. სრულყოფის გზაზე ფრიად „დაწინაურებული“ ასობით ადამიანის ქედმაღლობა, ანდა ამათი, ვისაც თავი „დაწინაურებული“ ჰგონია, ბევრად აჭარბებს ხოლმე ერისკაცთა ამპარტავნებას. თუ ვინმე მშვიდად მიუთითებს მათ ამაზე, თავის თავში ჩაკვირვების მაგიერ ღმერთს ეწუწუნებიან და მათი ამპარტავნება მომეტებული ღირსებით იბერება. ისინი თვლიან, რომ მათი პიროვნების შეურაცხყოფით სიმართლე ილახება და უყოყმანოდ სჩადიან საქციელს, რომელსაც წარმართი „შურისძიებას“ უწოდებდა, თვითონ კი „სამართლიანობის აღდგენად“ ნათლავენ.

თანაც აქ ლაპარაკია წმინდანებზე ანდა ადამიანთა იმ კატეგორიაზე, რომლებიც წმინდანებს ბაძავენ. მაგრამ სად იწყება პირმოთნეობა? რომელი ადამიანური ხე არ ჩაითვლება ცუდ ხედ, თუ მას მხოლოდ რამდენიმე ნაყოფით განვსჯით?

ასისტავი

შინაგანმა სულიერმა კანონმა, რომელიც ძე კაცისამ მთაზე მისცა ადამიანებს, შემდგომ დღეებში გასათვარი ნაყოფი გამოიღო. მტრები მცირე ხნით ჩამოშორდნენ. იესო თავის მოწაფეებს ასწავლის მამისადმი სიყვარულს, რომელიც მოყვასის სიყვარულში გადადის; და ეს ორი გრძნობა ერთიანია და მისი მოკვდავი ცხოვრების განმავლობაში განუმეორებელ, ახალ სახეს იღებს, როგორც ქრისტესთან ერთად მიდის ამ ქვეყნიდან. რადგან იგი ძე ღვთისაა, მისი ახლობელია ასისტავი და ყველა, ვინც მასთან მიდის. სამი წლის განმავლობაში დაუსაბამო არსი ჯარისკაცთა, მეკერძეთა და მეძავთა ახლობელი შეიქნა.

პეროლე ანტიპას სამსახურში მყოფი ეს ასისტავი ებრაელი არაა, მაგრამ ისე უყვარს ებრაელები, რომ თავისი დინარებით მათ სინაგოგას უშენებს. მისი უსაყვარლესი მსახური ავადაა, მომაკვდავია. და ჩვენც უკვე გვიყვარს ეს კაცი, რომლისთვისაც მსახურის სიკვდილი უბედურებაა. იგი თვით ვერ ბედავს იესოსთან მისვლას და თავის რამდენიმე ისრაიტიელ მეგობარს უგზავნის, რათა მოძღვარი არ შეცდეს და არ დამდაბლდეს მისი სახლის ზღურბლზე გა-

დაბიჯებით. ის მათ აბარებს სიტყვას, რომლის განმეორებასაც ქვეყნის აღსასრულამდე არ შეწყვეტს ღვთის კრავის წინაშე განრთხმულ კაცობრიობა: „უფალო, ნუ მოეშურები, რამეთუ არა ვარ ღირს, რადთა სართულსა სახლისა ჩემისასა შემოხვიდე, რომლისაგან არცა თავით ჩემით ღირს მიჩნდა მისულად შენდა: არამედ სიტყვით ხოლო თქუ, და განიკურნოს შენა ესე ჩემი. რამეთუ მეცა კაცი ვარ ხელმწიფებასა ქუეშე განწესებული და მქონან ჩემ ქუეშე ერისა კაცნი და ვარქვი: წარვედ და წარვიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის...“

„იესოს გაუკვირდა“. მას არა მხოლოდ უყვარს ადამიანები, არამედ ისინი აოცებენ კიდევ. და მათში ყოველთვის ერთი და იგივე სასწაული აღაფრთოვანებს: არც გასაოცარი უბიწოება, არც არაჩვეულებრივი სიმკაცრე, არც დიდი თეოლოგიური განსწავლულობა, არამედ იარაღის დაყრის გარკვეული მანერა, მარცხის, სასოწარკვეთილების განცდა, სულიერი სინათლის ნაყოფი, რომელიც წყალობათა წყალობაა.

მორჩილება მარტო სურვილით არ მიიღწევა, რადგან ის მხოლოდ თვითუარყოფის შემთხვევაშია სრულყოფილი. გულში მჯიდის ცემა არაფრად ღირს ამპარტავანი ტუჩები ყოველ დილით იმეორებენ ასისტავისა და მისი შობძე მეკერძის სიტყვებს: „ღმერთო, გმადლობ, რამეთუ არა ვარ ვითარცა ესე მეზუერე...“ დღეს სწორედ ამგვარად ლოცულობენ ფარისევლები.

XI

იოანეს მოწაფეები

ეს ამბავი დაახლოებით იმ დროს მოხდა, როცა იესო ნაინში ჩავიდა და ქალს გარდაცვლილი ძე გაუცოცხლა. ქვრივი მას არ მოუხმობდა, არაფერს სთხოვდა, რადგან ჯერ იესოს არ დაემარცხებინა სიკვდილი. ალბათ ბევრი ამბობდა მასზე: „გი ბატონო, დაზრდომილებსა და შეპყრობილებს კურნავს! მაგრამ მკვდრეთით არავის აღადგენს...“

ამ სასწაულს იესოსთვის აქამდე მოხდენილ სასწაულებზე მეტად უნდა გაეთქვა სახელი. ამან განსაკუთრებით შეაშფოთა იოანე ნათლისმცემლის მიმდევრები, რომელთაგანაც მრავალი მტრულად იყო განწყობილი ახალმოსულას მიმართ. ნუთუ პერსილეს მიერ საპყრობილეში ჩაგდებული მათი მოძღვარიც შეშფოთდა? ხომ არ შეირყა ახლა მისი რწმენა? რა იფიქრა, როცა ორი თავისიანი იესოსთან ვააგზავნა საკითხავად: „შენ ხარ, ვინც უნდა მოსულიყო, თუ სხვას ველადოთო? ზოგჯერ გწამს ადამიანის და მერე რწმენა გერყევა, მისი ქმედება აღარაა შენთვის ნათელი. იოანეს მოწაფეები უყვებოდნენ, რომ საზარველი მეძავებთან და მებაჟეებთან ჭამდა და სვამდა და რომ არც უარყოფდა ამ ბრალდებას: უფრო მეტიც, ამით ტრაბახობდა და ხელს უშლიდა თავისიანებს მარხვაში, იმ მოტივით, რომ „ვერ ხელეწიფების ძეთა სიძისათა, ვიდრე სიძე იგი მათ თანა არს მარხვად. არამედ მოვლენან დღენი, ოდეს ამაღლდეს სიძე იგი მათგან, და მაშინ იმარხვიდენ მას დღესა შინა...“ ამგვარი სიტყვები აწუხებდა იოანე ნათლისმცემელს. ვაითუ მოტყუედა! ვაითუ გაგონილი ხმა არ იყო ხეციური ხმა! ფარისევლები ფიცულობენ, იესო თავის სასწაულებს ბელზებელის დახმარებით ახდენსო. მას ბრალს სდებენ სულთა ცდუნებაში, მან ხომ მართლაც წაიყვანა იოანეს რჩეული მეგობრები. თვითონ იესო რას ამბობს? რას ეტყვის იგი იოანე ნათლისმცემელის წარგზავნილებს? ეს ელჩობა გამოც-

და, რომელსაც წინამორბედი უწყობს ტარიგს ღმრთისას: იოანეს არ შეუძ-
 ლა მისი არ სწამდეს, მაგრამ მისი საქციელი კი აწუხებს, მას არ ძალუძს
 თავისი მეგობრების დარწმუნება და ძალუღალად ლოცულობს: „უფალი თვით
 შენ გაანათლე ჩემიანები, ეჭვი რომ ეპარებათ შენში, შენი ცხოვრების ყაიდა
 რომ აღაშფოთებთ ან აკრთობთ...“

ეროვნული

იესომ მრავალი სასწაული მოახდინა ორი წარმოუზახედი და უწყინებელი
 სით და შემდეგ უთხრა მათ: „მიველით და უთხარით იოანეს, რა ესე იხილეთ
 და გესმა: ბრძანი აღიხილვენ, მკვლობელნი ვლენან, კეთროვანნი განწმდებიან,
 ყრუთა ესმის, მკუდარნი აღდგებიან და გლახაკთა ეხარების. ნეტარ იყოს, რომ-
 ლი არა დაბრკოლდეს ჩემდა მოძარო“.

მათი წასვლის შემდეგ იესომ იოანე ნათლისმცემელზე, როგორც მოწინა-
 აღმდეგეზე კი არა, როგორც ყველაზე იღუმალ წინასწარმეტყველთაგანზე ისე
 ილაპარაკა, რომელიც აუწყებს ცათა სასუფეველს, მაგრამ მასში წილი არა
 აქვს: „ხოლო უმცირესი სასუფეველისა ღმრთისასა უფროს მისა არს“. ეს დი-
 დი ფოთლებგადარცული ხე მარტო აღმართულა უდაბნოში: მისი ფესვება
 ძველ სჯულს ეხება, ხოლო ყველაზე მაღლა აწვდილი ტოტები ძლივს სწვდე-
 ბა ქრისტეს, რომელიც მასზე უფრო აღფრთოვანებით ლაპარაკობს, ვიდრე სიფ-
 უარულით. მათ ერთმანეთი ბავშვობაშივე ნახეს და შეიცნეს. ღმერთმა თავის
 ხოლო წინასწარმეტყველის წინაშე თავი დაიმდაბლა, მაგრამ ისე, რომ არ მოხ-
 და ორი გულის შეკავშირება, მთლიანი შერწყმა; თითქოს ისინი გაყოფილნი
 აფხენ დროითა და სიერციით: იოანე ისაა, ვინც წინ მიდის, ვისაც არც ტარი-
 კისტვის მოცდა და არც უკან მობრუნება არ შეუძლია. წინამორბედი უკან ვერ
 მოგვება. ის იწვის და იხოქმება ორ აღთქმას შუა, იოანეს მოწაფეთა საყვედუ-
 რები მარხვის შეუნახაობის თაობაზე აღიზიანებს მე კაცისას: სასუფეველში
 ან სიცილით, ან ტირილით შეიძლება შესვლა; მაგრამ ებრაელებს არც სიცი-
 ლი სურთ და არც ტირილი. დღესაც ფრანცისკ ასიზელის მზის ჰიმნი არ იმ-
 ორჩილებს ჩვენ შორის მყოფ იმ ადამიანთა სულებს, რომელთაც წმინდა ხუან
 დე ლა კრუა² ხელს კრავს: „ვის ეამსგავსნე კაცი ამის ნათესავისანი, და ვისა
 უკუ არიან მსგავს? მსგავს არიან ყრმათა, უბანთა ზედა მსხდომარეთა, რომელნი
 მოუწესხედ მოყვასთა მათთა და ეტყვიედ: ვისტვინევლით თქუენ და არა პროკევ-
 დით; ვიგოდებლით თქუენ და არა სტიროდით. რამეთუ მოვიდა იოანე ნათლის-
 მცემელი, არცა ჭამდა პურსა, არცა სუმიდა ღვინოსა და იტყვით ეშმაკეულ არს.
 მოვიდა მე კაცი, ჭამს და სუამს და იტყვით: აჰა კაცი მჭამელი და მსუმელი
 ღვინისა, და მეგობარი მეზუერეთა და ცოდვილთა“.

კურობა სიმონთან

მე კაცისა ცოდვილებთან ჭამა-სმას თანხმდებოდა და აგრეთვე უარი არ თქვა
 ისეთი ფარისევლის სუფრას მიჯდომოდა, როგორიც სიმონი იყო. მან ნაზარეტე-
 ლი წინდახედული პატივისცემით მიიღო. ამას მხოლოდ წმინდა ლუკა მოგვი-
 თხრობს... სიმონი გულითადობისა და ხელგაშლილობისაგან თავს იკავებს, რა-
 თა მოგვიანებით შესძლოს თქმა, რომ იესო მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გა-

1. ფრანცისკ ასიზელი — (1122—1226) წმინდანი, ფრანცისკელთა ორდუ-
 ნის დამაარსებელი.

2. ხუან დე ლა კრუა — (1542—1591) ესპანელი წმინდანი, მისტიკოსი.

მო მიიწვია. იგი თავშეკავებულად თავაზიანია, სტუმარს თან არ ჰყვება, ცოტა არ იყოს ცივიცაა...

იესო კი მაინც ჯდება ამ სუფრასთან, რადგან ხედავს უკვე დიდი ხანია მისკენ მომავალ ურიცხვოთაგან ერთ-ერთ ქალს ალუბასტრის ჭურჭლით ხელში, რომელიც ვნებას მიცემული ბილწავდა თავის გულსა და სხეულს და საშინლად იტანჯებოდა ადამიანთა გამო, ის დაიარება სინობტიკოსებსა და მეოთხე სახარებაშიც თავისი ნელსაცხებლით, მშვენიერ თმაჩამოშლილი და ცრემლით სახელანამული. წმინდა ლუკას მიხედვით იგი ფარისეულის სახლში შემოდის. მათესა და მარკოსს ის ღვთის ვნების წინ შემოჰყავთ სიმონ კეთროვნად წოდებულთან, რომელიც ბეთანიაში ცხოვრობს. რაც შეეხება იოანეს, ის მარიამს უწოდებს მას. ერთნი ფიქრობენ, რომ ეს მარიამ მაგდალინელია, რომლისაგანაც იესომ შვიდი დემონი განდევნა, სხვანი კი მას მკვდრეთით აღდგენილი ლაზარესა და მართას დად მიიჩნევენ. აქვს კი ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა? ეს ქალი იმდენად არ აძლევდა მოსვენებას გულებს, რომ მისი მოქმედების შესახებ მონათხრობმა ალბათ ცვლილება განიცადა, მაგრამ მთავარი დარჩა: ესაა განსხეულებული სიწმინდისა და განსხეულებული ცოდვის შეხვედრა იმათ ხანუგეშოდ, ვინც არ წყვეტს ბრძოლას, ვინც გაუთავებლად ავებს ჯებირებს სისხლისა და ვნების მოუღლეული ტალღების დასაოკებლად.

იესო მუხლმოკეცილი ზის, შიშველი ფეხები სცილდება საწოლს. ცოდვილი ქალი ზურგიდან უახლოვდება. ბიწიერებით სავსე ქალი პირისპირ ვერ შეხვდება ტარისკაცს ღმრთისას: „...და დადგა ფერხთა თანა მისთა, ტიროდა და იწყო დალტომად ცრემლთა ფერხთა მისთა და თმითა თავისა მისისამთა წარხოცდა და ამბორს-ყოფდა ფერხთა მისთა და სცხებდა ნელსაცხებულსა...“

სიმონი აკვირდებოდა ამ სცენას და შვებით ამოიხუნთქა: ყველაფერი ცხადია! ეს კაცი წინასწარმეტყველი რომ იყოს, ზიზღით აცახცახდებოდა ამ შეხებისას.

„მიუვო იესო და რქუა მას: სიმონ, მაქუს რამე შენდა სიტყუად. ხოლო მან თქუა: მოძღუარ, იტყოდე.“

— ორნი თანამდებნი იყვნეს მასესხებელისა ვისნიმე. ერთსა თანაედვა ხუთასი დრაკმანი, ხოლო ერთსა მას-ერგასისი. და ვითარ არარად აქუნდა მათ, ერთაჲვე მიუტევა. აწ თქუ შენ: ვინ უფრო შეიფუაროს იგი?

მიუვო სიმონ და თქუა: მე ეგრე ვჰვინებ, ვითარმედ რომელსაცა იგი უფროდსი მიუტევა. ხოლო თავადმან თქუა: სამართლად საჯუ. და მიექცა დედაკაცსა მას და სიმონს ეტყოდა: ხედავა ამას დედაკაცსა: შემოვედ სახლსა შენსა, წყალი ფერხთა ჩემთა არა მეც, ხოლო ამან ცრემლითა დაალტვნა ფერხნი ჩემნი და თმითა თვისითა წარხოცნა; ამბორის-ყოფად არა მომეც მე, ხოლო ესე ვინამთგან შემოვიდა, არა დასცხრების ამბორის-ყოფითა ფერხთა ჩემთათა; ზეთი თავსა ჩემსა არა მეცხ, ხოლო ამან ნელსაცხებელი სცხო ფერხთა ჩემთა, რომლისა მადლისათვის გეტყვი შენ: მიუტევენ მაგას ცოდვანი მაგისნი მრავალნი, რამეთუ შეიფუარა ფრიად. ხოლო რომელსა მცირედ მიუტეოს, მცირედცა შეიფუაროს. და რქუა მას: მიგეტევენ შენ ცოდვანი შენნი! და იწყეს თანამეინახეთა მათ სიტყუად გულთა შინა მათთა: ვინ არს ესე, რომელი ცოდვათა მიუტეობს? პრქუა დედაკაცსა მას: სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, გუაღუ, ვიდლოდი მშვიდობით“.

„რამეთუ შეიფუარა ფრიად...“ ძლიერ შეიფუარა ქრისტე, ეს უთქმელადაც

ცხადია. ხომ არ იგულისხმება აქ აგრეთვე ის თავდავიწყება, თვითშეწირვა და ტკივილი, რომელიც ყველაზე უბადრუკი სასიყვარულო ვნებების დროსაც შეადლება იესოს? ნუთუ დმერთს არაფრად მიაჩნია ის გიჟური თავდავიწყება, როცა ერთი არსება მეორეს დაუფიქრებლად ეძლევა? დიას, არაფრად მიაჩნია.

და უფროდ მჭევრედ გაისმის დავრდომილისადმი უკვე თქმული სიტყვები, ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი იმათ შორის, რომლის წარმოთქმაც გაზედა ნაზარეველმა. ოთხი სიტყვა, რომელშიც დმერთი უცილობლად შეღავნდება: „მიგეტევინ შენ ცოდვანი შენნი!“

ებრაელებს სასწაული აღარ აკვირვებდათ, იესომ ხომ მრავალჯერ მოახდინა იგი და მიუჩვივნენ. და მერე კაცმა არ იცის, ეს ხრიკია, ბელზებელის ძალაა თუ რაა. ყველაფერს ახსნა მოეძებნება, მაგრამ ეს უბრალო სიტყვები, ეს უსაფუძვლო მტკიცება მათ უფრო უბნევს გზა-კვალს, ყიდრე ნებისმიერი სასწაული. რა არის მკვდრის გაცოცხლება სულის ხელახლა შობასთან შედარებით? ამჯერად ძე კაცისა გულგრილია გარშემო მყოფთა ყარული აზრებისადმი. მისი ყურადღება მთლიანად ამ საცოდავი თმაჩამოშლილი, მტირალი ქალისაკენაა მიმართული, რომელსაც ხელთ დაცარიელებული ჭურჭელი უბყრია. იესო დასცქერის თავის ფეხებთან განრთხმულ სხეულს, რომლის თავგადასავალიც მან კარგად იცის; დასცქერის ამ წაბილწულ ტაძარს, სადაც უკვე ერთი წამია სამებამ დაისადგურა.

გამოუსწორებლები ამ მაგალითით მაინცდამაინც ნუ გათამამდებიან. მას, ვისაც მან ბევრი მიუტევა, ძლიერ უყვარდა. ამ შომნანიებლის სიყვარული მიტევებულ ცოდვათა თანაბარია. მაგრამ ჩვენთაგან უმრავლესობისათვის უმადურობაა ჩვენი დანაშაულის ტოლფასი და მით უფრო დაბლა ვეცემით, რაც უფრო მაღლა ავყავართ მოწყალებას. და თუ ეს ქალი ერთ საღამოს მაინც ხელახლა დაუმორჩილება ენებას... მაშინ მას კიდევ ვნახავთ ერთი ლივრა ნელსაცხებლით ხელში უფლის ვნების წინ უკანასკნელი მირონცხებისათვის, ბოლო შენდობისათვის მისულს.

XII

მარიამ მაგდალინელის ეშვაკები

ერთი შტრიხი გვაძლევს თმაჩამოშლილი მონანიე ქალისა და მარიამ მაგდალინელის გაიგივებას. საქმე ისაა, რომ სახარებებში ამ უკანასკნელზე ყოველთვის ისე ლაპარაკობენ, როგორც იმ ქალზე, რომელიც უფალმა შვიდი დემონისაგან გაათავისუფლა. ნელსაცხებლით დარბაზში შემოსული ცოდვილი ქალი უცნობი არაა ძე კაცისათვის. აუცილებელი არაა მასაც სხვებივით უახრას: „მიგეტევინ შენ ცოდვანი შენნი...“, რადგან ეს პატიება მას უკვე მიღებული აქვს. სწორედ ეს თვალცრემლიანი არსება გაათავისუფლა მან კარგადი ხნის წინ ეშვაკებისაგან. როგორც ჩანს, ქალმა შემობრუნების გზაზე უკვე მიაღწია იმ მონაკვეთს, როცა სიყვარულის სინათლეში გახვეული სული ერთბაშად აღმოაჩენს თავის ცოდვათა სიმრავლეს და თითოეულის სისაძაგლეს ჩასწვდება, ჩაჭყვება მათ ნათრევი სულის ყველაზე ღრმა კუნჭულში და იკარგება უსახდერო სირცხვილისა და მოვალეობის გრძნობათა ხლართებში.

ეს ქალი სიყვარულით უფრო მძლავრადაა შეპყრობილი, ვიდრე აღრე შვიდი დემონით იყო; ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, თუ როგორ გადავიდა იგი

ერთი მდგომარეობიდან მეორეში, რადგან ამის თაობაზე დუმს სახარება. ხან-
გრძლივი თუ ხანმოკლე იყო ბრძოლა? გვინდა გავიგოთ, ყოველი ხორციელის
მპყრობედმა მთელი თავისი ღვთაებრივი ძალა გამოიყენა მის მოსაკონინებ-
ლად თუ, პირიქით, თავის ნებაზე მიუშვა და მიენდო სიყვარულს, რომელიც
მის ძახილზე ჩქეფას იწყებდა, ამოდენა ნაგვის გროვაზე, ყოველგვარ სიბილ-
წეს რეცხავდა და სირცხვილის გრძობას უღვიძებდა.

ეს სირცხვილი და ეს სიბილწე ჩვენთვისაც ცნობილია. ფარისევებს
ეზიზღება დანოქილი და მტირალი ქალი, რადგან, უმწიკვლოთა აზრით, მას არ
უნდა ვაეკარო. მარიამ მაგდალინელის შვიდივე ეშმაკი ერთშია თავმოყრილი.
მხოლოდ ერთი დემონი არსებობს, თუმცა მას ათახნაირი სახე აქვს, და ბო-
როტების ყველა ნაირსახეობა იმ აეხორცობაში იფურჩქნება, რომლის ხსენე-
საც კი აწიოლებს ხოლმე წმინდანთა სახეებს.

აქ საქმე უბადრუკ სისუსტეებს, ყველა ადამიანისათვის ჩვეულ ნაკლოვა-
ნებებს, იმ უსიამოვნებებს კი არ ეხება, რომლებიც შეურაცხყოფენ ახალგაზრ-
დებს და სირცხვილით სწვავენ ასაკოვან ხალხს, არამედ იმ შეპყრობილობას,
რომლის მსხვერპლიც ხდება ზოგიერთი ადამიანი, რომელიც ვიუდება თავის
სხეულზე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, და ვისთვისაც ამქვეყნად მოსვ-
ლის მთელი აზრი სწორედ ხორციელ სრულყოფაშია. სწორედ ისინი არიან
შვიდი დემონისაგან შეპყრობილნი, რომელთაც ჩვენ შვიდ მომაკვდინებელ
ცოდვას ვუწოდებთ.

უპირველესი ცოდვა ამპარტავნებაა: შეძავი სიგიჟემდე ტკბება გულებზე
თავისი ძალაუფლებით, იმით, რამ შეუძლია მათი ტანჯვა, ეჭვით შეპყრობა,
მოყვარული ადამიანების ერთმანეთისაგან დაშორება. რომელია ამ მხრივ უარე-
სი, ქალური უღმობლობა თუ მამაკაცური პატივმოყვარეობა? ჩვენ გვქონია
შემთხვევა მოგვესმინა უგულგრილესი აღიარება: „ის კაცი ჩემ გამო მოკვდა...
ამ ქალმა ჩემთვის თავი მოიკლა...“

მკვლევები. და თუ ყველა ამ აეხორცს არ დაუდვრია ზრდასრული ადა-
მიანის სისხლი, მათ დანიშნულებისაგან გადახრილი აქტის დროს გაანადგურეს
ჯერ კიდევ დაუბადებელი სულები და დაბადებულებიც მოსპეს.

ბიწიერებით საესე ხორციელთ ძეაღსა და რბილში აქვთ გამჯდარი ინ-
სტინქტი, რომ მართლ არ უნდა დაიღუპონ. ეს დიდი ხროვა, როგორც ქრისტე
გაჩვენებს, დაღუპვის ფართო გზაზე მიიჩქარის, ერთმანეთს აწვება და ჭუჯ-
ლუგუნებს ჰკრავს. ისინი შემთხვევით არ შეყრილან ერთად: ერთმანეთს ეძებ-
დნენ და იპოვეს კოდეს. ცოდვიანებსა და მრუშებს ერთმანეთი სჭირდებათ
თავის დასაღუპავად. ბაკში ჯიშის მიხედვით დაჯგუფებულ ცხოველთა მსგავს-
სად ისინიც მანკიერებათა მიხედვით გროვდებიან. თითოეული ბიწიერება ცალ-
ცალკე აღმართავს ადამს თავისი ერთგული ჯოგის თავზე. განკითხვის დღე
მათ ერთად მოუსწრებთ, საჭირო არ იქნება ქვეყნის ოთხი კუთხიდან მათი ბუ-
კით მოხმობა. მწერთა გუნდი უკვე შეკრებილია და შავ ანგელოზს მათი დაჭე-
რაღა დარჩენია.

თუმცა მათ ბიწიერება აღუდაბებთ, მაგრამ შური, ეჭვი და სიძულვილი
თხრის მათ შორის უფსკრულს. ეს მათი სიგიჟეა, მაგრამ თავს გამარჯვებულად
მხოლოდ მაშინ თვლიან, როცა ერთმანეთს ტანჯავენ.

პატარა ეშმაკები დაბობდავენ ამ ღვარძლიანი და მომაკვდინებელი ავხორ-
ციობის ნაკადში. მარიამ მაგდალინელის, ისევე როგორც ყველა დიდი ცოდვი-

ღის, გასაკიცხი გაუმადლობა, წუთიერი ავხორციობის წარმავალი ახირება კი არა, ხანგრძლივი ნეტარების ძიება უნდა ყოფილიყო. ქალს წესით აღკობო-ლი უნდა სძულდეს, მაგრამ სიყვარულის წამალივით ყლაპავს მას და უცრად სულის უკანასკნელ დარაჯებსაც ეძინებათ, სირცხვილი შორდება, რაც ქაქვს სიყვარულ ადამიანთა ხსოვნა, დაბრკოლებები ერთმანეთის მიუყვებოდა. ალკობოლი და ნარკოტიკები თავის ერთგულებს ქვენა სამეფოს გასადებებს აძლევენ.

თმაჩამოშლილი ცოდვილი ქალი უეჭველად მარიამ მაგდალინელია, რად-გან ის განთავისუფლებული იყო შეიდი დემონისაგან. და ჩვენ სასწაულის წარმოდგენას უცდილობთ: მისი ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლას. „რო-გორი იყო და როგორი გახდა!“ წამოიძახებს ბოსიუე.¹ სინამდვილეში ალბათ არც იყო „სცენები“. ის, რასაც ქრისტეს თვალსაჩინო ქმედებაზე ჰყვებიან, არაფერია იმასთან შედარებით, რასაც იგი ადამიანთა სულში ახდენს. ძე კა-ცისა უკვე ცხოვრობდა და მოქმედებდა ისე, როგორც ცხოვრობს და მოქმედებს უხილავი ქრისტე. მარიამ მაგდალინელის ამბავი გათამაშდა ან შეიძლება გა-თამაშებულიყო ჩვენს სულელებშიც. ჩვენი საკუთარი განთავისუფლება თუ შეპყ-რობა გვეხმარება წარმოვიდგინოთ, როგორი იქნებოდა შეპყრობილი ქალის განთავისუფლება.

რადგან საქმე მართლაც შეპყრობილობას ეხებოდა: „რომელსა ერქუა მაგ-დალენელი, რომლისაგან შვიდნი ეშმაკნი განსრულ იყვნეს“. მეძავი შეპყრობი-ლი იყო. ვანა ავხორციობა სხვა ცოდვათა მსგავსი ცოდვა არაა? ცოდვილების და თვით ღვთისკენ მიდრეკილთა ოხვრა განკურნების შეუძლებლობაზე, მა-თი მუდმივი მიბრუნება ცდუნებისაკენ ნუთუ ჩვეულებრივი ცოდვის ნიშანია და არა პიროვნების ან მთელი მოდგმის შეპყრობილობისა?

არსებობს სენ-სირანის² საშინელი ტექსტი, სადაც ერეტიკოსი ერთი ოჯა-ხის მაგალითით გვიჩვენებს შეჩვენებულთა მთელ მოდგმას, სადაც შემკვიდრე-ობით გადადის წყევლა მამებიდან შვილებზე. ამ საშინელმა კაცმა შეძლო ისე წარმოედგინა შემკვიდრებითი წყევლის სახე, რომ მისი რწმენა ამგვარი სა-შინელების წინაშე არ შემკრთალიყო! მაგრამ ერთი კი მართალია, რომ შემკვიდ-რებითობის საიდუმლოება გვაუაღლებულებს შესაბამისად გულმოწყალების საიდუმლოებაც უირწმუნოთ: არსებობენ შეპყრობილი გვარები. გადაგვარების მარცვალი არ ნადგურდება დაცემული ადამიანის სიკვდილის შემდეგ. მისი ხორციელი შვილები მისი გულისთქმის შვილებიც არიან და ამ საშინელ ჩი-რადღანს ძალაუნებურად გადასცემენ შთამომავლობას.

ამ კოშმარიდან თავის დასაღწევად საკმარისია შვიდი ეშმაკისაგან გან-თავისუფლებულ, მიმნანიებულ სულზე დაკვირვება. მარიამ მაგდალინელმა დასძლია ხორცის ფატალურობა. სიყვარული მხოლოდ სიყვარულით დაიძლევა და მანაც აანთო ვნების საწინააღმდეგო ცეცხლი. ოდესღაც მთელ მის ცხოვ-რებას, მთელ ქვეყნიერებას მისთვის მხოლოდ ერთი ადამიანი სძენდა აზრს (და ეს ადამიანური სიყვარულის მართლაც ბანალური საიდუმლოა, ყველაფერი უფასურდება და უმნიშვნელო ხდება, რაც კი ჩვენი სიყვარულის საგანს არ ეხება). დღეს კი ქრისტე სწორედ ამ სივიყით რჩება მოგებული: ქალისთვის

1. ბოსიუე ვაკ-ბენინ - (1627-1704) ფრანგი პრელატი; ქ. მოს ეპის-კოპოსი.
2. სენ-სირანი - ფრანგი ერეტიკოსი.

ხელახლა ისპობა ქვეყნიურება, მაგრამ ამჯერად ღმერთაკაცის გამო, ქალის-
ივის საკუთარი სხეულიც კი ჰკარგავს მნიშვნელობას, ძველი სურვილი მკვდ-
რია. სიწმინდე და თაყვანისცემა ერთმანეთს თანხედება და რიგდება ამ დამ-
ცხრალ სულში. მარიამ მაგდალინელი შედის იმ დარბაზში, სადაც ქრისტე მა-
კიდას უზის, მიდის პირდაპირ მისკენ, სხვა სტუმრებს ვერც კი ამჩნევს. აღა-
რაინაა ქვეყანაზე იესოს და იმის მეტი, ვისაც უყვარს იესო. და აი, მისი სიყ-
ვარული იქცა მის ღმერთად.

იგი მომხანიებელი ცოდვილია. ის, ვისაც უკვირს, თუ რატომ არ შეუძლია
თავდაცვა, ქრისტიანად მოქცევისას რწმენაში ეძებს დიდი სიამოვნების წყა-
როს. მაგრამ შეიდი ღმერთისაგან დათესილ სულში ძლივს ამოთხრილი ღვარ-
ძლი კვლავ გამრავლდება, თუ მიწა დაულაღავი შრომითა და ცრემლით დამუ-
შავებული, დახნული და გადაბრუნებული არ იქნება.

თავისი ცხოვრების ამ წუთებში მარიამ მაგდალინელს უნდა ჰქონოდა
ისეთი შეგრძნება, როდესაც მთლიანად ღმერთს მინდობილ ადამიანს ზანდაზან
კიდევ ესმის ძველი ვნების დამშეული ყმული. მაგრამ მაგდალინელი მკვდარია
იმისათვის, რაც მიატოვა, რასაც ხან ერთ და ხან მეორე კაცში ეძებდა, მას
აღარაფერი დააშორებს უფაღს.

იგი ყველგან თან ახლავს იესოს, მგონი, ცოტა ველურივით დაბნეული, და
არ ჩერდება მანამ, სანამ თვით იესოს, ძელზე სამი ღურსმნით მიკრულს, აღარ
შეუძლია წინსვლა, თუნდაც დიდი ტანჯვის ფასად. მაშინ მარიამ მაგდალინე-
ლიც გაშეშდება ბოლოს და ბოლოს მიღწეული მიზნის, ამ სისხლიანი ძელის
პირისპირ; მაგრად ეხვევა მას, სანამ მისი ღმერთის წამებულ სხეულს არ გარ-
დამოხსნიან და იქვე ახლოს გამოთხრილ აკლდამაში არ დაახვენებენ. სახამ-
იცის, სად ასვენია თუნდაც უსიცოცხლო წმინდა სხეული, მისთვის არაფერია
დაკარგული, რადგან ალბათ ჰგონია, რომ თავს მკვდრად აჩვენებს. ძლივს შორ-
დება სამარხს, ხელსაცხებლის საყიდლად მიდის. და აი, გამოთენისას იაკობს
ღედასთან — სალომესთან ერთად ისევ იქაა. ახლავს ფხიზლდება ამ პირდაფ-
ჩენილი ორმოს, ამ სიცარიელეში შეღებილი კარის წინ. წაუღიათ მისი უფლის
სხეული! ნეტავ სად დამარხეს იგი?! ის შველას ითხოვს, მიმართავს მებაღეს
და ვერ ხედება, რომ მის წინაშე იესოა („როცა ფიქრობთ, რომ ჩემგან შორს
ხართ, სწორედ მაშინ ვარ თქვენთან ყველაზე ახლოს...“ წერს „მიბაძვის“ ავ-
ტორი!).

მონანიების დრამაში მონაწილე თითოეული პერსონაჟი იმ უამრავი ადა-
მიანის პროტოტიპად გვევლინება, ჩვენ რომ კვლავ ვხვდებით ცხოვრებაში.
მარიამ მაგდალინელის მსგავსი სულები იმის შემდეგაც ავსებენ ქვეყანას, რაც
მან ის დატოვა. ამერიიდან ყველაზე ბილწმა არსებებმაც იციან, რომ ყველაზე
საყვარელნი იქნებიან, რადგან ყველაზე ბილწები იყვნენ. მარიამ მაგდალინელის
მაგალითით დადგინდა თანაფარდობა სიმდაბლესა, საიდანაც ქრისტეს ზოგი-
ერთი ქმნილებანი ამოჰყავს, და მისგან გადარჩენილების მისდამი სავალდებუ-

1. „მიბაძვა“ — „მიბაძვა იესო ქრისტესი“ უცნობი ავტორის ლათინური
ნაწარმოებია; ზოგ მეცნიერს იგი თომას კემპის ნაწარმოებად მიაჩნია, რადგან
ჩვენამდე მოღწეული პირველი ხელნაწერი 1441 წელს მისი ხელითაა გადა-
წერილი.

ლო სიყვარულს შორის, და თუ თანხმობა იქნება, თვით უხამსობიდანაც აღდგება სიწმინდე.

სხვა გარყვნილთა შორის მეძაეი ისაა, ვისზედაც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არავითარი სირცხვილი არ შეაჩერებს და რომ მისთვის არ არსებობს სიმდაბლის ზღვარი. მისი მოწოდებაა არაფერზე თქვან უბრალო, რასაც კაგრძნობის ამ უსასრულო მორევში, აბსოლუტის ამ ძიებაში ნათრუელი კაცე გამოიგონებს. წარმოუდგენელი ცვლილებაა მარიამ მაგდალინელი თავის მოწოდების ერთგული რჩება: ის არ ეუბნება უარს, მაგრამ კაცებს კი არა, ღმერთს. ის ხელახლა იწყებს დაუღალავ ძიებას, მაგრამ ამჯერად ფეხდაფეხ მისდევს თავის უფალს, თავის ღმერთს. ქალი ისევ გიჟია, ოღონდ ჯვრის სიკვივე შეეწაცვლა სხეულისას; უწინდელივით ყველაფერს გადაჭარბებით ეძლევა, მაგრამ იმ სფეროში, სადაც გადამეტება ამიერიდან დაშვებულია, სადაც არ არსებობს სიწმინდისა და სრულყოფის ზღვარი, გარდა ჩვენი ზეციერი მამის სიწმინდისა და სრულყოფისა.

იგავები

რა თქმა უნდა, ეს მომნანიებელი მიეკედლა ქალთა იმ ჯგუფს, რომელიც იქსოს ნიუთიერად ეხმარებოდა. ზოგიერთი მათგანი მის მოწაფეებზე უკეთესი წარმომავლობისა იყო (ლუკა ასახელებს იოანეს, ჰეროდეს ეზოსმოდვრის — ქოზას ცოლს).

მის მიერ დახსნილი სულებით გარშემორტყმული იესო ტბის ნაპირას აუწყებს უფლის სასუფეველის დადგომას. მთაზე მან ჯიქურ შეუტია ფარისევლებს. აბლა კი იგი ესაიას მსგავსად, რომელსაც განრისხებულმა ღმერთმა უბრძანა: „არქუ ერსა ამას: სძენით გესმოდეს და არა გულისხმა-ჰყოთ და მხედველნი ხედავთ და არა იხილიათ.“ იგავ-არაკებს აფარებს თავს. იესო ბავშვებს მიმართავს და ამბებს უყვება. ძალიან ღრმად უნდა მოიძიოს ამ არაკთა აზრი: ღმერთი თავს იმცირებს, მიწაზე ჯდება, თავს უყადრებს ყველაზე პატარებს და ესაუბრება იმაზე, რაც მათ იციან: თესლზე, ღვარძლზე, საფუარზე. იგი ჭეშმარიტებას ისეთ უბრალო სამოსში ახვევს, რომ მეცნიერნი მას ვერ იგებენ. მე კაცისა თავის მოძღვრებას ხატოვან საბურველში ხვევს, რადგან საჭირო არაა თავისი უამის წინგასწრება, ჯერ არ დამდგარა უამი სიკვდილისა.

ამასთანავე უნდა გაუფრთხილდეს მოწაფეებს, განსაკუთრებით თორმეტს. ამ ჯიუტ ებრაელებს ვერაფერი გადაარწმუნებს თავიანთი უფლის ამქვეყნიურ კამარჯვებაში. ეს რწმენა ისეა ფესვგადგმული მათში, რომ მისი სიკვდილის წინაც ზებედეს შვილები მის ტახტთან ადგილის დაკავებაზე კამათობენ. იესო მოიბინებოთ, მათი თანდასწრებით ცათა სასუფეველს დათესილ მარცვალს ადარებს, რომელიც მიწაში ღვივდება, შემდეგ ამოდის და ღროულად მწიფდება. ეუბნება, რომ სასუფეველი წააგავს ყველა თესლთაგან უმცირესს, რომელიც ღროთა განმელობაში ჩიტების ბუდეებით სავსე დიდი ხე შეიქნება. იგი მათ ყველაზე მწარე სიმართლისათვის ამზადებს: რომ სხვა მთესველიც არსებობს, ვინაც ღვარძლს თესავს უფლის ყანაში; ხოლო თავთავს ღვარძლისაგან მხოლოდ მკის დამთავრებისას არჩევენ... მაშინ ღვარძლი დაიწვება. ვფიქრობ ცეცხლმოკიდებულ სარეველა პალახზე, რომლის კვამლიც უძრავად დგას სიფლის თავზე ზაფხულის საღამოს, როდესაც ნიავიც კი არ იძვრის. ღვარძლი მარცვლის აღმოცენებამდეც ღვარძლი

იყო. ღვარძლის მარცვალი უკვე მიცემული ჰქონდა მტერს დასათესად. ცუდი ბაღახი, ცუდი გულები...

მაგრამ ღმერთის საუფლო კიდევ ჰგავს ცოში არეულ ცოტადენ საფუარს. მიუღი კაცობრიული ცოში აფუვდება უჩინარი და ყოვლისშემძლე მადლით. ქრისტესაგან ყველაზე დაშორებული გულებიც კი გაიხარებენ. მან არ იქნება ბრწყინვალე და თვალშისაცემი. სიყვარული უნდა დაიწყოს და დაიფლოს აქვეყნად. ქრისტე კიდევ იკავებს თავს, არ უძხვლს მათ, რომ თვით იქნებ დამალული ამ ქვეყნის აღსასრულამდე და რომ მსხვერპლი იცოცხლებს ადამიანთა გულებში. იგაკები არჩევანის შესახებ ერთდროულად დამამშვიდებელი და საშიშნი არიან, ისინი ანათლებენ კეთილ ადამიანებს და აბრმავებენ ბოროტებს. „თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლო სასუფეველი ცათასა, ხოლო მათდა არა მიცემულ არს. ამისათვის იგავით ვეტყვი მათ, რამეთუ ხედვენ და არა ხედვენ, ესმის და არა ესმის, არცა გულისხმავიან“. დაე, სხუებმა შეატრიალ-შეატრიალონ ეს საოცარი და საშინელი სიცხადის ტექსტი. ეს ღმერთის სიტყვაა, რომ არჩევს და ჰყოფს, ერთი სული მეორეს რომ ურჩევნია, რადგან იგი სიყვარულია.

დამცხრალი ძარიუსალი

მის მეგობრებს არაფერი გაეგებოდათ, ერთი კი მაინც იცოდნენ, რომ იგი სიყვარული იყო და რომ გიჟური შიში კი არა, რწმენა იყო საჭირო. ისინი მას ბავშვებივით, ცხვრებივით გარს ეკეროდნენ. ერთ დღეს, როცა ტბის მეორე მხარეს გადასულა სურდა, ქარიშხალი ამოვიარდა და ნავი წყლით აივსო. იესოს ნავის კიბოზე, მუთაქაზე მიწოლილს ეძინა. მოწაფეებმა ყვირილით გააღვიძეს: „მოდღუარ, წარწყმდებით!“ მაშინ თავადი წამოდგა, შერისხა ზღვა და ჩამოვიარდა დიდი მღუმარება. ისინი შიშით შესცქეროდნენ ფეხზე მდგომ კაცს, რომელსაც ქარი თმას უწეწავდა. მათ ახლა სხვა რამ აშინებდათ: მას ვეღარ სცნობდნენ. სადღა იყო მათი მოძღვარი, ახლობელი, ნახი და მრისხანე? ხისხლისაგან და ხორცისგან თავდალწეული უცნობი ღმერთი მათ აშინებდა. ავადმყოფთა განკურნება და თვით მიცვალებულთა მკვდრეთით აღდგენა დიდმა წინასწარმეტყველმა უნდა შესძლოს. ეს მათაც კი შეუძლიათ... მაგრამ შეუძახო ქარს და ზღვას და დამორჩილო... „ვინ არის ესე?“ – გულში უკვირდათ ამ საცოდავ ადამიანებს და უეცრად მათ იცნეს მგზნებარე. ცოტა გაღიზიანებული ხმა: „სადა არს სარწმუნოება თქუენი?“ გულის სიღრმეში ქრისტე არ ბრაზობდა შემზარავი ძალის უეცარი გამომჟღავნებით აცახცახებულ თავის ქმნილებებზე. ეს ბევრად მეტი იყო იმაზე, რაც მოკვდავ არსებებს შეუძლოთ აეტანათ. თვით მან კი იცოდა, რომ მე კაცისა უფრო გასაოცარ სასწაულებს ახდენდა, როცა ვნებისაგან უფსკრულივით ხახადალებულ გულს ამშვიდებდა: არც ქარი და არც ზღვა მას არ ეწინააღმდეგება, მაგრამ სიყვარულისაგან გაგლეჯილ გულს, ვნებისაგან აღგზნებულ სხეულს წინააღმდეგობის გაშმაგებული ძალა აქვს. მაშინ ქარი „არას“ ყვირის და სახეში სცემს უძლურ ღმერთს.

ლაღარინელეთან

იესო გენესარელთა ანუ ღადარინელთა ქვეყანას მიადგა, რომელიც გალილეის პირდაპირ იყო, ალბათ დღეს ნახგრევებად ქცეულ სოფელ კურსის ახლოს. რატომ ვადალახა ზღვა? ამ ნაპირზე მარადიული მტერი აფარებდა თავს, რომ

რელიც ახლა კარგად იცნობდა მას, და აღარ აცდუნებდა. იქ მეოფი ცარიელი სამარხებიდან ერთი შიშველი ეშმაკეული გამოვიდა, ეშმამ მას ჯაჭუებას განწყვეტის ძალა მისცა, რომლითაც იყო შებორკილი. ეშმაკეული უფლისავენ გაიქცა და მის ფერხთით განერთხა: „რაჲ ძეს ჩემი და შენი, იესო, ძეო ფშქოფსუქ მაფლასაო? გაფუცებ შენ ღმერთსა, ნუ მტახჯავ მე“. მან განაცხადა, რუმ „ფეფეცუფი“ უქცა. ეს იყო უთვალავი ეშმაკი, რომლებმაც შეპყრობილი ადამიანის განთავისუფლების შემდეგ ღორებში შესვლის წყალობა მიიღეს; მთელი კოლქი გამადლებული გაეშურა ტბისაკენ და იქ დაინთქა. დამფრთხალმა მელორეებმა განგაში ატყბეს და მთელი მოსახლეობა შევევედრა იესოს წასულიყო. ძე კაცისა მარტო სიყვარულს ან სიძულვილს კი არ აღძრაუდა, არამედ შიშსაც. სხეულში ჩაკარეული ღმერთი, ფარისევლები რომ ვერ ამჩნევდნენ, თავისი მრისხანე არსებობით მღელვარებას იწვევდა. რა ვიცით ჩვენ ცთომილთ ანგელოზის ბნელი სიყაროს შესახებ?

კურსის მცხოვრებთ შეეშინდათ იესოსი: შიში რწმენის უმდაბლესი ფორმაა. გლეხები არ ცდილან გაეგოთ, ვინ იყო იგი. ის იყო კაცი, რომელმაც მათი ღორები გააგოქა. დღეს ღორები... რა მოხდება ხვალ, თუ ის მათ შორის დაყოვნდა? გლეხებს თავიანთი პირუტყვი უფრო აღარდებდათ, ვიდრე თავიანთი სული. თუ კაცისა მათზე არ ბრაზდება, „ყოფილი შეპყრობილი“, უკვე შეშოსილი, ქრისტეს ფერხთით ჩაცუტქულა, ევედრება მას, შენთან დავრჩებიო; იესო კი უბრძანებს, იქ იცხოვროს, სადაც ცხოვრობს, ყველას უამბოს თავისი განთავისუფლების ამბავი და ამ საცოდავ ხალხს ღვთის სასუფეველი უქადაგოს. ამგვარად ეს კაცი პავლე ტარსელის¹ წინამორბედი გახდა: პატივი უნდა მივაგოთ ამ უცნობს, როგორც პირველ წარმართ მოციქულს.

აღფრთოვანებას ან სიძულვილს მიჩვეული იესო გენესარეთელების შიშს უნდა შეეწუხებინა. ისინი ეშუდარებოდნენ, ეხვეწებოდნენ, რომ მათ განშორებოდა. მათი შთამომავლობა უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე ჰგონია. მათი შთამომავალია ყველა, ვინც მოწოდება გაიგონა, ვინც დაინახა, ვისაც შეხების წერტილი ჰქონდა, დაბოლოს ვინც იცის, რომ ჭეშმარიტება ცოცხალი პიროვნებაა. მაგრამ ეს საბრალო ხალხი ჩაფლული იყო თავის საქმეებში, თავის გულისთქმაში. მათი ოჯახები ჰყავდათ შესანახი, დაუოკებელი ვნებები ჰქონდათ. მათ ცეცხლზე უფრო იმ სიყვარულის ეშინოდათ, კვალს რომ ტოვებს ადამიანის სულსა და სხეულში, სხეულს რომ სხეძავს და შიგ გულში ჭრის ადამიანს: ნეტავი თავი დააჩებონ მათაც და მათ ღორებსაც! ჯვარი სივიჟეა და ანგელოზებად თავს მოჩვენება მათი საქმე არაა. ამას გარდა ისინი საღად მოაზროვნენი არიან. ღვთის საუფლოს მისადგომები მოფუთფუთე ეშმაკებითაა სავსე და ეს უკან ახვეწებს მათ.

იპიროსის ქალიშვილი და იესოს სამოსის კალთა

იესო მოწყენილი ავიდა ნავზე უკან დასაბრუნებლად. და როდესაც ბოლოს და ბოლოს ტბის მეორე ნაპირს მიუახლოვდა, რა სიხარულით დაინახა მისკენ მომავალი ადელეუებული და ახლობელი ხალხი! ოჰ! აგი მათ, ვინც გარს ეხვევა და სიარულს უშლის, ვერავეითარ სათხოვარზე უარს ვერ ეტყვის! აი, სინავოგის წინამძღვარს, იპიროსს გზას აძლევს წვრილი ერი. იპიროსი ფეხებში უვარდება

1. პავლე ტარსელი — მოციქული პავლე (სავლე) დაიბადა ქ. ტარსში ახ. წ. აღ. 8 წ.

უფალს, ევედრება, სასწრაფოდ წამომყვივი, ქალიშვილი მიკვდებაო, მაგრამ იმდენი ხალხია მოჯარული, რომ იესოს გავლა უჭირს.

უეცრად აღამიანთა ამ ფუთფუთში იესომ იგრძნო, რომ მასში მყოფმა ღვთის ძემ ეს-ესაა რაღაც უადრესად დიდი ჩაიდინა: „ვინ შემახო მე?“ ყველამ თავის მართლება დაიწყო. პეტრემ სიცილით უთხრა: „ერნი გარე მოვალვან და შეგაიწრებენ შენ და შენ იტყვი: ვინ შემახო მე?“ მაგრამ უფალმა იცოდა, რომ ძალა გავიდა მისი სხეულიდან. მაშინ ერთი აცახცახებული ქალი განერთხა მის წინ. თორმეტი წელი სისხლის ღვთის იყო დაავადებული, ექიმებმა გააკოტრეს. ის მაღულად შეეხო იესოს სამოსის ქობას და აი, იგი განკურნებულია! იესომ შეხედა და უთხრა: „სარწმუნებამან შენმან გაცხოვნა შენ: ვიდოდე მშვიდობით“.

ამ დროს იაიროსის ერთი მეგობარი მორბის და ამბობს: აღარაა წამოსვლა საჭირო, გოგონა მოკვდაო. უფალი ეძებს იაიროსის მშერას, დღეს სინაზისა და სასწაულების დღეა. არასოდეს ასე ძლიერ არ ჰყვარებია ეს ხალხი, რომელსაც მისი არ ეშინია და სიარულს უშლის, რომელიც ეხება მისი მოსახლამის ქობას!

— ნუ გეშინინ, იაიროს, გარნა გრწმენინ ხოლო.

შიში კი არა, რწმენაა საჭირო. იესოს რწმენა წყალობათა წყალობაა და სათნობათა სათნობა ერთდროულად. ვისაც სწამს, ის გადარჩენილია. ღვთის საჩუქარი იმისთვისაა, ვისაც სწამს ღმერთი. ხსნისთვის აუცილებელი სათნობა ღვთისაგან ბოძებული ძალაა. რა უნდა იყოს ამქვეყნად ამაზე გასაოცარი? ნეტარნი ისინი არიან, ვისაც ბავშვური სითამამით, თვალდახუჭულებს შეუძლიათ მთელი ძალით ხელი ჩასჭიდონ სამოსის ქობას.

იაიროსი და მისი ცოლი შეუძღვნენ იესოს თავიანთ სახლში. პეტრეს, იაკობის და იოანეს გარდა არავინ შეჰყვლიათ. სარეცლის გარშემო მყოფნი არ სწყვეტდნენ ოხვრას, რათა დაეცინათ მკურნალისათვის, რომელიც მაშინ მოვიდა, როცა ყველაფერი დამთავრდა. მაგრამ მან თქვა: „ყრმა ეგე არა მომკუდარ არს, არამედ ხმინავს“. და შესძახა: „ყრმაო, აღდეგ!“ და გოგონა ადგა. იესომ მისთვის საჭმლის მიცემა ბრძანა.

XIII

პეროდე თავს კვეთს იოანე ნათლისმცემელს

ამ დღეების შემდეგ ღმერთკაცმა უდიდესი დაღლილობა იგრძნო. სწორედ ახლა სჭირდება დახმარება, ჯერჯერობით არა მთელი ქვეყნიერების, არამედ მხოლოდ ისრაელის დასაპყრობად. შეკრიბა თორმეტნი და მისცა მათ ძალა და ხელმწიფება უწმინდურ სულსა და ავადმყოფობებზე. იგი მათ მარტო არ ტოვებს მარტობის ღემონის წინაშე, ორ-ორს აგზავნის და წილად სრულ სიღატაკეს არგუნებს. ეს ერთადერთი წესია, რომელიც მომავალმა სათბებმა უაზროდ მიიჩნიეს, რომელსაც მისდევდნენ, მაგრამ მთელი სიწმინდით ვერ დაიცვეს ვერც ფრანცისკ ასიზელმა და ვერც წმინდა ტერეზამ.¹ ეს თვით ქრისტეს ცხოვრების წესია. დაე, მოციქულები განერიდონ ქარკასლებს და იმ სახლებში გაჩერდნენ, სადაც მათ მიიღებენ; დაე, ყველგან იქადაგონ ხორცის მოკვდინება, რადგან სულს მიჰყავხარ ღვთისაკენ, ხორცს კი ვახრწნილებსკენ.

გახრწნილება მეფობს ამჟამად ქვეყანაზე, რომელსაც ძე კაცისა აღადგენს.

1. წმ. ტერეზა — (1873—1897) ფრანგი წმინდანი. კანონიზირებული 1925 წლიდან.

პეროდე ანტიპა დანაშაულს დანაშაულზე ამატებს. პეროდემ ისურვა პეროდიადა, თაუისი ძმის ცოლი (ტეტრარქის¹ ძმას წმინდა მარკოზი ფილიპედ სხსენიებს, ისტორიკოსი იოსები კი² — პეროდედ).

მან იგი რომში გაიციო და, თუმცა ქალი უკვე ოცდაათს მიტანებული იყო, მოიტაცა და შეირთო მას შემდეგ, რაც გაეყარა დედოფალს, ნაბატუენის მეფის — არეტას ასულს.

ამგვარად ღვთის საუფლის შუაგულში აღმართულია სხვა სამეფო, რომელიც სულ არსებობს, სადაც თითოეულმა ჩვენსაგანმა მცირე თუ დიდი ხნით იცხოვრა, სადაც განუწყვეტლივ ვბრუნდებით, სადაც ღვინო ყველა სისუსტისადმი შემწყნარებელს გვხდის, სადაც ნაპატივები და ნელსაცხებლისანი სხეულები წვანან და ერთურთს ეკვრიან, სადაც გაწაფული გონება ბრწყინავს, ოხზავს, იმორჩილებს იქ მეოფთ, მაგრამ ლაფში სურის, ჭრილობას აყენებს და კლავს იქ არმეოფთ; სამეფო, სადაც ერთმანეთი სძულთ, ერთმანეთი სურთ, სადაც ერთმანეთს აძაგებენ, სადაც გახრწნილება გულიდან გულში გადადის: ეს სამეფო სააქაოა.

მაქერონტის სასახლეში მეოფე ცოდვილი პეროდე ანტიპა თავს ხრიდა, როცა მოდიოდა გამხმარი, აქლემის ბეწვით შემოსილი, საშინელი სანახავი იოანე და პირში ახლიდა: „არა ჯერ არს შენდა, ვითარმცა ცოლად გესუა ძმის ცოლი შენი“. პეროდიადას დაეინება რომ არა, თვითონ არასოდეს ჩახვამდა მას დილეგში. იქნებ ეს იმიტომ ჩაიღინა, რომ მისთვის თავშესაფარი მიეცა? რადგან, როგორც მარკოზი ვამცნობს, პეროდე პატივს სცემდა და მფარველობდა იოანე ნათლისმცემელს, ყურს უგდებდა მის რჩევებს ბევრ რამეში და სიამოვნებით უსმენდა ხოლმე.

მაგრამ ნათლისმცემელი მაინც არ უწყობდა მარგალიტებს ღორს, ამიტომაც არ ესაუბრებოდა მას ქრისტეზე, როგორც ამას ადასტურებს პეროდეს ძრწოლა იოანეს სიკვდილის შემდეგ. იესოს სასწაულების გაგებისას ის ამბობს: „იოანე ნათლის-მცემელი არს, რომელსა მე თავი მოვკვეთე და რომელი მკვდრეთათ აღდგომილ-არს“.

პეროდეს მეგობრობა თავის პატიმართან მართლაც ვერ გადასწონიდა პატიმრისადმი პეროდიადას სიძულვილს. ეს ბრძა გვირგვინოსანსა მონა, რომელიც მონანიების წივნის შუაში ჩნდება, ეს რომის წინაშე მოცახცახე გალილეის მფლობელი, უბადრუკი მეფე, რომლისთვისაც არ არსებობს დანაშაული, თავისი დამონების უკანასკნელ ზღვარს მიაღწევს. ქალს სურს წმინდანის თავი და ხელსაყრელ დროს ეღის.

ეს საღამოს მოხდება, შუა ქეიფის დროს, როცა სხეული ერთბაშად ბედნიერიცაა და აღვზნებულიც, როცა ღვინო პატივმოყვარეობას აქეზებს და თითქმის აუტანელს ხდის სჩულებსა და სულებზე ბატონობის ბედნიერებას. ყოვლისშემძლე პეროდიადას ამ უწმინდურ გულისთქმასთან თამაშის არ ეშინია; ვახშმის ბოლოს ის საცეკვაოდ უხმობს თავის შვილს — სალომეას. ეს გოგონა მას პირველი ქმრისგან ჰყავს. იქვე იყვნენ სასახლის კარის მსახურნიც და ყველა, ვინც კი რაღაცას წარმოადგენდა გალილეაში. „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა“ —

1. ტეტრარქი — (ბერძნ.) მეოთხედმთავარი. პალესტინის ოთხი ოლქიდან ერთ-ერთის მმართველი. იესო ქრისტეს ცხოვრების დროს პალესტინის ტეტრარქები იყვნენ: ლისანიუსი და პეროდე დიდის ვაჟები; მეოთხე ოლქს რომაელი პროკურატორი მართავდა.

2. იოსები — იოსებ ფლავიუსი (37—100 წწ.) ძვ. ებრაელი ისტორიკოსი.

ამ სიტყვებს ჯერ ფესვი არ ჰქონდა გადგმული. ნამდვილი ღმერთის თაყვანისმცემლებიც კი ამ დარბაზში თვალებით სჭამდნენ ამ ნორჩ ასპიტს. „რატო ითხოო, მიგცე შენ, ვიდრე ზოგადმდე მეფობისა ჩემისა!“ — ყვიროდა მეოთხედმთავარი თავისი სრული ხორციელი სიხარულის, ქვენა გრძნობების სრულ ექსტაზში მყოფი. ცხოვრება ამას ჰქვია, ის ცხოვრობდა; შეეძლო იმით ეტყობოდა, რომ ბუნდოვნების უმაღლეს მწვერვალზე იცხოვრა იმ სხვა ნეტარების — ხსენებულად, რომელიც იქიდან ერთი დღის სავალზე ხუნთქავდა, რომელიც ცოცხალი იყო ამ გალილეური წყვდიადის შუაგულში ერთ განცალკევებულ ადგილას, სადაც მეკაცისა განმარტოვებოდა ხოლმე სალოცავად.

გოგონა გავიდა და დედას შეეკითხა: „რა ვითხოო?“ პეროდიადამ უპასუხა: „თავი ითანე ნათლისმცემლისა“. პატარა სალომეას სულაც არ გაჰკვირვებია ეს და არც შეუცხადებია.

„და მწუხარ იქმნა პეროდე მეფე, ხოლო ფიცისა მისთვის და მის თანა შეინახეთა არა ინება შეურაცხყოფა ქალისა მის და მეყსეულად წარავლინნა მეხრმლე მისი და უბრძანა მოღებანი თავი მისი, ხოლო იგი წარვიდა და მოჰკუეთა თავი საპყრობილესა შინა. და მოიღო თავი მისი ფეშხუენითა და მისცა ქალსა მას, და ქალმან მიართუა დედასა თვისსა“.

და ითანე ნათლისმცემელმაც ბოლოს და ბოლოს იგრძნო სიხარული და გაიგო, თუ ვინ იყო იგი, ვისი წინამორბედიც იყო, და შეიცნო ქრისტე.

XIV

საბანელთან მწოდირამ ღვრდომილის ბანაკურება

ითანე ნათლისმცემლის მკვლევლობის მომდევნო დღეებში იესოს ამქვეყნიურმა სახელმა და დიდებამ, მის მიერ გაღვიძებულმა სიყვარულმა და უფრო მეტად სიძულვილმა უმაღლეს მწვერვალს მიაღწია (ამ ამბავმა მეოთხედმთავარიც კი შეაწუხა). აღბათ ამ დროს იყო იგი მცირე ხნით ასული იერუსალიმში ებრაელთა დღესასწაულზე, რომლის სახელსაც ითანე არ გვაძნობს. ეტყობა, ფარულად იმოგზაურა, თორმეტი მოწაფის გარეშე, რომლებიც წვეილ-წვეილად ჰყავდა წარგზავნილი გალილეაში. მარტოდმარტი აღმოჩნდა იგი მტრის ბანაკის შუაგულში იმისთვის, რისთვისაც იყო ამქვეყნად მოკვლინებული. იგი გველივით ფრახილად მოქმედებდა, ისე როგორც თავისთანებს ურჩევდა ხოლმე.

ერთ შაბათ დღეს ცხვართა საბანელის ხუთიდან ერთ-ერთ შესასვლელთან მან მშვიდად უბრძანა უკვე ოცდათვრამეტი წლის მანძილზე დამბლადაცემულ ადამიანს: „აღდეგ, აღიდე ცხედარი შენი და ვიდოდე!“ და წამსვე, თითქოს ცუდი რამ ჩაედინოს, ხალხში გაუჩინარდა. ებრაელთა აზრით ეს მართლაც დიდი დანაშაულია შაბათ დღეს დაზრდომილს აადებინო თავისი საწოლი. დაიწყეს გამოძიება და სასწაულით განკურნებულმა, რომელიც ამასობაში ტაძარში შეხვდა იესოს, ვასცა იგი.

მაშინ ნაზარეველი მიუბრუნდა ქოფაკთა ხროვას და მედგრად შეუტია. იგი ისეთი გაბედულებით ელაპარაკა ებრაელთა მისა და მამის ერთობაზე, რომ სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა წმინდა ქალაქი, რათა წყვდიადის ჟამის დადგომა არ დაეჩქარებინა.

პურის გაბეჭობა

ტბის ნაპირას მას თავიანთი მისიიდან მობრუნებული თორმეტი მოციქული ელოდა; თავადვე იყვნენ იმით გაოცებულნი, რაც ქრისტეს სახელით აღასრულეს. კერიოტელი იუდა იმ წუთში უნდა დარწმუნებულიყო, რომ ბუკლეს და ბოლოს მიაღწია მიზანს და რომ უფალი მაშინვე მოახდენდა გადატრიალებას მეშინ კი ხელსაყრელი იქნებოდა მისი ახლო მეგობრობა! ყველა ბედნიერი, აღელვებული, მაგრამ ქანცვაწყვეტილი იყო. იმდენი ხალხი აკითხავდათ, ლუკმის ასაღებადაც ვერ იცლიდნენ. მოძღვარს შეებრალა დაღლილი მოწაფეები და დასასვენებლად ერთ უდაბურ ადგილას წაიყვანა.

ხალხი ჭიანჭველასავით ავსებდა ყველა იმ უდაბნოს, სადაც ძე კაცისა გაივლიდა. მხოლოდ პეტრესა და ზებუდეს ვაჟების ნავში შეეძლო განმარტობა. ისინი მოშორდნენ ნაპირს, მაგრამ ხალხმა, მას რომ დიდი ხნიდან თან სდევდა, აღმოაჩინა მისი განმარტიების ადგილი. როდესაც იესო და მისიანები ტბის მეორე ნაპირს მიაღწენ, დაინახეს ხმელეთის გზით მოსული მთელი ეს ხალხი, რომელსაც მეზობელი ქალაქებიდან კიდევ მრავალი ადამიანი შემატებოდა. ეს იყო ღონემიხდილი, ერთგული და მიმნდობი სამწყსო. ყველა ამ ცხვრის თავი მისკენ იყო მიმართული. იგი არ გაბრაზებულა, ადამიანურმა გრძნობამ ააჩქროლა მისი ღვთიური გული; ღვთიური სიყვარული აჩქარებდა მის მაჯისცემას, რადგან სიბრალულის გრძნობა, სიტყვის განსხეულების შემდეგ, საერთო შეიქნა შემქმნელისა და შექმნილისათვის. ღმერთი საკუთარ თავზე განიცდიდა ღარიბების შამშილს, წყურვილს, ქანცვაწყვეტას. მას წილი ჰქონდა მათ ოფლში, ცრემლსა და სისხლში.

მაშინ, გვამცნობს სახარება, მან მად ბევრი რამის სწავლება დაუწყო. ჩვენ არ გვატყობინებენ, რაზე ელაპარაკებოდა ქრისტე ამ გულსხმიერ და ღონემიხდილ ხალხს სწორედ იმ წუთში, როდესაც ისინი ებრალებოდა; ალბათ იმიტომ, რომ კაცის ენა ამას ვერ გამოთქვამდა. ერთი კი ვიცით, რომ ათასობით შეკრებილმა კაცმა, ქალმა თუ ბავშვმა არად მიიჩნია, ბინდი რომ ეფინებოდა სოფელს. ისინი უსმენდნენ, მიენდნენ ამ საოცარ მოძღვარს. ის მანამდე ელაპარაკებდა, სანამ მოწაფეთა ჩურჩულმა არ შეაწყვეტინა:

— უდაბნო არს ადგილი ესე, და ყამი არსდა ფრიად. განუტევე ერი ესე, რათა წარვიდნენ გარემო სოფლებსა და სახაზებსა და იყიდონ თავისა მათისა საზრდელი.

პასუხისას გაღიზიანებული დაღლილობა გამჟღავნდა მოძღვრის კილოში: „ეცით თქვენ მათ ჭამადი!“ რა, ჯერ კიდევ ვერ გაიგეს, რომ ყოველივე ეს მისთვის უმნიშვნელოა?

ფილიპემ თქვა: „ორასისა დრაპკნისა პური ვერ კმა არს ამათა, რათა კაცად კაცადმან მცირედ რაიმე მიიღოს...“ იყო იქ ერთი ემაწვილი, რომელსაც ხუთი ქერის პური და ორი თევზი ჰქონდა. მაგრამ ეს ამდენ ხალხს რას ეყოფოდა? ხუთი ათასი ადამიანი დასხა იესომ მანდორზე... „და მოიხუნა იესო პური იგი და ჰმადლობდა და მისცემდა მოწაფეთა და მოწაფენი მისცემდეს ერსა მას, ეგრეცა თევზთა მათგანი, რაოდენი იგი უნდა მათ“. ნარჩენებით თორმეტი ვოდორი აავსეს.

დაპურებული ცხვრები აღარ არიან ცხვრები, ისინი მხურვალე მხარდამჭერებად იქცევიან. მათ იესოს გამეფება სურთ. აი წუთი, რომელსაც გულის ფანჯქალით ელის კერიოტელი კაცი, წუთი, რომელიც არაერთარ შემთხვევაში არაა ხელიდან გასაშვები. ვაგლახ! მუდამ იმედის გამცრუებელმა მოძღვარმა სიბნელით ისარგებლა და ამ საუკეთესო შესაძლებლობას დაემალა მთაზე განსამარტოვებ-

ლად, მოწაფეებს კი უბრძანა ნავში ჩამსხდარიყვნენ და კაპერნაუმისაკენ აეღოთ გეზი. მას მარტო ყოფნა სურდა. ალბათ აღელვებული იყო იმით, რაც ყველას თვალწინ ის-ის იყო აღასრულა და რაც უსაზღვროდ აღემატებოდა ამ საცოდავი ხალხის წარმოდგენის უნარს, — ასეა ხოლმე ესკიზის ქებით თავმოებურებული ხელოვანი, რომელიც გულში ქვეყნიერებისთვის ჯერ უცნობ შედეგს ატარებს.

წარმოდგენელი, „გაუგონარი“ პურის გაბეჭვება, პურისა, რომელიც მისი ხორცია, და ღვინისა, რომელიც მისი სისხლია. დღეს თუ არა, როდისღა გაბედავს ამის გამოცხადებას?

დიდი ხნის სიცოცხლე კი არ დარჩენია... დაღამდა, ქარი ამოვარდა, ქარს ალბათ მოჰქონდა იმ მრავალი ადამიანისაგან გადათელილი ბაღახის სუნი, ძე კაცისას რომ შეებრაღა. იესო თავისიანებზე ფიქრობს, რომლებიც ძლივსღა უსყამენ ნიჩბებს პირქარში მიძავალნი. მას მათთან შეხვედრა სურს და უმოკლეს ვხას ირჩევს.

იესო დაღის ფყალზე

დაუფიქრებლად დგამს მკვირცხლ ნაბიჯებს წყლის მღელვარე ზედაპირზე... ჩვენ ვიცით, რომ არც ერთი მისი სასწაული არ იყო უნებლიე. ძე ღვთისას არ დაავიწყდებოდა, რომ განკაცებულს არ უნდა ევლო ზღვაზე. და მაინც ისე იქცევა, თითქოს ისეთი ვინმე იყოს, ვისაც წყლის ზედაპირის ტკეპნის უფლება აქვს. ზღვის ქაფი ელაშუენებოდა მის ტერფებს, რომლებიც ცოდვილმა ქალმა თმით შეუმშრაღა. უეჭველია, მოვარე ანათებდა, რადგან იგი ხედავდა პირქართან მებრძოლ მენიჩბეებს. მარკოზი გვეუბნება: „უნდა თანა წარსლვად მათგან“. ეს მაშინ მოხდა, როცა დაინახა, ნიჩბებს ხელი რომ უშვეს და წამოდგნენ. სევდით აღვსილი მიხვდა, რომ საყვარელ მოწაფეებსაც ისევე ჰგვრიდა შიშს, როგორც კურსელ ხალხს. შორიდანვე დაუძახა: „მე ვარ! ნუ გეშინინ!“ მიუახლოვდა მათ, ნავში ჩახტა და ქარიც ჩაღვა და ზღვაც ჩაწყნარდა მის ქვეშ, ვისაც მიაცურებდა.

ღამის იღუმალებაში აღსრულებული ეს სასწაული, რომლის მოწმენი მხოლოდ თორმეტნი იყვნენ, გაცხადდა: ბევრმა ადამიანმა ნახა, მოციქულები რომ უმოდღვროდ ჩასხდნენ ნავში. ისინი სანაპიროს გამოჰყვნენ, კაპერნაუმში მოვიდნენ და გაიცდნენ, იქ რომ ნახეს იესო. ყოველი მხრიდან ისმოდა შეკითხვა: „რაბი, ოდეს მოხუედ აქა?“

ხალხი ეპებდა იესოს, რადგან მან ისინი დააპურა და კიდევ ელოდნენ მუქთა პურის მიღებას. ისინი მოუთმენლად, მზიარულად ელოდნენ ხელახალ დაპურებას. და აი, მათ უნდა ელაპარაკოს იესო პურზე, რომელიც სულაც არაა მხოლოდ პური! მაგრამ ძე კაცისა, რომელსაც ფარისევლები და მღვდელმთავრები გააფთრებამდე აღიზიანებენ, ღარიბთა წინაშე უსაზღვრო მოთმინებად იქცევა. სწორედ ეს მარადიული მოთმინებაა, მათ რომ აფრთხილებს:

— იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰგვის ცხოვრებად საუკუნოდ, რომელი ძემან კაცისამან მოგცეს თქვენ.

მან ისინი კაპერნაუმის სინაგოგაში შეიყვანა, სადაც მტრები უკვე შერეოდნენ წინა დღით დაპურებულ ბეჩავო, და გაისმა ბორბოტი ხმები:

— რასა სასწაულსა იქმ? რასა იქმ?

რა თქმა უნდა, მათ უკვე მოუყვნენ პურის ამ უცნაურ გაბეჭვებაზე... მერე რა! მათ იციან, რომ ამ თაღლითს ბევრი თინი აქვს მარაგში. და ბრბოს მოტყუებაც არაა ძნელი, ნამდვილი სასწაული — უდაბნოში მანანას წვიმაა. ასეთი

სასწაული ჩაიღინე შენც, პურის გამბევერებულო! „მამანი ჩუენნი ჭამდეს მანანასა უდაბნოსა ზედა...“

იესო ჩუმად იხრავს: მათ ის აღაფრთოვიანებს, რაც ჩრდილიც კი არაა იმისა, რასაც ძე ღვთისა აღასრულებს. მაგრამ ბევრს არ მოუნდება ამის დაჯერება. სასწაულთა სასწაული ისაა, რაც არ არის საკსებით გასაგებო, რადგან უცხოლოდ რწმენით შეიცნობა. განა არსებობს ადამიანთა უმრავლესობისთვის? რაიმე იმის გარდა, რასაც ხედავენ და რასაც ეხებიან? ო, მათ დასარწმუნებლად ცხოველმა სიყვარულმა ზეადამიანური ძალა უნდა გამოიჩინოს! მან იცის, რომ მომავალში ადამიანთა უზარმაზარი მასა განერთხმება პატარა სეფისკვერის წინაშე. განადგურებული და მარად ცოცხალი იესო ამ სახით ამაღლდება დედამიწის ყველა ქვეყნის ადამიანზე; და რას წარმოადგენს იერუსალიმსა და კაპერნაუმში მის გარშემო შემოჯარულ ებრაელთა ეს ხმაურიანი ბრბო მომავალ სიმრავლეთა პირისპირ? დადგა ყამი, უნდა ითქვას პირველი სიტყვა მიუწვდომელ სასწაულზე.

პური ცხოვრებისაჲ

— ამინ, ამინ გეტყვი თქუენ: არა მოსე მოგცა თქუენ პური ზეცით, არამედ მამამან ჩემმან მოგცა თქუენ პური ჭემმარიტი ზეცით და მოსცა ცხოვრებაჲ სოფელსა.

მაშინ მათ უთხრეს: „უფალო, მომეც ჩუენ პური ესე“. მან მიუგო:

— მე ვარ პური ცხოვრებისაჲ. რომელი მოვიდეს ჩემდა, არა კჰშიოდის და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არასადა სწყუროდის.

ქრისტე ძალზე აჩქარდა; ამიერიდან ველარ აუბნევს მათ თავგზას.

სუქარელი დედაკაცის წინაშე კი აღარ იხსნის ნიღაბს, არამედ თავისი მტრებისა და მეგობრების წინაშე და მეგობართა უმრავლესობა ამ უცნობი სახის დანახვაზე შეშინებული უკან იხევს. ამჯერად ველარ მოზღომა! და ფარისეველთა ყვირილი მის მოწაფეთა შორისაც პოულობს გამოძახილს. გმობის ბუტბუტი მას სიტყვას აწყვეტინებს. იგი მათ მთელი თავისი სიყვარულით იწვევს. ახლა ის ბოლომდე მივა და ერთმანეთს მოჰყვება განსაცვიფრებელი და შემზარავი მტკიცებანი:

„ნუ სდრტვინავთ ურთიერთას. ვერვის ხელ-ეწიფების მოსვლად ჩემდა, უკეთუ არა მამამან, მომავლინებულმან ჩემმან, მოიყვანოს იგი ჩემდა; და მე აღვადგინო იგი უკუანამსკნელსა მას დღესა... ამინ, ამინ გეტყვი თქუენ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ. მე ვარ პური ცხოვრებისაჲ. მამათა თქუენტა ჭამეს მანანასა უდაბნოსა და მოჰსწყდეს. ესე არს პური, რომელი ზეცით გარდამოხდა. უკუეთუ ვინმე ჭამოს მისგანი, არა მოკუდეს, არამედ ცხოვრდეს უკუნისამდე. და პური, რომელი მე მივსცე, ხორცი ჩემი არს, რომელსა მე მივსცემ ცხოვრებისათვის სოფლისა“.

„ილაღვიდეს ურთიერთას ჰურიანი იგი და იტყოდეს: ვითარმე ხელ-ეწიფების ამას მოცემად ჩუენდა ხორცი თვისი ჭამად?“

იქ სიცილიც უნდა ამტყდარიყო. იმ წუთში იუდა თავისთვის ფიქრობდა: „ახლა კი ნამდვილად დაიღუბა თავი, მისი ბრალია! მართო რომ იყოს, კიდევ პო! მაგრამ ჩვენც რომ გვითრევს“. და ორად გაყოფილ ბრბოს ჩურჩულს ფარავს ერთი კითხვა, რომელიც ისევ და ისევ გაიხმის: „ვითარმედ ხელ-ეწიფების ამას მოცემად ჩუენდა ხორცი თვისი ჭამად?“

იგი ღვთიური სახით მიიწევს წინ, ვითომ არაფერი ესმის, — მაგრამ ყველაფერს ისმენს! ვითომ ვერაფერს ხედავს, მაგრამ მხედველობიდან არ რჩება იმ უთვალავ გულთა უკუქცევა, რომლებიც მას ნელ-ნელა შორდებიან. ცეცხლის

ალი ძლივსდა პარპალებს, არადა, რამდენი წვალეა დასჭირდა მის ასანთებად! პატარა, მოკლე ფრაზებით ასხამს ალზე აბსურდულ, აუტანელ ჭეშმარიტებას:

– უკუეთუ არა სჭამოთ ხორცი მისა კაცისაი და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაი თავთა შორის თქუენთა. ხოლო რომელი სჭამდეს/ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებაი საუკუნომ, და მე აღვადგინო იგი უკუანაიკნელსა მას დღესა. რამეთუ ხორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასმელი არს. და რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგრომილ არს და მე მისთანა. ვითარცა მომავლინა მე ცხოველმან მამამან, და მეცა ცხოველი ვარ მამისა თანა; და რომელ სჭამდეს ჩემგან, იგიცა ცხოვნდეს ჩემ მიერ. რამეთუ ესე არს პური, რომელი ზეცით ვარდამოხდა. არა ეგრეთ, ვითარ იგი სჭამეს მამათა თქუენთა მანანაჲ და მოსწყდეს. ხოლო რომელი სჭამდეს ამას პურსა, მსცხოვნდეს უკუნისამდე.

სახარება ამატებს: „ესე თქუა შესაკრებელსა შორის და ასწავებდა კაპერნაუმს. მრავალთა უკუე მოწაფეთა მისთაგანთა ესმა ესე და იტყოდეს: ფიცხელ არს სიტყუაი ესე, ვის ხელ-ეწიფების სმენად მისდა?“

მრავალმა მისმა მიმდევარმა უკან დაიხია. მაგრამ ერთი მათგანი, ვისაც იესომ იმედი სამუდამოდ გაუტრუა, მათ არ შეუერთდა: კერიოტელი კაცი მძკინვარებას იოკებდა. ის გასულელებული და გამასხარავებული იყო, მაგრამ იქნებ კიდევ შეიძლებოდა ამ კაცს რამეს გამორჩენოდა? იმ წუთში იესო იუდაზე ფიქრმა მოიცილა. „იცოდა იესო პირუელთიგან, – ამბობს წმინდა იოანე, – ვინ არს მიმცემელი მისი“.

მდრტვინავი ბრბო იშლება. ძე კაცისას უდაბნო აღარ სჭირდება აბუზარ ადამიანთაგან თავის დასადწევაჲ, აღარც ნაკში ასვლა. მან ძალზე გადააჭარბა და ხალხმა მისი მიტოვება დაიწყო. ჩაბნელებულ სინაგოგაში მხოლოდ თორმეტი შემკრთალი ადამიანი დარჩა, რომლებსაც მისთვის სათქმელი სიტყვა ვერ გამოენახათ. იგი მათ სათითაოდ შესცქერის; და უეცრად გაისმის ასე ნაზი და ადამიანური შეკითხვა, ამჯერად ღმერთი უკუდგება დედაკაცის ნაშობის წინაშე: „ნუუკუე თქუენცა ვნებავს წარსლვის?“

და მაშინ სიმონ-პეტრეს ეგონა, ყველას სათქმელს ვამბობო, და თქვა:

– უფალო! ვისა მივიდეთ ჩუენ? რამეთუ სიტყუანი ცხოვრებისა საუკუნოსანი გქონან შენ.

ამ წამოძახილზე, რომელსაც თითქოს უნდა დაემშვიდებინა მიტოვებული, თავიდან მან პასუხი არ გასცა. იყო თორმეტი ტანჯული სახისაკენ მოტრიალებული სახე. მაგრამ ერთი მათგანიც კმაროდა, რათა დანარჩენი თერთმეტის მბრწყინავი სინათლე დაეხსნელებინა. და იესომ ბოლოს თქვა: „არა მე ათორმეტნი გამოვირჩიენა?“ და რა თქმა უნდა, ძალიან ხმადაბლა დაუმატა მწარე სიტყვები:

– და ერთი თქუენგანი ეშმაკი არს.

XV

ფილიპეს კმარისი გზაზე

მაშინ მან ისინი სახეტიადლოდ გაიყოლა. ან იმათთვის კვალის არევა უნდოდა, ვინც მოსაკლავად დასდევდა, ან დროს იგებდა, რომ თერთმეტ მერყევ გულთან მარტო დარჩენილიყო, რათა ისინი თავის სურვილისამებრ სულიერად გაეძლიე-

რებინა. კიდევ ბევრი რამ ჰქონდა მოსასწრები და კეფას შეძახილი: „ვისა მივიღეთ ჩუენ?“ სულაც არ იყო ის, რასაც ძე კაცისა მისგან მოელოდა.

იგი ელის, რომ იმად აღიარებენ, ვინც არის... მაგრამ ყველა ყოყმანობს, მერყეობს, დელავს, როგორც ყოველი ჩვენთაგანი. ზოგჯერ რწმენით აღსავსენი და აღფრთოვანებულნი ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ჭეშმარიტად ძე ღვთისა არს!“, მაგრამ ზოგჯერ მრავალი მათგანი ფიქრობდა, რომ ფარისუკვლთა ბრალდებები თუ არა, იოანეს მოწაფეების საყვედურები მაინც მთლად უსაფუძვლო არ იყო. ეპ, რომ სცოდნოდათ, რისკენ მიდიოდნენ, როგორი მარცხისაკენ! ისინი, ვისაც ცხოვრების პურზე ნათქვამი სიტყვები ფიცხელი მოეჩვენათ, განა შესძლებდნენ შეფარული წინასწარმეტყველების გაგებას, რომელიც მონათათვის განკუთვნილ ჯვარზე გაკვრას შეეხებოდა და რითაც ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო?

საჭიროა მათი მოძზადება, რომ უძრწოლველად შეეგებონ იმ გვირგვინსა და ტახტს, რომელიც მოძღვრისთვის და თავისთვის ეოცნებებათ, რათა არ შედრკნენ ამ ეკლის გვირგვინისა, მეწამული მოსასხამისა და ორი ძელის დანახვისას. პატიარა ჯგუფი ჩრდილი-დასავლეთით, ტვიროსის მიმართულებით გაემართა; აქედან მათ სიღონს მიადწიეს და შემდეგ ათქალაქისაკენ დაემხენ. მოგზაურობისას მოძღვარი მოუღალავად უბრუნდება თავისი უწყების იმ პუნქტს, რომ ცათა სასუფეველი ჩვენშივეა და რომ ვერც განბანვა და ვერც თუფშების რეცხვა, ვერც უწმინდური საკვების მორიდება ვერ გვიხსნის. გარედან არ მოდის ის, რაც შებილწავს ადამიანს; იგი თვითონაა შემოქმედი საკუთარი ბიწიერებისა: ბიწიერება იქმნება ადამიანის გულში, იგი მისი გულისთქმის ნაყოფია.

გზაში უფალი უარს არ ამბობს ეშმაკეული სირიელი ქალის განკურნებასა და ბრძისათვის თვალის ახელაზე. მაგრამ ამ ეშმაკეული ქალის წარმართ დელას თავიდან უარი უთხრა სასწაულზე. ყრუ-მუნჯს თითები ჩაუდო ყურებში და ენაზე დაანერწყვა, ასევე ხელის შეხებით განკურნა ბრმა ბეთსაიდაში (რომლის გასათვარი, დღესაც საამოდ ძელური სიტყვები შემოგვინახა სახარებამ: „ეხელავ კაცთა ვითარცა ხეთა მიმომავალთა“). უმჭველია, უფალს სურდა თავისი მოწაფეებისათვის ესწავლებინა მოქმედებანი, რომლებიც უფრო მიიქცევდა ყურადღებას და იმედს გაუღვიძებდა ხეიბრებს. და სასწაულებრივად განკურნებულს მუდამ უბრძანებდა, არავისთვის არაფერი ეთქვა, რომ ტყუილუბრალოდ არ გაედინიანებინა იუდეველნი.

იღუმაღმა მოუსვენრობამ მოიცვა; მიზანი ჰქონდა, რომელიც მხოლოდ მისთვის იყო ცნობილი. ისეუ ისრაელის ჩრდილი საზღვრებისაკენ წავიდა, თან თორმეტი გაიყოლა წარმართების მიწისაკენ, სადაც მისი სახელი არც კი იცოდნენ. რადგან ჯერ არ დამღვარიყო წარმართებისათვის ცათა სასუფეველის გამოცხადების უამი, ძე კაცისა თავის გამომჟღავნების ყველა შემთხვევას გაურბოდა.

მათ იორდანეს სათავეს შორიანხლო ჩაუარეს; ღმერთი პანს ჰქონდა იქ სამსხვერპლო. აქედან უკვე ახლოს იყო ფილიპეს კესარია. იესო ნაზარეველი გაივლის ქალებისა წყალუხვ სოფელს, სადაც ნიმფები სუნთქავენ, დიდ პანს ფოთლებზე სძინავს და მისი ამ ქვეყნიდან გამძევებელი ღმერთის მოახლოება არ აღვიძებს.

კესარიის მისადგომებთან იესომ გადაწყვიტა თორმეტათვის ბოლოს და ბოლოს დაესვა კითხვა, რომელზეც იგი იმ დროიდან ფიქრობდა, რაც სიღონისა და ტვიროსის გზას დაადგნენ. სწორედ იმისათვის წამოიწყო ეს მოგზაურობა კაპერნაუმიდან შორს, წარმართთა ქვეყნის შუაგულში, რომ მათთვის ეს გამოცდა მოეწყო. ერთ საღამოს, რა თქმა უნდა, ქალაქიდან ჯერ კიდევ საკმაოდ შორს, ვაბედა და ჰკითხა მათ: „რა ჰსთქვან კაცთა ჩემთვის ყოფად?“

დამფრთხალმა მოწაფეებმა ერთმანეთს გადახედეს:

— იოანე ნათლისმცემელი, და სხუათა იღია, და სხუათა ერთი წინასწარმეტყველთაგანი.

— თქვენ რა მსოფთო ჩემთვის, ვინ ვარ მე?

თერთმეტი მოწაფე წამით შეყოვნდა. პეტრემ კი წამსვე წამოძახა:

— შენ ხარ ქრისტე!

ეს წამოძახილი საკმარისი იყო, რომ პანის ტაძრის შორიახლოს მიწიდან ამოზრდილიყო მსოფლიო კათოლიკე ეკლესია და ძე კაცისას ყოველ წარმოთქმულ სიტყვასთან ერთად გამყარებულიყო:

— ნეტარ-ხარ შენ. სვიმონ, ბარ იონა¹; რამეთუ ხორცთა და სისხლთა არა გამოვიცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან. და მე ვეტყვი შენ: რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას. და მივცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათასანი, და რომელი შექპრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განძხსნა ქუეყანასა ზედა, ხსნილ-იყოს ცათა შინა.

ბოლოს და ბოლოს დადგა იმ წინასწარმეტყველების წუთი, რომლის გამხელასაც იგი აქამდე გაურბოდა: რადგან ამ მცირედმორწმუნე ხალხს იგი მაინც ქრისტედ მიაჩნდა. მან მათ თვალწინ აღმართა უცნობი ჯვარი, რომლისაკენაც გაუცნობიერებლად მიაბიჯებდნენ. უფალი მაინც ფრთხილად იწყებს მათთან ლაპარაკს, მხოლოდ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ. მის ბაგეზე შეჩერებულ მათ ნაღვლიან მზერას ყოველ სიტყვაზე შიში ემატებოდა. მაინც რას მოუთხოვდა? იგი უკანასკნელად წავა იერუსალიმს. უხუცესები, მწიგნობრები და მღვდელმთავრები აწამებენ და სიკვდილით დასჯიან... მაგრამ იგი მკვდრეთით აღდგება... ეს კიდევ რაღა სივსე იყო?

იგი გაჩუმდა, და თავიდან ვერაინ გაბედა სიხუმის დარღვევა. იგი ცოტა აღელვებული შესტქერის მათ და თითოეულის გულში ხედავს სრულ დაბნეულობას. მხოლოდ იუდამ გაიგო, უფრო სწორად, ეგონა, რომ გაიგო; მოძღვარს რომ მომავლის წინასწარმეტყველება შეეძლო, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. ის, რაც დანარჩენ თერთმეტს წარმოუდგენელი ეჩვენებოდა, მან მაშინვე ირწმუნა. ნაზარეველმა ხურომ იცოდა, რომ იგი, კერიოტიკელი კაცი, აღარ ეჭვობდა, რომ იესოს გაანადგურებდნენ მისი უგუნური სიტყვების შემდეგ, როცა თავისი ხორცი საკვებად და სისხლი სასმელად გამოაცხადა; მღვდლები იტყვიან საბოლოო სიტყვას. არა, იუდას ამაში ეჭვი არასოდეს შეპარვია; მაგრამ რა ბედნიერებაა, რომ საბოლოოდ დარწმუნდა. იერუსალიმში მტერთან მოლაპარაკება იყო საჭირო. საცოდავი იესოს ბოლო სიტყვები მისი მკვდრეთით აღდგომის შესახებ ადასტურებდნენ გონიერი ხალხისა და აგრეთვე მისი ოჯახის აზრს მისი „შეურაცხადობის“ შესახებ და არაიინ იყო ვალდებული გადარეულის ერთგული დარჩენილიყო.

ასე ფიქრობდა იუდა, როცა პატარა სამწყსო თაყდახრილი კესარიისაკენ მიიწევდა. და უეცრად ყველაზე უკეთესი, ის, ვინც აღიარა ქრისტე, სხუებს გამოეყო, განზე გაიხმო მოძღვარი (აღბათ თავისმა ძმებმა გამოავხაენეს) და ხმადაბლა ბუზღუნით უთხრა:

— შენღობა იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ვერე!

ახლაც პანეასსა თუ პანეასში, რომლის სახელიც პანიდან მოდის, იქ, სადაც ფილიპეს კესარია იყო, ხშირი ბალახი ელამუნება ზეთისხილის დაბლადახრილ ტოტებს. ამ ბედნიერ სოფელში პირველად აღმართულმა ჯვარმა შიშის ზარი დასცა პეტრეს. ჯვარი ახლაც მილიონობით ადამიანს აღმოსაუღვლოში უარს ათქ-

1. ბარ იონა — „ბარ“ ებრაული სიტყვაა და „შვილს“, „ძეს“ ნიშნავს.

მევიწიეებს ქრისტიანობაზე, რადგან მათთვის მიუღებელია წამებული და ჯვარზე გაკრული ღმერთი. ამ გულისწყრომიდან იშვა ისლამი. კეფა სიყვარულით ეღაპვებოდა, მისი სიყვარული მის ურწმუნოებაში ირუოდა, არა იცის უკრუო, ისე ამბობდა, თითქოს უნდა ეთქვა: „არა, ჩემო საყვარელო ადამიანო, არ მინდა, რომ მოკვდე!“

ქრისტიანობა

მაგრამ ძე ღვთისას თავიდან არ უნდოდა გაეგო, რომ ~~მეტი~~ სემიტები ძნელად ირწმუნებდნენ იმას, რაც ცხრამეტი საუკუნის შემდეგაც სძავს მათი რასის ხალხს: დამცირებულ, მასხრად ავდებულ, დამარცხებულ ქრისტეს... არა, ეს არ უნდა მომხდარიყო! ამ წინააღმდეგობით გაღიზიანებულმა იესომ იყვირა:

— წარვედ ჩემდა, სატანა, საცდურ ჩემდა ხარ, რამეთუ არა ჰზრახავ ღმერთისასა, არამედ კაცთასა.

სხვა რა აზრი უნდა ჰქონოდა პეტრეს? ის ხომ იესოსავით ღმერთი არ იყო, თუმცა იესო კი იყო მასავით კაცი. რიდეხაც თავდახრილი მოციქული გაშორდა, კერიოტელმა კაცმა გაიფიქრა: „მოძღვარი მძვინვარე ხდება, თავს ველარ ერევა...“

მაშინ იესო წყნარდება და გადაწყვეტს ფრთხილად მოეპყროს მოწაფეებს, საიდუმლოს ჩასაწვდომად კიდევ ბევრი დრო დასჭირდებათ, მათ მხოლოდ მაშინ ჩასწვდებათ, როცა მის დაჩხულებულ ხელ-ფეხს და დაჭრილ გვერდს შეეხებიან. იესო უეცრად მოკრძალებული ხდება. ის ველარ ბედავს იმ საგნისა და ნიშნის დასახელებას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში თაყვანცემული იქნება: მონათათვის განკუთვნილი T-ს ფორმის სასრჩობელა. რადგან კეფას აღსაშფოთებლად გადაკრული სიტყვაც საკმარისი აღმოჩნდა გზაზე, კესარიის მისაღვლომებთან, რომ უფალი იძულებულია ღვთიურ ეშმაკობას მიმართოს: თორმეტთა მზერას აშკარად ვერ წარმოუჩენს ხეს და ამიტომ მათ აჩვენებს უზარმაზარი ხის ჩრდილს, რომელიც ფარავს ადამიანთა ცხოვრების მთელ მინდორს. თხისფერხასადმი მოძღვნილი ტაძრიდან ორ ნაბაჯზე ის გადაწყვეტს მათ „ჯვარზე“ ელაპარაკოს.

— რომელსა პნებავს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თვისი და აღიღუნ ჯვარი თვისი და შემომიღევიან მე.

ისეთი გაწონასწორებული და გონიერი კაცისთვის, როგორიც იუდა იყო, მსგავს სიტყვებს უნდა დაედასტურებინა, რომ მისი მოძღვარი ნამდვილად გიჟი იყო. ეს აღარ იყო ვარაუდი, ეს უუჭველი გახდა. დანარჩენებმა კი ბუნდოვნად დაინახეს ჭეშმარიტების სხივი, მათ ის მაინც გაიგეს, რომ გასაგები აღარაფერი ჰქონდათ, რომ საკმარისი იყო თვალდახუჭულნი გადაშვებულიყვნენ სივიჟის ამ მორევში. რას ჰკარგავენ ისინი, თუ ძე კაცისა დაბრუნდება თავისი დიდებით და თითოეულს მიუზღავს მათი შრომის საფასურს? მაგრამ იესომ დაუმატა:

— რამეთუ რა სარგებელ ეყოს კაცსა, უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს?

ამ წუთში აღბათ იესო ისკარიოტელს უყურებდა, რომელიც ფიქრობდა: „ჯერ მთელი ქვეყანა დამაპყრობინა და სულის გადასარჩენი დრო ყოველთვის მთინახება. ან კი რა არის სული?“ იუდას ფსალმუნის ახსენდება: „ცხოვრებაი ჩემი ჯოჯობნეთსა მიეახლა... ვიქმენ მე ვითარცა კაცი შეუწვენელი მკვდართა თანა თავისუფალ და ვითარცა წყლულნი დაძინებულნი სამარესა, რომელთაი არღა მოიხსენიე“, რაში გამოგვადგება ჩვენი სულის მოპოვება, რომელიც მხოლოდ ამოსუნთქვავა, პატარა ნიაჟი? (ეს სადუკველთა აზრია) რისთვის უნდა მოიპოვო სული, თუკი ამ სოფელს დაჰკარგავ.

ფერისცვალება

ახე ფიქრობდა იუდა. სხვებშიც უნდა ეგრძნო უფალს უკანასკნელი წინააღმდეგობა. ყველა თავის მოწაფეთაგან თორმეტი ამოარჩია და ესეც შალთან ბევრი იყო. ექვსი დღის განსჯის შემდეგ გადაწვევითა, თორმეტთაგან კარგად წავეყვანა... ამათ კი აიძულებდა ერწმუნათ, ეღიარებინათ, მარტო მისი გარეგნობა კი საკმარისი იქნებოდა იმის მისახვედრად, რომ იგი კურთხეულის შვილი იყო. ისინი წინდაწინვე დაინახავდნენ თავისი მეუფების სიდიადით მოსულ ძე კაცისას, რათა წვედიადის ჟამს მოეგონებინათ ეს წამი და არ შემდრკალიყვნენ.

უფლის არჩევანი აღრევე გაკეთდა: პირველ რიგში კეფა და შემდეგ იოანე, რადგან იესოს იგი ისე უყვარდა, რომ მისგან უმცირეს ეჭვს, უმცირეს გულგრილობას ვერ იტანდა, და იაკობი, ის ხომ იოანეს ძმაა და მას ყველგან თან ახლავს.

და აი, ძე ღვთისა გაბრწყინდება თავისი საში მეგობრის თვალწინ, რათა ერთ დღეს მისმა საყვარელმა მოწაფემ შეძლოს დაწერა: „რომელი გუესმა და ვახილეთ თუალითა ჩუენითა, რომელი ვიხილეთ, და ხელნი ჩუენნი კმსახურებდეს სიტყუასა მას ცხოვრებისასა“.

მაშ ასე, იგი მათ მთისაკენ გაუძღვია. თუ საქმე თაბორის მთას ეხება, როგორც წმინდა კირილე იერუსალიმელი გადმოგვცემს, ის ნაზარეთთან ახლოს იყო და ალბათ თავისი უჩინარი ცხოვრების დროს ხშირად მიდიოდა ხოლმე იქ, რომ მამასთან განმარტოებულყო. მთის წვერზე პატარა დაბა იყო, მაგრამ მან აღვილად იპოვა უდაბური ადგილი.

ეს დღისით მოხდა, მაგრამ მისი სახის ელვარებამ მაინც დააბნელა ცა და მისმა თოვლივით სპეტაკმა სამოსმა გააწყვდიადა ქვეყნის დანარჩენი ნაწილი. უხეში შალის მოსასხამში გამოწყობილი საბრალო ებრაელი ნათელს აფენს. ეს ის ნათელია, რომელსაც მის მნახველთა მონათხრობიდან ვეცნობით, პავლე ტარსელთი დაწყებული და პატარა ბერნანდეტ სუბირუთს დამთავრებული, ნათელი, რომელსაც მოხუცი ტობიუსის ბრმა თვალები უმზერდნენ.

ეს საში კაცი, შეპრწყუნებული რომ აღრიადდა ზღვაზე ნავისაკენ მომავალი იესოს ხილვისას, ახლა ამ ელვარე სახის წინაშე არაკითარ შიშს არ განიცდიდა. კაცი რომ ღმერთივით მოქმედებს, გაშინებს, მაგრამ როცა ღმერთი ამკარად აუღენს თავს, შიშის დრო აღარ რჩება, თაყვანი უნდა სცე მას და შეიყვარო. აი მოსე და აი ელია... რა არის ამაზე მარტივი? და ამ სამმა მოწაფემ ისევე იგრძნო თავის თავში მგზნებარე სული, როგორც შემდეგ ემაუსის გზაზე მიმავალი მწირები იგრძნობენ და თითქმის იგივე თქვა, რასაც მომავალში იტყვიან: „მოძღუარ, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფა...“ — რაც თითქმის იგივეა — „დაადგერ ჩუენთანა, რამეთუ მწუხრ არს“. პეტრე საში კარვის აღმართვას სთავაზობდა, ერთი იესოსთვის, ერთი მოსესთვის და ერთიც ელიასათვის. სადამოს ბინდი ჩამოაწვათ თავზე და ხმაბ, რომელიც გაისმა, პირქვე დაამხო ისინი მიწაზე: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი...“

მანამდე დარჩნენ მიწაზე განროხმულნი, სანამ ვილაციის ხელი არ შეეხოს მხარზე. იესო მარტო იყო, თავისი ჩვეულებრივი სახითა და ღარიბული მოსახსამით. ჩვეული ხმაური ისმოდა ქვემოდან. ისინი კი სამუდამოდ შეცვლილებად

1. ბერნანდეტ სუბირუ (1844–1879) — ფრანგი წმინდანი. 14 წლისას გამოცხადა იესო ქრისტე.

2. მოხუცი ტობიუსი — ბრმა ბიბლიური პერსონაჟი, რომელსაც მთავარანგელოზ რაფაელის რჩევით შეიღმა თვალები აუხილა.

გრძნობდნენ თავს. პეტრეს სამგზის უარყოფის შემდეგ გაახსენდება ამ სახის ბრწყინვალეობა, როდესაც ჯაჭვებით შეკრული ძე კაცისა მისკენ მოატრიალებს გასავათებულ სახეს. და იოანესაც, ჯვარცმის დროს სისხლითა და ჩირქით დაფარული, თავჩამოვარდნილი კაცისაკენ თვალაპყრობილს, გაახსენდება იგი. მთიდან რომ ეშვებოდნენ, იესომ მათ ურჩია არაფერი ეთქვათ ამ ხანებში. თანაბრად არ აღდგებოდა. ამგვარად დრო არ დაგვიტოვებდა მათი განმტკიცებული რწმენით და თავის სიკვდილზე ელაპარაკა. სამი მოწაფე ხელახლა შეწუხდა: მათი ფიქრი დაეხეტებოდა წმინდა წერილის ნაწყვეტებში, მათმა გონებამ რომ შეჰოინახა:

— ვითარმე იტყვიან მწიგნობარნი, ელიასი ჯერ არს პირველად მოსვლა.

როცა იესომ უპასუხა, ელია უკვე მოვიდაო, მიხედნენ, რომ მოძღვარი იოანე ნათლისმცემელს გულისხმობდა:

— მწიგნობართა უყვეს მას რაოდენი უნდა და ეგრეთვე ძესაცა კაცისასა ეგულების ვნებად მათგან.

რა ხელად მორწმუნენი არიან! როგორ ძალუძად ეწინააღმდეგება მათი ბუნება ღვთიურ მადლს! მათი ებრაული ბუნება... მათ წარმატების მიღწევა უფვარდათ, მტრის ელეთა და მის თავზე ნაცრის დაყრა. მათი რწმენის განმტკიცება იყო საჭირო. უფალი მოთმინებით, საძირკვლიდან შეუდგა თავის სამუშაოს.

ფერისცვალების მეორე დღეს მოწაფეთა დიდი ნაწილი მათ შეუერთდა. იესომ შეამჩნია, რომ ისინი საკმაოდ დარცხვენილნი იყვნენ, რადგან ვერ შეძლეს მთვარეულის განკურნება. იესომ მაშინვე უთხრა: „ურწმუნოებისა თქვენისათვისო“, და დაუმატა:

— ამინ გეტყვი თქვენ: უკეთუ გაქუნდეს სარწმუნოება ვითარცა მარცვალი მდოგვისა, ჰრქუთ მთასა ამას, მიიტვალე ამიერ იქი, და მიიტვალოს...

იგი ხელახლა აიძულეს მათ დაინახონ ის, რისი დანახვაც არ სურთ, პირისპირ აყენებს. იმასთან, რასაც უარყოფენ.

— ძე კაცისა მიეტემის ხელთა კაცთასა და მოკლან იგი; და მო-რა-კუდეს, შესამესა დღესა აღდგეს.

ვინ გაუბედავდა შეკამათებას? კარგად ახსოვდათ, არცთუ დიდი ხნის წინ, კეფასადმი მიმართული მისი რისხვა. არ ედავებოდნენ, ჩუმად კი ბუზღუნებდნენ და მკვდრეთით აღდგომის ეს დაპირება სულაც არ შეელოდათ, თვით ეს სიტყვებიც არაფერს ეუბნებოდა მათ გულს.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ კაპერნაუმს, მათი ფურადლება ამ პირქუში წინასწარმეტყველებიდან მათ ბავშვურ იმედზე გადადიოდა: რომ განდიდებულნი იქნებოდნენ, ძალაუფლება ექნებოდათ და გამარჯვებას იზეიმებდნენ. მაგრამ ყველა თანაბრად არა. მათ შორისაც იფეთქებდა ხოლმე შურიანი ჩუმი კამათი, განსაკუთრებით მაშინ, როცა პატარა სამწყსო მოძღვრისაგან ცოტა მოშორებით აღმოჩნდებოდა. უეცრად მოუთმენელი და შემზარავი ხმა გაისმა:

— რასა იგი იცილობდეს ურთიერთას?

რისთვის ეტრუათ? ყველამ იცოდა, რომ უფალი ყასილად ეკითხებოდათ და რომ არც ერთი მათი სიტყვა არ გამოპარვია. მაინც ვერ გამოტყდნენ, რომ იმაზე დავობდნენ, თუ ვინ იყო ბოლოს და ბოლოს მათ შორის უმეტესი...

იესოს ხმა არ ამოუღია, ხანამ კაპერნაუმში თავიანთ სახლში არ შევიდნენ (აღბათ პეტრეს სახლში). დასხდნენ უფლის გარშემო და თავები დახარეს, რომ ჩანავლებულიყო ამ ხანდახან მრისხანე კრავის სიბრაზე. მაგრამ მათთვის მოულოდნელად იესომ ისეთი მშვიდი ხმით მიმართა მათ, რომ სამი წლის შემდეგაც აღელვებდათ ამის გახსენება:

— ვის უნდეს თქვენგანსა პირველ ყოფა, იყოს იგი ყოველთა მრწემ და ყოველთა მსახურ.

მან დროებით მათთან ჯვარცმასზე ლაპარაკზე უარი თქვა, და მათ, საყვარელ ადამიანებს, უმდაბლესი მსახურის ადგილი მიუჩინა: ამ ერთმა სიტყვამ კიდევ ერთხელ დაამხო მათი ოცნება პალაუფლებაზე. მათ შეჭმუნულნი მუბლები და მცირედმორწმუნე გულები მიიბრუნეს, უფალმა კი ხელი გაიწილა ერთი ბავშვისაკენ, მოწაფეებს რომ შემოჰყვინენ და მის გარშემო იყვნენ მოვროვილნი, მოუხმო, მუხლებთან დაიყვნა, მოეხვია და თქვა:

— უკეთუ არა იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა.

და დაუმატა:

— რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ვითარცა ყრმა ესე...

ეს ბავშვი შემთხვევით არ მოუხმია; ამხანაგთა შორის ამოარჩია. რა საჭიროა ბავშვობაზე ლაპარაკი? ბავშვობა არ არსებობს, არიან ბავშვები, მართალია, ბევრი ბავშვი ამკვეყნად მოვლენისთანავე ამღერეული წყაროა და ბიწიურება გამოსჭვივის მის ტიტინში, სხვა მრავალი ბავშვის სული კი სპეტაკი და კამკამაა. მათკენ დახრილი ქრისტეს წმინდა სახე ირეკლება მათში. კიდევ ერთ სიგიჟეს ითხოვს იგი ზრდასრული ადამიანისაგან: დაუბრუნდეთ ჩვენს ბავშვობას, მიმნდობლობას, რომელმაც არ იცის ბიროტება. და იგი ამას ითხოვს ჩვენგან: ბოროტებისაგან, ბიროტების ჩამდენებისაგან, ცოდვაში ჩაფლულებისაგან. და მართლაც ბავშვობა, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს ღმერთს, არის ცხოვრების ყველა საზიზღრობის დამმარცხებელი ყაშირი მიწა, რომლის ერთ გოჯსაც ღმერთი არ უთმობს ვნებების დაუოკებელი გულისთქმის წამლეკავ ტალღებს. ბავშვობა გამარჯვება და მოწიფულობაა დამარცხებაა. როგორი ალაღმართალიც არ უნდა ყოფილიყო ბავშვი, რომელსაც დასცქეროდა იესო, იგი თავის თავში მაინც ატარებდა ყველა იმ დანაშაულის შესაძლებლობას, რომელსაც მოგვიანებით ჩაიდენდა.

— რომელმან ერთი ამათგანი ყრმა შეიწყნაროს სახელისა ჩემისათვის, მე შემიწყნაროს, და რომელმან მე შემიწყნაროს, არა მე შემიწყნაროს, არამედ მომაკლდინებელი ჩემი.

იოანემ, ყველაზე თამამმა, რადგან ყველაზე საყვარელი იყო, მას სიტყვა გააწყვეტინა: რა, სულ ერთია, ვინ შეიწყნარებს ბავშვს მისი სახელით და ვინ განდევნის დემონებს? ჯერ კიდევ გუშინ მათ ერთ კაცს აუკრძალეს ბოროტი სულების განდევნა იესოს სახელით.

უფალმა მსწრაფლ უსაყვედურა: მას არ სურს თავისიანების პატიმარი იყოს. მის მადლს არ სჭირდება შუამავალი. რამდენი მღვდელი დღესაც იკავებს უფლის მადლის ადგილს! უფალს ისევე ხელი ჰქონდა მოხვეული ბავშვისათვის და ისეთი მწუხარებით უყურებდა, რომ პატარა ალბათ შიშმა შეიბყრო და გაქცევაც კი მოუხდა.

— ყაა, რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთაგანი მორწმუნეთა ჩემთა მომართ, უმჯობეს არს მისა გამოთუ-მცა-იბა ქედსა მისსა წისკვილის ქვა ვირით საფქველი და შთავარდა ზღუასა.

ეს სიტყვები უფრო დამამშვიდებელია, ვიდრე შემამინებელი: ეს ნიშნავს, რომ პატარა ბავშვის სიწმინდეს უსაზღვრო ფასი აქვს, რომ იგი ხელშეუხებელი რჩება, რაც არ უნდა დაემართოს ამ ადამიანს ვნებათა ასაკში. მიუტევებელი დანაშაულია იმ გულმართალი მოწმის შებღალვა, ყველა ჩვენთაგანს რომ დასჭირდება განკითხვის დღეს; იმ ბავშვის გაწბილება, ერთ დროს რომ ვიყავით ჩვენ.

აქ ძე კაცისა განკითხვის საიდუმლოს გვახიარებს. მისი საუფლოც და იქ მოქმედი სამართალიც არაამქვეყნიურია. ის, ვინც მისი კანონებით სიკვდილის, უფრო სწორად, მარადიული ტანჯული სიცოცხლის ღირსია, ხალხის აზრით კანონიერ, ჩვეულებრივ ადამიანად მოჩანს ან საერთოდ არაა ყურადღების ღირსი.

სოფელი ესე! იესო ახლა მასზე ფიქრობს და ყოველთვის მასზე ფიქრისას მთელი მისი არსება აღშფოთდება ხოლმე; იგი ხელს უშეებს ბავშვს და წამოიძახებს:

— ვაჲ სოფლისა ამის საცდურთა მათგან, რამეთუ უნებლიედცა მომავალ არიან საცდურნი; ხოლო ვაჲ მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცდური!

საუკუნეთა განმავლობაში ცოდვილი ქვეყანა არხეინად ელოდება ამ ებრაელის წყევლას და დასცინის მის მუქარას. მას არ ეშინია „ცეცხლითა დაიმარილების“ (ეს ის გამოთქმაა, რომელსაც ხმარობს იესო). სოფელსა ამას არ სჯერა იმ ცეცხლის არსებობისა, რომელიც შთანთქმის მაგიერ მარადიულად წვავს ნაწილებს სხეულს. „გვენა ცეცხლისა მას საუკუნოსა“, რომელიც აშინებს უამრავ ადამიანს მას შემდეგ, რაც ძე კაცისამ ასეთი დაუინებული დაუნდობლობით აღწერა მისი საშინელება, ნელ ცეცხლზე ხორცის მუდმივი წვა, სადაც გვამის მატლიც კი არ კვდება; გვენით მხოლოდ ადამიანთა სამართლით აღიარებული მძიმე დანაშაულისთვის კი არ ისჯებიან; ესაა სამართლიანი საზღაური სულიერი ჭუჭყისათვის, ახალგაზრდა ადამიანის მომაკვდინებელი ცდუნებისათვის; ის დაღუპული სულების შურისძიებაა. იესო სოფელსა ამას — რომელიც რყვნის ბავშვობას, იწვევს და აკმაყოფილებს ვნებებს, აღმერთებს ყოველგვარ გულისთქმას — მამაცურად უპირისპირებს სულიერი სიფაქიზის თითქმის ზეადამიანურ კანონსა და უბიწოებას; სულიერ და ხორციელ პატიოსნებას ანიჭებს აბსოლუტურ ღირებულებას. არავითარი დანდობა: უმჯობესია მოიკვეთო სხეულის ნაწილი, რომელიც ბოროტებისაკენ გიბიძგებს, ვიდრე იგი შეინარჩუნო და მოხვედრე ცეცხლიან კასრში, „რამეთუ ყოველი ცეცხლითა დაიმარილოს...“

ხომ არ დაინახა გულშემზარავი ცეცხლი იმ იუდეველთა თვალებში, რომლებიც მზად იყვნენ სწრაფად ექმნათ სამართალი? მან იმწამსვე განაგრძო სიტყვა: არა! წმინდანთა საქმე არაა მიწაზე უწმინდურთა დასანთქმელი ცეცხლის გაჩაღება. არ უნდა მივბადოთ ღმერთის უღმობლობაში, რომელმაც დაანთო ეს გვენა და იმისათვის მოვიდა დედამიწაზე, რომ საკუთარი სიკვდილით გვიხსნას: იესო წინასწარ აზუსტებს, თუ როგორ უნდა გამოახსორო ცოდვილი ძმა. ჯერ უნდა გააფრთხილო, შემდეგ ორი ან სამი მოწმის თანდასწრებით უნდა უსაყვედურო... და მხოლოდ ამის შემდეგ, თუ ცოდვილი გაჯიუტდება, ეკლესია მას წარმართივით მოეპყრობა. იგი უბრძანებს მოწაფეებს, რომ აპატიონ არა შვიდგზის, არამედ შვიდჯერ სამოცდაათგზის, და მათ შევანშისა და მოვალის იგავს მოუთხრობს: ერთმა მეფემ თავის მსახურს ათი ათასი ტალანტი აპატია. ამ უკანასკნელმა კი სასახლიდან გასვლისთანავე ყელში ხელი წაუჭირა თავის ამხანაგს, რომელსაც მისი ასი ღინარი ეძარტა, და საბჭრობილეში ჩააგდო. მეფემ სასტიკად დასაჯა მსახური, რომელმაც არ შეიბრალა თავისი მოვალე, ისე როგორც თვით იგი შეიბრალებს.

ამგვარად უფლის ყველაზე სასტიკი მუქარაც მოფიქრებული ხერხით, გულმოწყალების სიტყვებით მთავრდება. თითოეულ ანათემას იგი სიყვარულის საიდუმლოებამდე მიჰყავს, რომელსაც იძულებით მალავს ცეცხლოვანი ფარდის მიღმა, რათა თვით მისმა ახლობლებმა ბოროტად არ გამოიყენონ.

იერუსალიმის გამგზავრება

დადგა გვალვიანი შემოდგომა, როველი კარს იყო მომდგარი და ზვრებში მოსავლის თვალყურის სადევნებლად ტოტებისაგან ხუხულებს აგებდნენ, რომლებსაც კარვებსაც ეძახდნენ. კარვობის დღესასწაულმა ამოიყვანა იესო და თორმეტნი იერუსალიმში. იესო ბრბოს გაურბოდა; რამდენიმე მსგავსის განმავლობაში მხოლოდ მოწაფეებთან სურდა ყოფნა. პატარა სამწყსოს აღარავინ შემატებია. მხოლოდ მოძღვარმა იცოდა იმ გულთა რაოდენობა, რომელთა მიზიდვისთვისაც ამაოდ დახარჯა დრო და ენერგია და რომლებიც განუდგნენ მას. მათ გაეცნოთ კაპერნაუმის, ქორაზინის და ბეთსაიდას სახლები. და ისე იქცეოდნენ, თითქოს ქრისტეს არასოდეს გაეგლო მათ ქალაქებში, ყველა სასწაული, რაც მოახდინა, ამაოდ მოუხდენია. მათთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა: ძე კაცისა იერუსალიმს მიდის და აქ აღარასოდეს დაბრუნდება, ყოველ შემთხვევაში, ხორციელად. უნს გადასარჩენადაც მოვიდა, ვერ გადარჩება. გულიდან ამოხეთქილი გოდებით მიმართავეს იესო ურჩ ქალაქებს, იმ გულიდან, რომელმაც იცის, რომ საქმე წაგებულია, თუ შეიძლება დეთის საქმე წაგებული იყოს. მისი თანამდევი სიყვარული უკან ისევს. რა იღუპალებაა, როცა შექმნილს შეუძლია დეთის ნების უარყოფა! მაღლს იქ საშინელი მარცხი უნდა განეცადა, რათა ძე კაცისას თავი ვეღარ შეუკავებინა და ისეთი ანათემისათვის მიეცა ეს სანაპირო, რომ იქ ბეთსაიდას კვალიც კი აღარ დარჩენილიყო. ის, ვისთვისაც არაფერია დამალული, გონს ვეღარ მოდის ამ უარყოფის შემდეგ და გაოგნებული წარმოთქვამს საშინელ სიტყვებს!

დაწყვეტილი ქალაქები

„ვაი შენდა, ქორაზინ, და ვაი შენდა, ბეთსაიდა! რამეთუ ტვიროსს თუმცა სიდონს იქმნეს ძალნი, რომელნი იქმნეს თქუენ შორის, მაშინვე სამემცა ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს. ხოლო გეტყვი თქუენ, რამეთუ ტვიროსი და სიდონი უმოლხინეს იყოს დღესა მას სასჯელისასა ვიდრე თქუენ. ხოლო შენ, კაპერნაუმ, ნუ ცამდე აჰმადლდები, არამედ ჯოჯოხეთამდე შთახდე; რამეთუ სოდომს თუმცა იქმნეს ძალნი, რომელნი იქმნეს შენ შორის, ჰგიანმცა დღეინდელად დღემდე. ხოლო გეტყვი თქუენ, რამეთუ ქუეყანა ეგე სოდომისა უმოლხინეს იყოს დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე შენ“.

ამგვარი აფეთქების შემდეგ ძე კაცისა თავს იოკებს და ხელახლა უბრუნდება თავისი არსების საიდუმლოებას. სისხლისა და ხორცის აღელვების შემდეგ იგი იმყისიერად იოლად აფარებს თავს მამის ხელთუქმნელ სიმშვიდეს.

— აღვიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო! რამეთუ დაჰყარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა, და გამოუცხადე ეს ჩვილთა. ჰე, მამაო! რამეთუ ესრეთ სათნო იყო შენ წინაშე.

იგი ხელმეორედ იწრთობა ამ გამოუთქმელი კავშირის შეცნობით. იგი ნუგეშემულია. სამების სიხარული ჩქეფს სიტყვებში, რომლებსაც საცოდავი ხალხი უსმენს, იმახსოვრებს იმ სხვა მრავალ სიტყვათა მსგავსად, რომლებიც კი დაიმახსოვრა, მაგრამ ვერ გაიგო. ეს სიტყვები აღბათ იმიტომ ამოიტვიფრა მათ გონებაში, რომ ღზენის ხმა საშინელი, შემადრწუნებელი და სისხლის გამყინავი ანათემის შემდეგ გაისმა.

ძე კაცისა თავისი სიმშვიდის უფსკრულში იძირება. მან თვალი მოაშორა კაპერნაუმსა და ქორაზინს, რომელთაგან დღეს მხოლოდ მიმოფანტული ქვებიღა

დარჩა. პატარა სამწყსო უხმოდ მიდიოდა. უმეტესობა მოწყენილი იყო, გვიანს ცეცხლზე ფიქრობდნენ: რომელ ადამიანს არ აშფოთებს იგი? ისინი ეძებენ თავისი საცოცხლის მანძილზე მივიწყებულ მსხვერპლთა სახელებს. ყველას უყვარდა თავისი ბეთსაიდა, რომელიც ის-ის იყო დაიწყებდა. უცრად დაღლილობა იგრძნეს. რისთვისაა საჭირო ამდენი დაძაბულობა, მარადიული ცეცხლში რომ დაინთქას და დაინგრეს მათი მიწიერი სამშობლო? და ანაზღაურდება ცოტა ხნის წინ ბრაზისაგან რომ კანკალებდა, სინაზით აღსავსე გასხმა:

— მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისუენით თქვენ.

— უფალო, მეტი აღარ შეგვიძლია, მოგვქანცა ჩვენმა დაცემამ და დალატმა. სწორედ ამის ტვირთვა აღარ ძალგვიძს.

— აღიღეთ უღელი ჩემი თქვენ ზედა, და ისწავეთ ჩემგან: რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა; და კპოვით განსვენება სულთა თქვენთა. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს.

ისინი ჯერ შეაშფოთა მისმა შეჩვენებამ და კერიოტელი კაცის ჩურჩულმა: „რა უაზრო მძვინვარებაა, რა უსაზმნო სიბრაზეა!“ ასეთმა ნაზმა ძახილმა კითაქმის ფიზიკურად განაცდევინათ მისტერია ღმერთის თავდაძაბულობისა. დიახ, მათ იგემეს ამ უღლის სიტკბოება. მათ აღარ ეშინიათ, რა უნაღვლეობათ ბეთსაიდა ან ქორაზინი? მათი ერთადერთი სამშობლო ქრისტეა; მათ არა აქვთ სხვა საუფლო ქრისტეს საუფლოს ვარდა. ამათღ შეეცადა იგი მათ შემინებას: მისი სიყვარული ყოველწამს ამხელდა: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი...“

ყოველთვის ივიწყებენ იესოს გარშემო მიზუზუნე, აბეზარ და მისდამი მტრულად განწყობილ ოჯახს: მის ნაზარეტელ ნათესავებს, რომლებმაც გაიგონეს თუ არა ტბის სანაპირო ქალაქებისადმი მიმართული მისი წყევლა, უთხრეს: „გარდაგუალე ამიერ, და წარვედ ჰურთასტანად, რამეთუ არავინ ფარულად რასმე იქმნ და ეძიებნ, რათამცა განცხადებულ იყო. უკუეთუ ამას იქმ, გამოუცხადე თავი შენი სოფელსა“.

მაგრამ იესოს არ სურდა იერუსალიმში თავის ღვიძლ ნათესავებთან ერთად ასვლა. მათ მისი არ სწამდათ, იმედი კი ჰქონდათ, რომ რამეს გამორჩებოდნენ, და იუდასაღით ისინიც უნდობლობასა და სიხარბეს შორის მერყეობდნენ. მათ იცოდნენ, რომ იერუსალიმში მოძღვარს საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ ამას არად აგდებდნენ: მათ ხომ არაფერი დაუშავლებოდათ. ეს პირმოთნე, ამპარტაუანი და ლაჩარი ოჯახი მას შიმის ზარს სცემდა. იესომ უთხრა მათ:

— ვერ ხელ-ეწიფების სოფელსა მოძულეებად თქვენდა, ხოლო მე ვსძულ, რამეთუ ვწამე მისთვის, ვითარმედ საქმენი მისნი ბოროტ არიან. თქვენ აღვედით დღესასწაულსა ამას, ხოლო მე არა აღვალ დღესასწაულსა ამას, რამეთუ უამი ჩემი არღა აღსრულებულ არს“.

ისინი გაუშვა, თავი მოაჩვენა, რომ რჩებოდა, მაგრამ შემდეგ ისიც გაუღვა გზას. ეს არ იყო უცაბელი გადაწყვეტილება. ეს უკანასკნელი მოგზაურობა ოდიოგანვე იყო გადაწყვეტილი: „როდესაც მისი ამ ქვეყნიდან წაყვანის უამი დადგა, მან იერუსალიმს წასვლა გადაწყვიტა...“ დაზუსტებული იყო დღეცა და საათიც. მისმა უამმა დაპკრა და წამითაც აღარ შეეძლო განერება, რომ ერთი სიტყვა მაინც ეოქვა დაწყევლილი ქალაქების სახსნელად.

თავისი მიწიერი ცხოვრების ამ გადამწყვეტ წამს მე კაცისას მარტო ყოფნა ერჩია. დიდი სიყვარულის მიუხედავად აღბათ მნელი იყო თერთმეტი მიუხვედრელი მოწაფისა და ერთი გაქნილი და სულელი გამცემის ყველგან ტარება! მა-

რტო რომ შეძლებოდა იოანესთან ღარჩენა... ტექსტი თითქოს მართლაც ამტკიცებს, რომ ზებედეს ძე მასთან იყო, სხვები კი, სხვები წინ გავზავნა ღამის გასათუვი ადგილის მოსამზადებლად.

სამარიაში გაველისას სუქარს რატომ აუქცია ვვერდი? იქ, სოფლებში, მშრალ პაერში ალბათ საწნახლებიდან ამოსული სურნელი იფრქვევდა და მღვდელ იკლო. ადამიანის ყველა ტკივილით დატვირთულმა ღმერთმა ხომ არ იგეგმა უფლებიერი არსებობის სევდიანი ბედნიერება? ხომ არ განაცადა ძე კაცისამ თავისი ორბუნებოვანების იდუმალებაში შემოდგომის ეს მიმქრალი მზე და ყველაფერი, რაც მოკვდავის გულში სინანულსა და მგრძნობიარობას აღვიძებს? დრო და ყველაფერი, რაც წარმავალია, რასაც დასაწყისი და დასასრული აქვს, ათრობდა იმის არსებას, ვინც რამდენიმე დღის შემდეგ აღაშფოთებდა ებრაელებს გაუგონარი სიტყვებით: „პირველ აბრაამის ყოფამდე, მე ვარ!“ მაგრამ დღეს, შემოდგომის ამ გზაზე, სამარიაში, იგი გაძვლეულია, რომელიც აღარასოდეს დაბრუნდება იმ ქალაქში, სადაც დაიბადა. ესაა დევნილ ტანჯული კაცი, ვისაც უკვე გამოუტანეს განაჩენი; და იგი კიდევ ერთხელ ტკბება სექტემბრის დაისით, ისუნთქავს უკანასკნელი როვლის ღვინიან სურნელს. დიან, მისთვისაც ცნობილია ჩვენი ძალზე უბადრუკი ბედნიერებანი.

მაგრამ მოწაფეები მობრუნდნენ: ისინი არასოდეს ტოვებდნენ მას დიდი ხნით. ყოველთვის ერთი და იგივე ამბავი შეორდებოდა! სამარიტელებს არ სურდათ იერუსალიმს მიმავალი ხალხის მიღება. ზებედეს შეიღებმა, რომელთაც ჯერ კიდევ ეურში უზუოდათ სამი ქალაქისადმი მიმართული იესოს წყველა, ებრაელთათვის ჩვეული შურისძიებისა და ნგრევის მარადი გულმოდგინებით თითქოს უადვილესი გამოხავალი ნახესო, მას შესთავაზეს: „უფალო, გნებავს რამთა ვთქუათ, და ცეცხლი გარდამოხდეს ზეცით და ახოცნეს იგინი?“

წინ მიმავალი იესო შემობრუნდა. რაო? ნუთუ იოანესაგან მოდიოდა ეს დარტყმა? მოწაფემ თავისი უფლის ბეთსაიდასადმი წყველა დაიმოწმა; ეს „ქუხილის ძე“, როგორც მას სიყვარულითა და ხუმრობით უწოდებდა იესო, სულაც არ იყო მორჩილი. მას მიაჩნდა, რომ აღარ იყო პასტორალური სიმშვიდისა და ნეტარების დრო. იესო არ გაბრაზდა. მისი პასუხი იმ პასუხთაგანია, რომელშიც ღმერთის აუწერელი დადლილობა, უიმედო ჩივილი და ხასოწარკვეთა მქლავნდება:

— არა იცით რომლისა სულისანი ხართ თქვენ! — და ამატებს: — რამეთუ ძე კაცისა არა მოვიდა წარწყმედად სულისა კაცთასა, არამედ ცხოვრებად.

რამეთუ მოვიდა ძე კაცისა მოძიებად და ცხოვრებად წარწყმედულისა.

თხუთმეტი საუკუნის შემდეგ, ხილვისას, იგი ეტყვის ეჭვით ტანჯულ ფრანსუა დე სადს: „მე იგი არა ვარ, ვინც წყველის, ჩემი სახელი იესოა...“ და, უეჭველია, ზებედეს ვაჟს შეკამათება რომ გაებუდა და ეთქვა: მაგრამ, უფალო, სულ ცოტა ხნის წინ არ დაპარაკობდი ჯოჯოხეთსა და ცეცხლზეო? — მოძღვარი უპასუხებდა: „მე არა ვარ ლოგიკური ღმერთი. არაფერი ისე შორს არაა ჩემგან, როგორც ყველა თქვენი ფილოსოფია. ჩემს გულს აქვს სიმართლე, რომელსაც თქვენი გონება ვერ სწვდება. რადგან მე ვარ სიყვარული. გუშინ სწორედ სიყვარულით ავანთე თქვენ წინაშე უმრეტი ცეცხლი და დღეს იგივე სიყვარული გამცნობთ, რომ მოვედი იმის გადასარჩენად, რაც დაღუპულია.“ იგი პირდაპირ იყურებოდა, იერუსალიმელ ყველა თავაწყვეტილ ქალთა შორის ხედავდა მოდალატე ცოლს, რომელსაც ხვალ მის ფერხით დაავადებდნენ: ქალს იმ წუთშიც უყვარდა კაცი,

და ის მისი ქმარი არ იყო; ისინი მთვრალეები იყვნენ სურვილით და მთელი სამეზობლო მათ უთვალთვალებდა. მოღალატე ცოლსაც არ დაულაპარაკებია იგი გვენაზე.

იერუსალიმში



ფარულად შევიდა იგი ქალაქში და ერთ-ერთ ახლობელთან დაიშალა: ალბათ ბეთანიაში, ლაზარეს სახლში. მის თანმხლებთაგან ბევრს სცნობდნენ, რადგან მას ყველგან ეძებდნენ. ძლოცველები ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „სადა მე არს იგი?“ თავისუფლად ვერ ბედაყდნენ მასზე ლაპარაკს, იმდენად პაუჭვო, სამუღველი და წინასწარვე მსჯავრგამოტანილი გამხდარიყო. იერუსალიმში მისი ბოლო ყოფნისას ბეთუზდის აუზთან განკურნებული დავრდომილის ამბავი ჯერ არ იყო მივიწყებული. იგი ნათლად შეახსენებს მათ ამ სასწაულს, როდესაც შუა ზემის დროს ტაძარში გაბედავს და სიტყვას იტყვის. იგი, ვისაც სკილაში არ უვლნობ, ისე ილაპარაკებს, თითქოს ისრაელელი მწიგნობარი იყოს! არა, ის არაა მწიგნობარი. მას თავისი მოძღვრებაც კი არა აქვს. რა საჭიროა ახალი მოძღვრება? მისი მოძღვრება მამამისია. მისი დიდება მამამისის დიდებაა. და რადგან მსმენელები მის წინააღმდეგ აჩურჩულდნენ, ჰკითხა მათ:

— რაღსთვის მეძიებთ მე მოკვლად?

ისინი აღშფოთდნენ: „ეშმაკი არს შენ თანა, ვინ გეძიებს შენ მოკვლად?“ გაღილელები მთელი გულით უარყოფდნენ, მღვდელმთავრები კი ცახცახებდნენ, ასე რომ გამოიცნო მათი გულისხმადები, და ვერ ბედაყდნენ დღასით-მზისით მასზე ხელის აღმართვას. მათ ისეთი შეშინებული იერი ჰქონდათ, რომ ებრაელები ერთურთს ეკითხებოდნენ: „ნუუკე ჭეშმარიტად ცნეს მთავართა მას, ვითარმედ ჭეშმარიტად ესე არს ქრისტე?“ არა და არა! შეუძლებელია ამგვარი სისულელის დაჯერება: ეს ბიჭი ნაზარეთიდან მოვიდა, იცნობდნენ მის დედ-მამას, ქალაქი სავსე იყო მისი ნათესავებით, რომლებიც სხვებზე უმაღლ დასციხოდნენ მას და მხრებს იჩენდნენ, თუ ვინმე მასზე რამეს ჰკითხავდა...

მისი ხმა აღელვებდა ხალხს. მარტოოდენ მისი ხმა: იგი თითქმის აღარ ახდენდა სასწაულებს და მაინც არასოდეს ასე არ შეუძრავს ადამიანები. ვნების მოახლოებისას უფლის სიტყვები მწვერვალს აღწევს და წინასწარმეტყველურად ელვარებს: „მცირედ ჟამ თქვენთანა ვარ და წარვალ მომაგლინებელისა ჩემისა. მეძიებდეთ მე და არა მპოვოთ და სადა — იგი ვიყო, თქვენ ვერ ძალ-გიც მოსვლად...“ მათ ვერა გაიგეს რა, და მაინც მოწუხებულნი შესცქეროდნენ მის ბაგეთ. დღესასწაულის ბოლო დღეს აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია სიტყვამ, რომელიც იოანემ შემოგვინახა: „უკუეთუ ვისმე სწყუროდის, მოვედან ჩემდა და სუემდინ. და რომელსა პრწყენეს ჩემი, ვითარცა თქუა წიგნმან, მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდინ წყლისა ცხოველისანი“.

ეს წინასწარმეტყველება, როგორც დღეს უკვე ვიცით, აღსრულდა. რამეთუ ვინც იხილა ქრისტე მისი განსხეულების დროს, ბევრად უფრო ნაკლები წყალობა მიიღო, ვიდრე ჩვენ, ვინც აღთქმის აღსრულებას ვესწრებით. არამარტო წმინდანთა ლეგიონები, არამედ ქრისტეიანთაგან უკანასკნელნიც, როცა წყალობა მათზე გადადის, ცხოველი წყლის წყარონი ხლებიან და ქვეყნიერებამ არ უწყის, რომ გარშემორტყმული და განბანილია ამ მოწუხებულ წყლით.

რა კილოთი უნდა ყოფილიყო ყოველივე ეს ნათქვამი, რომ მთელი ხალხი აღელვებული იყო! „ესე არს ჭეშმარიტად წინასწარმეტყველი... ესე არს ქრისტე! — ნუუკე გაღილეათ მოსვლად არს ქრისტე? არა წიგნი იტყვისა, ვითარმედ ბეთლემით დაბით მოვიდეს ქრისტე...“

მაგრამ ყველაზე საოცარი მღვდელმთავართა მიერ მის შესაპყრობად გავზავნილ ჯარისკაცთა მოწმობაა, რომელნიც უკან ხელცარიელნი დაბრუნდნენ.

— რად არა მოიყვანეთ იგი?

— არასადა ვინ იტყოდა კაცი ესრეთ, ვითარ ესე კაცი, — უპასუხეს მათ.

განრისხებულმა მღვდელმთავრებმა ჰკითხეს მათ: თქვენც რომენ ვართ? მათი დასჯა ვერ გაბედეს, ჰკუის დარიგება კი დაუწყეს. გზისას ერთი ფარისეველი, სჯულის წიგნის ერთი მცოდნე მაინც, ვინც ამ თვითმარქეიას საქმეს ემხრობა? ჰკუასუსტი მდაბიორები მიჰყვებიან მას, რადგან არ იციან, რომ მესია გალილეადან არ უნდა მოუდეს.

დარწმუნეს კი ჯარისკაცები? ფარისევლებისათვის, ტექსტების ცოდნის მუხებით, არაფერია მისი სიტყვების გაბიაბრუება. ისინი ხომ ღვთისმეტყველნი არიან!

და მაინც მათ შორისაც იყო ერთი, ვინც გულის სიღრმეში ამ უბრალო ჯარისკაცთა მსგავსად ფიქრობდა, რომ არასოდეს ადამიანს ისე არ ულაპარაკია, როგორც ეს კაცი ლაპარაკობდა. მაგრამ ნიკოდემოსი სილაჩრის ზღვარამდე მიხულ სიფრთხილეს იჩენდა. მან იესოს პირისპირ მთელი ღამე გაათია, მარტომ მასთან ერთად. მისი გული აგიზგიზდა, მაგრამ ამ ცეცხლს ნაცარი წააყარა... ამ დღეს კი მან მთელ თავის გამბედაობას მოუხმო და მისი მოცახცახე ხმა გაისმა: „ნუუკე სჯული ჩუენი დასჯის კაცსა, უკუეთუ არა პირველად ისმინოს მისგან და ცნას რასა იქმს?“ მღვდელმთავრებმა მოიგერიეს სავტვო ფარისეველი: „ნუ შენცა გალილეაით ხარ? გამოიძიე და იხილე, რამეთუ გალილეაით წინააწარმეტყველი არა აღდგომილ არს“.

ნიკოდემოსმა ცხვირი ჩამოუშვა და სახლში ალბათ კედელ-კედელ დაბრუნდა.

XVII

მრუში დელაკაცი

ის ღამე ძე კაცისამ ალბათ ზეოისხილის მთაზე გაატარა: ან შეიძლება ბეთანიაში ჩავიდა. განთიადისას ტაძარში დაბრუნდა, სადაც უკვე გროვდებოდა ხალხი. და აი მოახლოვდა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მტირალ და შეშინებულ ქალს მოათრევდა. მას, დამის წყვდიადს შეფარებულს, მრუშობაზე წაასწრეს. ვის მოუვიდა აზრად მისი ნაზარეველთან მოყვანა? იესო ხარკის ამკრეუთა და გზასაცდენილ ქალთა მეგობარი იყო, ამის დადასტურება იოანეს მოწაფეებსაც შეეძლოთ. ო, სჯული შეუბრალებელია მოღალატე დანიშნულების, მეტადრე მოღალატე გათხოვილი ქალების მიმართ: ისინი უნდა ჩაიქოლონ. ტექსტი ნათელია. მწიგნობრები გარს ეხვეოდნენ და გამოცდელად ეკითხებოდნენ, დარწმუნებულნი, რომ შეცდომაში გამოიჭერდნენ: „შენ უკუე რასა იტყვი“?

მალიან არ ენადულებოდათ ეს საცოდავი არსება! ყველა ხერხს იყენებდნენ იმის დასაღუბავად, ვინც სძულდათ. შეუძლებელი იყო წინასწარ განეჭვრიტათ თვითმარქეიას ღვთისმემობლობა, მაგრამ წინასწარვე იყენენ დარწმუნებულნი, რომ იგი დაგმობდა ღმერთს. ისინი შემოეჯარნენ იესოს, უყვიროდნენ და მკვახედ ელაპარაკებოდნენ, საბრალო ქალი კი იდგა თმაგაჩეჩილი, ნახევრად შიშველი, შიშისაგან ცოცხალ-მკვდარი, ხაფანგში გაბმული ნადირის თვალებით მიშტერებოდა უცნობს, რომელიც მღვდელმთავრებმა მოსამართლედ დაუყენეს.

იესო მას არ უყურებდა. თითოთ წერდა მიწაზე. ნეტარი იერონიმე¹ დარწმუნებულია, რომ ამგვარად იგი ითელიდა ბრალმდებელთა ცოდვებს, რაც უფრო მარტივია ჭეშმარიტება, მით უფრო მშვენიერია! ძე კაცისა მას არ უყურებდა, რადგან იცოდა, რომ ამ უბედურს გული იმდენად შიშისაგან კი არ მისდოდა, რამდენადაც სირცხვილისგან, და რომ არის ადამიანის ცხოვრებამდე წუთები, როცა ყველაზე დიდი მოწყალეობა მისი არდანახვია. ეს თვალის არიდებას² მისი ქრისტეს შთელი სიყვარული ცოდვილთადმი და ციფრები, რომლებსაც მიწაზე წერდა, არაფერს ნიშნავდა, ვარდა მისი სურვილისა არ მიეპყრო მზერა ამ საბრალო სხეულისათვის.

მან დაიცადა, როდის ჩაიწვევტდა ხმას ქოფაკთა ხროვა, და ბოლოს თქვა:

— ვინ უცოდველი არს თქვენგანი, პირველად მან დაუტყვევენ ქვათ მაგას ხედა.— და ხელახლა დაიხარა და დაიწყო მიწაზე წერა. „ხოლო ვითარცა ესმა, მხილებულნი სვინდისისაგან, განვიდოდეს თითოთ, იწყეს მოხუცებულთაგან, ვიდრემდის დაშთა თავადი მარტოა და დედაკაცი იგი დგა შორის“.

იწყეს მოხუცებულთაგან... ამჯერად მან ისინი ნათელმხილველობის წყალობით დააშინა. მისმა მტრებმა იცოდნენ, რომ მას მათ გულებში ჩახედვა შეეძლო. თითოეულმა შიშით გაიხსენა რაღაც, რასაც წლების მანძილზე ძალავდა სხვათა მზერისაგან: ცუდი ჩვევა, სამარცხვინო მოქმედება. უცბად ნაზარეველს რომ დაეყვირა: „ჰეი, შენ მანდი! რა, არ მიდიხარ? გუშინ ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილას რას აკეთებდი?“

იესო მარტო დარჩა ქალთან. ბოლოს და ბოლოს იგი არაა მისი მსახული. რადგან ბრალმდებლები გაუჩინარდნენ, ქალსაც შეეძლო ამით ესარგებლა, გაქცეულიყო და სადმე შეეფარებინა თავი. მაგრამ ის აქ დარჩა; ის, ვინც ჯერ კიდევ გუშინ ეძღეოდა ცოდვილ სიტკბობებს. მან ბევრი იწვალა, ბევრჯერ შეებრძოლა თავს, ხანამ დაეცემოდა, და აი, ის აღარ ფიქრობს აღარც სიყვარულზე, აღარც არაფისზე ამ უცხოობის გარდა, რომელიც ახლა მას უყურებს, რადგან მარტონი არიან და ქალი აღარაა დამცირებული. და ქალიც ჯერ კიდევ სირცხვილით დამწვარი შეპყურებს... სხვაგვარი სირცხვილით. დასტირის მისგან ჩადენილ ცოდვას. ვნება გადის მისგან. უეცრად მის გულსა და სხეულში დიდი სიმშვიდე ისადგურებს: ო, სისხლის დაშოშმინება უფრო ძნელია, ვიდრე ტიბერიადის ზღვისა! არაფერი ადამიანური უცხო არ იყო ნაზარეველისთვის; მაგრამ რადგან ღმერთი იყო, იცოდა ის, რაც არც ერთ მამაკაცს არ შეეძლო სცოდნოდა: ქალის ეს დაუძლეველი სისუსტე გარკვეულ დროს, გარკვეულ ადამიანთა წინაშე, მას რომ მცოცავ და მხოვავ არსებად აქცევს ხოლმე. საუკუნეთა განმავლობაში ძე კაცისას ყველაზე არაჩვეულებრივი და ხშირი გამარჯვება (იმდენად ხშირი, რომ აღარც გვაოცებს) ის არის, რომ უთვალავი წმინდანი ქალისათვის სისხლის ძახილს იესოს ძახილი სცვლის.

იგი უკვე ამ ქალის მეუფე იყო. იესო შეეკითხა: „დედაკაცი, სადა არიან შემასმენელნი შენნი? არავინ განვიკითხა შენ?“ ქალმა უპასუხა: „არავინ, უფალი“. იესომ უთხრა: „არცა ძე განვიკითხავ შენ. წარვედ და ამიერიდან ნუღარა სცოდავ“.

ქალი გამოვრდა. ის დაბრუნდება, უფრო სწორად, მას არ სჭირდება დაბრუნება: ისინი ამიერიდან სამარადეჟამოდ შეკავშირდნენ. ამგვარად ვითომდა დამარცხებული ქრისტე თავის გარშემო მყოფი ნამძირალებიდან მომხრეებს იკრებდა. ამ დაწუნებული გულებიდან, ქვეყნის ამონარწყევლიდან იღუმალ განძს აგროვებდა.

1. ნეტარი იერონიმე (347—420) — ლათინური ეკლესიის მამა.

მას კაკლის ხის ტოტი არ სჭირდებოდა, რათა ყველა ხილული მანკის მიუხედავად ადამიანებში ტანჯვისა და სინაზის ის წყარო აღმოეჩინა, რაზეც მას ჰქონდა ძალაუფლება.

მამის სწორი



ეს ხანმოკლე შესვენება იყო იმ უღმობელ ბრძოლაში, რომელშიც ჩაითრიეს და რომელიც აღარ შეწყდებოდა პარასკევის დილის სამ საათამდე, როდესაც ჭრილობებად ქცეული მისი სხეული სულს განუტევედა. იგი აღარაფერს ურიდებოდა, აშკარად, მარტო იბრძოდა (მოწაფეებმა უკან დაახიეს) ქალაქში, სადაც მტერი — ფარისეველი და მღვდელი ბატონობდა და სადაც უკვე გაცემული იყო მისი დასჯის ბრძანება, სადაც აღარაფერი დარჩენილიყო მასა და ჯვარს შორის იმ გასაოცარი სიტყვების გარდა, რომელმაც ადგილზე მიაჯაჭვა მის დასაჭერად მოხული ჯარისკაცები.

მჭევრმეტყველება ან რაიმე ადამიანური ნიჭი აქ არაფერ შუაში იყო. იყო ძალა, რომელიც მანამდე არც ერთ ადამიანს არ ჰქონდა. იგი ეხებოდა ყველაზე ინტიმურს, თითოეული ადამიანის საიდუმლოს პირდაპირ მიადგებოდა ხოლმე. ოთხი დიდი კანდელაბრი, ქალთა სტოაში¹ რომ ერთი კარვობის დღესასწაულის პირველ საღამოს, ჩაეჭროთ. ვანძის სტოაში იესომ იყვირა: „მე ვარ ნათელი!“ და რადგან ებრაელებმა დასცინეს მის მიერ თავის თავის მოწმობას, მათ პირში მიახალა თავისი ორბუნებოვანების საიდუმლო: „უკუეთუმცა მიცოდეთ მე, მამაცამცა ჩემი იცოდეთ...“

პირს გააღებდა თუ არა, საშინელ ცოდვას სჩადიოდა — თავს ღმერთს უტოლებდა. მაგრამ ებრაელებმა კარგად იცოდნენ, რაც სურდათ: მას არაორაზროვანი სიტყვებით უნდა ეღიარებინა თავისი ვინაობა და ამიტომ ეკითხებოდნენ: „შენ ვინ ხარ?“

ახლა, როცა ნილაბი ჩამოიხსნა, როცა მოუთმენელი ღმერთი თავისი შექმნილი ძალების ხროვის პირისპირ აღმოჩნდა, აღარ ყუხერხულებოდა იმ საშინელ გვირგვინზე საუბარი, რომელსაც უკვე ეხებოდა აუკანკალებელი ხელით: „ოდეს აღამაღლოთ ძე კაცისა, მაშინ სცნათ რამეთუ მე ვარ“. ჯიუტ მოწაფეებს სხვაგვარი დიდება წარმოედგინათ და არა ჯვარცმა. როგორი იყო ის საუფლო, რომლისაკენაც მიისწრაფოდნენ? რა ელოდათ ოდნავ შეღებულ კარს მიღმა? მოძღვარი იმეორებდა: „ჩემძან ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ!“ ებრაელები შეეკამათნენ, რომ ისინი არასოდეს ყოფილან მონები. იესომ მათ ხმა გააკმდინა იმ საბუთით, რომლის ჭეშმარიტება თავისი ტკბილ-მწარე გამოცდილებით ყოველმა ქრისტიანმა, ყოველმა ჩვენებამა იცის: „ამინ, ამინ გეტყვი თქუენ, რამეთუ ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, მონაჲ არს ცოდვისაჲ. უკუეთუ ძემან განგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუფალ-იყვენეთ“.

ბოლოს და ბოლოს გამველავნებულა მისი ძალაუფლება ამდენ ადამიანზე: მათ შეუძლიათ დაეჭვდნენ, უარყონ, დაგმონ ღმერთი, შეიძლება გაიტყნენ კიდევ, მაგრამ მაინც ეცოდინებათ, რომ მხოლოდ მას შეუძლია მათი განთავისუფლება, და თუ ისინი მას ტოყებენ, მხოლოდ იმეტომ, რომ უღელი დაიდგან, ბედისწერის დოღაბი ატრიალონ, რომლისგანაც ვერავითარი ამქვეყნიური ძალა ვერ იხსნის იესოს გარდა, ვისაც ისინი ჯვარს აცვამენ და მერე თავყვანს სცემენ. სწორედ ამაში,

1. სტოა — ძვ. საბერძნეთში საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობა, რომელიც კედლის გახწვრივ ერთ ან ორ რივად განლაგებულ კოლონადას წარმოადგენს.

მაგრამ ძალიან ვიწრო გაკებით, შეიძლება დაეთანხმო ნიცშეს ნათქვამს: ქრისტიანობა მონათა რელიგია თუ არა, მონობიდან განთავისუფლებულთა რელიგია მაინცააო.

თავისი სიცოცხლის ბოლო დღეებში იესო ისე აშკარად ამჟღავნებდა თავის ტრანსცენდენტულობას, რომ მისი ვერშემცნობნი, მისი აზრით, დიდ დანაშაულს სჩადიოდნენ: „რაისათვის სიტყუანი ჩემი არა იცნით?“ — უკიდურესი გაღიზიანებით კითხულობდა ნილაბჩამიხსნილი ძე ღვთისა. მან მათ დაანახა მატყუარა, ვისგანაც ისინი წარმოიშვნენ, სიცრუის მამა — დემონი. ისინი ეშმაკულები რომ არ ყოფილიყვნენ, აუცილებლად შეიცნობდნენ ქრისტეს, რადგან იმ დღეებში იესოს ღვთაებრიობა აშკარად ჩანდა. ამის დამამტკიცებელია ის, რომ ვერც ერთმა ვერ გასცა პასუხი მის კითხვას: „ვინ თქუენგანმა მამხილოს მე ცოდვისათვის?“

არა, არაფერია საპასუხო. მაგრამ ბავშვებით კი ლანძღავდნენ ერთმანეთს: „სულელი? მე კი არა, სწორედ შენ ხარ სულელი“. და ეღავებიან იესოს: „ეშმაკი არს შენთანა!“

ამ მლანძღავ ბრბოში გარეული მრავალი ჯერ კიდევ მოყოფებანე გული, ჭეშმარიტების ზღვრამდე მისული, სიყვარულით ცახცახებდა. უფალი თავის გულის ახლოს გრძნობდა მათ ფეოქვას და უეცრად ყურადღება აღარ მიაქცია ამდენ შეურაცხყოფას და სასწორზე დაღო საოცარი დაპირება, რომელმაც დაასრულა მისი მოყვარული გულების მონადირება:

— ამინ, ამინ გეტყვი თქუენ, უკუეთუ ვინმე სიტყვად ჩემი დაიმარხოს, სიკუდილი არა იხილოს უკუნიამდე.

ერთი ხელის დაკვრით კიდევ ერთხელ გადალახა მოკვდავი ადამიანის ბუნების ზღვარი. აი იგი — ძე განძარცული თავისი ადამიანობისაგან, უფრო შიშველი, ვიდრე ჯვარზე გაკრული მისი სხეული იქნება, მოურიღებლად სთავაზობს ყველას თავის ღვთაებობას:

— აბრაჰამს, მამასა თქუენსა უხაროდა, რადთა იხილოს დღე ესე ჩემი, იხილა და განიხარა!

ებრაელებმა უთხრეს: „ერგასისა წლის არლა ხარ და შენ აბრაჰამი გიხილაუსა?“ იესომ უპასუხა: „ამინ, ამინ გეტყვი თქუენ: პირველ აბრაჰამის ყოფამდე მე ვარ“. მაშინ აიღეს ქეები, რომ მისთვის ესროლათ, იესო თვალს მიეფარა და გავიდა ტაძრიდან.

ისინი აღარ გამოედევნენ. გასამართლებისა და დასჯის უფლება რომაელებს ჰქონდათ. ნაზარეველს ნათლად არ უთქვამს: „მე ვარ ძე ღვთისა“. აუცილებელი იყო მღვდელმთავრებს ამ საშინელი ღვთისგმობის დამოწმება შესძლებოდათ, რათა კანონიერად ექციათ სასწრაფო ანგარიშსწორება. ისინი მაინც იკავებდნენ თავს, მაგრამ იტყოდით, რომ ძე კაცისას მათი გაშმაგება სჭირდებოდა. იგი მათ ისე ექცეოდა, როგორც კაცი ცეცხლს, რომლის ჩაქრობაც ეშინია. მან შემთხვევით არ აირჩია შაბათი ბრმადშობილის განსაკურნებლად.

XVIII

ბრმაღ შობილბან

ქუჩაში მარტო მიმავალი კაცის შეცნობისას ებრაელები ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „არა ესე არსა, რომელი ზინ და ითხოვნ?“ მათხოვარი თვით ჰყვებოდა, რაც შეემთხვა: „კაცმან, რომელსა პრქვიან იესო, თიხად შექმნა და მცხო თუალთა ჩემთა და მრქუა მე: წარვედ საბანელსა მას სილოამისასა და დაიბანე“. ფარისე-

ვლებსაც იგივეს უმეორებდა: „თინაო დამდეა თუალთა ჩემთა და დავიბანე...“ ზოგიერთნი, მიუხედავად შაბათის მიმართ ჩაღვნილი ცოდვისა, აღუღებულნი იყვნენ ამ სასწაულთ. ერომა მათვანმა ჰკითხა სასწაულებრივად განკურნებულს: „შენ რასა იტყვი მისთვის?“ და გულუბრყვილო მათხოვართა უპასუხა: „წინასწარმეტყველი არს“.

რა, ახლავე მოსდებს მთელ ქალაქს თავის ამბავს? მტკუნებელი მისი მშობლების მოყვანას ბრძანებენ. ისინი დაშინებულნი უკან იხევენ: „უწყით, რამეთუ ესე არს ძე ჩუენი და რამეთუ ბრძანა იშვა, ხოლო აწ ვითარ ჰხედავს, ჩუენ არა ვიცით. მაგას ჰკითხეთ, ჰასაკი აქუს“. მას ხელახლა ეკითხებიან და მტრედის სისპეტაკე გამოსჭვივის მის პასუხებში. ამ მგლივნი წინაშე მას თავი ისე უჭირავს, როგორც სულიწმიდის ფრთებქვეშ შეფარებულ ყველა სუსტ არსებას: „მიეც დიდებამ ღმერთისა, რამეთუ ჩუენ უწყით, რამეთუ კაცი ესე ცოდვილ არს. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: ცოდვილი თუ არს, მე არა უწყი, ხოლო ერთი ესე უწყი, რამეთუ ბრმა ვიყავ და აწ ვხედავ. მერმე ჰრქუეს მას: რა გიყო შენ? ვითარ აღვიხილნა თუალნი შენი? მიუგო მან და ჰრქუა მათ: გარქუ თქუენ პირველნი და არა გესმა; რასალა გნებავს კუალად სძენად ანუ თქუენცა გნებავს მოწაფე ყოფად მისა?“

იმ დროიდან, როცა წუთით მარტო დარჩა მრუშ დედაკაცთან, ძე კაცისას არ შეუსვენია იმ სამკედრო-ხასიციოცხლო ბრძოლაში. და აი, კიდევ ერთი ალალი გული, კიდევ ერთი ღარიბი, რომელთანაც შეიძლება დაჯდე და დაიხვეწო, როგორც ჭასთან ისვენებს ხოლმე ციცაბო აღმართზე ამაველი მგზავრი. არა, მას არავინ სჭირდება. იგი სიყვარულია.

გამეკვებული მათხოვარი სიფრთხილისათვის უნდა ვასცლოდა ქალაქს. უცერად გზაზე კაცი დაინახა. სასწაულებრივად განკურნებულმა არ იცოდა, რომ კიდევ ერთხელ მოუწყდა თვალის ახელა, რომ შხის ნათელის გარდა კიდევ არსებობდა სხვა ნათელი. მართლა ალალი გულის პატრონი იყო ეს მათხოვარი. მის განკურნებამდე უფალმა გააფრთხილა მოწაფეები, რომ იგი მისი ან მისი მშობლების ცოდვათა გამო კი არა, ღმრთის დიდების საუწყებლად იყო ბრძამშობილი. გზაზე მათ გარდა არავინ იყო და იესომ ჰკითხა:

— შენ გრწამსა ძე ღმრთისა?

— ვინ არს იგი, უფალო, რამთა მრწამენს იგი? — უპასუხა კაცმა და თავისი გულუბრყვილობის მიუხედავად უკვე მიხვდა, მისი გული მხურვალე იყო, მუხლები თავისთავად ედრიკებოდნენ და ხელები გულზე ეკრაფებოდნენ.

— რომელი იტყვის შენ თანა, იგი არს.

— მრწამს, უფალო.

„და თაყუანი-სცა მას“. რამდენიმე წამიც კა საკმარისია, რომ ცხოველმა სიყვარულმა სული მოითქვას.

მწყემსი კეთილი

ამგვარად შემოიკრიბა იესომ თავის გარშემო პატარა სამწყსო. ამ ცხვრებს მიმხილველი გარეგნობა არ ჰქონდათ და კერძოთელი კაცი ამისთვის კაცხავდა მას: რა საჭირო იყო უმაქნისი ხალხის დაახლოება? მის მოწაფეთა შორის ათ გავლენიან კაცსაც ვერ იპოვიდით. ეს ბრბო პირველივე შეტევაზე გაიფანტება.

იესო კი ამბობდა: „ჩემი ცხოვარნი... ჩემი სამწყსო“. ისინი მის ხმას სცნობდნენ. მან იცოდა თითოეულის სახელი. და განა მარტო სახელი? იცოდა შიში, წუხილი, სინდისის ქენჯნა, ყველა უმცირესი შეართოილება თითოეული ცოცხალი

გულით, თითოეული ადამიანისა, ვისაც მისი ყურადღება მიეპყრო, თითქოს იქმარადიული მნიშვნელობის რამ ეგულებოდა. და მართლაც საქმე მარადიულობას ეხება: მას განსაკუთრებული სინაზით უყვარს ჩვენთაგან უმცირესიც.

იესო მწყემსია და აგრეთვე კარია ცხოვართამ. უმისოდ ფარეზში ვერაფერს შეუძლია. ძე კაცისა უკვე ასწავლიდა მის უარყოფელ ქვეყანას, უნებნებად მიიღო ვერ გახვალთ, უხემოდ ვერ ჩასწვდებით ჭეშმარიტებას. თქვენ — მას მწყემსობით, ხიზლით აივსებით მათ მიმართ, ვინც ის უკვე იპოვა. და ამ ძიებაში დაიხარჯება მთელი თქვენი ადამიანური გონიერება, რადგან არ მოინდომებთ კარიდან შესვლას“.

ამიერიდან იგი სიტყვას ისე არ დასძრავს, რომ თავის სიკვდილზე არ მიანიშნოს: „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაღვის ცხოვართათვის...“ და ერთი ხელის მოსმით განზე გასწევს იუდეას მთებს და შლის უზარმაზარ პერსპექტივას: „და სხუანცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოსაგანნი...“

ყარეხები ყველგანაა, სადაც კი ბიბოქარი მასისაგან გამოცალკავებული ადამიანები ცხოვრობენ; გამოყოფილი ადგილებია, იმედის კუნძულებია მტრულად განწყობილი ქვეყნის შუაგულში.

XIX

გულმოწყალე სამარიტელი

უფალი ცოტათი გაშორდა იერუსალიმს, მაგრამ იუდეა არ დაუტოვებია. ახლა ქალაქიდან შორს არ უნდა წასულიყო, მაგრამ არც ნაადრევად სიკვდილი იყო საჭირო. სილაღისა და შესვენების უკანასკნელი დღეები დადგა, როცა მან გული გადაშალა და მოჰყვა იგავებს, რითაც დღესაც ცოცხლობს კაცობრიობა. ერთმა მწიგნობარმა ჰკითხა: „ვინ არს მოყვას ჩემდა?“ იესო თხზავს ამბავს გზაში ქურდებისაგან გაძარცვულ, იერუსალიმიდან იერიქონისაკენ მიმავალ კაცზე. გზა არაბებისაგან „წითელ ასასვლელადაა“ სახელდებული, ნიადაგის ფერის გამო. მოგონილი ამბავია? ეს გზა მართლაც ყანალების თავშესაფარი იყო. მონათხრობიდან ისე ჩანს, რომ მოძღვარი წარმოსახულ ამბავს კი არ ჰყვებოდა, არამედ თვით ესწრებოდა ამ ამბის მსვლელობას და ყოვლისმხილველი ცხადად ხელდავდა იმას, რაც ალბათ იმავე წუთებში ხდებოდა იმ ადგილიდან სულ რამდენიმე სტადიონის¹ დაშორებით, სადაც პატარა „მოხიბლული“ ჯგუფი მას გარს შემოხვეოდა და გულისყურად ქცეული კეთილგანწყობილი მწიგნობარი ისმენდა მის სიტყვებს. აი, დაჭრილი, ცოცხალ-მკვდარი კაცი გდია გზის პირას. ჯერ მღვდელი ჩაუკლის გვერდით, მერე ლევიტელი², თავსაც რომ არ მიაბრუნებს მისკენ; შემდეგ მოდის მღვდლებისათვის საძულველი კაცი — სამარიტელი, ეს უკანასკნელი ღვინითა და ზეთით განბანვის შემდეგ ჭრილობებს უხვევს მგზავრს, სვამს სახედარზე და სალამოს მიჰყავს დუქანში. შედუქნეს ცოტაოდენ ყულს უტოვებს, მეტი არა აქვს, და პირდება, რომ გამოვლისას დანარჩენსაც მოუტანს. მისი მოგზაურობა შეფერხდა, მან სულ დაიხარჯა, რაც კი გააჩნდა.

1. სტადიონი — სივრძის საზომი ერთეული ძვ. საბერძნეთში.

2. ლევიტელი — ლევის ტომის წარმომადგენელი; კულტის მსახური ისრაელში.

ბეთანია

რა ღმობიერი და დამცხრალია ძე კაცისა თავისი ცხოვრების ამ მონაკვეთში! იერიქონისაკენ მიმავალი გზის დასაწყისში, სოფელ ბეთანიამი, მას ეგულე-ბა სახლი, კერა, ძეგობრები: მარიამი, მართა და მათი ძმა — ლაზარე. იესომ თავის თავს სულის მოთქმის საშუალება მისცა. არა, ნუგეძის გან არ სჭირდება, უბრალოდ, მცირე შესვენებაზე, მცირე აღერსზე თანხმდება. შალას იკრებს იმისთვის, რაც მალე მოხდება. საწოლი, მაგიდა, ძეგობრები, რომლებმაც იციან, რომ ის ღმერთია, და რომელთაც უყვართ განკაცებული ღმერთი... მას ერთნაირად უყვარდა მართა და მარიამი, თუმცა არავითარი მსგავსება არ იყო მათ შორის. მართა მის გასამახპინძლებლად ფუსფუსებდა, იესოს ფეხებთან მიმჯდარი მარიამი კა მის სიტყვებს ისმენდა. უფროსი და ბრაზობდა, რომ ყველა საქმე მას დააწვა კისერზე, და უფალმა უთხრა:

— მართა, მართა! ზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათვის; აქა ერთისა არს საკმარ. ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არასადა მიუღოს მისგან.

ზოგიერთთა მიერ ამგვარად თარგმნილი ეს ფრაზა: არ დაიღალო, ერთი კერძიც საკმარისიაო, — არაა სწორი. მაგრამ ისინი, ვისაც უყვარს იესო, მის უმცირეს სიტყვასაც ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ ამ სიტყვებზე აფუძნებენ ჭვრეტისა და ქმედების საეკლესიო დოქტრინას... და მართლაც უკეთესი ხედრია გიყვარდეს და უყვარდე და საყვარელი ღმერთის ფეხებთან ჩამჯდარი გულისყურად იყო ქცეული. მაგრამ ასევე საამოა ემსახურო მას, უპოვართა სახით მოვლენილს, და ყოველთვის გრძნობდე, რომ ის აქაა, რომ ის შენ გვერდითაა. ო, უთვალავ სულთა მომხმბლავო ეშმაკობავ, ერთდროულად მართაც რომ ხართ და მარიამიც!

იესოს კაცად ყოფნა არ სჭირდებოდა, მართა, მარიამი და ლაზარე რომ ჰყვარებოდა, მაგრამ განკაცება იმისათვის იყო საჭირო, რომ ისინი, როგორც სიკვდილის შვილები, შეეყვარებინა და მიჯაჭვოდა იმას, რაც მათში მოკვდავი და წარმავალი იყო. ჯერ ისევ შემოდგომა იდგა; ბეთანიასთან განშორებისას იგი უნდა შეეძრწუნებინა იმას, რაც მალე ამ სახლში დატრიალდებოდა: ლაზარეს სიკვდილთან ჭიდილი, ლაზარესი, რომლის შესახებაც მეტი არაფერია ჩვენთვის ცნობილი. სიკვდილის სტუმრობა, ქრისტეს მასთან შებრძოლება და გამარჯვება... უიჭველია, იგი უკვე თავის გულში ხედავდა ამ გამარჯვებას და ვეღარ იტევდა მამისადმი სიყვარულს. როცა გზაზე მისმა მოწაფეებმა ანაზად სთხოვეს: გუასწავე ლოცვაო, მან ცისაკენ აღაპვრო თვალები და დაიწყო: „მამაო ჩვენო...“

მამაო ჩვენო

ეს უბრალო სიტყვები, რომლებმაც გარდაქმნეს კაცობრიობა, ხმადაბლა წარმოთქვა ხალხით გარშემორტყმულმა კაცმა, რომელიც სოფლის ბოლოსში მდგარი ძეგობრის სახლიდან გამოვიდა. იგი ამბობდა, რომ ღმერთი ჩვენი მამაა, რომ ჩვენ გვეყავს მამა ზეცაში, რომ ის — ზეცაში მყოფი მამა — ნამდვილად არსებობს. დიდი დრო დასჭირდა ქვეყნიერებას ამის გასაგებად, ებრაელებმა, რა თქმა უნდა, უყოღნენ... მაგრამ მათ საზარელი, შურისმაძიებელი, დაუნდობელი მამისა სწამდათ. ისინი ცუდად იცნობდნენ იესოს, არ უწყობდნენ, ვინ იყო იგი. უფალი მათ ახლავდა ასწავლის, როგორ უნდა დაელაპარაკონ მას, როგორ უნდა მიიღონ მისგან ყველაფერი, რომ არ უნდა მოერიდონ დაჟინებით თხოვნასა და

გულის გაწყალებასაც კი, რადგან სწორედ ამას მოელის იგი ჩვენგან; ბავშვურ უშუალობას, პატარა ბავშვის მამისადმი ბრძედ მიწოდებას; მამისადმი, ვისი სუფევა ჯერ არ დამდგარა, ვისი ნება-სურვილიც ეჯახება მის მიერ შექმნილთა სურვილს, რომელთაც ბოროტება სიკეთეს ურჩევნიათ. „იყავნ ნება შენი...“ ამიერიდან დედაშიწაზე სამართლიანობის მეუფება ამ წუთიდანვე დაგება. მოგვცეს ჩვენ პური, მოგვიტევეს ჩვენი ცოდვები, გვიხსნას დემონისაგან! იმ დემონისაგან, ვის თანამზრახველობასაც აბრალებდნენ მტრები იესოს.

ავგულები შეუერთდნენ მათ. არც ისე შორს იყო იერუსალიმიდან, რომ თავის მსმენელთა განწყობილების მცირე ცვლილებით არ მიმხვდარიყო, მათში ფარისეველთა საფუარი რომ იყო შეპარული. იმ დღეს, როცა მუნჯი შეპყრობილი გაანთავისუფლა, ხმა გავარდა: ბელზებელითა განასხამს ეშმაკთაო. აი გუშინაც იერუსალიმში მას უწმინდურის, ბოროტი სულის მსახურება დასწამეს, სწორედ მისი მსახურება, რომელიც ექსტაზში მყოფმა ციდან მეხივით ჩამოვარდნილი დაინახა.

გმობა სულისა წმიდისათვის

განუწყვეტელი პატარა ტალღები ერთმანეთს მოსდევს. გულის გამაწვრილებელია ამ ბრალდებათა ერთფეროვნება, ღმერთი მოელი თავისი ღვთიურობით უძღურია (რა საოცრებაა!) და ვერ სძლევს მათ. და მაინც ეს მხოლოდ დროის, თვეების, მსგაფსებისა და დღეების საკითხია. თამაში რომ დაიწყება, ხელს ან მოიგებ ან წააგებ. არა, წაგება შეუძლებელია. წაგება იმ ზომის იქნება, რა ზომითაც თავისუფალი არსებანი წინააღმდეგობას გაუწევენ დაუსაბამო სიყვარულს. იცის კი მან ამ მარცხის შესახებ? დიახ, იცის და პირდაპირ მისკენ მიექანება, რადგან ამ ჯიუტმა მღვდლებმა, ამ ჩერჩეტმა თვალახვეულმა მწიგნობრებმა სიტყვასიტყვით, შეზღუდულად გაიგეს წმინდა წერილი და სჯულის კანონი და იქიდან ამოკრეფილ ციტატებს განუწყვეტლად აჟღარუნებენ. ისინი ტარიგს ღმრთისას ბელზებელში ურევენ, რომლის სახელიც ბუხების თუ ნებვის ღმერთს ნიშნავს!

ძე კაცისა თავის შეკაუებას ცდილობს, მაგრამ მისი არსის საიდუმლოა შელახული. იგი თავიდან განურისხებლად პასუხობს: „ვითარ ხელ-ეწიფების ეშმაკსა ეშმაკისა განხდად? და უკეთუ მეუფება მეუფებასა განველთას, ვერ ხელ-ეწიფების დამტკიცებად მეუფება იგი“. ხმა უთრთის და ტურები უკანკალებს. სადღაა ბეთანიის სიმშვიდე, კერძის სურნელი, საღამო, სამზარეულოში მოფუსფუსე მართა? სადღაა მისკენ თვალაპყრობილი, სალოცავად ხელაღმართული მარიამი? მისი გაშმაგება და ნაღველი ერთბაშად იფეთქებს: მან, ვინც იგი ბელზებელისაგან ვერ განასხვაეა, საშინელი ცოდვა ჩაიდინა:

— ამინ გეტყვი თქუენ, ვითარმედ ყოველივე მიეტეოს ძეთა კაცთა ცოდუანი და გმობანი, რაოდენსაცა ჰგმობდნენ. ხოლო რომელმან მსთქუას გმობა სულისა წმიდისათვის, არა აქუს მიტევება უკუნისამდე; არამედ თანამდებ-არს იგი საუკუნოსა სასჯელისასა.

არაა საიდუმლოება სიტყვებში „გმობა სულისა წმიდისათვის“. მარკოზის ტექსტი ნათელია: იესომ ეს თქვა, „რამეთუ იტყოდის, ვითარმედ სული არა წმიდაა არს მის თანა“. ყველაფერი თავდაყირაა იმ ადამიანის შეგნებაში, ვინც ამტკიცებს, რომ ბოროტება სიკეთეა. ამ მიუტივეებელ დანაშაულს სჩადის მორწმუნე კაცი, რომელმაც იცის, რომ ბოროტებაც და სიკეთეც არის განსხვავებული და სიამოვნებას გერის ორჭოფი მკრეხელობა: თავის საკუთარ ცხოვრებაში ქრი-

სტეს დემონის როლს აკისრებს, სლევნის მას, როგორც მაცდურს, და სამაგიეროდ თაყვანს სცემს უწმინდურს, შეგნებულად უღებს მას გულის ცარს და თანხმდება, რომ მისი სიტყვებით პირთამდე იყოს აღვსილი.

ასე და ამგვარად არსებობს მარადიული ცოდვა. ამ წუთში ქრისტეს ფიქრი იმისკენაა მიმართული, ვისაც შეადარეს. შეურაცხყოფილი-ქმედით უყრო სახარი ჩანდა, როცა თავი გულგრილად ეჭირა: სტრუქტურული უფიქრობდა იგი, რა იოლად ლაპარაკობენ ბელზებელზე, „ნეხვის ღმერთსაც“ ეძახიან... ეპ, რომ იცნობდნენ, აღარ გაეცინებოდათ. და უეცრად დასცდა სიტყვა, რომელსაც ფრთხილი კომენტატორები გაკვირით ეხებიან და რომელიც წარმოთქმული იყო, რათა ყველაზე ძვირფასი მეგობრებიც, და უპირველესად სწორედ ისინი, შიშით გაყინულიყვნენ: „რაჟამს სული არა-წმიდად განვიდის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა, და ეძიებნ განსუენებასა, და არა ჰპოვის, სიტვის: მივიქცე სახლსავე ჩემსა, ვინაცა გაშოყედ. და მოვიდის და ჰპოვის იგი განშუენებული და შემკული. მაშინ წარვიდის და მოიყუანის სხუანი შეიდნი სულნი უბოროტესნი მისსა, და შევიდის და დაიმკვიდრის მას შინა; და იქმნის უკანასკნელი კაცისა მის უძვირეს პირველისა“.

სასიამოვნოა ხელახლა წმინდად ქცევა, ისე დაასუფთოებ ხაჯინიბოს, ერთ ჩონჩორიკსაც არ დატოვებ, თითქოს საქორწილოდ რთაყდე, მაგრამ უწმინდურთა რემა, რომელიც განწმენდილმა კაცმა გააძევა, ერთ საღამოს ბრუნდება, კარებთან ქშინავს და ჩვენ გვესმის მათი ფრუტუნი...

ქალები უსმენდნენ ყოველივეს და არაფერი გაეგებოდათ, როგორც ახლაც ხდება ხოლმე, მის ბაგეებს მიშტერებოდნენ მისი ხმით მიხიბლულნი. ერთერთმა მათგანმა სიტყვა შეაწყვეტინა და მიამახა: „ნეტარ არს მუცელი, რომელმან ვიტვირთა შენ, და ძუძუნი, რომელთაჲსწოვდი!“

აღბათ ნაჩარეთიდან იყო და უნდოდა მასთან ერთად ხალხში მიმალული მარიამისთვის ესიამოვნებინა. მაგრამ ქრისტეს გულის აჩუყების დრო აღარ ჰქონდა და მკაცრი ხმით უპასუხა: „ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყუად ღმრთისაჲ და დაიმარხონ იგი“.

ამ სიტყვის მოსმენა — არაფერია, მასზე სიყვარულით დათანხმება — არაფერია, მისი დაცვა კი — ყველაფერი; უნდა დაიცვა ის ერთი ან მრავალი მოფუთფუთე უწმინდური სულისაგან. ქრისტეს მიერ მოქცეულთაგან ზოგი თავის მიტევებულ ცოდვათა მიმართ მხოლოდ შიშსა და ზიზღს განიცდის. ის მათგან განიკურნა, როგორც კეთროვანი წყლულებისაგან, სხვას კი წყლული ღია რჩება, ქრისტეს სიყვარული თითქოს უკან იხევს ზოგიერთი ჭრილობის წინაშე, რომელიც მხოლოდ ნახევრად შეშდება, ისევ იხსნება და თავს ახსენებს პატრონს.

ველარავინ ბედავდა ხმის ამოდებას, მაგრამ ებრაელთა ფარული აზრები სილას აწნიდნენ ქრისტეს. და სწორედ ამ წუთში ძე კაცისამ ბოლოს და ბოლოს იფეთქა: ეს მოდგმა ითხოვს ნიშანს? — მიეცემა კიდევ! ეს იქნება იონა წინასწარმეტყველას ნიშანი, მაუწყებელი იმისა, რომ იგი სამი დღე მიწაში იქნებოდა დამარხული და შემდეგ მკვდრეთით აღდგებოდა. ეს გაუგებარი იყო მსმენელები-სთვის. და სწორედ ეს სურდა, რომ მათთვის გაუგებარი ყოფილიყო, და ყვიროდა, რომ ეს მოდგმა განკითხვის დღეს დაისჯებოდა, სამხრეთის დედოფალი აღდგებოდა მათ წინააღმდეგ და მათგანვე ნაწამები ნინეველებიც...!

დათაფლულმა ფარისეველმა შეაწყვეტინა სიტყვა: სადილობის დროა, ხან არ ინებებს იგი მის სახლში პურის ჭამას? იესომ ჩაყლაპა ბრაზი, პასუხის ღი-

1. ნინეველები — აბურეთის ქ. ნინევიას მკვიდრნი.

რსიც არ გახადა, ისე გაჰყვა, დაჯდა სუფრასთან, თუმცა ხელის დაბანა, როგორც ამას წესი მოითხოვდა, არც უფიქრია. ფარისეველს გაუკვირდა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და გაშმაგებულს არაფერი უთხრა, ის კი დააკვირდა, რომ ნახარეველი მათ გულებში იხელებოდა და მათ აზრებს კითხულობდა. მასპინძლის უტყვი გაოცებაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ძე კაცისა კვლავ ყელზე შემდგარიყო — იგი უფრო საშინელი გამოჩნდა განახლებულა გულისწერით, უკუაგლო ზრდილობა, უცხო სუფრაზე მყოფ სტუმარს რომ უნდა გამოეჩინა, აღარ განერდა: საყვედური მხილებაში გადაიზარდა, მხილება უფრო დიდ შეურაცხყოფაში, შეურაცხყოფა კი წყევლა-კრულვაში: ძე კაცისა ებრაელის ძეა და სწორედ გულფიცის ებრაელი იქნედა. ხელებს და ყვიროდა: „ვამ თქვენდა, ფარისეველხო, რამეთუ ათუელსა აღიღებთ პიტნაკისასა და ტევანისასა, და ყოვლისა მხლისასა და თანაწარჰკალთ სამართალსა და სიყვარულსა ღმრთისასა; ესე ჯერ იყო ყოფად, და იგი არა დატევებად. ვამ თქვენდა, ფარისეველხო ორგულხო, რამეთუ გიყვარს თქუენ ზემო-ჯდომა შესაკრებელთა შორის და მოკითხვამ უბანთა ზედა, ვამ თქვენდა, მწიგნობარხო და ფარისეველხო, ორგულხო, რამეთუ ხართ ვითარცა საფლაენი უჩინონი და კაცნი ზედა ვლენ და არა იციან“.

აღშფოთებამ უმაღლეს ზღვარს მიაღწია. ერთმა სჯულის მცოდნემ იფიქრა, რომ მისი ვალი იყო იესოს გონზე მოყვანა: „მოძღუარ, მაგას რამ იტყვი, ჩუენცა კვაგინებ?...“ ძე კაცისა მოტრიალდა ამ ახალი, ფარისეველზე უფრო საძულველი მტრისკენ. სჯულის მეცნიერნი ასწავლიან და სწამლავენ პატარებს, ამიტომ უფრო მეტად საძულველნი არიან. ის, ვისთვისაც დრო არ არსებობს, ამ სუსტი ისრაელელ სჯულის მოძღვარში ხედავდა იმ მოდგმის წარმომადგენელს, რომელიც მის სიყვარულზე უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა. ქრისტემ იცოდა, რომ მრავალ საუკუნეთა მანძილზე ვერ სძლევა მათ და სწორედ ამიტომ განრისხებულმა სიყვარულმა ღვთიური წყევლით აავსო ისინი: „თქვენდაცა სჯულის მეცნიერთა ვამ არს, რამეთუ აღკიდით კაცთა ტვირთი ძნაღ-სატვირთავი, და თქუენ ერთითაცა თითითა არა შეახით ტვირთსა მას. ვამ თქვენდა, რამეთუ აშენებთ საფლაუებსა წინასწარ-მეტყუელთასა; ხოლო მამათა თქუენთა მოსწვიდნეს იგინი... ვამ თქვენდა სჯულის მოძღუარხო, რამეთუ დაჰმალენით კლიტენი მეცნიერებისანი; თქუენ შე-არა-ხუალთ და შემავალთა აყენებთ“.

უნდა გავივით ამ კაცის დარდი, ვინც ღმერთთა და ვინც ყოველ წამს გონებაში ითვლის ცხოველ წყალს დაშორებულ მილიონობით სულს. და რადგან ჯვარი უკვე იხატებოდა პორიზონტზე, რადგან ის უკვე სულ ახლოს იყო, რადგან იესო უკვე პირში გრძნობდა სისხლის გემოს, იგი ევლარაყერს ხედავდა ამ ძელზე გასმის და მის ირგვლივ აღმართული ჯვრების, აგიზგიზებული კოცონების და ადამიანური სისასტიკის სისხლიანი იარაღების გარდა.

იგი ამხევეებს თავისიანებს

იგი მშვიდი, თავშეკავებული გამოვიდა სამარისებურ მღუმარებაში. მისი მძვინვარებაც განსაზღვრული და მოწესრიგებული იყო მაშისაგან. ურიცხვი ხალხი მიჰყვებოდა „ეიდრემლე დასთრგუნვიდეს ურთიერთასო“, — წერს წმინდა ლუკა. იგი ძალაუფლების მქონესავით ღაპარაკობდა. იმას აცხადებდა საჯაროდ, რაზეც ამ საცოდავი ხალხის უმრავლესობა ჩუმად ოცნებობდა, და თავის საფრთხეში ივლებდა. ხალხი ცახცახით მიჰყვებოდა, რადგან ეშინოდათ ძალაუფლების მქონე პირებისა, რომლებსაც ასე გაბედულად იწყევლა ძე კაცისა და რომელთა შურისბიებაც უღმობელი იქნებოდა. დათრგუნულნი გრძნობდნენ საშიშროების

მოახლოებას. იესოს სჯულის მოძღვრები მკვლევებად მიაჩნდა... და ასეც იყო, ისინი უკან არანაირ მკვლევლობაზე აღარ იხევდნენ.

მაშინ ყვირილისაგან ხმაჩაჩლქილმა გაამხნევა თავისიანები, მის ფრთებს შეფარებული ბარტყები: „გეტყვი თქვენ, მეგობართა ჩემთა...“ ამ სიტყვებს თითოეულის გული უნდა აენთო. იგი მათ ეუბნებოდა, რომ არ უნდა შეშინებოდით იმათი, ვინც მხოლოდ ხორცს კლავს, რომ არ უნდა შეწუხებულიყვნენ იმაზე ფიქრით, თუ რა ებასუხათ სინაგოგებში დაკითხვისას, რომ არ უნდა შეშინებოდით არც მოავრებისა და არც ხელმწიფეებისა. იგი ისე ცოტათიღა ჰგავდა იმ მოძღვარს, რომელმაც ისინი ეს-ესაა მვრგვინავი ხმით დააშინა, რომ ერთ-ერთმა ერისკაცმა გაბედა და სიტყვა შეაწყვიტინა: „მოძღვარ, არქუ ძმასა ჩემსა რათა განმეყოს მე სამკვიდრებელსა“. იესომ გაღიზიანებულმა უბასუხა, რომ გაყოფა არაა მისი საქმე.

იესოს სურს ერთდროულად დაამშვიდოს და გამოაფხიზლოს კიდევ ისინი, უნდა მათში ეჭვი აღძრას, რათა ყოველთვის ქამარშემორტყმულნი და ლამპარანთებულნი იყვნენ, რადგან სიძველე ყოველ წამს შეიძლება გამოჩნდეს. მისი დაჟინება ისეთი ძლიერია, რომ გასაგები ხდება, თუ ამ უბრალო ხალხს რატომ სწამდა უფლის სწრაფი დაბრუნებისა მისი ვნების შემდეგ. უმოავრესად იგი თავის უეცარ მოსვლაზე ლაპარაკობდა თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრებაში. მე კაცისა მოვიამ დროს, როცა არ ველით. ამიტომ ყოველთვის მზად და ფხიზლად უნდა ვიყოთ.

მოუთმენლობისა და წუხილის ოხვრა

მოუთმენლობისა და წუხილის ოხვრით შეწყდა უფლის დარიგებანი. იგი გოდგოდოთას მიუახლოვდა, ქვეყანა კი ისეთივე დარჩა, როგორც იყო. როდისღა აიგზნებიან ეს გულები? „ცეცხლისა მოყუდ მოყუნად ქუეყანასა ზედა და რაი მნებაეს, რაათა აწვე აღევზნეს!“ ამ სიტყვებში გამომჟღავნებული თავისი მისიის რწმენა თავიდანვე ჰქონდა, მაგრამ ამავე დროს გრძნობდა შეუსაბამობას: მთელი ქვეყნიერება უნდა აეგიზგიზებინა და ორი თვეღა რჩებოდა მონისათვის შესაფერ სიკვდილამდე! რა თქმა უნდა, ზეციური ნიშნები არ აკლდა ქვეყნის იმ კუთხეს, სადაც დმერთი დამარცხდა, მაგრამ ის ბრიყვები ვერაფერს ხედავდნენ: „რაჟამს იხილოთ ღრუბელი, აღმომავალი დასავლით მეყსეულად ჰსთქუთ, ვითარმედ წვიმა მოაქუს, და არნ ეგრეთ. და რაჟამს სამხრით ქარი ჰქრინ, ჰსთქუთ, ვითარმედ სიცხე იყოს და არნ ეგრე. ორგულნი! პირისამე ქუეყანისა და ცისა იცით გამიცდად, ხოლო ჟამი ესე ვითარ არა გამოიცადეთ?“

მცირე ხნით ასკლა იერუსალიმში

ამ დროისათვის იგი მარტო, ან თითქმის მარტო, მცირე ხნით ეწვია იერუსალიმს ტაძრის კუროთხვევის დღესასწაულზე, რომელსაც შუა ხამთარში ზეიმობენ. გაჩირაღდნებული და ხალხმრავალი რვა დღე. უფალი სოლომონის სტოასთან თავშესაფარში გაჩერდა, ებრაელები კი ჩვეული ხრიკებით კვლავ არ ასვენებდნენ; სურდათ თავი გამოემჟღავნებინა: „ვიდრემდის ხელთა ჩუენთა წარგუხდი, უკეთუ შენ ხარ ქრისტე, გვითხარ ჩუენ განცხადებულად“. ხოლო იგი, გველივით ფრთხილი, ათამაშებდა მათ: ჩემი საქმენი მოწმობენ ჩემ შესახებო. მათ კი არ სწამდათ მისი, რადგან არ იყვნენ მისი ცხოვართაგანნი. მან მოიცილა ისინი და აშკარად სამუდამოდ დაკარგულად ჩათვალა ეს მოდგმა... და უეცრად იგი მათ მიახლის აღიარებას: „მე და ძამა ჩემი ერთ ვართ...“

ეს უკვე მეტიმეტი იყო. ეს არ იყო პირდაპირი განცხადება, რომელიც სუქარელმა ქალმა და ბრმადშობილმა მოისმინეს. საგონებელში ჩავარდნილმა ებრაელებმა ქვები აიღეს, მაგრამ შეეყოყმანებულთ ხელები უცახცახებდათ. გულის გასამაგრებლად ჩამოაყალიბეს ბრალდება: „კაცი ხარ შენ და ვიფიქრებს თავი შენი ღმერთი“. იგი იწვევდა, დასცინოდა და ეთამაშებოდა სჯულის წიგნს, სადაც დაწერილია: „ღმერთნი სამე ხართ?“ და ბოლოს ეს უკანასკნელი მეტყველებდა: „მაშა ჩემთანა არს და მე მაშისა თანა...“ ქვების წვიმა დაიწყო მის გარშემო. ძაღლების ხროვა მიესია, მაგრამ იგი უკვე მიეფარა თავდასაფან.

XX

ქრისტე დასტირის იერუსალიმს

მან ღამით დატოვა ქალაქი და თავი იორდანეს გაღმა, მკედარი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ადგილს შეაფარა, რომელსაც პერეასს უწოდებდნენ და სადაც თორმეტნი ელოდნენ.

მის ვნებამდე რამდენიმე კვირაღა დარჩა. იგი ცხოვრობს იერუსალიმიდან რამდენიმე სტადიონის დაშორებით, სადაც მის წინააღმდეგ უკვე მიღებულია უკანასკნელი ზომები და სადაც მტერი მზადყოფნაშია. მოჩუქებით მარცხს შეფარებული გამარჯვებული დაღლილია. იგი გამუდმებით იწვევს ფარისეველთა აღშფოთებას, რადგან შაბათს სდევნის ღემრებს (აი კიდევ ეს თურამეტი წლის მანძილზე წელში მოკაკუული ქალი!). იმ ქალაქის შემხედვარეს, რომლის გარშემოც დახეტიალობდა, ხანდახან ისეთი ოხურა აღმოხდებოდა ხოლმე, არაფრით რომ ჰგავდა იმ წყევლას, რომლის ძალითაც უკვე იშლებოდა კაპერნაუმის კედლები და ბეთსაიდასა და ქორაზინის საძირკვლები. იერუსალიმში, მის სამეფო ქალაქში, სწორედ იქ, სადაც მიწა მის სისხლს შესვამდა მას შემდეგ, რაც მისი მეგობრები შესვამდნენ, სიყვარულისა და აგონიის ღამეს იგი ცდილობდა სიონის ქვათა შორის მაგარზე მაგარ თავსი მოღვმის გაყინულ სულში შეედწია: „იერუსალიმ, იერუსალიმ...“

ამ ორი თუ სამი წლის განმავლობაში მის მიერ ებრაელთა მიმართ თქმული შეჩვენებანი გადაფარა გულისგამგმირავმა ოხურამ, რომელიც საუკუნეთა მანძილზე და ქვეყნის აღსასრულამდე არ მოასვენებს ძველ ისრაელს: „იერუსალიმ, იერუსალიმ, რომელმან მოსწყვიდენ წინასწარ-მეტყუელნი, და ქუა დაჰკრიბე მოვლინებულთა შენდა! რავდენ გზის მიხდა შეკრება შეილთა შენთა, ვითარცა სახედ მფრინველმან თვისნი მართუენი ფრთეთა ქუეშე, და არა ინებეთ!“

ამგვარად მგმინავი ქრისტე დაბორიალობს თავისი საფლავის გარშემო და უცდის თავის უამს. იგი ამ დროს იმათი გულების გასამხნევებლად იყენებს, ვინც შეაშინა. ბევრნი, რომელთაც ცოდვები შეუნდო, მისდევდნენ მას. მაგრამ ალბათ ისინიც შეაშფოთა რჩეულთა მცირე რაოდენობაზე ლაპარაკით: „მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ რჩეულნი...“ ჩვენ ჩვენი ლაჩრობით დამამშვიდებელ ინტერპრეტაციებს ვამღევთ ამ სიტყვებს... საცოდავი ხალხი იმწამსვე, როცა გადარჩენილი ეგონა თავი, ერთმანეთს ეკითხებოდა: მართლა ეცვათ თუ არა საქორწინო სამოსი, ხომ არ იქნებოდნენ გარესკნელის წყვდიადისათვის განწირულნი; განთავისუფლებული ეშმაკეულნი ძრწოდნენ „შვიდი უბოროტესი ღემონის“ მოლოდინში, რომლითაც მოძღვარი დაემუქრა მათ.

ცოდვილთათვის უპირატესობის მინიჭება

ახლა ცხოველი სიყვარული ამხნეებს მათ, რადგან სადაცა უნდა მიატოვოს ისინი. სურს, რომ მის ერთგულებს ჰქონდეთ მისი შიში და უსაზღვრო რწმენა, მგზნებარე გულითა და თრთოლვით მიენდონ მას. „ვესწრებოდე ვერტო“ — ამას მოელის ძე კაცისა ჩვენგან: არ ვენდოთ ჩვენს საკუთარ ძაღლებს, დაუბრუნებელი მივენდოთ უნაპირო გულმოწყალებას.

რაო? ასე რით შეაშინა ისინი? მათ ხომ უკვე იციან ის, რაც ცოტაოდენ, უკვე გაუმგლავნა: რომ ცოდვილი არა მართო საყვარელი, არამედ რჩეულიცაა. სწორედ მისთვის, გზასაცდენილისათვის განსხეულდა სიტყვა. მისი ცხოვრების ბოლო მსგავსებში, ყოველ მის სიტყვაში მჟღავნდება, რომ უბრალო, თავგანწირული ადაშიანები სხვებს ურჩევნია.

ფარისეველთა და მწიგნობართა მიმართ ძლიერ მკაცრი, გულჩვილია მდაბალთა მიმართ. არც თავმდაბლობის, არც თვითშეწირვის მიზნით არ რჩება იგი მათ შორის. ისინი სხვებს ურჩევნია ან, უფრო სწორად, მას სძულს ეს სოფელი და ენლობა მათ, ვინც არა ამ სოფლისაგანნი არიან. ჰეროდე, რომელსაც იგი „ამა მელას“ უწოდებს, ერთადერთია, ვისზედაც ზიზღით ლაპარაკობს. მისთვის თამაშია სწავლულთა მათსავე ტერიტორიაზე დამარცხება, მაგრამ ის არავითარ ღონეს არ ხმარობს, ხმა რომ ჩააკმედინოს ამ სულელ დიალექტიკოსებს! მისი ნამდვილი სიხარულია ამ საბრალო, ჩუქული ცოდვებით გასრესილი ხალხისათვის გულის ჩვენება და მათ ფერხთა ქვეშ გულმოწყალებისა და პატიების უსაზღვროების გადაშლა.

ამგვარად იგი ედარება მწყემსს, რომელმაც ოთხმოცდაცხრამეტა ცხვარი მიატოვა, ერთი გზააბნეულს გამოუდგა და ხელში აყვანილი მოიყვანა. მისი მოსმენისას თითოეულს უნდა ეფიქრა: ჩემთვის ლაპარაკობსო... განა ყოველი მათგანი მთელი თავისი ხორციელი სიძშიძით არ აწვა ამ წმინდა მხრებს? მან ისინი მოაგროვა, ხელი ჩასჭიდა მთლად ლაფში ამოსვრილთ და გულზე მიიკრა. „ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათვის ცოდვილისა, რომელმან შეინანოს, ვიდრეღა არა ოთხმოცდა-ათ-ცხრამეტთა მათ მართალთა...“

უკლევი უვილი

ღიახ ასეა, უნდა იცოდნენ, რომ სიყვარული ბრძაა: რომ ის, რასაც მსოფლიო სამართლიანობას ეძახის, წალეკილია ღმერთის უსაზღვრო, უნაპირო სიყვარულით და ჩვენი ყველაზე მდაბალი მისწრაფებანიც კი მას ჩვენგან ვერ უკუაქცევს. ერთ დღეს იგი მათ უძღვები შვილის იგავს მოუყვას... იგავს?... არა, ნამდვილ ამბავს, ღმერთთან დაბრუნების ამბავს იმ სივითის შემდეგ, რასაც ბევრი ადაშიანის ახალგაზრდობა ჰქვია. შვილმა შემკვიდრეობიდან თავისი წილი მოსთხოვა მამას და თავი მისცა გარყვნილებას, დაუდევრად გაფლანგა თავისი გზნება, არად ჩაავლო ის ანგარიშიანობა, ის ეშმაკობა, ამდენი სხვა დამნაშაუის დაუსჯელობას რომ უბრუნველყოფს ხოლმე. თავისმა სისულელემ გადატაკებამდე მიიყვანა, საიდანაც ღვთის სიყვარული დაიხსნის. ერთ კაცს ღორების მწემსად დაუდგა, დამშუული ღორებს საჭმელს ეცილებოდა. მამინ კი ჩაფიქრდა, მამის სახლი გასხენდა... რა საიცრებაა იფიქრო, რომ იესო შენ გვერდითაა! ხელახლა იგრძნო მდიდარი და განებივრებული ბავშვის, მსახურებით სავსე, ვეება მარნიანი სახლის მშვიდი ფუფუნების იდუმალება! მან იცოდა ჩვენი სამზარეულოს ქონის და წალამზე შემწვარი ხორცის სუნი, ჩვენს მამულში დაბადებული მოხუცი მსახურების გულითაღობა.

ნახუნელ დღემდე, მაგრამ ჯერ არაფერი ამოდის. აი, ათი კეთილშობილი სამარიის საზღვართან მდებარე სოფლის თავში მუდართი ეძახის: „იესო მოძღვარო“, თითქოს ისრაელის სჯულის მოძღვარი იყოს! განკურნებისთანავე მიდიან მღვდლებთან და უკან მხოლოდ ერთი, სამარიტელია ბრუნდება, რომ ფერხით დაეცეს — მოელ ამ ჯგუფში მხოლოდ ის ერთი იყო სამარიტელი, რომელიც ახლა კარგად იცნობს ადამიანებს. რა თქმა უნდა, იგი მათ მთელი მართაფულობის მანძილზე იცნობდა, მაგრამ ახლა მიაღწია ხორციელ, ყოველდღიურ, ქანცვამწყვეტ ნაცნობობას. აღარაფერი აღიზიანებს და აღარც აოცებს. არავითარი გაკვირება არ მოიხმის მის ოხვრაში: „არა ათნივე განიკურნესა? და ცხრანი იგი სადა არიან? ვერ იპოვნეს ეკოდენ, რამთამცა მოიქცეს, გარნა უცხო თესლი ხოლო ესე“.

შინაგანი სასუფეველი

არა, იგი აღარ გაბრაზდება. ფარისევლები, კულში რომ დასდევენ, როგორც ხარს ბუხები, ამაოდ აწვალევენ მას. იგი ამიერიდან ხმის აუმაღლებლად იტანჯება და დაუღალავად უმეორებს მათ: ღვთის სასუფეველი არ იქნება ბრწყინვალე სანახაობა, რომელსაც ისინი მოელოიან და რომლის იმედიც ჯერ კიდევ აქვთ მის უძვირფასეს მეგობრებს.

სასუფეველი უკვე დამდგარია, ის შინაგანია, ის ჩვენშია: ესაა ადამიანის პიროვნების განახლება, თითოეული, ცალკეული ადამიანის ხელახალი შობა, ღმრთის სასუფეველი — ახალი ადამიანია.

რა თქმა უნდა, ქრისტეს დროც დადგება. დიახ, დამშვადდით, სანახაობის, ბრწყინვალეების, დიდების მსურველნი; ეს ყოველივე გიქნებათ, საბრალო ბავშვებო! აქ უფალი მცირე ხნით ჩერდება, ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, რათა ისინი მოახლოებული წყვილიადისათვის მოამზადოს და ფრთხილად აპარებს: „ხოლო პირველად ჯერ არს მისა ფრიად ვნებად, და შეურაცხ-ყოფად ნათესავისა ამისაგან“.

იესოს ღაბრუნება

და შეუხერებლად, რათა არ უპასუხოს ყველა წვრილმან შეკითხვას, მყისვე უბრუნდება იმას, რაც ასე ძალიან აინტერესებთ ამ ებრაელთ: ელაპარაკება მათ თავის ჟამზე, თავის უეცარ მოსვლაზე, ისევე მოულოდნელზე, როგორიც წარღვნა და სოდომის ცეცხლით წარწყმედა იყო. წინასწარმეტყველება ხან თავზე დასტრიალებს, ხან კი საძირკველს უყრის ისტორიის ზოგიერთ მომენტს. იგი ნაწილობრივ ხორციელდება თითოეულ კატასტროფაში მანამ, სანამ საბოლოოდ არ აღსრულდება.

და ასეთია სიყვარულის უსამართლობა: იმ დღეს ერთი და იგივე საქმით დაკავებულ ორ ქალთაგან ერთი იქნება წაყვანილი და გადარჩენილი და მეორე მიტოვებული. ყველანი აქ არიან ბავშვებით, რომლებსაც მოსწონთ, რომ ამინებენ, და ცნობისმოყვარედ კითხულობენ ზუსტ წვრილმანებს: „ვიდრე უფალო?“ იგი კი პასუხობს: „სადაცა ხორცნი, მუნცა ორბები შეჰკრბეს“, როგორც გაუძამდარი ფრინველები იკრიბებიან გვამის გარშემო, ასევე ქვეყნის ოთხი მხრიდან რჩეული სულები იჩქარებენ მსხვერპლად შეწირული და მარად ცოცხალი ღვთის კრავისაკენ.

ისინი ცდილობენ გაიგონ და სღუმან შიშით შეპყრობილნი. მაშინ იესო მათ უღებს შვების კარს — ლოცვას. რაც უნდა მოხდეს, უნდა ილოცონ დროზე და

უფრო დროს, დღითა და ღამით; ამგვარია ღვთის იღუმალი მოთხოვნა: უწყვიტი ლოცვა-უედრება... და აი, უეცრად თვითონვე ჩუმდება შიშით აღვსილი და იმით შეძრწუნებული, რასაც ხედავს თუ რასაც წარმოიდგენს. თითქოს მოკვდავმა, გაუმჭვირმა სხეულმა მის ღვთიურ მხერას დაუძალა ცხოვრების მსვლელობა. დროში ჩამარხული ძე მამისა თავის თავს უსვამს მტანჯველ კეთხვას: „ხოლო მო-რა-ვიდეს ძე კაცისა, ჰპოვოს მკა სარწმუნოებაჲ ქუეყანასა მსოფლიანს“

ფიქრი, რომელიც თავგზას უბნევს... მაგრამ უფლის თითოეულ სიტყვას აქვს აბსოლუტური მნიშვნელობა. იგი წარმოიდგენს თავის ამქვეყნად დაბრუნებას, სადაც აღარ იარსებებს რწმენა, და იესო ქრისტე იქნება უფრო უცნობი, ვიდრე იყო ავგუსტუსის იმპერიაში, ბეთლემის ბაგაში მწოლიარე, როცა მისი სახელი არანაირ მოგონებებს არ აღძრავს არც ერთი ადამიანის გონებაში. ერთი თაობის შუალედი საკმარისია, რომ მპარავივით უკან დაბრუნებული ქრისტე ამ სიტყვებს შეეჯახოს: „ჩვენ არ ვიცნობთ ამ კაცს“.

XXI

ძორწინება

რაც უფრო უახლოვდებოდა იესო კრაზანების ბუდეს — იერუსალიმს, ფარისევლები მით უფრო და უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდნენ და გარს ეხვეოდნენ მას. ერთი აკვიატებული აზრი ჰქონდათ: დაეპირისპირებინათ ნაზარეველი კანონისთვის და ღვთისგმობა დაეცდნინებინათ. ამისთვის მოიმიზეზეს განუძარტა ქალისა და მამაკაცის ურღვევი კავშირი — ურღვევი ყველა პირობისა და შემოხვევის მოუხედავად... მოსეს სჯულის წინააღმდეგ? დიახ, მოსეს სჯულის წინააღმდეგ: „რამეთუ მოსე გულ-ფიცხელობასა თქუენისათვის გიბრძანა განტევება ცოლთა თქუენტა“. რა, სჯულიდან ზოგი რამ შეიძლება მიიღო და ზოგი რამ არა? იესო ამას გაბედულად ამბობს. იგი ბრალად სდებს ქვეყნიერებას, რომ ეს ურღვევობა ყველგან ირღვევა. ამიერიდან ყველა თაობა იქნება მრუშობის ნაყოფი. მახარებლები ბუზღუნებენ: „უკეთუ ესოდენი ბრალი არს კაცისა დელაკაცის თანა, არა შეჰგავს ქორწინება“. მკაცრია კანონი. იესომ კი იცის, რომ მან ეს-ესაა შეაღო კარი, ეს-ესაა გაკვალა გზა ჩვენიდან ღმერთთან მისასვლელი. მან იცის, რასაც მოითხოვს თავისი ყველაზე ძვირფასი მეგობრებისაგან, არა სხეულის დასახიჩრებას, არამედ სისხლის ყვილის გარეშე ცხოვრებას, რითაც განსხვავდება დაუსაბამო სიწმინდე მოკვდავი ადამიანისაგან. ძე კაცისამ ვერ გადაწყვიტა სქესის ყველა მტანჯველი საკითხი. მისი მომხრეობის მსურველთათვის იგი კი არ გადაწყვეტს ამ საკითხს, არამედ მოხსნის. დაე, ქრისტეს მეგობრებს დაბადებიდანვე ჰქონდეთ სხვადასხვა მიდრეკილებები, დაე, დამძიმებულნი იყვნენ სხვადასხვაგვარი მემკვიდრეობით, მისთვის სულერთია. იგი მათგან სრულ სიწმინდეს, დაუქორწინებლობას, ყოველგვარი სურვილისა და წყურვილის დაკმაყოფილების უარყოფას მოითხოვს. წარმართთა აზრით ეს აღმაშფოთებელზე აღმაშფოთებელია, ბუნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, ადამიანის დამცირებაა... მაგრამ იესო არად ავდებს ქვეყნის აზრს: „არა, ძე ამ ქვეყნისთვის არ ვლოცულობდა...“ (უკანასკნელი უმოწყალო სიტყვები, მან რომ წარმოთქვა!) ძე კაცისამ იცის, რომ სიწმინდით მივალთ მასთან, რომ სხვა გზა არ არსებობს და რომ სხეული ფარავს დიდი სიტკბოების შესაძლებლობას, მოთხოვნილებას, რომელიც წყურვილის მოკვლისას უფრო ძლიერდება და უსაზღვრო საამოვნების ილუზიას უქმნის ადამიანებს; იცის, რომ ბოლოს და ბოლოს სხეული მისი მეტოქეა, და ამიტომ აღშფოთდება, როცა ხედავს, როგორ უხეშად ავდებენ მა-

ხარებლები მის ირგვლივ მოჯარულ ბავშვებს. მათში ჯერ ვულისთქმას მაინც არ გაუღვიძია!

ვაუკონარი მოთხოვნაა! მათ უნდა დაემსგავსო, ცათა სასუფეველში რომ შეხვიდე. უნდა გაბავშვდე, ხელახლა უნდა ვახდე პატარა. „რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისა, ვითარცა ყრმაჲ, ვერ შეჭიდქს მას“ შინა“.

ბიბლიისი

მდიდარი ჭაბუკი

არა მარტო ბავშვები უჩქროლებენ ვულს; ახალგაზრდული გაბედულებით ერთი ჭაბუკი აწყვეტინებს სიტყვას: „მიძღვარო, სახიერო! რა საქმე ვქმნე, რათა ცხოვრება საუკუნო დავიმკვიდრო?“ იესო თავიდან ყურადღებას არ აქცევს, თუ ვის ელაპარაკება: „მცნებანი იცნი?“ ეუბნება და ჩამოუთქვამს მათ; ახალგაზრდა პასუხობს:

— ესე ყოველი ეჭვავ სიჭაბუკით ჩემითგან.

ეს ალბათ წყნარი, მორჩილი ხმით იყო ნათქვამი, რამაც იესო ააღუღკა. მხოლოდ მაშინლა შეხედა თავის თანამოსაუბრეს: „იესო მიძხელა და შეუყვარდა იგი“. შეხედა და შეუყვარდა... უცნაური ვრძნობა დაეუფლა ძე კაცისას... ახალგაზრდა ვაჟის ეს მოძიხივლელობა, ეს სულიდან ამომავალი თვალითა შუქი, მან ის შეიყვარა. როგორც ყველაფრის დამშორჩილებელმა ღმერთმა, შეუმზადებლად, თითქმის უხეშად უთხრა:

— ერთიდა ვაკლს შენ, ყოველი რაიცა გაქუს, განჰყიდე და მიეც ვლახაკთა და გაქუდეს საუნჯე; ცათა შინა და მივედ და შემომიდეგ მე.

იესოს რომ არ შეჰყვარებოდა ეს ჭაბუკი განსაკუთრებული, საღმრთო სიყვარულით, უეჭველად მისცემდა ყველაფრის მატოვების ძალას, როგორც ეს სხვებს შეაძლებინა. მაგრამ სიყვარულს, გულითადი თანხმობის თვინიერ, არ სურს არაფრის მიღება იმისაგან, ვინც უყვარს. მეტისმეტად ხომ არ შეუყვარდა ეს უცნობი, რომ ძალით მიიტაცოს. ალბათ ძე კაცისა მისგან ვულის მოულოდნელ ამოდრავებას, უეცარ აღფრთოვანებას ელოდა. „...ხოლო იგი შეჰსწუხნა ამის სიტყვისათვის და წარვიდა მწუხარე, რამეთუ აქუნდა მონაკები ფრიად“.

იგი ბრბოში ჩაიკარგა. იესომ თვალი გააყოლა სივრცისა და ღრთის მიღმა. ო, ვაება ვაებათა, რამეთუ ისინი, ვისაც ქრისტემ უხმო, მათ კი ზურგი აქციეს, ეციმიან, დგებიან, კვლავ მიფორთხავენ ზეციური შუქით აღვსილი თვალებით, გასვრილი ტანსაცმლით, დაკაწრული და გასისხლიანებული ხელებით.

ვანცდილი ტკივილი მულაქნდება თითქმის მაშინვე ამოხეთქილ მდიდრების გადაჭარბებულ წყევლაში: „მდიდარი ძნაად შევიდეს სასუფეველსა ცათასა... უადვილეს არს აქლემი განსულად ხურელსა ჩემსისასა...“

იგი ამგვარად ლაპარაკობს და თვალს არ აშორებს მწუხარედ მიძავალ ჭაბუკს. მამონას მიძვავს ეს სული, რომელიც მას შეუყვარდა, სხვები კი ვერ ხვდებიან მისი გამწარების მიზეზს: „და ვის ხელეწიფების ცხოვრებად?“ — ოხრავენ ისინი.

ვინლა შესძლებს თავის გადარჩენას? ეს წმინდანებისთვისაც მტანჯველი ფიქრია. თავისი მეგობრების მწუხარება ვულს უღბობს იესოს. და რადგან იგი ძე ღვთისაა და ცხოვრების შემოქმედი, ახლავე ერთი სიტყვით გააქარწყლებს ყველაფერს, რაც ეს-ესაა თქვა (იქნებ ვინებით ხედავს იმ უკანასკნელ წამს, როცა ახლა მიძავალი ახალგაზრდა კაცი სრულიად უმიზეზოდ, თავისავე ნებით, სამუდამოდ დაუბრუნდება). „შეუძლებელი კაცთაგან, შესაძლებელ-არს ღმრთისა მიერ...“ ისიც, რომ იმდენა მდიდარი გადაარჩინოს, რამდენიც მოესურვება;

ისიც, რომ ხელი ჩასჭიდოს ყველაზე დაცემულ ადამიანს, ძალით ააყენოს და ავონიაში მყოფის ბაგიდან მიიღოს ჯერ ისევ შებღალული სული.

ყველაფერი შეუძლია ღმერთს: ეს ნათქვამი სიტყვასიტყვით ზუსტია, ისე როგორც უფლის ყველა სხვა სიტყვა. ყველაფერი! მან უკვე თქვა: „ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა“. ო, გულმოწყალების მომაჯადოებელი და იღუმთალი ეშმაკობა, რომელიც უსხლტება ყოველგვარ კონტროლს და რომელსაც ვერაფერი უღებს ზღვარს. ყველაფერი შეუძლია ღმერთს.

მისი სიმკაცრე აშინებდათ მოციქულებს და მისი შემბღობლობა აეჭვებდათ. მაშ რა გამოდის? მოელი ქვეყანა გადარჩება? მერე ჩვენ? პეტრე ჩურჩულებს:

— აჰა, ესერა ჩვენ ყოველი დაუტევეთ და შეგიდექით შენ.

ცხოველი სიყვარული მათ ისე უმზერს, რომ ეს მზერა საუკუნიდან საუკუნეში ურიცხვ შეწირულთა და უამრავ ჯვარზე გაკრულთა სულს გადასწვდება:

— ამინ გეტყვი თქვენ, არა ვინ არს, რომელმან დაუტევა სახლი, გინა ძმანი, გინა დანი, გინა ძაძაჲ, გინა ღუდაჲ, გინა ცოლი, გინა შვილნი, გინა აგარაკნი ჩემთვის და სახარებისა ამისთვის, უკეთუ არა მოიღოს ასი წილი აწ ჟამსა ამას, სახლი და ძმანი და დანი, მამაჲ და ღუდაჲ, და შვილნი, და აგარაკნი შემდგომად დევნისა, და საუკუნესა მას მომაჯალსა ცხოვრება საუკუნო.

უკანასკნელი ჟამის მუშაკნი

ისინი თვითკმაყოფილნი უსმენდნენ. იესოს აღიზიანებს ეს თვითკმაყოფილება. ხომ არ ჰკონიათ, რომ ყველაფერი მათ ერგებათ? არაფერიც არ ერგება სიცოცხლის შემოქმედისაგან მის ქმნილებას, ფორძალური კანონები აღარ მოქმედებს, როცა სიყვარული მეფობს. მაგრამ როგორ გააგებინოს? იგავს უკეთ გაიგებენ, ვიდრე ცარიელ შეკონებას. და აი იესო იწყებს: „მსგავს არს სასუფეველი ცათა კაცსა სახლისა უფალსა, რომელი განვიდა განთიად დაღვინებად მუშაკთა ვენახსა თვისისა...“

კარგა ხანია უკანასკნელი ჟამის მუშაკთა ამბავი აღელვებს ხალხს. რა საჭირო იყო ამის მოყოლა? გასამრჯელო ერთნაირია იმათთვისაც, ვინც განთიადიდან გაისარჯა და იმასთვისაც, ვინც შუადღისას თუ ღლის ბოლოს დაიქირავეს! რა აზრი უნდა ვეძიოთ ამაში? ღმერთი არ გვაძლევს ახსნა-განმარტებას. იგი არაფერს აკლებს იმათ, ვინც ღლისა და სიცხის მთელი სიმძიმე გადაიტანეს, მაგრამ უხვად აჯილდოებს ბოლოს მოსულებს და მათივე სიყვარულით განსჯის. იქნებ არც არაჩაირი სიყვარული არა აქვთ, მაგრამ თუ ისინი უყვარს, თუ სხვებს ურჩევნია, თუ შეესაბამებიათ ქრისტეს მისტერიულ აზრს ადამიანური მომხიბვლელობის თაობაზე, მაშინ რაღა გუეთქმის? და იგი მათ მეფურად უძღვნის მთელ სიყვარულს, რომელიც მათ აკლიათ. და ჩვენ კი, ღვთის სახედ და ხატად შექმნილნი, ვანა როდესმე ვაწესრიგებთ ჩვენი გულის მოძრაობას?

XXII

ლაზარეს აღდგინება

თორმეტნი შემფლოებულნი შესცქეროდნენ, მათი მოძღვარი რომ იერუსალიმს უახლოვდებოდა, თუმცა ღრმად ჰქონდათ გამჯდარი ბუნდოვანი იმედი. იესოს ჰქონდა მიზანი, რომელიც მათ არ იცოდნენ. ბოლო მოქმედებაღა იყო აღსახსრულებელი. ჯერ კიდევ ჰეროდეს მიწაზე უსაფრთხოდ მყოფ პატარა სამ-

წყხოს ბეთანიიდან გამოგზავნილი მაცნე მოუვიდა: „უფალო, აჰა, რომელი გაყუარს ლაზარე, სხუელ არს“. გარეგნულად გულგრილმა უფალმა ორი დღე დააყოვნა და მოციქულებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ეს წინდახედულობამ ჩაადენინა. ამიტომ, როცა სამი დღის შემდეგ იესომ იუდეაში დაბრუნება შესთავაზა, მათ შიში და გულგატეხილობა ვერ დაფარეს: „მოძღუარ! აწლა გეძიებდეს შენ ურიანი ქვასა დაკრებად, და კუალად მუნვე მიხვანდი? მან ყური არ მოუგდო მათ და უთხრა: „ლაზარე, მეგობარმან ჩემმან, დაიძინა, არამედ შე მივიდე და გახვალდიო იგი“. და რადგან ერთდროულად გულუბრყვილო თუ ცბიერი მოწაფეები მხრებს იჩეჩდნენ და თავს ირწმუნებდნენ: „უკუეთუ დაიძინა, ჰსცხონდესო“ (ქვენა აზრით, რათა საიმედო აღგაღას დარჩენილიყვნენ...), იესომ თქვა:

— ლაზარე მოკუდა. და მე მიხარის თქუენტვის, რათა ვრწმუნეს ჩემი, რამეთუ არა ვიყავ მუნ; არამედ მოჰკუალეთ მივიდეთ მისა.

პეტრე, ეტყობა, იქ არ იყო (ეს ხსნის სინოპტიკოსების ღუმილს ლაზარეს შესახებ), რადგან მარჩვიბ.დ¹ სახელდებული თომა მის მაგიერობას სწევს და ანუგეშებს მშიშრებს: „მოჰკუალეთ მივიდეთ, რათა მოვჰსწყდეთ ჩუენცა მის თანა“.

„და ვითარ მოვიდა იესო ბეთანიად, ჰპოვა იგი, რამეთუ ოთხი დღე აქუნდა საფლავსა შინა. ხოლო იყო ბეთანია მახლობელ იერუსალიმსა, ვითარ ოთხთმეტ-ოდენ-უტევან. და მრავალნი ურიათავანნი მოსრულ-იყუნენ მართასსა და მარიამისსა, რათა ნუგეშინის-ჰსცენ მათ ძმისა მათისათვის. ხოლო მართას ვითარცა ესმა, რამეთუ იესო მოვალს, მიეგებოდა მას; ხოლო მარიამ სახლსა შინა ჰსჯდა. ჰრქუა მართა იესოს: უფალო! უკეთუმცა აქა იყავ, არამცა მოძკუდარ-იყო ძმა იგი ჩემი. არამედ და აწცა უწყი, ვითარმედ რამცა ჰსთხოვო ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან. ჰრქუა მას იესო: აღსდგეს ძმა შენი. ჰრქუა მას მართა: უწყი, რამეთუ აღჰსდგეს აღდგომასა მას, უკანასკნელსა დღესა. ჰრქუა მას იესო: მე ვარ აღდგომა და ცხოვრება; რომელსა ჰრწმუნეს ჩემი, მოდათუკუდეს, ჰსცხონდესენ და ყოველი, რომელი ცოცხალ-არს და ჰრწმუნეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე. გრწამსა ესე? ჰრქუა მას მართა: ჰე უფალო! მრწამს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, მე ღმრთისა, მომავალი სოფლად. და ვითარცა ესე ჰსთქუა, წარვიდა, და მოუწოდა მარიამს, დასა თვისსა, იღუმალ, და ჰრქუა მას: მოძღუარი მოსრულ-არს და გიწყეს შენ. ხოლო მას ვითარცა ესმა, აღჰსდგა აღრე და მივიდოდა მისა. რამეთუ არღა მოსრულ-იყო იესო დაბად, არამედ მუნღა იყო აღვილსა მას, სადაცა მიეგებოდა მას მართა. ხოლო ურიანი იგი, რომელნი იყუნეს მის თანა სახლსა შინა და ნუგეშინის-ჰსცემდეს მათ, ვითარცა იხილეს მარიამ, რამეთუ აღრე აღჰდგა და გამოვიდა, მიჰსდევდეს მას, ჰგონებდეს, ვითარმედ საფლავად მივალს ტირილად მისა. ხოლო მარიამ, ვითარცა მოვიდა, სადა იგი იყო იესო, ვითარცა იხილა იგი, დაჰვარდა ფერხთა მისთა თანა და ჰრქუა მას: უფალო! უკეთუმცა აქა ყოფილ-იყავ, არამცა მოძკუდარ-იყო ძმა იგი ჩემი. ხოლო იესო, ვითარცა იხილა იგი, რამეთუ სტიროდა, და მის თანა მოსრულნი იგი ურიანიცა ჰსტიროდეს, შეჰსძრწუნდა სულითა, ვითარცა რისხვით. და ჰრქუა მათ: სადა დაჰსდევით იგი? ჰრქუეს მას: მოვედ და იხილე. და ჰსცრემლოდა იესოცა. იტყოდეს უკუე ურიანი იგი: აჰა, ვითარ სამე უყუარდა იგი!..“

რატომ ტირიდა ის, ვისაც სიხარულისაგან უნდა ეცინა ყველა ადამიანისათვის წარმოუდგენელი ბედნიერებას გამო? მას ხომ ძალუძს სიკვდილს წაართვას უსაყვარლესი მეგობარი! იგი დასტიროდა ლაზარეს იმ წუთშიც, როცა იგი აღი-

1. მარჩვიბი — (1.2.) რ.უბი რწმუნო თომას მეტსახელი.

მართა და გაშეშებული მისკენ წამოვიდა ძალიან პატარა ნაბიჯებით, ალბათ ბორძიკით, რადგან ხელ-ფეხი ჯერ ისევ შეკრული ჰქონდა სახვევებით და სუ-დარა სახეზე მიჰკვრიოდა. ლაზარე გამოდიოდა წყვილიდან, რათა თავის მხრივ იქ შემავალი ძე კაცისა ეხილა, და რა კარით შემავალი! მაინც რა იყო ეს/ტრემ-ლები, იესო ხომ თვითონაც დაუსხლტებოდა საფლავს, დროს, სიერცეს და ლაზა-რეს ხომ სამარადქამოდ იქნებოდა მის გულში?

არავითარი სხვა მოტივი ამ ტირილს არ ჰქონდა ებრაელთა მიერ ნათქვამი „მოვედ და იხილეს“ და განსაკუთრებით კი შემდეგი უხეში სიტყვების გარდა: „ჰყოლისდა, რამეთუ მეითხე დღე არს...“ გახრწნილი სხეულის ამ სუნმა აღინა ცრემლი იმას, ვის სხეულსაც არ ეცოდინება გახრწნა. ძე კაცისამ ამაოდ მოაბ-რუნა სიცოცხლისკენ თავისი მეგობარი ლაზარე, მან კარვად იცოდა, რომ მატ-ლები დარჩებოდნენ გამარჯვებულნი, ოღონდ ცოტა უნდა მოეცადათ მკვდრეთით აღმდგარის უკან დაბრუნებამდე. ადრე თუ გვიან ეს სხეული ხელახლა დაიწყებს აყროლებას და ვერავითარი ამქვეყნიური ძალა ვერ იხსნის მას გახრწნისგან. ჩვენ მთელი სულითა და გულით გვწამს სხეულის აღდგენა, მაგრამ საჭიროა ყო-ველი ადამიანი შეეგუოს მისი სხეულის ხრწნას. თუ ამას შენს თავზე ვერ წარ-მოიდგენ, მაშ როგორღა წარმოიდგენ იმ ადამიანთა სხეულის გახრწნას, რომე-ლთა სინორჩე, სინაზე და მიმზიდველობის ძალა განვიცდია? მკვდრეთით აღმდ-გარი ადამიანი გაფურჩქენის ასაკში იქნება, თვალუმოელეუარე, სისხლალგზნე-ბული და ლოყებაფერადებული? დიახ, ასეთი იქნება. აღდგენილი სხეული არ იქნება ეფემერული, ის აღარ იქნება, რაც ადრე იყო. ძე კაცისა დასტიროდა იმ უკვე გამოხრულ ხილს, ყველა ცოცხალი სხეული რომაა.

იესოს დაღუპვა *ხალაფყვეტილია

ბევრმა ებრაელმა იწამა იგი, ბევრნი კი მღვდელმთავართა გასაფრთხილებ-ლად წავიდნენ. მღვდელმთავრებმა მყისვე მოიწვიეს საბჭო. რაც უფრო ბრწყი-ნვალეა სასწაული, მით უფრო საეჭვოდ ეჩვენებათ ეს ივითმარქვია და მით უფ-რო მტკიცედ წყვეტენ მის განადგურებას. ამგვარი ძლით დაჯილდოებული ნა-ზარეველი, რა თქმა უნდა, უძალდეს ძალაუფლებას მოინდომებს და ამით რომის რისხვას დაატეხს თავს იერუსალიმს. პილატეს არ უყვარდა ებრაელები და მუშტიც მძიმე ჰქონდა. ცრუ ძესიის ღვთისგმობით გაღიზიანებული თეოლოგები პოლიტიკოსებად იქცნენ — იმ ხალხად, რომელიც შორსმჭვრეტელია და სიფ-რთხილეს იჩენს. მღვდელმთავარი კაიაფა თავისდა უნებურად წინასწარმეტყვე-ლებს და აზრს გამოთქვამს, უმჯობესია ერთი კაცი მოკვდეს, ვიდრე მთელი ერი დაიდუბოსო.

უფალი, რომელსაც ნაცნობები ჰყავდა საბჭოში (ალბათ ნიკოდემოსი) და გაფრთხილებული იყო, რომ ხიფათი მოელოდა, ერთი დევნილი კაციღა იყო, რომელიც გარეუბანში იმალებოდა. იერუსალიმის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდუ-ბარე ვფრაიმი იყო მისი თავშესაფარი. პასექი ახლოედებოდა და წინასწარმეტ-ყველს არ ეგებოდა ტაძარში აუსვლელიობა. მის მტრებს სულ ცოტა ხანი უნდა მოეთმინათ. თუ იესოს ჰყავდა ნაცნობები საბჭოს წევრთა შორის, მღვდელმთავ-რებსაც ჰყავდათ თავისი კაცი თორმეტთა შორის. ლაზარეს აღდგინებამ ეს უკა-ნასკნელი კიდევ უფრო აამხედრა ამ გამოუსწორებელი მილაების წინააღმდეგ, რომელსაც საოცარი ძალა ჰქონდა მატერიაზე და ამას მხოლოდ თავისა და თავი-სი მომხრეების დასალუბად იყენებდა... არა, ამ მარცხის პატიება შეუძლებელია! კერიოტელმა კაცმა ჯერ არ იცის, ბოლო წამს უხიფათოდ როგორ გავა თა-მაშიდან, არ ჩქარობს; იესო თვითონ უახლოედება ჩაფანეს.

და აი, იესო გამოდის სამალავიდან და მარტო დაადგება იერიქონის გზას, უკან თორმეტი მოწაფე და პატარა აღფრთოვანებული სამწყვსო მიჰყვება, რომლებიც წარმატებასა და წარუმატებლობაზე მსჯელობენ. მათ ვერ ვერაფერი გაუგიათ. როდისღა აეხილებათ თვალი?

ამჯერად ქრისტე მათ აღარ ინდობს და ერთი ხელის დაკვირვებით ხელის ფარდას საიდუმლოს: „აჰა, ესერა აღვალთ იერუსალიმად, და შეკაცვსა მიეცეს მღვდელ-მთავართა და მწიგნობართა, და დაჰსაჯონ იგი სიკუდილად. და მიჰსცენ იგი წარმართთა კაცხევად და ტანჯუად და ჯვარცმად, და ძესამესა დღესა აღსდგეს“.

ვლოდა იგი შეკამათებას? კეფას კარგად ახსივს, როგორ უწოდეს სატანა, და კრისტს არ სძრავს. ალბათ სხვებიც არ ლელავენ; იგი, ვინც ლაჩარე აღადგინა მკვდრეთით, ცხოვრების უფალია და რისი უნდა ეშინოდეთ? მისი ნათქვამი კი არასოდეს მოჩვენებით გასაგებად: გვემა... ჯვარცმა... ალბათ ხატოვანი გამოთქმებია. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ სამი დღე დასჭირდება ღმრთის სასუფეველში შესადწეველ და იქ მარტო ხოს არ შეუვა. წმინდა ლუკა ამას ნათლად ამბობს: „რამეთუ მოახლოებულ იყო იგი იერუსალიმს და ჰგონებდეს იგინი, ვითარმედ შეესუულად გამოსჩნდეს სასუფეველი ღმრთისაი“.

ზებუდეს კმთა სათხროვარი

ღიახ, მისი მეგობრები მასთან ერთად იხეიძებენ გამარჯვებას და პირველ რიგში ყველაზე ახლობლები. რა საწყენია, თორმეტნი არიან, ძალიან უყვართ ერთმანეთი, მაგრამ თითოეულს მაინც უნდა საუკეთესო ადგილი დაიმკვიდროს მომავალ სასუფეველში. ზებუდეს ვაჟებზე ვერ ისვენებენ. იოანე ალბათ იაკობს ეჩურჩულება: „გულის სიღრმეში მე კურჩევნივარ კეფას, შენ კი ჩემი ძმა ხარ...“ და იაკობი პასუხობს: „სახოყე, რომ თითოეულს მის გვერდით გვექონდეს სამეფო ტახტი...“ იოანე ამბობს: „არა, ვერ გაუბედავ“. მაშინ მათი დედა — სალომე შეაწყვეტინებს შვილებს: „კარგით, მე გაუბედავ“. თითქოს ვესმის მათი ჩურჩული, და აი პატივმოყვარე დედა გამოეყოფა ჯგუფს.

იგი მოძღვრის ფეხებთან განეროხა. „რა ვნებავს?“ — ეკითხება იესო. ქალი პასუხობს: „ჰსთქუ რათა დაჰსხდენ ორნი ესე ძენი ჩემნი ერთი მარჯუენით შენსა და ერთი მარცხენით შენსა სასუფეველსა შენსა“.

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ რა მძვინვარებით გააკმედინებდა ხმას მე კაცისა სამიუეს! მაგრამ ახლა მათ სასაყვედუროდ არა სცალია. მას აღარა აქვს დასაკარგი დრო. რაც უნდა ქნან, უფალი ბოლომდე ისეთი სინაზით მოეპყრობა თავის მეგობრებს, რომ თვით იუდაც ვერ შეძლებს ხელის შეშლას. და აი, იგი ოხრავს იმ კაცივით, რომელსაც ხვალ სიკვდილით დასჯიან, და დიდი სიბრაღეულით შესცქერის ამ ორ, მის გულთან ყველაზე ახლის მყოფ ადამიანს:

— ძალ-გიძხთა შესუმად სასუმელი, რომელი მე მეგულების შესმად?

მათ არ იციან, თუ როგორია ეს სასმელი, მაგრამ ერთხმად, მთელი ძალით, ისეთი მძვინვარებით, რომ უფალმა „ქუხილის შვილები“ დაარქვა, ზებუდეს ძენი პასუხობენ: „ძალგვიძს“.

— სასუმელი სამე ჩემი შესუათ.

მისი შესმის იმდენნაირი ხერხია! წამება, რომელიც იაკობმა ორმოცდაათი წლის ასაკში იგემა, ერთ-ერთი მათგანია. ჩვენ არ ვიცით, როგორი აღმოჩნდა ეს „სასუმელი“ იოანესათვის. ვიცით მხოლოდ, რომ მან იგი დიდი ყლუპებით გამოსცალა.

მოძღვარი მათ თავს ზემოდან ყველა დაჩარჩენს მიმართავს გასაგები სიტ-

ყვებით, რადგან ახლა ყოველი სიტყვის ჩაბეჭდვაა საჭირო. როდის შეივსებენ იესოს მეგობრებს, რომ ძე კაცისას დარად პირველ ადვილს უნდა მოერიდონ, რომ იგი მოსული იყო არა იმისათვის, რომ მას ემსახუროს, არამედ იმისათვის, რომ თვით ემსახუროს სხვას? ბოლოს და ბოლოს იგი უმხელს მათ იმ უმაღლეს მისიას, რას სატურთავადაცაა ამქვეყნად მოსული და რაც უმეტესად მსწინდრონზე მას კაიაფა მღვდელმთავარმა მიაწერა: „ძე კაცისა მთავრად მსცემად სული თვისი ხახსრად მრავალთათვის“.

იერიქონში შესვლა, ბარტიმეოსის განკურნება

რისი თქმა სურს? აი მოვიდა იგი მთიდან მომდინარე წყლებით მორწყული ქალაქის, იერიქონის მისადგომებთან, სადაც ჰეროდე განცხრომას ეძლეოდა. უამრავი ხალხი ახვევია გარს. ბრმა ბარტიმეოსმა ხმაური რომ გაიგონა, იკითხა: ვინ არისო? და როცა უთხრეს: იესომ ჩაიარაო, წინ გაიჭრა და იყვირა: „ძეო დავითისაო! შემიწყალე მე“. და რადგან მისი გაჩუმება მოინდომეს, დმუსილი დაიწყო. „მოუწოდეთო!...“-თქვა იესომ... დაუძახეს და უთხრეს: „ნუ გეშინინ, აღსდებ გიწესს შენ“. ბარტიმეოსმა დაავდო მოსასხამი, წამოხტა და მისკენ გასწია: „რა გნებავს და გიყო შენ?“ — „რაბი, რათა აღვიხილნე თუალნი“. იესომ უპასუხა: „გუალე, ვიდრე, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ“.

გვეგონებოდა, ძე კაცისა სიკვდილას წინ ასწრებდა ყველა მომსვლელისათვის ამქვეყნად მოტანილი მოწყალების უხვად დარიგებას. ბრმის განკურნების შემდეგ ბრბო ისე გაიზარდა, რომ მეტაყუთა უფროსი, ტანად პატარა ძალზე მდიდარი კაცი, სახელად ზაქე იძულებული გახდა ღელვის ხეზე ასულიყო იესოს დასანახად. იესომ შეხედა და დაუძახა: „ზე, ისწრაფე და გარდამოხედ, რამეთუ დღეს სახლსა შენსა ჯერ-არს ჩემი ყოფა“. ზაქე საჩქაროდ ჩამოვიდა და იგი სიხარულით მიიღო. აი უკვე სამი წელია მისი მტრები ცოდვილებთან ხშირ სტუმრობას აბრალებენ. იესო ბოლომდე დიდ სიამოვნებას მისილებს იძათვან, ვინც იგი თავის ცოდვებს არჩია.

XXIII

სერობა სიმონთან

უკანასკნელი შესვენება, კიდევ ცოტა ადამიანური სითბოა საჭირო წყვდიადის დადგომამდე. დაღლილობისაგან ქანცგაწყვეტილი იესო იერიქონიდან იერუსალიმში პირდაპირ არ მიდის. მას კიდევ ერთხელ სჭირდება მეგობართა სახეების ხილვა: ლაზარესი, რომელსაც აღარც ახსოვს სიკვდილის საუფლო, საიდანაც ქრისტემ დაიხსნა; მართას ფუსფუსი, რომელიც სულაც აღარ აღიზიანებს და ალბათ ამჯერად მისთვის უფრო სასიამოვნოა, ვიდრე მარიამის მზერა; რადგან მას, ვინც მალე უნდა მოკვდეს, სიამოვნებს, როცა თავს ევლებთან და მოკრძალებული თავაზიანობით სურვილს უსრულებენ. შაბათია, პასუქამდე ექვსი დღეა დარჩენილი.

ერთმა, მის მიერ განკურნებულმა კეთროვანმა სიმონმა სადილად მიიწვია ლაზარესა და მის დებთან ერთად. მართა ჩვეულებისამებრ ემსახურებოდა.

ერთი ლივრა ხარდის¹ ნელსაცხებლით დარბაზში შემოსული მარიამი ნუთუ ის ცოდვილი ქალაა, რომელმაც ცრემლებით დანაძა იესოს ფეხები? ნუთუ ეს

1. ხარდი — სურნელოვანი მცენარისაგან დამზადებული ზეთი.

მჭვრეტელი ქალი იგივე მონახე ქალია? რაც უნდა იყოს, მარიამმა სიყვარულის იმ ზღვარს მიაღწია, როდესაც შეიცნო თავისი არარაობა და აღარაფერი დარჩენოდა გარდა ამისა, რომ მორჩილად მიეზაძა კურტიზანი ქალისათვის, რომელიც შეიძლება თვითონვე იყო. იგი იმ სხვა ქალს მსგავსად ნელსაცხებლიანი ჭურჭლით შემოვიდა.

ეროვნული

აღვზნებული გარემო სუფევდა იმ კაცის გარშემო, რომელიც ლაზარეს აღდგენის შემდეგ ხალხის სათავეში ჩამდგარი მდიოდა, რათა ძალით შეეღო იერუსალიმის კარები, არად ჩაეგდო მღვდელმთავრები და თვით რომაელებიც კი. ზოგში იმედი სძლეოდა შიშს, მით უფრო, რომ მტერი მერყეობდა: შეუძლებელი იყო ხალხის აუღელვებლად ნაზარეტელის შეპყრობა. სინედრიონმა მას რამდენიმე მსტოვარი მიუგზავნა. კერიოტელი კაცი მათ თავაზიანად, მაგრამ თავშეკავებულად ექცეოდა. შეუძლებელი იყო წინასწარ განჭვრეტა, თუ როგორ მოტრიალდებოდა საქმე. ჭკვიანი კაცი იყო და სულ ფხიზლობდა, ცდილობდა გამოეყენებინა შემთხვევა და ძალულად დაეგროვებინა საერთო ქისიდან მოპარული ცოტადენი ფული მოსაპარი კი საკმარისი იყო.

მხოლოდ ერთმა სიყვარულით გაფრთხილებულმა გულმა ამოიციო ამ წამოწოლილ კაცში, იესოში, გზის დასასრულთან მყოფი არსება, დაქანცული ირემი, რომელიც ხეალ ძაღლების მსხვერპლი გახდებოდა. ამდენი მსგეფსის განმაკვლიობაში იგი გარს უვლის ქალაქს, ხან სად აფარებს თავს და ხან სად! ლამპარში აღარაა ზეთი (მისი სულის ლამპარში). ერთადერთი რამ დარჩენია იესოს — მოთმინება და ტანჯვის ატანა. უნდა წარმოვიდგინოთ მზერა, რომლითაც ერთმანეთს შეხსტყერიან ეს წმინდანი ქალი და ძე კაცისა. სხვები ვერაფერს ხედავენ. მან იცის, რომ მარიამი მიხვდა, როცა აღებასტრის ჭურჭელი გაუტყდა და მისი სურნელი იქაურობას მოეფინა. მარიამი მორჩილად, როგორც ის მონახე ქალი, თმით უწმენდს სათაყვანებელ ფეხებს.

და უეცრად იუდას ხმა აკრთობთ მარიამსა და იესოს: „შესაძლებელ-იყო ესე განსყიდუად უფროს სამასისა დრაჰკანისა და მიცემად გლახაკთა“. იესო მზერას აჩერებს ამ ორ სულზე. ერთი შეპყრობილია სიყვარულით, მეორე კი სიხარბითა და შურით. იგი იუდას ყოველთვის დარბაისლური სიმშვიდით ელაპარაკებოდა, თითქოს მისი ბედის საშინელებას განიცდიდა:

— აცადეთ მაგას; რასა შრომასა შეამთხუევთ? რამეთუ საქმე კეთილი ჰქმნა ჩემთანა, რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან; უკეთუ გინდეს, ძაღვთს კეთილისყოფად მათდა; ხოლო მე არა მარადის თქუენთანა ვარ. რომელი აქუნდა, ჰყო: უსწრო ნელსაცხებლითა ცხებად ხორცთა ჩემთა დასაფლუელად ჩემდა. ამინ გეტყვი თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარება ესე ყოველსა სოფელსა, და რომელიცა ესე ჰქმნა, ითქმოდეს სახსენებლად მაგისა.

თვითონვე აცხადებს თავის დასაფლავებას? იუდა მწიგნობრებს უახლოვდება, რომლებიც მას უთვალთვალებენ... მან მხოლოდ ეს სიტყვა დაიმახსოვრა — „დასაფლუელად“. იგი მხოლოდ უახლოეს მომავალს ხედავს. უეცარი განათება, რომელიც საუკუნეებს გადასწვდება: „სადაცა იქადაგოს სახარება ესე ყოველსა სოფელსა...“, არ ანათებს მის დამუულ სულს. იქნებ მანაც შეიცნო იესოში სიკვდილს მიახლოვებული კაცისთვის დამახასიათებელი უძალობა და დადლილობა? მაგრამ მაინც რომ მოითხოვს ისეთი თავგანისცემა გამოხატონ მის მიმართ, როგორც ეს ქალები იგონებენ, ფეხებს რომ ულოკავენ!

მოსაღამოვდა. იერუსალიმიდან მოსული ხალხი ბეთანიაში მოგროვდა იესოსა და ლაზარეს სანახავად. სწორედ ამ დროს დიდებულები და მღვდელმთავრები შეიკრიბნენ საბჭოში და ორთავეს დასაღუპავად ხერხს ეძებდნენ. წმინდა

იოანესგან ვიცით, რომ უფალმა ეს უკანასკნელი ღამე ბეთანიაში გაატარა, ალბათ ორი დისა და ძმის სახლში. მოწაფეები აღელვებული მდაბიორებით იყვნენ დაკავებულნი, რომლებიც რაბის შესახვედრად ემზადებოდნენ: რადგან იერუსალიმში ასვლა ხვალისათვის იყო დანიშნული, იგი კი ღამეს ამ სამ გულთან ერთად ათევდა. იოანეს აქ უნდა ყოფილიყო (ერთადერთი მახარებელი) რომელიც, როგორც ჩანს, კარგად იცნობდა ლაზარეს). ალბათ მართაც მშვენიერად ღამეს მოძღვრის ფერხით მიმჯდარი. ალბათ იესომ დაარიგა მარიამი, მიუთითა მას თავის თავმდაბალ დაზე: „მასაც საუკეთესო ხვედრი ერგო წილად; ლატაკთა მსახურება (ლატაკნი ხომ ისევ მე ვარ) და ჩემი თანაყოფის მუდმივი შეგრძნება“, ტანჯვის ამ ოკეანის ნაპირას ძე ღვთისა მოკრძალებით თანხმდება ამ მხარდაჭერაზე: უყვარდეთ იმათ, ვინც მას უყვარს. მან მაინც შეიცნო ეს ბედნიერება, ვინც თავის ძამის გარდა არავისაგან არაფერს იღებდა.

სახლი ნარდის სურნელით იყო სავსე. მართა მზრუნველად აგროვებდა ალუბასტრის ჭურჭლის ნამსხვრევებს და თავისი კაბის კალაში ინახავდა. მისკენ მიმართული — ერთგული, ფართოდ გახელილი, სინაზითა და ტანჯვით სავსე თვალების შემხედვარე იესო ფიქრობდა კი ამ სამი ძვირფასი მეგობრის დაძმობულ ქუთუთოებზე, სულ ძალე იმ უძილო ღამეს რომ ექნებოდათ?

ბზის რტოები

დილით ალბათ შეეხვეწნენ: ღამე მაინც ნუ დარჩები ქალაქში, საღამოს მოდი და აქ დაიძალეო. ჩოჩორა მოუყვანეს. იგი შეჯდა პირუტყვზე და ქალებისა და ბავშვების გამაყრუებელ ყვირილში წინ გასწია. ხელები არხევდნენ რტოებს. აი ეს დღე, რომელზეც ოცნებობდა კეროტელი კაცი! მას ეგონა, რომ შეიარაღებული და ფანატიზმამდე მისული ხალხის თავში მიმავალი მოძღვარი, გვირგვინით შუბლდამშვენებული, თავის ყოვლისშემძლეობით ააკანკალებდა რომაელებს. ეს იმედი ქანცგაწყვეტილი რაბის სასაცილოდ ასაგდები ტრიუმფით დამთავრდა, რაბისა, რომელსაც უკვე პირდებოდნენ კანონგარეშე მყოფი კაცისათვის შესაფერ ჯვარზე გაკერას და რომელიც სულელი მდაბიორებით გარშემორტყმული თავდახრილი მიდიოდა ხაფანგისაკენ. მათ სხვა რა შეუძლიათ, გარდა იმისა, რომ ჩოჩორს ყუბქვეშ თავიანთი ტანსაცმელი გაუფინონ და საზეიმო შემახილებით შეხვდნენ ნაზარეველს, როგორც დავითის ძესა და ისრაელის მეფეს. თითოეული მათი ოსანა მის გვირგვინს თითო ეკალს უმატებს, მას კი მათ-რახის კიდევ ერთ მწარე დარტყმას.

ფარისეელები აღშფოთებულნი იყვნენ: „...მოძღვარ, შეპრისხენ მოწაფეთა შენთა!“ მაშინ საბრალე ტრიუმფატორმა თავისი სახედრის ზურგიდან მათ დიდი გამოწვევა ესროლა, სადაც გამჟღავნდა ღმერთი: „დალათუ ესენი ღუმდნენ, ქვანი ღაღადებდნენ!“

დილის მზის სხივებში უკვე მოჩანდა ქალაქი და ტაძარი. ქრისტე მათ თვალს აღარ მოაცილებს. ლაზარეს ერგო მისი პირველი ცრემლი, ახლა კი იგი ქალაქს დასტირის. იგი არ წყევლის ქალაქს, მის შემადრწუნებელ მომავალს გადავიშლის და ოხრავს: „უკეთუმცა გეცნა შენ ღლესა ამას მშვიდობად შენდა! ხოლო აწ დაეფარა თუალთაგან შენთა, რამეთუ მოვლენან ღლენი შენ ზედა, და მოგადგენ შენ მტერთა შენთა ლამქარი და გარე-მოგადგენ შენ და შეგკრიბონ შენ ყოვლით კერძო და დაგარღვიონ შენ, და შვილნი შენნი შენ შორის დაეცნენ და არა დაშთეს ქვა ქვასა ზედა შენ შორის ამისათვის, რამეთუ არა გულისხმა-ჰყავ ჟამი მოხედვისა შენისა“.

დიდი ორშაბათი

დღესასწაულის მოახლოებისას იერუსალიმი ებრაელებით და აგრეთვე წარმართებით აივსო: „ვინ არს ეს?“ – კითხულობდნენ ისინი. „ჩვენ ჰყვანი თვალთ ვნახეთ ლაზარეს უწოდა საფლავით და აღადგინა იგი მკურნალობით ბეთანიაში...“

მღვდელმთავრები კამათობდნენ, როგორ დაეჭირათ იგი დღისით-მზისით, ამ ფანატიკოსი ხალხის შორეულში. იუდა ისკარიოტელმა ხომ არ იცოდა, სად გაათევდა მისი უფალი დამეს? ჯერჯერობით ამ წუთას ჩიხრიდან ჩამომხტარი იესო აღარ იმალებოდა: „უფალო, თხოვდა მრავალი წარმართი ფილიპეს, გუნებავს იესოსი ხილუად“.

უკუეთუ მარცხალი არა მოკუდეს...

ახლა იგი ტაძრის გალავანში იყო და იმ უამს აუწყებდა, როცა ძე კაცისას განადიდებდნენ. რა სამწუხარო დიდებაა! მას რომ უსმინო, უნდა მოკვდე, რომ გაიმარჯვო, უნდა დაკარგო სიცოცხლე, რათა მოიპოვო იგი: „უკუეთუ არა მარცხალი იფქლისამ დაუარდეს ქუეყანასა და არა მოკუდეს, იგი მარტომ ეგოს; ხოლო უკუეთუ მოკუდეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს“ (მიწამ თავსდანივე იცის შემოქმედებითი თვითშეწირვის მონანიების ტანჯვის საიდუმლო. ეს ბუნების საიდუმლოა).

ამ სიტყვების თქმისთანავე დადუმდა იესო. ასე გგონია, ხედავ მის აცახცახებულ ხელს, შუბლზე რომ ისვამს, თვალეზზე იფარებს, თითქოს არ სურს მისგან ორ ნაბიჯზე გახსნილი წყვდიადის კარის დანახვა: „აწ სული ჩემი შეძრწუნებულ არს და რად-მე-უთქუა?“ მასში აღაშინი იბრძვის; ტარფი გრძნობს სასაკლავოს და აღარ უნდა ნაბიჯის გადადგმა, თაქს ძალას ატანს: „მამათ, მიხსენ ძე უამისა ამისაგან!“ მაგრამ წამსვე ეუფლება თავს: სწორედ ამ ავონისათვის, ამ სიკვდილისთვის არის მოსული. იგი ხალხს აღარ მიმართავს, თავს იმხნეებს, როცა გამარჯვებული დადებს: „და მე ოდეს ავმალდე ქუეყანით, ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა“. ყველას მიიზიდავს, იმასაც, ვინც მას დატანჯავს; ყველაფერს მიიზიდავს, ლაზარეს განწმენდილ სხეულსაც.

სულელური შეკითხვებით მოსვენებას არ აძლევენ. იგი მალე მოკვდება, ყველაფერი გადაწყვეტილია უკვე, და ეს ჯერ ვერავინ შეიგნო. აი უკანასკნელი დღეები დადგა: ცხოვრების შემოქმედი მეტჯერ აღარასოდეს აღარ შეახებს მის წას ფეხს, ბავშვების შუბლებს არ დაადებს ხელს; მათ კი ეჭვიც არაფრისა აქვთ! ამ ილაჯგაწყვეტილს, ამ დამარცხებულს ისღა შეეძლო, რომ დასუსტებული ზმით ემეორებინა: „მე ვარ ნათელი სოფლისამ! მცირედ-ჟამ ნათელი თქვენთანა არს... რათა ძე ნათლისა იყუნეთ!“

სამშაბათი და ოთხშაბათი

სალამოს პირობისამებრ ბეთანიაში დაიმაღა და შემდეგ დღეებშიც იგივე მოიძოქმედა. ალბათ ლაზარეს სახლში, რომელიც დიდი ხანია შემჩნეული იყო, აღარ ჩერდებოდა. ზეთისხილის მთის აღმოსავლეთი ფერდობი, სადაც, მარკოზის თქმით, იესო თავს აფარებდა, მართლაც ესაზღვრებოდა ბეთანიას.

სამშაბათი დღით იგი იერუსალიმის გზას დაადგა და დასწყევლა უნაყოფო ლელვის ხე, ალბათ იმიტომ, რომ ემცნო, თუ როგორი იქნებოდა ამ ქალაქის ბედი.

ისინი ყოველდღე მაინც ადიან ტაძარში. (როგორ დაიღალა, წინ კი სრული განადგურება ელის!) და აი, იგი იწყებს ბრძოლას გარეგნულად. მოკლე ხალხი მას უჭერს მხარს. ფარისევლებს, რომლებიც მას დამნაშავესავე დაჰკითხავენ, იგი მსაჯულივით გაბედულად პასუხობს. ამ მეღიების ხრიკების წინააღმდეგ იგი თავის დუთიურ ხერხს იყენებს ხოლმე. თუ ისინი ეკითხებიან: „რომელია ხელმწიფებითა ამას იქმ?“ იგი პასუხობს: „ნათლისცემა უფროსი ხერხი იყო ანუ კაცთაგან?“ მეღიები უკან იხევენ და ბუტბუტებენ: „არა ვიცით, კინა იყო“. რადგან თუ უპასუხებდნენ, კაცთაგანო, ისინი ერს აიჯანყებდნენ, რომელიც თავიანს სცემდა თავის უკანასკნელ წინასწარმეტყველს, ხოლო თუ იტყოდნენ „ღმრთისგან“, იგი მათ შეეკითხებოდა: „რასათვის არა გრწმენა მისი?“ და ისინი ბუტბუტებდნენ, რომ არ იცოდნენ. მაშინ გამარჯვებული იესო ამბობს:

— არცა მე ვითხრა თქვენ, რომელია ხელმწიფებითა ამას ვიქმ.

და ხალხი მიხვდა. გაცოფებული ფარისევლები განზე დგებიან. თავისი გამარჯვებით კმაყოფილი რაბი ისეთივე უშუალო ხდება, როგორც პირველ ხანებში იყო. ჰყვება იგავეს და არღა თითოეული გებულობს მათ აზრს. მაგალითად, აი კაცი. მას ორი ძე ჰყავს. იგი უუბნება ერთ-ერთს, კენახში წადი სამუშაოდო. მეილი ჯერ უარს ეტყვის, შემდეგ თანხმდება და მიდის. მეორე შვილი კი პასუხობს: წაყალ, უფალოო, და არ მიდის... ყველაზე ბეჩავმა მსმენელმაც იცის, რომ ოჯახის მამა — ზეციერი მამაა, რომ მეძავნი და მებაყეები, რომლებმაც მოინანიეს, სინათლის შვილები არიან, ხოლო ფარისევლები, რომლებიც გარეგნულად ემორჩილებიან კანონს, გულში კი დალატობენ მას, შეჩვენებულნი.

კაცი სკვლელი მკვინახანი

აი, ფარისევლები ბრუნდებიან. უფლის ხმაც მაშინვე იცვლება, იგი შემტევი ხდება, რადგან მათთვის და არა მოწაფეებისათვის გამოიგონა ეს ძალზე გაბედული და არაორაზროვანი იგავი კაცისმკვლელ მეუენახეებზე. მღვდელთაგანებმა იმწამსვე დააპირეს მისი შეპყრობა და, ხალხის რომ არ შეშინებოდათ, შეიპყრობდნენ კიდევ.

კაცი, რომელმაც თავისი ვენახი სანახევროდ მისცა სხეებს, თითო-თითოდ აგზავნის მსახურებს, რათა თავისი წილი ღვინო მიიღოს, მაგრამ მათ სცემენ რიგრიგობით და უკან ავდებენ. „და თქუა უფალმან მის ვენახისამან: რაი ვყო? მივავლინო ძე ჩემი საყუარელი, ვინ უწყის შეიკდიმონ. ხოლო ვითარცა იხილეს იგი ქვეყნისმოქმედთა მათ, ზრახვა-ჰყვეს ურთიერთას და თქუეს: ესე არს მკვიდრი, მოვედით და მოკვლათ იგი, რათა ჩუენდა იყოს სამკვიდრებელი. განიყვანეს იგი გარეშე საუენახესა მას და მოკლეს“.

ამ წინასწარმეტყველებას, რაც სულ მალე ასრულდებოდა, უნდა შეეძრა მათი გულები: სწორედ საყუარელი ძე მიმართავს ამ წუთებში მკვლელ ქვეყნის-მოქმედთ. ჯვარი სადღაც უკვე არსებობს, ძელების შესახებ რომელიღაც ფარულში. იუდა აზუსტებს ციფრს — ოცდაათი დინარი. პილატე კითხულობს საჩივარს ვიღაც ნაზარეველ მკურნალზე, რომელიც ხალხში არეულობას იწყებს. და მაინც ეს ქანცაწყვეტილი თავგადასავლების მამიებელი, რომელზეც სინაგოგის თვალი უჭირავს და რომელიც ახლა შირს ველარ წაუა, ეკითხება საღმრთო წერილში გაწერთილ მეღიებს და ძალით აყოფინებს ცხვირს ტექსტში: „ხოლო თავადმან მიხედა მათ და ჰრქვა: ვითარ არს წერილი ესე: ლოდი, რომელი შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავკიდეთა? ყოველი, რომელი დაუცვის ლოდს, მას ზედა შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაუცვის, განარქიოს იგი“.

იმკამად ქვეყნად მომხდარ გაუთვალისწინებელ ამბავთაგან მართლაც ყუ-

ლაზე უფრო წარმოუდგენელი, რომელმაც საქვეყნო გამოცხილი მოიპოვა, ამ ხაზარეველი მქადაგებლისა და იერუსალიმელი მოძღვრების შეჯახებები იყო. ისინი სულაც არ დამფრთხილან, მაგრამ მიხედნენ, რომ ურომაელთა ვერაფერს გახდებოდნენ. ღვთისგმობა არაფერი დანაშაული იყო რომაელთა აზრით. ამიტომ იესო რომაელთათვისაც დამნაშავედ უნდა ექციათ და სწორედ ეს იყო მიგზავნილთა მზაკურულად დასმული შეკითხვის აზრი: „*ქვეს ნაშაჲს კეისრისა ხარკისა მიცემად ანუ არა?*“

მივცით კეისარს...

ოცი წლით ადრე, იმპერიის მიერ ქვეყნის ანექსიისას, სხვა გალილეელმა, სახელად იუდამ,¹ გაბედულად თქვა უარყოფითი პასუხი ამ კითხვაზე და თავის თანამოაზრეებთან ერთად განადგურებულ იქნა. იესოს მიერ ნათქვამი ცნობილი სიტყვები: „*მივცით კეისრისა კეისარსა და ღმრთასა ღმერთსა*“. ნიშნავს, რომ მარადიულობის მიერ დაღმულ ჯვარცმის დრამაში რომაელებს მხოლოდ ჯალათის როლი ჰქონდათ მიკუთვნებული. ისრაელმა ისინი თავისი მსხვერპლის შესაწირად გამოიყენა; მსხვერპლი კი თავიდანვე ისრაელს ეკუთვნოდა. პილატეს სახით წარმოდგენილმა რომმა ბრალი ვერაფერში დასდო იესოს.

მაგრამ სად თავდება კეისრის ძალაუფლება და სად იწყება ღმრთისა? აი, სატყუარა, დღევანდელ დღემდე უთაუბლო კამათში რომ ითრევეს ადამიანებს, ხანამ ამ სიტყვას წარმოთქვამდა ქედუხრელი და ტანჯვისთვის განწირული საცოდავი ებრაელი, კეისარი ღვთაება იყო. და ღმერთები უფრო მეტად ეკუთვნოდნენ იმპერიას, ვიდრე იმპერია ღმერთებს. და აი, უეცრად ყოველ ტირანიაზე მაღლა აღიმართა იმის ძალაუფლება, კისაც განთავისუფლებული ადამიანი სცნობს თავის ერთადერთ უფლად მიწაზეცა და ზეცაშიც. ადამიანის ცნობიერება მომავალშიც შეიცნობს დამორგუნველ ძალმომრეობას, მაგრამ ამიერიდან იგი თავისუფალი იქნება: წამება მხოლოდ ხორცს შეეხება, საუკუნეთა განმავლობაში მრავალი სახელმწიფოს ძლიერება შეიმუხრება კურთხეული სულის ზღურბლოთან.

XXIV

ქვრივის ვკლილი

სინაგოგისა და ძე კაცისას ორთაბრძოლა თითქმის მინავლდა. ფარისეველები აღარაფერს ეკითხებოდნენ, რათა ხალხის წინაშე არ დამცირებულიყვნენ. კარგად იცოდნენ, რასაც ხლართავდნენ; და მოთმინება მოიკრიბეს. ხანდახან ნაზარეველი მათ აღსზიანებდა: „*ვითარ უკუე იტყვიან, ვითარმედ ქრისტე ძე არს დავითისა? თვით იგი დავით მხადოს მას უფლით; და ვითარ ძე მისი არს?*“ ისინი უკან ახევდნენ და სისხლიან პასუხს ამზადებდნენ.

თავისი ჭამის მოლოდინში ძე კაცისა თითქმის აღარ მოქმედებს. იგი გამვლელ-გამომვლელს ათვალთვრებს: გრძელ კაბებში გამოწყობილ მწიგნობრებს, რომელთაც ყველა ესალმება მათი გრძელი, დაუსრულებელი ლოცვების გამო;

1. იუდა — ქ. სეფორიისიდან; მებრძოლი მესიანისტების — ზელოტების — პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. ნ წელს იუდეა ისევ რომის პროვინციად რომ გადაიქცა, იუდამ გალილეაში აჯანყება დაიწყო. იგი აცხადებდა, რომ ღვთის ერის ხელისუფალი მხოლოდ თვით ღმერთიათ.

მორწმუნეებს, რომლებიც თავის შესაწირს ღებენ შესაწირების ყულაბაში. ტაძრის ეზოში სვეტზე მიყრდნობილი იესო ბრაზობს და დასცინის ფარსევლებს, მაგრამ გული უჩვილდება ქერივის დანახვისას, რომელიც ღმერთს თვით თავის სიღარიბეს სწირავს. რად ღირს მოწყალება, რომლითაც ჩვენ არაფერი ვკაკლდება? იქნებ არც არასდროს შეგვისწირავს რამე?

საქმეებისა
გაბაშვილისა

წინასწარმეტყველება ტაძრის დანგრევასა და ქვეყნის დასასრულზე

ამ უკანასკნელ ჟამს იესო გარეგნულად არ იბრძვის და გამკვლევებს ათვალიერებს ისე, როგორც ღღეს პოლიციისგან დევნილი, კაფეს ტერასაზე მჯდარი ამრევ-დამრევი ჩაიდენს, რომელმაც იცის, რომ წუთი წუთზე დაიჭერენ. რადგან აღარც ერთი სახე აღარ იქცევდა მის ყურადღებას, მან თვალი ტაძარს გაუშტერა. მის ახლოს ნაცნობი ხმა გაისმა: „მოდღუარ, იხილე რაბაში ქუეები არს, ქვითა კეთილითა და პატივოსნითა შეხებულ არს“. იესომ უპასუხა:

— ჰხედავთა ამას? მოვლენან ღღენი, რომელთა შინა არა დაჰშთეს ქუა ქუასა ზედა, რომელი არა დაირღუეს.

მის თანმხლებთაგან ვერაეინ გაბედა შეპასუხება, მან გადალახა კედრონის ხევი, ტაძრის დაბლა რომ იმყოფებოდა, და ზეთისხილის მთაზე ავიდა. მაგრამ არავინ დარჩენილა, რომ არ შეეწუხებინა ამ წინასწარმეტყველებას. ეს იყო უსაშინლესი სიტყვები, რაც შეიძლებოდა ებრაელის ყურს გაეგონა. ბოლოს ყველამ ერთბაშად გადაწვეიტა: „მოდღუარ, ოღეს უკუე იყოს ესე, და რა არს სასწაული, რაჟამს ესე ყოფად არს?“

თავისი გზის დასასრულთან მისული, დრო-ჟამიდან ნახევრად განთავისუფლებული ღმერთკაცი, იმ დრო-ჟამიდან, რომელშიც აგერ უკვე ოცდაათი წელი იყო ჩაძირული, ისე იწყებს ლაპარაკს, რომ ანგარიშს ვეღარ უწევს დროის მდინარებას, რადგან იგი იესოა, უფალია, რომლისთვისაც კუყას ეპისტოლეს მიხედვით: „ერთი ღღე ვითარცა ათასი წელი და ათასი წელი ვითარცა ერთი ღღე“ იყო.

ბევრი სული შეძრა ტაძრისა და ქალაქის დანგრევაზე ოქმულმა ამ წინასწარმეტყველებამ. იგი ქვეყნის დასასრულში ერეოდათ. ბევრის რწმუნა შეარყია ამ სიტყვებმა: „არა წარხდეს ნათესავი ესე, ვიდრემღე ყოველი იყოს“.

ღიახ, „ნათესავი ესე“ გახდა მოწმე და მსხვერპლი ქრისტიანების ღუენის, იერუსალიმის ალყისა და დანგრევისა. მხოლოდ ქრისტიანებმა შესძლეს რომაელი ჯარისკაცებისაგან თავის დაღწევა; უფლის რჩევის მიხედვით თავი მთებს შეაფარეს: „რაჟამს იხილოთ იერუსალიმსა გარე-მოღგომილი ერი მხედრებისა, მაშინ გულისხმაყავთ, რამეთუ მთახლოებულ არს მოღხრება მისი... მაშინ რომელნი იყვნენ პურაასტანს, ივლტოდენ მთად... ნუ უკუიქცვიან აღებად სამოსლისა თვისისა...“

მაგრამ ამ ნგრევას, რომლის მაუწყებელი ცის მნათობთა სასწაულებრივი ნიშნები და ზღვის მოულოდნელი მოქცევებია, იესო დროის გაურკვეველ შუალედში ათავსებს: „იერუსალიმი დაორგუნვილ იყოს წარმართთაგან, ვიდრემღე აღესრულნენ ჟამნი წარმართთანი“. ამიერიდან იგი თავის მარადიულ თვალს მიადევნებს ისტორიის მსვლელობას; იესო აღარაა კაცი, ვინც წინასწარ ხედავს მომავალს, იგი ძე ღვთისაა, ვინც არაფრად აგდებს დროს და უყვირის ფარისევლებს: „პირველ აბრაჰამის ყოფამღე მე ვარ!“

და ყოვლისმცოდნემ ისიც იცოდა, რომ მისი ხედვა არ ემთხვეოდა მისიანებისას და რომ ისინი შეცდომაში შეჰყავდა. მაგრამ ეს საბედნიერო შეცდომა მათ დიდი იმედით ადავსებს და მსოფლიოს დააპყრობინებს. მათთვის აღარაფრად ჩაითვლება ამ განწირული წუთისოფლის დიდება, წუთისოფლისა, რომელსაც ასე ცოტა დროლა აქვს დარჩენილი. ისინი ალბათ გაჭაჩტყდებოდნენ, რომ სცოდნოდათ, თურამეტი საუკუნის შემდეგ ქრისტიანები კვლავ შექცდნენ მოსულის მოლოდინში იქნებოდნენ.

სინამდვილეში უფალი მათ ატყუებს, მომავალში მოსახდენ ამბებს ერთმანეთში რომ ურევს. რადგან თითოეული ჩვენთაგანისათვის ამ ქვეყნის აღსასრული ჩვენი გარდაცვალების დღეს დგება. ეს ინდივიდუალური ჭეშმარიტებაა. არც ერთმა ჩვენთაგანმა არ იცის არც დღე და არც საათი, თუ როდის ჩაქრება მისი ძხე, როდის შეწყვეტს მთეარე მისი ბავშვობის წიფლის ხეივნის მოვერცხელას, როდის ჩაიკარგება ერთბაშად ყველა ვარსკვლავი წყველიაღში, რომელიც მის თავზე დაიხურება. თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრებაში გამოჩნდება ანტიქრისტე ისეთ დროს, როდესაც ყველაზე ნაკლებად მოველით, მოდიან ცრუ წინასწარმეტყველები თავიანთი საწამლავებითა და გრძნეულები სიყვარულის წამლებით: „იღვიძებდეთ უკუე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი.“. სულელმა ქალწულებმა ზეთი არ მოიძარავეს და ჩაეძინათ, რადგან სიძეს შეავკიანდა. და აი, შუაღამისას მათ საზარი ხმა გააღვიძებთ: „აჰა ესერა სიძე მოვალს, გამოყვდით მიგებებად მისდა...“ უეცარი სიკვდილის საშინელება.

და, რა თქმა უნდა, იესო გაბრწყინდება ღრუბლებზე დიდი ძალითა და დიდებით. და ამ დღეს — „ჟამთა წარმართთას“, ჩვენ დავინახავთ იმავე კუთხით, როგორც მას განკაცების დღეებში ხელავდა ქრისტე. იმ შუქში, რომელიც ნათელს მოჰყენს არა იმდენად რასათა ან სამეფოთა ბედს, რამდენადაც ცალკეული ადამიანის სულის ბედს. მსოფლიო ისტორია იქცევა უთვალავ ცალკეულ პიროვნებათა ისტორიად. და აღმოჩნდებიან თიკანნი მარცხენა, ხოლო კრავნი მარჯვენა მხარეს.

„მაშინ პრქუას მეუფემან მარჯვენითთა მათ მისთა: მოვედით კურთხეულნი მაშისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისათ. რამეთუ მშიოდა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და მასუთ მე; უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ, და შემძოსეთ მე; სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ, და მოჰხუედით ჩემდა. მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და პრქუან: უფალო! ოდეს გიხილეთ შენ მშიერი, და გამოგზარდეთ? ანუ წყუროელი, და გასუთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უძლური, ანუ საპყრობილესა, და მოვედით შენდა? და მიუგოს მეუფემან მან და პრქუას მათ: ამინ გეტყვი თქუნ: რაუდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა მმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“.

რაოდენ დიდი იმედია! ყველა, ვინც აღმოაჩენს, რომ თვით იესო იყო მისი ახლობელი, იმ მასას მიეკუთვნება, ვინც უარყო ანდა დაივიწყა ქრისტე. თუ არა და მაშინ მათ არ უნდა დაესვათ ასეთი შეკითხვა. და მაინც ისინი მისი საყვარელი მეგობრები არიან. ვისაც გულში აქვს ქველმოქმედების სურვილი, ყველაფრის მიუხედავად უპირობოდ ემსახურება ქრისტეს. ვინც ფიქრობს, რომ სძულს იგი, სწორედ მას მიუძღვნა მთელი სიცოცხლე, რადგან იესო გადაცმული და შენიღბულია ხალხში, იმალება ღარიბებში, ავაღმყოფებში, პატიმრებში, გადამთიელებში, მრავალმა, ვინც მას ოფიციალურად ემსახურება, არასოდეს

უწყის, ვინ არის იგი. მრავალს კი, რომელმაც მისი სახელი არც კი იცის და უკანასკნელ დღეს გაიგონებს, განეხვენება სიხარულის კარი: „მე უწყავი ის ბავშვი, ის მუშაკი; მე უტიროდი საავადმყოფოს საწოლს მიჯაჭვული; მე უწყავი ის მკვლელი, საკანში რომ ნუგეშს სცემდი“.

უწყავი ის
ბავშვი მუშაკი

XXV

დიდი ხუთშაბათი

ყოველი საღამო მას ბეთანიასი აბრუნებდა. უკვე განიცდიდა იმ სიმწარეს, რაც უნდა გადაეტანა, უკვე ცხოვლად ჰქონდა გააზრებული მთელი ვნება: ყოველი მათრახის დარტყმა, ყოველი მიუერთხება უკვე მიათრევდა იმ ძელს, ნეტავ დედამისს თუ ხვდებოდა იმ უკანასკნელ დღეებში? ალბათ მარიაში ბოლოს და ბოლოს გამოვიდა თავისი მარტოობის ღამიდან, რადგან იესოს აღარ შესწევდა ძალა მისი უკუგდებისა. მოწაფეები აკვირდებოდნენ თავიანთ მასწავლებელს და სდუმდნენ მის დაპირებას მიჯაჭვულნი: რომ, რაც არ უნდა მომხდარიყო, იგი მალევე დაბრუნდებოდა, როგორც სამოგზაუროდ წახული კაცი ბრუნდება და შუალამისას ან მამლის ყივილისას აკაკუნებს კარზე... კი, ისინი ფიქვლად იქნებოდა. ერთ საღამოს ერთმა მათგანმა ალბათ იკითხა: „სადაა იუდა?“ ვიღაცამ უპასუხა, რომ ხაზინადარი ველარ ბედავდა ბეთანიის სახლში გამოიჩინას მას შემდეგ, რაც მან ხარდის ნელსაცხებლის თაობაზე თქვა. იესო კი უხილავი ძელის სიმძიმით მოხრილი ალბათ უკან მიჰყვებოდა თავისიანებს და გონების თვალთ ხედავდა მის მოწაფეთაგან ყველაზე გონიერს, ზუსტად ამ წუთში ოცდაათი დინარის შესახებ რომ უთანხმდებოდა გამარჯვებულებს: „განგებ სჩადის ამას, — ალბათ უთხრა მათ იესომ, — თქვენ რომ გული არ გეტკინოთ“.

ვნების წინა ღამეს, ხუთშაბათს, მამლის ყივილისას, იგი პეტრეს და იოანეს ქალაქში აგზავნის საპასუქო სერობის მოსამზადებლად. პასუქი იმ წელიწადს შაბათს უწყევდა. რატომ მოინდომა ქრისტემ მისი ჭამა არა წინა საღამოს ებრაელთა მსგავსად, არამედ ერთი დღით ადრე? უბრალოდ, მან იცოდა, რომ ხვალ თვითონ იქნებოდა შესაწირი კრავი.

ორ მოწაფეს ქალაქის კარიბჭესთან უეჭველია წინასწარ ვაფრთხილებული მეგობარი ელოდა. დათქმული იყო — ხელში წყლის კოკა უნდა სჭეროდა, პეტრეს და იოანეს რომ ეცნოთ იგი. ამ კაცმა თავისი სახლის მეორე სართულზე ხალიჩები და ბალიშები დააწყია დაბალი მაგიდის გარშემო და ტაძარში საღმრთო ბატკანი შესწირა.

თავის საყვარულში ჩაფლული იესო მიდიოდა: „და უწინარეს დღესასწაულისა მის პასუქისა, — წერს წმინდა იოანე, — იცოდა იესომ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი, რამთა განვიდეს ამიერ სოფლით და მივიდეს მამისა, რამეთუ შეიყუარნა თვისნი იგი ამას სოფელსა შინა და სრულიად შეიყუარნა იგინი“. შესვლისთანავე მასთან ახლოს დაჯდომაზე წაკინკლაუდნენ მოწაფენი, ვერ შეეგნოთ ამ დღისა და წუთის მნიშვნელობა. იოანე მისგან მარჯვნივ დაჯდა. მეორე მხრიდან ყველაზე ახლოს კერიოტული კაცი უნდა მიხედობოდა, რათა იესოს მისთვის პინაკში ამოწებული ღუკების მიწოდება შეძლებოდა.

— გულას სიტყვით გული მითქმიდა პასექსა ამას, ჭამად თქვენ თანა ვიდრე ვნებადღე ჩემდა.

ეს მხარი, რომელზეც ძალე ძელი დაეშვებოდა, ამ წუთში ერთი ადამიანის თავის ცოცხალ სიმძიმეს ვრძნობდა. იესომ ადათისაძებრ აკურთხა პირველი ჭიქა ღვინო. მაგრამ კამათი განახლდა, რადგან თითოეულს სურდა სხვაზე უმეტესი ყოფილიყო. იესომ შეახსენა, რომ მათ შორის უდიდესი უმცირესი უნდა ყოფილიყო:

— ხოლო მე ვარ თქვენს შორის ვითარცა მსახური.

და რადგან სურდა მაშინვე სრული თავმდაბლობა ეჩვენებინა, სიცოცხლის შემოქმედმა მათ ფეხი დაბანა. დაბანა ფეხი იუდას — მან არ იუარა. მხოლოდ პეტრე შეედავა, მაგრამ საკმაო აღმოჩნდა ქრისტეს მუქარა: „უკუეთუ არა დაგბანსე შენ ფეხნი, არა გაქუნდეს ნაწილი ჩემ თანა“, რომ პეტრეს სასწრაფოდ ეპასუხა: „უფალო, ნუ ხოლო ფერხნი ჩემნი, არამედ ხელნიცა და თავიცა ჩემი...“

სულის სიმყრალე

სხვა დროს იესოს გაეცინებოდა. კეფას წმინდა და უბრალო სული ბრწყინავს. მაგრამ ზუსტად ამ დროს იესოსთან სულ ახლოს სულიერი სიკვდილისა და გახრწნილების სუნი ტრიალებს, რომლის ატანაც უფალს აღარ შეუძლია. იგი თავს ვეღარ იკავებს და ჩურჩულით ამბობს:

— თქვენცა წმიდა ხართ, არამედ არა ყოველნი (მაშინვე გონს მიდის). თქვენ მხადით მე: მოძღუარო და უფალო და კეთილად სთქუთ, რამეთუ ვარ. უკუეთუ მე დაგბანენ ფერხნი, უფალმან და მოძღუარმან, თქვენცა თანაც-ვაც ურთიერთას დაბანად ფერხთა.

ამ სულის სუნი სტანჯავს. აღარ შეუძლია ამ სიმყრალის ატანა. დანარჩენმა თერთმეტმა ვერაფერი შეამჩნია, ვერაფერი გაიგო. იქნებ სულაც არ უყვართ თავიანთი ძალზე ხელმოჭერილი ამხანაგი, მაგრამ ისიც ხომ მართალია, საერთო ქისას რომ უყრთხილდება. ცოტა გულჩათხრობილია, თუმცა ყველას თავისი ხასიათი აქვს; იესოს აღარ შეუძლია შენიღბვა:

ეს სიტყვა ჭექს ჩაბნელებულ დარბაზში, სადაც ოხშივარიანი კერძის გარშემო ცამეტი იუდეველი წამოწოლილა. სიჩუმეა და ამ საწყალ ადამიანთაგან თითოეული თავის თავს ეკითხება, თავის სინდისს ამოწმებს და ყველა აწუხებს მოძღუარს: „ნუუკე მე ვარ, უფალო?“ ქრისტეს მარცხნივ, მის ყურთან სულ ახლოს.

— ამინ, ამინ გეტყვი თქვენ, ვითარმედ ერთმა თქვენგანმან მიმცეს მე. იუდას ხმა ცახცახებს: „ნუუკე მე ვარ, მოძღუარ?“

არავითარი თავხედობა: მან ჯერ მართლა არ იცოდა, მერყეობდა. მისი არსების სიღრმეში მიმდინარე ბრძოლა ფლეთდა მის გულს—ბრძოლა სასოწარკვეთილი, ამ სიტყვის ყველაზე მძაფრი მნიშვნელობით; ისეთი ბრძოლა, რომელსაც ბევრი ქრისტიანი შეიცნობს, როცა სასიკვდილოდ დაჭრილი სული იბრძვის, თუმც კი იცის, რომ ბოლოს დამარცხდება. იუდას უყვარდა იესო და ალბათ კიდევ უყვარს, მიუხედავად მისი განხიბვლისა, გულღვარძლიანობისა და იმ სურვილისა, რომ სუსტების ქომაგი არ უნდა იყოს მოძღუარი. ოცდაათი ვერცხლი უპირველესად ფასობს, როგორც მთავრობასთან მისი კავშირის ნიშანი. ყოველ

შემთხვევაში საბრალო იესო დაღუპულია. იუდას გული ეკუმშება, მისი ნაღველი არაა ყალბი, როცა ეკითხება: „ნუუკე მე ვარ, მოძღვარ?“ მხოლოდ მას უნდა გაეგონა ძალზე ხმადაბლა გაცემული პასუხი, რომელმაც სამარადელად დაასხა დალი: „შენ სოქუ“.

და უფალი ტანჯული ხმით ხელახლა გასცემს თავის სწავლებას მან ეს წუთია დაკარგა ერთი თავისი მცირეთაგანი, იუდა ხომ ერთ-ერთი იმათაგანი იყო, ვინც მან აირჩია, შეიძლება სხვებზე ცოტა ნაკლებად საყვარელი, მაგრამ მაინც ერთ-ერთი იმათაგანი. იმ სამი წლის განმავლობაში მათ შორის არაერთხელ უნდა ყოფილიყო ტკბილი საუბარი და შენდობის გაცემა და მიღება.

— ძე სამე კაცისა წარვალს, ვითარცა წერილ არს მისთვის, ხოლო ვაჟი კაცისა მის, რომლისა მიერ ძე კაცისა მიეცეს. უმჯობეს იყოს მისა, არა თუშცა შობილიყო კაცი იგი.

მძიმე სიჩუმეში, ამ სიტყვებს რომ მოჰყვა, პეტრემ იესოს მხარზე მიყრდნობილ იოანეს ანიშნა ეკითხა მისთვის: „ვინ არს, რომლისათვის იტყვის?“ იოანეს მხოლოდ თვალები უნდა აღემართა და ბაგე ოდნავ აემოდრავებინა, რათა იესოს გაეგო: „უფალო, ვინ არს?“

აღბათ რომელიმე სხვას იესო არ გაენდობოდა. მაგრამ სიცოცხლის დასასრულს მიახლოებულს, ამ უკანასკნელი ამოსუნთქვისას რა შეეძლო დაემილო მისთვის, ვისი სუნაქვაც უკანასკნელად ესმიოდა? (რა მსუბუქია ეს თავი და რა მძიმე იქნება ჯვარი!) იესომ წასჩურჩულა:

— რომელსა მე დავაწო პური და მიუსცე, იგი არს.

ჩააწო პური კერძში და ლუკმა მის მქორე გვერდზე მჯდარ იუდას მიაწოდა, რომელმაც თუ ვერ გაიგონა, დაინახა მაინც მისი რჩეულის თავისკენ დახრილი ქრისტეს თავი. და სწორედ იმ წუთში „შევიდა მისა ეშმაკი“. ეჭვით გაგიჟდა იუდა: იგი ძალიან გამჭრიახი იყო და ამჩნევდა, იესო ცოტა ცივად რომ ექცეოდა. და თუ იოანე იყო ყველაზე საყვარელი, ის ყოველთვის ნაკლებ საყვარელი იქნებოდა... უეტრად სიძულვილმა აიწყვიტა თავი ამ უბედურში, სატანურმა მძულვარეობამ იფეთქა. ძე კაცისას, რომელსაც წინ ელოდა წამება და ჯვარცმა, ამის ატანა აღარ შეეძლო. სატანის რეალური, სუბსტანციური არსებობა საყვარულისთვის შექმნილ სულში იმ ძალებს აღემატებოდა, რაც იესოს ჰქონდა დარჩენილი. იგი შეევედრა იუდას:

— რომელი გეგულების საქმედ, ვაჟ ადრე.

სხვებმა იფიქრეს, იესო მას მოწყალების გასაცემად ან დღესასწაულისათვის საჭირო სახიკაგის საყიდლად აგზავნიყო. ეჭვით გაგიჟებული იუდა ადგა. რატომ უნდა შეწინააღმდეგებოდა, თუ მოძღვარი ბედის შესაგებებლად აგზავნიდა მას, ვისაც აღბათ თავი არასოდეს არავის მხარეზე არ მიუყრდნია? ქრისტეს გულს არასოდეს უფეთქია მის ყურთან. იესოს იგი ხუსტად იმდენად უყვარდა, რომ გამცემლობა მიუტევებელი ყოფილიყო. გულღვარძლიანობა ახრჩობდა. კარი გააღო და ღამეში შეაბიჯა.

ეშმაკისტიანა

თვით მოციქულებმაც, რომლებმაც არაფერი იცოდნენ, იგრძნეს, როგორ შემსუბუქდა ჰაერი. აღბათ იუდამ კარი შეღებული დატოვა. მოძღვარმა თვალები დახარა. ყველა შესტყეროდა ამ ახლობელ სახეს და ვერ სცნობდა, რადგან არასოდეს იყო იგი ერთნაირი, მუდმივად იცვლებოდა შეუცნობი, ზეადამიანური

გრძნობებისაგან. მას თითქმის პურის ნაჭერი ეჭირა, თავის წმინდა და სათაყვანებელი ხელებით რომ დატეხა, მათ ჩამოურიგა და უთხრა:

— მიიღეთ, ესე არს ხორცი ჩემი.

შემდეგ მან აიღო თასი, მადლი შესწირა მამა ღმერთს, მისცა მათ და ყველამ დაღაძა, და უთხრა:

— ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღიქმისა, მრავალსაათხმისა მსახურული მისატეველად ცოდვათა. ხოლო გეტყვი თქვენ, ვითარმედ არღარა ვსუა მე ამიერიოგან ნაყოფისაგან ამის ექნახისა ვიდრე მუნ დღემდე, რაჟამს იგი ვსუა თქვენ თანა ახალი სასუფეველსა მამისა ჩემისასა.

რა გაიგეს მათ, ვინც ის-ის იყო ეზიარა ამ ხორცსა და ამ სისხლს? ძე კაცისა იქ იყო, მათ შუა მჯდარი. და იმავე დროს თითოეული გრძნობდა მის თრთოლვას თავის თავში, გულის ფანქვალს, ცეცხლის გიზგიზს, რომელიც ამავე დროს გაგრძელება და სიამოვნება იყო. ამქვეყნად პირველად აღსრულდა სასწაული: ყვლობდე იმას, ვინც ვიყვარს, შეერწყა მას, მისით გამოიკვებო, გახდე მხოლოდ მისი სუბსტანცია, გადაიქცე მის ცხოველ სიყვარულად.

იესოს მიერ მაშინ ნათქვამი სიტყვები შეიძლება იმ სიყვარულის საზომად გამოდგეს, რითაც მოწაფეები იყვნენ აღვსილნი, ამ უხეშ, ასაკში შესულ კაცებს იგი თავის პაწაწა შეიღებს უწოდებდა და სინაზე სისხლივით მოსჩქეფდა ამ გულიდან, რომელსაც მალე მახვილი განჴმირავდა:

— შვილნი, მცირედ ჟამ თქვენ თანა ვარ. და მეძიებდეთ მე, და ვითარცა იგი ვარქუ პურიათა, ვითარმედ ვიდრე—იგი მე მივალ, თქვენ ვერ ხელ-გეწიფობის მოსკლად; და აწ თქვენ გეტყვი მცნებასა ახალსა მიგცემ თქვენ, რაითა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარე თქვენ, რაითა თქვენცა იყუარებოდით ურთიერთას. ამით ცხან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუყუარებოდით ურთიერთას.

ახლა კი იგი სიმონს მიმართავს. ამ ქვეყნის თივადი ამ ღამეს თავს აიშვებს. და მათ, საბრალო ბავშვებს, პურის მარცვლივით გაცხრილავენ... როცა განსაცდელი გადაივლის, სწორედ მან, პეტრემ უნდა განამტკიცოს თანამოძმენი... მოციქული მოუხმენლად აწყვეტილებს: იგი მზადაა იესოსთან ერთად საპყრობილესაც წაეიდეს და სასიკვდილოდაც. იესო ამ წამს თავისი შესასმელი ფიადის ყველაზე მწარე წვეთს ამოიციხობს მასში: — ეს ყველაზე ძლიერი კაცი, რომელიც ახლა სიყვარულით და ერთგულებით ატანილი ყვირის, განთიადისას სამგზის უარყოფს მას. იესო მას მშვიდად აფრთხილებს, მაგრამ წყობიდან გამოსულ პეტრეს დაუყინია:

— დადაცათუ ჯერ იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არა სადა უვარ-გყო შენ!

და კუფესთან ერთდ ყველა ეწინააღმდეგება. სუფრა მიატოვებს და გარს შემოუხვივნენ იესოს, რომელიც მათი თავების ზემოთ, ამქვეყნიურ შუაღამეში, ხედავდა აღმართულ შიშველ ძელს, ჯვარცმას, რომელსაც, როგორც იქნა, თითქმის უკვე ეხებოდა. თერთმეტმა გაიაზრა, რომ დამთავრდა ებრაელების დაცინვისა და სასწაულებით გაოცებას ხანა, ძალაუნებურად თავს იმხნევებენ: „აჰა ესერა არიან აქა ორ დანაკ...“ იესო მხრეებს იჩენავს: „კმა არს!“ ხმალი კი არა, რწმენა სჭირდებათ: „ნუ შეძრწუნდებიედ გულნი თქვენნი...“ ისინი გაიგებენ, სადაც მიდის, შეიცნობენ გზას... თომას გულუბრყვილო ხმა გაისმის:

— უფალო, არა ვიცით ვიდრე ხუილ, და ვითარ შემძლებელ ვართ ვზისა მის ცნობად?

ბოლო წუთამდე ისინი ყველა სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობით იგებენ. იესო ეუბნება:

— მე ვარ გზა და მე ვარ ქუშმარიტები და ცხოვრება, არავინ მოვიდეს მამისა გარნა ჩემ მიერ.

და რადგან ფილიპე სიტყვას აწყვეტინებს: „უფალო, მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი, და კმა არს ჩუენდა“, იესო პასუხობს:

— ესოდენ ჟამ თქუენტანა ვარ, და არა მიცი მე, ფილიპე, რადგან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი.

იგი აღარ ბრახდება ამ უგუნურებაზე, რომელიც ვერ დაამარცხა, ამას სულიწმიდა დასძლევს. პატარა ჯგუფი შემჭიდროვდა მის გარშემო, ყველა სიკვდილის მოშიში ადამიანის მსგავსად ისინიც სიბნელით შეშინებული ბავშვებით იქცევიან. და მე კაცისა, ვისი სიყვარული აღრე გულუხვად იბნეოდა მკაცრ და მწარე სიტყვებში, პირველი დარტყმის, პირველი შოლტის მოლოდინით უკვე შემკროალი და გატეხილი, მათ თავისი ფრთის ქვეშ იფარებს და ათბობს სიტყვებით, სადაც მორიგეობით მკლავნდება კაცი და ღმერთი: რა სინაზე და რა სიძლიერეა! და შეჰყავს ისინი ერთარსის საიდუმლოში:

— არა დაგიტევს თქუენ თბლად, მოვიდე თქუენდა. მცირედლა, და სოფელი ესე არა მხედვიდეს, ხოლო თქუენ მხედვიდეთ მე, რამეთუ მე ცხოველი ვარ, და თქუენცა ცხოველ იყვნეთ. მას დღესა შინა სცნათ თქუენ, რამეთუ მე მამისა ჩემისა თანა, და თქუენ ჩემ თანა და მე თქუენ შორის, რომელსა აქუნდენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარდე მე. ხოლო რომელსა უყუარდე მე, საყუარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და მეცა შევიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი. უკეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს და მამამანცა ჩემმან შევიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მის თანა დავაღვრეთ.

დიდი სიმშვიდე დაისალგურებს ახლა მათ სულში, აღარ ეშინიათ, ისინი იესოს მეგობრები არიან, მასში მყოფნი და მასთან შეკავშირებულნი. ისინი უკვე აშკარად გრძნობდნენ მის მიერ დაპირებული მემკვიდრეობის — მოგიზგიზე მშვიდობის — გემოს.

— მშვიდობას დაგიტევებ თქუენ, მშვიდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ, არა ვითარ სოფელმან მისცის, მე მიგცემ თქუენ. ნუ შეძრწუნდებიედ გულნი თქუენნი, ნუცა ეშინინ.

ახლოედება ჟამი. მას აღარ შეუძლია ერთ ადგილას გაჩერება: „აღდეგით, წარვიდეთ ამიერ!“ გაჰყავს ისინი ოთახიდან, წამით დერფთანში ჩერდება. არასოდეს უღაპარაკია მათთან ისე, როგორც ამ დამეს უღაპარაკება. ახლა მათ იციან, რომ მათი მეგობარი ღმერთია და რომ ღმერთი სიყვარულია. და ის, ვინც მე კაცისას მხარზე თავს ასვენებდა, სამარადჟამოდ იხსომებს სიტყვებს:

— მე ვარ კენახი და თქუენ რტონი. ვითარცა შემიყუარა მე მამამან, მეცა შეგიყუარენ თქუენ, დაადგერთ სიყუარულსა ჩემსა ზედა... რამთა სიხარული ჩემი თქუენ თანა ეგოს...

სხვა რაღა უნდა გაეგოთ? მთელი ახალი მცნება გამოიხატება მსოფლიოს ყველა ენაზე ყველაზე უფრო ხმარებული სიტყვით — სიყვარული.

— რამეთუ ესე არს მცნებაჲ ჩემი, რამთა იყუარებოდით ერთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ. უფროისი ამისა სიყუარული არავის აქუს, რამთა სული თვისი დაღვას მეგობართა თვისთათვის.

მათ კი არ აურჩევიათ სათაყვანო მოძღვარი, მან ამთარჩია ისინი ქვეყნის შუაგულიდან. უარყოფილ ქვეყანას სძულს ისინი, ისევე როგორც სძულს ქრის-

ტე. ისინი დევნილნი იქნებიან ამ სიყვარულისთვის, მაგრამ ხულიწმიდა გადმოვა მათზე.

თერთმეტი ხელახლა შეშფოთდა მის ნათქვამზე: „მცირედლა, და არღარა მხედვიდეთ მე; და კუალად მცირედლა, და მიხილოთ მე...“ სიბრალულთ აღვისილ იესოს სურდა წინასწარ შთაეგონებინა მათთვის სიხარულსა და სიყვარულსა ისინი მკვდრეთით აღმდგარ იესოსთან ერთად შესვამდნენ და მკვდრად მდნენ.

— ამინ, ამინ გატყვი თქვენ, რამეთუ სტირიდით და ჰგოდებდით თქვენ, ხოლო სოფელსა უხაროდის, და თქვენ სწუხდეთ, არამედ მწუხარებათ თქუენი სიხარულად გარდაიქცეს. დედაკაცი რაჟამს შობს, მწუხარე არს, რამეთუ მოიწია ჟამი მისი. ხოლო რაჟამს შვის ყრმაჲ, არღარა მოეხსენის ჭირი იგი სიხარულთა მით, რამეთუ იშვა კაცი სოფელსა შინა.

ეს სიტყვები აღაზნებს მათ გონებას და მოვრალეობით აწვევს იხილებს: „აჰა აწ განცხადებულად იტყვი და იგავსა არცა რას იტყვი. და აწ უწყით ჩუენ, რამეთუ ყოველივე იცი. ამის გამო გვრწამს, რამეთუ ღმრთისაგან გამოიხუდა“.

მე კაცისა, რომელიც სამი წლის მანძილზე ამღერო იტანჯა მათი მცირედ-მორწმუნეობისა და იმას გამო, რომ ძნელად იგებდნენ მის ნათქვამს, სულაც არ გაახარა ამ აღიარებამ. მან ამოიხიზრა: „აწ სამე გრწამს...“ და უეცრად მკაცრად განაგრძო:

— აჰა მოუალს ჟამი და მოწვევს არს, რამეთუ განიბნინეთ კაცად-კაცი თვისად აღვილად და მე მარტოჲ დამიტყვოთ.

მაგრამ იმწამსვე ამ საცოდავი, უიმედო სახეების შემხედვარე თავს იკავებს. არა, იგი არ ბრახობს თავის რჩეულებზე. მან უკვე იცის და განიცდის ყველა უბედურებას, რაც მათ გადახდებათ. ამ დამეს თერთმეტნი, მხვალებად თავისი დამარცხებული, მხრებში მოხრილი მოძღვრისა, უსუსტესნი იქნებიან. მაგრამ უეცრად ეს მდაბიო საზარეველი, რომელსაც შეიარაღებული რაზმი უთვალთვალებს, ეს კანონგარეშე მყოფი ებრაელი, რომელიც მალე ჯარისკაცების ნაფურთხით დაიფარება, წელში იმართება! რა მეფური კილოთი იწვევს იგი არა მარტო თავის მსახურებს, თავის ჯალათებს, თუთ ტიბერიუს კეისარსაც, და მისი გამოწვევა სწვდება ამ დამის ციურ ტრიუმფატორს:

— ნუ გეშინის, რამეთუ მე მიძლევიც სოფელსა!

მღვდელმთავრის ღოცვა

მან სძლია სოფელს და გამოძეო ამ სოფლითან ადამიანთა პატარა ჯგუფი, რომელიც არ წარიწყმიდება. იგი მათით განდიდდა მამის წინაშე, არენაზე გამოსვლის წინ, დამის ხლურბლთან მდგარი (ის იქნება პირველი იმ მრავალრიცხოვან ძმათაგან, რომლებიც მისი სახელის სიძულვილით მხეცს გადაეცემიან). ნაბიჯის გადადგამამდე იგი ერთი წაშათ გონს იკრებს და ლოცულობს.

სახარებაში მრავალგზის გამეორებული ეს პატარა ფრაზა უსაზღვრო საიდუმლოებას მოიცავს: „თავადი განემორა მათგან და ილოცვიდა“... იგი ვეღვრება მამას, იგი, ვინც მამის ერთარსია, გაუგებარია? ჩვენ, შექმნილნი ხატად ღმრთისა, ყველა მედიტაციას ჩვენი არსების ცენტრისაკენ მივყავართ, თითქოს ჩვენსავე თავს ვესაუბრებით. ყველაზე უბადრუკი ქრისტიანიც კი ზიარების შემდეგ ანდა, უბრალოდ, როცა მღვდელად გადმოდის მასზე, სამების თანდასწრებით ღვთაებრივი ხდება და თავს რომ ჩაუღრმავდება, გრძნობს, თუ როგორ უფლება და აკურობებს ღმერთი.

შორეული ახლოვება გვეხმარება ამ საიდუმლოზე მსჯელობაში: ღმერთ-კაცის ლოცვა იმისადრე მიმართული, ვისი ერთარსიცაა.

იგი ერთდროულად თავის თავსაც ესაუბრება და სხვასაც. მაგრამ ამჯერად წყვილის მისადგომებთან ვიღაც ესწრება მამისა და ძის საუბარს: ახალგაზრდა კაცი, იოანე, ზებედეს ძე. ალბათ მას გარკვევით არ ესმოდა, ახალგაზრდა ალბათ შესაძლებლობა მიეცა მონაწილეობა მიეღო უსიტყვო მედიტაციაში და საყვარელი მოძღვრის ლოცვა, სიხუმის დაურღვევად, პწკარებად ჩაბეჭდილიყო გულსყურითანი მოწაფის გულში.

მხოლოდ მან ერთმა დაიმახსოვრა ეს ლოცვა, რადგან, ეტყობა, მხოლოდ მან გაიგონა იგი. არა იმიტომ, რომ სხვებზე უკეთესი იყო, არამედ იმიტომ, რომ სხვებზე ფიცხი და ჯიუტი გახლდათ. ჯერ კიდევ გუშინ ეს „ქუხილის შვილი“ თავისთვის და თავისი ძმისათვის ტახტს მოითხოვდა, ხეირს ეძებდა, რადგან თავს რჩეულად გრძნობდა. ამ ბავშვური გაბედულებისათვის მას ყველაფერი ეპატრობოდა: ერთ დღეს მან მოძღვარს სიტყვა გააწვევითინა, რათა თავი შეექო იმით, რომ ვიღაც კაცს იესოს სახელით ეშმაკების განდევნა დაუშალა, თითქოს იესო მხოლოდ მას ეროს ეკუთვნოდა! ახალგაზრდა კაცი, და ეს ნიშანდობლივია, ხარბი, უღმობეული და იმდენად თავაწვევითი იყო, რომ მოინდომა ციურ ცეცხლს შთაქნოთქა სამარია — ქალაქი, რომელმაც მათი მიღება არ ისურვა.

ეს ახალგაზრდა, რჩეული კაცი, იესოს რომ უყვარდა, არ იყო იმ სხვა ჭაბუკავით მდიდარი, უფრო სწორად, სულაც არ ჰქონდა დიდი ქონება, მაგრამ დანარჩენ მოწაფეებს კი სჯობდა ოჯახისუკიდობით: მამამისს — ზებედეს — დაქირავებული მსახურები ჰყავდა; და როგორც ჩანს, იოანე შინაურად ითვლებოდა მღვდელმთავრის სახლში. გამჭრიახი გონება და თავისუფალი აზროვნება ჰქონდა. მაგრამ ესეც არაა საკმარისი მის დასახასიათებლად: იესოს საყვარელ მოწაფეს გენია ისხივოსნებდა, როგორც თითქმის ყველა წმინდანს, დაწვებული პავლეთი და პირველ საუკუნეთა წმინდა მამებით, და დამთავრებული ნეტარი ავგუსტინით, ბონავენტურითა, თომათი, ფრანცისკითა და ხუან დე ლა კრუათი, მაგრამ იგი ყველაზე მეტად იყო აღვსილი სულიწმინდის ძაღლით.

ჩასწვდებოდა კი მისი სიყვარულით აღსავსე გონება ძე კაცისას უკანასკნელი ლოცვის საიდუმლოს? ალბათ ვერა, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ თავი უფლის მკურდს ჰქონდა მიყრდნობილი და მთლად გარდაქმნილიყო ამ შეჩერებული წამის განმავლობაში: ძე ქუხილისა ამიერიდან ძე სიყვარულისა იქნება, მან, ვისაც სერობის მანძილზე თავი ჰქონდა მიყრდნობილი ღმერთის მკურდზე, შეიცნო საიდუმლო, რომელსაც ვერასოდეს დაივიწყებს: რაც მისმა თვალებმა დაინახა, რასაც მისი ხელი შეეხო და რაც მისმა ყურმა გაიგონა, იყო ცხოვრების სიტყვა.

გამარჯვების სახეიშო სიტყვები, რომელთაც იგი გადმოგვცემს, გვაოცებს: გეთსემანის ჭიდილამდე და უილაჯობამდე ხომ ასე მცირე ხანია დარჩენილი. ქრისტეს ლოცვა, რომელსაც იოანე იხსენებს, ბრწყინავს მშვიდი დამაჯერებლობით, თითქოს უფალი ამ უკანასკნელ წამს იყენებს, ვიდრე ჰოელი ძალაუფლება წყვილადს გადაეცემოდეს: „მამაო, მოიწია უამი ჩემი, ადიდე ძე შენი, რამთა ძე მანცა შენმან გადიდოს შენ, ვითარცა—ესე მოეც მას ხელმწიფებაჲ ყოველთა ხორციელთაჲ... და ესე არს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ, რამთა გიცოდინა შენ მხოლოდჲ ჭეშმარიტი ღმერთი და რომელი მოაკლინე იესო ქრისტე... ძე მათთვის გკითხავ, არა თუ სოფლისთვის გკითხავ, არამედ მათთვის, რომელნი მომცენ ძე, რამეთუ შენნი არიან...“

იგი ერთი წამით უყურებს ტკივილის მორევს, რომლის ნაპირთანაც დგას; იგი მას ზურგს აქცევს, რათა თავის მარადიულ საქმეს დააკვირდეს: ურღვევ კავშირს კურთხეულ ქმნილებას და თავის შვილში განსხეულებულ ღმერთის შორის: „რათა იყვნენ ერთი, ერთადერთი ჩვენ ერთ ვართ. მე მათ შორის, და შენ ჩემთანა, რათა იყვნენ სრულ ერთობითა...“

მაგრამ სად დევს ზღვარი იმ სოფლისა, რომლისთვისაც იგი არ ღოცულობს? როგორი იქნება ამ უარყოფილი სოფლის სამარადეო ბედი?

XXVI

გათსემანია

აი ღამეში შესვლის წამი. ამ ზღურბლს გადააბიჯებს და დაიწყება მისი ვნებაანი. იგი „ძალელს“ წარმოთქვამს — პასექის სამადლობელს — და ხელს პერაკს კარს. ის ქვევით ეშვება, გარს უვლის პასექის მთვარით განათებულ ტაძარს, მიაღწევს ზეთისხილის მთის ძირში მყოფ ღობეს. მას შემდეგ, რაც იესო დაეწინაღობა, პატარა სამწყობო ხშირად ათევს ღამეს გეთსემანიად წოდებულ ამ ბაღში. ასე იმიტომ უწოდებენ, რომ იქ ზეთისხილია. ეს იყო მათი ჩვეული თავშესაფარი, თუ ბეთანიაში არ მიდიოდნენ.

თერთმეტნი ამ ღამით არაფერს მათთვის უცნაურს არ აკეთებენ: ჩვეულებრივად თავის მოსახსნაშენებში გამოხვეულები მიწაზე დაიძინებენ. მოძღვარს მიჰყავს პეტრე, იაკობი და იოანე სალოცავად. ესეც წესის და რიგის მიხედვითაა და არავის უკვირს.

ამ სამი ძვირფასი მეგობრიდან ქვის გასროლის მანძილზე იესო პირქვე მიწაზეა განრთხმული. მისი სული საშინლადაა დამწუხრებული. მას ეშინია: საჭირო იყო, რომ შიში შეეცნო. სისხლის სუნზე აკანკალებს, იგი ხორციელ ძრწოლას განიცდის, ტანში ზარავს ფიზიკური წამების წარმოდგენა. „ძამაო, უკეთეს ვნებავს თანა წარსვლად სახუმელი ესე ჩემგან!“

მისი არსების ნაწილი ეურჩება ამ საშინელ მოწოდებას: „ხოლო ნუ ნება ჩემი, არამედ ნება შენი იყავს!“ ახლა, ამ წუთში, მისი ნება უნდა განერიდოს ამ საშინელებას. იგი შუბლიდან სველ ხელს იმორებს: საიდან განსდა ეს სისხლი? ვედრება ბაგეზე შეეყვინა, იგი სმენად იქცა. ცხოვრების გარკვეულ ჟამს ყველა ადამიანი ღამის მღუმარებაში შეიცნობს ბრმა და ყრუ მატერიის გულგრილობას. მატერია სრებს ქრისტეს. იგი მთელი სხეულით შეიგრძნობს ამ უსასრულო არყოფნის საშინელებას. შემოქმედი განზე გადგა და ქმნილება აღარაფერია უსიცოცხლო, უძირო ზღვის გარდა. მკვლარი მნათობებითაა მოფენილი სივრცე-წყველიაღში გაისმის შესაჭმელად განწირულ ცხოველსა ღმუილი.

და აი, ძირს განრთხმული და მიწას მიკრული ებრაელი დგება. მე ღვთისამ დაკნინების ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ ადამიანისაგან ნუგეში სჭირდება: ჩემი ჯერიც დადგა, ფიქრობს იგი, ვინმეს გულმკერდს მიუყვარდნი გასისხლიანებული

თავი. იგი დგება და სამ ჩაძინებულ ადამიანს უახლოვდება („მძინარენი მწუხარებისა მისიგანი“, ამბობს წმინდა ლუკა).

მაგრამ ისინი ძილმა დაამარცხა. ძილი სძლევს სიყვარულს, ესეც ვიცით. თავისი კაცობის ტყვე იესო ამ წუთში, როცა თავისიანების მხარდაჭერა სჭირდება, ეჯახება მოკვდავთა კანონს — ძილისა და გარინდების! ხედავთ, როგორ უსაყვარლეს მახარებელსაც კი ღრმა, ახალგაზრდული ძილით წმინდა იოანეს თავისივე ძლევა მოსილება ანადგურებს მას.

— ესოდენ ვერ უძლეთ ვამ ერთ მღვიძარებად ჩემ თანა?

ისინი წამოიწვევენ, ერთს ამოიხვნიან და ისევ ძილს მიეცემიან. იესო თავისი სისხლით მორწყული ადვილისაკენ მილასლასებს, მუხლს იფრის, ბრძად იწვდის ხელებს, კვლავ ამხანაგებისაკენ მიიღტვის — რადგან ისინი მართალია, მთლად უგრძობნი, მაგრამ მაინც აქ მყოფნი არიან, მას შეუძლია მათი შენჯღრევა, მათ თმაზე ხელის გადასმა. ძე კაცისა საათის ქანქარასავით მიდი-მოდის ადამიანის მძინარებასა და ღმერთის არყოფნას შორის — არმყოფ მამასა და მძინარე მეგობრებს შორის. შესამეჯერ რომ მივიდა მათთან, როგორც იქნა, ადგნენ, ჯერ კიდევ ქუთუთიებდამძიმებულნი, და არ იცოდნენ, რა ეპასუხათ. თუ მოვარე კიდევ ანათებდა, ქრისტემ აღბათ დაინახა მათი საცოდავი, დაუშნობელი, დასიებული, წვერგაბურძენული სახეები.

— დაიძინეთ ამიერიდან და განისუენეთ.

მას აღარავინ სჭირდება თავისი თავის მეტი. იგი უძრავადაა, არც მიწაზეა განრთხმული და არც მძინარეთა კენაა გადახრილი. ისმენს ამ სხეულთა სუნთქვას და ხვრინვას, შორიდან კი ხმაური მოისმის, ნაბიჯების ხმა... და ბოლოს ამბობს:

— აღდგით, აჰა ესერა მოიწია მიმცემელი ჩემი.

სახქარიდ გარბიან სხვა მოწაფეებისაკენ, აღვიძებენ მათ და ყველა გარს ეკვრის იესოს, რომელიც მათგან არაფრით გამოირჩევა. მღვდელმთავრის ხალხთან და კოპორტის ჯარებთან ერთად ღამიდან გამოსული ასისტავი ჩირაღდების შუქზე მხოლოდ ძოღუშულ ებრაელთა პატარა ჯგუფს ხედავს, მათში არაეინ გამოირჩევა, არაეინაა მეთაური. ერთ-ერთი ამ გაბურძენულ ნაზარეველთაგან სიცოცხლის შემოქმედია. იგი მათგან არ განსხვავდება, რადგან იუდამ უნდა დაადოს ხელი. კერიოტელ კაცს მისთვის კოცნა ჰქონდა გადაწვეტილი: „რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს“.

ეს არაბუნებრივი აზრი მარტო მისი მოგონილი არ იყო. ამბორით ღალტი თავგზას უბნეკს მას, ვინც ყველაფერს ძოღლიდა. თ, ეს ბაგე მის ღოფაზე! მან ჰკითხა: „მოყვასო, რომლისათვისცა მოსრულ ხარ?“ და რადგან ჯარისკაცები გარს შემოეხვივნენ: „ამბორის-ყოფითა მისცემა ძესა კაცისასა?“ მას ბოლომდე აოცებს ადამიანი. ეგონა, რომ იცნობდა ადამიანური სიმდაბლის უღრმეს კუნჭულებს, მაგრამ ეს ამბორი...

თავიდან აურზაური ატყდა. მოციქულები მაშინვე არ შემკრთაღან, რადგან იცოდნენ, რომ მოძღვარი ყოვლისშემძლე იყო; და როდესაც კეფამ თავისი მახვილით ყური მოსჭრა მღვდელმთავრის მსახურ მალქოზს, იესომ უბრძანა მას მახვილი ქარქაშში ჩაეგო. მან ისინი გვერდზე გასწია და, როგორც კრუხი, წინ წამოდგა და გაიფოფრა, რომ თავის საბუღარს გადაფრებოდა: „მე ვარ. უტევენით ესენი. წარვიდნენ. დღითიდღე ვიყავ მე თქვენ თანა ტაძარსა მას შინა, და არა განყავთ ხელი ჩემ ზედა. არაძედ ესე არს ვამი თქუენი...“

ჩირაღდების შუქზე ძაღლების ხროვა ეძგერა ამ მორჩილ მსხვერპლს. მა-

შინ კი ყველა გაიქცა ერთი უცნობი ჭაბუკის გარდა, რომელსაც ტანთ ჩაცმის დროც კი არ მიეცა. საიდან გაჩნდა ეს უკანასკნელი ერთგულება? აგი შეიპყრეს, მაგრამ მოხერხებულმა ბიჭმა მათ არღაგი შეატოვა, რომელშიც იყო გამოხვეული და გაიქცა.

იესო ანასთან, მღვდელმთავარ კაიაფას სიმამრთან წაიყვანეს იგი მაგრად გააკოჭინა და თავისი ჯარისკაცების მეთაულყოფილით თანაგზისმის გაუგზავნა. კაიაფა ფხიზლობდა უხუცესებსა და სინედრიონის რამდენიმე წევრთან ერთად. ალბათ მანამდე არც კი ენახა იესო. ნუთუ ეს უბადრუკი იყო სასწაულთა მოქმედი და მღვდელმთავრების მტერი? მაგრამ მაინც თავიდან დაძრვივებული და ღმობიერი კილოთი გამოკითხა, იმ კილოთი, ამდენი საუკუნის შემდეგაც რომ არ დაკარგეს ენა დ'არკის მოსამართლეებმა. მსჯავრდადებულმა უპასუხა, რომ იგი განცხადებულად ლაპარაკობდა ხალხში, სინაგოგაში, ტაძარში, და რომ არაფერი უთქვამს დაფარულად:

— რაღას მკითხავ მე? ჰკითხეთ მათ, რომელთა ესმოდა, რასა ვასწავებდ მათ. აჰა ამათ იციან, რასა ვეტყოდი მათ.

ამის თქმისას ცოტა აუწია ხმას? თავისდა უნებურად ისევ მოძღვარივით რომ არ აღაპარაკდა? პირველი სილა მოხვდა მის სახეს, ჯარისკაცის სქელი, უხეში ხელით გარტყმული.

— ესრეთ სიტყუას ეგება მღვდელთ მთავარსა?

— უკუეთუ ბოროტსა ვიტყოდე, წამე ბოროტისათვის, უკუეთუ კითილსა, რაღსათვის მცემ?

საყუძვლიანი ბრალდება იყო საჭირო. ორმა კაცმა დაადასტურა, რომ ბრალდებულს ღვთის ტაძრის დანგრევა და სამ დღეში ხელახლა აგება სურდა. მღვდელმთავარი ადგა: „არა რას მიუგება? რასა ესე შეგწამებენ შენ?“

კეფას დაღატი

განთიადისას აცივდა. მსახურთა მიერ დანთებული დიდი კოცონი გიზგიზებდა ეზოში. ყველა, ვინც განთიადის მოლოდინში სასახლის გარშემო დაეხეტებოდა, კოცონს შემოუხვია. სიბნელიდან მოჩანდა მათი სახეები და წინ გაწვდილი ხელები. ერთი მოახლე ქალი გააოცა გაბურძენულმა სახემ, რომელიც თითქოს ეცნობოდა: „ესეცა მის თანა იყო“ პეტრე წამოხტა: „დედაკაცო, არა ვიცი იგი“.

მღვდელმთავრის მეკარის ნაცნობი ერთი მოწაფის წყალობით შემოვიდა პეტრე ეზოში. ვიღაც ურწმუნო ქალი დააშტერდა მას და თქვა: „ესეცა მათგანივე არს“. და პეტრემ კვლავ უარყო. ახლა კი მოშორდა ცეცხლს, რომ არ ეცნოთ და პირველმა ხრინწიანმა მამალმა ამცნო განთიადი. შიშისა და სიცვიისაგან აკანკალებულს ეს ყივილი არ გაუგონია. ისევ მოგროვდნენ მის გარშემო: „ჭეშმარიტად მათგანი ხარ, და რამეთუ გალილეველ ხარ და სიტყუაცა შენი გამოგაჩინებს“.

ყველაზე სახიფათო მოწმობა მალქოზის ნათესაემა მოიტანა: „არა მე გიხილვა რტილსა მას შინა, მის თანა?“ შემოინებული პეტრე უარს ამბობდა, ფიცულობდა, რომ არ იცნობდა ამ კაცს, და მისი ფიცი ისეთი დამაჯერებელი იყო, რომ ბრალმდებლები დაეჭვდნენ თავიანთ სიმართლეში და გასათობობად გაბრუნდნენ მარტო დატოვეს იგი.

ცა გაღუ არდა. მამალმა ხელახლა იყივლა. ამ უბედურის გულშიც გათენდა.

1. არღაგი — (ძვ) წელს ქვემოთ მისაფარებელი ტილოს ნაჭერი.

ღამის წყვლიადს დააღწია თავი ყოველივემ, ყველაფერი განათდა. სწორედ იმ დროს, როცა სახლებისა და სასახლეების სახურავები და ზეთისხილისა და ყველაზე მაღალი პალმების წვეროები განათდნენ, კარი გაიღო და ჯვარზე ვასაკრავი დამნაშავისა თუ კატორღელივით ხელშეპირკილი კაცი გამოჩნდა, რომელიც მუჯღუგუნებით წინ გამოუვდოთ ჯარისკაცებს. მან პეტრეს შეხედუნდა და მზე-რაში უსახლვრო სიყვარული და შენდობა ჩააქსოვა. მოცეკვლილი მხივრებული შესცქეროდა მუშტებით ნაგვემ, უკვე დასიებული სახეს. პეტრემ სახე ხელებში ჩამალა, ეზოდან გავიდა და იმდენი ცრემლი ღვარა, დაბადებიდან რომ არ დაედვარა.

იესოს სახე უკვე ფურახით იყო მოსვრილი. მისი შეურაცხყოფა მაშინ დაიწყო, როდესაც კაიაფამ დაჟინებით მოსთხოვა პასუხი: „გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რაითა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა?“ მაშინ ჩუმად მყოფი იესო წელში უეცრად გაიშართა და გარკვევით წარმოთქვა:

— მე ვარ. და ამიერიდან იხილოთ ძე კაცისა მარჯუენით მჯდომარე ძლიერებათა, და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა.

საშინული ყვირილი გაისმა. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა შეაფურთხა, მას სხეებმაც მიბაძეს. ჯარისკაცებმა პირი დაუბურეს იესოს, სახეში მუშტები დაუშინეს და უყვირეს: „გვიწინასწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს რომელმა გცა შენ?“ და იცინოდნენ.

ეს ვიგინდარები ცოტათი მაინც მოერიდებოდნენ, ასეთი საცოდავი შესახედაობა რომ არ ჰქონოდა და მუდამ ისეთი დიდებული ყოფილიყო, როგორიც ჩვენ წარმოგვიდგენია. არა, ნაზარეველი ვერ მოახდენდა შთაბეჭდილებას ამ წუმპიდან ამოთრეულ სალახანებზე... მით უმეტეს იმ წუთებში: ჩვეულებრივ ადამიანსაც ხომ იმდენნაირი სახე აქვს! ფერისცვალების მკრთალი სხივი ზოგჯერ უნდა გამოსხივებულიყო ამ ღვთიურ სახეზე. და აკი გამოსხივდა კიდევ ტურიინის წმინდა სუდარაზე¹. თუ ჩვენი სახე სულის სარკვეა, მაშ როგორი იქნებოდა ღვთის ძის სახე?! მაგრამ მას ალბათ ამ სახის გაბუნდოვანება უნდოდა. წარხოცვის ყოვლისშემძლე სურვილმა გაანადგურა მის სახეზე ყოველივე, რაც ხელს შეუშლიდა მოყოყმანე ჯალათებს. თუმცა ხანდახან სახის სიწმინდეს იწვევს სიძულვილს და თავაწყვიტულ შეურაცხყოფას! პირუტყვებს ხელში ღმერთი ჩაუვარდათ და ამით ტკბებოდნენ. ასე აწვალებენ ხოლმე მეზღვაურები მათ ხელში ჩაგარდნილ იუნგას.

ფურთხებითაც შეიძლებოდა დამთავრებულიყო ქრისტეს ვნებანი. ეს სიბილწეც საკმარისი იქნებოდა ჩვენი მცირედმორწმუნეობის შესარყევად. და მაინც იესოს ძლიევამოსილება ადამიანთა სულებზე საფუძველს იღებს ადამიანთა ტანჯვასთან მისი ტანჯვის მსგავსებით. და არა მარტო ჩვეულ, ცხოვრებისეულ ტკივილთან მსგავსებით. ალბათ არ მოიძებნება ამქვეყნად პატიმარი ან წამებული, უდასაშაულოდ თუ სამართლიანად დასჯილი, ვინც შეურაცხყოფილ და ჯვარცმულ ქრისტეში თავის საკუთარ სახეს, თავის თავთან მსგავსებას ვერ იპოვის. ახალგაზრდა მკვლელმა, რომელსაც მოცარტის ავენიუზე აღმუვლებული ბრბოს შუაგულში მოათრევდნენ, რათა მისგან ჩადენილი დანაშაულის სურათი აღედგინათ, მაშინვე მიიღო ქრისტეს სახე, როგორც კი ვიდაც ქალმა სახეში შეაფურთხა. მას შემდეგ, რაც იესო იტანჯა და მიიცვალა, ადამიანები ნაკლებ უღმობელნი

1. ტურიინის წმ. სუდარა — იტალიის ქ. ტურიინის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, სპეციალურ კიღობანში 1578 წლიდან ინახება იესო ქრისტეს სუდარა.

არ გამხდარას, არც ნაკლები სისხლი დაღვრილა, მაგრამ მსხვერპლნი ხელმეო-
რედ იქმნებიან ხატად და სახედ ღვთისა—ისე რომ არც იციან ეს და არც სურთ
იცოდნენ.

იუდას სასოწარკვეთა

ქართული
ბიბლიოთეკა

როდესაც ჯარისკაცებს ხელიდან გამოვლიჯეს და პრეტორიისაკენ წაათრევს
(რომელიც ტაძრის ზემოთ მდებარე ანტონიუსის კოშკში უნდა ყოფილიყო მო-
თავსებული), ერთი თავზარდაცემული კაცი უყურებდა თავის ნამოქმედარს. იუდა
არ იყო ურჩხული: არ ეგონა, საქმე აქამდე თუ მივიდოდა: კი ბატონო, დაატუსა-
ღებენ, რამდენიმე როზგსაც უთავაზებენ და ღურგალს თავის დაზვასთან დააბრუ-
ნებენ. სულ ცოტა იყო საჭირო, რომ იუდას ცრემლები ადამიანთა მეხსიერებაში
პეტრეს ცრემლებში არეულიყო. მას შეეძლო წმინდანი გამხდარიყო, ყველა ჩვენ-
განის მფარველი, ვინც არ ვიშლით დაღატკ. სინანული აბრჩობდა. სახარება აზ-
უსტებს, „შეინანაო“ მან ოცდაათი ვერცხლი, მღვდელმთავრებს მიუტანა და აღი-
არა: „ვცოდუ, რამეთუ მივეც სისხლი მართალი“... იუდა სრული მონანიების
ზღურბლთან იყო. ღმერთს მაშინ კიდევ ერთი წმინდანი ეყოლებოდა: მოღალატე,
თავისი ცოდვები რომ მოინანია.

რასი სჭირდებოდა ეს ოცდაათი ვერცხლი? იქნებ არც გაეცა იესო, რომ არ
ჰყვარებოდა, რომ არ ეგრძნო, სხვებზე ნაკლებ საყვარელი ვარო? ძუნწის ანგარი-
შიანობა არ იყო საკმარისი ამ გადაწყვეტილების მისაღებად. იმ წუთში, როცა
ითანეს თავი უფლის მკერდს მიეყრდნო, სატანამ შეძლო თავისი მარადიული მე-
უფება დაემკვიდრებინა იუდას გულში.

„და დააბნია ვერცხლი იგი ტაძარსა შინა და განეშორა და წარვიდა, და
შიშთყილიდა“. ღმერთი ვერაფრით დაძლევს უკანასკნელ დამნაშავესაც კი, თუ
მას იმედი აქვს შერჩენილი. ხანამ ყველაზე ცოდვილ სულში იმედის სხივი არ-
სებობს, მას უსაზღვრო სიყვარულისაგან მხოლოდ ერთი ამოსუნთქვა აშორებს.
და საიდუმლოთა საიდუმლოა, რომ ეს სუნთქვა ცოდვის შეიღმა არ გამოიყენა.

მღვდელმთავრებმა ფულის ხელის ხლებაზე უარი თქვეს, რადგან სისხლის
საფასური იყო, და უცხოელთა დასასაფლავებელი მინდურის საყიდლად გამოიყე-
ნეს. ძე ღვთისას კლაუდნენ და მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, არ შევიბილწოთო!
პასექის წინა ღამით პრეტორიაში ფეხის შეღვმა არ შეეძლოთ და საჭირო გახდა
თვით პროკურატორი¹ შეწუხებულიყო, ჩამოსულიყო და მათთან პერისტოლში²
ესაუბრა! აქ ამკარად ჩანს სჯულის კანონის სიტყვასიტყვით გაგების უგუნურე-
ბა, კანონისა, რომელიც კლავს და რომლის სახელითაც ამდენი კრავი მოისრა,
ღვთის კრავიდან მოყოლებული.

1. პრეტორია — (ლათ.) რომაელი მოხელის რეზიდენცია.
2. პროკურატორი — (ლათ.) რომაელი მოხელე, რომელიც პასუხს აგებს პრო-
ვინციებში ხარკის შეგროვებაზე. იესოს დროს იუდეის პროკურატორი იყო პი-
ლატე. თავისი მმართველობა (ახ. წ. აღ. 26 წ) იმით დაიწყო, რომ იერუსალიმ-
ში ღამით მალულად შემოატანინა ოქროს ფარები ტიბერიუსის გამოსახულე-
ბით. ადამიანის გამოსახულების გაკეთება მოსეს სჯულის შეურაცხყოფა იყო.
მისმა ამ ქმედებამ დიდი არეულობა გამოიწვია. პილატე იძულებული გახდა
ფარები იერუსალიმიდან გაეტანა. ამის შემდეგ იგი ყოველწლიურად ცდილობდა
იუდეველებისთვის სამაგეროს გადახდას.
3. პერისტალი — (ბერძ.) სვეტებით გარშემორტყმული შიდა ეზო.

პილატე

პილატეს სძულდა და ეზიზღებოდა სინედრიონიც და ჰეროდეს ანტიპატ, მაგრამ ამავ დროს ეშინოდა მათაც; მათ ხომ რომში თქროს ფარების თაობაზე გამართულ კამათში დაამარცხეს იგი. ფარები პროკურატორმა ჯერ ეგრესალიმის სამეფო სასახლეში ჩამოჰკიდა და შემდეგ იძულებული გახდა კსიარქოში, თავის მუდმივ რეზიდენციაში გადაეტანა. ამ პროცესის წაგების შემდეგ პროკურატორი უფროსოდა ამ გიჟებს: „მოიყვანეთ ეგე თქვენ და ხჯულისა თქუენისაებრ განიკითხეთ ეგე.“ — უყვიროდა მათ.

ო, ეს ებრაელები... პრეტორიას ქვაფენილზე ფეხის შეხებით შუბილწვისაც რომ ეშინიათ, მალე სიკვდილით დასჯევენებენ უდანაშაულო ადამიანს, საჯაროდ კი განაცხადებენ, რომ არაფერს მოკვლის უფლება არა აქვთ. მათ მისცეს იესო ჯვარზე გასაკრავად, განაჩენი კი არ წარმოთქვეს. სამი წლის განმავლობაში ქრისტეს მიერ გაშმაგებით მზილებული ფარისევლობა ამ წუთში მთელი თავისი უგვანობით წარმოჩინდა.

უეჭველად მოთმინებიდან გამოსული, მაგრამ მაინც ფრთხილი პილატე პრეტორიაში დაბრუნდა. არ იცოდა, რა კითხვა დაესვა ამ საცოდავი, უწმინდურთა ხროვიდან ერთი წუთით თავდახსნილი კაცისათვის. შეტისმეტად გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ პროკურატორს სიბრაღულს დანებდა. მან იცოდა, გიჟს მოფერება უნდაო.

— შენ ხარა მეუფე ჰურიათა?

ჩათელმხილველი კი პასუხობს:

— შენ თავით თვისით იტყვი მაგას, ანუ სხუთა ვითხრეს ჩემთვის?

არა, ეს კაცი ვიღა არ იყო! პილატე, იმით შეურაცხყოფილი, რომ ფანატიკოსებმა ამ ამბავში ჩაითრიეს, იღანძლება: „ხუუკუე მე ჰურიათა ვარა?“ მაგრამ კაცი მაინც განაგრძობს ლაპარაკს:

— მეუფება ჩემი არა ამ სოფლისაგანი არს. უკუეთუმცა ამის სოფლისაგანი იყო მეუფება ჩემი, მსახურნიცა ჩემნი იღუწიდეს ჩემთვის, რაითა არამცა მივეცი ჰურიათა. ხოლო აწ მეუფება ჩემი არა არს ამიერ სოფლით... შენ იტყვი, რამეთუ მეუფე ვარ მე. ამისთვის ვშობილ ვარ და ამისთვის მოვივლინე სოფლად, რაითა ვწამო ჭეშმარიტი.

პილატე ეკითხება: „რად არს ჭეშმარიტება?“ მას მათხოვრის, ვხასაცდენილი ქალის ან ძეგაჟის გული რომ ჰქონოდა, ალბათ ამგვარ პასუხს მიიღებდა: „მე ვარ ჭეშმარიტება, მე რომელი ვეტყვი შენ“. მაგრამ ის სერიოზული კაცი იყო, დიდი მოხელე: ის ალბათ მხრებს აიხუნდა და მაინც იღუმალი სათხოება მოქმედებს მასზე: რადაც არის ამ კაცში, ხუსტად ვერ იტყვის რა, მაგრამ იგი ვიჟი აღარ ჰგონია. სწორედ შურმა ამოძრავა სინედრიონი. შეუძლებელია უგულებელყო ამ მზერის, ამ ხმის ყოვლისშემძლეობა... ეს რომელი აბუნად კი იგდებს ებრაელებს, მაგრამ ცრუმორწმუნეა. რა იცი, რა ხდება. აღმოსავლეთი საშიში დვთაებებით ბუფბუფებს. აი, სწორედ მისმა ცოდმა ამ წმინდანის შესახებ ნახა სიზმარი და შემოუთვალა ამ საქმეში არ ჩარეულიყო. ვითომ რატომ არ უნდა გაათავისუფლოს? საუბედურიოდ, სინედრიონმა პოლიტიკური სარჩული დაულო: იესო თავს მეფედ და მესიად აცხადებსო. ეს ამბოხებულის სწორედ ის ტიპი იყო, რომელსაც ყველაზე მეტად ვერ იტანდნენ რომში, პილატეს მტრებმა ეს კარვად იციან და მისკენ მიმართეს ეს საშიში იარაღი. პატარა საქმეა, მაგრამ შეიძლება კაცი დაღუპოს. ის პოლიტიკოსია და, როგორც ყველა პოლიტიკოსი, ორივე მხარეს ანგარიშს უწევს. ამიტომაც ცდილობს ფანდი იხმაროს. უეცრად

შუბლზე ხელს ირტყამს: მოიფიქრა. ნაზარეველია? ესე იგი, ჰეროდეს განმგებლობაშია! პილატე მეოთხედმთავართან წახსუბებული იყო მას შემდეგ, რაც პროკურატორმა მისი ნებართვის გარეშე ამოხოცა აჯანყებული გალიელები, ამით პატივისცემას გამოხატავს და ერთი ხელის დაკვრით ორ საქმეს გააკეთებს: იესოს თავიდან მოიცილებს და ჰეროდესაც შეურიგდება, რომელიც სწორედ იერუსალიმშია სადღესასწაულოდ ამოსული.

იესო ჰეროდეს წინაშე

ითანე ნათლისმცემლის მკვლელს უკვე დიდი ხანია უნდოდა ამ სახელგანთქმული იესოს ნახვა. თავიდან იგი საზეიმოდ, თავისი დაცვისა და სასახლის კარისკაცებით გარშემორტყმულმა მიიღო. ამ უბედურის იერს უნდა შეეძრწუნებინა მეოთხედმთავარი, მაგრამ მან არაფერი შეიმჩნია და კითხვები დააყარა იესოს. მე კაცისა შეიცვალა, გაქვავდა. მწიგნობართა ღმუილის მიუხედავად მან არაფერი უბასუხა ამ ძელას, როგორც მან ერთ დღეს უწოდა ჰეროდეს. მეოთხედმთავარი და მის გარშემო მყოფი კარისკაცები ის ხალხი იყო, რომლისათვისაც არ ლოცულობდა იესო. მღვდელმთავრები უფრო ნაკლებად ეზიზღებოდა, ვიდრე ეს ყვეენი დამნაშავეები, ეს თუთიყუშები, ნაძირალები, რომელთაც თავი უღიჭა ეგონათ.

— რაო, ესაა იესო? რა გულსატკენია! მარტო ამისთვისაც კი სიკვდილს იმსახურებს!

— მე კი მითხრეს, კარგი შესახედავიაო! ეს კი რას ჰგავს? სულაც არა აქვს წინასწარმეტყველის იერი! ისეთია, ორი გროში უნდა მიუგდო.

— წარმოუდგენელია, როგორ იხვეჭეს სახელს!

— ითანე ნათლისმცემელი ასე თუ ისე რაღაცას წარმოადგენდა. მის გვერდით ეს არარაობაა! ეს მის ყუხის ფრჩხილადაც არ ღირს, ეს უნიჭო მიმბადველი!

— არა, ერთი შეხედუთ, როგორი გამომეტყველება აქვს. ვინ ჰგონია ამ საცოდავს თავი?

— ჰგონია, ღუმილით შთაბეჭდილებას მოახდენს...

ჰეროდე ჭიდილმა დაღალა, მაგრამ მაინც ვერ დააცდევინა სიტყვა, სამასხარაოდ თეთრი სამოსი ჩააცმევინა და ისევ პილატეს გაუგზავნა, თავის მეგობარ პილატეს.

ბარაბა

დიდ მოხელეს სხვა გამოსავალი უნდა მოეძებნა და ეგონა, რომ იპოვა კიდეც, როცა ვიღაცამ შეახსენა ადათი: პასექის დღესასწაულზე, ხალხის მოთხოვნით, ერთი ტუსაღის განთავისუფლება შეიძლებაო. პროკურატორი ხელახლა გამოვიდა. ხალხი გაყუჩდა მის მოსასმენად.

მე არცა ბრალსა ვჰპოვებ ამის თანა. ხილლი არს ჩვეულებად თქუენი, რადთა ერთი მიგიტევო თქუენ დღესასწაულსა ამას. ვნებაესა, რადთა მიგიტევო თქუენ მეუფე პურიათაად?

რა წინდაუხედაობა იყო, თუ მას დაცინვით უწოდა ამგვარად! წინასწორობადაკარგულმა მწიგნობრებმა და მღვდელმთავრებმა ხალხში სიტყვიერი ბრძანება გაავრცელეს: ავაზაკ ბარაბას განთავისუფლება მოითხოვეთ.

— ბარაბა! ბარაბა!

პილატემ უკან დაიხია, და მაინც ცდილობდა ამ გაცოფებულებისაგან უდანაშაულოს დახსნას. მეტი ვერაფერი მოიფიქრა—თავისმა რომაულმა შემწყნარებლობამ შთააგონა სასტიკი ხერხი: დაცემის და უმწყობის ისეთ ზომამდე მიუყვანა ეს კაცი, რომ აღარავინ დარჩენილიყო, ვინც თუნდაც უმცირეს მნიშვნელობას მიანიჭებდა მის სასაცილო მეუფებას. საჭირო იყო მისი მკვლელობის ხრლეხითვის გამოვლენა და ჯარისკაცებისთვის გადაცემა. მან იცოდა, თუ რა უკეთესი იქნებოდა ეს ხალხი ამგვარ საქმეს: მათი ხელიდან გამოსული პურიათა მეფე განაიარაღებდა სინედრიონის წევრებს, გულქვა მღვდელმთავრებსაც შეეცოდებოდათ იგი.

გაუოლტვა

ჯარისკაცებმა იგი წაიყვანეს; სულ მალე კარგად გაერთობიან. მათ ტყვიის ბურობებით დაბოლოებული წერილი ღვედები ჰქონდათ. ყოველ ჩვენს კოცნას, ჩახუტებას, სხეულის შერყენას, სხეულისას, რომელიც სიყვარულის სადგური უნდა იყოს, — ხორციელ დაკნინებას, ყველა დანაშაულს ღვთისა თუ ბუნების წინაშე ძე კაცისა მთლიანად თავის თავზე იღებს. სისხლით მთლიანად იფარება მისი ტანი... სისხლია პირველი მეწამული მოსასხამი, რომელზეც ჯარისკაცები სხვა მოსასხამს მოაგდებენ, რომელიც ცოცხალ სხეულს ეკვრება. მიწაზე მუგუზლები და ეკლის კონები ჰყრია. „მოიცა, გვირგვინით შევამკო მეფე!“ „ჰეი, მიაჩნე თათებში ღერწამი“... „ვიხაროდენ, მეუფეო პურიათაო!“ — მუხლი მოიყარეს, თან ერთმანეთს მუჯღუგუნებს ურტყამდნენ და მუშტები ხვდებოდა ჭრილობადქცეულ სახესაც.

ესხმ ჟომო

როდესაც რომაელმა ნახა, თუ რა დარჩა ამ ებრაელისგან, დამშვიდდა: ჯარისკაცებმა კარგად გაართვეს თავი საქმეს, ამ საცოდავ არსებას სირცხვილის გრძნობა უნდა აღედრა მათთვის, ვინც იგი აქ მოიყვანა. პროკურატორი თვითონ გავიდა მათთან (სახეზე ეწერა: ახლა კი ნახავთ სანახავსო!).

— აჰა გამოგიყვანო იგი გარე თქუენდა, რაფთა სცნათ, რამეთუ მის თანა არცა ერთი ბრალი ეპოვე.

იგი მის გამოსაყვანად შებრუნდა და ხელახლა გამოჩნდა, ხელისკვრით მოჰყავდა წითელი მონძებით დაფარული რაღაც საფრთხობელა, რომელსაც ეკლის ქუდი ეხურა და ფურთხით, ჩირქითა და სისხლით მოთხვრილი თმებშემხმარი ნილაბი ჰქონდა აფარებული.

— აჰა კაცი იგი.

ისინი მუხლებზე არ დაეცნენ. სად იყვნენ ვანკურნებული კეთროვანები, განთავისუფლებული შეპყრობილები, ბრძემბი, რომელთაც მან თვალი აუხილა? ბევრმა მათგანმა, უსაფრთხოდ მისი სწამლა და უსაფრთხოდ კიდევ ჰქონდა იმედი ამ უიმედო მღვთმარების მიუხედავად, შერჩენილი რწმენა დაკარგა ადამიანის ამ ნაშთის ხილვისას. ო, აღივავო პირისაგან მიწასა! გაქრეს! ამისი გეწამლა?! რა თავის მოჭრაა!

საშინელმა დრიალმა: „ჯუარს-აცუ-ეგე!“ წონახწორობა დააკარგვინა პრო-

1. ეკლის ქუდი — ტრადიციულად ქრისტეს ეკლის გვირგვინით გამოსახავენ; ტურიინის წმ. სულარაზე ჩანს ეკლის ქუდის ნაკვალევი; ეტყობა, ავტორმა ამ ფაქტის გათვალისწინებით დაწერა „ეკლის ქუდი“ და არა „ეკლის გვირგვინი“.

კურატორს. სგი შეეცადა მათზე უფრო ხმაძალლა ეყვირა: „მე მაგას თანა ბრალსა არარას ეპპოვებ.“ მაშინ ერთი მღვდელი გამოეყო ბრბოს დიდმა სიჩუმემ დაისადგურა, რადგან ის ყველას სახელით ლაპარაკობდა:

— ჩუენ სჯული გუაქუს, და სჯულისა ჩუენისაებრ თანა-ვე სიკუდილი, რამეთუ თავი თვისი მედ ღმრთისა ყო.

პილატეს შეეშინდა. მე ღმრთისა? რას უნდა ნიშნავდეს ეს? იგი პრეტორიაში შებრუნდა, მოაყვანიხა იესო და საკვირველი კითხვა დაუსვა: „საიდან ხარ შენ?“

პროკურატორს იესოს მიწიერი წარმომავლობა არ უგულისხმია. რომელი უთუოდ გრძნობდა ამ დაღუპული გემის ნამსხვრევებში უხარმაზარ ძალას, მას რომ არ ეძიარჩილებოდა. მაგრამ ქრისტე ღუძდა! პილატე მოთმინებიდან გამოვიდა: ამ კაცისთვის სულერთი იყო, მოსამართლეს მისი ჯვარზე გაკვრა ან განთავისუფლება რომ შეეძლო?

— არა გაქუს ხელმწიფება ჩემი არცა ერთი, უკუეთუმცა არა მოცემულ იყო შენდა ზეგარდმო. ამისთვის მიმცემელსა ჩემსა შენდა უდიდესი ცოდვაი აქუს.

„ამის გამო პილატეს უნდა განტევებამ მისი. ხოლო ჰურიანი იგი დალაღებდეს და იტყოდეს: უკუეთუ ეგე განუტევეო, არა ხარ მოყუარე კეისრისამ, რამეთუ ყოველი, რომელი მეუფედ იტყვინ თაქსა თვისსა, სიტყუას უგებნ კეისარსა.—ხოლო პილატეს რამ ესმა სიტყუამ ესე, გამოიყვანა იესო გარე და დაჯდა იგი საყდართა ზედა ადგილსა მას, რომელსა ჰრქვიან ქუა-ფენილ, ხოლო ებრაელებრ კაპაათა. (ქუაფენილი იმისთვის იყო მოგონილი, რომ „წმინდა“ ფეხებით შეხებოდნენ.) და იყო პარასკევი პასქაისამ და ჟამი იყო მეექვსე. ჰრქუა პილატე ჰურიანთ მათ: აჰა, მეუფე თქუენი! ხოლო იგინი დალაღებდეს და იტყოდეს: აღიღე, აღიღე და ჯუარს-აცუ ეგე. ჰრქუა მათ პილატე: მეუფე თქუენი მე ჯუარს-ვაცუაა? მიუგეს მღვდელმთავართა მათ და ჰრქუეს: არა გვივის ჩუენ მეუფე, ვარნა კეისარი“.

ეს უკვე მუქარა იყო. პილატე მიხვდა, რომ მეტიმეტად შეტობა, რომ ისე ვერ დაიცავდა ამ საბრალოს, რომში რომ არ დაებუზლებინათ. კაცმა თავის დამკრუნის ფანდი იპოვა, რათა კანონიერად აეცილებინა პასუხისმგებლობა. მან სახალხოდ ხელი დაიბანა და ამით ამ მართალი სისხლისგან უბრალოდ გამოაცხადა თავი. ებრაელებს უნდა ეგოთ პასუხი. საცოდავი ხალხი ყვიროდა: „სისხლი მაგისა ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა“. ასე იყო, ასეა ახლაც, მაგრამ წყველა არაა მარადიული: ისრაელის ადგილი დაცულია დავითის შვილის მარჯვნივ.

ჯვრის გზა

ის ძაღლების წილია, ირეში ძაღლებს მიუგდეს. ჯვარს როგორღა წაიღებს, როცა თვითონ ძლივს მილასლასებს? სიმონ კვირიჩელმა, ორი მოწაფის — ალექსანდრესა და როფეს მამამ, აიკიდა მის მაგივრად ჯვარი. ორი ავაზაკი მიდის იასთან ერთად. ისინი ძელებს მიათრევენ და არაფრით განირჩევიან ღმერთისგან. ეს ჯვარი ისე უნდა დავინახოთ, როგორიც იყო: ძალიან განსხვავებული იმ ტახტისაგან, რომელიც ჩუენ აღვმართეთ და რომელიც ამქვეყნად ამაღლებს კრავს ღმრთისას! სიმართლე თითქმის აუტანელია, გაბედულება ვინდა, მას თვალებში რომ შეხედო: „პირველ ქრისტიანებს ზარავდათ ქრისტეს ჯვარზე გამო-

სახვა, — წერს მამა ლაგრანჟი,¹ — რადგან თავისი თვალთ ხედავდნენ ამ უხეშ გადაჯვარედინებულ, ზეადმართულ ძელებზე მიკრულ მოლად შიშველ სხეულებს; ამ ძელებზე მიღურსძულ ხელებს, ლურსმნითვე მიჭედებულ ფეხებს, საკუთარი სიმძიმით მიწისაკენ დაწეულ სხეულს, ჩამოვარდნილ თავს, სისხლის სუნით მოზიდული ძაღლების ხროვას, ფეხებს რომ უჯიჯგინდნენ ჯვარცმულთ; ამ სვავეებს, ცოდვის ველს რომ თავს დასტრიალებდნენ და ტანჯდნენ უფრემიხდილ, წყურვილით შეღონებულ მსხვერპლთ უთუაღთვალეებდნენ, გმინვით რომ უხმობდნენ სიკვდილს. ასეთი იყო მონებისა და ავაზაკების სასჯელი. ეს აიტანა იესომ“.

გოლგოთა ზედ ქალაქის კარიბჭესთანაა. საკმარისია კი ეს მანძილი, რომ იესო სამჯერ დაცემულიყო? გზა მოკლეა, იგი წინ მიიწეეს, ჯარისკაცები მიათრევენ. იმდენი ხალხია, რომ სული ეხუთება. მარიამს ვერ ხედავს, მაგრამ ის აქაა. იგი იმით სარგებლობს, რომ მის შვილსა და ღმერთს აღარც ძალა შესწევს და აღარც ხმა ჰყოფნის მის გასაგდებად. ბოლოს და ბოლოს იგი გამოდის მღუმარებიდან და ჩრდილიდან გულში მახვილგაყრილი, ვერც ერთი წმინდანი წმინდა ქალწულივით მაგრად ვერ ჩაიკრავს ჯვარს გულში. მარიამი უხმოდ იღებს მონაწილეობას მონანიებაში. არა, დედა ხმით არ ტირის, იგი არაა დასახელებული ამ ქალთა შორის, რომელნიც დასჯილის გარშემო მოთქვამდნენ. იესო კი ამ წუთში განსახდურავს მისი ქალაქისა და მისი ხალხის სასჯელს და თავის ტანჯვაზე მეტად მათი ბუდი აწუხებს: „თავთა თქუენთა სტიროდეთ და შვილთა თქუენთა. ერთ-ერთი მოტირალი ქალი გამოუყო მათ და სახე ნაჭრით გაუწმინდა. ევრონიკა² უცნობია მახარებლებისთვის. მაგრამ ის არსებობდა: ის არაა გამოვლენილი პერსონაჟი. შეუძლებელია ქალი შებრძოლებოდა ამ საშინელი სახის შემშრალების სურვილს.

ჯვარცმა

და აი გულშემზარავი წამიც: ჭრილობებზე მიკრული ნაჭრის აძრობა, ლურსმანზე დარტყმული ჩაქუჩის ხმა, ძელის აღმართვა, ადამიანის სხეულის სიმძიმე, ძმრით, შურიტა და ნაღველით მოკლული წყურვილი და სიშიშველე, სირცხვილი ამ საქვეყნოდ გამოფენილი საბრალო სხეულისა...ო, მცირე შესაწირავთა თავშესაფარო! ჯალათები თავის ჯალათურ საქმეს აკეთებენ; ზედმეტს არაფერს სჩადიან. იესო მათთვის ლოცულობს, რადგან არ უწყიან, რას სჩადიან, მაგრამ ზღვარი არა აქვს მწიგნობრებისა და მღვდელმთავრების სიძულვილს. ისინი ისევ აქ არიან, ამ ცოცხალი ჭრილობის წინ იცინიან, თაყუბს აკანტურებენ, დასცინიან და გამარჯვებას ზეიმობენ: „სხუანდ აცხოვნნა, თავი თვისი ვერ ძალ-უძს ცხოვნუ-

1. მამა ლაგრანჟი—ალბერტი, ძმა ჟოზეფ-მარი, ფრანგი დომინიკელების ორდენის წევრი (1855-1938). მან 1890 წელს დაარსა ბიბლიის შემსწავლელი სკოლა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ეგზეგეტიკაში.

2. ევრონიკა — წმინდანი, ლეგენდის მიხედვით მან ჯვარზე გაკრულ უფალს სახე ტილოთი შეუმშრალა და მასზე აღიბეჭდა ხელთუქმნელი ხატი. ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, რომ ევრონიკა სისხლდენით დაავადებული დედაკაცია, რომელიც იესომ განკურნა; ფრანგული ვერსიით იგი ზაქეს ცოლია. სახელი ევრონიკა ლათინური „ვერა იკოს“-იდან მოდის, რაც „ნამდვილ სახეს“ ნიშნავს.

ბაღ! გარდამიხედინ ამ მაგიერ ჯუართო და გურწმენეს! შეხ თუ ხარ მეუფე ურიათა, იხსენ თავი შენი!”

მათი მხარულება დაჩრდილა წარწერამ, რომელიც პილატემ ძელზე შიაკრა: „ესე არს მეუფე პურიათა“. ისინი ცდილობენ პროკურატორს შესწორება შეატანინონ: „მან კსოქუა, მეუფე პურიათა ვარი მე“. მაგრამ პროკურატორი უკიდურესობამდე მიყვანილი, ალბათ ნაღველი სტანჯავს, და მათ ხახანსრალთ უშვებს: „რომელი დავკსწერე, დავკსწერე“.

ზედ მიწაზე აღმართული ჯვრების გარშემო ხალხი ბიბიქრობს, დასჯილი ისე ახლთა მიწასთან, რომ კადუე ხვდება ფურთხი. ბრბო დაცინვას განაგრძობს: „ეჰა! რომელი დაარღუევიდ ტაძარს ამას და მესამეხა დღესა აღაშენებდ, იხსენ თავი თვისი!“

თავის თვისის ხსნას მხოლოდ იმიტომ სთხოვენ, რომ იწამონ. ისინი, ვინც მას უყვარს, მის გარშემო არიან შეჯგუფულნი, დარაჯობენ მის საქვეყნიოდ გამოფენილ სხეულს, ძალავენ, საფარველში ხვევენ მის სიშიშვლეს თავისი სიყვარულით, სხეულს იმდენად სისხლიანსა და ტანჯულს, რომ ევრავის მზერას ვეღარ შეებლალავს. სისხლისა და ჩირქის პირბადის იქით იგი ხედავს მისთვის საყვარელ სახეებზე არეკლილ თავის ტანჯვას: დედამისის — მარიამის, მარიამ მაგდალინელის, ერთ-ერთი თავისი დეიდის — კლეროპათისის ცოლის სახეზე არეკლიდს. იოანეს ალბათ თვალები დახუჭული აქვს. და აი, ამაღლებული ეპიზოდი, უკანასკნელი გამოვლენა უმანკო, ჯვარცმული სიყვარულისა, რომელსაც მხოლოდ ღუკა გადმოგვცემს: „ხოლო ერთი იგი დამოკიდებულთაგანი ძეირისმოქმედი კგმობდა მას და ეტყოდა: შენ თუ ხარ ქრისტე, იხსენ თავი შენი და ჩუენცა. მიუგო ერთმან მან მოყვასმან. შეპრისხა მას და ეტყოდა: არცაღა ვეშინის შენ ღმრთისა, რამეთუ მასვე საშჯელსა შინა ხარ? და ჩუენ სამართლად დარსი, რომელი ვქმენით, მოგვეგების, ხოლო ამან არარა უჯერო ქმნა“. როგორც კი წარმოთქვა ეს სიტყვები, უდიდესი ძაღლი გადავიდა მასზე: რწმენა იმისა, რომ ეს სიკვდილმისჯილი, ეს უბადრუკი ნაშთი ადამიანისა, რომელსაც ალბათ ძაღლებიც აღარ მიეკარებოდნენ, არის ქრისტე, ძე ღვთისა, სიცოცხლის შემოქმედი და ცათა მეუფე. იგი ეუბნება იესოს:

- მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოჰხვიდე სუფუვითა შენითა.
- შენ დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა.

წმიდა სიყვარულის ერთი გაუღეება და მთელი დანაშაულებრივი ცხოვრება წარჩორცილია. ქურდო კეთილო, უკანასკნელი ჟამის მუშაკო, გვიწყალობე გიჟური იმედი.

გადაცვალება

ტანჯვადათმენილი იესო მზერას მოავლებს მისთვის ამქვეყნად ყველაზე საყვარელ ორ არსებას და მათ ერთმანეთს ჩააბარებს: „დედაკაცო, აჰა მე შენი!.. აჰა დედა შენი...“ და ჩვენიც სამარადჟამოდ, მარიამს და იოანეს აღარასოდეს მიუტოვებიათ ერთმანეთი. და უეცრად გაისმა შემზარავი, გაუგონარი ყვირილი. ახლაც რომ გვიყინავს ძარღვებში სისხლს:

- ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რასათვის დამიტყუე მე?

ეს ოცდამეერთე ფსალმუნის პირველი მუხლია — იმ ფსალმუნისა, რომელიც ქრისტემ წარმოთქვა სიკვდილამდე. დიახ, ჩვენ მთელი არსებით გვჯერა, რომ საჭირო იყო შვილს ეს საშინელებაც შეეცნო—მამისგან მიტოვება. ასეა თუ ისე, მისი გონება მიჯაჭვული იყო ამ ფსალმუნის მეექვსე, მეშვიდე და მერვე

მუხლებს, რომლებიც იმ წუთებში სიტყვასიტყვით აუხდა: „ხოლო მე ძაღლ ვარ და არა კაცი, საყუედრელ კაცთა და შეურაცხ ერისა. ყოველნი, რომელნი ხედვიდეს მე, მეკიცხევდეს მე, იტყვოდეს ბავითა და ხრიდეს თავთა, ესვიდა უფალსა, იხსენინ იგი, აცხოვნენ იგი, რამეთუ ჰნებავს იგი. განხურიტხენ ხელნი ჩემნი და ფერხნი ჩემნი. განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და ~~დაეკურთხე ჩემსა ზედა განიგდეს წილი“.~~

სინჯი

ყველაფერი აღსრულდა: კვართზე წილი იყარეს. მომაკვდავი ქრისტე უკანასკნელ ძალ-ღონეს ახმარს იმას შესრულებას, რაც ნაწინასწარმეტყველები იყო. მიტოვება მან უკვე გეთსემანიიდან შეიგრძნო. ამ სამი წლის მანძილზე ბევრჯერ უნდა აღმოხდენოდა ოცდაძვერთე ფსალმუნის პირველი მუხლი (ისე როგორც ჩვენ ვამბობთ ხოლმე და ვოხრავთ დაღლილობის ან გაჭირვების ჟამს: „ღმერთო ჩემო!“) ყველაზე უცნაური ისაა, რომ „ელლი! ელლი“-ს გაგონებისას, ჯარისკაცებს ეგონათ, ელიას უხმობსო, და თქვეს „ელიას უხმობს ესე. აცადეთ და ვიხილოთ უკუეთუ ელია მოვიდეს ხსნად მისა...“ ამ მდაბიოებმა მცირე რწმუნა მაინც შეინარჩუნეს... იმ დროს ტკივილით ატანილი კაცი სიტყვასიტყვით ასრულებს თავის როლს. იგი ამბობს: „წყურის!“ და ძმარში დასველებული ღრუბელი უახლოვდება მის ბავეს. ეს ცუდი ზრახვით არ გაუკეთებიათ: ჯარისკაცები წამმარებულ ღვინოს ხმარობდნენ, ისეოს, ჩვენ რომ „ცოტა შელახულს“ ვეძახით. იესომ თქვა: „ესეცა წერილი აღსრულებულ არს“.

„მიიდრიკა თავი, და განუტყვა სული“. მაგრამ მანამდე მან ამოუშვა ის იდუმალი და ძლიერი ყვირილი, რომელმაც ერთ ასისტავს გულზე მჯილი არტყმევინა და ათქმევინა: ჭეშმარიტად ეს კაცი მე ღმერთისა იყო... რაღაა აქ სათქმელი? თუ შემოქმედს სურს, ერთი დაყვირებაც საკმარისია, რომ მისმა ქმნილებამ იცნოს იგი.

დასავლათა

სამწლიანი ბუნდოვანი თაყვალისაგლიდან აღარაფერი დარჩა, გარდა სამი ნატანჯი სხეულისა, გაზაფხულის მოღუშული დღის ღრუბლიანი ცის ქვეშ რომ იყვნენ აღმართულნი ქალაქის შესახედელოთან. ჩვეულებრივი სანახაობა იყო: ქალაქის კარიბჭესთან ყველას დასანახად და ცხოველთა საჯიჯვნად სამაგალითოდ ტოვებდნენ ჯვარზე გაკრულ სხეულებს. მაგრამ ახალი პასექის წინა დღე იყო და გვაძების აქ დატოვება არ შეიძლებოდა. ებრაელთა მოთხოვნით და პილატეს ბრძანებით ჯარისკაცებმა ბოლო მოუდეს ორ ქურდს: წვივები დაუმსხვრიეს. და რადგან იესო უკვე გარდაცვლილი იყო, ლახურის ერთი დარტყმით დაკმაყოფილდნენ, რომელმაც მას გული გაუხსნა და ნაფლეთებად ქცეულ სხეულზე თავმიყრდნობილმა ითანქმ იხილა და იგრძნო მასზე ჩამომდინარე წყალი და სისხლი.

იესოს ფარულმა მოწაფემ იოსებ არიმათიელმა, ერთმა იმათთაგანმა, ვინაც მისი სიცოცხლის დროს ებრაელებისა ეშინოდა, პროკურატორისაგან მისი გარდამოხსნის ნებართვა გამოითხოვა. ნიკოდეიმოსმა, ამ მშიშარა კაცმა, ამ პოლიტიკოსმა, თავი გამოააშკარავა და ასი ლივრა მურიითა და ალთუთი მოვიდა. მშიშარათა დრო დადგა. ეს ორი კაცი, ვინც ცოცხალი ქრისტეს აღიარებას ვერ ბედავდა და ღამდამობით მალულად დადიოდა მის სანახავად, ახლა, როცა იგი

1. ელლი — (ებრ.) ღმერთი, იესოს ბოლო სიტყვები: „ელლი, ელლი! ღამა საბაქთანნი (მარკოზი 15, 34. მათე 27, 46).

გარდაიცვალა, მეტ რწმენასა და სიყვარულს ამელავენებს, ვიდრე ისინი, ვინც სიტყვებად იღვრებოდნენ. ყველაფერმა დაკარგა აზრი ამ პატივმოყვარე, კარგი მდგომარეობის მადიებელი კაცებისთვის, რადგან მათ დაკარგეს იესო, რისდა უნდა შინებოდნათ? ებრაელები მათ ყვლარაფერს დაუშავებენ: შეუძლიათ ყველაფერი წაართვან, რადგან მათ უკვე ყველაფერი დაკარგეს, ~~და აღარაფერი უღირთ~~ უღირთ სახელი, რომელსაც, როგორც ეგონათ, ამქვეყნიად ყველაზე მყესად უფროსად იღვნიდნენ, აღარაფრად უღირთ, რადგან იესო მოკვდა.

იოსებ არიმათიელს ახალი საფლავი ჰქონდა ბაღში, გოლგოთის ფერდობზე გამოკვეთილი. დღესასწაულის მოახლოებისას და საფლავის სიახლოვის გამო იქ დაასვენეს უფლის სხეული.

XXVII

მკვდრებით აღდგომა

დრუბლებით სავსე იყო ლაჟვარდი ცა. აღბათ მკვდრებიც გამოჩნდნენ. მაგრამ ეს მერყლა გაახსენდათ. თვალწინ წარმოძიდებდა სხვა გაზაფხულის საღამოთა მსგავსა საღამო, თბილი და ხველი მიწის სურნელი, სხეულის დაქანცულობა; სიცარიელე, რომელსაც ბავშვობისას ვგრძნობდი უკანასკნელი ხარის სიკვდილის შემდეგ. არუნა რომ დაცარიელდებოდა ხოლმე, თითქოს ჩემს საკუთარ სისხლს მოაკლდა მთელი ეს დაღვრილი სისხლი. ანგარიში გასწორებულა, საქმე დანთავრდა. და ამიერიდან უმაქნისი სიძულვილი დააწვა მწიგნობართა გულებს. მათი მოღვმის უზარმაზარი სევდა გროვდებოდა მათში: რით შეავსონ საუკუნიდან საუკუნემდე ეს დაუკმაყოფილებლობა, ეს უსიამოვნო გრძნობა? ფარისევლებს აწუხებდათ, რომ მოუსვენარი ფუსფუსი გრძელდებოდა თვით ასეთი შეურაცხყოფილი გვამის გარშემო. ისინი, მუდამ საღად მოაზროვნენი, დასცინოდნენ მათ, ვინც თვითმარქვიათ თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. მაგრამ პასეჟი დგებოდა და ყველამ შინისაკენ გასწია.

სად შეაფარეს თავი დამარცხებულის მეგობრებმა? რაღა ასაზრდოებდა მათ რწმენას? ძე კაცისამ გადააბიჯა სიკვდილის ჩღურბლს, და მერე რა გზით მისი ხსოვნა ებრაელოათვის საზიზღარიც იქნება და ბილწიც. მემკვიდრეობა, რომელზეც ამდენს ლაპარაკობდა, დამარცხების სიმბოლო შეიქნება. გამარჯვება ამ სოფელზე? მისმა მოძულეებმა მთელი ხალხის წინაშე გათელეს, გასრიეს და ამხილეს მისი უძღურება და სიცრუე. არა, დამალვის, ცრემლების და სირცხვილის დაფარვის, ჩუმად ყოფნისა და ლოდინის მეტი აღარაფერი დარჩენოდათ მის მეგობრებს.

მაინც ელოდნენ, იხსენებდნენ მის ზოგიერთ სიტყვას, იმედით ეჭიდებოდნენ მათ, შეირყა მათი რწმენა და არა სიყვარული. აღბათ მათ შორის რამდენიმე გული მსხვერპლადქცეულა გიჟური რწმენით იწვოდა, რომელიც უკვე ჯვარცმის სივით იყო. განსაკუთრებით ქალები, ყველა ეს მარიამები... იესოს დედას არ შერყევია რწმენა, მან თავიდანვე იცოდა. მაგრამ მის არსებაში კვლავ გრძელდებოდა უფლის ვნებანი. მისთვის არც დარტყმების წვიმა შეწყვეტილა და არც ფურთხს შეუწყვეტია სათაყვანო სახის შებიღწვა, კვლავ იღვრებოდა ღვთის სისხლი, კვლავ ესმოდა ფერმკრთალ ბავუთავან აღმოხდენილი ყვირილი, უმცირესი ამოხვრაც ვი. წმინდა ქალწული ქრისტეს ვნებების უსასრულოდ

გაგრძელებული ექოლა იყო. ის თავის შუბლზე ეძებდა ეკლის ნაკვალევს, ეფერებოდა თავის ხელისგულებს... მაგრამ დარდისგან განადგურებული აოანესთვისაც უნდა მიეხედა.

აქ უნდა დაწყებულიყო იესოს ამქვეყნად დაბრუნების ამბავი. მაგრამ ეს ხომ თვით ქვეყნიერების ისტორია იქნებოდა მის აღსახრებლად. რამეთუ მკვდრეთით აღმდგარი იესოს აქ ყოფნა ღღესაც ვრძელდება. უნდა ითქვას, რომ მისი ამადლებას მისი აქ ყოფნა არ შეუწყვეტია: მოწაფეთა თვალთაგან მისი გაქრობის რამდენიმე თვის შემდეგაც: მან თავისი შუქით დააბრმავა დამასკოს გზაზე მიმავალი მისი მტერი—სავლე და ესაუბრა მას. დიახ, წმინდა პავლეს არასოდეს შეპარვია ეჭვი, რომ ის ისევე იყო უფლის მკვდრეთით აღდგომის მოწმე, როგორც ისინი, ვინც სიკვდილის დამთრგუნველ ქრისტესთან ერთად ჭამდა და სვამდა. ამის მოწმობაა ნაწყვეტი კორინთელებისადმი მიძღვნილი ცნობილი პირველი ეპისტოლედან: „ხოლო გაუწყებთ თქვენ, რომელიცა იგი მოვიდეს, რამეთუ ქრისტე მოკუდა ცოდუათა ჩვენთათვის, ვითარცა წერილ-არს. და რამეთუ დაუფლა, და რამეთუ აღჰსდგა მესამესა ღღესა, ვითარცა წერილ-არს, და რამეთუ ერუენა კეფას და მერმე ათურთ-მეტათა მათ, და მერმე ერუენა უმრავლეს ხუთასისა ძმათა ერთ-გზის, რომელთაგანნი უმრავლესნი ცოცხალ-არიან აქამომდე, და რომელთამე შეისუენეს. მერმე ერუენა იაკობს, და მერმე მოციქულთა ყოველთა. უკანასკნელ ყოველთასა, ვითარცა ხარჩევსა მეჩუენა მეცა“.

რა თქმა უნდა, ეს გამოცხადებები, უფლის მკვდრეთით აღდგომას რომ მოწმობენ, არ უნდა ავურიოთ იმათში, რომლისგანაც ბევრი სული განათდა მისი ცად ამადლების შემდეგ. მიუხედავად ამისა იგი, ვინც დამასკოს გზაზე მიწას დაანარცხა პავლე. იგივე იესოა, ვინც ნახეს, ვისიც ესმოდათ, ვისაც შეეხნენ ფრანცისკი, ეკატერინე, ტერეზა, მარგარიტა-მარიამი, არსის კიურე და ამდენი ცნობილი თუ უცნობი წმინდანი, ეკლესიის წიაღში თუ მყუდრო ცხოვრების წყვდიადში მყოფნი.

ეს ყოფნა არაა ექპარისტული, მაგრამ პატარა ხეფისკვირების მიღება ამ აზრს უღვივებს უბრალო ქრისტიანს, რომელიც თავისი მოსახსხამით იცავს თავისი სულის სიღრმეში ახლებულ ამ პატარა ცეცხლს, დატყვევებული სიყვარულის თრთოლვას.

ეს იმითაც მტკიცდება, რომ სახარების მრავალი მოთხრობა ჩვენთვის გაუგებარია, მაგრამ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებით ნაამბობი ახლოა ჩვენი ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. უპირველესად იმიტომ, რომ ჩვენ მას მისი ვნებებით შევიცნობთ. იგი მოდის ჩვენამდე არა თავისი სიკვდილის სიღრმიდან—არამედ თავისი ტანჯვის სიღრმიდან. თითოეულ ჩვენთაგან-

1 ეკატერინე — ამ სახელით ეძვსი წმინდანი ქალია ცნობილი.

წმ. ეკატერინე ალექსანდრიელი, წამებული ქალწული. მას მონათვლის შემდეგ ჰქონდა ხილვა: ეწვია ყრმა იესო ღვთასთან ერთად და იგი საცოლედ ამოიჩნია, მისცა მას ბეჭედი. 307 წელს იმპერატორ მაქსიმიანის დროს იგი აწამეს.

მარგარიტა-მარიამი — (1647-1697) წმინდანი. მას სამჯერ გამოეცხადა იესო (1673, 1674, 1675 წლებში). კანონიზირებულია 1920 წლიდან.

არსის კიურე — კან-ბატისტ მარი ვიანეი (1786-1859) საფრანგეთის ქ. არსის მღვდელი.

ნამდუ მოსაღწევად ხელახლა გამოივლის ამ ადამიანურ ჯოჯობეთს. სახე, რომელითაც ჩვენ მას ვიცნობთ, სულაც არაა ებრაელის სახე, რომელიც კოპორტის ჯარისკაცებმა და მღვდელმთავრის მსახურებმა იუდას უკოცნელად სხვებისგან ვერ გამოარჩიეს. ესაა ჩვენი ცოდვებისათვის გამათრახებული და განაწამები სახე, მგზნებარე და ჩაღვლიანი, რომელიც ჩვენი ცხოვრების მანძილზე თან გვღევს დაცემიდან დაცემამდე, ისე რომ, სიყვარული, ჩვენდამი სიყვარული, რომელსაც იგი გულში ატარებს, არც მცირდება და არც არასოდეს მიეცემა უიმედობას.

ყველა ქრისტიანს მკუდრეთით აღმდგარი ქრისტეს შეხვედრები თავისიანებთან თავისი ცხოვრების რომელიმე შემთხვევას ახსენებს.

მარიამ მაკდალინელი ტირის საულავთან, „რამეთუ აღიღეს უფალი მისი საფლავით და არა უწყოდა, სადა დაღვეს იგი. ესე რაჲ თქუა, მიიქცა გარე და იხილნა იესო მღვდმარე და არა უწყოდა, რამეთუ იესო არს. პრქუა მას იესო: დედაკაცო, რამსა სტირ, ვის ეძებ? მას ეგონა ვითარმედ მემტოლე იგი არს, და პრქუა მას: უფალო, უკუეთუ შენ აღიღე იგი, მიოხარ მე, სადა დასღვე, და მე წამოვიღო იგი. პრქუა მას იესო: მარიამ! მიხილა მან გარე და პრქუა. რაბუნო!“ უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენც ზოგჯერ ვცნობთ მას. უფრო ხშირად მღვდლებში. რამდენ ცუდს ვამბობთ ხოლმე მღვდლებზე. და მაინც ქრისტიანს, რომელსაც აქვს დანიშნების (შესაძლოა კული) და აღაღებულზე სააღსარებოდ მიხდობის ჩვევა, მრავალჯერ გაუგონია მოულოდნელი და გამაოგნებელი სიტყვები, უეცრად მიუღია გულკეთილი და თავმდაბალი უცხოებისაგან, ამ გისოსებიანი კუბოს პატიმრისაგან ღვთიური სინაზის საჩუქარო, ნუგეში, რომელიც არ ყოფილა ადამიანისგან მომდინარე.

რამდენჯერ მოგუგვომია პირზე მარჯვბად წოდებულს თომას ვედრება, როცა რწმენის თვალთ დაგვინახავს და ბრძაღ შევხებივართ მოფათურე ხელებით უფლის იარებს: „Dominus meus et Deus meus“ („უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“). იგი ყველას საკუთრებაა, თითოეულისათვის ცალ-ცალკე ბოძებული და ჩამორიგებული.

პირველად ქრისტე ებრაელია შიშით ოთახში ჩარახულ მიწაფეებთან შევიდა, თავისი ტრილობები აჩვენა, პირთამდე აავსო სიმშვიდითა და ხიხარულით, ცოდვათა მიტევების ნება დართო. (რწმენა — რომ ცოდვები მიგატევივბა! მღვდლის ხელი ჩვენს შუბლზე, ხსნის სიტყვები, რომლებიც ჩვენს გულსა და სხეულზე მოედინებიან, როგორც წყალი და სისხლი ლახვრით განგმირული ფერდიდან.) ქრისტე რომ მივიდა, თომა არ იყო მათთან და ვერ იჯერებდა მათ მონაყოლს: „უკუეთუ არა ვიხილო ხელთა მისთა იგი სამსჭვალთაჲ და დავხსნე თითნი ჩემნი ადგილსა მას სამსჭვალთაჲ და დავსდვა ხელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს“. რვა დღის შემდეგ იესო უეცრად მივიდა და უთხრა თომას: „მოყუნენ თითნი შენნი და იხილენ ხელნი და მთილე ხელი შენი და დამდევ გუერდსა ჩემსა. და ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ. მიუგო თომამ და პრქუა: უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი! პრქუა მას იესო: რამეთუ მიხილე და გრწამს; ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ, და კპრწმენე“.

უფალო, მართალია, არ გვინახიხარ ჩვენი თვალთ, მაგრამ გვწამხარ. რომელი ჩვენგანისთვისაა უცნობი ემაუსის დუქანი? ვის არ გაუვლია ამ გზაზე ერთ საღამოს, როცა ყველაფერი თითქოს დაღუპულია? ქრისტე მოკვდა ჩვენში. ქვეყანამ, ფილოფოსებმა, მეცნიერებმა, ჩვენმა ვნებებმა წავგარათვეს იგი. აღარაა ქრისტე ჩვენითვის დედამიწაზე. მივდივართ გზაზე და ვიდაც მიაბიჯებს

ჩვენ გვერდით; მარტო ვართ და არცა ვართ მარტო. საღამოა, აი, ღია კარი. ოთახში ბნელა, მხოლოდ ბუხარში დანთებული ცეცხლი ანათებს სიხანეს და ჩრდილებს არხევს. ო, გატეხილი პური! ო, ამდენი უბედურების მიუხედავად შეჭმული პურის ნატეხი! „დაადგერ ჩუენთანა, რამეთუ მიდრეკილ-არს ღღე...“

საღამოვდება, სიცოცხლე ქრება. ბავშვობა უფრო შორეული ჩანს, ვიდრე ქვეყნის დასაბამი; და დაკარგული ახალგაზრდობიდან ველით უცნობი ბაღის მკვდარ ხეოა უკანასკნელ ვუგუნს.

„და მიეახლეს დაბასა მას ვიდრეცა ვიდოდეს; ხოლო თავადმან მიზეზ-ჰყო უშორესადრე წარსვლა, ხოლო იგინი აიძულებდეს მას და ეტყოდეს: დაადგერ ჩუენთანა, რამეთუ მწუხრ-არს და მიდრეკილ არს ღღე, და შევიდა დადგრომად მათ თანა, და იყო ინახით-ჯდომასა მას მისსა მათ თანა, მოიღო პური, აკურთხა, და განჰსტეხა და მიჰცემდა მათ. ხოლო მათ თუაღნი მათნი განეხუნეს, და იცნეს იგი, და თავადი მიეყარა მათგან. და იგინი იტყოდეს ურთიერთას: არუ არა გულნი ჩუენნი განხურებულ-იყუნეს ჩუენ შორის, ვითარ იგი მეტყოდა ჩუენ გზასა ზედა, და ვითარ იგი გამოძითარგმანებდა ჩუენ წიგნთა?“

ერთხელ კეფა, თომა, ნათანაელი, იაკობი და იოანე თევზაობდნენ. ისინი დაუბრუნდნენ თავიანთ ტიბერიადას, თავიანთ ნავსა და ბადეს. ჭკუას მოეგნენო, აღბათ ასე ფიქრობდნენ მათი ოჯახის წევრები. მათ ვერაფერი დაიჭირეს. უცნობმა ურჩია ბადე მარჯვნივ გადაეგდოთ და იმდენი თევზი დააჭირეს, რომ იოანე უეცრად მიხვდა: „უფალი არს! პეტრე, უფალი არს!“ და პეტრე წამსვე ხტიბა წყალში, რომ უფრო მალე მიადწიოს თავის უსაყვარლეს მოძღვართან. ის იქ არის, ნაპირთან, სწორედ ის არის. რამდენიმე მუგუზალი ჩრჩილავს. მზე პეტრეს ტანსაცმელს აწრობს. ისინი წვავენ თევზს, ჭამენ პურს, რომელსაც იესო აძლევთ, და არც ერთი არ ეკითხება: ვინ ხარ შენ? ბოლომდე არასდროს არიან დარწმუნებულნი, რომ იგი ის არის. მაგრამ ისაა, დაახ, ის არის! ო, ღმერთო ჩემო! შენ ხარ, ვინც უეცრად სვამს კითხვას (ო, კითხვა ძალზე ნაცნობია ჩვენთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, არა პასუხი):

- სვიმონ იონაისო, გიყუარ-მეა უფროდს ამათსა?
- პე, უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ...
- ამოვენ კრავნი ჩემნი.

სამჯერ მეორდება ეს დიალოგი ტბის ნაპირას. შემდეგ იესო მიდის და პეტრე მიჰყვება, იოანე კი ცოტათი ჩამორჩება მას, რადგან მან დაკარგა უპირატესობა ყოფილიყო „ყველაზე საყუარელი“, თითქოს მკვდრეთით აღმდგარი უფალი აღარ ემორჩილება თავის გულს. იგი მაინც ამბობს ზებედეს ძეზე იღუმალ სიტყვას, რომელიც სხვა მოწაფეებს აფიქრებინებს, რომ იოანე არ შეიცნობს სიკვდილს. და თუ იესო ამ დღიდან რამდენიმე კვირის შემდეგ მოწაფეთა ჯგუფს გამოიყვო, აძაღდა და ნათულს შეეგრია, ეს სულაც არ ნიშნავს მის საბოლოო გაუჩინარებას. იგი უკვე ჩასაფრებულია იერუსალიმიდან დამახკოსკენ მიმავალი გზის მოსახევეში და სავლეს, თავის საყვარელ მღევრელს უთვალთვალებს. ამიერიდან ყველა აღამიანის ბედის გზაზე იქნება ეს მოთვალთვალება ღმერთი.





ანგლისურიდან

თარგმნა ლალი გოზაძემ

კონსული დინჯად მუშაობდა თავის ყოველწლიურ მოხსენებაზე; ამდენი და ამდენი ათასი კონა ბანანი, ამდენი ცალი ფორთოხალი თუ ქოქოსი, ამდენი უნცია ოქროს მტვერი, ამდენი გირვანქა კაუჩუკი, ყაყა თუ ინდიგო გაიტანესო; წინა წელთან შედარებით ექსპორტიცა და იმპორტიც ოცი პროცენტით გაიზარდა.

კონსული კმაყოფილი ჩანდა: „ხომ შეიძლება სახელმწიფო დეპარტამენტში ჩემი მოხსენება წაიკითხონ და... — აზრი აღარ დაასრულა, სკამის საზურგეს მიუყრდნო, გაეღიმა, — მგონია, ჩემს წინამორბედებს ვემსგავსები“. წუთით გადაავიწყდა, რომ თავალონი სადღაც ხლევაში მდებარე უმნიშვნელო რესპუბლიკის ერთი უმნიშვნელო კუნძული იყო. მერე მოაგონდა — საკარანტინო სამსახურის ერთ-ერთმა ექიმმა ჟურნალი „ლონდონური ლანცეტი“ მხოლოდ იმისათვის გამოიწერა, რომ იმედი ჰქონდა, თავალონიდან ახალი ორლეანის ჯანმრთელობის სამინისტროსათვის გაგზავნილ თავას მოხსენებებს ტროპიკული ციებ-ცხელების შესახებ იმ ჟურნალში დაბეჭდავს იხილავედა. კონსულს კარგად მოეხსენებოდა, რომ შტატებში მისი ნაცნობებიდან თითქმის არავინ არაფერი იცოდა თავალონის შესახებ. ამასთან ისიც კარგად იცოდა, რომ ორი-ოდე კაცი თუ წაიკითხავდა მის მოხსენებას; სახელმწიფო დეპარტამენტის ერთი-ორი წერილი მიხელე და ასევე ერთი-ორი სტამბის ასოთამწყობი. შეიძლება მბეჭდავ მუშანქანესაც მიექცია ყურადღება, კუნძულ-თავალონზე კომერცია თანდათანობით იკიდებს ფეხსო, და ამის თაობაზე თავის ნაცნობებთან ელაპარაკა.

კონსული მოხსენებაში ასე წერდა: „გაუგებარია ის გულგრილობა, რასაც ჩვენი ექსპორტიორები იჩენენ. ნუთუ არ უხშით, რომ ამით ფაქტობრივად უხმარებიან ფრანგებსა და გერმანელებს მართონ ბაზარი ამ მდიდარსა და ნაყოფიერ...“ — აზრის დამთავრება ვერ მოახწრო, გემას ხრინწიანი საყვირის ხმა შემოესმა.

უიღარდ ჯედიმ კალამი დადო, თავის ფართოფარფლებიან ქუდსა და ქილგას ხელი წამოავლო და მიხვეულ-მოხვეული, მაგრამ დაჩრდილული გზით სანაპიროსაკენ გაემართა. სანაპიროს ხილის რეგულარულად მზიდავი გემი „ვალკლა“ მოსდგომოდა. მის სანახავად, ჩვეულებისამებრ, ლამის ნახევარი თავალონი გამოსულიყო. კუნძულს ნავსადგური არ ჰქონდა, ამიტომ გემმა ნაპირიდან ერთი მილის დაშორებით ჩაუშვა ღუზა.

კონსულს სახლიდან სანაპიროზე მისვლის დრო ზუსტად ჰქონდა გამოთვლილი. მივიდა თუ არა, მებაყეებმა ნავი წყალში შეაცურეს, ნიბუბე მოუსვენს და თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად გემისაკენ გაემართნენ. ხალხი ამ დროს გემიდან წამოსული კარჭები, რომელსაც ხაზინადარი მოჰყავდა, ნაპირს მოადგა.

ჯედიც ხომ ხაზინადარი გახლდათ კოლეჯში სწავლისას? ქოლგა დაკეცა, ქვიშაში ჩაარჭო, წელში მოიხარა და ხელები ჰაერში გაიშვირა, ხაზინადარმაც ამ დროს, თითქოს ბურთს ეთამაშებო, ზონრით შეკრული ვაზეთების მძიმე გრაგნილი გადმოუვლო. ჯედიმ ვაზეთები ჰაერშივე დაიჭირა და იქვე მოხეტიალე უსაქმურების სიცილი, ტაში და აღტაცებაც დაიმსახურა. თავალონზე ჟურნალ-ვაზეთები კვირაში ერთხელ მოდიოდა. ამ ამბავს იქაურები შეჩუქულნი იყვნენ და არც აწუხებდათ, რომ ცხელ-ცხელი ამბები კუნძულზე ცოტა არ იყოს „გაგრილებული“ აღწევდა.

ჯედიმ ქვიშაიდან ქოლგა ამოაძრო და აუჩქარებელი ნაბიჯებით გაემართა საკონსულოსკენ, რომელიც ოროთახიან ხის ნაგებობას წარმოადგენდა. შენობას ბამბუკის აივანი ჰქონდა და პალმებით იყო გარშემორტყმული. ზედ კარის თავზე გახუნებული დროშა მიეჭედებინათ. დროშაზე ვარსკვლავები და ზოდები იყო გამოსახული. ერთი ოთახი სადად გაწყობილ კანტორას ეკავა. ოთახში სკამები, ბამბუკის ტახტი და მაგიდა იდგა, მაგიდაზე საქმიანი ქაღალდები ელაგაკედელზე პირველი და ბოლო პრეზიდენტების სურათები ერთმანეთის პირდაპირ ეკიდა. რაც შეეხება მეორე ოთახს, იქ ჯედი ცხოვრობდა.

თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც იგი სანაპიროდან დაბრუნდა. საუზმის დროც მოსულიყო და კარიბელი მზარეული ქალი — ჩანსა — აივნის დაჩრდილულ მხარეს სუფრას შლიდა. თევზის წვნიანი, მოხარშული კიბორჩხა-ლა, მოშუშული ხორცი, ანანასი, ღვინო და ყავა მოიტანა.

კონსული სუფრას მიუჯდა და დინჯად გახსნა ვაზეთების გრაგნილი. ორი დღე მაინც დასჭირდებოდა მათ წაკითხვას. ქვეყანაზე მომხდარი ამბები იმ შორეულ კუნძულზე ისე აღიქმებოდა, როგორც ჩვენ აღვიქვამთ ხოლმე მეცნიერთა ახირებულ შეხედულებებს მარსელთა ცხოვრებაზე. კონსულის შემდეგ პრესას ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ოჯახები გაეცნობოდნენ.

ჯედის პირველად ხელში მოხვდა ვეებერთელა, ლეიბივით სქელი ნიუ-იორკში გამოცემული მრავალგვერდიანი ვაზეთი, რომლის წაკითხვისას შეუძლებელი იყო სადათას ძილით არ ჩასძინებოდა კაცს. ჯედიმ მაგიდაზე გაშალა ვაზეთი, შემდეგ აუჩქარებლად შეუდგა ჭამას, თან ნელ-ნელა ფურცლავდა ვაზეთს და უინტერესოდ ათვალთვლებდა პუბლიკაციებს. უცებ ნაცნობ სურათს მოჰკრა თვალი. თითქმის ნახევარი გვერდი ჰქონდა დათმობილი გემის ბუნდოვან სურათს. დაიხარა და სურათის ქვემოთ განსხვავებული შრიფტით დაბეჭდილმა სათაურმა და პატარა ტექსტმა მიიპყრო მისი ყურადღება.

ღიას, არ შემცდარა. სურათზე რვაას ტონიანი იახტა „აიდალაია“ იყო აღბეჭდილი. მის მფლობელს ჯ. უარდ თოლივერს ლამაზი ეპითეტებით ამკობდნენ: „უმშვენიერესი ყმაწვილიაო“. „მდიდარი და უნაკლოო“.

ჯედი ნელ-ნელა წრუპავდა ყავას და თან სურათის ქვემოთ დაბეჭდილ ტექსტს კითხულობდა მისტერ თოლივერის ქონებისა და ობლიგაციების თაობაზე. და კიდევ იმის თაობაზე, რომ მისტერ თოლივერი იახტაზე მიპატივებულ სტუმრებთან ერთად ექვსკვირიან კრუიზს აწყობდა ამერიკის ცენტრალურ და

სამხრეთ სანაპიროებსა და ბაჰამის კუნძულებზე. სტუმართა შორის მოხსენებულნი იყვნენ მისი ქაშხერლუნდ ფეინი და მის აილა ფეინი.

მკითხველის დასაინტერესებლად პუბლიკაციის თავკერძი ავტორი რაღაც რაღაცებს იგონებდა, გადაკრულად წერდა მის ყეინისა და მისტერ თოლი-გერის მოსალოდნელი დაქორწინების თაობაზე. ისეთ გამოთქმებს ხმარობდა, როგორცაა: „პატარა ჩიტუნია“, „სანატრელი“, „მითქმა-მოთქმეს: სიმეჭრე ქალბატონი“. „არავის გაუკვირდება, თუ...“ და ბოლოს მილოცვით ამთავრებდა.

ჯედიმ ისაუბრა, გახეთუბი აილო, აივნის დასაყვლეთ მხარისაკენ გაემართა და თავის საყვარელ სარწყველა სავარძელში ჩაეშვა. ფეხები ბამბუკის მოაჯირზე შემოაწყო, სიგარას მოუკიდა და ზღვას გახედა. სიხარულნარევი კმაყოფილება იგრძნო. წაკითხულ ამბავს ოდნავადაც არ აუღელვებია. ნამდვილად სძლია თავს. დავიწყებით აიდას ვერასოდეს დაივიწყებდა, მაგრამ მასზე გაფიქრებისას ტკივილს უკვე აღარ გრძნობდა. იმ ჩხუბის შემდეგ გაგიჟებით ეძებდა ახალ სამუშაოს და მიიღო კიდევ კონსულის ადგილი. მხოლოდ ერთი სურვილით იყო შეპყრობილი: ჩქარა გასცლოდა იქაურობას და შორს გადახვეწილიყო. სამაგიერო ამით გადაეხადა ქალისათვის. მოახერხა კიდევაც თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა. თვრამეტი თვე იყო კუნძულ თავალონზე, კონსულად მუშაობდა და სიტყვაც კი არ მიუწერიაა ერთმანეთისათვის. ზოგჯერ გაკვრით იგებდა ქალის ამბებს იმ მეგობრებისაგან, რომლებთანაც იშვი-ათოდ, მაგრამ ჯერ კიდევ ჰქონდა მიმოწერა. სადღაც გულის კუნჭულში ეს-ამოუნა კიდევ, რომ ქალი ჯერ არ გაჰყოლოდა ცოლად თოლბეერს და არც სხვა უინმეს. მაგრამ თოლივერი აღბათ ძალე შიალწევდა მიზანს.

კაციისათვის ახლა ამას აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. აქ, ამ და-ლოცვილ ქვეყანაში განცხრომით ცხოვრობდა. ბედნიერი და კმაყოფილი იყო. შტატებში გატარებული თითქოსდა ის სავსე დღეები ახლა გამაღიზიანებელ სიზმრად ეჩვენებოდა. იმედოვნებდა, რომ აიდაც ბედნიერი იქნებოდა. აქაური რბილი კლიმატი, თავისუფლება, მომხიბლავი დღეების იდილია, ცხოვრება ამ რომანტიკულ და, ცოტა არ იყოს, ზარმაცი ხალხის გვერდით, მუსიკა, ყვავი-ლები და ხმადაბალი სიცილი, მომაჯადოებელი ზღვისა და მთის სია-ხლოვე, სიყვარულით, სილამაზითა და ზღაპრებით აღსავსე ეს თეთრი ტრო-პიკული ღამეები გაცილებით ბევრს ნიშნავდა ჯედისათვის და თანაც პაოლა ო ბრენიგანიც ხომ აქ ჰყავდა.

ჯედი პაოლას ცოლად შერთვას აპირებდა, თუ, რა თქმა უნდა, პაოლაც თანახმა იქნებოდა. თუმცა ქალის ნაზ გრძნობებში დარწმუნებული იყო, მაგ-რამ ხელის თხოვნას როგორღაც აჭიანურებდა. რაღაც იღუმალი ძალა აჩერე-ბდა. შესაძლოა ქვეცნობიერად სჯეროდა, რომ პაოლაზე დაქორწინებით იმ უკ-ანასკნელ ძაფსაც გაწვევტდა, რითაც წარსულს უკავშირდებოდა.

რაც მართალი მართალია, პაოლასთან ბედნიერი იქნებოდა. კუნძულზე ვერც ერთი გოგონა ვერ შეედრებოდა მას. პაოლა ორი წელი შტატებში სწავ-ლობდა. თვით ინგლისის საგრაფიოების — ნორფოლკისა თუ მენჩესტერის გოგო-ნებისგანაც არ გამოირჩეოდა. მზრებლობისთვის მშველელ საშინაო კაბაში შილიფად ჩაცმული ხო. კალზე მომხიბლავი ჩანდა.

მამამისი ბერნარდ ო, ბრენიგანი ბითუმად ეაჭრობდა კუნძულ თავალონ-ზე. მდიდარი კაცი იყო. მისი ოჯახი ახალი ორლუანიდან გამოწერილი ავეჯით

გაწყობილ ორსართულიან სახლში ცხოვრობდა. პაოლას დედა იქაური მაღალი წრის ქალბატონი ბრძანდებოდა. შავვკრემანი გახლდათ. მის ძარღვებში ირლანდიური და ესპანური სისხლი სჩქეფდა. ეს კი, ჩვეულებრივ, იშვიათი სილამაზისა და ცოცხალი ბუნების საწინდარია.

ამრიგად, პაოლას ნშვენიერი მშობლები ჰყავდა. მათი ~~სახლის~~ ზედა სართული ჯედისა და პაოლასათვის იყო განკუთვნილი. ახალგაზრდები ~~იქ~~ ცხოვრებდნენ, როცა ჯედი მათი სიძე გახდებოდა.

ჯედი დაახლოებით ორი საათი კითხულობდა და დაიღალა. ვაზეთებიც აქეთ-იქით მიმოიფანტა. თავი ასწია. მიმოიხედა. იქაურობა ჭეშმარიტ სამოთხე ჰგავდა. ბანანის ხეები მზეს უჩრდილავდა. ფერდობი, რომელიც საკონსულოდან ზღვისკენ ეშვებოდა, ყვავილობაში ახლად შესული მუქმწვანე ფოთლოვანი ღიმილისა და ფორთოხლის ხეებით იყო დაფარული. დაბლა ზღვის რუხი ყურე ხმელეთში სილივით შემოჭრილიყო, ხოლო მაღლობზე შეფენილი ხეები თითქოს ღრუბლებს სწკლებოდნენ. მშვიდი ზღვის კლდოვან ნაპირზე ქოქოსის მწვანედ მოელვარე პალმები იტაცებდნენ თვალს. ჯედი შეჰყურებდა ტყის სიმწვანეში გარეულ აყალს მწიხის მოყვითალო ფერს, ხილისა და ყვავილების სურნელთან ერთად ისრუტავდა ხის ძირში გამართულ ჩანსას თიხის ღუმელიდან ამოსულ კვამლის სუნს. ესმოდა, როგორ კისკისებდნენ ქოხებში ქალები, ესმოდა ბელურების ყივყივი, მარილიანი სით სახეზე ელაშუენებოდა და სადღაც ნაპირთან აქაფებულ ტალღების ჩქაფუნიც სწვდებოდა მის ყურთასმენას. შორს ზღვაში, ჰორიზონტზე თეთრ ლაქასავით გამოჩნდა რაღაც, რომელიც ნელ-ნელა იკვეთებოდა რუხი ზღვის ფონზე. ჯედი უინტერესოდ შესცქეროდა ჰორიზონტს, სანამ ის თეთრი ლაქა „აიდალაიად“ არ გადაიქცა, რომელიც სრული სვლით მოემართებოდა. გახევებული მიშტერებოდა ამ მშვენიერ, თეთრ იახტას, მალე იგი კუნძულ თავალონის პატარა დასახლებას მოუახლოვდა. დაახლოებით ერთი მილი ამორებდა მას ნაპირთან. კაცი თვალნათლივ ხედავდა იახტის ნატიფ სპილენძის კორპუსს, რომელიც მზეზე საიცრად ბრწყინავდა. კარგად ჩანდა გემბანზე ზოლიანი, საჩრდილობელი ტილოს სიკიუბიც. ჯადოსნური გემივით შემოცურდა „აიდალაია“ კონსულის პატარა, განათებულ სამყაროში და სწრაფადვე მათყარა თვალს. მხოლოდ პაწაწინა კვამლის ღრუბელი დატოვა წყლის ზედაპირზე. იახტა რაღაც არამატერიალური, ქიმიური იყო თითქოს.

ჯედი კანტირაში შევიდა და უხალისოდ მიუბრუნდა თავის მოხსენებას. თუკი ვაზეთში გამოქვეყნებულ სტატიას ოდნავადაც არ აუღელვებია, „აიდალაიას“ ის ჩუმი გაელვება ხომ მით უმეტეს ვერ შეძრავდა მის სულს! ამის გაფიქრებამ სიმშვიდე მოჰგვარა და ეჭვებიც გაუფანტა. ზოგჯერ ადამიანებს ქვეცნობიურად რაღაცის იმედი აქვთ, მაგრამ ახლა ორი ათასი მილის სიშორიდან მოსული გემი, რომელმაც არხეინად განაგრძო გზა და რომელსაც ერთი ძარღვიც კი არ შეუტოვებია ჯედისათვის, იმას ნიშნავდა, რომ კაცი ქვეცნობიურადაც კი აღარ ებღაუჭებოდა წარსულს.

ნასადილევს, როდესაც მზე გადაიხარა, ჯედიმ ქოქოსის პალმებით დაჩრდილულ სანაპიროზე გაისეირნა. ქარი ხმელეთისაკენ ქროდა და ზღვა აქონრილ ტალღებს დაეფარა. აქაფებულმა ტალღამ ნაპირზე რაღაც მრგვალი და ბრწყვიალა საგანი გამორიყა, რომელიც ტალღის მიქცევას უკანვე მიჰყვა. მეორე ტალღამ ისევ ნაპირისაკენ გამოაგორა, ჯედიც დაიხარა და აიღო, ვრძელ-

ყელიანი ღვინის გამჭვირვალე ბოთლი აღმოჩნდა, მაგრად დაცობილი და მუქი წითელი ლუქით დალუქული. ეტყობა, ბოთლში ჩაშვებინას დახვეული ქაღალდი სანახევროდ გაშლილიყო. ლუქს ბეჭდის კვალი აჩნდა. ამ ბეჭედს კი ჯედი კარგად იცნობდა. იგი აიღა ფეინს ეკუთვნოდა. ეს უბრალო ბეჭედი ქალს/ყოველნაირ ძვირფასეულობას ერჩია და ყოველთვის ეკეთა კიდეც თითზე. ჯედიმ ლუქზე ნაცნობი მონოგრამა „ა. ფ.“ ამოიკითხა, რაღაც უცნაური მოსუქეობა დაეუფლა. გემის ხილვისას არ მოსულა ასეთი რამ, მონოგრამის დანახვამ კი ინტიმური გრძნობები აღუძრა. ჯედიმ ბოთლი სახლში წაძოილა და მაგიდაზე დადგა.

სასწრაფოდ მოიხადა ქუდი, გაიძრო პიჯაკი, ლამპა აანთო და ნაპირზე გამორიყული ხადავლის თვალსიერებას შეუდგა.

ბოთლს სინათლეზე გახედა, და შეამჩნია, რომ მასში მჭიდროდ ნაწერი ორი ფურცელი იყო. ქაღალდი იმ ზომისა და ფერისა იყო, როგორსაც აიღა ხმაობდა საწერად. ხელწერაც ქალისას ჰგავდა. მართალია შუშის ქვეშ ვერც ერთი სიტყვის ამოკითხვა ვერ შესძლო, მგრამ დიდა ასოების დანახვისთახავე მიხედა, რომ ბარათი აიღას დაწერილი იქნებოდა.

ჯედის თვალუბში ღიბილი ჩაეღვარა. ბოთლი იატაკზე დადგა. მაგიდაზე სამი სიგარა დააღაგა, აივნიდან სარწვეველა სავარძელი შემოიტანა და მოხერხებულად ჩაჯდა. უნდა აეწონ-დაეწონა შექმნილი მდგომარეობა, სანამ ამ სამ სიგარას მოსწევდა.

ნეტავ საერთოდ არ ეპოვა ეს ბოთლი, მაგრამ რას იზამდა, ბოთლი უკვე ოთახში ედგა. ნეტავ ვის რაში სჭირდება ამდენი უსარგებლო და სულის ამაფორიაქებულს ნივთი?

ამ საოცნებო მიწაზე, სადაც დრო თითქოს ტაატით მიდიოდა, ჯედი მხოლოდ უმნიშვნელო ამბებზე შეეჩვია ფიქრს. ახლა კი ათასნაირი მიზეზ-საბაბი გაიხსენა, რის გამოც შეიძლებოდა ბოთლი გადაეგდოთ ზღვაში. როცა გემს საფრთხე ელის, ბოთლში ჩადებული წერილით უხმობენ მშველელს. მაგრამ ჯედიმ რომ სულ რაღაც სამი საათის წინ თავისი თვალით იხილა „აიდალაია“, რომელიც სრული სვლით მიცურავდა. ისე, გემით მოგზაურობის დროს გოგონებსაც ბევრჯერ უხუმრიათ, მაგრამ ასეთი რამ აიღას არ სჩვეოდა. იქნებ გემის ეკიპაჟს აჯანყდა, მგზავრები ტრიუმში ჩაამწყვდიეს და ის საბრალონიც ამ ბარათით შველას ითხოვდნენ? მაგრამ საეჭვოა ასეთ მძიმე ვითარებაში ოთხი გვერდი წერილი დაეწერა ვინმეს.

ამრიგად, ჯედიმ ძალევე უკუაგლო ეს სულელური მოსაზრებები და უხალისოდ მიუბრუნდა ისევ იმ აზრს, რომ წერილი პირადად მისთვის იყო განკუთვნილი. ქალმა იცოდა, რომ ჯედი კუნძულზე იმყოფებოდა და ალბათ ჩაულისას წყალში გადაავდო ბოთლი. ქარმაც ხელი შეუწყო, ნაპირისკენ გვარიანად ქროდა და გამორიყა კიდეც.

როგორც კი ჯედი ამ დასკვნამდე მივიდა, შუბლი შეჭმუნნა და ტუნები ჯიუტად მოკუმს. ციციანთელებმა მოსტაცეს თვალი, ბალახიან ბილიკებს რომ მოედებოდნენ.

თუკი ბარათი აიდასაგან იყო, ქალს შერიგების გარდა სხვა რა უნდა ეთხოვა? და თუ ეს ასეა, რატომ არ გამოიყენა კავშირის უფრო საიმედო საშუალება — ფოსტა, ეიდრე ეს არასაიმედო და არასერიოზული გზა? ბარათი ცარიელ ბოთლში ჩადო და ღია ზღვაში გადაავდო! ქალის ამგვარი უდარდელობა და

ქარაფშუტობა სხვა რა უნდა ყოფილიყო, თუ არა დაცინვა და კაცის აბუჩად აგდება?!

ასეთმა ფიქრებმა ჯედი გააღიზიანა და შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. მიჯაკი ჩაიცივა, ქული დაიხურა და გარეთ გავიდა. სანაპიროსაკენ გეუხეუკე გზას. ზღვასთან ახლოს მოედანზე ორკესტრი უკრავდა და უდარდელად დაუბუნებელი ხალხი სეირნობდა. რამდენიმე მორიდებული სენიორიტა შორიახლოს მიდი-მოდოდა. თმაში ციცინათულები ჩაეპნიათ და ჯედის ელვარე, შავი თვალებით უჭვრეტდნენ. ჰაერში ფასმინისა და აყვავებული ფორთოხლის სუნი ტრიალებდა.

კონსული ბერნარდ ო' ბრენიგანის სახლს მიუახლოვდა. პაოლა აივანზე ჰამაკში იწვა. ჰამაკიდან ისე წამოფრინდა, როგორც ჩიტი წამოფროთხიალდება ხოლმე ბუდიდან. ჯედის ხმის გაგონებაზე ლოყები შეეფაკლა.

კაცი მოხიბლა ქალის გარეგნობამ. ძალზე უხდებოდა მაქმანებით გაწყობილი ჩოთის კაბა და თეთრი ფლანელის ფილეტი. ტანსაცმელი კოხტად და გემოვნებით აქონდა შეკერილი. ჯედიმ ქალის გასეირნება შესთავაზა. გორაკისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ. ინდიელთა ძუკლისძველ ჭასთან შეჩერდნენ, ჩამოსხდნენ და ჯედიმაც ლაპარაკი წამოიწყო. დარწმუნებული იყო, ქალი უარს არ ეტყოდა, მაგრამ მაინც სიხარულის ურულოდ ამტანა, როდესაც იგრძნო ქალის სიყვარულითა და ერთგულებით გამსჭვალული გული მთლიანად მას ეკუთვნოდა, გული, რომლისთვისაც უცხო იყო ჭირვეულობა და ეჭვიანობა.

იმ დამეს, როდესაც ჯედიმ ქალს სახლთან აკოცა, და მერე შინისკენ გაემართა, ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს. ასე ბედნიერი არასოდეს ყოფილა. ამ ფუყე ლოტოსების ქვეყანაში ხალხი განცხრობით ცხოვრობდა. მეზღვაურებისა არ იყოს, მასაც ეჩვენებოდა, რომ საუკეთესო ის არის, რაც აღვილად მიიღწევა. ჯედის აქ იდეალური მომავალი ელოდა. ჭეშმარიტ სამოთხეში შედგა ფეხი. მართალია, მისი წარსული სავსე იყო შეუძღარი და უფრო მეტად მცდარი ნაბიჯებითაც, მაგრამ აგი მისი ცხოვრების ნაწილი გახლდათ. და მაინც უბედნიერესი იქნებოდა, თუკი სამჯდამოდ გასწყვეტდა იმ ძაფს, წარსულთან რომ აკავშირებდა. უიღარდ ჯედი საბოლოოდ ამ კუნძულზე უნდა დასახლებულიყო. მისი მომავალი ცხოვრება აქ წარიმართებოდა. ეს ამბავი იმ საღამოს გადაწყვიტა და თანდათან სიმშვიდე და კმაყოფილება დაეუფლა.

ჯედი ლამაზი და ნაღვლიანი სიმღერის სტვენა-სტვენით შევიდა შინ. მისი მოშინაურებული მაიმუნი თარიდან ჩამოხტა. ჯედის ქვემოდან მიანერდა და გამალებით მოჰყვა კბილების გასკაწს. კონსული მაგიდისაკენ გაემართა. უნდოდა იქ შენახული თხილი აედო და ნახევრად სიბნელეში ხელი ბოთლს წაეჭრა. ჯედის ბოთლი სულ გადაავიწყდა. შეკრთა და ჩუმად შეუკურთხა.

ლამპა აანთო და მაიმუნის აჭამა. მერე ბოთლი აიღო და სანაპიროსაკენ დაეშვა. მთვარე ანათებდა და ზღვა დიდებული სანახაუი იყო. საღამოობით კუნძულზე ქარი იცოდა. ოღონდ ახლა ზღვისკენ ქროდა. ჯედი ხედ წყალთან მივიდა და ბოთლი ზღვაში გადაავდო. ბოთლი წუთით ჩაიძირა, მაგრამ მალევე ამოტივტივდა. ჯედი იდგა და თვალს ადევნებდა. ნათელი მთვარე იყო და ამკარად ხედავდა, როგორ ანანავებდა ბოთლს ტალღები და რა ნელ-ნელა სცილდებოდა იგი ნაპირს. ქარს ბოთლი ღია ზღვისკენ მიჰქონდა და მალე შავ ლაქად იქცა. რომელიც დროდადრო თუ გამოჩნდებოდა. იღუმალი ბოთლი იღუმალმა

ოკეანემ შთანთქა. ჯედი სანაპიროზე იდგა, სიგარას ეწეოდა და წყალს გაჰყურებდა.

სანაპიროზე, ერთ პატარა ქოხში მოხუცი მუთევეზე სიმონ კარლი ცხოვრობდა. მისი კარჭაპი „პეიჯარო“ პატარა ყურეში იდგა. მოხუცი დილაადრიან ვიდაცის ძახილმა გამოადვიდა. ნახევრად შშინარე ვავიდა გარეთ და დაინახა, ვემ „ვალჭალას“ ერთ-ერთი ნავი ის-ის იყო ნაპირს მოდგმოდა. კვლავ დაუძახეს და მუთევეზეც ნავისკენ გაემართა. ნავში კაპიტნის თანაშემწე — სიმონის ძეგლი ნაცნობი — და სამი მეზღვაური ისხდნენ.

— მოხუცო, სასწრაფოდ მოიყვანე სასტუმროდან ექიმი ფერიში ან მისტერ ველესლი ან კონსულის, მისტერ ჯედის რომელიმე ძეგობარი! — დაუძახა კაპიტნის თანაშემწემ.

— ღმერთო მაღალო! მისტერ ჯედის ხომ არაფერი დაემართა? — იკითხა ნაშშინარევი ხმით სიმონმა.

— აქ არის ნავში, ბრეზენტის ქვეშ, — უპასუხა, კაპიტნის თანაშემწემ. — ცოტაც და დაინახობოდა. „ვალჭალიდან“ დაკინახეთ, გიჟივით მიცურაჲდა წყალზე მოტივტივე ბოთლისაკენ, რომელიც ნაპირიდან დაახლოებით ერთ მილზე იქნებოდა. კარჭაპი ჩავუშვით და დავედევნეთ. მისტერ ჯედი თითქმის მისწვდა ბოთლს, მაგრამ ხელი უცაბედად გაეშვა და ჩაიძირა. კიდეც კარგი, რომ დროზე მივუსწარით, ჯერ ცოცხალია, ერთი სიტყვით, ექიმი გვჭირდება ახლა.

— ბოთლი? — თვალუბის ფშვნეტით იკითხა მოხუცმა. მოლად გამოდვიძებული არც იყო. — ბოთლი სად არის?

— სადღაც შორს ტივტივებს, — ხელი ზღვისკენ გაიშვირა კაპიტნის თანაშემწემ. — აბა, წადი, მოხუცო, ჩქარა წადი!





ექსპანურიდან თარგმნეს

მადარ კერამვაძემ და სოსო კაიჭაძემ

გამოსვლა მეთერთმეტე

ავრორა, მარკიზი გონზაგო, რუტილიო

რუტილიო

თუ ქალი პასუხს არ გეუბნებათ
და თან გულცივიც არის თქვენდამი,
ღმერთმანი მიკვირს, რად ერიდებით
ან რის იმედი შეგრჩათ ნეტავი?

მარკიზი

ჩუ, მოდის...

რუტილიო

ახლა მაინც უთხარით,
ნუ ხართ ასეთი გაუბედავი.
ივინივე და ავრორა

მარკიზი

ო, სენიორა, სიკეთე ჰქვით —
წუთით შესდექით და მომისმინეთ:
მას აქეთ, ოდეს ერთხელ ვიხილეთ,
სამარადღამოდ მონა ვარ თქვენი.
როცა ვიყურებო ზეცაზე მაღალს,
მანათობელიც ივსება შურით,
რადგანაც ჩემი ტახჯული გული
მზეზე უნათლეს მნათობად გსახაუთ.
მას შემდეგ, რაჟამს ჩემს საწვალეებლად
შემოვეხეტე ამ უცხო მხარეს,

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 3-4.

თქვენზე ვოცნებობ და უნეტარეს
 ფიქრებში გხედავთ, ჩემო ზმანებავ!
 რა დავაშავე ასეთი ნეტავ,
 რა მასულდგმულებს და მაიმედებს,
 როს თქვენ ღიმილსაც აღარ იმეტებთ
 და ახლაც მხოლოდ მოწყენილს გხედავთ,
 რადგანაც გძულვართ, როგორც წკვარამი
 ავრორას სხივებს, მე კი საწყალი
 დავეხეტები ქვეყნად ბრმასავით
 და ხმის გამცემიც არ მყავს არავინ.
 მაშ რა ვილოხო? ვიცი, ვერასდროს
 ვერ შეგაყვარებთ თავს ამ მუდარით,
 გემშვიდობებით დღეს სამუდამოდ
 და სიგიჟემდეც რომ მომენატროთ,
 არ დავბრუნდები აწ ამ მხარეში,
 ვინძლო წამალი ვპოვო წყლულისა
 და განვიკურნო სიყვარულისგან
 შორს, მარტობის სიმწუხარეში.
 მაშ დალოცვილი იყავით ჩემგან,
 ბედნიერებას ვისურვებთ მაინც.



ავრორა

ვანა შეჰფერის ღირსეულ რაინდს
 ესეოდენი ურვა და სევდა?
 ხომ ძველთაგანვე არის ცნობილი:
 ქალი სურვილით იწვოდეს ოუნდაც,
 მისი გულისკენ გზას პოვნა უნდა
 მიტომაც არის ქალად ხმობილი.
 ბევრ ვაჟკაცს ჩვენი გული სწადია,
 მაგრამ მხოლოდ მას ვაძლევთ არჩევანს,
 ნამდვილი გრძნობით ვინც იტანჯება
 და დღენიადავ ვხედავთ ღარღიანს,
 თან ვინაც ასე არ მალავს სევდას.
 ნუ აჩქარდებით, მე გთხოვთ, რომ დარჩეთ.

მარკიზი

მაშ, გამჩენს, მთლად არ გაეუწიროვარ,
 რაკი წყალობა მოიღეთ ჩემდა!
 ვერც ვინატრებდი უკეთეს პასუხს.
 მზად ვარ ეკლოდო თქვენს სულგრძელობას
 შვიდ წელს კი არა, როგორც ელორა
 რებეკას ვაჟი ლავანის ასულს,
 არც ათ წელიწადს, როგორც ელინნი
 ელოდნენ ტროას დამორჩილებას,
 არამედ მარად და მოთმინებით,
 ვით ტანტალოსი, ჰადესს შთენილი!

მუღამ ექნება ჩემს გულს იმედად
 ეს მოლოდინი, თუმცაღა ძხელი.
 უკეთეს ჯილდოს აღარას ველი,
 ღმერთს ვმადლობ, ესეც რომ გაიმეტა.



გაიოსვლა პეიორაჟა

იხეე იხინი, ფერარის პერტოგი, გრაფი ფედერიკო,
 ბატინი

პერტოგი

ეს წუთი არის მომიტანეს პაპის ბარათი,
 მთხოვს რომ ვეახლო სასახლეში დაუხანებლად.

ფედერიკო

უცნაურია, აგრერიგად რა ეჩქარება?

პერტოგი

არ ვიცი, მაგრამ არ ეგების მისი ღალატი,
 მალე გზა უნდა დამილოცოთ შორეთს მიმავალს.

ფედერიკო

ჩანს, საიდუმლო არის რაღაც, რაკი მიმალავთ,

პერტოგი

სისულელეა! შენზე სახლო არ ძეგვს არავინ,
 ჩემი ძისაგან აბა რა მაქვს დასაფარავი?
 ალბათ სალაშქროდ ემზადება ისევე რომი,
 ჩანს, იტალიამ წამოიწყო ახალი ომი
 და პაპს სწადია, რომ წარუუძღვე ომში მხედრობის,
 ამიტომ მიხმობს ალბათ, ჩქარა უნდა ვეწვიო,
 თან მოვალე ვარ გავუმართო ხელი ღარიოთაც,
 თუ ამ სისხლიღვრას რომმა თავი ვერ აარიდა.

ფედერიკო

ახლა კი ვხვდები, შვილს სიმართლეს რად უმალავდი,
 არ გსურთ იახლოთ ღალატობაში ბრძოლას უჩვევი,
 მაგრამ მე მაინც ჩვენს მხედრობას წინ წარუუძღვები,
 ნება მიბოძეთ, რომ ავისხა ფარ-მუზარადი!

პერტოგი

გრაფო, ფერარის პატრონობა თქვენ გევალებათ!
 ჭკუა იქნება, რომ სხვის ომში დავეცეთ ერთად

და შევატოვოთ ჩვენი ტახტი უამრავ მტერთა?
თქვენ აქ დარჩებით, ასეთია ჩემი ბრძანება!



ქართული
საქმიანობა

ფედერიკო

ვგრძნობ, მამაჩემო, არის თქვენი თათბირი ბრძანული,
მაგრამ ხომ ვიცო, ქვეყნის ჭორი რომ არ დამინდობს...

პერციო

ჩვენ სახელმწიფოს განმგებელნი ვართ და ამიტომ
არ გვაქვს უფლება, მოლაგებებს დავუგდოთ ყური.

ფედერიკო

ჩემი ვაღია, დაუმორჩილდე ჰერცოგის სურვილს.
(ჰერცოგი გადის)

ბაეოსვლა მაცაშეა

ავრორა, მარკიზი გონზავო, რუტილიო, გრაფი
ფედერიკო, ბატინი

ბატინი (ფედერიკოს ჩუმად)

თქვენ და ჰერცოგი რომ თათბირობდით,
მე შორიახლო ვიდექ და უცებ
თვალი მოუკარი: განმარტოებით
იდგნენ ავრორა და...

ფედერიკო

ვინ?

ბატინი

მარკიზი...

ფედერიკო

რაო, კარლოსი?

ბატინი

დიახ, სენიორ.

ფედერიკო

თუმც... არ მადარდებს მე ეს ამბავი.

ავრორა (მარკიზს)

ნიშნად კეთილი სურვილებისა,
ეს ხილაბანდი მიიღეთ ჩემგან,

მარკიზი

ო, სენიორა, ნება მიბოძეთ,
რომ ეს მანდილი, სათაყვანები,
ავგაროხივით მეხვიოს ყელზე,
ვფიცავ ზენაარსს, რომ ამ საუნჯეს
გავუფრთხილდები კუბოს კარამდე.

**ავრორად (თავისთვის)**

შეურაცხყოფილ სიყვარულისთვის
ამგვარად უნდა ვიძიო შური!

(მარკიზს)

ვერ წარმოიდგენი, როგორ ვიხდებათ,
გთხოვთ ჩემს სახსოვრად ატაროთ ძუღამ.

ბატინი

მართლაც რომ ბრძენი არის ბუნება,
ღიაციის გულში გაჩენის დღიდან
ჩააგლო თესლი ორგულობისა,
თორემ ერთგულიც რომ იყოს ქალი,
მაშინ ჩვენ, ბრიყვი მამაკაცები,
უბრალოდ კი არ შევიყვარებდით, —
მთლად ანგელოსის ფროებს შევასხამდით.
ხედავთ თავსაფარს?

ფელერიკო

რა თავსაფარი?
რომელ თავსაფარს?

ბატინი

ნუთუ ვერ ხედავთ?
რალა თქმა უნდა იმას, ოდესღაც
მზეს რომ ებურა ოქროს არილად
და რასაც უწინ ერთი მნათობი
ბედნიერების სართოლვით შეტრფოდა,
ახლა კი ვაგლახ, მისი ნათელი,
საავდრო ღრუბელს გადაუქუფრავს.
ყური დამიგდეთ, ძველი ბერძნები
ერთმანეთს შორის შუღლის ჩამგდებად
ვარდა პარისის ცნობილ ვაშლისა,
ქალის მანდილსაც იტყოდნენ, მგონი.

ფედერიკო

ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა,
ახლა შეცვლილი არის დროება.

ავრორა (მარკიზს)

წავიდეთ, ბაღში გაყისეირნოთ.



გაეოსვლა მათიონათა

გრაფი ფედერიკო, ბატინი

ბატინი

ერთი შეხედეთ, რა ამბავშია,
როგორ თამამად ჩაჰკიდა ხელი!

ფედერიკო

მერე რა არის გასაკვირველი,
თუ ერთმანეთი...

ბატინი

აღარც კი ჯავრობთ!

ფედერიკო

მე? რა შუაში ვარ, რატომ გავჯავრდე?

ბატინი

გამიგონია, მამალი გელი
სხვა მამრს ვერ ჰგუობს თავის მეზობლად
და დედალ გელთან ერთად მაშინვე
საზიარო ტბას განერიდება.
ყვინჩილაც ბრაზით აიქონრება,
თუ სხვა მამალი დაღანდა ახლოს,
ერთს დაიყივლებს და მტრის ბიბილოს
მყის დააცხრება თავგამოდებით.
გააფთირებული და ეჭვიანი,
როგორც ოსმალთა ყლაღწეურიანი,
ებრძვის მეტოქეს, სისხლავს და ჰუტავს,
ვიდრე ოტებას არ აიძულებს,
თქვენ კი როგორ ხართ ასე გულმშვიდად,
როს უმზერთ იმის თავგასულობას,
ვინც თქვენს ნანდაურს ეკურკურება?

ფედერიკო

რაკი დიაცმა დაიმსახურა
სასჯელი თვისი ორგულობისთვის,
დავსჯი კიდეცა, აღონდ ისე, რომ
არ შეილახოს ღირსება ჩემი,
მე მას ვანიჭებ თავისუფლებას,
დაე, სინდისთან აგოს პასუხი!

**ბატიანი**

ეს განაჩენი ბრძნულია მეტად,
ხამს დაიწეროს გულის ფიცარზე
ყველა მიჯნურმა სამარადისოდ.
მაგრამ ახლა კი ეს სულგრძელობა
მეტისმეტია, ვფიცავ ზენაარსს,
თუმც მიჯნურობის თავი და ბოლო
სილის საათს ჰგავს ჩემის შეტყობით, —
თუ არ დაცლილა ზედა ჭურჭელი,
ისე მეორე არ გაივსება,
ვხედავ, არ ვიყვართ ავრორა უკვე,
იქნება სხვისკენ მიგიწევთ გული?
არ აივსება მეორე მხარე,
ხანამ პირველი სულ არ დაცლილა.

ფედერიკო

ბრიყვი ყოფილხარ, ჩემო ბატონო,
რა გსურს დამტყუო ამგვარ ხრიკებით,
ან რას შეიტყობ ახალს, როდესაც
თვით მეც არ ვიცი, რა მეშართება.
უმჯობესია, შენ ის გამიგო,
მზად ხომ არ არის ჰერცოგი უკვე,
ხომ არ დამღვარა დრო გამგზავრების?

ბატიანი

ტყუილუბრადლოდ მწამებთ ბრიყვობას,
მაშინ მეტქმოდა მართლა სულელი,
ეგ ნალველი რომ პირმოთხედ მექო.

(გადის)

გამოსვლა მითხუთაება**კრაფი ფედერიკო მარტო**

ეჰა, ოცნებავე, სად მიგაფრენს ვნება მზაკვარი?
რატომ მიქეზებ ნებისყოფას მაცდურ იერით?
მარქეი, რად მივსებ გულს სამარის სიცარიელით?
უშფოთველ დღეთა სიხარული რატომ წამგვარე?

ნუ დაბრმავდები ვნებათლელვის ცრუ ნეტარებით
 და წარმავალი გრძნობის ძახილს დაუხშე ყური,
 მარგუნე თუნდაც წამიერი სიმშვიდე სულის,
 ანდა წამგვარე ეს სიცოცხლე დანამწარები
 ადამიანის გონებაში ჯერ არ შობილა
 და არც გაჩნდება ამდგვარი ფიქრი წყვეული,
 დედამიწაზე თუმც შუუძლო არც რა ყოფილა
 მისთვის, ვინც ჩემებრ სიყვარულით არის სხეული,
 მხოლოდ შენ იშვი, ერთადერთი, ჩემივ გრძნობიდან,
 რომ სამუდამოდ ჩემშივ იყო გამომწყვეული.



გამოსვლა მეთექვსმეტე

გრაფი ფედერიკო, კასანდრა

კასანდრა (თავისთვის)

შურისძიებას არ აქვს საშანი..
 და ბრძოლის ველზე ერთად მიდიან
 ნატკენი გული, ვნება თამამი
 და შიში, მაგრამ რა იმეღია,
 თუკი სიწმინდეც ღვასამძარე.
 გამბედავია თუმცა ძალიან
 და ვერ უღობავს გზას ვერაფერი,
 ცთუნება, რაღა დასამაღია,
 ტკბილია, მაგრამ შავად ნაფერი
 და მისი ბოლოც, ვიცი, მწარეა.
 ნეტავი ჰერცოგს არ ჰქონდეს ბრალი,
 არ გავეწირო ბედშავი ასე,
 აწ სიმწრისაგან აღარ ვარ ქალი,
 თორემ რა მრჯიდა, ამ ცოდვის გზაზე,
 ხომ ვიცი, სადმე დარჩება კვალი!
 მივდივარ და იმ ფიქრით ვეროობი,
 რომ ჩემს ზრახვათა თანაზიარად
 მყავს ღვიძლი შვილი დიდი ჰერცოგის,
 მაგრამ ვიცი რომ ღზენა კი არა,
 საწამებელი მულის მე ცოდვილს.
 თუმც დღეს კარგა ხანს ვიყავით ერთად,
 ვერ გამომიტყდა გრძნობებში გრაფი,
 რადგან საბრალო ლულავდა მეტად,
 თუმცა დუმილიც ბევრს ამბობს, რაკი
 ბავეს სიმორცხვის ურდული კეტავს.
 მის გულს ვწვდებიდი ქალურ გუძანით,
 სურვილმა ღაშის წაართვა ცნობა
 და ჩამძახოდა ხმა იდუმალი:
 არ შეიძლება ღალატს და ტრფობას

საერთო ჰქონდეთ თავსასიუმადი!
 ეს არ იქნება ღალატი, არა,
 მე შურს ვიძიებ წყენისთვის ოდენ,
 თუმც თავის მოჭრად ისიც კი კმარა,
 რომ ჩემივე ქმრის სისხლ-ხორციან ვცოდე,
 მაგრამ პირველი ვიქნები განა?
 თუმცა რას ვამბობ, რა მეძარბება!
 ვის ვეჯიბრები ამ ზნელაცემით?
 ჩემს დანაშაულს რას შეედრება
 ცოდვა ძველ დროთა დედაკაცების,
 რით შემძლია თავის მართლება?!



ეროვნული
 ბიბლიოთეკა

(დაინახავს ფედერიკოს)

გრაფი! სად იყო? რა უცებ გაჩნდა!
 ღმერთო, მიშველე! როგორ ვკანკალებ...
 გული მელევა!

ფედერიკო

აი, ეს დაშნა
 ამ ტანჯვისაგან დამიხსნის მალე!
 ო, ნეტარებავ! სულ ცოტა დამრჩა,
 და ბედნიერი ვიქნები მარად!

კასანდრა

ჩანს, მეტისმეტად ცუდად ბრძანდებით,
 ან გულში რაღაც დიდ ნალველს მალავთ.

ფედერიკო

მე, ქალბატონო, ჩემი ნალველი,
 მალე მიმიყვანს სამარის კარად.

კასანდრა

უფაღს ნუ სცოდავთ, მე შესძის თქვენი,
 ჩანს, გაგიტყუათ მწარე ფიქრებმა.

ფედერიკო

მიხარია, რომ ეს მძიმე სენი
 ბოლოს მომიღებს, როცა იქნება,
 მაგრამ ლოღინი ყოფილა ძნელი.

კასანდრა

ნალველის მალვა ცუდია მეტად,
 გაგიჭირდებათ მართო დარდიანს.
 იქნებ გამანდოთ მეც თქვენი სევდა?

ფაღერიკო

გულახდილობა თუისვე მწადია,
მაგრამ სირცხვილით ველარას ვბედავ,

კასანდრა

თქვენ ერთხელ თქვით, რომ ეგ სნეულება
ტრფობაა...



ფაღერიკო

ღიას! და ჩემზე კრული
თვით ჯოჯოხეთშიც არ მეგულება.

კასანდრა

მაშ მოთმინებით დამიგდეთ ყური,
უნდა გიაგბოთ ერთი თქმულება:
თვის დედინაცვალს ეტრფოდა თურმე
ყრმა ანტიოქე, ძე სელევკისა,
ველარ გაუძლო ჭაბუკის გულმა
და დასნეულდა მალე სევდისგან.

ფაღერიკო

ჯობდა სამარე გათხროდა უმაღ!

კასანდრა

მეფემ მკურნალი იხმო მრავალი,
მაგრამ სუფველა ამაოდ დაშვრა:
იმ უცნაური სენის წამალი
ვერაეინ ჰსოვა, რადგანაც ვაჟმა
არ გაუმხილა დარდი არაეის,
მაგრამ მწუხარე სელევკის იღბლად
იქ ჰეროსტატეც ყოფილა მაშინ
და მხოლოდ ბრძენი ექიმი მიხვდა,
რომ საიდუმლოდ ძალავდა ვაჟი
ამ სენის მიზეზს ღუმილის მიღმა
და მან ასეთი ხერხი იხმარა:
სასახლის კარის ყოველი ქალი
შინ თითო-თითოდ შემოიყვანა...

ფაღერიკო

და როცა სატრფოს შეავლო თვალი,
ოხვრა წამოსცდა ავადმყოფს?..

კასანდრა

არა,
სნეულის მაჯა ეჭირა მკურნალს,
დედინაცვალი რომ შემოვიდა,
ძვერას უმატა ჭაბუკის გულმა.



ფაღერიკო

უცნაურია...

კასანდრა

ძველი დროიდან
ესე ამბავი ლეგენდად თქმულა.

ფაღერიკო

ვერც ჩემს ხალმობას არგებს წამლები...

კასანდრა

რაკი ასეა, მითხარით ჩქარა,
რაა მიზეზი თქვენის წამების?

ფაღერიკო

არ განრისხდებით?

კასანდრა

ო, არა, არა!

ფაღერიკო

და გებრალებით?

კასანდრა

ჰო, მებრალებით!

ფაღერიკო

მე თქვენი ტრფობის ცეცხლით ვიწვები!
ვფიცავ, ბედკრული, დიდხანს ვცდილობდი,
არ შემეღაზა წაუბილწველი
წმინდა კანონი მამაშვილობის,
მაგრამ მიყვარხართ თავდავიწყებით!
და ახლა ჩემს გულს მტერთბენ ერთად
ჩემივე თავი, თქვენ და უფალი:
უფალი — რადგან თქვენზე ფიქრს ვბედავ,

თქვენ — რაკი არ ხართ თავისუფალი
 და მე — რაკილა ეს მერგო ბედად,
 თუმცა კი სიკვდილს ადამის ძენი
 უბედურებად მივიჩნევთ მუდამ,
 მე არად მიღირს სიცოცხლის დღენი,
 ახლაც მიწაში ჩავწვები თუნდაც,
 რომ არ ვიხილო მშვენება თქვენი.
 ქვეყნად ვერვისთვის გამიმხელია,
 რა ცოდვებით მაქვს გული დახრული,
 ოდესღაც ვაჟკაცს და სახელიანს
 ჩამადენინეთ საქმე ლაჩრული
 და საკუთარი თავის მრცხვენია.
 აწ სანუგეშოდ რაღა მეგულვის...
 თავი მოვიკლა, ისა სჯობია.
 რომ ღვთისაგან ვარ დაბადებული,
 ისიც კი არა გჯერა ცოდვიანს,
 ბარემ ამომძვრეს სული გვემული!
 ო, სენიორა, ჩემმა გრძნობებმა
 ასე დამღუბეს და დამაქციეს,
 მამაჩემი რომ მომაგონდება
 და ვუკვირდები მე ჩემს საქციელს,
 მაშინლა ვიწყებ მწარედ გოდებას,
 თუ მაინც ვცოცხლობ, მხოლოდ იმიტომ,
 რომ სუნთქვაც არ მაქვს მე საკუთარი,
 და სიკვდილიც რომ გადაუიწყვიტო,
 ვიცო, არ მომცემს ნებას უფალი,
 მამ ცოდვებისგან ვით განვიწმინდო?
 მხოლოდ თქვენა ხართ ამ ცოდვის წყარო?
 თუმც მართალია, გრძნობა ფარული
 მარტო ჩემს გულში ღვივის და ხარობს,
 ღმერთმა დასწყევლა ეს სიყვარული,
 რადგან უარპყოფს მის წმინდა კანონს.
 ამიტომ არის, რომ სიკვდილს ვეძებ
 და მენატრება სამარე შავი,
 რადგან არავინ არა მყავს შემწედ:
 არც ღმერთი, არც თქვენ, არც ჩემი თავი,
 ვარ გაჩენილი უკუღმართ ბედზე.
 სამივე ჩემი მტერია ერთად:
 ღმერთი — რადგანაც თქვენ შემიყვარდით,
 თქვენ — რაკი ასეთ საუბარს ვბედავ
 და თვით მე — რადგან დავალ ნილაბით
 და გრძნობას შიშის ურღულით ვკეტავ,
 მაგრამ უფროთრე მიმატებს ტკივილს
 იმის შეგრძნება ყოველ ცისმარე,
 რომ ხართ უღმერთოდ შორი და ცივი,
 რომ ყველაფერი არის სიზმარი
 და არსაიდან ჭიატობს სხივი.



მე მაინც ვებრძვი ბედს გამწარებით,
 მაგრამ რას შევძლებ ამაო ბრძოლით,
 როცა ორივე მას ვეხმარებით:
 თქვენ — რაკი სხვისი ბრძანებით ცოლი,
 მე კი — დასჯილი ციურ ძალებით.



პასანდრა

სენიორ, დაუფარავად გეტყვით,
 რომ ოჯახზე და ქმარზე ფიქრებმა
 მეც შემაშინა საკუთარ ხვედრით,
 რადგანაც მეტად მკაცრი იქნება
 ჩვენთვის სამსჯავრო ცისა და ქვეყნის.
 მაგრამ არასდროს არ ვკარგავ იმედს,
 რომ მოწყალეა ქვეყანა ჩვენი
 და არ ეგების თავს თვითვე ვსჯილეთ
 იმისთვის, რაშიც მოკვდავთა რწმენით
 დანაშაული არ არის მძიმე.
 განა თავისი ქმრის მოღალატე
 არ იყო ძველად მრავალი ქალი?
 საშინელ ცოდვებს ისე მალაუდნენ,
 რომ არ რჩებოდათ მცირედი კვალიც
 და წმინდად ჩანდნენ კუბოს კარამდე.
 მაგრამ არ ვიცი, მე ვით დავმართო
 ჩემი ცოდვები, შევიძლებ განა?
 ან ბედმა ერთურთს უნდა გაგვეაროს,
 ან აქვე უნდა დავიცუ დახა
 და სიყვარული დავასამარო.
 სადმე შორს წადით დაუყოვნებლად,
 თორემ დამღუპავთ, რადგან თქვენს ახლოს
 არ შემოდია ასე ცხოვრებაა.

ფედერიკო

ქვეყნის კიდზე რომ დავესახლო,
 მე თქვენი საზე მემახსოვრება!
 სული დაღლილი ხორცს გაეყარა,
 გადაექცეულვარ ტანჯვის სადგურად,
 თუმცა მომბეზრდა უკვე ქვეყანა,
 დმერთმაც სიკვდილი აღარ მარგუნა,
 რომ ჩემი ლეშით მატლებს ეხარათ.
 ნება მომეცით, გულის კანკალით
 გემთხვიოთ ხელზე თუნდ ერთხელ მაინც
 და ბოლო წვეთიც შევსვა სამსალის.

კასანდრა

როდის ყოფილა, გონიერ რაინდს
ცაცხლზე გაუშროს თოფისწამალი!
აწ განშორების დაძღვარა უამი.



ფედერიკო

თქვენს გულქვაობას მე ვერ ავიტან!

კასანდრა

თუითვე სურვილმა დაძძლიოს ლამის,
მაგრამ არ მიხდა ცოდვილ ტანიდან
გადძლიღვაროს თქვენს გულში შხამი

ფედერიკო

ეგ აღსარება თქვენი გულწრფელი
ჩამითრევს მეტი ტანჯვის მორეუსი,
ვით სირინოზის ხმა მომნუსხველი...

კასანდრა

ო, ზეცაერო, ძალა მოძეცი,
თორემ სიწმინდეს ველარ ვუშველი!

ფედერიკო

ეს სიხარული მაინც მწარეა!

კასანდრა

გულს სინანული რად ეპარება?

ფედერიკო

ნეტავ ცხადში ვარ თუ სიზმარია?

კასანდრა

ბოლოს მოძიდებს ეს ნეტარება!

ფედერიკო

მე კი მკვდარი ვარ დიდი ხანია!

მესამე პოემაღება

ჰერცოგის სასახლის დარბაზი ფერარაში

პირველი გამოცემა

აურორა, მარკიზი გონზავო

ავრორა

მე მოგახსენეთ სრული სიძარბოლე.

მარკიზი

არა, არ მჯერა, ჭორი იქნება!
კარგად აწონეთ თქვენი ეჭვები,
ჯერ გადაწყვეტით ნურაფერს იტყვიით...



ავრორა

მხოლოდ თქვენ განდეთ ეს საიდუმლო,
თქვენგანვე ველი გონივრულ რჩევას,
რა ვზას დაკადგე?

მარკიზი

ჯერ ეს მითხარით,
როგორ შეიტყვეთ მათი ამბავი,
იქნებ ტყუილი არის ყოველი?

ავრორა

გეტყვით, თუძცაღა მიჭირს ძალიან:
ფედერიკოს ხომ მუხანათობით
თვითონ უღისეც ვერ შეედრება —
მაინც მიყვარდა, ვუყვარდი მასაც
და ერთ დღეს, როცა ის მანტუაში
გასამგზავრებლად ემზადებოდა,
მე შემოძფიცა მხურვალე ფიცით,
რომ უკან დაბრუნებისთანავე
ჯვარს დავიწერდით კანონის ძალით.
მაგრამ მოიქცა გულგამოცვლილი
თავისი ფიციც გადაივიწყა,
არც მამის რჩევას დაუგდო ყური
და ის მოიღო უცებ მიზეზად,
თითქოს მე თქვენთან მქონდა კავშირი.
მოგეხსენებათ, ქალს სულაც არ სწვინს
თუ ეჭვიანობს მისი მიჯნური
და იმას ცდილობს, რომ უფრო მეტად
გახლართოს იგი ეჭვის ბადეში.
ამავ ქალური ბუნების გამო
მეც ვცაღე თქვენთან დაახლოება,
მაგრამ ამაოდ, ეს საქციელი
გრაფს აინუნშიც არ ჩაუგდია,
რადგან მას, ვისაც არ უყვარს ქალი,
ეჭვიანობაც არ შეუძლია.
მამინ ვიფიქრე, რომ აქ უთუოდ

სულ სხვა მიზეზი იმალებოდა.
 თუ დედაკაცმა თავი გადასდო,
 ქვის გალავანი ვერ შეაჩერებს
 და მეც ყოველი შევიტყვე მალე.
 კასანდრას საპირფარეშოს გვერდით
 საძინებელი ოთახებია,
 ტურფად მორთული და მოქარგული
 რჩეულ მხატვართა ნაოსტატარით,
 ეჭვი არ დადის თავაღერილი,
 ის ფეხაკრეფით დაიძურწება —
 მე შევიპარე ერთ-ერთ ოთახში
 და დავინახე უცებ სარკეში
 რომ ფედერიკო თვის დედინაცვალს
 დასწაფებოდა მორჩილ ბაგეზე.
 მყის გამოვბრუნდი ელდანაცემი,
 მწარედ ვტიროდი ჩემს უბედობას
 და მათ შერცხვენას, მიწვივ წარუშლელს,
 რაკი ჰერცოგი შორს დაიგულვეს
 და განმკითხველი არაუინ ჰყაჟდათ,
 მყისვე ნამუსზე აიღეს ხელი,
 არც კი ნალვლობდნენ იმას სრულებით,
 რომ საზარელი მათი ცოდვები
 აღრე თუ გვიან გამუღაუნდებოდა.
 იმ დაწყევლილ წუთს მე მომეჩვენა,
 რომ თვით სარკვეც კი, უსული სარკვეც,
 დაიბინდა და ჩაქრა თითქოსდა,
 რომ არ ეხილა ეს უზნეობა.
 ცოტა ხნის შემდეგ მე უფრო ცხადად
 დამიდასტურდა ჩემი ეჭვები
 და შემიძლია თქვენც დაგაჯეროთ
 მათ საბოლოო გახრწნილებაში.
 ყური მოვკარი, დაბრუნდებო
 მალე ჰერცოგი იმ ლაშქრობიდან,
 სადაც ჩვეული ძალგულოვნებით
 იცაუდა პაპის ტახტს და ღირსებას
 და მტრისმმუსვრელი ხმლით განადიდა
 ძველთუძველესი გვარი თავისი,
 ახლა მირჩიეთ, როგორ მოვიქცე...
 გამოვიტყდებით მკლავს იმის შიში,
 რომ თქვენგან მეტი სიმწარე მეღის,
 ვგონებ ისევე, ვით ფედერიკო,
 თქვენც მეფიცებით ერთგულ სიყვარულს
 მხოლოდ მისთვის, რომ მუხანათურად
 გამწიროთ შემდეგ და მიმატოვოთ.
 ო, ჩემს საღმობას არ აქვს წამალი!



მარკიზი

წაქალი სიკვდილს ვერ შევლის მხოლოდ,
 თანაც, აერორა, შავი სიკვდილი
 ოდენ ხორცს ჩვენსას თუ მოერევა,
 თორემ სულს ვერ სძლევს ვერახდიდებით,
 კაცი უკვდავი იქნება მარად,
 თუ სიკვდილისთვის იცხოვრა ქვეყნად!
 მაშ, უყოყმანოდ აცნობეთ ჰერცოგს,
 რომ თანახმა ხართ ჩემი ცოლობის,
 და შემდეგ, ვფიცავ, თქვენს მანტუაში
 იცხოვრებთ მშვიდად და ბედნიერად.
 დედა ვეფხვი ხომ დაუფიქრებლად
 გადაეშევა ბობოქარ ზღვაში,
 ოდეს გაიგებს, რომ მონადირეს
 მოუკლავს თურმე მისი ბოკვერი,
 კაცი კი მეტი მსხვერპლის გაღებით
 მზად არის მუღამ შურისგებისთვის.
 დღეიდან მხოლოდ სისხლი თუ განბანს
 ჰერცოგის სახელს, ლაფში ამოსვრილს,
 თუკი მანამდე ყოველის უფალმა
 და შემოქმედმა ცისა და მიწის
 თვით არ დასაჯა დამნაშავენი
 და უსაზარლეს ამ გარყვნილებას
 არ დაატეხა რისხვა ციური!
 აი ეს არის ჩემი თათბირი...

**ავრორა**

მე თანახმა ვარ, დაუფიქრებლად
 თქვენს გულთან ერთად მივიღო იგი.

მარკიზი

დე იგი სარკე საწოლ ოთახის
 გადაქცეოდეს გორგონას სარკედ,
 ახალ კირკეოსს — დედოფალს ჩვენსას.

* * *

გამოსვლა ავირა

ივინივე, გრაფი ფედერიკო, ბატინი

ფედერიკო

როგორ, ნუთუ ჩვენ არ დაგველოდა,
 რომ ზარ-ზეიმით შევკვებოდით?

ბატიანი

მოუახლოვდა თუ არა ქალაქს
და გალაფანი იხილა მისი,
მყისვე დატოვა გზაში ამაღლა,
შემოაფრინდა ფეხმარდ ბედაურს
და შვილის ნახვას მოწყურებული
ფერარისაკენ გამოეშურა.



თუმც ჯერ დედოფალს უნდა ეახლოს
და მასთან დაპყოს მცირედი ხანი,
გთხოვთ, დაძერწუნოთ, რომ მოყვას მშობელს
შვილისკენ უფრო მოუწევს გული.
მთელი ოთხი თვე შორეთში დაპყო
მზის ცხოველ სხივებს დანატრებულმა —
ღიახაც მზეა შვილი მაძისთვის!
აბა, ვიჩქართო, ჩვენი ვაღია,
გმირს შევეგებოთ, როგორც შეშვენის!
დიდი ჰერცოგის მძლავრი მხედრობა
უკან მოიქცა ძლევაძოსილი
და დატვირთული უხვი ალაფით.

ფადარიკო

აფრორა, ისევ მარკიზთან ვხედავთ?!

აპრორა

მერე რად გიკვირთ ასე ძალიან,
პირველად ხომ არ გვიხილეთ ერთად?

ფადარიკო

დამცინით კიდევ? თუმც მართალია...

აპრორა

რატომღაც ისე გვიყურებთ ახლა,
რომ გამაოცეთ, გითხრათ ნამდვილი,
თითქოს ციდან ხართ ჩამოვარდნილი
და არაფერი იცოდეთ მართლა.

მარკიზი

მე პირნათელი ვიყავი გრაფთან,
როცა აფრორას დაუახლოვდი.
არც კი ვიცოდი, ეფიცავ, ამ დრომდე,
თუ ჩემს გრძნობებში მეტოქე მყავდა,
თანაც ისეთი, თქვენ რომ ბრძანდებით,
ვის წინაშედაც, გაგიმხელთ აქვე,
ღირსებას თუ არ ეხება საქმე,

ყოველთვის დავხრი თავს მოკრძალებით.
 თუმც არასოდეს ავრორას ფერხთით
 არ მინახიხართ თქვენ მუხლმოყრილი,
 მაინც გზას გათმობთ, როგორც ძმობილი,
 რაკი ამ ვიწრო ბილიკზე შევხვდით.
 ჩემში მეტოქე ნუ გეგულებათ.



(გადის)

გაგონსკლა მესამე

ავრორა, გრაფი ფედერიკო,
 ბატინი

ავრორა

გრაფს არ შეპყერის ასე დაცემა,
 ვიცი, რომ მხოლოდ თავშესაქცევად
 გწაღიათ ჩემი გაპაპბულება,
 რა კაცობაა, ახლა გაგვითმით
 და წაგვაჩხუბოთ ერთმანეთს, როცა
 მარკიზმა მტკიცე პირობა მომცა,
 რომ მიერთგულებს სამარადისოდ!
 გთხოვთ, ნუ შედგებით, გრაფო ჯინაზე,
 თქვენგან სიმწარე ისედაც კმარა,
 ვფიცავ, სიკვდილზე უფროსი მზარავს,
 ეგ თვალთმაქცური თქვენი სინაზე,
 იქნება ავცდეთ უფლის სასჯელი,
 მაგრამ ერთი რამ კარგად გახსოვდეთ:
 ვერ გაპატიებთ ვედარასოდეს,
 ამ უღვთო ტკივილს, გულში ჩარჩენილს.
 ამიერიდან პატივი დამდეთ
 და ჩემს უბიწო სახელს მოეშვიოთ,
 რადგანაც არ მსურს, რომ თქვენს ცოდვებში
 კვალის დამფარავ ნიღაბად გყავდეთ.

(გადის)

გაგონსკლა მეოთხე

გრაფი ფედერიკო, ბატინი

ბატინი

გაგიუდიო?

ფედერიკო

ეს რა დამატყდა თავზე!

ბატინი

ვედარ ვუჯერებ საკუთარ ყურებს!
 თუმცა რა მიკვირს, ოდესღაც თურმე
 ტიბერიუსსაც მოხვლია მასე:
 თავისი ცოლი მოსაკვდინებლად
 სახრჩობელაზე აგზავნა დილით,
 ღამით კი ისე აუმღვრა ტვინი,
 რომ თურმე მასთან წოლა იხედა,
 უხედავ, თქვენც გონი ისე გაგცლიათ,
 როგორც შესაღას, დღისით და მზისით
 რომ დაავიწყდა სახელი თვისი.



ფაღერიკო

მე დამავიწყდა ის, რომ კაცი ვარ.

ბატინი

ვფიცავ, იქცევით თქვენ იმ გლეხივით,
 რომ შეაბერდა თავის დედაკაცს
 და ერთ მშვენიერ დღეს დაეტაკა,
 რად მინდიხარო ცხვირმოგრეხილი...

ფაღერიკო

ახლა კი მწარედ ვნანობ შეცდომას,
 არ ვიცო, დარდებს რა გამიქარვებს.

ბატინი

კიდევ მაგონებთ თქვენ ერთ ბისკაელს,
 ყური დამივღეთ, თუ არ გეცნობათ!
 ჯორს დაუყარა ქერი სულელმა
 და არ კი შეხსნა აღვირ-ავშარა;
 საბრალომ პირი უერ დააკარა,
 იდგა და ყურებს აპანტურებდა,
 გლეხი შეშინდა, ვერ მიხვდა მიზეზს,
 ვირის ჰიპოკრატს მოუხმო შველად,
 მან ჯორს შეხედა ერთი და ხელად
 შეახსნევინა ლაგამი პირზე,
 იმ საცოდავმა ჯორმა კინაღამ
 მთელი ტომარა გააქრო წამში,
 და ჩვენმა ჭკუისკოლოფმა მაშინ
 ეს სასწაული რომ დაინახა,
 თავს სიტყვა მისცა, რომ იმ დღეიდან
 ექიმთან კი არ ივლიდა თავად,
 თუ გახდებოდა ოდესმე ავად,
 ეჩვენებოდა მხოლოდ ბეითაფს.

ამას მაგონებს თქვენი ამბავიც:
რად არ შეჭამეთ ქერი, მითხარით,
თუ გჭირდებოდათ თქვენც ბეითაღი,
რომ აეყარა პირზე ლაგამი?



ფედერიკო

მე დავიბენი, ჩემო ბატონო..

ბატონი

მაშინ ნუ განმსჯით ლაყბობისათვის,
ეს სითამამე, გოხოვო, მაჰატიოთ.

გაგონვლა მესუთა

ისევ ისინი, კახანდრა და ლუკრეცია

კასანდრა

უკვე აქ არის?

ლუკრეცია

ღიახ.

კასანდრა

მარტოა?

ლუკრეცია

როს მოაღწია ფერარის საზღვარს.
მყის მიატოვა ამაღა გზაში
და ახლა თქვენგან მოაფრენს რაში.

კასანდრა

ასჯერ სიკვდილი მიჯობს მის ნახვას!
(მსახურები განზე გადაგებიათ. კახანდრა და ფედერიკო
ჩურჩულთ საუბრობენ)
დაბრუნებულა უკვე ომიდან
დიდი ჰერცოგი, ჩემი მეუფე.

ფედერიკო

ღიახ, ეს არის მაცნე მოვიდა:
აქეთ ისწრაფვის თქვენი მეუღლე.

კასანდრა

როგორ მოვიქცეთ, საშველს ვერ ვხედავ!
უნდა დავშორდეთ, გრაფო, ერთმანეთს!

ფედერიკო

ახლაჲ სიკვდილი მიჯობს, ღმერთმანი,
მშობელი მამის ასე შეხვედრას.



კასანდრა

გული მისკდება, რა ვქნა, მითხარით!

ფედერიკო

შიშისგან ლამის დაეკარგო გონი...

კასანდრა

გამომეცალა სრულიად ღონე...

ფედერიკო

არ ჩანს საშველი არავითარი!

კასანდრა

მაშ რაღა გვიხსნის?

ფედერიკო

სიკვდილი მხოლოდ!

კასანდრა

იქნებ ვიპოვოთ გამოსავალი...

ფედერიკო

არ მეგულება მეტი წამალი,
მე უთქვენობა მომიღებს ბოლოს!

კასანდრა

რა საშინელი სასჯელი გველის!

ფედერიკო

მერწმუნეთ მხოლოდ თქვენს დახსნას ვნატრობ,
ახლა ერთი რამ გვიშველის მართლ:

კვლავ უნდა ვთხოვო ავრორას ზელი...
 ვგონებ, რომ საქმროდ არ დამიწუნებს,
 და ჯვარს დავიწერთ კანონის ძალით,
 მაშინ პერცოვიც უფრო ირწმუნებს,
 რომ მის წინაშე არა გვაქვს ბრალი.



კასანდრა

თქვენ ჯვარს დავიწერთ? ეს რა გაბედა!

ფედერიკო

მე თავს ვიწამებ ამით უღმობლად...

კასანდრა

გრაფო, ერიდეთ ჩემთან ზუმრობას,
 ღმერთმა ფიცხელი ზნე დამაბედა.
 ეს არ მოხდება, რადგან მანამდე,
 ვფიცავ, მე თვითონ გამივალ ხალხში
 და ვამხელ ჩვენსაუ ცოდვიან კავშირს,
 ვიცო, მხნეობა არ მიღალატებს!

ფედერიკო

ჩუ, არ გვისმენდეს ვინმე...

კასანდრა

გვისმინონ!

ფედერიკო

მაგრამ...

კასანდრა

ამოდ იღლით გონებას!
 მე თქვენ ის ქალი ნუ გეგონებთ,
 ეს გაბახება რომ მოითმინოს!

გამოსვლა პეიქვსე

ისევ ისინი, ფლორო, ფეხი, რიკარდო, ალბანო, ლუსინ-
 დო, მათ მოჰყვება მდიდრულად აღჭურვილი ფერარის
 პერცოვი

რიკარდო

მთელი სასახლე იჩქაროდა თქვენს შესახვედრად.

პერცობი

და მაინც ჩემმა სიყვარულმა სძლია სუყველას.

კასანდრა

სენიორ, ვფიქრობ, მე არ მეტყვიით ამით საყვედურს
რომ ეს ხანგრძლივი განშორება არ მაწუხებდა.

ფედერიკო

ო. თქვენ კი არა, მე გამოვდექ ასე თავხედი
და მაგ საყვედურს ვეთანხმები ხმის გაულებლად.

პერცობი

ჩემო ვაჟკაცო, ასეთია მამის ბუნება:
ბედნიერია, ოდეს თავის პირმშოს უცქერის,
უწინარესად შვილისაკენ მოეშურება
რაგინდ დაღლილიც უნდა იყოს ან მოუცლელი,
მიეჩქარება შინ, რომ შვილი ნახოს უვნებლად,
ოგი იხილოს ჯანმრთელი და გულშეუცვლელი.
არ ეწყინება ჩემს დედოფალს, ვფიქრობ, ძალიან,
თუ გულის ნაწილს შვილს არგუნებს მუდამ მშობელი.

კასანდრა

სენიორ, შვილის სიყვარული მამის ვალია.
ამასვე მოწმობს ახლა თქვენი სიტყვა ყოველი
და ეს გულწრფელად მსიაბოვნებს და მიხარია.

პერცობი

სადაც კი ვიყავ. თქვენზე ფიქრი მუდამ თან მსდევდა,
ჩემი სიცოცხლე უყოყმანოდ თქვენთვის მიძღვნია.
აქ უფლისწული დაგიტოვეთ ტახტის განმგებლად,
ოდეს მე ომში ვაელვებდი გორდას სისხლიანს,
იქ მოაღწიეს მორჭმულობის მისის ამბებმა
და სიხარულის დაოკება არ შემიძლია.
როდესაც წამით მიწყდებოდა ომის ძაბილი
და დაქანცული მეომრები ღუმელს უსმენდნენ,
თქვენზე ოცნებით ვისუენებდი ბრძოლით დაღლილი,
თქვენი სახება მიმატებდა რწმენას უძლეველს,
განგების ნებით მტრის მძუსვრელი ჩემი მახვილი
პაპს ემსახურა, ვით შემვენის ჩვენს გვარს უძველესს.
როს მომხვდურს ვძლიეთ და ჩავაქრეთ ომის ხანძარი
და ლაფში მოსვრილ დროშებს მტრისას გადავაბიჯეთ.
ვითარცა გმირი ტროიანი მკვდრეთით აღმდგარი,
ლომგულთა ლაშქრით მოვადექი რომის კარიბჭეს,
უწმინდეს პაპის ხელს ვეპითხვიე გულის კანკალით —

რაინდთა შორის ეს უფლება მე მომანიჭეს.
 ამიერიდან არ დამიგმობს, ვფიცავ, არაეინ,
 უკადრის ქცევას, აწი უნდა ვიცვალო ზნენი,
 მუდამ ვიქნები ხალხის თვალში შეუბღალავი,
 რადგან ყოველთვის უნდა იყოს დინჯი და ბრძენი
 ის, ვისაც ომში მამაცობით არ ჰყავდა სწორი.

რიკარდო

მარკიზ გონზაგოს და ავრორას სურთ ნახვა თქვენი.

ბამოსვლა მუხვიდა

ივინივე, მარკიზი გონზაგო, ავრორა

ავრორა

დიდი ჰერცოგის დაბრუნებამ აგვაგსო ღზენით,
 ვით ხმაღმა მისმა მტრების გული აავსო ძრწოლით!

მარკიზი

ნება მიბოძეთ, რომ გემთხვიოთ ხელზე, სენიორ!

ჰერცოგი

ყველას გეხვეუთ სიყვარულით, ყველა ხართ ტოლნი,
 მიხდა სუყველა დღეს მადლობით მოვიხსენიოთ,
 თუმც ჩემს გულს ჯერაც სინანული ატყვია მწარე,
 რომ ზოგჯერ თქვენგან მოშორებით მაინც ვარსებობ,
 არაფერია, კვლავ ხალისი აავსებს მალე,
 მაგრამ ახლა კი დაქანცული ვარ, ძვირფასებო,
 და დაგშორდებით, დავისვენებ, თქვენ კი მანამდე
 დიდი ღზინისთვის მოამზადეთ ღვინის თასები.

ფედერიკო

დაე, დღეგრძელი გყოთ უფალმა აწ და მარადის!
 (გაღიან)

ბამოსვლა მერკე

ბატინი, რიკარდო

ბატინი

ძმავო რიკარდო!

რიკარდო

რავ, ძმობილო?

ბატინი

ძღვეამოსილი გქონიათ ომი.

რიკარდო

ძლიერ ვიმარჯვეთ, ღმერთის შეწევნით, შევმუსრეთ მტერი აურაცხელი, აწ ლომბარდიის მხარეში სუფევს მტკიცე მშვიდობა და სიხარული. მისწვდა თუ არა მომხვდურთა სმენას ფერარის ლომის მრისხანე ბრძლვიზვა, მყის იარაღი დაჰყარეს ველზე და უკუიქცნენ ზარდაცემულნი. ახლა ჰერცოგის დიდება ისმის იტალიაში კიდით კიდემდე. ტურფა ასულნი იძღვრენ ყველგან, რომ ბრძოლის ველზე მოსრა საულმა ათი ათასი მტრის მეომარი, ხოლო დაჰყითმა ასი ათასი გაჟლიტა მარტომ გმირულ ბრძოლაში. დაფნის გვირგვინით თავშემკობილი ჰერცოგი სულ მთლად გამოიცვალა: არც ლხინს და ღვინოს მიულტვის უკვე, არც სიძვის დიატო, არც აყალმყალს, მარტო კასანდრა აბოდებს ძილშიც და თავის ვაჟზე ფიქრობს ნიადავ. მერწმუნეთ, მართლაც წმინდანი გახდა.



ქართული
საბჭოთაო
საქმიანობა

ბატინი

რას მეუბნებით, არ მჯერა რაღაც!

რიკარდო

ხომ ცნობილია, რომ წარმატება კაცს განდიდების სენით შეიპყრობს და გულზვიადად აფიქრებინებს, რომ უკვდავების არის ზიარი. მაგრამ დიდ ჰერცოგს ამ გამარჯვებამ წამითაც თავბრუ ვერ დაახვია, პირიქით, უფრო გულმშვიდიც გახდა. ამოღებდა უჩანს პატივი, დაფნის გვირგვინიც ტვირთია მისთვის, დიდება — ბანვი დამათრობელი.

ბატინი

ოღონდ ისე კი არ მოუვიდეს, ერთ ათენელს რომ მოსვლია ძველად:

თურმე ზოლება კატა ჰყოლია
და ჰყვარებია ის თავზე ძეტად.
ახირებულა, ეს ჩემი კატა
დიდ ქალბატონად უნდა იქცესო.
მუხლმოყრით სთხოვა თურმე ვენერას,
რომ მოეხდინა ეს სასწაული.
და აი, ერთხელ ძვირფას სამოსში
გამოპრანჭული და გაფურჩქნული
ზის ბანოვანი სახლის კარმადზე
და შესცივინებს თვალში პატრონი.
უცებ დაღანდა, ერთი თავუნა
გამოცუნცულდა თავის სორიდან
და ვით პოეტებს სჩვევიათ ხოლმე,
რადაც ქაღალდებს დაუწყო ციცქნა.
ჰოდა, წამოხტა ეს ქალბატონი,
კაბის შრიალით ისკუპა ქვევით,
თავზე დააცხრა ბედშავ წრუწუნას
და წამის უმაღლ შეახრამუნა.
მაშინ ირწმუნა იმ ათენელმა,
რომ კატა კატად დარჩება მიწვივ
და ძაღლს ძაღლობას ვერ გადააჩვევ
*in saecula saecularum.*¹



რიკარდო

არა, მერწმუნეთ, ამიერიდან
ჰერცოგს არ ეთქმის ეგ საყვედური.

ბატინი

ღმერთმა ქნას, რომ ეგ მართალი იყოს,
მე მოხარული ვიქნები მხოლოდ.

რიკარდო

აბა, ნახვამდის!..

ბატინი

საით, რიკარდო?

რიკარდო

ღღეს ფაბიასთან მაქვს პაემანი.

(გადის)

1. უკუნითი უკუნისამდე (ლათ.).

ბამოსვლა მეცხრე

ბატინი, ფერარის ჰერცოგი, რომელსაც ქალაქები უჭირავს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

კერძობი

მსახურთაგანი არის აქ ვინმე?

ბატინი

მე ვარ ყველაზე უმორჩილესი
ვასალოა შორის...

კერძობი

შენ ხარ. ბატინო?

ბატინი

ნება მიბოძეთ, რომ ვეამბორო
მდაბლად თქვენს კალთას...

კერძობი

აქ რას აკეთებ?

ბატინი

მე ყურს ვუგლებდი, ხოლო რიკარდო,
ვით ენამჭევრი შემატიანე
ყვებოდა რომის ჰექტორის ამბავს
და მის გმირობას განადიდებდა.

კერძობი

როგორ მართავდა გრაფი ფერარას,
ვიდრე მე შორეთს ვიყავ წასული?

ბატინი

ვგონებ თქვენ ომშიც ვერ მოიხვეჭდით
იმგვარ დიდებას და ისეთ პატივს,
ვით თქვენმა ვაჟმა აქ მოიპოვა
თვისი გონებით და საქციელით.

კერძობი

გრაფს და კასანდრას ჰქონდათ თანხმობა?

ბატინი

ღვიძლ ღედა-შვილსაც შეშურდებოდა
 ახეთი სიტკბო და მეგობრობა.
 ქალბატონს სწორედ შესაფერისი
 ჰქონია სულიც და გარეგნობაც.

**პერსონი**

თქვენი სიტყვები შეაშა ძლიერ,
 ჩემს თავზე მეტად მიყვარს მე გრაფი
 და მისი ქებაც მეამაყება.
 აწ დამიმშვიდდა სრულებით გული,
 სულ თვალწინ მედგა, რა ნაღვლიანი
 მიმაცილებდა ომში მიმავალს
 და ამიტომაც უფრო მახარებს
 ის, რაც თქვენ ახლა შემატყობინეთ.
 მადლობას ვუძღვნი სათნო კასანდრას,
 მადლობელი ვარ ჩემი ვაჟკაცის.
 თანხმობა შეიღს და მეუღლეს შორის
 ჩემი ოცნება ყოფილა მუდამ.
 მხოლოდ ეს მიჩანს ბედნიერებად
 და დღენიადაგ ამაღ ვლოცულობ.
 მთელი ფერარა დღეს იზეიმებს
 ორ გამარჯვებას სასიზარულოს:
 ერთი ომშია მოპოვებული,
 მეორე კი აქ, ჩემსავ ოჯახში,
 და აღარც ვიცი, თუ ამ ორთაგან
 რომელი უფრო მეძვირფასება.
 ამიერიდან ვერვინ გაიგებს
 ჰერცოგის აუგს და საძრახ საქმეს.
 აწ ერთადერთი და სასურველი
 ჩემთვის კასანდრა იქნება მხოლოდ.

ბატინი

ახლა კი ცხადი არის ნამდვილად,
 რომ შესძლებია პაპს სასწაული:
 ომში მეომრად წახვედით ჩვენგან,
 უკან მონაზვნად დაგვბრუნებიხართ,
 თანაც ისეთად, რომ სულაც ახალ
 კალმადღუღასაც შექმნით მგონია.

პერსონი

უნდა გაიგოს მთელმა ფერარამ,
 რომ სხვა კაცია ჰერცოგი მათი.

ბატიანი

ჯერ მოისვენეთ. ძლიერ დაღლილი
ბრძანდება თქვენი უდიდესობა.

პერსონი

წავედი კიდევ მოსასვენებლად,
მაგრამ კიბესთან შემომხვდა ხალხი
და ქაღალდები გადმომცეს რაღაც,
ჩანს სათხოვარი დაპროვებიათ,
ან საჩივარი ექნებათ რამე.

ახლავე ვნახავ, რადგან ვინ იცის,
როგორ ელიან ჰერცოგის პასუხს,
შენ ახლა წადი. მარტო დამტოვე,
არის ამქვეყნად საქმე, რომელიც
მარტო განმგებელს ხელეწიფება.



ბატიანი

ღმერთმა გაცოცხლოთ. რადგან დღედაღამ
ხალხისთვის ზრუნავთ გულმოწყალებით.
დე სასიკეთოდ მოგიზღოთ ზენამ,
მოგცეთ მტრის ძლევა, მიწვივ მხნეობა
და საუკუნო დიდება თქვენდა!

(გადის)

გამოსვლა მათი

ფერარის ჰერცოგი მარტო

პერსონი

მამ წავეკითხოთ.

(კითხულობს)

„ესტასიო მქვია სახელად.
თქვენი მებაღე ვარ, საქმე არ დამეძრახება.
ფავილებს ვუვლი, მიწას ვბარავ დაუზარებლად,
ექვსი ვაჟკაცი გამიზრდია. გემუდარებით,
ორ უფროსს მისცეთ...“ ჰო, გავიგე, სხვას მოვუსმინოთ,
ერთგულ მებაღეს შევუსრულებ თხოვნას უცილოდ.

(კითხულობს)

„მე ვარ ლუსინდა. ჩემს მეუღლეს ერქვა არნალდო.
ის კაპიტანი იყო...“ მახსოვს, ესეც გადავლით.

(კითხულობს)

„მე ალბანო ვარ, მოვახსენებთ, ჩემო ბატონო,
რომ ვარ მოხუცი დაკრძომილი და უპატრონი...“

ისევ ვედრება...

(კითხულობს)

მე ჯულიო კამილა მქვია,
ვიყავი ქურდი, ახლა ვზივარ... ეს ცოტა გვიან.

(კითხულობს)

„მე ვარ პაოლა სან ჯერმანო, ამასთან ერთად,
ვარ წესიერი ქალიშვილი...“ გაშველა ღმერთმა!
ქმარი სჭირდება ამ წესიერ ქალიშვილს ალბათ.
მსურს ეს წერილი წავიკითხო, ვილატა ქალმა
გადმომცა იგი. სილატაკებს სულ მთლად დაეჭვნო
და თანაც თუალებს მარილებდა, მახსოვს, საეჭვოდ.

(კითხულობს)

„ხენიორ, ვიდრე ლაშქრობაში იყავ წასული,
აქ თქვენმა ვაჟმა...“ – ვატყობ მელის ცუდის გაგება,
ტყუილუბრალიდ არ მტანჯავდა გრძნობა ავსული,
ჩანს, ვერ ივარგა ჩემმა ვაჟმა ქვეყნის განმგებლად.
თუმც წავიკითხოთ... „და მეუღლემ თქვენმა, კასანდრამ,
ურცხვად შებილწეს სარეცელი თქვენი...“ ვაიმე!
რა ღუთის რიხვია, მზე უეცრად როგორ გაშავდა!
„მალე თქვენ თვითონ ყოფილივეს უკეთ გაიგებთ“...
ეს რა წერია! როგორ ვირწმუნო!
ან როგორ დავრჩე ეჭვის ამარა!
მე ხომ იმისი ღვიძლი მამა ვარ,
უნც ასე ურცხვად, ასე ბინძურად
ჩემი ღირსება დაასამარა.
ვერ დავიჯერებ ვერარა ძალით,
რომ ჩემს მეუღლეს მიუძღვის ბრალი.
ან შეილმა ასე ვით დამაქცია,
თუმცა ისიც ხომ მამაკაცია,
ხოლო კასანდრა – ლამაზი ქალი!
მათი შეხედვაც სიხარულს მგვრიდა,
გულში კი თურმე სიბილწე უღევს,
მართლაც რომ დიდი ცოდუების ბუდე
ყოფილა კაცი გაჩენის დღიდან.
ერთარც ერთ დროს ეუწყა დავითს
საზარი საქმე ნათანის პირით,
რომ ეჭრებოდა ხელმწიფის თავი
რომ ვერავობდა ხორცი და ძირი,
მეც ამ წერილმა შაცნობ, თურმე
აბესალოში მყოლია შვილი.
არა, რას ვადრი, ალბათ არასდროს
კაცს არ ჰქონია ტანჯვა ასეთი,
დავითს წაართვა ვაჟმა ხასები,

მე კი მეუღლე შვილთან მღალატობს.
 ჩემს უზნეობას ბევრგან უვლია,
 ალბათ მიტომაც დამსაჯა ღმერთმა:
 და აჰა, ცოდვილ ჩემს თავსა ზედა,
 უფლის მახვილიც აღმართულია,
 თუმც ვირსაეიას მშვენებით ვნებულს
 არ გამიწირავს დავიოს ურია.
 შვილის ღალატი! ეს არის ბოდვა!
 მართალს შეუიტყობ მხოლოდ მოთმენით,
 უკანასკნელი ბორბტმოქმედისც
 ვერ ჩაიდენდა ამნაირ ცოდვას.
 მაგრამ თუ ეჭვი გამართლდა ოდნავ,
 თუ დადასტურდა, რომ ჩემი ვაჟი...
 ო, შურისგება აღსრულდეს მაშინ...
 დე ასჯერ აღსდგეს მკვდრეთით ორგული,
 რომ ასმკერთედ იქნას მოკლული
 და მკვლელს მიეგოს მარტოდენ ტაშით!
 გრაფმა უღმერთოდ გამწირა, ვხედავ,
 ნუთუ ჩემს შვილსაც ვერ უნდა ვენდო,
 ნუთუ ნამუსი არ არის, ღმერთო!
 ვის დავუჯერო ამქვეყნად ნეტავ?
 ველარც მოწმეთა დაკითხვას ვხედავ,
 რადგან ატყდება ენის ღაქლაქი,
 უცებ გაიგებს მთელი ქალაქი.
 ვინმე რომ კიდევ მყავდეს იმედად,
 მართლის თქმას მაინც ვერ გამიბედავს!
 მაშ, დავიჯერო შვილის ღალატი?
 მაგრამ ეჭვები ეჭვებს მიეება,
 ხომ შეიძლება, რომ ეს ბრალდება
 არ იყოს ყალბი? თუ გამართლდება,
 ვფიცავ, არავის ეპატიება...
 სასჯელი? არა, შურისძიება!
 ამიტომ უნდა გამოვიძიო,
 მართლა მიუძღვით თუ არა ბრალი,
 თუმცა ისიც კი კარგად ვიცი, რომ
 ეჭვიც საკმაო სამხილი არის,
 თუ ვსურს ღირსება გადაირჩინო.



გამოსვლა ვითარებება

ფერარის ჰერცოგი, გრაფი ფედერიკო

ფედერიკო

რაკი არ გძინავთ, მოსვლა გავბედე,
 მსურს რაღაც ვთხოვოთ.

კერძობი

ნუ გერიდება.

ხომ კარგად იცი, რომ ყოველ თხოვნას
მეის შეგისრულებს მშობელი შენი.

**ფაღარიკო**

მამავ, თქვენ ერთხელ შემომთავაზეთ,
ხათხო ავრორა შექმერთო ცოლად
და მეც თანხმობა მოგეცით მაშინ,
რადგან ოცნებაც ეს იყო ჩემი.
შემდეგ უეცრად შებრუნდა საქმე,
ბრწყემა სულმოკლედ ვიქცვიანე,
რომ ქალი მარკიუსს ეტრფოდა თითქოს
და გადავედი თქვენს ნება-სურვილს.
გამოხდა ხანა, თქვენ გაემგზავრეთ
და მართლ დავრჩი ამგვარ ეჭვებთან.
მალე დავრწმუნდი, რომ მწარედ შევცდი
და ქალს ამაოდ დავწამე ცილი.
მეის პატიება ვითხოვე მისგან,
თანაც აღვუთქვი, რომ მოკლე ხანში,
ოდეს თქვენ სახლში დაბრუნდებით
და დალოცავდით ჩვენს ქორწინებას,
ჯვარს დავიწერდით აუცილებლად.
და აი ახლა ვთხოვთ თქვენს თანხმობას.

კერძობი

მე ბედნიერი ვიქნები, შვილო,
თუკი ახდება ოცნება ჩემი.
მაგრამ ჯერ დედას სთხოვე თანხმობა,
ნახეთ, რას გირჩევთ, რას გიტყვით გულით.
უსამართლობა იქნება სწორედ,
მის უკითხავად გარიგდეს საქმე.

ფაღარიკო

მე ღვიძლი შვილი არა ვარ მისი,
უცხოს კი ჩემთან, თქვით, რა ხელი აქვს?
რა საჭიროა მასთან თათბირი?

კერძობი

თქვენ მასში დედას უნდა ხელავდეთ,
თუმცა მუცლით არ უტარებიხართ

ფაღარიკო

ვთხოვთ მაპატიოთ, მაგრამ არ ძალმიძს,
რადგან მშობელი ერთია ქვეყნად.

პერცოვი

იქნებ ნაწყენი ხარ ქალბატონზე?
მე კი სიხარულს ველარ ვშალავდი,
როცა მითხრეს, რომ ჩემს არყოფნაში
თქვენ მეგობრულად ცხოვრობდით თურმე.



ფაღარიკო

სიცრუე უთქვამთ თქვენს საამებლად:
თუმცა კი ვიცი, რომ არ ეგებთ,
ქმარს პირში უთხრა ცოლის აუვი,
მე ვერ დავმალავ სიძარითლეს მაინც.
ღიახ, კასანდრა ბევრს მეგობრობდა,
მხოლოდღა ჩემთან იყო გულცივი.

პერცოვი

მე კი ვირწმუნე სხვათა ნათქვამი,
ჩანს, მოერიდნენ ჩემს წყენინებას
და ამიტომაც იცრუეს ასე.

ფაღარიკო

ხან მართლაც ტკბილად მეტყოდა რასმე,
ხანაც კი გულღრმოდ მაგრძნობინებდა,
რომ ვტულდი იმის სისხლი და ხორცი,
ვინაც მის ქმართან იყოფდა ლოცინს.

პერცოვი

რა გულსაკლავი სიტყვები მესმის!
მას ვოცნებობდი მე ღღენთადავ,
რომ მეგობრობა მეხილა თქვენი,
აჲ კი, ცხადია, აღარასოდეს
აღარ ექნება ჩემს სულს სიმშვიდე.
მარტო დამტოვე!

ფაღარიკო

გფარვიდეთ ღმერთი

(გადის)

გამოსვლა მეთორმეტე

ფერარის პერცოვი მარტო.

პერცოვი

ველარ ვიოკებ მრისხანებას, კიდევ მადლობა,
რომ ამიხილა თვალები ღმერთმა!
რა უნამუსო სიცრუეა, რა სულმდაბლობა,

ამაზე ცხადად რა უნდა ეთქვა!
 კვალის ამრევი გულწრფელობით როგორ მაცნობა,
 ვითომ სწადია აურორას შერთვა!
 ან ჩემს ძეუღლეს რომ ახსენებს ასე აუგად,
 თითქოს წყენა აქვს გულში ჩაფლული,
 განა ვერ ვხვდები, სიმართლის მოქმელს ვიფიქროს
 რა უგავს,



ეროვნული
 კიბურთა

ესეც ფანდია მიხი მზაკვრული!
 თან გულახდილად რომ ცდილობდა ჩემთან საუბარს...
 ვიცო, წინასწარ კასანდრასთან აქვს ჩაკაკლული.
 მისი სისხლ-ხორცი არა ვარო. ამასაც ბედავს,
 თანაც თვალეებში ურცხვად მისცქერის!
 თუმც მართალია: იმ ქალს როგორ უწოდოს დედა,
 ვისთან ზიარიც აქვს სარეცელი!
 მადლობა უფალს, ყოველივეს აწ კარგად ვხედავ,
 მაგრამ რა ვუყო სახელს შერცხვენილს!
 იქნება მტრები მატყუებენ, იქნება ვცდები!
 იქნებ ვირწმუნე ჭორი ავგულთა!
 იციახ, ჩემი გაჩრისხება არ არის ძნელი
 და მიმზადებენ მახეს მზაკვრულად?
 მაშ, ახლა მმართებს მე სიფხიზლე და სიბრძნე ძველი,
 ჯერ იმედი მოლად არ დაკარგულა!

გამოსვლა მისამართი

ფერარის პერციოვი, კასანდრა, აურორა

აპრორა

მაშ, ბედ-იღბალი თქვენი მხევალის
 აწ, ხენიორა, თქვენ გებარებათ.

კასანდრა

აურორა, ეჭვიც არ მეპარება,
 რომ ბრძნული არის ეს არჩევანი.

აპრორა

ჩუმად, პერციოვი!

კასანდრა

ხენიორ, თქვენ ხართ?
 მოსახვეწებლად რატომ არ დარჩით?

პერციოვი

მე დღენიადავ ზრუნვით და გარჯით
 უნდა მივუზღო სიკეთე ჩემს ხალხს

და თქვენც მაღლობას მოგიძღვნით აქვე,
 რადგან მრავალი საბუთით ვიცო,
 რომ თქვენ და გრაფი ისეთი სიბრძნით
 უძლიდით თურმე სიქვეყნო საქმეს,
 სულ თქვენი ქება ანდამატივით
 პირზე ეკერა ყრმას თუ ბერიკაცს.



კასანდრა

გთხოვთ დამერწმუნოს, რომ ფედერიკოს
 ეკუთვნის მხოლოდ მათგან პატივი.
 მისი შექება არ არის ძნელი
 და ეს სიკეთე მშობლის მაღლია,
 ზედ გამოჭრილი მამის ხატია —
 ბრძოლაში მხნე და საქმეში — ბრძენი.

კერცობი

მიხარია, რომ გხედავთ მეგობრებს,
 მჯერა, ღირსია ასეთი ქების.
 ისე მგავს მართლა შემკვიდრე ჩემი,
 რომ აღბათ ზოგჯერ მეც კი გეგონეთ.
 და ამისათვის თქვენ, სენიორა,
 სამაგიეროს მოვიზღავთ ღმერთი.

კასანდრა

ახლა ავრორას აქვს თხოვნა ერთი,
 ვფიქრობთ, თანხმობას მისცემთ იოლად,
 ხომ ნებას დართავთ ამ სათნო ასულს,
 რომ იქორწინოს მან და მარკიზმა?

კერცობი

მე წყენინება ამათი არ მსურს,
 გთხოვთ დამიჯეროს, მაგრამ რას იზამ —
 გრაფმა ითხოვა ავრორას ხელი
 და მეც თანხმობა მივეც მას ადრე.

კასანდრა

რა? ფედერიკომ?

კერცობი

ღიახ, კასანდრა!

კასანდრა

გრაფს...

პერცობი

ჰო, ეს არის მიზეზი მოელი.

კასანდრა

აქამდე ჩემთვის რატომ არ გითქვამთ?



პერცობი

ხვალ დილით, როგორც ქრისტეს წესია,
დააქორწინებს მათ ეკლესია.

კასანდრა

ავრორასაც ხომ ეკუთვნის სიტყვა?

ავრორა

სენზორ, ახლავ ვაცხადებ უარს,
მე თქვენს ვაფს ცოლად აღარ გავყვები!

პერცობი

რაი? რას ამბობთ? არ მეთანხმებით?
ავრორა, ხომ არ დაკარგეთ ჭკუა,
განა კარლოსში ხედავთ გრაფის ტოლს
ან გარეგნობით, ან გვარიო, გონით?

ავრორა

სწორია, მაგრამ თქვენც გახსოვთ, მგონი,
გრაფმა აბუჩად როგორ ამიგდო.
ისევ სურს ჩემი გაპამბულება?
მისი ფანდები კარგად მეცნობა!

პერცობი

ვთხოვთ, აპატიოთ გრაფს ეს შეცდომა.

ავრორა

მარკიზის გარდა არ მეგულება
ამქვეყნად ვინმე ჩემი ერთგული.

პერცობი

ეს სისულელე არ გამაგონო!

კასანდრა

სიძარითღეს კკადრებთ, ჩემო ბატონო,
თუმც ვპასუხობდათ გაავებული.

პერსონი

ასეთი არის ჰერცოგის ნება,
ხვალ ჯვარს დაიწყეთ! შორჩა კამათი!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

კასანდრა

არ გეკადრებათ, სენიორ, ვნებას
გულში ვერ აღძრავ ძაღვისძაღვათი...

(თავისთვის)

ვაიმე ბედკრულს, ამას რას ვხედავ!
გრაფს განუზრახავს ჩემი ღალატი!

(ჰერცოგი და ავრორა გადიან)

გამოსვლა მათოთხაათა

კასანდრა, გრაფი ფედერიკო

ფედერიკო

აქ იყო ახლა მშობელი ჩემი!

კასანდრა

როგორ გაბედე, მითხარ, ორგულო,
რომ ასე უღვთოდ და უსირცხვილოდ
მამამენს სთხოვე ავრორას ხელი?

ფედერიკო

ჩუ, სენიორა, ხიფათი გველის,
ხმადაბლა, ვინმემ არ მოგვისმინოს!

კასანდრა

არ მეშინია და ნურც შენ დარდობ!
იმ ქალს ახლოს არ გაეკარები!

ფედერიკო

რა მოგდით... ჩუმად... გემუდარებით!

გამოსვლა მათოთხაათა

ივინიკე, ფერარის ჰერცოგი შემოდის და შეუმჩნეა
ღად შორიახლო ღგება

პერსონი

ჰა, აქ ყოფილან, სულ მარტოდმარტო,
ეჭვიანობას ასი ყური აქვს.

იქნებ შევიტყო მათგან ცოტ-ცოტა,
თუმცა კი ჯობდა, სულ არ მცოდნოდა,
რისი გაგებაც ასე მწყურია.

შეღარიკო

ჩუ, სენიორა! ღმერთო, რა ხდება!
თქვენსავ ღირსებას ეცით პატივი.

კასანდრა

ნუთუ ფიქრობ, რომ ასე ადვილი
იქნება ჩემი თვალის ახვევა?
შენ შემომფიცე ტრუობა მარად და
მეც შემოგწირე ჩემი სიწმინდე.

შეღარიკო

განა სიფრთხილეს უნდა მითვლიდეთ
სულმოკლეობად ანდა ღალატად?
ამ ქორწინებით მე ის მსურს მხოლოდ,
რომ ავუხვიო თვალი მამაჩემს,
რადგან სხვაგვარად იმის განაჩენს
ვერ ვავექცევით, იცოდეთ ბოლოს.
მერწმუნეთ, ასე არის საჭირო,
რაიმე უნდა ვიღონოთ ჩქარა,
თორემ ეყოფა ხელმწიფეს ძალა,
რომ ეს შერცხვენა არ შეგვარჩინოს!
აწ ჩვენს სიყვარულს უნდა ვძალაუდეთ,
რაკილა ღმერთმა ასე ინება.

კასანდრა

მაშ გადაწყვიტე დაქორწინება?
მაშ, მე გამწირე და მილაღატე?
მაშ, ის ცრემლები, ფიცა, თაყვანი,
მე რომ სიწმინდე დამათმობინა,
სულ ვერაგული ხრიკი ყოფილა,
რომ შეგენილბა შავი ზრახვანი?
ფლიდო, ორგული, იყავ წყეული!
ო, ეს ტკივილი ვით ავიტანო?

კერცობი (თავისთვის)

ღოდი ვყოფილვარ, ტინი პიტალო,
რომ არ შეშლება ახლა სხეული!
არა წამებით და არა კვეშით
მათ საიდუმლო გათქვეს საზარი,
მაგრამ ამქვეყნად კიდევ რა არის,



რომ შეეწონოს წამება ჩემი.
 ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერი,
 ღირსებავ ჩემო, დაუჩახებლად
 ხომ მოისმინე ეს აღსარება,
 მაშ, დაუდგინე ორგულთ სასჯელი!
 მაგრამ ეს საქმე, ბილწი და შავი
 არ უნდა გახდეს ქვეყნის სათრუვად,
 ჭეშმარიტ რაინდს არ ეკადრება,
 რომ ხალხის ყბაში ჩაიგდოს თავი.
 არ შეიძლება ამის გამხელა,
 არვინ იცოდეს უნდა მართალი —
 თუ ქურდს ქურდობა ვერ წაასწარი,
 მას ქურდი აღარ ჰქვია სახელად.
 თელაფდასხმული ღირსების დაცვა
 შურისძიებით უცდიათ მიწყვივ,
 მაგრამ ზღვაც ველარ ჩამოგრეცხს სარცხვილს,
 თუ საიდუმლო შენს ბაგეს გასცდა.



(გადის)

გაიოსვლა მათაჟსაჟათა

კახანდრა. გრაფი ფედერიკო

კახანდრა

მამაკაცებო, იყავით კრულნი,
 როგორ გელაღატობთ ასე იოლად.

ფედერიკო

მე გეფიცებით, რომ სენიორა,
 დავემონები თქვენს ნება-სურვილს

კახანდრა

მართლა?

ფედერიკო

ირწმუნეთ სიტყვა რაინდის!

კახანდრა

კვლავ ჩამესახა გულში იმედი,
 მაშ, საბოლოოდ არ გამიმეტე?
 ღმერთო, რარაგად გავსხვანაირდი.
 პირობას გამლევთ, რომ აწი ხშირად
 თქვენთან შეხვედრის საბაბი ყპოვო.

ფელერიკო

ნება მომეცით, ერთი რამ ვთხოვოთ,
რადგან სიფრთხილეს თავი არ სტკივა.
აწ ნუ იქნებით ასე გულცივი
თქვენ მამაჩემთან.



კასანდრა

ჰო, მართალია —
ქმრის მოღალატე ცოლის ვალია,
ხანდახან ქმარსაც რომ გაუცინოს.

(კადის)

გამოსვლა მინვიდეტა

ავრორა, ბატინი

ბატინი

ამბავი მითხრეს გასახარელი:
ცოლად მიჰყვებით თქვენ თურმე მარკიზს,
უკვე შეკრულიც გქონიათ ბარგი
და მანტუაში მიემგზავრებით.
თქვენთან წამოსვლის ნებას თუ დამრთავთ,
გემსახურებით გუბოს კარამდი.

ავრორა

რად განიზრახეთ გრაფის ღალატი?
ნუთუ თქვენ პატრონს დატოვებთ მართლა?

ბატინი

იქ, სადაც მსახურს ლუკმას უთვლიან
და თან ცხრაპირ ტყავს აძრობენ შრომით,
კაცი კი არა, რომ იყოს ღომი,
დიდხანს გაძლება არ შეუძლია.
თუმც დაპირება კარგი სცოდნიათ.
არას ვვაკლებენ, ვიტყვოდი მართალს,
მაგრამ, ხომ იცით, ხვალისდელ ქათამს
ამდღევანდელი კვერცხი სჯობია,
ჩემი ბატონიც მაოცებს მეტად,
სულ შეიცვალა ბოლო ხანია —
ვერ იტყვი, რა სწყინს, რა უხარია,
ან რა უშმაკი შეუჯდა ნეტავ?
მუდამ მხიარულ ჩვენს ქალბატონსაც
შუბლგახსნილს ველარ ნახავთ წუთითაც,
სულ არ გამოდის თავის ბუდიდან,

რალაცა სევდით შეპყრობილია,
 სუყველას ვატყობ საოცარ ვარაძს,
 თვით ჰერცოგიც კი აღარ მეცნობა,
 ვითომ არ იმჩნევს, მაგრამ ეტყობა,
 რომ გულში რალაც საწუხიარს მალავს.
 მეც დამეკარგა სულ მთლად ხალისი
 და აქ დარჩენაც ამიტომ არ მსურს.



ქართული
 საბავშვო ლიტერატურის
 გამომცემლობა

აპრორა

ოდეს მივიღებთ ჰერცოგის დასტურს
 და ჯვარს დავიწერთ მე და მარკიზი,
 ჩვენთან წამოხვალთ, გაძლევთ პირობას,

ბაბინი

მადლობელი ვარ, მაშ, მიმსახურეთ!
 ახლა კი მარკიზს მოვინახულებ.

(გადის)

გამოსვლა პითოკრაპიათ

აპრორა, ფერარის ჰერცოგი

ჰერცოგი

ჰოი, ღირსებავ! როგორც მგონია,
 ყველაზე დიდი მტერი ხარ ჩემი,
 რადგან ცოლები კაღნიურად ფეხქვეშ გოვლავენ,
 თუმც ქმრებს ვალად გვაქვს მონება შენი.
 ჰოი, ღირსებავ! მომგონა შენი, —
 რახან ყველანი ეარო განწირული
 დაგკარგოთ ჩვენი ბრალის გარეშე, —
 კანონმდებელი შენი-მეთქი არ ყოფილა ბრძენია უბრძნესი,
 ნადირის მსგავსი არის თურმე იგი ტყიური,
 წუთისოფლისგან გატანჯულმა, გაწამებულმა
 მან შენი თავი გვიანდერძა,
 მასავით ქვეყნად ჩვენც რომ ვიტანჯოთ.

(შეამჩნევს აპრორას)

ასული ჩემო...

აპრორა

ბრძანეთ, ბატონო!

პერცოზი

იცოდე, მარკიზს
შენზე ჯვრისწერის ნება მივეცი,
მსურს ჩემს მეუღლეს ვაამო ამით,
არ მინდა გრაფის მადლობის ფასად
მას საძუდამოდ ვატკინო გული.



აპრორა

არ დაგივიწყებთ ჩვენ ამ სიკეთეს,
თქვენთვის მლოცვლი ვიქნებით მუდამ.

პერცოზი

დროა, კარლოსმა აცნობოს ბიძას
გასახარელი ესე ამბავი.

აპრორა

ახლავ მარკიზთან გავეშურები
და მანტუაში გავაფრუნო წერილს.

(გადის)

გამოსვლა მაცხრაჟებთა

ფერარის პერცოზი მარტო.

პერცოზი

წმინდაო ზეცავ, დღეს უღმობელად
შენ აღასრულებ ბედის განაჩენს —
ჩემს ძეს შეცთომილს მოუვლენ სასჯელს,
აჰა, აღიღე მახვილი შენი!
ეს არ იქნება შურისძიება.
ვერ შევეურაცხვეოფ შენს წმინდა კანონს
და ვერ ვიძიებ შურს ჩემს პირმშოზე,
თუმც შურისგებით მიღელავს გული!
დაე, ეს იყოს მისთვის სასჯელი,
სასჯელი მკაცრი და უღმობელი
და აღასრულებს მას არა კაცი,
არამედ ზეცა განგების ხელით,
მე არ ვარ ქმარი თაულაფდასხმული,
ვარ მხოლოდ მამა უღირსი შეილის!
არა ვარ მსხვერპლი, ვარ მოსამართლე!
და დამნაშავეთ მსურს მოუუკლიხო
სასჯელი, არა შურისძიება.
ჩემი ღირსება მკარნახობს ახლა,
რომ საიდუმლოდ იქმნას ყოველი,

რადგან გახდება ქვეყნის სათრეუად,
 თუკი სიძარტლე შეიტყო ხალხმა.
 როცა საჯაროდ განიბანს კაცი
 თავის შერცხვენის სამიხელ ლაქას,
 მაშინ უფრორე ლაფში მოთხვრილა
 დარჩება იგი უკუნისამდე.
 კახპა კასანდრა გავთოკვი უკვე
 და გავახვიე სხვის მოსასხამში,
 პირში ჩაეჩარე ჩერების გორგალი,
 რომ არვის მისწვდეს ხმა განწირულის.
 როცა განზრახვა გავანდე ჩემი
 და ავუხსენი, რაიც ელოდა,
 შიშისგან ლამის წაერთვა ცნობა,
 მაგრამ ამაოდ ელის სიბრაღულს,
 ამ გულში მისთვის არ მაქვს ადგილი,
 მაგრამ როს შვილის დასჯახუ ვფიქრობ,
 თვალთ მიბნელდება, მიკვნესის გული,
 სული იტანჯვის, ხორცი მეშლება,
 ძარღვებში წყდება სისხლის დინება,
 ილაჯწართმეულს მეკერება სუნთქვა
 და მეკარგება გონება ბედკრულს.
 ვით ნაკადული სუსხიან ღამით
 შეეყინება წყაროსთვალს, მყიფედ,
 ისევე სიტყვებს გულიდან დაძრულს
 დამზრალ ბაგეზე მაყინავს ზაფრა,
 ო, სიყვარულო, ღმერთმა უბრძანა
 შვილებს მამათა პატივისცემა,
 ჩემმა ვაჟმა კი უტიფრად შერყვნა
 უზენაესი მცნება უფლისა.
 შენც, სიყვარულო უღირსი შვილის,
 დადუმდი, ნუღარ მიბჟუტავ გულში,
 ნუ ცდილობ იხსნა განსაცდელისგან
 ის, ვინც პატივი აპყარა მშობელს,
 დღეს თუ ღირსება შელახა მამის,
 ხვალ თვითონ მასზე შემართავს მახვილს!
 უწინ ამაზე მცირე ცოდვისთვის
 სჯიდნენ შეცთომილთ შეუბრალებლად
 არტაქსერსები, ტორკვატოები,
 დარიოსები და ბრუტოსები
 და არ უთრთოდა არც ერთს მარჯვენა.
 მაშ, სიყვარულო, რად მეურჩები,
 დადგენილია დღეს განაჩენი.
 გონიერების დიდ სამსჯავროში
 ზის ბრალმდებელი — მამის ღირსება
 და სამართლიანს მოითხოვს სასჯელს!
 თუმცა მეცრია ბრალდება მისი,
 მაგრამ სიძარტლეს ვერვინ უარყოფს,



რადგან მოწმენიც აქვე არიან —
 თვალნი და ყურნი მოუსყიდველნი.
 თუმც მშობლის გული — მჭევრი ვექილი
 თავგამოდებით იცავს ბრალდებულს
 ამათ არის მისი მცდელობა —
 ვერ იძალება დანაშაული
 და შეურყეველ კანონსაც უფლის
 ვერ შეცვლის ძალა ვერავითარი.
 კმარა ყოყმანი, გაქვავდი, გული!
 დაე, აღსრულდეს გარდაუქვადი!..
 ჰა, ისიც! ღმერთო, მომეცი ძალა!



ბაგოსვლა პეოცე

ფერარის ჰერცოგი, გრაფი ფედერიკო

ფადერიკო

ჩემო ხელმწიფევ, ყური მოვკარი,
 რომ ავრორა და მარკიზი მალე
 ჯვარს დაიწერენ თქვენის თახხმობით
 და მანტუაში წავლენ მაშინვე.

პერციოზი

ეს სიცრუეა, გრაფო, მერწმუნეთ,
 მაგრამ გადავდოთ ეგ საუბარი,
 რადგანაც ახლა სულ სხვა ფიქრებით
 შეპყრობილია გონება ჩემი.

ფადერიკო

მესმის, ხელმწიფევ, დღემუდამ ფიქრი
 ყოფილა ბედი გვირგვინოსანის.

პერციოზი

ერთმა მზაკვარმა ვეზირმა თურმე
 ჩემი ღალატი ჩაიღო გულში
 და მოკვდინებას მეპირებოდა.
 თავის საყვარელს გაანდო ბრიყვმა
 ეს საიდუმლო დაუფიქრებლად,
 მან კი მე მამცნო, საბედნიეროდ.
 დიაცს ბევრი არ დაეჯერება,
 მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა
 და მყის მოვიხმე ის კაცი ჩემთან,
 ვამცნე, საქმე მაქვს ფრიად საშური
 და შენი რჩევა მჭირდება-მეთქი.
 ერთ-ერთ ოთახში შევუძეხ ორგულს,
 მოულოდნელად დავრაზე კარი

და ვუთხარ ვიცი-მეთქი ყოველი,
 იმან მაშინვე დაჰკარგა გრძნობა
 და ძირს დაეცა, როგორც უსულო.
 მაშინ დავაკარ ის სავარძელზე
 და მოსასხამში გაეხვიე კარგად,
 რომ საიდუმლოდ დარჩეს ეს საქმე
 და შითქმა-მოთქმა არ ატყდეს ხალხში.
 შენ ძე ხარ ჩემი და გევალება,
 რომ მამის მტერი მოჰკლა ახლავე,
 უნდა აიღო ხელში მახვილი
 და დასცე მზაკვარს დაუფიქრებლად.
 აბა, გიბრძანებ: შეიხსენ დაშნა
 და მოლალატვს ვაუპე მკერდი!
 მე აქ კარს უკან დავიმალება —
 მსურს ჩემი თვალით რომ დავინახო,
 როგორ დაღაფავს სულს წარყმედელი.



ფაღვარიკო

ვერ გამოვიკა თქვენი, ღმერთმანი,
 ჩემს ვაჟკაცობას ამოწმებთ ამით
 თუ მართლა ელის თრგულს სასჯელი?

პერცობი

მამის ბრძანება შვილისთვის უნდა
 იყოს კანონი შეურყეველი,
 თუნდაც შეცდომას იქმოდეს ამით!
 ლაჩარო, გინდა მე თვით წავიდე?

ფაღვარიკო

ნუ მირისხდებით, მამავ ბატონო,
 ჩემგან სიმხდალე რა სათქმელია,
 მაგრამ ერთი რამ ჩანს უცნაურად
 და ამიტომაც შევეყოვნდი ასე...
 ხომ გათოკილი არის ის კაცი?

პერცობი

მხდალო! მიდიხარ?

ფაღვარიკო

ღიახ, მივდივარ!
 რაკი ეს არის სურვილი მშობლის,
 მაგრამ...

პერცოვი

გამიშვი, შე უდღურო!

ფედერიკო

არა, წავედი, თქვენი გულისთვის
თვით კეისარსაც კი არ დავეინდობ!



პერცოვი

შე აქ ვიქნები, კარს უკან...
მიუახლოვდა და... ჩახცა დაშნა!
აჰა, აღსრულდა შურისძიება!
არა, სასჯელი იწყება მკაცრი!
ჰეი, დარაჯნო! ყველანი აქეთ!
ხადა ხარო, ჩქარა, იღვრება სისხლი!
სასახლის მცველნო, მსახურნო, აქეთ!

გამოსვლა ოცდაათერთა

ფერარის პერცოვი. მარკიზი გონზაგო, ავრორა, ბატონი,
რიკარდო და სხვანი

მარკიზი

ცოცხლად! პერცოვი სად არის? აქეთ!
აქეთ! ხელმწიფევე, რა ამბავია?..

პერცოვი

ო, ბოროტება უსაზარლესი!
გრაფმა კასანდრას ჩახცა მახვილი!
დედინაცვალი განგმირა თვისი,
რადგან იცოდა, რომ მეირე ხანში
შობდა ვაჟს, ნამდვილ მუშვეიდრეს ჩემსას.
დაე მიეგოს ჯაღათს სასჯელი —
მოჰკალით გრაფიც, მე ვაგებ პასუხს!

მარკიზი

რაო, კასანდრა მკვდარია?!

პერცოვი

ღიახ!

მარკიზი

მაშ დაისაჯოს ახლავე მკვლეელი!
მას ჩემი დაშნა მოუღებს ბოლოს!

პერსონები

აჰა, თვით ისიც, აქეთკენ მოდის,
ხედავთ მის მახვილს სისხლით შეღებილს?



გაეოსვლა ოცდაათრა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისევ ისინი და გრაფი ფედერიკო გაშიშვლებული დაშნით

ფედერიკო

ღმერთო ძლიერო, რა დაგიშავე.
მსურდა შემეველო თვალი მსხვერპლისთვის,
ოდნავ ავწიე მოსასხამი და...

პერსონები

გაჩუმდი! დადგა დღე აღსასრულის!
დასაჯეთ მკვლეელი!

მარკიზი

სიკვდილი ჯალათს!

ფედერიკო

ეს რისთვის, მამავ?

პერსონები

იქ, ჯოჯობეთში,
ოდეს წარსდგები ღვთის სამსჯავროზე,
მიიღებ შენი შეკითხვის პასუხს!

(მარკიზი გონზაგო და კარისკაცები იშიშვლებენ დაშნებს,
უბრუნებენ ფედერიკოს და კულისებთან მიიმწყვდევენ)

შენ კი, აერორა, გაძლევე უფლებას,
რომ აღისრულო შენი წადილი:
მარკიზ გონზაგოს ვაბარებ შენს თავს!

აპრორა

აღარც კი ვიცი, რა გიპასუხოთ,
ისე ამემღვრა გონი, სენიორ.

ბატიანი (აპრორას ჩუმად)

გირჩევთ ახლავე თანხმობა მისცეთ,
აქ საშიშია აწი დარჩენა.

პროზა

ნება მიბოძეთ, რომ ხვალ გაუწყოთ
ჩემი პასუხი.

(მარკიზი ბრუნდება)



მარკიზი

ალარ გვეყვს გრაფი!

პროზა

იქ მიმიყვანეთ, უკანასკნელად
უნდა დავხელო მათ ცოდვილ გეგმებს.
სულ ერთი წაბით შევაკლებ მზერას.

მარკიზი

აღსრულდა მსჯავრი: დამნაშავენი
დავსაჯეთ!

პროზა

დიახ, შურისძიება
არა სწევია მართლმსაჯულებას!
გრაფმა შებიღწა ტახტის სიწმინდე
და დაისაჯა სამართლიანად.

ბატინი

და აქ მოაზრდება ამ ტრაგედიის
შესამე აქტი, გვამცნობს რომელიც,
ვინც დააშავებს, ისჯება კიდეც,
სასჯელს არ ჰქვია შურისძიება!
დე, ეს პიესა ესპანელთათვის
ჭკუის სასწავლი იყოს მარადჟამს.



ლექსები



ინგლისურიდან

თარგმნა სტეფანე მხარბრიშვილი

მორჩენილები

როს დღის ნათელი გაცრიატლება
და გადუქვრება ღამის ვუალი,
ფარული სხივის აციაგება
არის ჩემს სულში გარდაუვალი.

ამ დროს ბუხარში ალი არ ცხრება,
იზლაზნებიან შავი ჩრდილები,
კედელს ეკვრიან ღამის ნამსხვრევად
და მე წარსულში ჩავიძირები.

მოჩვენებათა მწკრივი დადგება,
ივლებს წამი რაღაც მისსური
და სახეები აკიაფდება
ჟამთა სიაყით გადანისლული.

ზოგი მწვერვალზე ასვლას აღმერთებს,
მანვე დათრგუნა ძალა ბოროტი,
ზოგმა ვერ სძლია კლდიან აღმართებს,
ვერ გაიტანა ღელო ბოლომდი.

ზოგს სწავდა ტანჯვა გაუმხელელი,
ჯვარს სიმწრის გზაზე ეზიდებოდა
და წმინდა გულით, წმინდა ხელებით
ცივ სამარეში წყნარად წვებოდა.

ერთსაც ღირსება ერქვა სახელად,
ვინაც მშფოთვარე ჩემი ცხოვრება
სამოთხესავით გაანათელა,
გამიაღვილა სულის ცხოვნება.

სასურველ აჩრდილს თანდათან ვწვდები,
ვერძნობ მის საოცარ მოახლოებას,
თითქოს მეხება მსუბუქი ფროებით
და არც კი არღუევს ჩემს მყუდროებას.

ჩემ წინ უძირო თვალები ღვივის,
მხიბლავს, მატყვევებს ხედვა ციური,
როგორც ტყეს ავსებს ვარსკვლავთა
სხივი,
მოძჯადოები და შავიური.

აღმანთო ლოცვად, ისე დამბნიდა,
მსურს საიდუმლო გადაუშალო,
ჭმუნვაც მოსჭვივის მისი ბავიდან,
მაგრამ მსუბუქად, მაგრამ უბრალოდ.

შორს გადაუფანტე ბნელი საფარი,
აჩრდილთა ხილვამ გამამზიანა,
მათი სახება, მკვდრეთით აღმდგარი,
უცან ჩემი ბუდის თანაზიარად.

შუალამისას მღეროდა მონა

დავითის ფსალმუნს მღეროდა ზანგი,
თავისუფლებას უხმობდა მწარედ,
და უგალობდა ეს ნაზი ჰანგი
აღთქმულ სამოთხეს, სანატრელ მხარეს.

ღამის წყვდიადში გულს ესაღბუნა,
რაც საიდუმლო ანდო ფსალმუნმა,
ლოცვამ დაათრო სული ობოლი
და აათრთოლა, როგორც ფოთოლი.

ეგვიპტის მიწას ცრემლით ნამული
ლოცვა-გალობა ჩუმად სწვდებოდა,
როს წყნარდებოდა ზღვა მეწამული
და ფარაონი იმარხებოდა.

ხმამ ზეციურმა მეც გამახარა,
როდესაც ვისმენ, ვარ კმაყოფილი,
ის წყაროსავით არის ანკარა,
ამაღლებული, პირველყოფილი.

ასე მღეროდა წყვილიადში პავლე¹
და თან ზეცაში აპყრობდა თვალებს,
ქრისტე აღდგაო! — ამ ქადაგებას
უკარნახებდა თვისთონ განგება.

ქრისტეშული

მე სანეტაროს ვნატრობ ანგელოსს,
ვინც გვიანდერძებს იმ სახარებას,
ბნელი სამყარო რომ გადათქლოს
და ხალხს აღირსოს გამოდარება.

ისარი და სიმღერა

ვტყორცნე ისარი, გაინავარდა,
იყო ისეთი მალი,
რომ ვერ გავიგე, საით დაეარდა,
ვერსად მოუკარი ავალი.

მერე სიმღერა მივანდე ქარებს,
სადღაც განიბნა იმწამს...

არ ვიცი, რომელ შორეულ მხარეს
ჩაყლაპა ცამ თუ მიწამ.

გავიდა წლები, მუხას შერწყმული
ვნახე ისარი მინდვრად,
ხოლო სიმღერას მეგობრის გული
დღემდე ინახავს წმინდად.

მოგზაურობა ბუნარიან

ხმაურობს წვიმა, ისევ ღრუბელი
და ისევ ნისლი, თითქოს დამეა,
მიმართულია კვლავაც ფლუგერი
იქითკენ, სადაც ოკეანეა.

და ეს ხმაური წვეთს სულის შიგნით,
ბუნარში ცეცხლი აღმა ბრიალებს
და ჩემ მალლა კი თაროა წიგნის
და ოცნებები კვლავ მაფრთიანებს.

ზღვის ვალმიური მხარის გაცნობას
დაუზარებლად მირჩევს მგოსანი
და მაგონდება ჩემი ბავშვობა,
დღეს გარდასული და ჩრდილოსანი.

წარსულის წლებში ფიქრით ვეშვები:
აღბის მთებიდან ჩქრიალა წყალი
და ესპანური ჯორი ეყვნებით
და ელსინორი პირქუში, მწყრალი...

იქ მონასტერი ჩანს ჩემ წინარე,
ფიჭვის რტოების რომ ფარავს კალთა,

ტალღების ზემოთ — ციხე-სიმაგრე
და კვლავ ტამარი რაინის წყალთან.

თითქოს აქვეა, რასაც მე ველი:
ხეივანის ჩრდილთა გადაბინდება,
ყაყაჩოს ცეცხლით გამთბარი კელი
და შორეულ ზღვის ტალღაც ბრწყინდება.

არ შევუკროები მტკერსა თუ სიცხეს,
არც დავიღლები, რწმენით ვეგზნები
და დედამიწის შემოვლას ვიწყებ
ყველანაირი დროის ლექსებით.

ზოგი უდაბნოს ქეიშას გაქელავს,
ან ყინულოვან გზის გავლას ბუდავს,
აქ მხოლოდ ერთი ხელის გაქნევა
და მთელ მსოფლიოს ლექსებში ვხედავ.

მოლად დედამიწას ავით და კარგით
მე დამანახვებს ცხადად მგოსანი,
და მოჩანს მისი ლექსების სარკით
სამყარო ვრცელი და სხივოსანი.

1) პავლე — ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთი.
(მთარგმნელის შენიშვნა).

წახილი

როგორ მწყურია სიბღერა ახლა,
ადექნებული დღიურ ფორიაქს,
რომ გარიჟრაჟზე ატყორცნოს მალლა
ზღვის მლაშე ტალღამ და ქარბორიამ.

ვუხშიბ, ვუძახი, მაგრამ ყოველთვის
სიბღერა ჩემკენ როდი მოელტვის,
ხან ახლოდება, უხანაც მძარდება.
გონჯიჩიჩიჩიჩიჩი

დამიფრთხოს ყოფა მიწყნარებული,
გადაქცეული ძილად, სიზმრებად,
და შეძლოს ჩემი მიმკვდარებული
სულის ერთბაშად გამოფხიზლება.

ვით სასწაული, მისი ხმა მოდის
და არვინ უწყის, საიდან, რადის,
ანდა იდესმე განმეორდება?

ჩემი წიგნები

როგორც რაინდი ხნიერი, მჭკნარი
უცქერს კედელზე თავის იარაღს, —
იხსენებს, მძიმე ხმლითა და ფარით
საგმირო გზებზე როგორ იარა,

ოდინდელ წიგნებს ასევე ვუძზერ,
ვით ძველ საჭურველს, ჩამცხრალ
დიდებას...
ახლა ისინი აღარ მჭირდება.

და აგონდება ნაზ სიყვარულით
ის რაინდული ბრძოლა, ჭიდილი
და მწველი ცრემლით თვალდაცვარული
ღელავს ჟამთაგან ღონეშიხდილი, —

მაგრამ ყრმობის მზე მეხლება გულზე
და კვლავ სიცოცხლის ჟინით ვივსები,
თუმც ნისლოვანი მსუსხავს სიზმრები.





„საუნჯე“—1996*

თორმეტი წელი გავიდა „საუნჯის“ პირველი საჯარო განხილვის შემდეგ. კარგად მახსოვს ის ინტერესი, რაც გამოიჩინეს მთარგმნელებმაც და დამსწრე საზოგადოებამაც, მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, „საუნჯეც“, ისევე როგორც სხვა ლიტერატურული ჟურნალები, ხან აღმავლობას განიცდიდა, ხან უფერულდებოდა, მაგრამ რაც მთავარია, იგი გადაურჩა უკანასკნელი წლების კატაკლიზმებს და თავისი ავტორებიც შეინარჩუნა და მკითხველთა წრეც. არ მინდა გაცვეთილი გამოთქმა ვიხმარო და გშირობა უუწოდო „საუნჯის“ რედაქტორისა და თანამშრომლების ღვაწლს, მე მგონი, მათთვის უფრო შესაფერი სხვა ეპითეტები იქნება. ჩემი აზრით, ეს არის კოლექტივი, რომლის თითოეული წევრისათვის სულიერი მოთხოვნილებაა შემოქმედებითი საქმიანობა, ყოველ მათგანს ამხნევეს ის აზრი, რომ ვალდებულნი არიან ქართველ მთარგმნელთა თაობების ნაოცნებარი ჟურნალი შეუნარჩუნონ მთარგმნელსაც და მკითხველსაც. ამ კოლექტივმა იცის თარგმანის ფასი, იცის, რა მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ლიტერატურის ძველი თუ ახალი მონაპოვრების ქართულად არსებობას და საამისოდ არ იშურებს თავის ენერგიასა და გამოცდილებას.

რაც შეეხება ჩვენს დღევანდელ დონისძიებას, იგი თავის მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი მგონია, თუმცა მას ვერ ექნება თუნდაც ერთი წლის ნამოღვაწარის საფუძვლიანად შეფასების პრეტენზია. ამ განხილვამ (თანამოხსენებებთან ერთად) შეიძლება ნაწილობრივ მაინც შეაფასოს ის ხარვეზი, რაც გვაქვს თარგმანის შეფასების დარგში, თუმცა ამას ხარვეზიც აღარ ჰქვია. ჩვენში ფაქტიურად შეუფასებელი რჩება უმნიშვნელოვანესი თარგმანებიც კი. ამის მაგალითად ბაჩანა ბრეგვაძისეული „დონ-კიხოტის“ თარგმანიც იკმარებდა, რომელსაც დღემდე კვალიფიციური რეცენზენტი არ გამოსჩენია. პირადად მე პატარა წერილით მხოლოდ მივუღიწიე მთარგმნელს და მთელ ქართულ ლიტერატურას ბრწყინვალე თარგმანის დაბადება, აქვე კსარგებლობ შემოხვევით და მადლობას მოვახსენებ ანონიმ ავტორს ჩემი თარგმანის — თომას მაინის „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარების“ — პროფესიული შეფასებისათვის და ბარემ აქვე ვუსაყვედურებ „საუნჯას“ რედაქციასაც, რომ მის ფურცლებზე არა და არ დამკვიდრდა თარგმანის რეცენზირების ტრადიცია. ჩემი აზრით, ამ საქმეში რედაქციამ მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინოს, კვალიფიციურ კრიტიკოსებს სთხოვოს ხოლმე მდარე თუ კარგი თარგმანების შეფასება, ან მოკლე ინფორმაცია მაინც გამოაქვეყნოს მნიშვნელოვანი თარგმანების გამოსულის თაობაზე.

* „საუნჯის“ საჯარო განხილვაზე წაკითხული მოხსენება.

ზემოთ ვთქვი, „საუნჯის“ რედაქციამ იცის, რა მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ლიტერატურის ძველი თუ ახალი მონაპოვრების ქართულად არსებობას-მეთქი. საკმარისია ჩამოვთვალოთ 1996 წელს დაბეჭდილი ნაწარმოებები, რომ დავასკვნათ: „საუნჯის“ რედაქცია იცავს პრინციპს – არ დაბეჭდოს არცერთი უმნიშვნელო ნაწარმოები. სხვა საქმეა, რომ ზოგიერთი მათგანის თარგმანი ჯობდა დიდი ხნით ადრე გვექონოდა და დღეს შეგვეძლებოდა უფრო აქტიურად მიეყოლოდა თუ უახლეს არა, ახალ ლიტერატურულ პროცესებს მაინც, მაგრამ ის ფაქტი, რომ თარგმნილი ნაწარმოებები ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურის ჭეშმარიტ ღირებულებებს წარმოადგენენ, „საუნჯის“ სწორ პოზიციაზე დგომას ადასტურებს.

პირველი ზოგადი შთაბეჭდილება, რაც დამრჩა „საუნჯის“ შარშანდელი ნომრების წაკითხვის შემდეგ, იყო ის, რომ საერთო ლიტერატურული დონე დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ცხადია, ყველა თარგმანი ერთნაირი ხარისხის ვერ იქნება. როცა თარგმანის ხარისხზე ვსაუბრობთ, იგულისხმება მისი რამდენიმე დონეზე შეფასება, რაც თავისუფლად შეიძლება მოხდეს დედანთან შეუდარებლადაც კი. ეს დონეებია: ნორმატულ-სტილისტიკური, შინაარსობრივი და მხატვრული სტილის დონე. ეს უკანასკნელი უმაღლესია და ამ დონეზე თარგმანზე ვერ ვიმსჯელებთ, თუკი თარგმანი პირველ დონეს არ არის აცილებული. საბედნიეროდ, განსახილველ ნომრებში ენობრივად გაუმართავი თარგმანები არ გვხვდება, მაგრამ მაინც მოგვიწევს ზოგიერთი თარგმანის მიმართ შეტ-ნაკლები სიმწვავეთი ენობრივი ხასიათის შენიშვნების გამოთქმა.

განსახილველ მასალას ფანჯიანის მიხედვით წარმოვიდგინოთ და უპირველეს ყოვლისა პროზაზე შეჩერდები.

„საუნჯის“ 1-2 ნომრებში დაბეჭდილია ნიკოლოზ გოგოლის ცნობილი ნაწარმოები „მკვდარი სულები“. იგი თარგმნა მანანა სანადირაძემ. ამ თარგმანის ნორმატულ-სტილისტიკური მხარე იმდენად მოწესრიგებულია, რომ თავისუფლად შეიძლება მისი სტილის დონეზე შეფასება. შეიძლება ვინმესთვის საკამათო იყოს ენის ზოგადსტილისტური სახის არსებობა, ჩემთვის კი, როგორც მთარგმნელისა და თეორეტიკოსისათვის, თარგმანში ე. წ. ზოგადრუსული, ზოგადფრანგული და ა. შ. სტილის დაცვა თარგმანის ადეკვატურობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ესაა ის შინაგანი ხშიანობა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიქმნას ქართული ენის ხელყოფის ხარჯზე, მას გრძნობს ჭეშმარიტი მთარგმნელიც და ჭეშმარიტი მკითხველიც და უნდა მოგახსენოთ, რომ ამ თარგმანში, ჩემი აზრით, შენარჩუნებულია ის ზოგადრუსული ხშიანობა, რაც კონკრეტული სტილის, ამ შემთხვევაში გოგოლის სტილის გადმოსაცემად კარგ ფონს ქმნის. ამ მიმართებით გოგოლის სტილის ჩემზე უკეთეს მცოდნეს აღბათ ზოგი რამ სადავო გაუჩნდებოდა, მაგრამ ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, ეს თარგმანი სავსებით მისაღებია. მაქვს ერთი შენიშვნა, თუ შეკითხვა: რით შეიძლება მთარგმნელმა გაამართლოს თავისი ცდა – ერთ შემთხვევაში რუსული ფორმით მოგვაწოდოს პერსონაჟის თანამდებობა „კოლეჟსკი სეკრეტარ“, სხვაგან კი იმავე ტიპის სიტყვათშეთანხმება გვითარგმნოს და პერსონაჟი წარმოგვიდგინოს, როგორც „ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი“? ბარემ აქვე აღვნიშნავ რამდენიმე ენობრივ შეცდომასაც: „ერთი ციცაბო კალთა სხვებზე ზევით აღმართულა“ (კალთა არ შეიძლება იყოს ციცაბო და აღმართული), „ქოხების კვშტულები“? „შრომისმოყვარე შემსრულებელნი“, „ბედნიერება პქონდა დაენახა“ (ორივე ტიპიური კალკია); თარგმანში აქა-იქ კიდევ მოიძებნებოდა მსგა-

ესი შეცდომები, მაგრამ თარგმანი ენობრივად მაინც გამართულია და ყველა შეცდომას აღარ გამოეყვიდებით.

აქვე უნდა ვთქვა, რომ მხატვრულ თარგმანში უნდა ვერიდოთ სქოლიოს, ზოგიერთი გაუგებარი ცნება მარჯვედ შეიძლება ტექსტშივე განვმარტოთ, მიუძღეს ზედმეტია სქოლიო, როცა ასეთი განმარტება თვით დედანშია მოცემული. ამის მაგალითია წელის ჩიტი მარტინი, რომლის სქოლიოში განმარტება სრულიად ზედმეტი გახლდათ, ამ თარგმანზე საუბარს კი იმით დავამთავრებ, რითაც დავიწვე: თარგმანი იმ დონის ლიტერატურული ფაქტია, რომ იგი ღირსია რუსული ლიტერატურის კარგმა მცოდნემ შეისწავლოს და შეაფასოს.

ჯაკობი კახანოვას „ჩემი თავგადასავალი“ (№ 1-2) მკითხველს თავიდანვე განაწყობს სათავედასავლო ჟანრის ნაწარმოებთან შესახვედრად. ამ ჟანრისთვის კი დამახასიათებელია განსჯითა და ფილოსოფიური ექსკურსებით დაუტვირთავი თხრობა, სტილის გამჭვირვალეობა და სიმსუბუქე, იუმორი, ნატურალიზმი, რომელიც ხკაბრეხსაც შეიძლება მიუახლოვდეს, ტრივიალური სიუჟეტი და ა. შ. ჩვენ დღეს მოვისმენთ მთარგმნელის, ქალბატონ ნანა თარგამაძის გამოსვლას და მე სიტყვას აღარ გაკავრძელებ, მხოლოდ ჩემს შთაბეჭდილებას მოგახსენებთ, რომ თარგმანი ინარჩუნებს სტილის ყველა იმ ნიშან-თვისებას, რაც სათავედასავლო ჟანრის ნაწარმოებს მოეთხოვება, თავიდან ბოლომდე დატულია შესატყვისი ინტონაცია, ბუნებრივია დიალოგები, რაც სხვათა შორის ერთ-ერთი ძნელად მისაღწევი რამაა თარგმანში, (და არამარტო თარგმანში) და ინტერქსით მოველი, როგორ ანალიზს შემოგვთავაზებს თვითონ მთარგმნელი.

„საუნჯის“ 1-2 ნომრებში დაბეჭდილია გოეთეს დიდტანიანი რომანის „სულთა ნათესაობის“ მეორე ნაწილი (მთარგმნ. ლია თავკარელია). ეს რომანი, სხვათა შორის, თარგმნილი აქვს ხელი ამაშუკელსაც, ოღონდ დღემდე ვერ მოხერხდა მისი გამოცემა. თავში როცა ვოქვი, ჯობდა ზოგი რამ აქამდე თარგმნილი გვქონოდა-მეთქი, უპირველეს ყოვლისა, გოეთეს ეგულისხმობდი, თუმცა ამაში ხსენებულ მთარგმნელებს როდი ვაღანაშაულებ. ყურადღება მიხდა გავამახვილო წიგნის სათაურზე: გერმანული სათაურია „ვალფერვანდშაფტენ“, სიტყვასიტყვით — „არჩევითი ნათესაობა“ და თუ არ ვცდები, ასეც აქვს იგი დასათაურებული ნელი ამაშუკელს. „სულთა ნათესაობა“ კი, რამდენადაც ვიცი, მას ჩვენმა ცნობილმა გერმანისტმა ითარ ჯინორიამ უწოდა და ეს ისეთივე დიდი მიგნება მგონია, როგორცაა კონსტანტინე გამსახურდიას „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ და არა „ტანჯვანი“ (ლაიდენ), როგორც შეიძლებოდა ვინმე სხვას ეთარგმნა.

რაც შეეხება „საუნჯეში“ გამოქვეყნებულ თარგმანს, წაკითხული მაქვს ადრინდელი პუბლიკაციებიც, მაგრამ მაინც მაჭირს მისი შეფასება და ამაში, ცოტა არ იყოს, გოეთესაც მიუძღვის ბრალი. შეიძლება უცნაური გეჩვენოთ ჩემი აზრი, მაგრამ გოეთეს თარგმნას ამნელებს მკითხველის მოლოდინი, რომ ამ საყოველთაოდ აღიარებულმა ბრძენკაცმა მხოლოდ სიბრძნე უნდა აფრქვიოს და მთარგმნელიც, თუ ზედაპირზე ვერ წააწყდა ამ სიბრძნეს, სტრიქონებში დაეძებს და ცდილობს ამკარად ნაივურ პასაჟებს სიმძიმე და სიღრმე შემატოს, რათა ისინი თარგმანის ნაკლად არ აღიქვას მკითხველმა. ეს განზრახვა იქნებ კანონზომიერიც იყოს, მაგრამ მხოლოდ ამ „კეთილი განზრახვით“ ვერ ავხსნიო ქართულისათვის უცხო სიტყვათქმნადობას და მძიმე-მძიმე წინადადებებს.

ჩემი აზრის საილუსტრაციოდ მხოლოდ პირველი 10 გვერდიდან ამოწერილ მაგალითებს მოვიყვან. ესენია: განწყვრიგება; ცხოველმოსილი; გასახარი-

ხად; იმზომ; სრულიქმნა; კუბრ ღამეს; იარაღები; საჭურვლები; ჭურჭლები; რომელმაც ფიცხად, მაგრამ ჯეროვანი თავდაჭერილობით ჩამოაყალიბა თავისი აზრი; საერთოდაც უბრალო საქმე როდია რაიმე გამოიგონო და შესაფერისად მოიმარჯვო; საგულდაგულთ ორნამენტებით მოზარნიშებული; ყველას პიზაში იხატებოდა ნათელი ძალთა მოკრება; ღირსაცნობის ჩვენზე ზეადმეტყუბას მშვიდი აღიარება, სიევარულსა და ღოდინში წყნარი თავგადგება; ჩვენს ხომ სწორედ ამიტომ ვართ მოკლებული ძვირფასი და სასუკვარი ადამიანის სწორ და შეუმცდარ ასახვას; საკუთარი ხელით ამოთხარა წინაპართა საფლავის პორცეები; გახა მარადიულობისთვისაა განსაზღვრული ყველაფერი, რომელიც სუცხლო მასალით ნაგები საბაშირში განზავებულ აგურის ქვებით იყო მოვებულა და სხვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, ვეღარ ვიტყვი, აღნუსხული ლაფსუსები თარგმანს ჩრდილს ვერ აყენებენ-მეთქი. ჩემი აზრით, მთარგმნელს ამ წიგნზე კიდევ დიდი და ხანგრძლივი მუშაობა მართებს.

გოეთეს შემდეგ შევჩერდები ფრედერიკ დარის დეტექტიურ მოთხრობაზე, „სიკვდილი, რომელზეც შენ მიამბობდი“ (მთარგმნ. მარინე ჭილაშვილი). ჩემი შთაბეჭდილება აქაც მკითხველის პიზიციიდანაა შექმნილი, ოღონდ ერთი პატარა ექსკურსის უფლებას მივცემ თავს. ჩვენი მკითხველი უიშვიათესი გამოჩენილისის გარდა, დეტექტივების საშინელ თარგმანებსაა მიჩვეული. მახსოვს, ერთხელ შემთხვევით ავიღე ხელში ჟორჟ სიმენონის დეტექტივების კრებული „ყვეთელი ძაღლი“ და თარგმანიდან აზრის გამოტანა ვერ შევძელი. განსაზღვრული თარგმანი იმ მცირერიცხოვან შემთხვევათა რიგს მიგკუთვნება, როცა მთარგმნელი დეტექტივს ლიტერატურულ ფაქტად მიიჩნევს და მას შესაბამისი სერიოზულობით ეკიდება. თარგმანის საერთო დონე საკმაოდ მაღალია, ესაა ინტელიგენტური ნამუშევარი, მაგრამ სამწუხაროდ არცთუ იშვიათად გვხვდება ასკარა ენობრივი ლაფსუსები. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: „ლევა ღრუბლებით მოქრუშულ ცის ქვეშ; ხმელ-ხმელი გარეგნობისა იქნებოდა, გამოკვეთილი ცხვირით, წან წამოწეული ნიკაპით; ქალები უფრო მეტხანს ცხოვრობენ. სადილად შემწვარი ხოხობი მუხუდოთი და ბაყაყი შეუუკვეთეთ, სათვალე გამოვართვი და ცხვირზე ისე წამოვიცივი, როგორც ისინი, ვინც არ ატარებს; სეირნობა მის სასადილოს არ სცილდებოდა; შიში თავკარგე; აწყობილი მშვიდი სუნთქვა და ვაყენე; იმ ქალის სათუთი ცხოვრება ახუნშიც არ მომდისოდა; იქნებ ჯობდა დაძვიწყა; გული გაღამეყოლა სადმე; ქსოვილით აკრული პატარა თიხა; მისას სილა მოვუქნიე; გამოსდგომიყო და მისთანანი კონტექსტში კიდევ უფრო თვალსაჩინოა და მშვენიერი დეტექტივის წაკითხვით მიღებულ შთაბეჭდილებას აწვლებს.

აღბათ ვრცელი მოთხრობა უნდა ვუწოდოთ კრისტოფ ჰაინის „უცხო მეგობარს“, რომელიც გერმანულიდან უთარგმნია მაია მირიანაშვილს. ეს ნაწარმოები უდავოდ საინტერესოა თანამედროვე გერმანულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესზე დასაკვირვებლად. მას აქვს გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნის პრეტენზია, პროლოგი განვსაწვობს არაორდინარულ მასალასთან შესახვედრად და უნდა ითქვას, რომ მთარგმნელი კარგად ართმევს თავს დასაწყისს, რაც პროზის თარგმანში მნიშვნელოვანია: თუნდაც ის, რომ მთარგმნელი არ აჰყვა ცდუნებას, რაც შეიძლება გამოჩნეული და ამაღლებული სიტყვებით დაეხატა პროლოგში აღწერილი ხილვა და თავიდანვე აარჩია თხრობის საღა, გადაუტვირთავე სტილი, ეხმაურება ჩვენი ეპოქის ზოგადსტილისტურ

ფონს — არაფერი ზედმეტი, არაფერი დაძტკბარი და ხელოვნურად რაფინირებული!

ენობრივად ტექსტი საკმაოდ გამართულია და ბაღებს სტილის დონეზე ანალიზის სურვილს, მაგრამ ენის სიწმინდის მხრივ მაინც გვაქვს რამდენიმე შენიშვნა, პურიზმად მეჩვენება პომადის ნაცყლად „ტურების სიყმა“ მით უმეტეს, რომ სხვა არაფერი მიუთითებს ავტორის პურიზტულ პოზიციასზე. პურიზმით, გვხვდება უზუსტობანი, რომლებიც ზოგჯერ აზრსაც კი აბუნდოვანებს. არასწორი ფორმებია: გადაკურკე, შემწინააღმდეგებია, ძრავი (ძრავა), ექსკორტი (ესკორტი); მიასიკვდილებდა (მოკვლას არ ნიშნავს), პირს აღარაფერს დაადებდა (დააკარებდა); წამით თვალი თვალში გავუყარეთ (აკლია „ერთმანეთს“); ძაღლობა მომიხადა (გადამიხადა); მიწა გასაოცარი სიჩუმით (უხმაუროდ) ეყრებოდა კუბოს; ძაღიდასთან იჯდა და შეექცეოდა (რას?); რომელთა განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარობს (მხოლოდ იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან); მიხაილი უხერხულობაში ჩავარდა (თავი უხერხულად ივრძნო); ხელი მოძრაობით (ხელა); ჩამოვარდა ურთიერთგაგება; როგორღაც გადაიტანდა ამას (როგორმე); რა გიყილოვო (გიყილოვო); ბოსტნეულის კონსერვები, სხვადასხვა სასმისები (სასმელები?) და საკმახები (სახელებლები); მე და ჰინერს შორის (ჩემსა და ჰინერს შორის); თაროების გადავსება (გამოჭედვა); გაგებული ადამიანი (შეგნებული) და სხვა.

სხვათა შორის, ჩამოთვლილი შეცდომების უმრავლესობა ზეპირმეტყველებაშია გავრცელებული და მე აქ ვხედავ საფრთხეს, თუ არ შევებრძოლოთ, ისინი სულ მალე დამკვიდრდებიან სალიტერატურო ენაში.

ერთგან მთარგმნელს უწერია, „დანგრეული სასიძინდისა და ქარხნის ფოტოზე აღბეჭდვა მინდოდა“. საინტერესოა, რა სიტყვა წერია გერმანულ დედანში „სასიძინდის“ ნაცყლად? გერმანულ ყოფაში „სასიძინდის“ ადვილი არ მეგულება, იგი ბაღებს იმერეთის ასოციაციას და ტექსტიდან ამოვარდნილია.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები წვრილმანად შეიძლება მოყვანოს კაცს, მაგრამ სამწუხაროდ, მე მხოლოდ თვალშისაცემი მაგალითები ამოვწერე, არის ამ თარგმანში მთელი პასაჟები, საიდანაც ცალკეულ შეცდომებს ვერც ამოიწერ, მაგრამ ფრაზა მოლიანად მაინც გაუმართავია და საერთო შთაბეჭდილებას ანელებს. ამ ფაქტებს ვერსად გაექცევი, მაგრამ საბოლოოდ მაინც მიხდა ვთქვა: მაია მირიანაშვილი თუ უფრო სერიოზულად მოეკიდება მასალას, უფრო მეტს იფიქრებს ტექსტზე. თარგმანს მრავალჯერ შემოწმებს კრიტიკული თვალთ, მას აქვს საიმისო მონაცემები (სტილის, რიტმის, განწყობილების გრძნობა), რომ კარგი მთარგმნელი დადგეს.

ჩემზე მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა ანტონ ჩეხოვის მოთხრობამ „უცნობი კაცის ნაამბობი“. ლილი მჭედლიშვილი ცნობილია როგორც იასუნარი კავაბატას პროზის ჩინებული მთარგმნელი, მე-3-4 ნომრებში გამოქვეყნებულია მისი მოთხრობა „იძუელი მოცეკვავე ვოგონა“, ე. ი. იგი კვლავ არ დალატობს იაპონურ პროზას, ამა თუ იმ ნაწარმოებზე არსებული კრიტიკული ლიტერატურის შესწავლის გზით მას თითქოს მიგნებულიც კი აქვს იასუნარი კავაბატას პროზის თავისებური ქართული მოდელი, მაგრამ პირადად ჩემთვის უფრო ფასეულია ლილი მჭედლიშვილის მიერ დედნიდან შესრულებული თარგმანები. შეიძლება იმიტომაც, რომ ზემოთ ხსენებული თარგმანის კითხვისას მთარგმნელის მიმართ უფრო გაბედულად ჩამოყალიბდა ნდობის ფაქტორი.

„საუნჯის“ 1996 წლის ნომრებში საკმაოდ უხედაა წარმოდგენილი რუსული პროზა. ელენა საზანოვიჩის „მშვენიერი მეწისქვილე ქალი“ ელენე ვარამიშვილმა თარგმნა. უნდა ვივარაუდოთ, რომ თარგმანში, ზოგიერთი ენობრივი ლაფსუსის მიუხედავად, ერთგულადაა გადმოტანილი არასრდინარული ფაბულის შესაფერი სტილისტიკა. დაახლოებით ასეთივე ორჭოფიანი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ანდრეი ბიტოვის მოთხრობამ „ჩიტები, ანუ დამატებითი ცნობები ადამიანებზე“, რომელიც თარგმნა მიმოზა ძიძიგურმა. აქ შერწყმულია მეცნიერული ინფორმაცია, პუბლიცისტური ნაკადი და მხატვრული თხრობა. თარგმანში აშკარად ჩანს ეს ეკლექტიკა და სავარაუდოა, რომ იგი ღედნისეულია.

მხატვრული პროზიდან ყურადღებას იქცევს გაბრიელ გარსია მარკესის მოთხრობები. აქ მოვისმენთ მთარგმნელის თვა გვასალიას გამოხვლას, მაგრამ მაინც მინდა ორიოდ სიტყვით გამოვხატო ჩემი აზრი მის შემოქმედებაზე, დიას, შემოქმედებაზე, რადგან ამ ახალგაზრდა ნიჭიერ მთარგმნელს უკვე აქვს თავისი შემოქმედება. იგი ინტენსიურად თარგმნის ესპანურენოვან ლიტერატურას, მაგრამ შეიძლება ითქვას, მისი მთავარი მიზანი მაინც მარკესის ქართულ ენაზე ამტკიცებლობაა. არ შემიძლია აქვე არ ვთქვა, რომ თვა გვასალიას ამ საქმეში ჰყავს კარგი წინამორბედი, მე პირადად, ელზა ახვლედიანის თარგმნილი „მარტოობის ასი წელიწადი“ და „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“ მიმანია მწერლის სტილის ერთგულების ერთ-ერთ გამორჩეულ ცდად ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში და თვა გვასალიას შემოქმედებაც, რომელიც ბუნებრივია, დახვეული ვერ იქნება ცალკეული ლაფსუსისაგან, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, მწერლის სტილის ერთგულებითაა დასაფასებელი. ამ დასკვნის გამოტანის უფლებას მაძლევს ის ლიტერატურა, რაც წამიკითხავს მარკესის სტილზე და არცთუ ასათვალწუნებელი თეორია ფორმისა და შინაარსის დიალექტიკურ ერთიანობაზე.

ეპისტოლარული ჟანრი წარმოდგენილია ვლადიმირ სოლოვიოვის წერილით იმპერატორ ნიკოლოზ მეორისადმი, რომელიც სტილის ფაქიზი გრძნობით უთარგმნია ნანა ახობაძეს (№3-4), ამავე ნომერში დაბეჭდილია ჟორჟ სიმენონის „წერილი ღედას“. მე პირადად ჟორჟ სიმენონი აქ წარმომიდგა ხულ სხვა რაკურსით, კერძოდ, ლირიკული პერსონაჟის ფსიქოლოგიური პორტრეტის მხატვრად, თუმცა ზოგიერთ დეტექტივშიც (მაგალითად, „ვენეციის მატარებელში“) სიამოვნებით შემიძინებია მისი ეს თვისება. „წერილი ღედას“ თარგმნა თინა ღარიბაშვილმა. თარგმანში აქა-იქ შეინიშნება ენობრივი უზუსტობანი, მაგრამ მთავარია, რომ აქ არსად არ ირღვევა ის რიტმი და ინტონაცია, ის განწყობილება, რაც შეუფერება წერილში მოთხრობილ სევდიან ამბავს, სწორადაა შერჩეული ლექსიკა, მთარგმნელი გრძნობს, რომ საკმარისია ერთი ზედმეტად ამალღებული ან ჩამტკბარი ფრაზა და მოლიანად განადგურდება მწერლის მიერ აგებული შენობა.



პროზასთან შედარებით მარშანდელ ნომრებში ძუნწადაა წარმოდგენილი პოეზია, მაგრამ რაც არის, პოეზიის მოყვარულთათვის ცნობილი სახელებია და ბუნებრივია მკითხველის მოლოდინი – წაიკითხოს ჭეშმარიტი პოეზიის ნიმუში. ჩემი მსჯავრიც ამგვარი მოლოდინის ნაყოფია და ამიტომაც ვბედავ

დედანთან შეუდარებლად მოვიწონო სოსო ჩოჩიას თარგმნილი ტომას სტერნზ ელიოტი, თუმცა ამ გაბედულებას მაინც აქვს ერთგვარი საფუძველი: წაკითხული მაქვს სანდო ლიტერატურა ელიოტის პოეზიაზე და ელიოტის ქართულ თარგმანებზეც, ამ წინასწარი ცოდნით აღჭურვილმა წავიკითხე სოსო ჩოჩიას თარგმანი და მისივე კომენტარი, რომელიც არა მარტო გვეწვევს ამომწურავ ინფორმაციას, არამედ ნდობით განგვაწყობს მთარგმნელის ~~მისწრაფს~~ სწორად, გვიდასტურებს ჩვენს შთაბეჭდილებას, რომ ელიოტის კორიოლანოსის პირველი ლექსის „ტრიუმფალური მარშის“ თარგმანი შეიძლება მოდერნისტული პოეზიის ქართულად ამეტყველების წარმატებული ცდა იყოს.

იმავე ნომერში დაბეჭდილია ბორის პასტერნაკის ლექსები. ვახტანგ გოლაშვილის ნამუშევარს შემთხვევით ვერასგზით ვერ უწოდებ, პუბლიკაციის თუნდაც მოცულობის გამო, აქ წარმოდგენილია ერთი საკმაოდ ვრცელი და 10 მოზრდილი ლექსი. ზოგადი შთაბეჭდილება შეიძლება გამოიხატოს ორიოდ სიტყვით, რომ წავიკითხეთ პოეტური ქმნილებები და არა გალექსილი სტრიქონები, მაგრამ რა პარადოქსულადაც შეიძლება მოგეჩვენოთ ჩემი აზრი, მაინც ვიტყვი, რომ ჩემში ყოველთვის აღძრავს ეჭვს (დედნის ერთგულების თვალსაზრისით!) უზადო პოეტური ტექნიკის შესრულებული თარგმანები. არავინ დაობს იმაზე, რომ რითმა ლექსის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია და ასევე ცნობილია ქართველი მკითხველის (ვგულისხმობ მასობრივ მკითხველს) სიყვარული რითმიანი ლექსისადმი, უფრო ზუსტად, მკითხველის თვალში ლექსი (შესაბამისად, თარგმანი) მით უფრო მოსაწონია, რაც უფრო კარგადაა იგი გართმული, მაგრამ მოგეხსენებათ, რითმა ამა თუ იმ სიტყვის შინაენობრივი მნიშვნელობის გამოვლენაა და იგი თითქმის გამორიცხულია დაემთხვას სხვა ენაში იმავე ცნების აღმნიშვნელი სიტყვის შინაენობრივ მნიშვნელობას, ამიტომ მთარგმნელს სჭირდება დიდი ძალისხმევა, რომ თარგმანში სრულად შეინარჩუნოს რითმები, ამ მიზნის მისაღწევად კი არცთუ იშვიათად რითმას ეწირება ლექსის უფრო მნიშვნელოვანი კომპონენტები, საბოლოოდ კი ხელში გვრჩება გართმული, მაგრამ სხვა მხრივ დედანს დასაშვებ ნორმაზე მეტად დაცოლებული თარგმანი. ეს ექსკურსი იმისთვის დამჭირდა, რომ აქ წარმოდგენილ ყველა თარგმანში სრულადაა შენარჩუნებული ჯვარედინი რითმები, რაც ალბათ შეესაბამება დედნის რითმისეულ სურათს, მაგრამ სავარაუდოა, რომ ამ მიზნის მისაღწევად გზადაგზა ლექსს განეცადა არასასურველი ცვლილებები. აქვე დავსძენ, რომ ჩემი დასკვნა უფრო თეორიული ხასიათისაა და მოხარული ვიქნები, თუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გავმტყუნდები.

„საუნჯის“ მე-3-4 ნომრებში კვლავ ინგლისურენოვან პოეზიასთან გვიწვევს შეხვედრა, ამათგან ერთი, შეიძლება ითქვას, ძველი ნაცნობიც კი არის. ესაა ედგარ პოს „ყორანი“ და მოგეხსენებათ, ჩვენში მისი რამდენიმე თარგმანი არსებობს. მე ვერ გამოვდგები იმის მსაჯულად, რომელი თარგმანი უფრო ზუსტად გადმოსცემს დედანს, სტეფანე მხარგრძელის თარგმანი ბადებს პოეზიასთან შეხვედრის განცდას და იმედია მას გამოუჩნდება თავისი კვალიფიციური შემფასებელი. ასევე შემიძლია ვთქვა, რომ სამუელ ტეილორ კოლრიჯისა და უილიამ უორდსუორთის პოეზიის მთარგმნელი თამარ მხარგრძელი ფლობს ქა-

როული ლექსის ტექნიკას, მაგრამ ვერც აქ განვსჯი, რამდენად ზუსტად შეესაბამება თარგმანი ირიგინალს და მით უმეტეს ვერც იმას განვსაზღვრავ, ირიგინალში რა დონისა არიან შემოხსენებული პოეტები.



„საუნჯე“ ძველი ჩვეულებისამებრ უხვად ბეჭდავს წერილებს. ვერ ვიტყვი, უმნიშვნელო იყოს რომელიმე მათგანი, ისინი მიეკუთვნება მეცნიერების, ხელოვნების, ფილოსოფიის სფეროებს, განსხვავებულია მათი თემატიკაც და მათი მთარგმნელების დონეც. ცხადია, ყოველ წერილს თუ ნარკვევს აქვს თავისი სტილისტური სამყარო, მაგრამ ყოველი მათგანისათვის აუცილებელია ერთი წინაპირობა: მათი ენობრივი საფუძველი უნდა იყოს რაც შეიძლება საღა, გასაგები, რადგან ამ მასალის უპირველესი დანიშნულება შემეცნებითია.

წერილების უმრავლესობა რუსულიდანაა თარგმნილი, მათ შორის არარუსული წარმომავლობისაც; რაც ამ შემთხვევაში სულაც არ მიმაჩნია სათაკილოდ, შემეცნებითი ლიტერატურა შეიძლება თარგმნოს რუსულის მცოდნე კვალიფიციურმა მთარგმნელმა. ხსენებულ მასალაზე თვალის ერთი გადავლებაც კმარა, რომ დავასკვნათ: მთარგმნელთა ერთი ნაწილი ფლობს მასალასაც და თარგმნის ტექნიკასაც. ტყუილად არ მიხსენებია მასალის ფლობა. თარგმნის ტექნიკა ვერას გაშველის, თუ შენ თვითონ ღრმად არ გესმის დედნის შინაარსი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელია ლინგვისტური (ენობრივი) კომპეტენცია ექსტრალინგვისტური (გარეენობრივი) ფაქტორების ფლობასთან იყოს შერწყმული. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა ლეონარდ კოტრელის „ცივილიზაციის სამჭედლო“ (მთარგმნ. გონა კვიციანიშვილი), ალექსანდრ კრაუჩუკის „კლეობატრა და ცეზარი“ (მთარგმნ. ამბროსი გრიშაკაშვილი), ლასლო ესეს „ეურდის რომ დღეობები ეწერა“ (მთარგმნ. ვალენტინა ტატიშვილი), ყველა შემოხსენებულ თარგმანშიც გვხვდება ენობრივი უზუსტობანი, მაგრამ მათი რიცხვი ისე მცირეა, რომ ვერ ანელებს საერთო შთაბეჭდილებას. სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით დანარჩენ თარგმანებზე. რენდოლფ ბორნის „კულტურა და ჩვენი პროვინციალიზმი“ (მთარგმნ. ნ. ახობაძე), სიუზენ ლეიტონის „რუსული ლიტერატურა საქართველოს შესახებ“ (მთარგმნ. ზ. გემაზაშვილი) მძიმედ იკითხება ენობრივი შეცდომების სიუხვის გამო, მაგრამ ისინი შინაარსის აღქმას მაინც ვერ აბრკოლებენ. თანაც, შემოხსენებული წერილების შინაარსი თავისთავად არცაა როული და გაუგებარი. სამაგიეროდ, სულ სხვა ტიპისაა ბხჰაგვან შრი რაჯნემის „არც ეს, არც ის“, რომელიც გერმანულიდან უთარგმნია ლაშა დადიანს. ჩემი ვარაუდით, ეს ნაშრომი გერმანულად არ უნდა იყოს დაწერილი, ე. ი. ჩვენს ხელთაა თარგმანის თარგმანი, მაგრამ ეს საქმის ვითარებას პრინციპულად ვერ ცვლის, რელიგიის ფილოსოფია იოლი გასაგები არ არის, თუმცა შესავალში გვარწმუნებენ, რომ ბხჰაგვან შრი რაჯნემი „ამას გვიზიარებს ისეთი გასაგები, შთამბეჭდავი და საღა ენით, რომ გამოცანა წამსვე იხსნება, მაგრამ არ ირღვევა მისტერია“. აქედან გამომდინარე, მე, ანუ მკითხველს, უფლება მაქვს მოველოდე „გასაგები, შთამბეჭდავი და საღა ენით“ შესრულებულ თარგმანს. ეს პრინციპი, სამწუხაროდ, ირღვევა შემოხსენებულ შესავალშივე, სადაც ეხვდებით გაუმართავე წინადადებებს, მაგალითად, ასეთს: „თავისი საუბრებით მას ჩვენი გაწაფული გონის ლაბირინთის გავლით იმ წერტილამდე მივყავართ, საიდანაც, თუკი ჩვენი თვალები დაწმენილი იქნება, დავინახავთ რელობას, სინამდვილეს, რაციონა-

ლურიდან ჩვენ მას მივყავართ ირაციონალურისაკენ, იმ წერტილისაკენ, საიდანაც თუკი ჩვენი სმენა იქნება „მომართული“, გავიგებთ ცალს ცალი ხელითაც კი.“ აქ საკმარისი იყო ბოლოს მაინც გავგვხსენებოდა ქართული ენის სწორი ფორმები, რომ წინადადება გამართულიყო. მაგ. დაგვეწერა: „თუკი სმენა „მომართული“ გვექნება, გავიგონებთ ცალი ხელით შემოკრულ ტანსაცმელს“. და ა. შ. აქვე დავსძენ, რომ 1-2 ნომრებში გამოქვეყნებული მასალის ნ გვერდიდან ამოვწერე 48 ენობრივი შეცდომა, რომელთა მოსმენით თავს არ შეგაწყენთ, ოღონდ ნამდვილად კეთილი განზრახვით გადავცემ მთარგმნელს, თუკი, ცხადია, იგი ამას მოისურვებს. აქვე, უსამართლობა იქნება არ აღვნიშნო, რომ ენობრივი თვალსაზრისით გაცილებით გამართულია და აქედან გამომდინარე, შედარებით თავისუფლადაც იკითხება მომდევნო ნომრებში გამოქვეყნებული გაგრძელებები, რაც, ეტყობა, იმის ბრალიცაა, რომ მთარგმნელი ნელ-ნელა უკეთ დაუფლა მასალას და შესაბამისად, უფრო მოქნილი გახდა თარგმანის ენობრივი ფონიც.

ძალაუნებურად ცალკე უნდა გამოვეყო რიჰარდ ვაგნერის „მომლოცველობა ბეთსოვენთან“, რადგან იგი ვერ თავსდება ზემოთ განხილული წერილების სფეროში. იგი პუბლიცისტიკისა და მხატვრული პროზის მიჯნაზე დგას. მთარგმნელი გიორგი მაჭუტაძე კარგად გრძნობს ამ თავისებურებას და ცდილობს შესაბამისი ატმოსფერო შექმნას თარგმანშიც. ამ მხრივ თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ტექსტში გაბნეული ენობრივი უზუსტობანი ანელებს საერთო შთაბეჭდილებას, მაგალითად, ასეთები: „მზარდი არაკეთილგანწყობილების შემყურე ინგლისელმა თავისი ურთიერთობით ჩემი სიკვდილი გადაწყვიტა;“ „მარცხით დანთქმულმა“; „ყოველ შემთხვევაში არ ვიცი ისეთი თეატრი, რომლისთვისაც სიამოვნებით კიდევ დავწერდი ოპერას!“; „მათი ბრწყინვალე ნაწარმოებების არც შეგრძნება შემიძლია და არც ვულში გავლება“ და სხვა.

ჩემი ბოლო შენიშვნა ეხება „საუნჯის“ ერთ „მრავალღარგოვან“ ტექნიკურ მეცდობას. 1. შპუცტიტულის მეორე გვერდზე წერია: „მსოფლიო ლიტერატურას ორავიური აღმანახი“. რამდენადაც ვიცი, „საუნჯე“ დიდი ხანია აუზნალია; 2. იგივე წერია რუსულადაც, თანაც თვით რუსული წარწერის არსებობა დღეს ანაქრონიზმი მგონია; 3. სარუდაქციო კოლეგიაში სამივე ნომერში უცვლელად წერია ყველასთვის პატივსაცემი პიროვნება ნიკო ყიასაშვილი, რომელიც წელიწადზე მეტია, რაც ცოცხალი აღარ არის.

მიმოხილვას ტრადიციულად თუ დავასრულებთ, უნდა ვთქვათ, რომ ეს და სხვა შენიშვნები ვერ დააკნინებს „საუნჯის“ რედაქციისა და მისი ავტორების ღვაწლს, ხოლო თვით შენიშვნები, ბუნებრივია, ჩვენა საერთო საქმის სიყვარულითაა ნაკარნახევი.

ბოლოს კი მაინც მინდა დავსვა ნახევრად რიტორიკული შეკითხვა: საჭიროა თუ არა ამდგვარი მიმოხილვა ან თუნდაც ცალკეული თარგმანის შეფასება პროფესიულ დონეზე? არაერთხელ გამიგონია, კრიტიკა მთარგმნელს ვერ დაე-

ხმარება, მთარგმნელად უნდა დაიბადო, მაგრამ ჩემა ახრით, დიდი მთარგმნელი ყოველ ეპოქაში თითო-ორი იბადება, მთარგმნელთა რიგებს კი ავსებენ მეტ-ნაკლებად ნიჭიერი მთარგმნელები და მათ გარეშე ნამდვილად გასარიბდება ღვენი ისედაც მწირი თარგმნილი ლიტერატურა.

მხატვრული თარგმანი რომ შემოქმედებაა, მაღლობა ღმერთს, დღეს ამაზე აღარაუინ დაობს, მაგრამ ორიგინალური შემოქმედებისგან განსხვავებით, მასში მაინც არის ფილოლოგიური შრომის ელემენტები, ასევე არ შეიძლება უგულვებლვით ენობრივი ინტერფერენციის როლი და ისიც უნდა გაკითვალისწინოთ, რომ იგი განსაკუთრებით აქტიურად დამწყებ მთარგმნელზე მოქმედებს. ამიტომ მგონია, რომ ყოველი შენიშვნა დააფიქრებს ისეთ მთარგმნელს, ვისთვისაც თარგმანი მხოლოდ ეპიზოდური საქმიანობა არაა.

რაც შეეხება თარგმანის ენის დონეზე გამართვის უნარს, მე ამას თარგმნის ტექნიკას ვუწოდებ და მჯერა, რომ სისტემატური წვრთნით იგი შეიძლება გამოინუშავოს სერიოზულმა მთარგმნელმა. აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და „საუნჯის“ რედაქციას ვთხოვ უახლოეს ნომრებში ხელახლა დაბეჭდოს 50-იან წლებში დაწერილი ორი ნაშრომი: ზ. ჭუბურიძისა და თ. კოპლატაძის „ქართული ენის სიწმიდის დასაცავად თარგმანში“ და რ. თყარაძის „რა ენა წახდეს“, რომლებსაც შეუძლია დიდი სამსახური გაუწიონ დამწყებ მთარგმნელებს.

თავის მხრივ ენობრივად გამართული თარგმანი უკვე ლიტერატურული ფაქტია, მხატვრული თარგმანი კი ამ დონის ზემოთ იწყება და იქ იგივე კანონები მოქმედებს, რაც ლიტერატურულ ფაქტს შემოქმედების ნიშნად აქცევს ხოლმე. იმ კანონების დაუფლებაში კი მთარგმნელს დიდად ეხმარება სწორი შემოქმედებითი ორიენტაცია, ლიტერატურული გემოვნება, საერთო განსწავლულობა, გარდასახვის ნიჭი და უსახლო შრომისმოყვარეობა.

24. 04. 1997



უილიამ შექსპირის „ჰამლეტის“ ახალი ქართული თარგმანი

დიდი ინგლისელი დრამატურგის უილიამ შექსპირის ტრაგედიებზე მრავალი სამეცნიერო შრომა შექმნილა და მრავალი წიგნი დაწერილა. შექსპირის ტრაგედიები არ არის — მხოლოდ ტრაგედიები. ყოველი მათგანი განსხვავებულია და თავისთავადი. ეს ძალდაუტანებლობა აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, როდესაც ხდება მისი ტრაგედიების მეცნიერული გაანალიზება.

უილიამ შექსპირის თანამედროვეებს, რა თქმა უნდა, გათვითცნობიერებული ჰქონდათ ტრაგედიის ცნება. ისინი ხმარობდნენ კიდევ ამ სიტყვას, როდესაც საუბრობდნენ ლიტერატურის საქმეებზე და მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თავის ლექსიკონში. მაგრამ აქვე უნდა იქნას შეტანილი რამდენადმე განსაზღვრული მნიშვნელობა, რათა, ასე ვთქვათ, ნათელი მოეფინოს ამ ტერმინს. თომას კუპერი 1568 წელს ასეთ განმარტებას აძლევდა ტრაგედიას, — „პიესის თავისებური სახე, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი წოდების პერსონაჟებს, მათ ცხოვრებასა და საქმიანობას, რაც დაკავშირებულია დიდ მწუხარებასთან“. მეორე მოღვაწე თომას თომასი, რომელმაც ლექსიკონი შეადგინა 1580 წელს, მაშინ, როდესაც უილიამ შექსპირი თავის თეატრალურ კარიერას იწყებდა, ამბობს, რომ ტრაგედია — „პიესის ამალღებული სახეა, წარმოვდიგენს მაღალი რანგის, სახელმწიფოს მმართველი ელიტის ყოფიერებას, ისინი მძაფრად, მშფოთვარედ გაივლიან მწუხარებით და განცლებით აღსავსე ცხოვრების ამალღებას, რაც, კომედიის საწინააღმდეგოდ იწყება კეთილი, გაფუფუნებული ცხოვრებით და მთავრდება უბედურებით“.

და ბოლოს, საინტერესოა ტრაგედიის ჯონ ფლორიოსეული განსაზღვრება, რომელსაც, აუცილებლად უნდა ვივარაუდოთ, შექსპირი პირადად იცნობდა, რადგან ფლორიო გაკვეთილებს აძლევდა სწორედ ჰენრი როზლი საუთჰემპტონს, რომელსაც შექსპირმა მიუძღვნა „ვენერა და ალონისი“ (1593 წ.) და „ლუკრეციუსის გაუპატიურება“ (1594 წ.).

დიახ, თავის იტალიურ-ინგლისურ ლექსიკონში, რომელიც 1598 წელს გამოცა, ფლორიო ასე განმარტავს ტრაგედიის არსს:

„ტრაგედია, ან მწუხარებით აღვსილი პიესა, არის პიესის უმაღლესი დონე, იგი წარმოადგენს პერსონაჟებს, რომლებიც განეკუთვნებიან სახელმწიფო მოღვაწეთა რანგს, მათი საქმენი აღსავსეა ათასგვარი ბედუკუდმართობით, მძაფრი განცლებით. იწყება აყვავებული, გაფურჩქნული ცხოვრებით და მთავ-

რდება უბედურებით, ზოგჯერ ეჭვებით აღვსილი ცოდო-ბრალით. იგი მთლად საწინააღმდეგოა კომედიისა“.

ასეთი და მსგავსი განსაზღვრებანი საშუალებას გვაძლევს, ითქვას, რომ დედოფალ ელისაბედის ეპოქაში ტრაგედიას განიხილავდნენ, როგორც ამაღლებულ წარმოდგენას, სადაც „უმაღლესი რანგის პერსონაჟები“ მონაწილეობას აღებდნენ მწუხარებით აღსავსე პიესაში, რომელშიც ყველაფერი ბედნიერი ცხოვრებით იწყებოდა და უბედურებით მთავრდებოდა. ასეთი განსაზღვრება შესანიშნავად მიესადაგება შექსპირის ტრაგედიებს. ერთადერთი მოდიფიკაცია მხოლოდ „ჰამლეტშია“ დაშვებული. ეს ტრაგედია არ იწყება ბედნიერი, აყვავებული ცხოვრებით: ჰამლეტის ძაძა, დანიის მეფე ჰამლეტი უკვე მოკლულია, დედამისი, დედოფალი გერტრუდა, სამარცხვინოდაა გათხოვილი მამის მკვლელ ბიძაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაფერი მაინც „უბედურებით“ მოაგრდება. ტრაგედიის გმირები გაივლიან „ძაფრი განცდებით სავსე ტანჯვა-წამების აგონიას და მეხუთე, ბოლო, მოქმედებაში ტრაგიკულად იღუპებიან.

სხვა ტრაგედიებში („ოტელო“, „მეფე ლირი“, „მაკბეტი“) მოქმედ გმირთა ბედის ბორბალი ტრაგედიის ბოლოს დატრიალდება უკუღმა. ოტელო, განდიდებული, აღზევებული მაური თავის გულის სწორს ირთავს ცოლად. იგი უბედნიერესი კაცია ამ ქვეყანაზე. ტრაგედია იწყება გაფურჩქნული, აყვავებული ცხოვრებით, სადაც ადამიანს უსრულდება ყოველი ნატვრა თუ ნააზრევი. ბოლოს მისი ცხოვრება საშინელი ტრაგედიით მთავრდება.

ლირი, წლებით დამძიმებული, დიდებული მეფე, რომელიც ტკბება ამქვეყნიური ბედნიერებით, წარმოუდგენელი ტრაგედიით ასრულებს თავის ცხოვრებას.

მაკბეტი, მძიმე ბრძოლებში გამარჯვებული და ტრიუმფატორი, მადლიერი ძეფისგან განდიდებული და დაჯილდოებული, სამარცხვინოდ იღუპება, როგორც ქვეყნისა და მეფის მოღალატე.

შექსპირის ყოველი ტრაგედია უნიკუმია; შექსპირი არასოდეს მეორდება, მიუხედავად ტრაგედიის გარდუვალი ფინალიისა, თითქოსდა ყველასთვის ცნობილი ტრაგიკული დასასრულისა, მაგრამ, როგორც ტუფტის უნივერსიტეტის პროფესორი, შექსპიროლოგი სილვან ბარნეტი ამბობს, შექსპირი „ძველ ბოთლებს ყოველთვის ახალი ღვინით ავსებს“.

დრამატული ნაწარმოების თარგმნის დროს წამოიჭრება ასეთი საკითხი, — სხვაა ნაწარმოების სცენაზე დადგმა, რეჟისორული „ჩაწვდომა“, სადაც დასაშვებია ყოველგვარი ინტერპრეტაცია, ხოლო სხვაა თარგმანი, სადაც მთარგმნელი ორიგინალის რკინის საღტეებიტაა შებოჭილი. მთარგმნელი კი არ უნდა ჩასწვდეს და შემდეგ საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოსცეს დედანი, არამედ უნდა გადმოთარგმნოს ყველა მთარგმნელობითი წესისა და კანონის მაქსიმალურად გაოვალისწინებით. დაუშვებელია თარგმანის თარგმანი. ჯერ კიდევ X საუკუნეში ეფრემ მცირე მთარგმნელობით ტრაქტატში აცხადებდა, რომ თარგმანის თარგმანი შვილთაშვილია, ხოლო შვილთაშვილის ყოლას, უპირველეს ყოვლისა, დვიძლი შვილის ყოლა გვერჩიოსო.

„ჰამლეტი“ განეკუთვნება იმ ჟინიან, ჭირვეულ, კაპრიზულ ნაწარმოებთა რიცხვს, სადაც ყოვლად დაუშვებელია მთარგმნელის მიერ რაიმე ნორმის დარ-

ღვევა, თუნდაც ლექსის ზომისა. აქ ზედმეტია ლაპარაკი რაიმე შინაარსობრივ უზუსტობაზე, მთელი თავისი დრმა ფილოსოფიით, ნიუანსობრივი მრავალფეროვნებით, იმით, თუ რისი თქმა სურდა ავტორს ან რა ჩანაფიქრი ჰქონდა, შექსპირი დიდოსტატია, — იგი იგონებს ახალ სიტყვებს, ქმნის კომპოზიციებს, რაც ასე დამახასიათებელია ბერძნული ენისათვის, ისე, რომ იმის მტკიცება, თითქოს შექსპირმა ვერ შეისწავლა ბერძნული და ლათინური ენები სტრეფორდის „გრამატიკულ სკოლაში“, ეჭვს იწვევს...

ჩანდახან თარგმანში დამკვიდრდება მცდარი ტრადიცია, რომელსაც შემდგომში თეორეტიკოსებიც გაუჩნდებიან და ამტკიცებენ, რომ სხვანაირად ამ თარგმანის შესრულება შეუძლებელია. მოვიყვანთ ამის მაგალითს: — „ინგლისური იამბური პენტამეტრი, რომლითაც დაწერილია ინგლისური დრამატული და ეპიური პოეზიის უდიდესი ნაწილი (მათ შორის შექსპირის ტრაგედიები, — ზ. გ.), ინგლისურ ენაზე ჟღერს უაღრესად დარბაისლურად. ათმარცვლიანი ლექსი, რომელიც მარცვალთა რაოდენობით ინგლისურ იამბურ პენტამეტრს უდრის, ზუსტად ვერ გადმოსცემს მის ინტონაციას“. ასეთი შეხედულება დამკვიდრებული ათმარცვლიანი ლექსის შესახებ „მხატვრული თარგმანის მეორის შესავალში“. ავტორი აღიარებს, რომ ქართული ათმარცვლიანი ლექსი მარცვალთა რაოდენობით უდრის ინგლისურ იამბურ პენტამეტრს, მაგრამ „დარბაისლურად“ ვერა ჟღერს, ვერ გადმოსცემს მის „ინტონაციას“. ასეთი მსჯელობა მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს. ყოვლად დაუშვებელია ენის ბუნებაზე მხოლოდ „დარბაისლური“ თუ „არადარბაისლური“ ჟღერადობით მსჯელობა. აქ მთავარია როგორ გამოიყენებს და როგორ ააფერებს მას მთარგმნელი. ქართული ენა უმდიდრესი ენაა, რომელსაც არც სიდარბაისლე აკლია და არც „ჯენტლმენობა“. სიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, რომელიც ათმარცვლიანი ლექსითაა დაწერილი, ერთობ დარბაისლურად ჟღერს, უაღრესად სერიოზულ ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ საკითხებსაც ეხება და ნებისმიერი ინტონაციის გადმოცემა ხელეწიფება.

ათმარცვლიანი ლექსი სრულიად დარბაისლურად ჟღერს და არც აზრის სიდრმე აკლია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს მეტრი ყველაზე უფრო მეტად მიესადაგება შექსპირის ტრაგედიების ლექსთა წყობას. აქა ჩანს სწორედ ის სხარტი, ლალი და უკიდევანო აზროვნება შექსპირისა, რაც ასე დამახასიათებელია მისი ტრაგედიებისათვის. ამიტომ ვთარგმნეთ ტრაგედია „კამლუტი“ ამ ზომით. ჩვენ ვიტყვოდით, რომ თითხმეტმარცვლიანი ლექსი უფრო აიოლებს თარგმანს და უკარგავს იმ სხარტ აზროვნებას და ბრწყინვალე ჟღერადობას, ასე ნათლად რომ ჩანს ამ ტრაგედიაში:

„გარდავიცვალეთ, თვალი მოეხუჭოთ...
დავიძინოთ... რა დაგვესიზმრება?
აი, აქ არის ის დაბრკოლება:
არ ვიცით თუ რა დაგვესიზმრება,
როს დაუძვრებით მოკვდავთ ცხოვრების
მდეღეარებას და აუტანლობას.
აი, ეს გვაჩერებს. სწორედ ეს არის
განსახველი და გასაგნებელი,
ამ გრძელ ცხოვრებას გრძელ ტანჯვად რომ ხდის“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მავნე ტრადიცია უნდა დაირღვეს, მომავალი მთარგმნელები აღარ უნდა გაჰყვინენ ამ გზას, ეს, უპირველეს ყოვლისა, სასარგებლო იქნება თვით თარგმანისათვის, იგი გახდება უფრო ადეკვატური ორიგინალისა, უფრო გაიზრდება მისი მნიშვნელობა ინგლისელი ხალხის ლიტერატურული კულტურის უკეთ გაცნობის საქმეში. უფრო გავამდიდრებს და გააფართოვებს ეროვნულ ლიტერატურას, მეტ ასპარეზს მისთვის შესანიშნავ კართულ ენას, გამოავლენს მის ახალ უნარსა და შესაძლებლობებს. როგორც გერმანელი მწერალი ალფრედ კურილა განსაზღვრავს მთარგმნელობით პროცესს, იგი გახდება „ერთდროულად ანალიზური და სინთეზური, მხატვრული და მეცნიერული“. სწორია მისი აზრი, როდესაც ის აცხადებს, რომ „თარგმანის პროცესში ანალიზური, შეხამებული მეცნიერულთან, ხოლო სინთეზური, შეხამებული მხატვრულთან, შეესაბამებთან სხვადასხვა ფაზებს“.

მთარგმნელმა, ვიდრე იგი თარგმნას შეუდგებოდეს, უნდა შეასრულოს დიდი სამუშაო, — სწორად განსაზღვროს ავტორის ჩანაფიქრი, დეტალურად შეისწავლოს ნაწარმოების შინაარსი, ზუსტად მიუსადაგოს მას ზომა (იქნება ეს გამოვლენილი პროზაში თუ პოეზიაში) და შემდეგ დაიწყოს შემოქმედებითი მუშაობა, ყოველმხრივ აპრობირებული, შემოქმედებითი სიზუსტით გამსჭვალული თარგმნა.

საინტერესოა, მიესადაგება თუ არა ჯონ გრინის განმარტება შექსპირის ტრაგედიებს, კერძოდ — „ჰამლეტს“. მივევით გრინისეულ ახსნა-განმარტებას: „ქედმაღლობა“, „გულზეიადობა“, — ძლიერთა ამა ქვეყნისა შეურაცხყოფელ ქედმაღლობაზე (მხედველობაში ჰყავს მეფე და ძლიქვნელი კარის დიდებულნი), აგრეთვე თანამედრობის პირთა მზაკვრობაზე, მედიდურობაზე:

„ ვინ აიტანდა
დრო-ჟამის მათრახს, ბედის დაცინვას,
მნაგვრელთ სიავეს, ამაყთ ურჩობას;
უარყოფილი სიყვარულისგან
მწვავე ტკივილს და სინდისის ქენჯნას;
მართლმსაჯულების გადაკადებას
და ღირსეულთა შეურაცხყოფას
უმაქნისსა და უღირსისაგან.“

„ამპარტავნება“, „კატივმოყვარეობა“, არაჩვეულებრივი, ექსცენტრული ჰამლეტი თავის თავს ახასიათებს როგორც ამ ორი თვისების მატარებელს, — ამბიციურსა და ამაყს, ამ თვისებებითაცაა გამოწვეული ის ამბავი, რომ მესამე მოქმედებაში დაუნდობლად თათხავს და მიწახთან ასწორებს დედამისს და ბოლოს მის წინაშე შეუბრალებლად კლავს კლავდიუსს.

ცილისწამება (შეურაცხყოფა), მრისხანება, გულით აღმფოთება, შური, სიძულვილი, განხეთქილება, — ამ ცნებებს არ სჭირდება რაიმე სპეციალური მტკიცება. ტრაგედიის თითქმის ყველა მოქმედებაში გვხვდება ადამიანთა ვნებათა ღელვა, რაც ამ გროძობებთანაა დაკავშირებული.

„ომი“, ტრაგედიის არა ერთსა და ორ ადგილასაა ლაპარაკი ომის შესახებ.

„კაცნი გავზავნა და აუკრძალა
თავისსა ძმისწულს ჯარის შეკრება.
ასე ეგონა ეს მზადდებოდა

პილონიკლების მეფის წინააღმდეგ.

როცა დარწმუნდა, რომ ჯარსა კრებდა

თქვენს ბრწყინვალეობის საწინააღმდეგოდ“... და ა შ.

და მრავალი სხვა.

უილიამ ზეჰსპირი

ნამდვილი პიროვნული ომია, როგორც ჰამლეტი ამბობს: „მეტი დაბირისპირებულება, წინააღმდეგობა, თვით ჰამლეტსა და კლაუდიუსს შორის.“

„მკვლელობა, სიმკაცრე, შეუბრალებლობა“, — ტრაგედია ერთიანად განმსჭვალულია ამ საშინელი ცნებებით, უნდა აღინიშნოს, რომ თვით ჰამლეტია, მრავალ მიზეზთა გამო, „მკაცრი და შეუბრალებელი“. იგი ეუბნება დედამისს, დედოფალ გერტრუდას, — „მკაცრი ვარ მხოლოდ სიკეთისათვის“. მისი სიმკაცრე და დაუნდობლობა ჩანს როზენკრანცისა და გილდენსტერნისადმი დამოკიდებულებაში, მაგრამ ეს სრულიად გასაგებია და, თუ ვნებავთ, გამართლებულიცაა. ომი ომია, ჰამლეტი სამკვდრო-სასიცოცხლო ომშია ჩაბმული მოწინააღმდეგე ადამიანებთან, — მეფესთან და მის ირგვლივ შემოკრებილ მლიქვნელ კარის დიდებულებთან. აქედან გამომდინარეობს ჰამლეტის რამდენადმე უდარდელი (თითქოსდა...) და ხუმრობით გამსჭვალული მსჯელობა ამ ფაქტის ირგვლივ და მის მიერ დაგებული მახის შესახებ, რომლის წყალობითაც ორივე დიდებულს იმკვეყნად გაისტუმრებს. შესაძლოა ეს სამართლიანი შურისძიებითაა გამოწვეული.

„სისხლის აღრევა“, — ჰამლეტი გულის სიღრმემდეა შეძრული, რომ დედამისი მიზეზია ამ საშინელი და ამაზრზენი ფაქტისა, (სისხლის აღრევის სარეცელი“), როდესაც ცოლად გაჰყვა თავის მამას, —

„ჯერ მლაშე ტრემლი არ შეშრობია
ჩამოწითლებულ თვალითა უბეზე,
რომ უნამუსოდ გავარდა, რათა
ეფსკენა გვირგვინი. ო, საზიზღარო
სულსწრაფობავ და მოუთმენლობავ!
ეს ფათი-ფუთით სისხლის აღრევა
კარგს აღარაფერს აღარ გვიქადის“.

ასეთი აქტი კი ელისაბედ დედოფლის ეპოქის კანონმდებლობით სისტიკად აკრძალული იყო და სისხლის აღრევად, საშინელ დანაშაულად ითვლებოდა.

ჩვენ აღარ გავყვებით ტრაგედიის ჯონ გრინისეულ ამ შესანიშნავ, ლაკონურ განმარტებას, ვიტყვით მხოლოდ ერთს, რომ მეკობრეობაც კი გვხვდება „ჰამლეტში“, სწორედ მეკობრეთა წყალობით იგი თავს დაადწევს საშინელ აღსასრულს, რომელიც განუმზადა მას ბიძამისმა ინგლისში. იმ გემს, რომლითაც ჰამლეტი ინგლისს მიემგზავრება, ბუდად მეკობრეები თავს დაესხმიან და ამით ჰამლეტი სიკვდილს გადაურჩება. მაგრამ ტრაგედიების ჯონ გრინისეული დახასიათება, რომელიც ყველა დეტალში და ნიუანსში გამართლებულია, მაინც არ არის ბოლომდე სწორი. გრინის მსჯელობით ტრაგედია გამსჭვალულია ბოროტებით, რაც თავისებურ ზეგავლენას ახდენს მაყურებლის სულზე, აუხეშებს, „მახინჯებს“ მას. გრინი ვერ ხედავს, რა არის მძაღული ტრაგედიების მიღმა. ჩვენ ვიტყვით, რომ ეს არის „მორალური ხედვა“. მართალია ჰამლეტის სული დამახინჯებულია გაუკუღმართებული ცხოვრების გამო, მას რომ გარს აკ-

რავს, მაგრამ იგი გმირულად, რაღაც სასწაულებრივ, საბოლოოდ პირნათლად ასრულებს იმ მძიმე, მკაცრ დაკალებას, რაც მოკლული მამის აჩრდილმა დააკისრა. ასრულებს ისე ღირსეულად, როგორც მის კეთილშობილებას შეჰფერის. მან გააკეთა ის, რასაც სხვა თავისი სურვილით ვერ გააკეთებდა, ან არ გააკეთებდა. იგი დაიღუბა გმირულად და როგორც ბრძოლის ველზე გმირულად დატყვევებული რაინდმა, უაღრესი პატივისცემის ნიშნად, საჩხედრო სასაკრძალო ცერემონიალი დაიმსახურა. როდესაც ტრაგედიის დასასრულს გაისმის ზარბაზნების შედღუხი, ეს ჩვენ აშკარად შეგვახსენებს, რომ იგი იყო მუბრძოლი ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ და მან თავისი ვალი კეთილშობილურად, ღირსეულად მოიხადა. იქნებ ჩვენს მეხსიერებას ამის ასე მძაფრად შეხსენება არც უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ პიესის დასასრულს, როდესაც გაისმის ჯარისკაცის დასაკრძალი მუსიკა, ყველა გრძნობს, რომ ეს არის ჰამლეტის ტრაგიკული გამარჯვების აღლუმი.

გაოცება, რაც ადამიანს ეუფლება „ჰამლეტის“ მრავალჯერ ხილვის (თუ წაკითხვის) შემდეგ, უფრო დიდია, ვიდრე პირველად ხილვისას. ეს ბუნებრივია. გენიოსის გონებაში ჩაწვდომა უცებ არ ხდება, მისი ნაწარმოებია მრავალჯერ უნდა იხილოს ადამიანმა, რომ ბოლოს რაც შეიძლება მილიანად შეიგრძნოს იგი.

ტრაგედიის დასაწყისშივე მთარგმნელს უჩნდება სიტყვები: ციხე-სიმაგრის ტერასაზე დარაჯად დგანან ოფიცერი ბერნარდო და ჯარისკაცი ფრანცისკო, რომელთაც წინა საღამოს გამოეცხადათ აწ გარდაცვლილი მეფის აჩრდილი. მათ ამის სანახავად და თავის თვალთ დასარწმუნებლად მოწვეული პყავთ პრინც ჰამლეტის უახლოესი მეგობარი ჰორაციო, რომელსაც თან ახლავს მეორე ოფიცერი მარცელუსი. სცენა იწყება სადარაჯოზე ჯარისკაცთა შეცვლით. გუშავის ჩვეულებრივ შემახილზე, თუ ვინ მოდის და ჰორაციოც ხომ არ არის მანდო, ჰორაციო პასუხობს — „A piece of him“.

სიტუაცია ასეთია: ღამეა, დრო თორმეტ საათს უახლოვდება, საშინლად ცივა, ყინავს („ამ ძაღლურმა სიცვიემ ძვალსა და რბილში გამატანა. ერთიანად გავეითოშე“. — ამბობს ფრანცისკო), სიცვიისაგან გათოშილი კაცი ღამის სულის დაფავს და ამ დროს მის უკითხებიან — მგონი შენა ჩარო? იგი პასუხობს, „A piece of him“, — ე. ი. ამ ძაღლური სიცვიისაგან გათავადი კაცი და აღარ ვიცი მე ვარ, თუ არაო, ან მისი ნაკუწი, ნაკლეჯიდა დაურჩიო, ამბობს შექსპირი. თარგმანში კი ეს ასე უღერს, — „ჰა და ჰა, ის ვარ“. ამ რეპლიკას, მეორე გაგებით იუმორისტული ელფერიც დაკრავს, საკუთარი თავის აბუნად აგდება, ეს ფრიად დამახასიათებელია ინგლისური იუმორისათვის, (რაც ჩვენ უმაღლესი რანგის იუმორად მიგვაჩნია) და რასაც შექსპირი ხშირად იყენებს. მაგრამ ამ სიტუაციაში — ღამე, საშინელი ყინვა, გარდაცვლილი მეფის აჩრდილის მოლოდინი, — ამ დროს თითქოსდა ალოგიკურიც იქნება ხუმრობა და ენაკაღმასობა. ამიტომ პასუხს ქართულ თარგმანში, — „ჰა და ჰა, ის ვარ“. ეს ორივე ემფატური დატვირთვა გააჩნია, რაც შეფარულად იგრძნობა ორივე-ნაღში.

ტრაგედიის პირველივე სტრიქონებიდან ჩანს, რომ მთარგმნელს უნდა ძალუძდეს დედნის ტექსტის გახსნა, მასში ჩაწვდომა, არაფრით არ უნდა დაუკარგოს ის, რაც წარმოადგენს მის სპეციფიკას.

მრავალი სტრიქონი იკითხება განსაზღვრული ფსიქოლოგიური დატვირთვით, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით და არა მისი იდეალური მეტ-

რის მიხედვით (დაუიქსირებული მეტრის მიხედვით). ამის შესანიშნავი მაგალითია მეფე კლაუდიუსის მიმართვა კარის დიდებულებისადმი, რომლის ქართული თარგმანიც ასე გამოიყურება:

„თუმცა ძვირფასი ძმის აღსასრული
ჯერ თვალწინ გვიდგას და გემართებს გლიჯობა
მთელ სახელმწიფოს, ყოველ მის მცხოვრებს.
ტკივილი უნდა გულით ვატაროთ
და მოლუშული წირბიც არ ვაუხსნათ,
მაგრამ გონება ებრძვის ბუნებას,
რომ ჭირთან ერთად თავზეც ვიზრუნოთ“.

მაგრამ კლაუდიუსის ხმა ყოველთვის არა ჟღერს ასე დინჯად, ზომიერების გრძნობით, მეფურად. ყველა იმ მეტრის გათვალისწინებით, რასაც მოიხივს იამბური ტერფი. იმისათვის, რომ გაგებულ იქნას შექსპირის თეორიული ცნება და ის ხერხები, რომელთა საშუალებითაც იგი ქმნის, ძერწავს თავისი გმირების ხასიათის იდუმალ მხარეს, კლაუდიუსის ეს სიტყვები შევადაროთ (იმავე მოქმედებიდან) მის მეორე საუბარს ლაერტთან, სადაც მეფე გვერდზე გადასდებს, სხვა მოსაზრებით, ცერემონიალურ მანერას, რომლითაც გაელენთილი სიტყვა ახლახან წარმოსთქვა და უფრო ინტიმური, იდუმალი ინტონაციებით (და მახვილებით) ელაპარაკება ლაერტს:

„ახლა გვითხარი, შენ ჩემო ლაერტს,
რა ამბავია შენსკენ ახალი?
მგონი რაღაცის თხოვნა გხურს, ლაერტს?
დანიელთა წინ შენი ხმა ურცი
ფუჭად არასდროს გახშიანდება.
რა უნდა მიხივო, ლაერტს, ისეთი,
რასაც თვით მე არ შეგთავაზებდი?“

თუნდაც ის გარემოება, რომ ტექსტში სამჯერ მეორდება ფსევდოკორდიალური „ლაერტს“, „ლაერტს“, რომელთაც განსაკუთრებული მახვილი აზის.

ინტიმურობა აქ მხოლოდ მეფური „მეთი“ არის გამოხატული, ან გულის მოგების მიზნით ლაერტის სახელის სამჯერ გამეორებითაა მიღწეული. ასევე მოკლე წინადადებებით: ხუთ სტრიქონში ხუთი წინადადებაა, რაც უპირისპირდება ერთ გრძელ წინადადებას შვიდ სტრიქონში წინამოყვანილ მაგალითში.

შექსპირის ტრაგედიის ეპიზოდების და ენის ასეთი კომენტარები, ერთი შეხედვით, გარეგნულ მხარეს უსვამს ხაზს, მაგრამ სინამდვილეში ყურადღებას ამახვილებინებს მკითხველს ტრაგედიის გმირთა ბუნების ზოგიერთ საოუთ, დახვეწილ ან მზაკვრულ და ცბიერ სირთულეებზე. „კამლეტის“ (და სხვათადაც ყველა ტრაგედიის) ხელმეორედ წაკითხვის დროს მკითხველს უფრო მეტი გაეგება და მეტსაც ხედავს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტრაგედიასთან პირველი, მოულოდნელი შეხვედრისას ჩვეულებრივი მხილველი თუ წამკითხველი იმას უკვირდებოდეს, ესა თუ ის პასაჟი გართიმულია, იეთრი ლექსითაა დაწერილი თუ პროზაულად. მაგრამ, როდესაც ტრაგედია კითხება დაკვირვებით, ფროხილად (და არა ისე, როგორც სტატია...), ხმა-მადლა თუ არა ისე, რომ ეს ეხმიანებოდეს გონებასა და გულისყურს, მაშინ

შექსპირის ენის ასეთი თავისებურებანი შეასრულებენ თავის მისიას, ყოველ ბემთხვევაში, მისიის დიდ ნაწილს.

თარგმანში უნდა წარმოიქმნას არა ცალკეული სიტყვებით მიღწეული სიზუსტე, არამედ ის რეალობა, რაც დედნის ტექსტშია მუყავესებულად მთელი მისი აზრობრივი და სახეობრივი სიმდიდრით. თარგმანში უნდა შეინარჩუნოს ხშირად ორიგინალის ბუნდოვანი საფარი და მიღწეულ იქნას ავტორის მიერ სინამდვილის უშუალო აღქმის თავდაპირველი სიახლე. თუმცა ხშირად ეს ვერ ხერხდება, განსაკუთრებით სიტყვათა თამაში ან ორაზროვნება თუ კვსდება ტექსტში. ტრაგედია „ჰამლეტის“ მოქმედება მიმდინარეობს ბრწყინვალე რიტმით, შესანიშნავი ფსიქოლოგიური დაძაბულობით.

გვინდა შევეხოთ უაღრესად თავისებურსა და საინტერესო დიალოგს ჰამლეტსა და კორაციოს შორის. ეს არის აშკარა გამოვლინება იმისა, რომ ეს საუბარი დაწერილია დაუმრეტელი ფანტაზიის მქონე გენიოსის მიერ. კორაციო სთავაზობს ჰამლეტს, რომ მან თავიდან აიცილოს ღუელი ლაურტსთან და ბოდიში მოუხადოს მას.

აი, რას პასუხობს ჰამლეტი:

„არაფრის გულისათვის. არავითარი გულისთქმა. ბელურას სიკვდილშიც კი ღვთის ხელი ურევია. თუ ახლა იქნება, მაშ მერე აღარ მოხდება; ხოლო თუ მერე არ მოხდება, მაშ ახლა უნდა იქმნას. თუ ახლა არ მოხდა, მაშინ მომავალში მაინც მოხდება. ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ. ადამიანი თავიდან ვერ აიცილებს იმას, რაც შუბლზე აწერია, რა მოხდება, რომ აიცილოს? მოსახდენი უნდა მოხდეს“.

ჰამლეტის ამ სამოცდარი სიტყვაში (შე მხედველობაში მაქვს დედანი, ინკლისური ტექსტი) შვიდი სიტყვის გარდა, ყველა სიტყვა ერთმარცვლიანია: სტილი, აზრის გადმოცემის მანერა სასაუბრო-სალაპარაკოა, მაგრამ სიღრმითა და აზრის ჩამოქნის ლაკონურობით უმაღლესი ოსტატობაა.

მთლიანად ჰამლეტის მეტყველება, დიალოგი კორაციოსთან, ჩვენ ვიტყვიან, რომ ამას მონოლოგის ელფერიც დაკრავს, ამით ჰამლეტი თავის აზრს უზიარებს არა მხოლოდ კორაციოს, საკუთარ თავსაც არწმუნებს ამაში. ამიტომ არის მისი სიტყვა ასე ჩამოქნილი, ლაკონური, ერთი შეხედვით თითქოსდა უბრალო. მაგრამ იგი ამას ძალზე ჩაფიქრებული ლაპარაკობს, ამიტომ არის მისი ფინალური სიტყვები ასე ძლიერი ნებისყოფის გამოძახატველი. მოსახდენი მოხდეს (ან „იქმნას, რაც საქმნელია“).

შექსპირის ნაწარმოების ყოველი დეტალი ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა იქნას განხილული და შემდეგ ერთ მთლიანობაში გაერთიანებული. ამ ცალკე განხილვაში ჩვენ ვგულისხმობთ სიუჟეტის განვითარების ანალიზს, თემების კლასიფიკაცია-გარჩევას და გადმოცემის მანერას, რადგან შექსპირი ყოველი სიტუაციის გადმოცემის უდიდესი ვირტუოზი-ნოვატორია.

ჰამლეტის მამის აჩრდილის ხილვით გაოცებული და თავზარდაცემული ჰამლეტის მეგობრები გადაწყვეტენ, ეს ამბავი უფლისწულს მოახსენონ. ყველა ერთნაირად აღწერდა აჩრდილის ქცევას, გამოჩენის დროს. ტრაგედიის მხედველობა მიდის თითქოს მლორედ, ახალი არაფერი ხდება (მაყურებლისთვის ეს ხომ უკვე ცნობილია?), მაგრამ აქ ვლინდება შექსპირის ის მოუხედოებელი

ტალანტი, რომელიც დაუდევარი შტრიხებით ძერწავს მეფე ჰამლეტის სახეს, რაც ასეთ ცხოველ ინტერესს აღუძრავს მკითხველსა და მაყურებელს; როცა ის გამოცხადდა, საათმა შუალამის თორმეტი საათი ჩამორეკა; ფერმკრთალად გამოიყურებოდა; თავით ფეხამდე ბეგთარში იყო ჩაჭედებული; ერთგულად იმის ღრის; სახეზე სევდა უფრო აღბეჭდოდა, ვიდრე რისხვა; წვერზე მჭკვრეტელი ჰქონდა, როგორც სიცოცხლეში; ხმას არ იღებდა; როდესაც გამოეხმაურნენ, მან არაფერი უპასუხა; თუმცა ერთხელ ასე მოეჩვენათ, თითქოს აჩრდილმა თავი ასწია და ხმის ამოდება დააპირა; ზარადი ახდელი ჰქონდა; მაგრამ ამ დროს დილის მამალმა იყვილა და მოჩვენებაც მსწრაფლ გაქრა:

„გამიგონია მამლის ყივილი,
 ალიონის ეს დიდი მუბუკე,
 თავის მალალი, მჟღერი სიმებით
 დღის დმერთს აღვიძებს და ამ ყივილით
 ზღვაში თუ ცეცხლში, ცაში, მიწაზე
 გაბნეულ სულებს უხმობს მიმართონ
 თავის სამყოფელს, იქ დაიმადონ“.

იკვანძება ტრაგედიის კულმინაცია, ინტერესი სულ უფრო და უფრო ღვივდება. უფლისწული დიდად განაცვიფრა ამ ნაამბობმა. მან ეს საბოლოოდ არწმუნა და დაასკვნა, მამაჩემის აჩრდილი ნამდვილად უნახავთო. გადაწყვიტა ამ ღამეს პორაციის და ჯარისკაცებთან ერთად ედარაჯა, ასეთი მოჩვენება უსაქმოდ არ გამოეცხადებოდათ, ალბათ რაიმე აქვს სათქმელი და სხვა თუ არა, იქნებ მე დამელაპარაკოსო და მოუთმენლად დაუწყო ლოდინი ღამეს.

როგორც აღვნიშნეთ, ერთი შეხედვით პროზაული ეპიზოდია, უბრალო თხრობითი მანერით გამოცემული ამბავია. მაგრამ აქ არის დიდი ხელოვანის-თვის დამახასიათებელი, სტრიქონებს შორის მიმალული უდიდესი ოსტატობა, რომლის საშუალებით მწერალი ყოველგვარი ძალდატანების თუ ზემოქმედების გარეშე კმნის „უბრალოდ“ დამაბულ მომენტს.

შექსპირი პატივს სცემს მისტიურ საიდუმლოებას. იგი მხოლოდ შიშით არაა მოცული მიღმური სამყაროს მიმართ. მას შიშსა გვრის მხოლოდ იმქვეყნიური სასუფეველის ამოუხსნელობა, აბსოლუტური გაუგებრობა, რაც მოელი ძალით უღერს კიდევ ჰამლეტის ცნობილ მონოლოგში.



უილიამ შექსპირი პოეტური დრამატურგია, მაგრამ მხოლოდ მისი ორი ჰიესა — „რიჩარდ II“ და „მეფე ჯონი“ არის მსოფლიანად პოეტურად დაწერილი. დანარჩენი ტრაგედიები, სულ ცოტა, ერთი მეოთხედი მაინც. პროზაულადაა დაწერილი. მაგალითისათვის „ჰამლეტის“ ერთი შესამედი — პროზაა, ასევეა, პეტნაკლებად, „მეფე ლირი“.

პროზას შექსპირი იყენებს მაშინ, როდესაც ლაპარაკობენ უფრო მდაბიო ფენის წარმომადგენელნი. მისი პროზისათვის ერთობ დამახასიათებელი დეტალია ბრწყინვალე იუმორი. ამის შესანიშნავი მაგალითია „ჰენრი IV“, სადაც მოცემულია თვალისმომჭრელი იუმორის მოელი კასკადი (ფოლსტრაფი, პისტოლი, პეტო, ბარდოლფი, მისის კუიკლი, დოლ ტორშეტი და მრავალი სხვ.). მაშასადამე, შექსპირის ტრაგედიების ერთობ დამახასიათებელი თავისებურე-

ბაა ის, რომ მისი კეთილშობილი წარმომავლის გმირები ლექსიწყობით ლაპარაკობენ, ხოლო უფრო მდებრივ წარმომავლის გმირები კი პროზით (უფრო ხშირად, რა თქმა უნდა). ეს გენერალიზაცია არც ისე უბრალო მოვლენა გახლავთ, მას აქვს თავისი ფსიქოლოგიური და ამბიციური დატვირთვა.

„ჰამლეტის“ პროზასაც ახლავს იუმორი, ოღონდ ეს სხვა იუმორია, უფრო სარკაზმით გამსჭვალული იუმორია. ეს განსაკუთრებით დაძაბულია ჰამლეტის მეტყველებისათვის, როდესაც იგი ოფელიას ესაუბრება:

„თუ გათხოვდები, აი, როგორ უსიამოვნო მზიოვს გაგატან: კინულივით წმინდა და უბიწო რომ იყო, თველივით ქათქათა და უმწიკვლო, ცილისწამებას მაინც ვერ დააღწევ თავს. წადი მონასტერში, მშვიდობით. მაგრამ შენ თუ მანცდამაინც გათხოვება გნებავს, მაშინ სულელს გაყევი ცოლად, იმიტომ, რომ ჭკვიან კაცს კარგად მოეხსენება, რა რქიან მხეცად გადააქცევ“.

სუმბურული, ერთობ ნაღვლიანი იუმორი ჟღერს მეორე ეპიზოდში:

„ყური მოვკარი, რომ თურმე მხატვრობას მისდევ, კი, კარგია. ღმერთმა ერთი სახე მოგცა, შენ კი მეორეს აქმნი, აქეთ-იქით აწყდები, დათოხარიკობ, დაშარიშურობ. ღეთის ქმნილებებს ზედმეტ სახელებს არქმევ. ასეთ ჟინიანობასა და თავშეუკაცყობილბას უმეცრებას აბრალებ. წადი, აღარ მინდა; ამან გაბაგიჟა. მე ვამბობ, რომ ჯვრისწერა აღარ გვექნება. ვინც დაქორწინებულია, ჯველა იცოცხლებს... ერთის გარდა. დანარჩენნი ისე დარჩებიან, როგორც არიან. ღედათა მონასტერში წადი“.

სულ სხვაგვარად ჟღერს ჰამლეტის მეტყველება, როდესაც მას სურს თავი ეკუთხედ შემცდარად მოაჩვენოს თავის ახლობლებს. ფაქტი ის არის, რომ საერთოდ შექსპირის კეთილშობილი მსახიობები თავს არ იზღუდავენ და ერთობ ხალვათად იყენებენ პროზაულ ენას სიტუაციისდა მიხედვით. ასეთი სიტუაციები კი შექსპირის ტრაგედიებში უამრავი გვხვდება (გამონაკლისი არც „ჰამლეტია“). უაღრესად საინტერესოა, როგორ ხმარობს მას პრინცი ჰამლეტი, როცა იგი თავის სკოლის ამხანაგებს როზენკრანცსა და გილდენსტერნს ესაუბრება. გადავხედოთ ამ პასაჟს. მათ დანახვაზე ჰამლეტი ამბობს:

„ო, ჩემო ბრწყინვალე მეგობრებო! როგორ ბრძანდები, გილდენსტერნ? ა, როზენკრანც! ყმაწვილებო, როგორ გიკითხით?“

ცოტათი ადრე კი პოლონიუსს ექილიკებოდა ერთობ ენამახვილურად და ბრძნული პოზით. ახლა, თავის ძველი სკოლის ამხანაგების დანახვაზე, მისი კეთილშობილი და ზრდილობით აღსავსე ბუნება გამოყენიზღდება. მას გულწრფელად უხარია როზენკრანცისა და გილდენსტერნის დანახვა. მაგრამ მაშინვე მიხვდება, ორივე კლაუდიუსის მოგზავნილი ჯაშუშები არიან და სულ სხვა ინტონაციით, სეტყვასავით მიაყრის:

„მაშ არავის მოუწვევიხართ? თქვენი საკუთარი სურვილია? თქვენის ნებით მესტუმრეთ? აბა, მიბრძანეთ, ალაღ-მართლად მომახსენეთ, მიდი, მიდი, პა, ხმა ამოიღეთ“.

როდესაც ისინი აღიარებენ, რომ მეფის მოგზავნილნი არიან, ჰამლეტი თითქოსდა დამშვიდდება, მიუხედავად იმისა, რომ კარგად მოეხსენება, იგი ამ ჯაშუშთა სამიზნეა. ჰამლეტი სრულიად უგულვებელყოფს მათ და ჩვენ გვესმის მისი მონოლოგი, ან საკუთარ თავთან საუბარი, თუმცა იგი კითხიდა როზენკრანცისა და გილდენსტერნის დშია მიმართული:

„ამ ბოლო დროს, მე არ ვიცი რატომ, დამეკარგა მხიარულების ხალისი, მივატოვე ყველა ჩვეული საქმე; ნამდვილად, გულზე ისეთი სევდა შემომაწვა,

რომ ეს მშვენიერი წრე, დედამიწა, უდაბურ კონცხად მეჩვენება; ეს ბრწყინვალე ჰაერის საფარი, ჯადოსნური ცის კამარა, ოქროსფრად დიდებულად აბჟყვრილებული ჭერი, სულისშემხუთველი, დაბურული და მოწამლული ჩისლი მკონია. რა სრულყოფილი ქმნილებაა ადამიანი, როგორი ღირსეულია თავისი სწროვნებით, ზღვარი არ გააჩნია მის ნიჭს, რა ზუსტია მისი ანგებულება, მიხვრა-მოხვრა, ქცევა, ასე, რომ წააგავს ანგელოზისას; გონიერება, ასე რომ მიუგავს ღვთისას. ქვეყნიერების მშვენიერებაა, ყოველთა არსთა გვირგვინია! და იგი ჩემთვის მაინც მხოლოდ მტვერია, მტერის კვინტენსენციაა. კაცის ხილვა მე აღარ მსიამოვნებს, აღარც ქალისა, თუმცა ღიმილზედ გატყობთ, თქვენ სულ სხვა რამის თქმა გნებავთ“.

შესანიშნავი ხალხური სიბრძნითა და იუმორითაა გამსჭვალული ორი მესაფლავეის საუბარი. ეს სცენაც პროზაულადაა დაწერილი, თუმცა მივჩნობთ მესაფლავეთა სიმღერა-ღიღინის ტექსტები ინგლისური ხალხური ლექსის ზომითაა დაწერილი. ასეთი სიტუაციის დროს, — უნდა დამარზონ ახალგაზრდა ქალი, რომელმაც თავი შოიკლა, — ზუმრობა ძალიან ძნელი საქმეა. მკითხველის თუ მხილველის თვალში მკრეხელობად გამოჩნდება. მაგრამ აქ ჩანს შექსპირის დამახასიათებელი უდიდესი უნარი, საჩოთსრა ამბავს უდიდესი ოსტატობით, ფილოსოფიურად გაართვას თავი, მესაფლავეისთვის სიკვდილი ჩვეულებრივი ამბავია, ეს მისი ყოველდღიური სამუშაოა, ლუკმა პურის საშოვნის ხელობაა. მისი სული ძალაუნებურად გაუხეშებულია სიკვდილთან ყოველდღიური წილნაყარობით.

ტრაგედიაში თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ცხოვრებისეული პრობლემითური სირთულეები. შექსპირი აყენებს ამ პრობლემებს, მაგრამ არ ცდილობს ამ პრობლემის გადაწყვეტას, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში — „ბოროტსა სძლიოს კეთილმა“. თუმცა, რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში ნათლად იგრძნობა, რისკენაც იხრება მისი საკუთარი „თემიდას სასწორი“. მას ხალხის სამსჯავროზე გამოაქვს ცხოვრების სირთულეები და მასთან დაკავშირებული პერიპეტეები, მიუთითებს მათ ავსა და კარგ მხარეებზე, მთელი სიკვდილთ გამოაჩენს მათ და შემდეგ ხალხსვე მიანდობს მსჯავრის გამოტანას. ამის შესანიშნავი მაგალითია ჰამლეტისა და პოლონიუსის საუბარი, სადაც შექსპირი დაუნდობლად აჩენს ადამიანისათვის ყოველად დამამცირებელ მხარეებს — მლიქვნელობას, პირმოთხეობას, მამუბლობას, ქლესაობას, ყველაფერზე კვერის დაკვრას. აქაც, ჰამლეტის დაუფარავ სარკაზმში, თავისით ჩანს საიოკუნ წარმართავს შექსპირი მკითხველისა და მაყურებლის მსჯავრს.

XVI საუკუნის ინგლისის ლიტერატურისათვის ერთობ დამახასიათებელია ევფუიზმი, — გადაპრანჭული მეტყველება. სამეფო კარისა და არისტოკრატის ამ სალიტერატურო სკოლამ თავის აყვავებას მიაღწია ედმუნდ სპენსერის (1552–1599), ფილიპ სიდნეის (1554–1586) და განსაკუთრებით ჯონ ლილის შემოქმედებაში (1554–1606). ეს იყო იტალიური რენესანსის ბრწყინვალე გამოძახილი. მაღალი წრის ახალგაზრდა ინგლისელი კაცი თუ ვინმე ლამაზ ლენიზე ლაპარაკობდა, არასოდეს იტყოდა უბრალოდ „იგი ძალიან ლამაზია“. იგი ამას დაახლოებით ასე ჩამოაყალიბებდა — „მისი განსაკუთრებული განსაკუთრებულება, გამორიცხავს ყოველგვარ სხვა განსაკუთრებულებას“. ან თუ ქალისთვის უნდა ეკითხა დიდი როდის აბრძანდა, ასეთ ფრაზას აავებდა — „როდის გააუბედურეთ თქვენი საწოლი?“ სილო, თუ იმის კითხვა ნებაუდა, თუ როდის დაწვებოდა ღამით, ასე მიმართავდა — „როდის გააბედნიერებთ ამა-

დამ თქვენს საწოლს?“ სიტყვები, ფრაზები, მთელი ტირადები დახტოდნენ და დაიკლაკნებოდნენ მათ ბაგეებზე.

ამ მძლავრმა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ, რა თქმა უნდა, შექსპირის ადრინდელ შემოქმედებაზედაც იქონია გავლენა. თუმცა შემდგომ ტრაგედებშიც აქა-იქ მაინც იჩენს ხოლმე თავს, რომელი, კაპულეტების რაღაცე, როდესაც მოცეკვავე ჯულიეტას მოკრავს თავს, ასე ეკითხება რაფის მსახურს — „ვინ არის ის ქალბატონი, იმ რაინდის ხელს ასე რომ ამდიდრებს?“ მსგავსი ძაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. მაგრამ შემდგომში შექსპირს ეს პიძართულება სასაცილოდ მიაჩნია და მის წინააღმდეგ ილაშქრებს კიდევ. ევფეისტური ჯენტლმენის ბრწყინვალე კარიკატურას წარმოადგენს იგი „ჰამლეტში“ ოსრიკის სახით. ჰამლეტისა და ოსრიკის საუბარი ეს არის სარკაზმით აღვსილი იუმორი. შექსპირი ხაზგასმული კრიტიკულითა გადმოსცემს ევფეისტის სასაცილო არსს.

შექსპირი ევფეისტებს იყენებს ვინმეს გატრიზაჟებისთვის, მასხარად ასაგდებად. ამავე დროს იგი მეტყველების ამ მანერასაც აბუნად იგდებს. შექსპირის ტრაგედების თარგმნისას მთარგმნელს არ ევალება ელისაბედის ეპოქის ზუსტი, დეტალური ასახვა, მას ევალება მისი ცოდნა მხოლოდ იმისათვის, რომ სწორად გაიგოს შექსპირის ტექსტი, მისი იდეა, ფორმა. მაქსიმალურად ზუსტი წარმოდგენა იქონიოს მისი გმირების სულიერ ცხოვრებაზე, ფსიქოლოგიაზე, საერთო ხასიათზე.

შექსპირის ტრაგედების ყოველ სიტყვაში მის გარშემო არსებული სინამდვილე ჩანს. „კარგ ღვინოს ბუჩქი (აკილო, ჩხა) არ სჭირდება“, — ამბობს როზალინდა კომედიის ბოლოს („ეს შექვენ როგორ მოგეწონებათ“). აქ ყველა სიტყვა ჩვენთვის ნაცნობია, თითქოს არავითარ გაუგებრობას არ უნდა აქონდეს ადვილი, მაგრამ კომენტატორის ჩარევა მაინც საჭიროა. საქმე იმაშია, რომ იმ ეპოქაში ღვინოს დუქნების თავზე რეკლამის მაგიერ გამოვიდული იყო ეაზის რტოები (კითხვა მაშინ ცოტას თუ შეეძლო), რომელსაც „ბუჩქს“ უწოდებდნენ. როზალინდას ნათქვამიც ამას ნიშნავს — „კარგ ღვინოს რეკლამა არ სჭირდება“, ე. ი. კარგ კომედიასაც ეპილოგი არ სჭირდებაო. ასეთივე რღიერი დატვირთვა აქვს ჰამლეტის თითქოსდა სხვათაშორის ნათქვამს ოსრიკის შესახებ, როდესაც იგი პორაციოს ეკითხება — „Dost know this waterfly“ — ვინ არის ეს waterfly, ეხედებით სხვადასხვა თარგმანს — „ჭრიჭინა“, „МОШКА“ და ა. შ. ეს კი ნიშნავს სწორედ „waterfly“ — ტანაჯორი, მწერი, რომელიც ლაღად, ერთობ ცქციტად დასრიალებს ჭაობებში, დაჭანჭრობულ გუბებში. ოსრიკი, რომელსაც აქვს „დიდი მამულეები და ჩინებული მისწები...“ და მეფის კარზედაც ერთობ გავლენიან პირად ითვლება, ძალიან კარგად გრძნობს ამ ჭაობზედ თავს, ცქაფად დასრიალებს ბორბლებში ჩამდრძკალ, დაჭაობებულ მეფის კარზე. აი, ამისი თქმა სურს მწერალს თითქოსდა გაკვრითა ნათქვამ სიტყვაში. შოთა რუსთაველი ამდაგვარად ხმარობს ამ სიტყვას:

კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს, ვითა ტანაჯორი,

* * *

უილიამ შექსპირის ნაწარმოებები თითქმის შექმნილია იმ იმპრესიონისტულ ტრადიციებზე, რომელიც აცხადებს, რომ „ცხოვრება კი არ მოგვიოხრობს რაიმეს, არამედ ზემოქმედებას ახდენს ჩვენს გონებაზე“, რასაც ჩვენ დავუმატებდით — ჩვენს სულზე, გულზე და საერთოდ ჩვენს ბუნებაზე. ბევრ ტრაგე-

იაში ნაწარმოების გმირი თითქოსდა ავტორის ჩაურევლად გადმოსცემს თავისი ცხოვრების „თვისით მსვლელობას“, შექსპირი დროდადრო თუ „ერევა“ ხილმე ამბის გადმოცემაში და თავის გმირს რიტორიკულად ხმას აშველებს როგორც ანტიკურ ქოროს. ჰამლეტი, რომელსაც აწეწილ-დაწეწილი, შეშფოთებული აქვს გონება, და, თუ ვნებავთ, გიჟური აზროვნებით, ყველა ამბობს გენიალურ მონოლოგს ამ ქვეყანაზედ ყოფნა-არყოფნის შესახებ.

აქ თითქმის თავი მოუყრია ტრაგედიის უმთავრეს თემატიკას.

ეს გახლავთ ტრაგედიის სამი ძირითადი აზრი: ჰამლეტის ფილოსოფია ცხოვრების რაობის თაობაზე, პატრიარქალური ოჯახის ნგრევის შედეგი და ფიქრთა ჭიდილის ტყვეობაში მოხვედრილი ადამიანის ხვედრი, რომელიც აკოსიდობილურად იხდის ვალს თავისი მოვალეობის წინაშე. ტრაგედია „ჰამლეტის“ ფილოსოფიური არსი გვაფიქრებინებს, რომ მან მწერალს საშუალება მისცა წამოეჭრა ფილოსოფიური თეორია, რომ ყოველი ადამიანის ბედი წინასწარ განსაზღვრულია და თვით ადამიანშივეა ჩასახული საზარელი ცოდვა და მანკიერება, რაც საბოლოოდ ლოგიკურ განხორციელებას მოითხოვს.

„ყოფნა, არ ყოფნა“ — კეთილუბით ამ გენიალურ მონოლოგს და ქრება ჰამლეტის, როგორც „უული გმირი-ეგზისტენციალისტის“ სახე. იმედგადაწყვეტილი პიროვნება, რომელიც უგზო-უკვლოდ დაეხეტება ამ ქაოტურ სამყაროში, რომელსაც არც აზრი გააჩნია და არც თანამიმდევრული ლოგიკა. ამ დროს არ არსებობს არც დანია, არც შუა საუკუნეები, არც რაიმე ერთი სამყარო. ეს არის გლობალური, საყოველთაო აზროვნება, ადამიანის სულის მუდმივი ძიება ყოველ ეპოქაში. დღეს კი ეს ალბათ ასე გაისმის — ნიადაგამოცლილი, საყრდენდაკარგული ახალგაზრდა კაცი, რომელიც პირისპირაა წამდგარი უწყალო, შეუბრალებელი ცხოვრების წინაშე.

ამ ბრწყინვალე მონოლოგში გადმოცემულია ჰამლეტის, როგორც საღად მოაზროვნე ახალგაზრდა კაცის მსოფლმხედველობა. საბოლოოდ ჩამოყალიბებულია მისი შესანიშნავი პორტრეტი, — მისი ინტელექტი, ფილოსოფია, ცხოვრებისადმი უაღრესად რეალური დამოკიდებულება, რაც ასე დამახასიათებელია რენესანსული არსისათვის, და სკეპტიციზმი იმქვეყნიური ცხოვრებისადმი, სადაც ადამიანისათვის ოფიციალური რელიგიის მიერ შეთავაზებული კორსიფიკაცია იგულისხმება. შექსპირი გარკვეული გულისტკივილით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ადამიანთა უმრავლესობას სიკვდილის შიში და იმქვეყნიური ბნელი და გაურკვეველი მხარის უცოდინარობა ათმენინებს ამქვეყნიური ცხოვრების ბოროტებას, უსამართლობას, გაუტანლობას და ათას სხვა მანკიერებას. მონოლოგში ზეაწეული და განზოგადოებულია თვით პრობლემა:

ეს არის თავი და თავი, —

„ყოფნა, არ ყოფნა, აი, საკითხი“.

თავიდანვე უაღრესად მძაფრად აყენებს ამ საკითხს ჰამლეტი.

კეთილშობილი ადამიანი, საერთოდ ადამიანის შვილი თავისი სულით და გონებით უნდა ეწამოს, აიტანოს მძვინვარე და შმაგი ბედისწერის მიერ მოძღვნილი ყოველგვარი უბედურება და მძიმე ხვედრი.

სხვა ალტერნატივაც არსებობს: შეებრძოლოს მოხდვაეებულ უბედურებას, რაც ადამიანის ცხოვრების უცილობელი თანამგზავრია და ამ შერკინებით ყოველივე მოსპოს, გაანადგუროს, თვითონაც შეეწიროს ამ ბრძოლას, მოსპოს

საკუთარი სიცოცხლეც და განთავისუფლდეს ამქვეყნიური ჭაპანწყვეტისაგან, სხვა არაფერი...

ჰამლეტის აფორიაქებული გონება ცდილობს სხვა გამოსავლს მოიხილოს, რაც დააღწევინებს თავს ადამიანს „მოზღვავებული უბედურებისაგან“. მაგრამ ეს თავისი ანალიტიკური და შორსმჭვრეტელი გონებით იცის, რომ ეს ამაღლა, დარჩენილია ერთადერთი გზა, — ყოველივეს მოსპობის, საკუთარი თავის ჩათვლით, და „სხვა არაფერი“.

ჰამლეტის ამ მონოლოგში განზოგადოებულია პიროვნების მდგომარეობა: ზოგად ადამიანურ ყოფიერებაზე. მსჯელობა ადამიანის სიცოცხლის რაობაზე, მის ნებისყოფასა და იმ პრობლემებზე, რაც თანსდევს კაცს მის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჰამლეტი სინანულით აღნიშნავს, რომ ადამიანს არ უნდა შეექმნას ისეთი პირობები, რომ ენატრებოდეს სიკვდილი, სიცოცხლის მოსწრაფება:

„ეს ბოლო უნდა გვენატრებოდეს?!
გარდავიცვალოთ, თვალი მოვხუჭოთ...“

დგება მონოლოგის უმთავრესი პრობლემა, — ადამიანმა არაფერი იცის სიკვდილის შემდეგ არსებობის გაგრძელებისა, სულის უკვდავებისა, იმქვეყნიური ცხოვრებისა და ამიტომაც, რომ იგი მღელვარე და ძნელად გასაძლის რეალურ ამქვეყნიურ ცხოვრებას ამჯობინებს:

„დავიძინოთ... რა დაგვესიზმრება?
აი, აქ არის ის დაბრკოლება:
არ ვიცით თუ რა დაგვესიზმრება,
როს დაუძვრებით მოკვდავთ ცხოვრების
მღელვარებას და აუტანლობას.
აი, ეს გვაჩერებს“.

აქ ჩანს ჰამლეტის სულიერი ტრაგიზმი, მისი გონებრივი უღონობა (ან ადამიანის სრული უუნარობა), რომ იგი ვერასოდეს გასწვდება ცხოვრების ამ კდიდეს საიდუმლოს, მის დედაარსს, მის ბუნებას.

ამის ცოდნის წადილი ყოველთვის გააჩნდა ადამიანს:

„ . . . სწორედ ეს არის
განსასჯელი და გასაგნებელი,
ამ გრძელ ცხოვრებას გრძელ ტანჯვად რომ ხდის“.

შექსპირის დრამა ფილოსოფიური აზრით დატვირთული მონოლოგი უიმედობით, ყველაფრისადმი უნდობლობითა და ეჭვით არის გამსჭვალული. ჰამლეტი დიდი გულსტკივილითა და ერთგვარად ბრაზითაც ამბობს:

„ეს რომ არ იყოს, ვინ აიტანდა
დრო-უამის მათრახს, ბედის დაცინვას,
მჩავერდელს სიკვებს, ამაყთ ურჩობას;
უარყოფილი სიყვარულისგან
მწვავე ტკივილს და სინდისის ქეზუნას“.

მონოლოგში ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენებიც აირეკლება. მელანქოლიკური ანალიტიკური ინტელექტი სოციალურ პრობლემათა კრიტიკაში:

მონოლოგი „ყოფნა, არ ყოფნა...“ მხოლოდ დრამატურგის მონოლოგთა მწვერვალია, მას არ აკლია აზრობრივი დატვირთვა, გარეგანი მიმსებრე, მოქნილი და ბუნებრივი შეტყველება, უფაქიზესი ხატოვანება, რაც უზუსტეს, ადეკვატურ თარგმანს მოითხოვს.

ქართული თარგმანი ასე ვლერს:

„ეს გვირვეს თავ-გზას და ნებისყოფას
და ვვაძულებს ისევ ეარჩიოთ
იგივე ჭირი, რომელიცა გვჭირს,
ვიდრე უცნობის გათავისება“.

„შეჩვეული ჭირი სჯობს შეუჩვეველს“, — ამას ამბობს მწერალი თავისი ბრწყინვალე ხალხური ენით.

მონოლოგის ბოლოს კი ვლერს ლოგიკური დასკვნა ამ დრმა ფილოსოფიური მსჯელობისა, რაც ყველასათვის ერთობ ვასაგებია:

„ეს თვითშეგნება გვაქცევს ლაჩრებად
და ამდაგვარად ბუნებრივ იერს
ფიქრები სძენენ უსუსტეს იერს;
აღმაფრენა კი წამოწყებისა
ასეთი განსჯით იცვლის დინებას
და კარგავს სახელს მოქმედებისას“.

„ყოფნა არ ყოფნის“ მონოლოგი ტრაგედია „ჰამლეტის“ ცენტრალური ადგილია. იგი ყოველთვის სარგებლობდა განსაკუთრებული პოპულარობით, თავის ეპოქაშიც და მომდევნო საუკუნეებშიც. XVII ს-ში მუსიკაც შეითხზა მისთვის და გიტარის აკომპანიმენტის ქვეშ იმღერებოდა. მონოლოგის დასაწყისშივე ჰამლეტი ასეთ კითხვას წამოჭრის, რა უფრო ღირსეულია —

„...აიტანოს
ხასტიკა ბედის, შურდულის ქვის თუ
გამძვინვარებულ ისართა ტყორცნა“.

თუ ნაცვლად ამის —

„...შეებრძოლოს ზღვა უბედობას,
ამ შერკინებით მოსპოს ყოველი,
თვითონაც მოკვდეს და მიიძინოს,
სხვა არაფერი...“

ღუმილი და ყველაფრის უდრტვინველად ატანა მას არ შეუძლია. მაგრამ „ზღვა უბედობის“ წინააღმდეგ ხმლის აღმართვაც არავითარ შედეგს არ გამოიღებს. თვალწინ გვიდგება მანკიერებითა და ბოროტებით სავსე ცხოვრების წინააღმდეგ აჯანყებული ახალგაზრდა ვაცის პორტრეტი. ჰამლეტი თვალნათლად ხელავს:

„...მოკვდავთ ცხოვრების
მღელვარებას და აუტანლობას“.

დრო-ჟამის მათრახს, ბედის დაცინვას,
მზაგურელთ სიავეს, ამაყთ ურჩობას;

და ღირსეულთა შეურაცხყოფას
უმაქნისის და უღირსისაგან“.



ცხოვრება ჰამლეტისათვის მძიმე ტვირთადაა ქცეული. მას შესანიშნავად ესმის, რომ უკუღმართია ეს ცხოვრება, ბოროტებით სავსე, მაგრამ ვერც ბოროტების გამოსწორების გზასა ხედავს. ისტორიულად სხვანაირად არც იქნებოდა. ჰამლეტი — ასე ვთქვათ, შექსპირის ეპოქის ჰუმანისტთა სინთეტური პორტრეტია, რომელთაც თვით შექსპირიც მიეკუთვნებოდა. აი, რატომ გვეძლევა იმის უფლება, რომ ვთქვათ — ჰამლეტის სახიერებაში შექსპირმა საკუთარი სულის ნაწილი შთანერგა. აკი შენიშნეს კიდევ, რომ შექსპირის ტრაგედიების ყველა გმირთაგან მხოლოდ ჰამლეტს შესწევდა ძალა და უნარი დაეწერა ეს პიესები.

* * *

უილიამ შექსპირის ტრაგედიების ენა ერთგვარ გაცეხებას იწვევს მკითხველში თავისი უზარმაზარი მარაგით და მრავალფეროვნებით. მწერალი ლაღად დანაკარდობს მშობლიური ენის წიაღში. გასაოცარია მისი მდიდარი სპექტრი, — ყოველი გმირი ტრაგედიისა თავის ენაზე ლაპარაკობს, მეფით დაწყებული და მესაფლავით დამთავრებული. შექსპირს გამოყენებული აქვს თავისი დროის ცოცხალი მეტყველება, რენესანსის „გაფუფუნებული“ საუბრის მანერა, დახვეწილი პოეზიისათვის დამახასიათებელი ენა, მისი თანამედროვე თუ წინამორბედ დრამატურგთა ევფუიზმები, სასაუბრო მოქნილი ენა, ცქვიტი, ლაყაფი, ჭარტალა, იუმორით სავსე მეტყველების მთელი სტიქიონი.

შექსპირის ენა ერთობ რთულია, მაგრამ მისი სირთულე ენის მოძველებით არ აიხსნება. ეს სირთულე გამოწვეულია იმით, რომ შექსპირი წერს ეპოქის, თავისი დროის ცოცხალი ენით, მისთვის ჩვეული ორაზროვნებით, ჟარგონით და კომპონენტებით. შექსპირის ნაწარმოებთა სიტყვები ეს არის მცირე, უამრავი სარკე, რომლებშიც აისახება და აირეკლება ეპოქის სინამდვილე. ამიტომ გარდა ენის ცოდნისა, შექსპირის ტრაგედიების აზრის გასაგებად, მასში ჩასაწვდომად, აუცილებელია შექსპირისეული დროის ცოდნა (ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითი, სადაც როზალინდა ამბობს, „ვარგ ღვინოს ბუჩქი არ ესაჭიროება“). შექსპირის ტრაგედიები გასაგები იყო მაყურებლისთვის, ხალხისთვის, ამიტომ გადიოდნენ ისინი დიდი წარმატებით ლონდონის თეატრებში. ტრაგედიების კომენტირება მხოლოდ XVIII საუკუნეში გახდა საჭირო.

შექსპირის ლექსიკონი მეტად მდიდარია, მაგრამ მისი ენის სიმდიდრე მხოლოდ შთაბეჭდავი ციფრებით არ გამოიხატება. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მისი უზარმაზარი რაოდენობის სიტყვათა მნიშვნელობა, ათასგვარი ელფერი, მის სიტყვებს მრავალგვარი იერი დაჰკრავს, ზოგში აზრია მიჩქმალული, გადატანითი მნიშვნელობა აქვს, ირინია ივრძნობა. ზოგი თითქოსდა მი-

ფუჩენებულ-მინქმალულია, ზოგი ჩამუქებულია, ხაზგასმითაა წარმოჩენილი, თვალსაჩინოდ გამოყოფილი, დედააზრია წინ წამოწეული, სიტყვას მნიშვნელობას სრულიად ახალი ელფერი აქვს მიცემული, ყალბი სიხარულის თუ მწუხარების იერი აქვს შეძენილი და ა. შ. და მრავალი სხვა. მთარგმნელს უხდება ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში სრულად გარკვევა, რათა თარგმანმა სიტყვა გადმოიტანოს იმ მნიშვნელობით და ჩაჩაფიქრით, რაც მას დედანში ჰქონდა.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ხშირად შექსპირი სიტყვას ხმარობს ორი ან რამდენიმე მნიშვნელობით. გარდა ამისა, მისთვის დამახასიათებელია ნათელი ინტონაცია (როგორც დრამატურგისა), თუ რა ელერადობით, რა გამოძეტველებით ხმარობს გმირი ამა თუ იმ სიტყვას, მთელ წინადადებას. აქ უკვე საჭიროა გარკვეულ იქნას კონტექსტი, სიტუაცია, ფსიქოლოგიური დატვირთვა.

მომაკვდავი მეფე ჯონი ამბობს: „მე ცივი თანაგრძნობა მსურს“. ეს ჯერ ამას ნიშნავს, რომ მეფეს თუნდაც გულგრილი თანაგრძნობა სწყურია, და მეორეც, მას ფიზიკურად უნდა სიცოცხლე, რადგან მიღებული საწამლავისაგან გულმუცელში ცეცხლი უნთია. ასეთივე დატვირთვა აქვს ოსრიკის „ტანაჯორს“. შექსპირის სიტყვის გასაგებად მხოლოდ წაკითხვა არ კმარა, იგი მოსძებნილი უნდა იქნას. დიდი დრამატურგი, უბირველეს ყოვლისა, სცენისთვის თხზავდა. პრაქტიკამ თუ ცხოვრებამ დაადასტურა, რომ მრავალ შემთხვევაში მსახიობები შესანიშნავი კომენტატორები არიან. შექსპირის „იმპულსური შეტყველების“ დახლაროული სინტაქსისი ხშირად სრულიად იოლად გასაგები ხდება, როცა მას სცენაზე დიდი მსახიობი წარმოსთქვამს.

ელაპარაკობთ რა შექსპირის ენის სრულ გავებაზე, საჭიროა ეპოქის, მისი დროის შეტყველების ცოდნა, ეს „ამლეტის“ პირველ სტრიქონებიდანვე იჩენს თავს.

განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული ფრაზეოლოგიის თარგმნა, რასაც ასე უხვად იყენებს შექსპირი თავის ტრაგედიებში. ფრაზეოლოგია ლექსიკოლოგიის ყველაზე ნაკლებად დამუშავებული და საერთოდ შედარებით ნაკლებად დაკონკრეტებული საგანია. ცალკეულ შრომებში მოცემულია მხოლოდ მტკიცე ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სქემატური კლასიფიკაცია, რაც მარტო ფორმალური ცდაა ენის მთელი ფრაზეოლოგიური სიმდიდრის გრამატიკული სქემების ჩარჩოებში მოქცევისა. ეს კლასიფიკაციები უფრო ფრაზეოლოგიურ ერთეულთა უბრალო ანბანური ლექსიკონის სახით გადმოიცემა, რასაც მთარგმნელობითი კანონები იშვიათად თუ დაექვემდებარება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფრაზეოლოგიას კონკრეტული შესატყვისი ესაჭიროება კონტექსტის, შინაარსის სიტუაციის და სხვა პირობების გათვალისწინებით.

მაგალითისათვის, „anxiety“-ს გარდა შფოთვის, მღელვარებისა და უინის მნიშვნელობისა, მგზნებარე, მხურვალე სიყვარულის მნიშვნელობაც გააჩნია. აქ საინტერესოა კიდევ ერთი რამ, — წინა გაურითმავი სტრიქონი შეიძლება იყოს შეცდომითა დასაწყისი, რომელიც შემდგომში შექსპირს ან გამოორჩა, ან აღარ ჩათვალა საჭიროდ მისი წაშლა.

შესანიშნავადაა თარგმნილი ეს ურთულესი ადვილი ივანე მაჩაბლის მიერ:

„რადგანაც ქალის ეჭვი მოხდევს მხოლოდ სიყვარულს;
ეს ორივე გრძნობა ერთად არის დაბადებული,
ან არარაობს, ან ძალას იჩენს ზომას — გარდასუღს“.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. შექსპირი ურთულ-
გობისა და ხალხური თქმების დიდოსტატია. „იგი მიძარტავს ხალხს“ — რო-
გორც ამბობდა პოეტი ალექსანდრ პოპი.

* * *

შექსპირის ტრაგედიების მცირე ნაწილი გართმულია, უმეტესი კი თავი-
სუფალი ლექსითაა დაწერილი. დრო და დრო თეთრი ლექსის დასასრულს მო-
ცემულია განსაკუთრებული ემოსიური დატვირთვის სტრიოფი, ან ორი გართ-
მული სტრიქონი, რომელსაც შემდეგ თეთრი ლექსის სტრიქონი მოჰყვება. ეს
განსაკუთრებით დამახასიათებელია ჰამლეტის მეტყველებისთვის. მაშის ანრ-
დილთან შეხვედრისა და საუბრის შემდეგ ჰამლეტი ისევ თავის მეგობრებს
უბრუნდება. მისი საუბარი დაწერილია თეთრი ლექსით და ბოლოში ხმარობს
ორ გართმულ სტრიქონს, რაც უფროს ერთობ ღირსეულად და დამაჯერებლად.
შემდეგ ჰამლეტი ამბობს ერთ თეთრ სტრიქონს, მოკლე გაურითმავ სტრიქონს.
ამ დამატების ეფექტი მხოლოდ ის არ არის, რომ ჰამლეტს სჭირდება მეგობა-
რი, მხარში ამომდგომი ამ წალმა-უკულმა მბრუნაეი დროის მოსატრიალებლად
და კალაპოტში ჩასაყენებლად. ჰამლეტის შემახილში, რომ იმიტომ გაჩნდა ამ
ქვეყნად, რათა ეს ბედუკულმართი ცხოვრების ჩარხი მოატრიალოს, ჩადებულია
მისი ცხოვრების მთავარი მისანი, — აღასრულოს ის უდიდესი მოვალეობა, რაც
მაშის ანრდილმა დააკისრა.

უნდა აღინიშნოს, რომ ადრინდელ თარგმანებში ეს მნიშვნელოვანი თავი-
ხებურება გამოტოვებულია (არსად ასეთი სტრიქონები არ არის გართმული).

ერთად წავიდეთ. და ენას კბილი
მაგრად დაადგით მე გეუდრებით.
დრო წალმა ბრუნავს, ბედო ტიალო,
გავჩნდი ქვეყნად რომ მოვატრიალო!

კუბლეტები ხანდახან გამოყენებულია სცენის დასასრულს, სანამ ახალი
მოქმედი პირები გამოჩნდებიან სცენაზე, ან იხმარება საერთოდ მოქმედების
უინალში. ორზე მეტი გართმული სტრიქონი (ოთხი, ექვსი და ა. შ.) გამოყე-
ნებულია იმ შემთხვევაში, როდესაც ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას,
რომ საუბარი არ ატარებს ნორმალურ, არსებითი მსჯელობის ხასიათს. ტრა-
გედიაში სერიოზული მსჯელობა თუ საუბარი უმეტეს წილად გადმოცემულია
გაურითმავი პოეზიის ან პროზის საშუალებით. ამის ნათელი მაგალითია ტრა-
გედიის III მოქმედების II სურათი, როდესაც ჰამლეტი ელაპარაკება როზენ-
კრანცსა და გილდენსტერნს, განსაკუთრებით კა პოლონიუსს. რა თქმა უნდა,
შექსპირი რითმებს იყენებს სხვაგანაც. როგორცაა ჭკუაზედ შემცდარი ოფელი-
ას სიმღერები, ჰამლეტის ლექსი ოფელიასადმი მიწერილ წერილში და ა. შ.

სტრიქონების ასეთ გართმევას შექსპირის ტრაგედიებში ერთობ მოუ-
ლოდნელი ხასიათი აქვს, არ არის რაიმე კანონზომიერებას დაქვემდებარებული.
ჩვენ შევეცადეთ არცერთი გართმული სტრიქონი არ დაგვეტოვებინა აღუქვა-
ტური თარგმანის გარეშე.

კამლეტი ბიძამისის ბოროტმოქმედების გამოსააშკარავებლად ფანდს იგონებს. იგი მოხეტიალე მსახიობებს მეფის კარზე დაადგმევინებს მეფის მიერ თავისი ძმის მკვლელობის სცენას, რაც ძლიერ წააგავს ბიძამისის მიერ ჩადენილ დანაშაულს. მეფე ამ სანახაობას რომ იხილა, შესაძლოა ისე შეძრულიყო, რომ იქვე ეღიარებინა ჩადენილი დანაშაული. მსახიობები გაეფრთხილებენ ბიძამისის წინაშე მამაჩემის მკვლელობის სცენას, — ასე ფიქრობს კამლეტი, — მე კი დავუკვირდები, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს ამბავი მეფეზე. მისი სახის გამოძეტვლებით შევძლებ უფრო მეტად დავაჯერო თავი, მართლა მკვლელია იგი თავისი ძმისა თუ არა. იგი ამბობს:

ამიტომ უნდა მქონდეს საყრდენი,
 ხალდი საბუთი, ვიდრე ახლა მაქვს.
 ეს სეირია — ქამანდი ყელში,
 მეფის სინდისს რომ ჩამიგდებს ხელში.

ასეთი გართმული სტრიქონების თარგმნა აუცილებელია, მათ გარკვეულა ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვთ. ისინი ძძღაურა ემფატური მახვილით არიან გამოყოფილნი და უაღრესად აძლიერებენ გმირის დინამიურობას წინ დასახული მოქმედებისათვის.

* * *

ვულგარიზმი საერთოდ ლიტერატურულ ენაში მიუღებელია, მაგრამ დიდი წერლები, კლასიკოსები ამას ერთობ მოურიდებლად და ხალვათად ხმარობენ, როდესაც ეს საჭიროა, როცა მათ აუცილებლად მოითხოვს ნაწარმოების ბუნებრივი განვითარება. მთარგმნელმა რომ ადექვატურად უნდა თარგმნოს ყველაფერი ის, რაც დედანშია, ეს, რა თქმა უნდა, ორ აზრს არ იწვევს. მაგრამ ქართული მთარგმნელობითი პრაქტიკა მოწმობს იმას, რომ, როდესაც მთარგმნელი დედანში ხვდება ვულგარულ გამოთქმებს, თუ გნებავთ „უხამსობებს“, იგი ითვალისწინებს თავისი დროის საზოგადოების აზრს და ცდილობს ან მთლად აუაროს გვერდი ასეთ ადგილებს, ანდა, შეარბილოს ის, რათა არ ეხამუშოს მაყურებლის თუ მკითხველის ყურს.

დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი პრინციპულად იცავდა დედნის უცვლელობას თარგმანში. მაგრამ ეპოქის ზნეობის გათვალისწინებით ბერძნული ტექსტის ერთ-ერთი ადგილი — „ნივთად წინამდებ არს დედაკაცი, ხოლო მოქმედებად ამისად სიძვა, ძრუძობა, ვინა კანონიერი კავშირი“ — ასე შეურბილებია, — „ნივთიერად წინამდებ არს შეშა, ხოლო მოქმედებად ხუროვნება“. სულ სხვა ეპოქის ქართველ მთარგმნელთა მიერ ამა თუ იმ საჩოთირო ადგილებს იგივე მორალური პრინციპი ელო საფუძვლად. ეს არ არის ახალი ქართულ მთარგმნელობაში.

ეს ბუდი ეწია „კამლეტის“ ქართულ თარგმანსაც. ჩვენი აზრით, ასეთი რამ, აღრინდულ მთარგმნელთა პოზიციებიდან, თითქოსდა გამართლებულია. მთარგმნელმა, ეს, უნდა მას თუ არა, მაინც უნდა გაითვალისწინოს, ანგარიში უნდა გაუწიოს თავისი დროის გაბატონებულ აზრს, გემოვნებას, რადგან ნებისთ თუ უნებლიეთ, თვითონაც იმყოფება მისი გავლენის ქვეშ. აქედან გამომდინარე თავისი შეხედულების მიხედვით უნდა თარგმნოს ასეთი ვულგარიზმები.

მეოცე საუკუნის ბოლოს ასეთი „რევერანსი“ მთარგმნელს აღარ სჭირდება.

ტრაგედიის III მოქმედების II სურათში ჰამლეტი ასე მიმართავს ოფელიას:
 „That is a ofair thought to lie between maids legs“.

„ო, რა ზღაპრული ოცნებაა ქალწულის ფეხთა შუა წოლა“-ო, სხვა თარგმანში ეს შერბილებულია. ჰამლეტი ასე მიმართავს ოფელიას:

„რა კარგია, რომ კაცი ქალის მუხლებთან იყოს წამოწოლილი და მამახინჯებულია დედანი, სრულიად დაკარგულია ის ფსიქოლოგიური და და აზრობრივი დატვირთვა, რაც ასე აუცილებლად ჩანს ორიგინალში. ახალ ქართულ თარგმანში ეს ადვილი ასე ვღერს:

„ო, რა საამო ზღაპარი არის
 ქალწულის ფეხთა შუაში წოლა“.

ოფელია ერთობ ორაზროვნად ეუბნება ჰამლეტს, —

You au keen, my lord, you are keen.

სადაც სიტყვა keen-ს მრავალი მნიშვნელობა გააჩნია, გამჭირდავი, დამცინავი, გესლიანი; სექსუალურად აღტკინებული.

რაზედაც ჰამლეტი პასუხობს —

„ოხერა-კვნესის ფასად დაგიჯდება ჩემი აღტკინების დაცხრომაო“ (დაბლაგვება, შენელება).

სიტყვათა ასეთი თამაში შესანიშნავადაა გადმოცემული ი. მაჩაბლის თარგმანში:

ოფელია

თქვენ მწარედ მახვილობთ ხელმწიფის-შეილაო.

ჰამლეტი

და თქვენც თუ გინდათ ეს მახვილი დაშიჩლუნგოთ, უკვნესელად ვერ გაჯამირჩებით.

ოფელია

თან-და-თან უარესსა ბრძანებთ.

ამ დიალოგის ახალი ქართული თარგმანი ასე გამოიყურება:

ოფელია

მახვილი ენა გაქვთ, მილორდ, მახვილი ენა.

ჰამლეტი

ჰოდა, ამ მახვილის დაჩლუნგება კვნესის ფასად დაგიჯდებოდათ.

ოფელია

თანდათან უკეთესად ამბობთ უარესს.

ამრიგად, ჩვენ აუცილებლად ვთვლით, რომ დედანში მოთავსებული ფრაზა თუ მთლიანად აბზაცი, რა მნიშვნელობაც არ უნდა გააჩნდეს მას, უნდა სათანადოდ ითარგმნოს, ან მთლიანად ენობრივი მასალით, ან ადექვატური შესატყვისებით. მთარგმნელის მიერ მისი გამოტოვება თუ შერბილება ყოველად დაუშვებელია.

მეტად საინტერესო გამომეტყველებას აძლევს და ექსპრესულ დამახულო-

ბას სძენს შექსპირი ჰამლეტის ჩაცმულობას. დასაწყისშივე, ჰამლეტისვე სიტყვით რომ ვთქვათ, მას აცვია ძალიან მუქი ფერის სამოსი. ეს ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იგი სამოსითაც გამოირჩევა სამეფო კარზე მზიარულ და სვირფას სამოსში გამოწყობილი ადამიანებისაგან. თავიდანვე მისი იერი სამოსითაც განსხვავებულ სახეს ატარებს („რადაცას“ ნიშნავს).

ჰამლეტი გლოვობს გარდაცვლილ მამას, აცვია ძაძები, ჰამლეტი ყველასგან იზოლირებულია. ჩვენ დავსძენდი, რომ აქცენტირებულია ერთი გარემოც; იგი ავის მოძასწავებელი ფიგურაა (სიკვდილის). ჩვენ ვერ უარუყოფთ იმ უაქტს, რომ მონაწილეობა აქვს მიღებული როზენკრანცისა და გილდენსტერნის ეკლულობაში, მისი ხელთ იხრებთან პოლონიუსი, ლაერტი და კლაუდიუსი და რამდენადმე მისი ხელი ურევია ოფელიას სიკვდილშიც. ჩვენ იმისი თქმა არ გვინდა, რომ იგი ბოროტმოქმედია, მაგრამ „კეთილ პრინცს“, მის ირგვლივ ნყოფნი, იძულებით გადააქცევენ შურისმაძიებლად. ამასთანაც აქვს მის ჩაცმულობას ავტორისეული აქცენტი.

მოგვიანებით, როდესაც იგი ინგლისში გასამგზავრებლად ემზადება, ახსენებს — sea gown“, — სპეციალურ წამოსახამს, რომელსაც გემით მოგზაურობისას ატარებენ (მოღუშული წამოსახამი, ერთიანად რომ ფარავს ადამიანის პირისახეს). ამ მოსახამში გამოხვეულს ვხედავთ მას სასაფლაოზე ეკლესიის ეზოში, როდესაც ოფელიას ასაფლავებენ. ამის შემდეგ სამოსის შეცვლა შინაგან ცვლილებასაც მოასწავებს და იგი მტკიცედ მიჰყვება თავის მიზანს, სანამ არ აღასრულებს მას.

მსოფლიო კლასიკურ ლიტერატურაში უილიამ შექსპირი ის მწვერვალია, რომლის მარადიული გენიის ნისლით მოცულ სრულ სიმაღლესა და ბუმბურაზობას უერასოდეს იხილავს კაცი, სულერთია იქნება ის თანამედროვე თუ მომავლის ადამიანი. პომეროსი, პლატონი, ჩოხერი, დანტე, რუსთაველი, სერკანტესი და სხვანი შესაძლოა მეტ გავლენას ფლობენ ანდივიდუალურ გონებაზე, მაგრამ მსოფლიოში არც ერთ მათგანს არა ჰყავს იმდენი თაყვანისმცემელი, რამდენიც შექსპირს. ოთხი საუკუნის მანძილზე, რომელთაც ჩაიარეს შექსპირის გარდაცვალებიდან, კაცობრიობის შემეცნებისადმი, მის წარმოდგენებისადმი შექსპირის ურთიერთდამოკიდებულება სულ უფრო იზრდება და მყარდება.

უილიამ შექსპირის კალამს ეკუთვნის მრავალი ტრაგედია, კომედია, სიწეტები, რომელთაც თავისი დიაპაზონით, ფილოსოფიური ღირებულებით, ორიგინალური სტილით, ხასიათების მრავალფეროვნებით, ბრწყინვალე იუმორით, ინტენსიური ტრაგიზმით ტოლი არ მოეძებნება მსოფლიო ლიტერატურაში. ხახდახან მისი დაძაბული, გაძლიერებული ტრაგიზმი უბრალო ემოციურობად იქცევა, ტექნიკური ვარტუოზობა — ამკარა სირთულედ, ფილოსოფიური ღირებულება — ადამიანის გონების შეშფოთებად.

უილიამ შექსპირმა საუკუნეობრივი კვალი დატოვა ჩვენი პლანეტის ადამიანების სულში. უადრესად ღრმია ეს კვალი.

უილიამ შექსპირი გენიოსი მწერალია. იგი უშესანიშნავესი დრამატურგია, არახოდეს განიცდის ფილოსოფიური აზროვნების აუ წარმოსახვის ლეფიციტს. მისი მწერლური ფანტაზიის, გამოძგონებლობის ძალა უზარმაზარია. მის დრამატურგიას თან სდევს ისეთი არქაული უღერადობა, რიგორც მონადირის ბუკის ჯადოსნური ხმა, რომლის ექო ღრმად სწევდება ადამიანის სულს ისევე

როგორც ბუკის მძლავრი გამოცხადი მოუწვდომელი კლდეების ~~ნაპრალებს~~.
 მისი შეთხზული სიტყვა წარსულს აღვიძებს, ან უფრო სწორად - აწმყოს
 უბრუნებს გარდასულ ქაშს.

მკითხველი, როდესაც კარვად გაეცნობა შექსპირის ტრაგიკულს, მის ში-
 წარსობრივ ქარვას, ენას, ღრმად ჩასწკლება მისი გმირების ^{სახსიათებს} ხასიათებს, მეტ
 ყურადღებას დაუთმობს პიესის სახეთა არტისტულობას. იგი უდავოდ უფრო
 დიდ სიამოვნებასა და სულეერ კმაყოფილებას იგრძნობს. იშვიათად თუ შეგკ-
 ხდება ისეთი ადვილები, რომელთა სრჯერ-სამჯერ ხმამაღლა წაკითხვის შემ-
 დგ, თავისებური გზით, მანერით არ ჩააღწიოს ადამიანის სულამდე და არ მო-
 გზვენოს იგი უფრო ტრაგიკულად, უფრო პათეტიკურად, ან უფრო იუმორით
 საესე. ამის შესანიშნავ მაგალითად გამოდგება „ჰამლეტი“, მიუხედავად რამ-
 დენიმეჯერ წაკითხვისა თუ სცენაზე ხილვისა, ინგლისური ფილმის ნახვის
 შემდეგ მაყურებელმა უდაოდ ბევრი ახალი რამ დაინახა და აღმოაჩინა ამ პი-
 ესაში. ამას უფრო გააღრმავა და გააფართოვა ტრაგიკდიის შემეცნების დიაპა-
 ზონი და აღექვატურად უფრო მეტი სულიერი სიამე მოტკვარა მაყურებელს.

რაც დრო გადის, მით უფრო ღრმაუდება შექსპირისადმი ადამიანის დამო-
 კიდებულება, უფრო ფართოუდება მისი აღქმის დიაპაზონი. ამიტომ უნდა
 ითარგმნოს მისი გენიალური ნაწარმოებები ყოველ ეპოქაში ახლებურად, ახა-
 ლი მიგნებებით და გაფართოებული პორიზონტით. ბევრ ცივილიზებულ ქვეყა-
 ნაში შექსპირის უკვდავი ნაწარმოებები მრავალჯერაა თარგმნილი.

შექსპირის თხზულებათა თარგმნისას ღრმად უნდა იქნას შესწავლილი
 მისი ლექსიკონი, ის უზარმაზარი ენობრივი მასალა, რაც გამოყენებულია მის
 თხზულებებში, - ენის მორფოლოგიური მოვლენები, ლექსიკური კატეგორი-
 ები, სიტყვათა ურთიერთშესაბამისობა, სინტაქსისი, ფრაზეოლოგია, ფოლკლო-
 რული ნიმუშები, სლენგი, კულგარიზმები და ა. შ.

შექსპირის პიესების თარგმნისას აუცილებლად უნდა იქნას საფუძვლიანად
 შესწავლილი და გათვითცნობიერებული შექსპირის ეპოქა, მისი დამახასია-
 თებელი ორიგინალური ადათ-ჩვევები, თარგმანი არის შემოქმედებითი პროცე-
 სი და არა ლინგვისტური ტექნიკური შრომა.

და ბოლოს, უილიამ შექსპირის შედევრები უნდა ითარგმნოს ქართული
 ათმარცვლიანი ლექსით.

ქართული ათმარცვლიანი ლექსი ინგლისურ იამბურ პენტამეტრს უდრის.
 ის აჩრი, რომ ქართული ათმარცვლიანი ლექსი ვერ გადმოსცემს ინგლისურ
 იამბურ პენტამეტრს იმიტომ, რომ იგი ვერ ეღერს „დარბაისღურად“, მოკლე-
 ბულია ყოველგვარ საფუძველს.

ვფიქრობთ, მომავალი თაობები სწორედ ამ მეტრით თარგმნიან შექსპირის
 უკვდავ ნაწარმოებებს.

უილიამ შექსპირის გენიალურ თხზულებათა ქართულად თარგმნაში ახალი
 ეპოქა უნდა დაიწყოს.



ნოელ პოლკი

სამხრეთ მიხისიპის უნივერსიტეტის პროფესორი,
პეტისბერგი, მიხისიპის შტატი, აშშ.



ინგლისურიდან

თარგმნა ციხლა თოფურიაძე

ნოელ პოლკი, პეტისბერგის, სამხრეთ მიხისიპის უნივერსიტეტის პროფესორი მეოცე საუკუნის ცნობილი ამერიკელი მწერლის უილიამ ფოლკნერის შემოქმედების ერთ-ერთ საუკეთესო მკვლევარადაა აღიარებული. ის ძირითადად ორი მიმართულებით მუშაობს. ფოლკნერის ნაწარმოებთა ტექსტის შესანიშნავი მცოდნე და დამდგენელია, ამავე დროს მწერლის უაღრესად რთული მხატვრული სამყაროს ანალიტიკოსიც. კელევის ამ ორი სფეროს შეთავსება ხშირად გამოცდილ ლიტერატორთა ძალას აღემატება, რაც არ ითქმის ნოელ პოლკის გამოცემებსა და შტუდიებზე. მან აღადგინა და გამოაქვეყნა ფოლკნერის რომანის „სავანეს“ პირველი ვარიანტი, სრული ტექსტი, ასევე, — მწერლის მიერ შემოქმედების საწყის პერიოდში შექმნილი პიესის — „მარიონეტების“ ხელნაწერი, რომელსაც დაურთო ტექსტთან დაკავშირებული სკრუპულოზური მეცნიერული აპარატი და წაუმძღვარა ვრცელი, მეტად ხაინტურესო გამოკვლევა. ნოელ პოლკისა და ფოლკნერის ცნობილი ბიოგრაფისა და მკვლევარის, ჯოზეფ ბლოტნერის, ერთობლივი რედაქციითა და შენიშვნებით გამოიცა ფოლკნერის 1930-1935 წლებში შექმნილი რომანები. პოლკის მიერაა შერჩეული და რედაქტირებული „ხმაური და მძვინვარების“ ირგვლივ ფოლკნეროლოგთა საუკეთესო წერილების კრებული და სხვა.

ნოელ პოლკის კოლეგები, მათ შორის სახელოვანი ამერიკელი ფოლკნეროლოგები, კ. ბრუკსი და მ. მილგეიტი, ერთხმად ხაზგახმით აღნიშნავენ, რომ პოლკი ფოლკნერს ყოველთვის საკუთარი თვალთახედვით, „რევოლუციურად კითხულობს“. მისი გამოკვლევები გამოირჩევა მწერლის შემოქმედების ორიგინალური გაგებით, ზოგჯერ სრულიად ახლებურ, ფოლკნერისტიკაში დამკვიდრებულ შეხედულებათა საწინააღმდეგო, გაბედულ მოსაზრებათა დამაჯერებელი მტკიცებით. ამის დასტურია 1981 წელს გამოცემული მონოგრაფია ფოლკნერის „სამონაზვნო რეჟიუმზე“, „კარკასონის“ ინტერპრეტაცია და სხვა. წინამდებარე სტატიაშიც ფოლკნერის „იგავი“ წაკითხულია გაბედულად, ახლებურად.

ფოლკნერის შემოქმედებაში „იგავი“ გამოირჩევა აშკარა, ღრმა ფილოსოფიური ჩანაფიქრით. რომანი აკებულია ბიბლიური თქმულების, ქრისტეს მოწამებრივი სიკვდილის მოდელზე, რომელიც ნაწარმოებში დატვირთულია ალტერნატიული, მეტიც, მრავალწახნაგოვანი მნიშვნელობით. „იგავს“ ნოელ პოლკი თვლის მწერლის მიერ ნობელის პრემიის მიღების დროს წარმოთქმული სიტყვის ერთგვარ პასუხად და შემდგომ განმარტებად.

ნოელ პოლკი ქართველ ლიტერატორთა მეგობარია. პირველად 1984 წლის ივლისში გვეწვია ამერიკულ ფოლკლოროლოგებთან ერთად, მეორედ 1987 წლის ოქტომბერში დიდი ილიას საიუბილეო დღეებში. ამ სტატიით წარსდგა ქართველთა და მათ უცხოელ სტუმართა წინაშე ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე. ამდენად ეს სტატია ქართველი მეცნიერებისათვის საინტერესო უნდა იყოს არა მარტო თავისი სიღრმისეული შინაარსით, არამედ სასიამოვნოც და საამაყოც, რადგანაც ცნობილმა ამერიკელმა ფოლკლოროლოგმა ეს მოხსენება საჯაროდ პირველად საქართველოში წაიკითხა.

მთარგმნელი

ამბანობა და ბამარჯვება ფოლკლორის „იგავში“

ცივილიზაციის ბედის პრობლემას უილიამ ფოლკნერი უმთავრესად მიმართავს „იგავში“ (1954), რომელსაც, ალბათ, თავის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად ივლიდა. რომანში ორი მთავარი გმირის, იდეალისტისა და ცინიკოსის, დახურათებისას მწერალი ერიდება გაუბრალოებულ აზროვნებას და იოლა, ჩვეულებრივი ხერხების გამოყენებას. ამას აღწევს იმით, რომ იდეალისტსა და ცინიკოსს აიძულებს დიალექტიკურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამ დაპირისპირებაში საბოლოოდ კლინდება, რომ მათ ხულაც არ უკავიათ პოლარული პოზიციები, არამედ ერთმანეთს ავსებენ და ცივილიზაციის გადასარჩენად ბრძოლაში თანაბრად არიან ურთიერთდამოკიდებულნი.

ეს რომანი იმთავითვე უკიდურესად ცუდად იქნა წაკითხული და არ იყო სათანადოდ დაფასებული. „იგავი“ მეორე მსოფლიო ომის უმძიმესი პერიოდის გამოძახილია. მისი წერა ფოლკნერმა 1943 წლის დამლევს დაიწყო. ჩანს, თავდაპირველად რომანი ჩაფიქრებული პქონდა როგორც ომის წინააღმდეგ მიმართული ჩვეულებრივი ნაწარმოები, რომელშიაც პირველი მსოფლიო ომის დროს ქრისტე კვლავ უბრუნდება მაწას, კვლავ ჯვარს აცვამენ და, მეომრად გარდასახულს, უცნობი ჯარისკაცის საფლავში დამარხავენ. რომანში ქრისტეს განსახიერებაა ფრანგთა არმიის კაპრალი, ერთი უწყინარი, მეტად მოკრძალებული, ჩვეულებრივი ჯარისკაცი, რომელიც, მიუხედავად ამისა, სათავეში ჩაუდგება სანგრის ორივე მხარეს განლაგებულ ანტანტისა და ბლოკადის ჯარების ნაწილთა საერთო ამბოხებას, რაც თავის მხრივ იწვევს მოწინააღმდეგეთა არმიების გენერალოა (ესენი არიან ნაშიერნი იმ ადამიანური წესრიგისა, რომელიც ყოველგვარ პოლიტიკურ და ეროვნულ ზღუდეებს სცილდება) შეკავშირებას, რათა კვლავ წამოიწყოს ომი და ამგვარად დაასაბუთოს მოვლენათა სათანადო წესრიგის ხელთუქმნელობა. კაპრალის ანტაგონისტია მარშალი, ანტანტის ჯარების გენერალსიმუსი. დედამიწის ზურგზე ალბათ უფრო ძლიერი და უფლებამოსილი პიროვნება არ მოიძებნება; ამავე დროს ის კაპრალის მამაც არის. ეს იმ შემთხვევის ბრალია, როცა ოცდაცამეტი წლის წინათ მას ერთ შორეულ ქვეყანაში საყვარელი ჰყავდა. რომანის დრამატულობა და თემები აგებულია მარშლის ცდაზე, როგორმე დაარწმუნოს შეილი, უარყოს მოწამებრივი სიკვდილი და იდეალიზმი, როგორც სისულელე, რომელიც მალე დაიწვევებას უნდა მიეცეს. ასე რომ, მარშალს შეუძლია იხსნას კაპრალი, რომელსაც ამბოხების მოწყობისათვის სიკვდილი აქვს მისჯილი. ამ როლში მარშალი არა მარტო ღმერთია, — მამა წამებულისა, — არამედ, აგრეთვე, სატანაც, რომელიც ცდილობს აცდუნოს კაპრალი, — უარი ათქმევინოს იდეალზე და უბიძგოს ამ ქვეყნის კორუფციისაკენ.

მათი კონფრონტაცია „იგავის“ ცენტრშია მოქცეული, მაგრამ რომანის არსებითი ნაწილი ეხება მათს პოლიტიკურ მომხრეებს, ერთის მხრივ, ძლიერთა ამა ქვეყნისათა და მეორეს მხრივ — სუსტებს. რომანის შუა, მეორე ნაწილის დასაწყისშივე ერთი ასეთი მოქმეტი გადმოცემული: მოხუცი მარშალი თავის კაბინეტში ფანჯარასთან დგას და ქალაქში შეამბოხეთა დასჯანჯე მისივე ხალხს გადაწყურებს. დასტყერის მათ და თან ღრმა ფიქრებს მისცემთა ადამიანთა იერარქიის თაობაზე, რომლის სათავეში დგანან ყველაზე ძლიერი, ყველა ერთა უმაღლესი გენერლები, ისეთნი, როგორც თავად არის; დაბლა ფსკერზე კი მწუხარებით აღსავსე და დაძინებული მახაა, ახლა მისი ფანჯრის წინ რომ შექუჩულა. მარშალს იმოდენა ძალა კი შესწევს, ისინი სისუსტისაგან იხსნას და გასაჭირში მიეშველოს. მახა მას არ უზიზღება, პირიქით. მის მიმართ გული სიბრალულით ევსება. ეს იმ ხალხთა მასებია, ფიქრობს მარშალი, რომელთაც „... აღარაფერი გაანიათ, ისევ უნდა დაუბრუნდნენ ამტანობას, მათ იმედი აღარა აქვთ, რომ რაიმე გამოკეთდება, საამაყოც არაფერი დარჩენიათ, ამტანობის უნარის გარდა აღარაფერი დარჩენიათ. საკუთარ მიწა-წყალზე უცხოელთა ოთხი წლის უკანონოდ თარეშის თემნის შემდეგ სწორედ ეს უნარი საშუალებას აძლევს მათ, იმედგაწვეტილნი და სიამაყისაგან დაცლილნი, ამტანობაში იყვნენ ამტანნი. სხვას აღარაფერს მოითხოვს მათგან ეს უნარი, სხვას აღარაფერს მოვლის მათგან, მხოლოდ იმის საშუალებას აძლევს, რომ გამოსცადონ ამტანობა. როგორც უკვდავების მსგავსი რაღაც. ამტანობის ამ უნარმა, — ასკვნის მარშალი, — წარმოქმნა გოტიკური ზმანება, იმედისა და შიშის განსაცვიფრებელი ნარევი, რომელიც მათი არსებობის არსია და განსახიერებელია გოთური ტაძრის ხუროთმოძღვრებაში, რომელიც „ამტანობისა და ტანჯვა-წამების ფერფლიდან, ბნელი გოთიკური ზმანებიდანაა აღმოცენებული, გოთიკური ზმანების გამოხატულებაა თალი და გაბრჯენილი კონტრფორსი, რაინდისა და ეპისკოპოსის ფიგურები, ანგელოზები, წმიდანები, ქერუბიმები, ჯვაროვან კამარას რომ კრავენ და მიჰყეებიან სვეტებს ძალდა ცაში ატყორცნილი სრული გუმბათისაკენ და წვეტოვანი კოშკურისაკენ, სადაც მიმქრალი ზენიტის ფონზე გაყინულ უხმო ქვებში ფუძის ანგელოზს, დემონს, გრიფონს, ვარგოლის ფანტასტიკურ ფიგურებს, პერმაფროდიტს გააქვთ წივილ-კვილი და ყეფა-წკაპწკაპი“. მარშალი ფიქრობს, რა დიდ სამსახურს უწევენ კაცობრიობას პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ინსტიტუტები საზოგადოდ. მიწას მიჯაჭვულნი, ისინი მყარად დგანან, ხოლო თაღებსა და ბურჯებზე ადამიანთა ყოველგვარი ტანჯვა-წამება ააქვთ, რეალობის ზემოთ უჭირავთ ადამიანები, მაგრამ ამავე დროს ცდილობენ იმავე რეალობას სულ მთლად არ მოწყვიტონ. ადამიანს ზეციური იმედისაკენ უბიძგებენ, მაგრამ ეს არ არის ადამიანისათვის აღტაცებული სიხარულით ხესვლა, ნატვრის აღსრულებისა და შვების მომგვრელი ვანცდა, არამედ ეს რაღაც უცვლელი და გაჭიანურებული ხესვლიაა მირიადი სულისთვის; ხსნაზე მათი ოცნების მწვერვალებს დაუფლებს ხოლმე აუტანელი ვაება, წამება მტანჯველ მოჩვენებათა სახით, „ფუძის ანგელოზის, დემონის, გრიფონის, ვარგოლის ფანტასტიკური ფიგურების“ სახით. ეს განსაცვიფრებელი სახეა და ძალიან ახლოს დგას „იგავის“ მრავალფეროვანსა და ურთულეს მნიშვნელობასთან.

„იგავში“ ფოლკნერი უშუალოდ ილაშქრებს იმ მოვლენის წინააღმდეგ, რომელიც ფაქტიურად იგულისხმებოდა ყველა მის დიდმნიშვნელოვან ნაწარმოებში. ეს მოვლენა ბევრნაირად შეიძლება იქნას ჩამოყალიბებული: ადამიანური ტანჯვის მნიშვნელობა; სხვადასხვა იდეოლოგიური სტრუქტურები, რომელთა შემ-

ელობით ადამიანური არსებანი ცდილობენ შეიმსუბუქონ ტანჯვა; კავშირი ამ იდეოლოგიურ სტრუქტურათა შორის; ცივილიზებულ სამყაროში პოლიტიკური და რელიგიური სტრუქტურების თავისებურება, რომელთა წყობა თუ ბუნება იმგვარია, რომ ადამიანს არ ააშოროს ტანჯვა, მაგრამ არც ხსნის იმედი დაუკარგოს. ამგვარად, „იგავი“ მწერლის შემოქმედების ადრეული პერიოდის ტრაგიკულ ნაწარმოებთა სწორხაზოვანი გახვითარების შემდგომ ეტაპს წარმოადგენს; როგორც სხვა ნაწარმოებებში, აქაც ცენტრში დგას იდეალისტი, რომლის მიზნები მარცხს განიცდიან, რის გამოც მას აღარ შეუძლია იარსებოს რეალურ სამყაროში. მაგრამ „იგავში“ მოცემულია ის, რაც მწერლის წინა პერიოდის ტრაგედიებში არ გვხვდება. აქ აშკარადაა ჩანს რეალურ სამყაროში მოქიშპე პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ძალების შეთანხმებული მოქმედება, რათა ამ იდეალებს კონტროლი გაუწიონ, სიცოცხლეს შეუნარჩუნონ, ამავე დროს ძალაც გამოაცადონ.

მოგვლა ამ მასალის, ფოლკნერული რთული ინტერპრეტაციის მოხიშპა მაინც შესაძლებელია, თუ გაუითვალისწინებთ, პირველ ყოვლისა, რას გულისხმობს მწერალი „ამტანობას“ და „გაიმარჯვებაში“. ამ ტერმინებმა ფოლკნერის მკვლევართა შორის იმ წლებში დიდი აფორიაქება გამოიწვია, რადგანაც მწერალმა ისინი თავად მოისხმო ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმულ ცნობილ სიტყვაში და საქვეყნოდ განაცხადა, რომ სწამს, — კაცობრიობა არა მარტო „აიტანს“, არამედ კიდევ „გაიმარჯვებს“. თუმცა სტოკჰოლმში მას ბოლომდე არ დაუზუსტებია, რას გულისხმობდა თავის ნათქვამში. „ამტანობას“ აქვს გარკვეული მნიშვნელობა: სვენ ვიტანო ცხოვრებას, გაჭირვებას, ტკივილს, უბედურებას, ომს, ტანჯვას. მაგრამ მე ნათლად ვერ ვხედავ მას, რაზეც უნდა გავიმარჯვოთ. ეს როგორღა ხდება, რომ კაცი „არა მარტო აიტანს, არამედ კიდევ გაიმარჯვებს“? იქნებ იმით გაიმარჯვებს, რომ ისწავლის, როგორ აიტანოს და აიტანოს, და კიდევ აიტანოს? თუ ეს ასეა, მაშინ ამტანობას რა სიკეთე მოაქვს მისთვის? მეორეს მხრივ, იქნებ ის „გაიმარჯვებს“ იმით, რომ შეწყვეტს არსებობას? თუ ეს ასეა, რაღა იქცევა ადამიანი — მკვდრად? იქნებ, და უკეთეს შემთხვევაში, უგრძობელ, უსულს სავსად? მიუხედავად იმისა, პირადად ფოლკნერი რა მნიშვნელობას მიაწერდა „გაიმარჯვებას“, „იგავიდან“ ცხადად ჩანს, რომ ადამიანი „გაიმარჯვებს“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიხვდება, რა შესაძლებელი აზრითაა შესაძლებელი „გაიმარჯვება“.

ფოლკნერთან არსებობის საფუძველია ამტანობა, რომელიც თვითმკვლელობის საწინააღმდეგო მხარესაა მოთავსებული, როგორც მისი ერთადერთი ალტერნატივა. ამტანობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ დაცული იქნება ორი პირობა: პირველი არის მასების იმედი, რომელშიაც რაღაც ოცნების სახელით წარმოშობილი ტანჯვა კაცს უღვიძებს ხსნის სურვილს, მშვიდობის მოპოვების იმედს. ეს იმედი ქმნის ცხოვრების აზრის ილუზიას; და ეს ილუზია რომ გაქრეს, ერთადერთ ნუგეშად რჩება თვითმკვლელობა.

მეორე პირობაა მცირერიცხოვანთა სრული სასოწარკვეთა, რომელიც კაცს აიძულებს მიხვდეს, რომ მარადიული ხსნისა ან მშვიდობის იმედი — მხოლოდ ილუზიაა; სხვათა ილუზიაში კაცი თავად ჰპოვებს თავისუფლებას. ასეთია მოხუცი მარშლის მდგომარეობა, რომანში ის არაერთხელაა დახასიათებული როგორც „ჭკვიანი, ინტელექტუალური და ურწმუნო კაცი, რომელსაც არაფრის სჯერა, არაფერს ენდობა, გარდა საკუთარი ინტელექტისა და თავისი ზღვარდაუდებელი ძალაუფლებისა“. იმედგაცრუება და დაკარგული ილუზიები მას ამ-

ლევს ძალაუფლებას, რადგანაც მან უკვე გადალახა საკუთარი ილუზიები, ის კარგად იცნობს სხვათა ილუზიებსაც და საშუალება აქვს გამოიყენოს მათი ისე, როგორც თავად მოესურვება.

მისი პოზიციის ყველაზე ხარჭმუნო განსახიერებად კაპრალი უნდა ჩაითვალოს, რომელმაც გამოიჩინა, როგორც მარშალი ამბობს, „ძალა და ნიჭი, სამი ათასი კაცი დაერწმუნებინა, უმაღლესი სიკვდილი ერჩიათ, ვიდრე ისეთი არსებობა, მხოლოდ მათემატიკურ პროცენტებს რომ ევრდნობა“. კაპრალი მათ მხოლოდ მშვიდობას სთავაზობს, ჩანს, მისი მიზანია მშვიდობის დამყარება სამყაროსადმი ოდენ პასიური წინააღმდეგობის ვაწვევით: თუ გინდათ, მომკალით, მაგრამ მე მაინც არ ვიომქებ. რომანის შინაარსიდანაც ამკარად ჩანს, რომ კაპრალი მოქმედებით ან, უფრო სწორად, მოქმედების უარყოფით მიზანს ვერ აღწევს: მას ძალე დალატობს ერთ-ერთი მოციქული, ხოლო ადამიანური ბუნებაც და სამხედრო ხელისუფლებაც ეფექტურად ახდენენ მის კოოპტაციას; ამიტომაცაა, რომ გავლენის მოხდენა ხალხზე მას შეტად აღარ ძალუძს: კაპრალი აღარაა ბელადი, ძალაც აღარ შესწევს და, ძალი იდეალების მიუხედავად, ხალხს ბევრს ვეღარა ფერს სთავაზობს, მეორე, სხვა დონეზე კი ომი გადაუჭრელი დამაბულობის, სიცოცხლის არსებით და აუცილებელ პირობას რომ წარმოადგენს, ძლიერ შეტაფორად წარმოგვიდგება. ამგვარად, კაცობრიობას კაპრალი, უბრალოდ, სიკვდილს სთავაზობს, ეს არის ერთადერთი გზა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება გადაწყდეს დამაბულობა. სწორედ ამ მიზეზის გამო ბრძენი, იმედგაცრუებული, უილუზიო მოხუცი მარშალი და ამერიკელი, ბრიტანელი და გერმანელი გენერლები, სხვა სიტყვებით — ერთმანეთის მტრები, ერთმანეთთან ფარულად პირს შეკრავენ, რომ კვლავ განაგრძონ ომი. მოხუცმა მარშალმა იცის, ვინც სიცოცხლეს აპირებს, ომში უნდა დარჩეს. კაპრალი საკუთარ მოსაზრებათა გამო სიკვდილს არჩევს, უბრალოდ, არჩევს ყველაფერზე უარი თქვას.

ამგვარად, მოხუც მარშალს კარგად ესმის, რომ მოპოვებული სიმშვიდე — იგივე სიკვდილია. კარგად ესმის, რომ მეოცნების ოცნება თავისთავად რეალურ ქვეყანას ვერ შეცვლის. ესმის, როგორც ფოლკნერი ამბობს, პაციფიზმით მიზანს ვერ მიაღწევს; რომ მასები მოითხოვენ ხელთ ეპყრათ რაღაც ჭურჭელი და თავიანთ ტანჯვას გარკვეული ფორმა მისცენ. კარგად ესმის, ოცნებისაგან ხალხის მასების მოწყვეტა ნიშნავს, რომ ისინი საკუთარ თავშივე შთაინთქმებიან. ასე რომ, კაპრალის მოწამებრივი დასჯით მარშალმა მის სიკვდილს მიანიჭა ძალიანი მნიშვნელობა, რასაც კაპრალი თავად ვერ მოიპოვებდა. თავისი და მათი განადგურების ფასად კაპრალი ხალხს მოუტანდა მშვიდობას. მარშალმა კი კაპრალის სიკვდილი გამოიყენა, რათა ხალხი სიკვდილისგან გადაერჩინა. მას კარგად ესმის, რომ მშვიდობის ილუზია, ხსნის ილუზია უფრო ძლიერია, ვიდრე მშვიდობა, რამეთუ სრულყოფილი მშვიდობა შეიძლება იყოს მხოლოდ სიკვდილი.

ამგვარად, „იგავში“ ფოლკნერი ცდილობს დაგვისურათოს, თუ რა გზებით მოქმედებენ ილუზიებისაგან დაცლილი ძალები ამქვეყნად, რათა კაცობრიობა დარაზმონ და შეუქმნან ერთგვარად საჭირო წესრიგი. ძლიერი დარწმუნებულნი არიან, ქვეყანას ნებას აძლევენ, საკუთარი იმედი იქონიოს და სწორედ ამით მართავენ მას. მორწმუნე კაცი, მეოცნებე, მისტიკოსი ქვეყნის სატკივარსა და ტანჯვას იზიარებს, რადგანაც მისი ყურადღება მიპყრობილია სხვა მხარეს... ზეცისაკენ, მისი მომავალია ...ოცნების სამყარო, ილუზიური სამყარო, სადაც ტკივილი და ტანჯვა არ არსებობს; ის იდეალისტია და უარყოფს ძალაუფლების აუცილებლობას, რომლის დახმარებით შეიძლება მოხდეს ცვლილება; მას სწამს, რომ პა-

ციფიზმი გაიმარჯვებს, ოღონდ რეალურ სამყაროში წარმატებით მაინც ვერ შეძლებს ფეხის მოკიდებას. იმედგაცრუებული უილუზიო კაცი ქვეყანას ღებულობს ისეთს, როგორც ის არის, და მეოცნებე კაცზე თავის უშუალო უპირატესობას აღიარებს; უილუზიო კაცი უარს ამბობს ილუზიებზე, იმედზე, მარადიულ ხსნაზე და ხულიერ სიმდიდრეზე ყოველგვარი პირადული ბედნიერების დასაძინების ფასად, მაგრამ ამავე დროს საშუალებას აძლევს და კიდევ აქვს სხვების ილუზიებს, ამით ის ერთგვარად თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას მთელი ქვეყნიერებისა და არა რომელიმე პოლიტიკური მხარის დასაცავად. იმედებით აღსავსე კაცი ამას ყველაფერს, უბრალოდ, ვერასოდეს ვერ გაიგებს. ამგვარად, „იგავის“ მიხედვით ცივილიზაციის ბედი ერთა შორის განუწყვეტელ კონფლიქტში კი არ მდგომარეობს, არამედ, ავია თუ კარგი, დამოკიდებულია ამა ქვეყნის იმედგაცრუებულთა მონდომებასა და უნარზე, რითაც ისინი საყოველთაო სიკეთისათვის ექსპლოატაციას უწყვეტ სხვათა ილუზიებს. ამ მონდომებამ მარცხი რომ განიცადოს, მაშინ ცივილიზაციის ბედი მართლაც შემადრწუნებელი იქნება. ამ მონდომებას შეიცავს ისიც, რაზედაც ჩვენ, იდეალისტები, ვერ კიდევ ვამყარებთ იმედებს, ამ მონდომების წყალობით, ალბათ, ჩვენ ყველას დაგვიდგება ოდესმე ღირსშესანიშნავი ნათელი მომავალი.

„იგავის“ დასასრულს კაპრალს, რომელიც იდეალური მშვიდობის სიმბოლოა, მარხავენ გენერალ მამასთან ერთად, რომელიც ამ სასტიკი, რთული ომით მოცული ქვეყნის გარდუვალ აუცილებლობათა სიმბოლოა. ამგვარად, კაპრალი და გენერალი, იდეალი და რეალობა, საფლაეში სამარადჟამოდ უერთდებიან ერთნაუნთს, სამარადჟამოდ წყვილდებიან როგორც რეალობისა და იდეალურის ბალანსი, რაც რეალურ სამყაროში ჯანსაღი, ნამდვილი სიცოცხლის არსებითი მხარეა, აუცილებელი პირობაა. მათ ერთად ასაფლავებენ სატრიუმფო თაღში, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, თუ მშვიდობის სიმბოლო არ არის, — რადგანაც ომები ან მითქმა-მოთქმა ომებზე მუდამ იქნება, — გამარჯვების სიმბოლო მაინც არის: აი, ეს გახლავთ გამარჯვების ერთადერთი ფორმა, რომელიც მისაღებია მათთვის, ვინც იტანდა და იტანს.





იანონური დღიური

წიგნები...

„ის ჩემთან იყო სულ ახლახანს,
 მაგრამ დამტოვა...
 გაუჩინარდა მიღმიერ და უცხო სივრცეში...
 მისი ხმის ექოს გამოსცემენ ძალაღი მთები,
 თვალუწვდენელი მწვერვალები, ბნელი
 ხევები...
 თავად კი არ ხჩანს...
 არარსებულ ქვეყნისკენ იღტვის...“

(იამა-უბა)

...გასაოცრად ღამაზია იამა-უბას სიმღერა... ათროთლებული ხმის ტკბი-
 ლი ტემბრი ბადავივით წვეთავს სულში და მისტიური საბურველით ჰმოსავს
 სამყაროს. თავდავიწყებით მღერის მოხუცი ქალი... გრძელი, ხშირი თმა ვერც-
 ხლისფერად ბრწყინავს მთვარის შუქზე, შავი, მეტყველი თვალები ვარსკვლა-
 ვებივით ელავენ დანაოჭებულ სახეზე... იამა-უბაა ამ ქალის სახელი — „მო-
 ხუცებული მთის ქალბატონი“ — და უსასრულოა მისი გზები: განუწყვეტლად
 მოგზაურობს იამა-უბა — სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნი-
 დან ქვეყანაში დაღის მოუღლელად, დაღის და ზრუნავს ადამიანებზე — ადამი-
 ნები უყვარს იამა-უბას...

„არავინ იცის, როდის მოვევლინე მე ამ ქვეყანას“, გულშიჩამწვლო-
 მად მღერის ქალი. „არავინ იცის, ხად არის ჩემი უული ქიხი... მე ამ ქათქა-
 თა, კდემამოსილი ღრუბლების თანამგზავრი ვარ და მათთან ერთად ვხეტია-
 ლობ ცოდვილ მიწაზე... მე მსურს სინათლე მოვუტანო ადამიანებს“...

...ზურმუხტისფერად ბზინავს ატლასის კიშანო, აუჩქარებლად, თათქმის
 ზოზინით, წრიულად ბრუნავს იამა-უბა — იღუშალია მისი ცეკვა... ტრაგიკუ-
 ლია მისი წილაბი: გაცრეცილ სახეზე ამოტყეფრული ნაოჭები იამა-უბას ტკი-
 ვილებია, ადამიანთა გულგრილობისა და უმადურობის უეჭველი დასტურე...
 სიყვარულის ხორციელი განხატებაა „მოხუცებული მთის ქალბატონი“, იმ ბუმ-
 ბერაზი სიყვარულისა, რომელიც თითოეულ ადამიანში ძევს და თითოეულ ადა-

1. დასახრული, დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 3-4, 1997 წ.

მიანს ასულდგმულებს... ღვთის რჩეულია იამა-უბა — აბსოლუტური სიკეთისა და სიყვარულის სიმბოლო. მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს სიყვარული: თმა-შვეერცხლილი, დამაშვრალი და უსაძართლოდ უარყოფილი... ტრაგიკულია ნილბები სიყვარულისა...

...იამა-უბას ლეგენდა მთელი სისრულათა და სიღრმეჯიქვრეობის იამონის უძველესი თეატრალური ხელოვნების — ნოს ტრადიციული ანსა და მსოფლმხედველობას. ნოს ფენომენი მე-14 საუკუნის მიწურულს წარმოქმნიდა კიოტოში: 1374 წელს, პოპულარული ცეკვის — სარუგაკოს ისტატს, კან ამი კიოტოგუს ცეკვის ახალი ვერსია — იამატო წარმოუდგენია კუმანოს ტომარში და ფრიად მოუნიბლავს იმ დროისათვის გაყლენიანი ფეოდალი აშიკაგა იოშიმიცუ. აღტაცებულ იოშიმიცუს კან ამისა და მისი ვაჟის ზე ამისათვის იამატოს შემდგომი დახვეწა უთხოვია და ფინანსური დახმარებაც აღუთქვამს...

...ნიჭიერმა მამა-შვილმა ზედმიწევნით გარგად გაართვა თავი დასახულ ამოცანას და სულ რამდენსამე წელიწადში იდეურ-თეატრალ სრულყოფილი, მუსიკალურად გაფორმებული, კოსტუმირებული თეატრი წარუდგინა იამონელ მაყურებელს. თეატრის რეპერტუარში მხოლოდ ტრაგიკული პიესები იყო...

ასე მოულოდნელად, სწრაფად და მოხდენილად შეემატა მსოფლიო თეატრალურ ხელოვნებას ნოს „თეატრალური ბრილიანტი“: თეატრი — აზრი, თეატრი — სიმბოლო, თეატრი — მისტერია... ნო — ტრაგიკული ნიღბების თეატრი... მაგრამ იმ ეპოქაში მხოლოდ ნოს როდი ეწერა შექმნა...

გადმოცემის თანახმად, კან ამი კიოტოგუ და მისი ვაჟი ზე ამი ხშირად ამდიდრებდნენ ნოს ტრაგიკულ წარმოდგენებს მსუბუქი, იუმორისტული ელემენტებით, რითაც მეტ მიმზიდველობას სძენდნენ სპექტაკლებს. დროთა განმავლობაში ამ სატირულ-იუმორისტულ ელემენტებს ჯერ ჩამოყალიბებული სიუჟეტების, შემდეგ კი სრულიად თვითმყოფადი თეატრალური ფანრის — კიოგენის სახე მიუღია. კლასიკური კიოგენი იმთავითვე მყარად დაეფუძნა ნიღბების, მუსიკისა და პანტომიმის უაღრესად საინტერესო სინთეზს და ამ თვალსაზრისით, სინკრეტული ხელოვნების უბრწყინვალეს ნიმუშად იქცა: კიოგენის საოცრად მეტყველი და გამომსახველი კომიკური ნიღბები პარმონიულად ერწყმიან პერსონაჟთა ხასიათებს და წინასწარვე განაწყობენ მაყურებელს ხალასი გროტესკისათვის, ნაციონალურ საკრავებზე შესრულებული მკვეთრი პანგები მეტ დინამიზმსა და რიტმულობას სძენენ ნიღბების დახვეწილ ესთეტიკას, პანტომიმა კი, მისთვის ჩვეული ნატიფი მიმიკითა და ფესტიკულაციით, ხილული იუმორის ბრწყინვალე ზეიმს წარმოვდიდგენს. სცენაზე თავბრუდამხვევი სისწრაფით ენაცვლებიან ერთმანეთს კიოგენის ტრადიციული გმირები: სულელი მსახურები და გაიძვერა ქურდები, ხარბი ქალბატონები და მეომარი ბერები...

...რა კარგია, რომ ეს ქოთანსი გატყდა! ახლა ერთი ქოთნის ნაცვლად წითელი თიხის ასი ნატეხი გვაქვს!“... „ეს ღვინო, რაც უფრო მეტს ვსვამ, მით უფრო გემრიელი მეჩვენება!“... „იცით, ტამაშიმას მდინარე ტკბილი თევზებით რომაა სავსე?!“... განუწყვეტლივ გაისმის დარბაზში მსგავსი უთავბოლო „ლოკაგათ“ გამორჩეული ფრაზები, განუწყვეტლივ იცინის მაყურებელი... მსუბუქად სუნთქავს კიოგენი — კომიკური ნიღბების თეატრი...

...სიმსუბუქე და პეროვნება იამონური თეატრალური ხელოვნების განუყოველი და არგანული ნაწილია, ალბათ იმიტომ, რომ თეატრი ზედმიწევნით

სიზუსტითა და ელევანტურობით აირეკლავს იაპონელი ერისათვის დამახასიათებელ სულიერ სინატიფებსა და გრაციოზულობას: თეატრის ქვეყანა იაპონია...

...ამაყად ბრწყინავს კოია ძანის შირეული მწვერვალი, აპრილის ცელქა ქარი ნახად აფარფატებს საკურას ვარდისფერ ფოთლებს... ავეთქმული ალუბლის ტოტებით მორთულ სცენაზე ფარშეუანგებით დალუღლუღებენ... ჩაუცხოო კამანოებში გამოწყობილი მაიკოები და რიტმულად ათამბუშებენ ჩირიფერ მარათებს... ამ ცეკვას „შიაკო ოდორი“ ანუ „საკურას ცეკვა“ ჰქვია...

წელიწადში მხოლოდ ორ თვეს — აპრილსა და მაისში ფუსქციონირებს კოტოს უძველესი გიონის თეატრი და ამ ორი თვის განმავლობაში სცენა ალუბლის, სივარულის, სილაძაზის, ჰარმონიის განუმეორებელ დღესასწაულს ეთმობა...

...დრო ბრუნავს... საოცარი სისწრაფით ვადის წელი და ბუნებაც ოთხჯერ იცვლის სახეს... აგერ, ზაფხული მოგოგმანებს მინდურის ყვავილთა თვალწარმტაცი თაიგულებით. — კდემამოსილი ქალბატონები მოწიწებით უმღერიან ზაფხულს... საამოა, წკრიალაა მათი სიმღერა, მაგრამ... არ იცდის დრო! დასასრული აქვს ზაფხულს: მინდურის ყვავილთა ტურფად მოწნული კალათები ნელი რონინით სტოკებენ სცენას და სიცარიელეს წითლად შემოსილ ნეკერჩხლის ხეთა მეწამული ქარაყანი ავსებს...

დინამიურად, თანმიმდევრულად იცვლება დეკორაციები: მათი მონაცვლეობა სიმბოლურად ასახავს დროის განუწყვეტელ ტრიალს...

...შემოდგომის ქარიც დაფანტულ ნეკერჩხლის ფოთლებს თმაში იბნევენ მშვენიერი მაიკოები და სუკლსანი სიმღერით ეგებებიან ზამთარს... არც ეს სევდაა მარადიული... გავა დრო, მზის თბილი სხივები მხიარულად გასდევნიან სცენიდან თოვლს და დიდი ხნის ჩასატრ, ნაოცნებარ, ზღაპრულ საკურას შემოუძღვებიან... ო, რა ღამაზად ჰყვავს საკურა! წვიმს ვარდისფერად და ამ ვარდისფერ სითეორეში თავლაუწყებით ცეკვავენ ქალიშვილები... ტკბილხმოვანი მათი სიმღერა, ცისკროვანია მათი ღიმილი და შუადფერ, მაგიურ ცისარტყელასავით ეღვარებს სცენა...

...„შიაკო ოდორი“, „შიაკო ოდორი“, „შიაკო ოდორი“, მღერიან გოგონები... „შიაკო ოდორი“, „შიაკო ოდორი“, „შიაკო ოდორი“, დიდხანს გაიყვირის სული...

...ეს თქვენ, როგორც იაპონური ხელოვნების თავგანისმცემელს“, ღიმილით მეუბნება ქალბატონი კეიკო და მორიდებით მაწვდის ბუნრაკუს თეატრის ბალეტებს... აღფრთოვანებული დაეფურებ შავი კანჯებით აჭრელებულ ფარატიჩა ფურცელს და არ მჯერა, რომ ეს არის საშვი სრულიად არაორღინარულ, განუმეორებელ, საოცნებო სამყაროში...

...ღამუა... ვერანდაზე თავდახრალი ზის ახალგაზრდა ქალი ურაზატო და სევდიანად გაჰყურებს სიერცეს. იქვე მისი პატარა შვილი მიღორი დაჩოქილა და მხიარულად ეჭიკჭიკება დედას... გარეთ კი თოვს, თოვს, თოვს... მდინარის პირას, სიღარიბისგან სასოწარკვეთილი, ურაზატოს მეუღლე — ტოკაჯირო იკლავს თავს... თოვლი კი... თოვლი კი ნაკვალევს შლის...

„ტრაგიკული სივარული თოვლში“... ასე ჰქვია ბუნრაკუს თეატრის ამ შესანიშნავ წარმოდგენას, სადაც მთავარ როლებს... თოჯინები ასრულებენ!

თოჯინების თეატრია ბუნრაკუ, ოღონდ ბუნრაკუს დახვეწილი თოჯინები არაფრით ესადაგებიან ჩვენს ცნობიერებაში ბაეშეობიდანვე აღბეჭდილ თოჯინების მოდელს... ბუნრაკუს თოჯინები საოცრად ჰგვანან ადამიანებს, არაოდენ ფიზიკური მონაცემებით, არამედ — სულიერ-ემოციური სიღრმითა და ექსპრე-

სიულობითაც. თოჯინებს უკვირთ და თოჯინებს უხარიათ, თოჯინები ტირიან და თოჯინები იცინიან, თოჯინები ცეკვავენ და თოჯინები მღერაან... თოჯინები ცხოვრობენ, როგორც ცოცხალი ადამიანები...

თითოეულ თოჯინას სამი მსახიობი ათამაშებს და გამთამაშებლები მთელ სპექტაკლის განმავლობაში იმყოფებიან სცენაზე. მათ შავი სარდალები აცვიათ და შავი ჩაღმები პიურათ: ერთი — თოჯინის მარჯვენა ხელს აჩვენებენ, მეორე — მარცხენა ხელს, მესამე კი — ფეხებს. ბუნრაკუს თეატრში, როგორც წესი, თოჯინა-ქალებს ფეხები არა აქვთ და მათ სამოსელს მსახიობები მოძრაობებისა და ადექვატურად აფრიალებენ...

შავ სუდარებში გამოწყობილმა გამთამაშებლებმა თავდაპირველად ნაადვილ შოკში ჩამაგდეს, მაგრამ... რამდენსამე წუთში ეს შეშფოთება უკვალოდ გაქრა: დაიწყო სპექტაკლი და მე ბევრი რამ გადამავაწყდა — გადამავიწყდა, რომ „ჩაღმები“ კვლავაც იდგნენ სცენაზე, გადამავიწყდა, რომ ქალებს არ ჰქონდათ ფეხები, გადამავიწყდა, რომ თოჯინების თეატრში ვიყავი...

— რა ტრაგიკული მხერა აქვს ურაზატოს! — ჩურჩულით ვუბნებო ქალბატონ კვიკოს...

— სწორედ ესაა ბუნრაკუს მაგიური ხიბლი! — დიმილთ მპასუხობს ქალბატონი კვიკო...

...ბუნრაკუს ჟანრი მე-18 საუკუნეში დაუარსებიათ ტაკემოტოს კლანის მამაკაცებს და მათი შთამომავლობა დღესაც წამყვან ფუნქციებს ინარჩუნებს თეატრში: თეატრის ახლანდელი ხელმძღვანელი და ყველა წარმოდგენის სულისჩამდგმელი — ტაკემოტო თსუნათაუ IX — თეატრის ფუძემდებლის, ტაკემოტო ორიტაუს პირდაპირი ჩამომავალი უახლავთ. გასაოცარი ნიჭი, ტალანტი და ენერჯია მემკვიდრეობით მიუღია ბატონ ტაკემოტოს გენიალური წინაპრებისგან: სცენის კუთხეში, შემაღლებულ ადგილას ზის შავ, საჩვიმო კიმიანოში გამოწყობილი ტაკემოტო თსუნათაუ IX და... ორი საათის განმავლობაში მთელ სპექტაკლს ახმოვანებს! წარმოუდგენელია, მაგრამ სპექტაკლის მონაწილე ყველა თოჯინა ბატონი ტაკემოტოს პირით მეტყველებს: ტაკემოტო-სანი ხან თბილი და სასიამოვნო ბარიტონით კითხულობს ავტორისეულ ტექსტს, ხან — ქალივით ნაზად საუბრობს და დუღუნებს, ხან — მამაკაცური პრისხანებით ჭექს, ხანაც — ბავშვივით იჩღევს ენას და ტიკტიკებს... სცენიდან წამოსული თითოეული ჩურჩული ბატონი ტაკემოტოს უდიდესი შრომისა და ვირტუოზული ოსტატობის შედეგია... რა არის ეს, თუ არა ბუნრაკუს თეატრალური სასწაული?...

...იმ დამით, შინ მისულს, დიდხანს არ დამეძინა, მეორე კი... თოვლი დამესიზმრა, თეირა, ქათქათა, სპეტაკი თოვლი... თოვლში თავდახრილი ურაზატო იჯდა და სევდიანად გაპყურებდა სივრცეს...

„მამისა და ძისა და ღვიძლისა სულისა, აინი“...

საკურთხევლის წინ იქროსფერ ანაფორაში გამოწყობილი მამა იოანე ღვას და თვალგებარწყინებული ნაოლავს ბავშვს... დაბალ ხმაზე, სასიამოვნოდ გალობს გული... მამა იოანემ ხუთი აცხო პატარას და მართლმადიდებლური ჯვარი დაქადაგულზე... ცრემლებმა თავისთავად გაიკვლიეს ლაწეებზე გზა... ეს პატარა ჩემი ვაჟია — ლუკა კახაბერის ძე კორძაია, დედითა და მამით ქართველი, მამა იოანე კი — კი უტოს წმინდა ნიკოლოზის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარი, ეროვნებით — იაპონელი გახლავთ...

...„ვპოვე ტადარი, შესაფარი უდაბნოდ მდგარი“... ბარათაშვილის ეს სტრიქონები გამახსენდა უნებლიეთ, როდესაც პირველად შევალე კიოტის მართლმადიდებლური ეკლესიის კარი...

— ნურაფერს გაიკვირებ, — მაფრთხილებდა ჩემი ბულგარული მეგობარი ველისა ბერონოვა, — ბევრი რამ უცნაურად მოგეჩვენება... მისი თქმით, თანდათან შეეგუები, შეეჩვევი გარემოს და, შენ წარმოიდგინე, შეიყვარებ კაცს...

„ძნელი სარწმუნოა“, გავიფიქრე მე, როდესაც ჩემთვის სრულიად უჩვეულოდ მართულ საკურთხეველსა და უჩვეულო მრევლს მოვაველე თვალი...

— სად არის მამა ზაქარია? — მაშინვე იკითხა ჯანომ და ჯიუტად დააყოლა:

— მე მამა ზაქარია მინდა!

დავიბრუნე... ანჩისხატის სუსტად განათებული ტადარი მომაგონდა... ცხადად შევიგრძენი მისი მსუბუქი სიგრილე და საკმევლის დაუქუფყარი სურხელი... მეც მომენატრა მამა ზაქარია...

„ნუთუ იაპონურ ენაზე უნდა ვუსმინო წირვა-ლოცვას?!“ გამიელვა თავში სასოწარკვეთილმა აზრმა და უიშედოდ შეეხედე კახას...

...რა შორეულია ახლა ეს დღე! შორეული და უცხი... თუკი არსებობს გულში ჩემთვის ძვირფასი ადამიანების გაღერვა, მას კიოტოელ მართლმადიდებელთა კეთილშობილი პორტრეტებიც ამშვენებენ... მამა ითანე და მისი მუდლვე სარა, ქალბატონი და ბატონი სატოები, ქალბატონა კატო და ქალბატონი ნაკამურა, მოხუცებული, ქალარა, მუდამ ღვთისმშობლის ხატის წინ დანოქილა... მე მიყვარს ისინი, მიყვარს ძლიერ, რამეთუ ორი გრძელი წელიწადი სრულუფლებიანი წვერის სახელით გავატარე მათს პატარა, თბილ და სანუკვარ მართლმადიდებლურ ოჯახში...

...16 ივნისის დილაა... ცხელა... სატრაპეზოში ბევრ ხალხს მოუყრია თავი... ქალბატონი სარა, ქალბატონი კატო და მე ფაციფუცით ვაწყობთ საზეიმო სუფრას... დღეს კიოტის მართლმადიდებლური ეკლესია იაპონიის მიტროპოლიტს მასპინძლობს... ყველანი ვღეღავთ...

— აუცილებლად უნდა მოვახსენოთ მიტროპოლიტს, რომ თქვენ ქართველები ხართ, — სათნო დიმილით მეუბნება ქალბატონი კატო, — მან მოხკოვში წიილო სასულიერო განათლება და უთუოდ ბევრი რამ სმენია თქვენი ქვეყნის შესახებ...

...— ქართველები?! მართლა თუ?! — მისი უწმინდესობა პირჯვარს გვსახავს და სიხარულს ვერ ფარავს, — მე თქვენი კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის დიდი მეგობარი ვარ... საიდან სად შევხვდი ქართველებს?! — დამტვრეული რუსულით კითხულობს მიტროპოლიტი, მერე კი მრევლს მიმართავს:

— ეს ხალხი უძველესი ქრისტიანული ტრადიციების ქვეყნიდან არის, წმინდა ნინოა მათი განმანათლებელი,...

მიტროპოლიტი ჩასთიდან იღებს მაცხოვრის ხატს და რუდუნებით გადასცემს კახას... შინ დაბრუნებულნი, მე და კახა ფრთხილად ვკიდებთ ხატს კედელზე...

— რა ბედნიერებაა, რომ ქართველები ვართ, — მეუბნება კახა და აუჩქარებლად იწერს პირჯვარს...

მართლაც რომ ბედნიერებაა...

...— თავდაპირველად ძალიან გამინაწყენდა ღედა, ჩემი დანახვაც კი არ უნდოდა... მაგრამ, მერე, თანდათან მოტყდა: ვერ გამიმეტა მოსაკვეთად — ჩათვალა,

რომ გავეცი და როგორღაც შევეგუა ამ აზრს... — სწრაფ-სწრაფად, სხაპასხუ-
პით ჰყვება იხა გუბერმანი, ეროვნებით — ებრაელი, რწმენით — ქრისტიანი,
მამა ალექსანდრე მენის სულიერი შვილი...

კიოტოს ტაძარში გავიცანით ერთმანეთი. ქალბატონი იხა ცხოვრობდა მათე-
მატიკოსის ბორის ყუეიგინის მეუღლეა. იგი ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა კიოტო-
ში მეუღლესთან და შვილებთან ერთად და მთელი სამი თვის განმავლობაში
მუხლჩაუხრელად ემსახურება კიოტოს მართლმადიდებლურ საზოგადოებას: წი-
თელი ჯვრის სააყადმყოფოებსა თუ ინვალიდთა სახლებში, ხეიბარ ბავშვთა რეა-
ბილიტაციის ცენტრსა თუ საქველმოქმედო საღამოებზე — სად არ შეხვდებით
ამ პატარა, გამხდარ, სუსტ ქალს, სულ მუდამ გმირული შემართებითა და და-
უშრეტელი ენერგიით აღსავსეს... მსგავსი საქმიანობა ძალიან დიდი დახმარე-
ბა და ძხარდაჭერაა მცირერიცხოვანი კიოტოელი მართლმადიდებლებისათვის:
მათი რიგები ხომ მხოლოდ ორმოცდაათ კაცს ითვლის...

კიოტოს წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია ასი წლის წინათ, მე-19
საუკუნის მიწურულს აუციანთ რუს მიხიონერებს, ტაძრის მიდამოებში მცხოვ-
რები იაპონელები იმთავითვე დაინტერესებულან ახალი რელიგიით და ნებაყოფ-
ლობით გაქრისტიანებულან კიდევ... კიოტოს ეკლესიის დღევანდელი მრევლის
უმეტესობა სწორედ იმ პირველი ქრისტიანი იაპონელების ჩამომავლები არიან
და გასაოცარი სიმტკიცით ინარჩუნებენ რწმენას თავიანთ ოჯახებში...

— ჩემი ვაჟი ცოლს თხოულობს, — მახსოვს, დიმილით გაგვანდო ერთხელ
ბატონმა ნიშიკავამ...

— ომედეტო! ომედეტო გოზაიმას! — ერთხმად მიუულოცეთ ყველამ.

— გმადლობთ, გმადლობთ... მაგრამ ქორწილამდე ერთი აუცილებელი რი-
ტუალი უნდა ჩავატაროთ, — დასძინა ბატონმა ნიშიკავამ.

— რა რიტუალი? — დაინტერესდა ბატონი სატო.

— საპატარძლო უნდა მოვნათლოთ...

და მოვნათლოთ! მერე კი, გაქრისტიანებულ პატარძალს ქრისტიან ნეყუზე
დავწერეთ ჯვარი!... აპრილის იმ მზიან დღეს ორი ქორწილი ვიზეიმეთ ტაძარ-
ში: იაპონელი წყვილის გვერდით ჩვენი ოჯახის სტუმრები — ლიკა სხირტლა-
ძე და სანდრო ლეჟავაც იწერდნენ ჯვარს, საკურთხეველთან კი ქართველთა
სიმრავლე იყო: მარიკა მირიანაშვილი, დიმა ანთაძე, მაია გერასიმოვა, კახაბერ
კორძაია და თქვენი მონა-მორჩილი...

— დუთის შეწევნით კვლავაც გავმრავლდებით! — კმაყოფილებით აღნიშნა
მამა იოანემ რიტუალის დასრულებას შემდეგ...

... ერთი ოჯახით ცხოვრობს კიოტოს ეკლესიის მრევლი — უყვართ ერთ-
მანეთი, პატივს სცემენ ერთმანეთს, ეხმარებიან, ერთობლივი ძალებით ეგებები-
ან ყველა საეკლესიო დღესასწაულს და ერთმანეთის სიხარულით ხარობენ...
მახსოვს, პირველად როგორი გაკვირვება გამოიწვია ჩემში მრევლის წინასაად-
ღგომო სამზადისმა: მრევლის წევრი ქალბატონები ყოველ საღამოს იკრიბებოდ-
ნენ სატრაპეზო ოთახში, აცხობდნენ საადღგომო კულიჩებს, ლებაუდნენ კვერ-
ცებს, რთავდნენ ტაძარს ვარდებისა და ქრიზანთემების უტურფესი თაიგულე-
ბით... და ადღგომის ღამეს მართლაც საოცარი ხეობა სუფევდა ტაძარში: ათა-
სობით სანთლის ნათელი მშვიდად ეფინებოდა საკურთხეველს, ვარდისფერი
ატლასის სუფრას წითელი კვერცხები და საადღგომო კულიჩები ამშვენებდნენ,

1. კილოცავთ! კილოცავთ, კეთაყვა!

გალობდა გუნდი, ერთმანეთის მხარდამხარ კი იაპონელი და ქართველი, რუსი და ბულგარელი, ბერძენი და იუგოსლავიელი მართლმადიდებლები სხვადასხვა ენებზე აღეკვლენდით ლოცვას მაცხოვრისადმი...

...კითხოს ტაძარი ჩვენს სულიერ თავისად იქცა იაპონიაში. ყოველ კვირას ჭრუანჭელივით ძაყრაედა ტანს შიხი ზარების ძლევადასიღამ რეკვა. დიდს და პატარას მიგვიხაროდა ტაძარში, მიგვიხაროდა, რადგან ვიცოდით, ჩვენ იქ ვველოდნენ, ჩვენ იქ ვუყვარდით: ყოველ კვირას იაპონური კერძების ახალ-ახალ რეცეპტებს დაუხარებლად მკარნახობდა ქალბატონი სარა, ყოველ კვირას საათობით ესაუბრებოდა საქართველოზე კახას ბატონი სატო, ყოველ კვირას საოცნებო საპნის ფერადი ბუშტების ჩიბუხით ეგებებოდა ჩემს ჯანოს ქალბატონი კატო და იმ ფერად-ფერადი, ლამაზი ბუშტების ქარავანი დღესაც ოცნებასავით მიღვას თვალწინ...

— ამ თეფშზე წეროა გამოსახული, — გვითხრა ბატონმა სატომ იაპონი-იდან ჩვენი გამომგზავრების დღეს და მრევლის საჩუქარი ვადმოგვცა, — წერო იმედის სიმბოლოა იაპონელთათვის: წერო ყოველთვის ბრუნდება ჩვენთან. დაე, სათუთად შეგვენახოს გულში ერთმანეთთან ძორიგი შეხვედრის ლამაზი იმედი...

ქალბატონი სარა და ქალბატონი კატო აცრემლებულნი, თითქმის ქვითინით ეხვეოდნენ ჯანოს და ლუკას, მამა ითანემ კი ფაქიზად გადააფარა ლურჯი აბრეშუმი ღვთისმშობლის ხატს და ვზა დაგვილოცა...

საიონარაა!... დიდხანს ჩამესმოდა ყურში ნალვლიანი ხმები...

საიონარაა!... ჩურჩულთ ვიმეორებდი მეც და მჯეროდა, რომ ეს არ იყო ჩვენი მეგობრობის დასასრული...

ბ უ დ ე ე ბ ი...

ო, რად არ ძალშიძს, მოგიხილო განმარტოებით,
უცხო თვალთავან იღუმალად განრიღებული,
მოგიახლოვდე ფეხაკრეფით ოცნების ქალღმერთს
და გინურჩულო ნატვრასავით წრფელი სიტყვები —
მე შენ მიყვარხარ...

(მიჩიასა)

ლამაზია ბატონი ნიშიდას სახლი... ფართო დარბები, თეთრი თალები და უამრავი ყვავილები... ყვავილები ყველგან: სასტუმრო ოთახსა და ჩაის პავილიონში, საძინებელსა და ჰოლში, სამხარეულოსა და სააბაზანოში... სათუთად მოვლილი ეარდებითა და ენძელებით, ქრიზანთემებითა და გვირილებით, დიდი-ლოთებითა და დაუვიწყარებით სუსთქავს სახლი... თჯახის დიასახლისი, ქალბატონი სიროში ტატამზე დახოქილა და ორიგამის პაწაწინა ხომალდს ჩუქნის ჯანოს და ლუკას...

— ეს ოცნების ხომალდია, — აღურსიანად უხსნის ჯანოს ქალბატონი სიროში, — ყველგან წავიფვანს, სადაც კი მოიხურვებ... თუნდაც საქართველოში...

1. მშვიდობით.

2. ქალღმერთისაგან სხვადასხვა საცნებისა და ფიგურების ვაკეთების ხელოვნება.

ქალღმადის მღვდლისფერი გემი იმედით კიაფობს ჯანოს ერთ ციდა ხელის-
გულზე...

— ხირომი ყოველთვის პოულობს საერთოს ბავშვებთან, — ღიმილით გვე-
უბნება ბატონი ნიშიდა, — იაპონელი ქალისათვის ბავშვის სიყვარულს და აღ-
ზრდა უზენაესი მოვალეობაა. იაპონური ოჯახი საძირკვედ ყველაფერს უყრდნობა
ქალს...

„და პირველად, ქალი იყო მზე“, მახსენდება ქველისძველი შინტოისტური
კანონი... „ამატერასუ ომიკამი“ ანუ „ღიაღი, მბრწყინავი დედა“ ყოველთა იაპო-
ნელთა დედა-წინაპრად და შინტოისტური მითოლოგიის უპირველეს დვთაებად
ითვლება იაპონიაში. მითის თანახმად, ამატერასუს „სამი საკრალური განძი“ —
სარკე, ხმალი და ძვირფასი მარგალიტი უბოძებია შვილიშვილისთვის და „ამო-
მაგალი მზისა“ და „ბრინჯის ქვეყნის“ შესაქმნელად წარმოუგზავნია მიწაზე...
მადლიერ იაპონელებს ამატერასუს ოქროთი მოვარაყებული სკულპტურა და მისი
დვთაებრივი სარკე აისის წმინდა შრაინში! დაუსვენებიათ, თავად შრაინის
დედა — წინამძღვრებად კი, ტრადიციულად, იაპონიის პრინცესებს ირჩევენ...

„და პირველად ქალი იყო მზე“...

— რა არის თქვენთვის რელიგია? — ვსარგებლობ სტუმართმოყვარეობით
და დიდი ხნის ნაფიქრალ შეკითხვას ვუსვამ ბატონ ნიშიდას. — მაგალითად,
ჩვენ, ქართველები მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ, ამ რწმენით ვიბადე-
ბით, ვცხოვრობთ და ეკვდებით... იაპონელებისა კი რამდენადმე არ მესმის: იბა-
დებით შინტოისტური რიტუალით, ცხოვრობთ ბუდისტური წესებით, ქორწინ-
დებით, როგორც შინტოისტები და აღესრულებით, როგორც ბუდისტები... რა
არის ეს? გაუგებრობა თუ ლოგიკური უკაორობა?

— რთული შეკითხვაა... — თავს აქნევს ბატონი ნიშიდა...

— ძალიან რთული... — ღიმილით უდასტურებს ქალბატონი ხირომი...

— საქმე ის გახლავთ, რომ ბუდიზმი და შინტოიზმი ყოველგვარი პრობლე-
მების კარგეშე თანაარსებობენ, — აგრძელებს ბატონი ნიშიდა მცირე პაუზის
შემდეგ, — მათ შორის პრინციპული სახის წინააღმდეგობა არ არსებობს: არც
ბუდიზმი და არც შინტოიზმი არ ქადაგებენ ერთი ღმერთის რწმენას. შინტოიზმი
ძრავალღმერთიანი რელიგიაა, ბუდად კი შეიძლება იქცეს ყველა, ვინც კი თვით-
გვემისა და თვითგამორკვევის გზას შეუდგება... ეგ არის მხოლოდ, რომ შინტო-
იზმსა და ბუდიზმს სიკვდილის განსხვავებული აღქმა აქვთ: თუ, ბუდისტური
რელიგიის თანახმად, სიკვდილი სულის გარდაცვალებას ნიშნავს, შინტოისტური
რელიგიის მიხედვით, სიკვდილი სხვა არა არის რა, თუ არა — ხრწნა... სწორედ
ამიტომ, თავიანთ სულიერ ცხოვრებასა და შემდგომ, სიკვდილს, იაპონელები
ბუდისტურ რწმენას უკავშირებენ, ცხოვრების საზეიმო წუთებს კი — შინტო-
იზმს, როგორც სიკვდილისაგან უსოდენ დაცვლებულ რელიგიას...

...ხოუმბრის შორეული დღისაკენ მიმავრუნს ფიქრი... მზე, ნეკერჩხლება
და ჰიეი ძანი... მაღალი და ბუმბერაზი ჰიეის მთა გუშავივით იცავს კიოტოს
წრდილოეთიდან... მე-8 საუკუნეში სწორედ ამ მთის აღმართს შეჰყოლია იაპო-
ნური ბუდიზმის მამამთავარი, ტენდაის სექტის დამაარსებელი, „დიდი მოძღ-
ვარი“ საიჩო და პირველი ბუდისტური ტაძარი, კონპონჩუ-დო აუგია მთის
მწვერვალზე...

1. შინტოისტური ტაძარი.

... ძალიან ძველია კონსონანსი: მის კედლებს დიდი ხნის წინათ დაუკარგავთ სიხასხასე და წითელი ფერი მკრთალი ვარდისფრით შეცვლიდა. ტაძარში ბნელა და ცივა... უჩვეულოდ სადა დარბაზში სამი ლამპარი ანთია და მათი წითელი გამომწვევად არღვევს საერთო წყვედიან... იპოქრატეები მუხლს იღრუკენ ლამპართა წინაშე და დაჩოქილნი ღოცულობენ... ეს სამი „უწმინდესი ლამპარი“ სიმბოლურად ასახავს ბუდიზმის სამ ძირითად ცნებას: სიბრძნეს, თავისუფლებას მიწიერი ცხოვრებისაგან და ბუდას სიყვარულს, სამივე ლამპარი მე-8 საუკუნეში აღუნთია საიჩოს და აკერ უკვე თორმეტი საუკუნეა, სამივე ჩაუქრობლად იწვის...

... — არ ვიცი, დავაკმაყოფილე თუ არა თქვენი ცნობისმოყვარეობა, — ფიქრებიდან ბატონი ნიშიდას ხმა მაფხიზლებს...

— სავსებით... — ეპასუხობ მე და სიამოვნებით ვსინჯავ ტკბილ შითსუშამეს!...

ეზოდან ბავშვების ყივილ-ხივილი ისმის... ქალბატონი ხიროში საოცარი სიფრთხილითა და რუდუნებით ასმევს წყალს თავის ბრმა ძაღლს... ძაღლი კრუსუნებს და ძაღლიერად ლოკავს პატრონს...

... — ჩვენ განსაკუთრებულად გვიყვარს ცხოველები, — დამტვრეული ინგლისურით მუუბნება აკიო, — ისინი ჩვენი „მარტოობის მეგობრები“ არიან...

— მარტოობის?

— დიახ, მარტოობისა, რაც ყველა იპოქრატე ქალის ხვედრია, სამწუხაროდ...

... სამუშაო დღე იაპონიაში დიდის რვა საათზე იწყება და დაუსრულებლად გრძელდება. მართალია, ექვს-შვიდ საათზე ყველა სახელმწიფო დაწესებულება ოფიციალურად წყვეტს მუშაობას, მაგრამ ეს მხოლოდ — ოფიციალურად! სამსახურის შემდეგ ძალიან ცოტა იპოქრატე მამაკაცი თუ წაყა შინ: თანამშრომლები ჯგუფ-ჯგუფად, კოლექტიურად მიემართებიან რომელიმე ნაცნობი რესტორნისაკენ, საუბრობენ, ვახშობენ, ძირითადად ცივ ლუდს და, მთელი დღის გასულნი, ვვიან საღამოსლა ბრუნდებიან სახლში. ... დგება ნეტარების წუთები, ჩვეულ, ოჯახურ გარემოში იპოქრატე მამაკაცი გულწრფელად განიტვიტობა და ისუენებს, თავისუფლდება ისეთი „სამსახურეობრივი“ კომპლექსებისგან, როგორცაა მორიდება, სიფრთხილე და შიში, შინ მას არ სჭირდება ბევრი ფიქრი, დიპლომატია, ჭიდილი: მზრუნველი, მორჩილი, მუდამ თვალუბგაბრწყინებული ცოლი კარებშივე შეაგებებს ფლოსტებს და „ირაშაიმასუენო!“,² — ეტყვის მოწიწებით. „გოხან დესიოო!“,³ — შესთავაზებს ცოტა ხნის შემდეგ, „ოფურო ვა დაიჯობუ დეს კა?“⁴ — ჰკითხავს ბოლოს და აბაზანის კარებთან სუფთად გახამებულ პირსახოცს მიაწვდის: იპოქრატე ცოლი არასოდეს დაიწუწუნებს...

მეორე დღეს კი ყველაფერი თავიდან იწყება: სამსახურიც, რესტორანიც და ქალის მარტოობაც...

... — ეს კალიგრაფიის ნიმუშია, — დიმილით მიხსნის ქალბატონი მაჩიკო მორისუგი და ჩარჩოში ჩასმულ დახვეწილ ნაწერზე მიმითითებს, — იპოქრატე

1. იპოქრატე კერძი.
2. მობრძანდით!
3. ვახშამი მზადაა!
4. აბაზანას ხომ არ მიიღებთ?

ქალებმა ბევრი რამ მოიგონეს თავიანთი მარტოობის შესამსუბუქებლად... ესეც ერთი მათთაგანია, აწ უკვე ტრადიციად ქცეული: ვსხედვართ და დიდ ფორმატზე კლასიკური კანჯებით ვწერთ რაიმე სიბრძნეს ან ლექსის სტრიქონს, შემდეგ საუკეთესო ნიმუშს სასტუმრო ოთახში ვკიდებთ გამოსაჩენ უდვილდესდ მსგავს კალიგრაფიას ყველა იაპონურ ოჯახში შეხვდებით...

ქალბატონი მაჩიკო სიტყვას წყვეტს და უმისამართოდ გაგორებულ ჭრულ ბურთს აწვდის ლუკას.

— რა საყვარელია! — იძახის თარმეტი წლის მამი მორისუგი და ლუკას თავის ბურთიანად იკრავს გულში...

... კახა და ბატონი მორისუგი გატაცებით წვავენ მწვადებს მორისუგების სუფთა, კონტად მოვლილ ბაღში:

— ქართული მწვადი იაპონურ ანტერიერში! — გულლიად იცინის ბატონი მორისუგი. — ალბათ, უფრო გემრიელი იქნება!

... მიეყარს მორისუგების ოჯახი: დედა, მამა და სამი შვილი... მზიანი სასტუმრო ოთახი და შავ როიალზე დაფენილი ჯუჯა პალმის ტოტები... სიცილი, ხმაური და პოლეშიკა... ერთი სიტყვით — ოჯახი!..

— ეს ჩაის ჭურჭელი ქორწინების აქტის პრაქტიკულ გამოხატულებად ითვლება იაპონიაში, — და ბატონი მორისუგი ხმაურით დგამს მაგიდაზე თიხის ორ ჩაის ჭიქას.

ჭიქების ფერი, ფაქტურა და დიზაინი ერთნაირია, განსხვავებას მხოლოდ მათი ზომები ჰქმნის...

— დიდი ჭიქა მამაკაცს ეკუთვნის, შედარებით პატარა — ქალს... აბა, როგორ! იაპონელი მამაკაცები მტკიცედ ვინარჩუნებთ ოჯახში ლიდერის პოზიციებს, — ხუმრობს ბატონი მორისუგი...

იშვიათად ხუმრობენ იაპონელები — ბატონი მორისუგი ბედნიერი გამონაკლისი გახლავთ...

... — ჩემი ქმარი ნამდვილი მუნჯია! — გვიმტკიცებს ქალბატონი იცუკუშიმა და პირზე ხელს იფარებს, — ოცდათხუთმეტი წელიწადი ვიცხოვრეთ ერთად და ოცდათხუთმეტი სიტყვაც კი არ უთქვამს! მაგრამ... რას ვიზამ? კეთილშობილი და შრომისმოყვარე კაცია — ოჯახისათვის ეს არის მთავარი...

ბატონი იცუკუშიმა ილიმის და გამჭვირვალე ჭიქაში ცხელ საკეს უსხამს კახას, შემდეგ კახა უსხამს საკეს ბატონ იცუკუშიმას — საკუთარი სასმისის შევსება იაპონიაში მიღებული არ არის... ზღვისფერ კიბანოში გამოპრანჭული ქალბატონი იცუკუშიმა ამაყად ზის კოტაცუს თავში და ენერგიულად გვთავაზობს სავანებოდ მომზადებულ სუშებს!... დღეს ხომ 3 მარტია, „ჰინა მატური“ ანუ „თოჯინების ზეიმი“... ეს დღე იაპონიაში გოგონების დღესასწაულად ითვლება და მათ საპატივცემულოდ მთელი ქალაქი საუცხოო იაპონური თოჯინებითაა მორთული... ქალბატონი იცუკუშიმა ძველი თოჯინების დიდი კოლექციონერი გახლავთ და ყოველ 3 მარტს თავისი საგანძური მასაც სიამოვნებით გამოაქვს სამზეოზე: რუდუნებით აწყობს წითელმაუდგადაფარებულ მოძვრო კიბეებზე ჰეიანის პერიოდის ნატიფ თოჯინებს — მრისხანე იმპერატორებსა და კდემამოსილ პრინცესებს, მამაც სამურაებსა და ნახ სეფექალებს, კოტოთა

1. იაპონური კერძი.

ხელდამშვენებულ მუსიკოსებსა და ჩუმად მლოცველ ბერებს... და ნაირფერი კიბანოებით შემოსილი, თეთრი ფაიფურის ეს პატარა, მეტყველი ფიგურები გასაოცარ ხიბლსა და ელექტანტურობას სძენენ ქალბატონი იცუკუნეში ერთ ცილა სახლს...

... დიდი სახლი ტრადიციულად არ იზიდავთ იაპონელებს... სული გქონდეს დიდბუნებოვანი, ხორცი კი ყველგან შეაფარებს რაფსო, მხოლოდ იხსინი... ალბათ, ამიტომაც არის, რომ კიოტოს ქუჩები მარიონეტების თეატრს უფრო მოგაგონებთ: პაწაწინა სახლები და პაწაწინა დარბაზები, პაწაწინა აივნები და დაბალ ქოთნებში მოყვლები პაწაწინა ყვავილები... პაწია, კოპწია და ლამაზია ყველაფერი...

— ეს სახლი ძველი სახლის ადგილას ავაშენე, — სიცილ-სიცილით გვიყვება ბატონი საკურაი, — 1 კვ. მ. მიწა 500 დოლარი დამიფასეს!!! ამიტომაც ვერ გავიშალე სივანეში და მთელი ჩემი ფანტაზია სიმაღლეში ჩაეაქსოვე...

სწრაფად ვიძლი ფეხსაცმელებს პოლში და ინტერესით მივყვები ქალბატონ კაორუს მათი ოთხსართულიანი სახლის დასათვალიერებლად. ჩემდა გასაოცრად, თითო სართულზე მხოლოდ თითო ოთახი და თითო სველი წერტილი აღმოჩნდა...

— რა ვქნათ: — მეუბნება ქალბატონი კაორუ, — იაპონიაში ძალიან ძვირია მიწა...

ბატონი საკურაი ხედსიძედ არის მოხული ქალბატონი კაორუს ოჯახში და მეუღლის... გვარს ატარებს! ჩვენთვის, ქართველებისთვის, პარადოქსული ეს მოვლენა ძველისძველი და კეთილი იაპონური ტრადიცია გაჩლავთ: თუ ოჯახს არა ჰყავს ვაჟი, უფროსი ქალიშვილის ქმარი ვალდებულია, მიიღოს მეუღლის გვარი და თავი ამ ოჯახის სრულუფლებიან მემკვიდრედ გამოაცხადოს. იაპონელები მათ „მუკოუოშის“ ანუ „ჩამვილებ სიძეებს“ უწოდებენ...

... — რა სასიამოვნოა, რომ თქვენ ლიტერატორი ბრძანდებით, — თავისი ვონიერი თვალებით შემომცქერის ქალბატონი კაორუ, — იაპონიაში ლიტერატურის მფარველად სუგავარა ნო მიტიძანეს სული ითვლება.

— შინტოისტური რწმენის თანახმად?

— დიახ, რასაკვირველია... მე-10 საუკუნეში იმპერატორის ოჯახს ბევრი უბედურება შემოხვეუია: თავდაპირველად კარის მიხისტრისა და პრინცის სიცოცხლე უმსხვერპლია საშინელ ეპიდემიას, შემდეგ კი თავად საიმპერატორის სასახლეს დასცემია მეჩი და იმპერატორიც დაღუპულა. მთელი ქვეყანა სრულიად და ცახცახებდა გამოუცნობი შიშისგან... სწორედ ამ დროს მომხდარა სასწაული: ერთ ღარიბ ქალს სასახლიდან განდევნილი და უსამართლოდ დახჯილი პოეტის, სუგურავა ნო მიტიძანეს სული გამოსცხადებია და კიტანოს ცნობილ ტაძარში უთხოვია თავისი ნეშტის გადასვენება: — კიტანოს ტაძრის მფარველი ჰქექა-ქუხილის დვთაებაა და მე ჩავსახლდები ამ დვთაებაში. დაჟ, ტაძარში მომეახლოს იაპონიის მომავალი იმპერატორი და თაყვანი მცეს, უბრძანებია ქალისათვის მიტიძანეს სულს... ასეც მომხდარა: სუგავარა ნო მიტიძანეს ნეშტი მეორე დღესვე გადაუსვენებიათ კიტანოს ტაძარში, იაპონიის იმპერატორს კი მუხლი მოუყრია მის წინაშე... მას შემდეგ ყარიბი პოეტის სული ლიტერატურის მფარველად აღიარეს...

— მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი, — გულახდილად გვიცხადებს ქალბატონი კაორუს მონათხრობით აღფრთოვანებული ბატონი საკურაი, — თუ როგორ უზრუნველვეო ოჯახს მატერიალურად! სხვა დანარჩენი იცის კაორუმ...

და მართლაც იცის, ბევრი, ბევრი რამ იცის საოცრად ჭკვიანმა ქალბატონმა კაორუმ...

... მყუდრო, უდაბური ვხებით ებრუნდებით შინ... ვიწრო ქუჩის ბოლოში თვალისმომჭრელად ჩახჩახებს სინათლე... თითქმის ცარიელი სანუკვარ ოთახის შუაგულში ფეხმორთხმით ზის იაპონური ქალი და დეკორატიული ყვავილებს გემოვნებით აწყობს ძალაღ ღარნაკში... შაყ კიძანოზე ღაღად ვაუშლიათ ფრთები უნახეს პეპლებს... საღამო მშვიდობისა, იღუმალა და მიუწყდომელი, მკირ-ფასო მაღამ ბატერულია...

ბოლოთქმა...

ზღაპრულ საოცრებათა ქვეყანაა იაპონია... აპრილის თვეში ვარდისფერად ჰყვავის საგურა, ივლისის თვეში – კოკისპირულად წვიმს და წვიმს, აგვისტოს თვეში მოჭრიჭინე პეპლები გაპვივიან დაულაღაუად, ნოემბრის თვეში – სეკ-ღიანად დედოფლობენ წითელი ნუკერჩხლები...

თვალეზგაბრწყინებული მივუყვები ფუშიში ინარი ტაიშას ათას კარიბჭეს და თითოეული კარიბჭის მიღმა თითო სანუკვარ მოგონებას უტოვებ... გაზაფხულია... სიცოცხლე ფეთქავს... შორიდან აღწევს აოიმაცურის¹ თაებრუდამხვევი სიმღერებისა და ცეკვების ექო... ბროლივით გამჭვირვალე გამკამა წყალში მშვიდად ლივლივებენ ოქროს თევზები, კინკაკუ ჯის² ნატიფ გუმბათზე კი თვალისმომჭრელად ეღვარებს ჩახჩახა მზის მბრწყინვალე ათინათი...



1. უძველესი იაპონური ფესტივალი.
2. ოქროს ციხე.